

1958/4



მნათობი



8

საგონებო



1958

მ ნ ა თ მ ბ



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუბრნალი

წელიწადი 35-ე

№ 8

აგვისტო, 1958 წ.

საპარტველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ბ ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ლექსი 33-3

აზიისა და აფრიკის ხალხთა ლიტერატურა

ჩ ი ნ ე თ ი
 მარტინ ლუთერ კინგი — ბედიანი. ლექსი. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა 4
 ორი ლექსი „ში-ძინიდან“ (გალობათა წიგნი) 2000 — 1500 წ. ჩე. ე. (მაღალი კომედი, კეთილი
 ხელმწიფის ხსოვნა) თარგმანი თამაზ ჩხენკელისა 4
 ჩენ სუნი-აუ — როგორ დატოვა სულმა სხელი. ტანჯილი ნოველი სერგო
 კლდიაშვილის თარგმანით და ბოლოსიტყვაობით 5

კ ო რ ე ა
 ტიუ სონ ბონი — დედა. ლექსი. თარგმანი შორის ფოცხიშვილისა 8

ი ნ დ ო ე თ ი
 რაბინდრანათ თაგორი — „გიტანჯალი“. ლექსები. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა 9
 ამჟამ აბასი — ლამპარი ენთო შთელ ღამეს. თარგმანი ლადო შრეღაშვი-
 ლისა 11
 კრიშან ჩანდრი — ამო სურნელით გაქვნილი ტრფობის ბართი. თარგმანი გიეი
 კარბელაშვილისა 15
 იაშვალი — დაწყვეტილი. თარგმანი ც. ჩხეიძისა 21
 ვიორჯი ახვლედიანი — 1. ორი ქება რიგ-ვედიდან, 2. ორი გალობა ავესტის გათუბიდან 24

ბ ი რ მ ა
 ტან ტინი — ბოლოსდაბოლოს რაა სიციოცხლე? ლექსი. თარგმანი შორის ფოცხი-
 შვილისა 32

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა
 მამულ თეიმური — წმინდანი. თარგმანი არაბულიდან ნანა ფურცელაძისა 32

(იხ. მეორე გვ.)





ლიბანო	43
რადვან შაბალი — შვიდობის ქარები. ლექსი. თარგმანი ო. კუბრავასი	43
გრადუო	40
მარტუფ არახაფი — ჩვენი სამშობლო. ლექსი. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა	40
პაკისტანი	
ფაზ აბმად ფაიზი — ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო! ლექსი. თარგმანი გივი ძნგ-ლაძისა	41
ირანი	
ნახერ ხერაუ — კამათი ღმერთთან. ლექსი. თარგმანი სპარსულიდან მაგალი თოდუასი	42
მეხდი ახოვათი — წითელი ევალი. თარგმანი სპარსულიდან ლეილა ფარუღაეასი	43
თურქეთი	
ორზან ველი — ეპიტაფია. ლექსი. თარგმანი თამაზ ჭილაძისა	48
ფერხად სილაჯი — მეთუ სოფელი. ლექსი. თარგმანი თამაზ ჭილაძისა	49
კოლონიალური აფრიკა	
ლილინოუ შაკაია — შანგანა. ლექსი. თარგმანი არჩილ სულაქაურისა	49
იპანია	
აუტკავა რუნოსკი — მანდარინები. თარგმანი ელენე დევიძისა	50
თამარ ცაგარელი — მოგზაურობა ინდოეთში	53
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია. ვაგრძელება	62
ო. ჩხეიძე — მეჩენი, რომანი. დასასრული	73

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. შახსურაძე — აზიისა და აფრიკის ხალხების ბრძოლა თავისუფლებისათვის	92
შ. კურდღელაშვილი — არაბთა ერთიანობა და კოლონიალიზმის მარცხი აბლო აღმოსავლეთში	98
ავთ. იოსელიანი — ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ძველი და ახალი ფურცლები	106
შ. მეგრელიძე, ა. ხურგულაძე — ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქართული პრესა	115
ვ. ერატიძე — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურა	119
ვ. წოწელია — ინდონეზიის ლიტერატურა	124
ხაიდ ნაფისი — შენიშენები თანამედროვე სპარსული ლიტერატურის შესახებ. თარგმანი სპარსულიდან ნ. ბეჭაურისა და ჯ. გიუნაშვილისა	130
შალვა აღმაშენებელი — საადი შირაზელი	131
გ. დოლაძე — მულკ რაჯ ანანი	140
დავით ჯანელიძე — ხონთქრის თურქეთის წინააღმდეგ სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან	143
ფილამ კ. შიტი — არაბული ლიტერატურის წვლილი დასავლური აზროვნებისა და კულტურის განვითარებაში. ინგლისურიდან თარგმანი ა. ჭეიშვილისა	153
ზაქი ნავიბ მაჰმუდი — „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი...“	157
დილარა ალიევა — აკაკი წერეთელი და აზერბაიჯანი	161
გ. ქიქოძე — მაილო იაშვილი	166
გივი განჩილაძე — ერნესტ ჰემინგუეი	169
კარ. დონაძე — ჩვენი წარსულის დაუცხრომელი მკვლევარი	173
დიმიტრი ბენაშვილი — შიო არაგვისპირელი	176

წიგნების მიმოხილვა

აბთ. გვახარია — გამოჩენილი ირანელი მწერალი	185
ფურამ ბათიაშვილი — საბაპთინ აღის მოთხრობები ქართულად	187
ჭარამ ამოევი — ქურთი ხალხის ლიტერატურა	189
ახალი წიგნები	გარეკანის შესაბამე 33

ირაკლი ავალიძე

ცაკლადან: „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ბევრი ამ ქვეყნად
ერთ თბილ დღეს ნატრობს,
ბევრს თოვლიც არ წვავს,
გულით რომ სურდეს,
მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს,
სამშობლოვ ჩემო, შენს შვილს და პატრონს.

ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,
სულით შევეწყე, გულით გავენდე,
მიწას არ ჰქონდა რამ საწუნარი
ოკეანიდან ოკეანემდე.

რის დაწუნება, რა დაწუნება,
ისიც შენგვარად არის ზღაპარი, —
მაგრამ შენ არ ხარ მართო ბუნება,
მაგრამ შენ არ ხარ მართო მთა-ბარი.

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა, —
მაგრამ მცირე ხარ,
შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულის ოდენა.

არ გასწვდომიხარ მერიდიანებს,
ამ დედამიწის სიგრძე-განედებს,
შენი ფოთოლი არ მიფრიალებს
ოკეანიდან ოკეანემდე.

მაგრამ შენს სვე-ბედს განა დაძრახავს
შენი მგოსანი, შენი პოეტი?!
იყავ, რაცა ხარ,
იყავ, რაცა ხარ...
დაგვილოცნია ეს ინდოეთი.

1958 წ. VI.

აზიისა და აფრიკის ხალხთა ლიგერაგურა



ჩინეთი

მომ ქე-დენი



ბეიდაიხე

იუანზე წვიმა მოშხაბუნობს ახლა,
ზღვა ქალარა ზვირთებს მძიმედ მოაგორებს.
უნაპირო ზღვაში, ცინენდაოს ვალმა
მცირე ნავი ებრძვის ადუღებულ მორევს.

უნაპირო ზღვაში მებადურის ნავი...
საით გაიტაცებს ქარაშოტი ავი?

ბევრი დიდი საქმე დაუმარხავს დროემს!
აქ, ცზეშანის მთებთან მეფეს ვეი უ-დის
ლამქრად გამზადებულს, — გაუშლია დროშა...
ლექსმა შეგვინახა ის მშფოთარე წუთი.

შემოდგომის ქარი იმავ ხმაზე მღერის,
მაგრამ ამ ქვეყანას შეუცვლია ფერი!

თარგმანი თამაზ ჩხენქელიან

ღმსგები ში-ძინიდან

(გალობათა წიგნი)

2 000 — 1 500 წ. ჩვ. ე.



მალალი კოშკი

აჰა, ის კოშკი მალალი, მკაცრი,
მდინარე შფოთავს ვალაენის გასწვრივ...
მოისწრაფოდი შენ ლამაზ ქმართან —
დაგხვდა სნეული, ყრუ ბერიკაცი.

მალალი კოშკი მდინარის თაღთან,
თითქოს ნეტარი სიზმარი ახდა...



ლამაზ ქმართან რომ მოისწრაფოდი,
წყალმანკიანი ბებერი დაგზვდა.

ბადე ჩააგდეს ზღვათა სიშორეს,
თევზის წილ სხვა რამ ნახონ, შიშობენ...
მოისწრაფოდი შენ ლამაზ ქმართან,
ნაცვლად უსახო ქმარი იშოვე.

კეთილი ხელმწიფის ხსოვნა



რტომშვენიერი და ველური მსხალი იზრდება.
ნუ შემომტყრევ, ნუ მოაჩეხ ლამაზ ტოტებსა —
შაო ხელმწიფემ დაიმუხლა მის ქვეშ ოდესღაც.

რტომშვენიერი და ველური მსხალი იზრდება.
ნუ მოსწყვეტ ფოთლებს, ამ გარემოს ჩრდილით შეენიან —
შაო ხელმწიფეს მათ ჩეროში დაუსვენია.

რტომშვენიერი და ველური მსხალი იზრდება.
ნუ შეატოკებ ხეს შრიალა მწვეანით შებურვილს —
შაო ხელმწიფე აქა მჯდარა ჩაფიჭრებულს.

თარგმანი თამაზ ჩხენკელინა

ჩენ სუან-ი



როგორ დატოვა სუღმა სხეული

„ტიანშოუს“ მართვა-გამგებლობის მე-
სამე წელს ცინხეს მკვიდრი ვინმე ჩან-ი
ხენჩოუსი გაამწესეს სამსახურში და
საცხოვრებლად ოჯახიანად იქ გადავიდა.

ჩან-ი ჩუმად, გულჩათხრობილი კაცი
იყო და იშვიათად თუ ვინმესთან მეგობ-
რობდა.

ვაგი არ ჰყავდა, ჰყავდა მხოლოდ ორი

ქალიშვილი. უფროსი ადრე მოუკვდა,
უმცროსი კი, რომელსაც ცან-ნანი ერ-
ქვა, მშვენიერებით განთქმული იყო.
ჩან-ის ტაინიდან ჩამოყვანილი ჰყავდა
დისწული ვან ჯოუ, როცა ის ჯერ კიდევ
ბავშვი იყო და თავის სახლში ზრდიდა.

ვან ჯოუ ბავშვობიდანვე გამოირჩეო-
და ქკუითა და სილამაზით. ჩან-ი დიდი

წარმოდგენის იყო მასზე და ხშირად ამბობდა:

— მოვა დრო და ცან-ნანს ცოლად შეერთავ მას!

როცა ვან ჯოუ და ცან-ნანი გაიზარდნენ, ისინი ცხადში და სიზმარშიც ოცნებობდნენ ერთმანეთზე, მაგრამ ეს ამბავი შინაურებმა არ იცოდნენ.

ამიტომ მოხდა, რომ, როცა ჩან-ის ერთმა ახლო მეგობარმა გადაწყვიტა, ცან-ნანი ცოლად შეერთო და თავისი სურვილი განუცხადა, ჩან-იც სიხარულით დათანხმდა.

ქალიშვილი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, როცა ეს ამბავი გაიგო. ვან ჯოუც ძალიან დანადვლიანდა და უიმედობას მიეცა. მან გადაწყვიტა, გასცლოდა იქაურობას; სამსახურში ჩადგომა მოიმიზეზა და ბიძას სთხოვა, დედაქალაქში გამიშვიო. ჩან-ის არ უნდოდა მისი მოშორება, მაგრამ ვერაფერს გახდა, თანხმობა მისცა, უხვად მოამარაგა ყველაფრით, რაც საჭირო იყო, და გაუშვა.

ვან ჯოუმ გულში ჩაიმაჩნა მწუხარება, არ გამოუთქვამს ბედზე სამღერავე, თვალცრემლიანი ჩაჯდა ნავში და შორეულ კუთხეს მიაშურა.

სალამო ხანი იყო, როცა მან ერთი მთიანი სოფლის მახლობლად გააჩერა თავისი ნავი.

დადგა შუალამე. ვან ჯოუს ჯერ კიდევ არ ეძინა. უეცრად მას აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა: ნაპირზე ვილაც მობოდა.

კიდევ წუთი და ის ვილაც ნავში ჩაუხტა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ვან ჯოუმ და მალე ხმით იცნო, რომ ის ცან-ნანი იყო. თურმე ცან-ნანი გამოსდევნებოდა და მთელი გზა ფეხშიშველი მობოდა.

ვან ჯოუმ კინაღამ გონება დაკარგა გაკვირვებისაგან და სიხარულისაგან, ხელემა ჩაჰკიდა და ჰკითხა, რა მოხდაო.

ცან-ნანი ატირდა და უპასუხა:

— ძილშიაც კი ვგრძნობდი შენს დიდ სიყვარულს ჩემდამი, ახლა, როცა მამამ ჩემი გათხოვება მოინდომა, აღარ დავ-

ზოგე თავი, აღარაფერს დავერიდე და გამოვდიე.

ვან ჯოუ სიხარულისაგან ცან-ნანი, ისე მოულოდნელი იყო მისი ოცნების შესრულება. შემდეგ მან ცან-ნანი კაიუტაში დამალა. დღით და ღამითაც მიცურავდნენ ისინი, რადგან ეშინოდათ, დავედევნებიათ.

მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიალწიეს სიჩუნამდე. აქ ისინი ხუთ წელიწადს ცხოვრობდნენ. მათ ორი ვაჟი შეეძინათ.

ცან-ნანი ხშირად ფიქრობდა თავის დედ-მამაზე და წუხდა, რომ მათი ამბავი არ იცოდა.

ერთხელ მან, თვალცრემლიანმა, უთხრა ქმარს:

— წინათ მე არ შემეძლო ანგარიში არ გამეწია შენი სიყვარულისთვის და არარად ჩავაგდე ჩემი მოვალეობა მშობლების წინაშე. ხუთი წელიწადი გავიდა, რაც მათი აღერსი და ზრუნვა არ მიგრძენია. რა გული გამიძლებს, მათ უნახავს?

ვან ჯოუს შეეცოდა ცოლი.

— ნუ დარბობ, დავბრუნდეთ მათთან! — უპასუხა მან და ისინი უკანვე გაემგზავრნენ.

ხენოლში დაბრუნებისას ვან ჯოუ მარტო წავიდა ჩან-ისთან და, უპირველეს ყოვლისა, პატიება სთხოვა იმის გამო, რაც მოხდა.

ჩან-ი გაკვირვებული უსმენდა.

— ჩემი ცან-ნანი უკვე ხუთი წელიწადია ავადმყოფი მიწვეს ცალკე ოთახში, — უთხრა ჩან-იმ ბოლოს, — ვერ გამიგია, რად ჩმახავ მაგ რალაც ზღაპარს და ტყუილს?

— მაშ, წამობრძანდით და ნახეთ, ვინ არის ჩემს ნავში, — უპასუხა ვან ჯოუმ. გაოცებულმა ჩან-იმ მსახურები გაგზავნა ამბის შესამოწმებლად.

მართლაც, მსახურებმა ნავში დაინახეს სრულიად ჯანსაღად მყოფი ცან-ნანი.

ცან-ნანმა ჰკითხა მსახურებს:

— ხომ კარგად არის თქვენი ბატონი?

გაკვირვებულმა მსახურებმა სწრაფად

გასწიეს ჩან-ისთან და ყოველივე მოახსენეს.

ხოლო იმ ქალიშვილმა, რომელიც ცალკე ოთახში იწვეა, დიდად გაიხარა, როცა ეს ამბავი გაიგონა, ადგა, ლამაზად ჩაიცვა და, პირმცინარი, ხმამაღლა შეეგება ცან-ნანს, გადაეხვია და შეუმჩნეველად შედუღდა, შედნა მასში ერთ სხეულად. ბოლოს მხოლოდ ის დანახეს, რომ ტანსაცმელი აღმოჩნდა ორი.

ცან-ნანის ოჯახი იმ აზრს ადგა, რომ ამ საქმეში ავი სული იყო ჩარეული და ამიტომ არ გაამხილა ეს ამბავი.

მე, სუან-იუს, ბავშვობისას ხშირად მსმენია ამ საოცარ შემთხვევაზე, მას სხვადასხვა ვარაუდით ჰყვებოდნენ, მაგრამ მისი დედაარსი უცვლელი რჩებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ ამბავს მოჭორილად თვლიდნენ.

ასე იყო თუ ისე, ეს ამბავი მე გავიგონე და ჩაეწერე.

ტანური ნოველა



ძველი ჩინეთის ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტანის იმპერიის (7 — 10 საუკ.) ეპოქას. ამ დროს ცხოვრობდნენ ჩინური პოეზიის დიდი წარმომადგენლები.

ტანის ეპოქაში საკმაოდ განვითარდა, აგრეთვე, მხატვრული პროზა, სახელდობრ, პატარა მოცულობის მოთხრობა ანუ „ტანური ნოველა“, როგორც მას ლიტერატურის ისტორიის შრომებში უწოდებენ.

ამ ნოველებმა ხელი შეუწვეეს, საერთოდ, პროზას და, კერძოდ, ჩინური თეატრის განვითარებას. ნოველების ფაბულას ხშირად იყენებდნენ დრამატული ნაწარმოების შესაქმნელად.

ტანური ნოველები მრავალ ღირსებას შეიცავენ. აქ უბრალოდ ამბავის მოყოლასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ რთულ მხატვრულ პროცესებთან, როგორცაა გვიჩიის ხასიათის დახატვა, კარგი დიალოგი და სხვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნოველები უმთავრესად ხალხის ცხოვრებას, სოციალურ გარემოს ასახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოთხრობებში, სადაც სინამდვილე და დანტანტიკური ელემენტები არეულა ერთმანეთში, მაინც ძალიან იგრძნობა რეალისტური მანერა.

ტანის ნოველები, როგორც ამაზე მიგვიითობებს ჩინურ ნოველათა კრებულის რედაქცია (საბჭ. კავშ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა), ევროპის აღორძინების იდრიდელ პერიოდის ნოველებს ეხმიანება.

ამს შეგვიძლია დაემატოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ნაწარმოებშიც ეპოევბთ სიუჟეტურ ნაყოზობას. ამის ნათელსაყოფად შეგვიძლია მოვივანოთ ტანის ეპოქის დროინდელი შწერლის

ჩენ სუან-იუს ნოველა „როგორ დატოვა სულმა სხეული“ (იბეჭდება ზემოთ) და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ცნობილი ფრანგი პროზაიკოსის ვილიე დე ლილ ადანის „მონაზონი ნატალია“ (ეს ნოველა მე ეთარგმნე და დაბეჭდე 1914 წ. ჟურნალ „ოქროს ვერძში“, რომელიც პაილო იაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა). განსხვავება ამ ორ ნაწარმოებს შორის სიუჟეტურად მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მოქმედება წარმოებს ოჯახში, ხოლო ფრანგი შწერლის ნოველაში — მონასტერში.

სხვათაშორის, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს მეორე ნოველა ნასარგებლები აქვს სახელგანთქმულ ბელგიელ დრამატურს მ. მეტერლინასაც თავის შესანიშნავ პიესაში „მონაზონ ბეატრისა“. „მონაზონ ნატალიას“ და „მონაზონ ბეატრისას“ ერთი და იგივე პროვანსალური ლეგენდა უდევთ საფუძვლად და შინაარსით სრულიად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სხვა საკითხი, თუ საიდან და როგორ დანთავსდნენ ფაბულარულ ჩინური ნოველა და პროვანსალური ლეგენდა? ამაზე მე პასუხს ვერ ვაკცემო.

შემიძლია მხოლოდ შემდეგი ვთქვა: არა ერთი და ორი შემთხვევაა ლიტერატურაში, როცა ერთმანეთისათვის სრულიად უცხო და უცნობი ქულტურის, ისტორიის, ტერიტორიულადაც ძალიან შორს მყოფი ქვეყნების შწერლობის ნიმუშები სიუჟეტურად ძალიან ჰგავან ერთმანეთს. ორი წლის წინათ მე დაბეჭდე ჟურნალ „დროში“ ჩემი თარგმანი თანამედროვე მღაიელი პროზაიკოსის ნოველისა „ვეფხვი“. როგორც შენიშვნაში აღვნიშნე, მალაიურ შწერლის ნაწარმოები ძალიან მოგვაგონებს ჩვენს ხალხურ ბალადს „ამბავი ვეფხვისა და მოყმისა“.

უნდა ვიღიქოთ, რომ ასეთი შეხედრებები

სრულიად შემთხვევითია და რომ ერთმანეთს მსგავსი ფაბულები დამოუკიდებლად წარმოიშობიან. კაცობრიობა თავის განვითარების გზაზე ცხადია, ერთნაირი ჰუმანიზმით არის გამსჭვ-

ლული, და ეს იდეები უნებლად ერთმანეთთან მიმსგავსებელი ფაბულოთ შესრულებულ ნაწარმოებებს წარმოიშობენ.

ეროვნული
ლიტერატურა

თარგმანი და ბოლოსიტყვაობა სარგო კლდიაშვილისა

კორეა

გიუნ სონ ბონი



ღეღა

ქალაქ ჰიმნამში (ჩრდილო კორეა) ერთ დროს იყო დაბნეულთა ქიმიური კომბინატი, სადაც გაღატაკებულ მშობელთა მიერ 50 იენად გაყიდული 9 — 13 წლის ბავშვები მუშაობდნენ.

ღეღი, აუ... ღეღი!
ღეღაჩემი მოღის!
გადმოლახა მთები,
გადმოლახა ზღეები,
თოვლიანი გზებიც,
ნისლიანი გზებიც.
აბლა თითქოს ხელებს
ჩემკენ იშვერს სევდით...
ღეღი, აუ, ღეღი!
ღეღაჩემი მოღის.

ეს ხომ მე ვარ, ღეღი!
ვერ მიცანი ნუთუ,
ვერ მიცანი ნუთუ,
რატომ შემინერდი?
მე ჯერ ისევ მინდა
მოფერება, ღეღი,
ხედავ, გაღმა ავიდ ხარხარებენ,
ხარხარებენ მტრები,
რადგან ჩემდათავად
ქვას წამოვკარ ფეხი,
როს მოვჭროდი შენკენ
როს მოვჭროდი შენკენ
ღეღი, კისრისტეხით.

არა!
ღეღაჩემი,
საყვარელი ღეღა,
აღარ მოვა ჩემთან,
აღარ მოვა მეტად.

სამ გაზაფხულს ვითვლი,
ვითვლი მე მას შემდეგ,
რაც მიყიდეს მტრებმა
სისხლიანი ფულით.
რაც საწამლავს ესეამ და
რაც მიკვდება გული.

ღეღა, ღეღაჩემი,
სულ ტიროდა, რადგან,
როგორც მისი ცრემლი
დაღნა, დაღნა დაღნა...
ღია დარჩა თვალი,
ისე მოკვდა ღეღა,
თითქოს ისევ სურდა
ჩემკენ გამოხედვა.

შევღმუოდი ზეცას,
გულს მიკლავდა სევდა:
— ღეღა!
სად ხარ, ღეღა,
სად გეძებო, ღეღა!
— აქ ვარ!
მთებმა მითხრეს.
— აქ ვარ მითხრეს ხევთა.
— აქ ვარ!
წყარომ მითხრა.
— აქ ვარ!
მითხრეს ტყეთა.

და მე უცებ გულში
ჩავეხუტე დედას,

ჩემს საყვარელ მხარეს
დედას, უკვდავ დედას.



თარგმანი მორის ფოცხიშვილისა

ი ნ რ თ ი

რ ა ბ ი ნ რ ა ნ ა ზ თ ა მ რ ი



ბ ი ტ ა ნ ჯ ა დ ი

წვიმიანი ივლისის უკუნეთ ღამეში დაეხეტები შენ ფეხაკრეფით,
ღამესავეთ მღუმარი და პირშებურვილი.

დღეს ცის ნათელმა თვალნი მიჩრულა,
ყური არ უგდო ქალიკონის ენიან ძახილს
და სქელი ნისლი წაეფარა სიხარულით მბრწყინავ ლაქვარდებს.

ტყეთა სიმღერა დაცხრა უკვე,

ჩაირაზა ბჭეთა კარებიც.

ო, ჩემო ტბილო მეგობარო, სანატრელო მოყვასო ჩემო,

მუდამ ღია მაქვს შენთვის კარი —

ნუ ჩაუვლი სიზმარულ ჩვენებასავეთ.

არ შეგიძლია გაიხარო ამ უშრეტო სიხარულითა?

თავდავიწყებით გადაეშვა, თან შეეთქვიფო

შმაგად მბრუნავი სიხარულის საშინელ მორევს?

წინ მიისწრაფვის ყოველივე მოუქცევლად, შეუსვენებლივ.

და არას ძალუმს შეაჩეროს ეგ მისწრაფება.

ამ დაუღებარ სიმღერათა ხმაზე როკვენ და მიდიან წელიწადის დღენი და თვენა,

და ყოველ წუთში განქარებული სიხარულის სიჭარბისაგან

უკიდებანო ზღვად მოშხუის გალობის ხმა, ფერები და ნელსურნელება.

აი, რაღა ვარ მე გულსავე შენი ხარებით!

აი, რისათვის გარდამოხვედ ცით, სანატრელო!

ო, მეუფეთა მეუფეო, თუ არ ამ გულში,

სად იქნებოდა შეკრებილი გოლი შენი სიყვარულისა?

შენ მაზიარე აურაცხელ შენთა საუნჯეთ.

შენ ამიძგერე გული უშრეტ სიხარულითა.

ცხოვრებას ჩემსას შენი ნება მართავს სვიანად.

ცათა მეუფეც,

ჩემი გულის წარსატყვევნად შეგიმოსავს ეგ სილაშაზე,

და აჰა, შენი სიყვარული ეზავება სიყვარულს ჩემსას

და ცხად არს ჩემდა საიდუმლო ამ საესებისა.



ამ ყრუ ღამეში დე, უღრტივინველად ჩამეძინოს
 მსასოებელს მე შენდა მიმართ,
 ნუ ამიძულე უღონოქმნილს შენ სამსახურად.
 ეგ შენა ჰბურავ ღამეული საბურველით დღის მიმქრალ თვალებს,
 ძილისგან ამდგარს —
 კვლავ სიცოცხლით რომ გაუბრწყინო დაღლილი მზეგრა.

• • •

განა მე ვიცი, რა უქამო წიალიდან მოიქცევი ჩემ შესახვედრად?
 შენმა მზემ და ვარსკვლავებმა სამუდამოდ ვერ დაგმალეს ჩემი თვალისგან.
 ო, ბევრჯერ, ბევრჯერ, ცისკარზე და მიმწუხრისას
 მომწვდენია შენი ფეხის ხმა
 და იღუმალი მოციქულის ჩუმი ძახილი.
 არ ვიცი, გული უცნაურად რამ დამიწურა
 ან სიხარულმა რად შემახო უეცრივ ხელი.
 დრო არის, აწი ჯაფასა და საქმეებს მოვრჩე
 და ნეტარებით შევისუნთქო შენი ტკბილი მოახლების ნელსურნელება.

• • •

მე მრავლის, მრავლის მოწადინე მეოხად გიხმობ,
 მაგრამ შენ მუდამ მშველი ხოლმე მკაცრი უარით.
 და ამ უსაზღვრო მოწყალებით, მეუფეო, აღესილია ჩემი ცხოვრება.
 იმ უბრალო და უვედრებელ ნიჭის ღირსი გინდა გამზადო,
 ზეგარდმო რომ მომანიჭე:
 ცისა და მიწის, სიცოცხლის და ნებისყოფისა,
 რათა უძლები სურვილები დამათმობინო.
 როცა წადილით ანთებული საქმედ ვიჩქარი,
 როდესაც, მისთვის შეღონებულს, გული მელევა, —
 უკუდგები და უღმობელი მირბიხარ ჩემგან.
 ყოველ წუთსა და ყოველ საათს,
 ძაბუნნი და უკეთური გულისთქმით შეძრულს შენ მეშველები,
 რომ შენი სრული ნათელლების ღირსი გამზადო.

• • •

სიკვდილი — შენი მოციქული — კარზე მომადგა.
 ზღვა გადალახა იღუმალი
 და ჩემს ბჭეებთან მოიტანა შენი ძახილი.
 ღამის უკუნში შიშისაგან კრთის ჩემი გული.
 ჩირაღდნით ხელში ავდგები მაინც, გავალეზ კარს და
 კარიბჭესთან შენს მოციქულს მივესალმები.
 თვალცრემლიანი თაყვანსა ვცემ ღამეთა მეგზურს,
 თვალცრემლიანი თაყვანსა ვცემ და მის წინ მოვიღებ ჩემი გულის ყველა
 საუნჯეს.
 და ჩემს ცარიელ სამყოფლოში მხოლოდ ნეშტი დარჩება ჩემი,
 ვით შეწირული შენთვის მსხვერპლი უკანასკნელი.

• • •

შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო,
 განმელოს მე გულის ბჭე და შენს ფერხთა მტვერში ეზიაროს ამ წუთისოფელს!



შემოდგომის ტვირთშიმე და დედამიწაზე ქვედაზიდულ
 ჯიქანსავეს ღრუბელთა მსგავსად,
 დაიდრიკოს სული ჩემი შენს კარიბჭესთან
 შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო,
 შეიკრიბოს ყველა ჩემი საგალობელი
 და შთაინთქას მღუმარების უქამო სენელში!
 წეროთა მსგავსად, დღისით და ღამით სამშობლოსკენ რომ ისწრაფვიან —
 თვის საუფლოში დაივანოს ჩემმა სიცოცხლემ
 შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო!

თარგმანი თამაზ ჩხინკაილისა

აკმად აპასი



ღამვარი ენთო გომე ღამეს

თვალმისაწიერზე გაშლილიყო პალ-
 მების ჩრდილში ჩაფლული ნაპირი.
 შორს, ზღვაში მზე იძირებოდა. ტანკე-
 ნარი პალმების გვირგვინი ირეკლე-
 ბოდა ყურის სარკისებრ წყალში და
 დაისის ნაზი ფერებით შეღებულ ცის
 ფონზე შავ სილუეტებად იხატებოდა.
 ნაირფერადი ღრუბლები მიცურავდნენ
 ცაზე: მათში იყო ზოგჯერ ბრწყინვა-
 ლება ცეცხლის აღისა, ზოგჯერ სიკვდი-
 ლის არდილები, მჭრქალი ბრწყინვა ოქ-
 როსი და ზოგჯერ სიწითლე სისხლისა.

ტრავანკურის სანაპირო განთქმულია
 თავისი სილამაზით მთელ მსოფლიოში.
 მრავალ მიღზეა გაჭიმული უცნაურად
 დასერილი ნაპირი. მასში შეჭრილი
 ზღვა ზოგჯერ ქმნის ვიწრო უბეს, ხო-
 ლო ზოგჯერ ფართო ყურედ იშლება.

იმ საოცარი საღამოს მომაჯადოე-
 ბელი სილამაზით ვიყავი მონუსხული.
 სარკესავით გლუვი იყო ზღვის ზედა-
 პირი. უცებ დასავლეთიდან მოჭებრა
 სუსტმა ქარმა და წყალზე გადაიბი-
 ნეს ტალღებმა ისე როგორც ღიმილმა
 ბავშვის სახეზე. შორს საიდანაც ის-
 მოდა ფლეთის ნაზი ბგერები და ისი-
 ნი კი არ არღვევდნენ ყოვლის მომც-
 ველ სიჩუმეს, არამედ თითქოს აძლიე-
 რებდნენ კიდევ.

ჩვენმა ნავმა შემოუარა ზღვაში კუთ-
 ხედ შეჭრილ ისარს, უხმაუროდ გასრი-
 აღდა პალმების ხშირი ჩარდახის ქვეშ
 და ცხვირით მიაპობდა წყალში მათსა-
 ვე გამოსახულებას. მალე ჩვენ აღმოვ-
 ჩნდით ღია ზღვაში. თითქოს ერთ აღ-
 გილას დამდგარი ნავი რბილად ირწყე-
 ოდა ტალღებზე. მენავეს დაეშვა ნიჩ-
 ბები და კიჩოზე მღუმარედ მჯდარი
 შეკუყრებდა ზღვაში ნელი-ნელ ჩამა-
 ვალი მზის ცეცხლოვან დისკოს. მე
 ვღუმიდი. მეჩვენა, თითქოს ქარმა განა-
 ბა სული, ზღვა ღრმად ჩაფიქრდა, დე-
 დამიწამ ბრუნვა შეწყვიტა და თვით
 დროც კი შეჩერდა.

ნარიჩგოვანი მზე ერთი წუთით შე-
 ჩერდა ჰორიზონტზე, რათა თავისი
 უკანასკნელი სხივებით გაენათებინა ცა,
 აევერცხლებინა ტალღები, და ჩაჰყვინთა
 ზღვაში. მაგრამ სიღიადე დაისისა არ
 არის ხანგრძლივი. ღამემ თითქოს ცა
 და მიწა სამგლოვიარო ზეწარში გახვია.

სიბნელემ ცუდად იმოქმედა ჩემზე.
 მზად ვიყავი, მენავისათვის დაბრუნება
 მეთხოვა კუილონში, რათა ამ ფანტას-
 ტიკურ ატმოსფეროდან კვლავ გადავ-
 სულიყავი ცივილიზებულ სამყაროში.
 მაგრამ მან, რაც შევნიშნე, იმდენად
 მიიზიდა ჩემი ყურადღება, რომ სიტყ-
 ვები, რომლის თქმასაც მე ვაპირებდი,

შემაცივდნენ ბაგეზე. გაცივებისაგან პირდაღებული გაფაციცებით ვადგენებდი თვალს ზღვის ზედაპირზე მოსრიალე პატარა მბეუტავ წერტილს.

— რა არის? — ვკითხე ჩემს მენავეს ბოლოს.

— მალე თქვენ თვითონ ნახავთ, საპიტ, — მიბასუხა ისე, რომ თავი არც კი მოუბრუნებია სინათლისაკენ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მომიჩვენა, თითქოს მისი ხმა ოდნავ კრთოდა.

ქეშპარიტად ჩემი მენავე არაჩვეულებრივი აღამიანი იყო! ვერ გაარკვევდი მის წლოვანებას. იგი არც მოხუცი იყო და არც ახალგაზრდა. ინგლისურად ლაპარაკობდა უკეთ, ვიდრე ეს მოსალადნელი იყო უბრალო მენავეისაგან, თუნდაც ტრავანკურაში, სადაც თითქმის ყველა მცხოვრებმა იცის დამტვრეული ინგლისური. ამასთანავე, არცთუ ცუდად ჰყოლობდა ჰინდუსტანის ენებს. ამიტომაც გადაწყვიტე, დამეჩიარებინა მისი პატარა ნავი. თუმცა იყო მეორე მიზეზიც: არ მინდოდა მეგზავრა ჩვეულებრივი ტურისტებით გაქედილი დიდი ნავით. მე მინდოდა სიჩუმე და მოსვენება.

ღმერთმა დაგიფაროთ ყბედ მენავესთან მოხვედრისაგან, სულ მოგიშხამავთ მთელ სიამოვნებას.

მაგრამ ჩემი მენავე ჩემსავით სიტყვაძუნწი იყო. მთელი საათის განმავლობაში მისგან ორ სიტყვასაც ვერ მოისმენდი. დაკვირვებით ვუსმენდი ნიჩბებით მდუმარე მომუშავეს და ვფიქრობდი: ის ჯერ კიდევ არ არის მოხუცი და რატომ დასერილა მისი სახე ღრმა ნაოქებით? რატომ გაყინულა ჩაცვნილ თვალებში სევდა? რატომ დუმს ის ჯიუტად, თითქოს საშინლად მოიქანცა ცხოვრებისაგან ანდა არ არის მისით კმაყოფილი.

თითქოს მთელი კაცობრიობის სევდა და ვარაში მის მხრებზე დაწოლილიყო. წყნარად უსვამდა მენავე ნიჩბებს მოციმციმე სინათლისაკენ. მალე დავინახე ნავი, რომელშიც ქალი იჯდა. ნავის ცხვირზე ენთო ფანარი და ეს სი-

ნათლე იყო, მე რომ შორიდან მივიღე ზღვის ზედაპირზე მოსრიალე უპარსკველადა. ამ წვევარამ ლამუს საარდის გაჩინდა ეს ქალი ზღვის სიშორეში? და რატომ? რა უნდა მას აქ?

შევაჩინე, რომ მენავემ ჩვენი ნავი ქალის ნავისაგან ისეთ მანძილზე შეაჩერა, რომ სიბნელეში არ შეექლო ჩვენი დანახვა, ხოლო თვითონ მას ფანარის შუქზე კარგად ვხედავდი. ეს იყო ძალიან გამხდარი ქალი. ტანზე ქუქყიანი და დახული სარი ემოსა, ხოლო თავზე ანჩალი ჰქონდა მოხვეული.

მე ვერ დავინახე მისი სახე.

ქალის ნავი გაუსწორდა და შეჩერდა წყალში ჩაძირულ ხის ძირთან, რომლის ბოლოც ისე ამოშვერილიყო ზევით, როგორც ცისკენ გამაფრთხილებლად აწვდილი თითი. მოშორებით მოჩანდა ასეთივე რამდენიმე ხის ძირი, ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული. ხის ძირზე, რომელთანაც ქალი შეჩერდა, ფანარი იყო მიბმული. ქალმა ჩაასხა ფანარში ნავთი, გააკრა ასანთი და პატარუქს მოუკიდა.

და დავინახე მისი სახე, როდესაც თავიდან ანჩალი ჩამოუცურდა. ამჯერად სახეთა დავიწყება არ შეიძლება! მე დღემდე მახსოვს იგი.

ქალი იყო გამხდარი და ავადმყოფური, ჩავარდნილი ლოყებითა და ღრმად ჩაცვნილი თვალებით. თმები უწესრიგოდ ჩამოშლილიყვნენ მხრებზე, ხოლო ხელი, რომლითაც პატარუქს ასწორებდა, უკანკალებდა. ერთადერთი სახე განათებულიყო რალაც შინაგანი შუქით, ხოლო თხელსა და მშრალ ტუჩებზე ღიმილი თამაშობდა. მის დიდრონსა და სხივოსან თვალებში ურყევი რწმენა ენთო. ასეთი თვალები აქვთ იოგებსა და წამებულებს, ანდა შეყვარებულ ქალიშვილებს, რომელნიც წუთით წუთზე ულოდებიან სატრფოს მოსვლას.

ქალმა მოაბრუნა ნავი და გაუკურდა კუნძულისაკენ, რომელზეც ვარსკვლავების შუქზე ძლივს ისახებოდა მეთევზეთა ქოხის მოხატულობა.

ანახლად ამღერდა იგი. მაღალიამთა ენაზე მღეროდა ქალი და მე მომეჩვენა, რომ ოდესღაც უკვე მომესმინა ეს სიმღერა.

— რას მღერის ის? — ვკითხე მე.

— ეს ჩვენი ძველი სიმღერაა, საჰიბ, მიპასუხა მენავემ, — ამ სიმღერას მღერიან ქალები, როდესაც უცდიან თავიანთ შეყვარებულებს: „მთელ ღამეს მეჭირება ანთებული ღამპარი, რათა გაგინათოს გზა-სავალი, როდესაც შენ მოდიხარ ჩემკენ, უსაყვარლესო“.

და მე გამახსენდა ჩვენი ხალხური სიმღერა — „ღამპარი ენთო მთელ ღამეს“, რომელსაც ჩვენი ქალები მღერიან ამგვარ შემთხვევაშივე.

„ნუთუ ბაგენი დედამიწის ყველა ქალისა ერთსა და იმავეს მღერის?“ — გავიფიქრე და შემდეგ ვკითხე მენავეს:

— მაშასადამე, მან აანთო ფარანი მიტომ, რომ არ დაეხნეს გზა უკან დაბრუნებისას მის შეყვარებულს?

მენავემ ჩემს კითხვაზე არ მიპასუხა.

— ამაღამ მისი შეყვარებული უნდა მოვიდეს? — კვლავ შევეკითხე.

გარემო სიბნელეში ყრულ გაისმა ხმა მენავისა. ასე ლაპარაკობენ მხოლოდ ისინი, რომელნიც განუზომელ მწუხარებას გაუსრესავს.

— არა, არა, ის არ მოვა! ის არ მოვა არც დღეს, არც ხვალ. ის მოკვდა... ის მოკვდა რამდენიმე წლის წინ!

მე ვერაფერი გავიგე და გაკვირვებული შევეკითხე:

— მაგრამ განა ქალმა არ იცის, რომ მისი შეყვარებული მკვდარია და აღარასოდეს არ მოვა?!

— იცის, მაგრამ არ სურს დაჯერება. ის დღემდე უცდის მას და არ კარგავს იმედს...

და მე მივხვდი, რომ უკვდავი სიყვარულის მოწმე შევიქნენ, სიყვარულისა, რომელზედაც წერენ ზღაპრებში და რომელსაც ასე იშვიათად ვხვდებით ცხოვრებაში. გაიღვიძა ჩემში მწერალმა და დაიმედებული მივუბრუნდი მენავეს. რათა მისგან გავეგო მთელი ისტორია.

ეს იყო ამბავი სიყვარულისა და ინდოეთის თავისუფლებისათვის ბრძოლისა. 1952 წელს, როცა ინდოეთის კოლუციის ტალღები მოედო, ტრავანკულის ხალხი, მუშები, გლეხები, სტუდენტები და მენავე-მეთევზენიცი აღდგნენ თავიანთი უფლებებისათვის საბრძოლველად. რამდენიმე ათასი კუილონელი მეთევზე და მენავე გაიფიცა. მათ განაცხადეს, რომ სამუშაოს არ გაეკარებოიან, თუნდაც მათი სისხლით ზღვის სილურჯე გამეწამულდეს.

და რა მოვისმინე ესოდენ ამაყი სიტყვა უწიგნური მენავის პირით, შევეკითხე:

— ვინ ხელმძღვანელობდა ყველაფერ ამას?

— ის, საჰიბ, ის.

— ვინ ის?

— კრიშნა, საჰიბ, ის იყო ჩვენი წინამძღოლი, ის ჩვენსავე კასტას ეკუთვნოდა და ისევე როგორც ჩვენ, ნაეზე მუშაობდა. მაგრამ ის სწავლობდა სკოლაში და რამდენიმე წელს ცხოვრობდა ქალაქ ტრივენდრუმში. მან იქ მოისმინა სიტყვები დიდი პოლიტიკური მოღვაწეებისა და თვითონაც შეეძლო მათსავით ლაპარაკი. ის იყო ღამაში და ღონიერი კაცი. მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა სამი მილის გაცურვა კუილონიდან კუნძულამდის, რათა ენახა თავისი რადხა.

— კრიშნა და რადხა! რადხა და კრიშნა! საესებით ისე, როგორც ლეგენდაში, — ვთქვი განცვიფრებულმა.

— მისი ნამდვილი სახელი რადხა არ იყო, საჰიბ, მაგრამ კრიშნა ყოველთვის რადხას ეძახდა და შემდეგ ჩვენც აგრე ვუწოდებდით. მთელი მენავეები ლაპარაკობდნენ, რომ კრიშნა და რადხა ისეთი წყვილია, რომლის ბადალს ვერსად იპოვი, რამდენიც უნდა ეძებო. და როცა ისინი დაიწინდნენ, ყველამ გაიხარა, გარდა...

მენავე უეცრად დადუმდა და სიჩუმეს მხოლოდ ნიჩბების სუსტი შხაპნი არღვევდა დიდხანს.

— ვის გარდა? შევეკითხე მე.

— გარდა იმისა, ვისაც თვითონ უნდოდა რადხაზე დაქორწინება, — თქვა მენავემ და ისევ დადუმდა.

— რადხა!... ჩავილაპარაკე საუბრის გასაგრძელებლად. — ლამაზი იყო, ალბათ, ის.

— ლამაზი? — მძიმე ამოთხვრით გამომხმამურა მენავე. — ის იყო ნამდვილი მზეთუნახავი, საპიბ, მარტო განაჩენი სოფლის ახლომახლო, თვითონ კვილონშიაც არ მოიპოვებოდა მასზე ლამაზი. ის იყო მოქნილი და წერწეტა, როგორც პალმა. და რა თვალები ჰქონდა! უძირო, როგორც ზღვა, და მათშივე ეხატებოდა მთელი თავისი სილამაზე.

ჩვენ გადავუხვიეთ მოთხრობის მთავარ ხაზს და შევიკვირით პოეზიაში. მე ისე არ გამიტაცა მოთხრობამ რადხას სილამაზეზე, როგორც სურვილმა — გამეგო კრიშნას ბედი. ამიტომ შევეცადე, საუბარი ჩემთვის საინტერესო თემაზე გადავტანა და შევეკითხე:

— რა მოხდა შემდეგ?

— რა მოხდა შემდეგ, საპიბ? — გაიმეორა მენავემ. — მას შემდეგ, რაც კრიშნამ წარმოთქვა თავისი სიტყვა, პოლიციამ დენა დაუწყა. მან ყველგან ისროლა თავისი ბაღე, მაგრამ შიგ კრიშნა არ მოჰყოლია. ის იმალებოდა და განაგრძობდა თავის საქმეს. პოლიციის ყოველგვარი ზრიკი ამაო იყო, ხალხი ამზობდა, რომ კრიშნა ცოცხალი თავით არ ჩაუვარდებოდა მას ხელში, მაგრამ ყოველ ღამეს ცურვით მიდიოდა კუნძულამდის კრიშნა თავისი რადხას სანახავად და იქიდან მხოლოდ გარიყრაჟზე ბრუნდებოდა უკან.

— და, რა თქმა უნდა, ყველა მეთევზე ეხმარებოდა მას.

— ოჰ, საპიბ, ყველა მისი მეგობარი იყო, გარდა... — და მენავე ისევ გაჩუმდა.

— ვის გარდა?

— გარდა იმისა, ვინც რადხას გულისთვის გაბრაზდა მასზე.

— რა მოხდა შემდეგ?

— დაღვა ბნელი და უმთვარო და-

მეები, საპიბ, ყოველ ღამეს რადხა მიდიოდა ზღვაში და ანთებდა ფარანს, რათა ეჩვენებინა გზა თავისი კრიშნასათვის. ყოველ ღამეს ის აკეთებდა ამას ისევე, როგორც დღეს. ყოველ ღამეს ის მოდიოდა ნავით აქ, ანთებდა ფარანს და ბრუნდებოდა უკან კუნძულზე.

მე მივტრიალდი. პატარა ვარსკვლავი ციალებდა ღამის სიბნელეში და მომეჩვენა, რომ ამ სიბნელისაკენ მიცურავდა კრიშნა და თავისი მძლავრი მხრებით მიარღვევდა ტალღებს.

— ერთხელ ღამით, — განაგრძო მენავემ, — რადხამ, როგორც ყოველთვის, აანთო ფარანი, მაგრამ ის ჩაქრა. და როდესაც კრიშნამ შეცურა ზღვაში, ვერ იპოვა მისთვის გზის მაჩვენებელი სინათლე.

— განა რა მოხდა? შეიძლება ქარიშხალი ამოვარდა.

— შეიძლება ქარიშხალიც იყო. მხოლოდ არა ზღვაზე, არამედ უპატიოსნო კაცის სულში. მან მოატყუა თავისი მეგობარი და ჩააქრო ფარანი.

— მაგრამ რისთვის? რისთვის შეეძლო ადამიანს ასე სულმდაბლად მოქცეულიყო?

— სიყვარულისთვის, საპიბ, სიყვარულისთვის. უფრო კი ეს იყო სიგიჟე, და არ სიყვარული. მან იცოდა, რომ რადხა არავის არ მიაჩნევდა ყურადღებას, გარდა თავისი კრიშნასი. და მან გადაწყვიტა მოეკლა კრიშნა, გადაწყვიტა მოეკლა თავისი მეგობარი.

— მაშასადამე, კრიშნა არ დამხრჩვალა? ის მოკლულ იქნა?

— ასეთ ღამეში ფარანის ჩაქრობა მკვლელობას უდრის, საპიბ. მხოლოდ მკვლელობა არ იცოდა, რომ კრიშნას სიკვდილი მას ბედნიერებას არ მოუტანდა. მისი დანაშაული იქცა ბოროტ სულად, რომელიც უღრღნის სულს და არა აძლევს მოსვენებას დღისით, ხოლო ძილს — ღამით...

ჩვენი ნაღვი უკვე მიუახლოვდა კვილონის ყურეს. მე მინდოდა მომესმინა

მოთხოვნა ბოლომდე და გამეგო, რა მოხდა შემდეგ.

— კრიშნა დაიხრჩო იმ ღამეს. — დაასრულა მენავემ.

— რა მოხდა შემდეგ?

— უკრიშნაოდ ვერ შეძლეს მენავეებმა ერთიანობის შენარჩუნება. მათ შეეშინდათ პოლიციისა და შეწყვიტეს გაფიცვა.

— მაგრამ, რაღბა? რა დამართა, როცა გაიგო კრიშნას სიკვდილი? —

— დღესაც არ სჯერა მისი სიკვდილი. ყოველ ღამეს ის გამოდის ზღვაში, აანთებს ფარანს და კუნძულზე დაბრუნებული ზის თავისი ქოხის ზღურბლზე და ელოდება კრიშნას.

— რა მოუვიდა იმ უკეთურ არამზადს, რომელმაც მოკლა კრიშნა? რა ბედი ეწია მას? რას აკეთებს ახლა?

დუმდა მენავე. ის იჯდა კიჩოზე მო-

ლუნული და მხრებში თავჩარგული. იჯდა და ნელა უსვამდა ნიჩბებს და ამ სიჩუმეში უსიტყვოდაც ყველაფერი გასაგები გახდა.

სიბნელემ დაიუფლა მთელი ქვეყანა, განუქვრიტელმა სიბნელემ, სიკვდილის მსგავსმა.

ორთქლმავლის საყვირმა შემაკრთო.

და, ვიდრე გადმოვიდოდი ნავიდან, კიდევ ერთხელ შევბრუნდი—და გავხედე ზღვას. ახლა ცაზე ვარსკვლავები ანთებულყოფნენ, მაგრამ ერთი ვარსკვლავი ყველაზე უფრო ბრწყინავდა ზღვაში. ეს იყო ფარანი რაღბასი, რომელიც მთელ ღამეს უცდის თავის კრიშნას. ის მოუტდის მას ყოველ ღამეს დღეს, ზვალ, ზეგ...

ეს ვარსკვლავი, მსგავსად რაღბასს სიყვარულისა, ინათებს მუდამ, რადგან იმედის ვარსკვლავია იგი.

თარგმანი ლადო მამლაშვილისა

კრიშნა ჩანჩი



ამო სურნელით გაქლენთილი ტრფობის ბარათი

მონი, ძვირფასო! მატარებელი სადგურ ქარჯათს გასცდა და პუნისაკენ მიემართება. შენი წერილი მიპყრია ხელთ. ლურჯი კონვერტი, ლურჯი ქაღალდი და ლურჯი მელნით დაწერილი მწარე სიტყვები: „მე როზარიოს ვეკუთვნი, შენ ისღა დაგრჩენია, რომ დამივიწყო, არადა მოკვდე“. დავიწყება შენი არ ძალმიძს და ამიტომაც უნდა მოგვკდე. როცა ამ წერილს მიიღებ, მე ცოცხლებში აღარ ვიქნები. კარგად ვიცი, ეს ამბავი არანაირად არ შეგიცვლის ცხოვრების იერს. ადრინდელ ადგილს არ შეიცვლის არც ერთი ნივთი: შენი სასტუმროს მწვანე ფარდები და ის ტახტი, წიგნის კარადა და ფირფურცლები იქვე დარჩება ხელუხლებელი, დაწული სკამი, რომელზედაც ვიჯექი ხოლ-

მე და გიცქერდი, კოხტა ფრჩხილებს რომ იღებავდი. შესაძლოა, ჩემ შემდეგ სხვა მოვიდეს ვინმე, იმ საეარქელში ჩაჯდეს იქვე და თვალის დევნება დაგიწყოს, როგორც მე. ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო, მხოლოდ მიჯნური იქნება სხვა. ვიცი კარგად, ჩემი სიკვდილი არ შეგაძრწუნებს, ბავთვან ოხვრა არ მოგწყდება გამწარებული და ლწვებს ცრემლი არ დაგიღარავს მოკრძალებული. როზარიო კი ერთს შემოგხედავს დამცინავად და სასადილო მაგილისკენ წაგიძღვება, შენ სიყვარულში დარწმუნებული. დანა-ჩანგალ მომარჯვებული თეფშის გამოცვლას მოუცდით აუჩქარებლად და არ იფიქრებთ იმაზე, რომ დღეს ვიღაცამ ცხოვრების სუფრაზე უკვე იგემა უკანასკნელი კერ-

ძი, რომ ვილაციისთვის აღარ არსებობს შიმშილის გრძნობა, სამუდამოდ დაივიწყა საქმლის სუნი, რადგან, როგორც კი ადამიანი განუტევებს სულს, მისთვის ყოველი მთავრდება უმალ, მცენარის სუნიც, ქალაქისაც და შემწვრისაც... მკვდრისათვის აღარ არსებობს აღარც სუნი, არც მოძრაობა, არც სურვილი და არც წამება სიყვარულისა. მას აღარ ძალუძს ვიოლინოს ბგერის მოსმენა, ვეღარ შეიგრძნობს წყლის სიგრილეს, ვერ შესძლებს რომელიმე პატარა ქუჩის კუთხეზე დგომას და პაპიროსის ბოლებით გამვლელი ლამაზი ქალისათვის იმ გულუბრყვილო აღტაცებით თვალის დევნებას, რომელსაც ჩვენში გამოიწვევს მოწმენდილ ცაზე ნელი სრბოლვა ღრუბლის ქათქათა ნაფლეთისა. დიახ, ასეა, სიკვდილთან ერთად კაცისათვის ცხოვრების ყველა სურნელებაც უმალ გაქრება! ამიტომ ის სიკვდილი სევდიანია და ის სევდაც ისეთივე გარდუვალია, როგორაც თვით სიკვდილი.

ცხოვრებასთან უკანასკნელი ანგარიში რომ გავასწორო, ბომბეიდან გავემგზავრე. იქნებ მკითხო — რისთვისაა? საქმე ის არის, რომ ბომბეიში შენ და როზარიო ცხოვრობთ, იქ არის შენი სახლი და ის აივანი, სადაც საათობით ვბაასობდით ჩვენ ერთად და სვეტების ირგვლივ შემოხვეული ფარდის თამაშით თავს ვირთობდით. ბომბეიში სანაპიროა, რომელიც ჩვენ ფეხის ხმას იცნობს, მოშრიალე რტოები პალმებისა, რომელთაც ჩურჩული ესმოდათ ჩვენი. აი, რატომაც არ შემოძლია ბომბეიში მე სიკვდილი და პუნას რისთვის მივემართები. იქ დოღზე უკანასკნელ ფულს წავაგებ, და სასტუმროში რომ დაებრუნდები, კარს მოვიკეტებ, ბედის სასწორზე რომ შევაგაღებ უკანასკნელ ცხოვრების წამს და წავაგებ. მე შენი ტრფობა ვერ მოვიგე და ამიტომაც უნდა მოვკვდე, რადგან სხვა რამე ცხოვრებაში მე არ მქირდება!

ლამდება. ირგვლივ ყოველი განთიადის ჯანღს მოუცავს. ოქროსფერი მზის კიაფი ცის დასავალზე ჯერაც არ მო-

ჩანს. ღამის უკუნეთს პირი უტყდება. სევდიანი ღამის სიბნელე ნელა ირრევა მომავალი დღის ჯერაც უსუსურ სინათლეში. დილის სიგრილემ დაუბერა. მატარებელი კი დასავლეთ გზატს უახლოვდება. სადაც შორიდან მოცურებული მძიმე ღრუბლები მთის ამწვანებულ კალთებს გართბმიან, თან გულში ჩამალული სიყვარულის ურიცხვი ცრემლი მოუტაცნიათ. და ის ღრუბლებიც, როგორცადაც მე, სევდიანი არიან თურმე. პოი, მოხეტიალო ჩემო ღრუბლებო, თქვენ ოკეანის მრისხანე ტალღა გადმოიარეთ და აქ გამოჩნდით, რათა მთის კალთებს სევდიანი სიყვარული გაუზიაროთ; თქვენ გზას განაგრძობთ, ზვიადი მთა კი, მწვანე სამოსში გახვეული, ისევე როგორც ის, ვინც მე მიყვარს, უძრავად რჩება ქედმაღალი, უკარები და ხელსაც კი არ გაიწვდის, რათა ერთი წამით მაინც შეგაჩეროს თქვენ, ის ღრუბლები, რომელთა გულის ფილაც თვით გამოსცალა!

მატარებელი ისევ მიქრის. ჩემ პირდაპირ მშვიდად სძინავს გოელ მზეთუნახავს, რომელსაც ლოყა მიუღვია მეუღლის მხარზე. როგორი უცნაური, სხვაქვეყნიური, შეუცნობი ღიმილი უკრთის სახეზე! რა ესიზმრება? ვისი სახე ჰგვრის ღიმილს? რა ყვავილნარი აყვავებულა მის სამყაროში? რომელი ციციანთელები ციმციმებენ ნეტავ მის გულში? ოჰ, მშვენიერო, მუხლმოდრეკილი გემუდარები, მეც მომიძღვენი ციციანთელა სიკიაფის თუნდ მცირე წვლილი, მეც მიმიჩინე პატარა კუთხე მაგ შენს სიზმრებში, მაგ ყვავილების ნაზი სურნელი გაიმეტე ჩემთვისაც! მე სიკვდილი არა მწადაი, გამოსავალი კი არსად არის! ბედნიერება ჩემი ხვედრი არ ყოფილა; სატრფოს ლოყა ჩემს მხარს ტუბილად როდი მოეკრა, და არც ჩემი თმა აირია მის კულულებში! ის, ვინც მე მიყვარს, სხვის მკლავებშია გახვეული და ამის შემდეგ მე ცხოვრების ძალაღა შემწვევს?

ოჰ, გოელო მზეთუნახავო, მითხარი, მითხარი, შემოძლია კიდევ ვიცოცხლო?

ის კი ძილში მარტოდენ ილიმებოდა, და მეც პირი მივიბრუნე და ფანჯარაში დავიწყე მწერა. მაგრამ რა არის? ნუთუ შენმა სახლმა იელვა? არა, არა! მაგრამ როგორ ჰგავს: იგივე კიბე, ის აივანი, იგივე მოშრიალე მძიმე ფარდები, ისევე ის ფარჩა, აივნის სვეტებს სატრფოსავით რომ მიჰკვრიან! თუ გაბსოვს ის დღე, მონი ჩემო, შენთან პირველად რომ მოვედი და ჩვენი თვალნი ერთმანეთს შეხვდნენ. ოჰ, თვალთა ჩემთა უსიტყვოდაც კარგად გაიგეს, რისი თქმაც გასურდა იმ გამოხედვით, და ისიც ვიცი, რომ შენც გაიგე ჩემი მწერის უტყვის ჩურჩული. შენ აივანზე გამოხევიდი გასაცილებლად და ორიოდ წუთს მარტონი დაერჩით, ოჰ, როზარიო მაშინ არ იყო მე და შენ შორის. ის გვერდზე იდგა დამცირებული და წაგებული. მე გაგშორდი, შენ კი დიდხანს მაიცილებდი ხელის ქნევით გზადმიმავალს. ჩემს განებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ის აივანი და თვითონ შენც, ბედნიერი და მზიარული, გამოსათხოვარს რომ მიძღვნიდი, და როზარიოც ნაპარავი მწერით რომ გვიჰკვრეტდა, სვეტს მოფარებული. და სხვაც მახსოვს მე საღამო, ის საღამო უკანასკნელი, როს როზარიო იყო მეფე, მე კი — ბოგანო. შენ შეგვეკითხე: „მონი, წავიდე? მითხარ, წავიდე?“ — და შენ პასუხი არ გამეცი. მარტოდენ თვალი დახარე და მკლავები მოწყვეტილივით ჩამოგვიკიდა. როზარიო ილიმებოდა და უცებ ისე მომეჩვენა, თითქოს კედლები ოთახისა მასთან ერთად დამცინავად ილიმებოდნენ. სიტყვის უთქმელად ფეხზე წამოვდექი. აღარავინ გამომყოლია გასაცილებლად გზად მიმავალს, აღარავინ მიძღვნა საღამო. ფრთხილად ავწიე შავი ფარდა და აივანზე გამოვედი. სულერი არავინ ჩანდა, ყვავილთ თავები დაეხარათ, უძრავი იყო მძიმე ფარდებიც. სახე ღიმილმა დამისერა, განებაში კი გამიელვა: „დღეს ზომ ვიღაცა სიყვარულის ყვავილთ ახარებს ვიღაცის გულში, შენი ხედრი კი აღამიანის მოღვმისაგან მიტოვებული აივანია! გასწი აქედან,

შორს გამშორდი, სადღაც, შორს ცაში მოშნირალო მოხეტიალე!“ ერთ წუთს ირგვლივ მიმოვიხიდე: აგერ ის უკანაც, შენ და როზარიო რომ იდექით მოფარებული, ჩვენ კი კაცთაგან მიტოვებული ბედკრული აივანი გვეყოფდა!

მაღე მოვეკვდები, მაგრამ როდესაც იმ აივანზე გამოხვალ კიდეც, ყვავილთ სურნელი მოგაგონებს ჩემს ტანჯულ სახეს. არა, მე ვცდები! მოგონების სურნელებაც კი ვერ მოაღწევს შენი ცხოვრების ნეტარებამდე, რადგანაც იგი ყვავილია, სურნელება რომ დაჰკარგვია.

აზრი დამებნა, აღარ ვიცი, რასა ვწერ, სად მიმაქროლებს ეს ბედკრული მატარებელი, ბომბებიდან პუნისაკენ რომ მისრიალებს, მარადიული მოძრაობის ეს სიმბოლო. ბომბებიდან პუნისაკენ და პუნიდან ისევ ბომბების — მისი ცხოვრების ორი საზღვარი. მაგრამ იქნება კიდეც არის ორი საზღვარიც: ლიანდაგი და კომპანია ტატას ელექტრონით დამძიმებული და დაქიმული მავთულები; მას იმ საზღვრების გადალახვა არ შეუძლია, და თუკი სცადა, აუცილებლად დაიღუპება. დიახ, დიახ, დაიღუპება, გახსოვს, ერთხელ ორნი ვმგზავრობდით, და როზარიომ საყვედურით დამძიმებული ბარათიც კი გამოგვიგზავნა. ო, იმ წერილმა გადაჩეხა შენი ცხოვრების მატარებელი ლიანდაგიდან! ჩვენი მგზავრობა მწუხარებით დაგვირგვინდა. მატარებელი გადაბრუნდა. რამდენი კაცი დაიღუპა იმ ნათელ დღეს, რამდენი კიდეც დასახიჩრდა სამუდამოდ! და ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ ელმავალი დაშვებულ საზღვრებს გასცილდა! აღამიანსაც იგივე ელის, თუკი ცხოვრების საზღვართ დარღვევას შეეცდება და ამაში გასაკვირი არაფერია. ჩვენ ორივენი მაინც გადავრჩით როზარიოს დაწყევლის შემდეგ. აი, რა არის ჰემშიარიტად საკვირველი! შენ ყვავილების ხალიჩაზე გადავარდი, მე კი შენ გვერდით, ველურ ბანანის დიდ ფოთოლზე დავეცე უშნოდ. მოულოდნელი გადარჩენა მე არ მოეცება, არა, მე სულ სხვა რამე დამამაზნებდა: როცა დავეცი, ვერცა პეპე-

ლამ აფრენა სცადა და მე შემთხვევით თითოთ გაესრისე. ლამაზი ფრთებით რამდენჯერმე გაიფართხალა და სამულამოდ გამოესალმა წუთისოფელს. თითებზე ფრთების მტვერი დამჩნია, ის კი პატარა, გაქვავებული შავი თვალებით შემომაცქერდა: „როსთვის დამლუპე, საცოდავი და უვნებელი მცირე არსება? რა დაგიშვევ? რად შემოაქვრ ნაძალადევად ჩემს სამყაროში?“ ღღესაც მალეღვევს მისი უსიტყვო მწარე მოთქმა.

ვიცი, რომ სულელს დამიძახებ მოურიდებლად, და საბასუხოდ ვერას გეტყვი მე, დაბნეული. მაგრამ ამასი არ შევცდები, რომ ის სამყაროც, რომელშიაც შენ ცხოვრობ, აღმაფრენების სიზმართ სამყაროც, პეპელების არდამნდობთა ცივი სამყაროც, პასუხს ვერ გასცემს იმ კითხვაზე. და ახლა, როცა მე აქ ვზივარ, მატარებელში, იმაზე ვფიქრობ, თუ ის მტვერი ამ ჩემს თითებს რად არ შორდება? ლედი მაკბეტის ლაქის მაგვარად, ის ნაკვალევიც ჩემს თითებზე აღარ გაქრება. მაგრამ ვიცი კი, ვის ვეუბნები ამის შესახებ? შენ ბევრად უფრო გაუსწარი იმ ლედი მაკბეტს. შენ შენს ხელებზე სისხლის კვალსაც კი ვერ შეამჩნევ, და თუ შეამჩნევ, უმაღ დაიბან და გაიცილება!

გაჩერება. ერთნი ჩადიან, მეორენი ამოდიან, ვაგონებში მშვიდად სხდებიან, და არაფერი არ მომხდარა, არეინ მომკედარა, აღარაფინ დაბადებულა, უბედურება არ შობილა, მატარებელი ლიანდაგიდან არ გადასულა და არაფინ ვადუსრესია. არც სიყვარული, არც სიძულვილი, არც მეგობრობა აღარაფინ აღარ უგრძენია, არაფერი არ მომხდარა. მარტოდენ ოთხი ჩავიდა და კიდევ ოთხი ამოვიდა.

აგერ ვაცქერი ბრინჯის ყანებში მომუშავე უბედურ გლეხებს, იქვე სადგურთან შორიახლო მარჯვედ რომ ვაჭრობს ტყბილულის გამყიდველი და ვილაყა ქალი, ერთი შეხედვით მოახლეს რომ ჰგავს — მწვანე სამოსში გახვეული კვებას თავის ბავშვს.

ამოვახველე და პლატფორმაზე გადა-

ვაფურთხე. ვიცი, ესოდენ რომ არ გიყვარს ეს საზიზღარი ჩემი ჩვევა — შესაძლოა იმიტომაც გადავფურთხებ. დამიჯერე, შენი წყენა მე არ მინდოდა, მე მარტოდენ მხოლოდ ის მწაღდა, ის მინდოდა, რომ დამენახა, თუ ზიზღის ნიშნად როგორი ნაოჭით დასერავდი მაგ შენს ლამაზ ცხვირს. მე არ ვიცი, რატომ მწაღია საყუთარ გულში და გრძნობებში ხელის ფათური, რა საჭიროა? განა ფარჩაში გახვეული შენი სხეული და პომადის ქვეშ მოქცეული შენი ტუჩები ჩემი გაშიშვლებული გულის დანახვით უფრო მეტი სიძულვილით არ აინთება? მატარებელი ნელა სცილდება პატარა სადგურს, ხალხისაგან მიტოვებულს. დასავლეთ გზათს შემოვუვლით ჩვენ ახლა, ცაში ირიბად დაკიდული წვიმის სვეტებში თვალთახედვიდან გვაცილიან ბუნებას. მინდვრად მაშურალნი მიწას გაქვირიან და წვიმისაგან სახელდახელოდ გაკეთებული ქოლგა იფარავთ... იფარავთ კი?..

ახალგაზრდა ქალს, მხარზე მიწოლილს რომ ეძინა მშვიდი ძილით, გამოელვია წვიმის ხმაურზე და ჩემთვის უცნობი ენით აღაპარაკდა. აღმოსავლური სიციქრიალე იგრძნობოდა ყოველ მის ნაკვთში, მისი სისხლი კი ინდოეთის მზით გამთბარი გვეგონებოდათ. და ამ გოელ მზეთუნახავს, პორტუგალურად რომ უქცევდა ტიტინა ენას, ქვეშაირტად ჯადოქრული, ტყბილი ხმა ჰქონდა. ენით უთქმელმა სინარჩარემ, აგრე რომ ჰქონდა მორეული ერთიანად, ტემბრის სინაზემ და სილამაზემ ქვეშაირტად მომაჯადოეს. უჩვეულო ჩემთვის ის ენა პორტუგალური ელერადობით შეზავებული არგაგონილ ჰარმონიად მეჩვენებოდა! შინაარსი სიმღერისა მე არ ვიცოდი, თუმცა კი აზრი ნათელი იყო. ამ სიმღერის სრულიად უცხო მელოდიამი, წვიმის ხმაური ისმოდა ნათლად, რაც ყოველივეს ერთად ავსებდა. ქმარი მისი ილიმებოდა და ორივენი ფანჯარაში იცქირებოდნენ, თან ერთმანეთს ხელის ფათუნით ეფერებოდნენ. იქვე მათ გვერდით შავ აბრეშუმის წამოსასხამში

გახვეული მოხუცებული ქალი იჯდა, დედამთილი თუ იქნებოდა იმ ახალგაზრდა ქალისა. კისერზე ვერცხლის ჯვარი ეკიდა; გამოფიტული, ნატანჯი სახე, უსიცოცხლო, გაქვავებული, მუმიის სახეს მაგონებდა, იმ კათოლიკე მოლოზანს ჰგავდა, რომელსაც სული კარგა ხანია გასციებია და მისი გულის ვერც ერთი სიმი ველარასოდეს აქლერდებოდა იმ განცდის ძალით, ახალგაზრდებში რომ ბორგავდა შეუკავებლად. ბუნებრივია, ეს ასეც ხდება, როცა მგზნებარე გული ჩაქრება, სიცოცხლეც წავა, დაიკარგება! საცოდავი მოხუცი ქალი ჰეშმარითად მიცვალბულს დამსგავსებოდა. შენ კი სიცოცხლით გაფურჩქვნილი ხარ, მუდამ მცინარი, სიცოცხლე ხარ დაუცხრომელი!

გოელი ქალი ლაპარაკობდა, როგორც წყრილა ნაკადული, ისე დიოდნენ მის ბავთაგან ტბილი სიტყვები. მეუღლე მისი იღუმალად იღიმებოდა და ვანუწყვეტლივ საყვარელი ცოლის სახეს უმზერდა, სახეს, რომელსაც ხან ვარდისფერი ეფინებოდა, ორიოდ წუთში კი ალისფრად ენთებოდა. მარჯნისფერი წამოსასხამი გასტეროდა ხმარებისაგან, აღარც სანღებე ეცვა ახალი. ჩანთასაც, ხელში რომ ეკიბრა, კუთხეები ერთიანად შემოსცრეკოდა. ხანდაზმულობა ემჩნეოდა იმის ტანსაცმელს, მარტოოდნ სახე ჰქონდა ახალგაზრდობით და სიახლით გაბრწყინებული, გული და ტბილი ღიმილი ჰქონდა ახალგაზრდული, ხმა კი გრილი და ნელ-საამო, წვიმასავით მეოცნებე და ტბილი.

ქმარმა ღიმილით დაანახა ფანჯრიდან რაღაც და იმანაც იქით მიმართა მარგალიტები. მეც გავიხედე — იქ, მთის კალთაზე მწყემსი ვაჟი და ქალიშვილი ცხვარს აძოვებდნენ. ქალიშვილს თოთო ბატკანი ჩაესვა კალთაში, ვაჟი ქალის მხარს დაჰყრდნობოდა და ტბილი ხმით სალამურს აკენესებდა. განსაკუთრებული არა იყო რა ამ გულისათვის აღრიდანვე ახლობელსა და ნაცნობ სურათში, მაგრამ — რა მოხდა? მზეთუნახავი ფანჯარას მოსწყდა, ქმრის მკერდს მიეყრდ-

ნო და ატირდა გულამოძვდარი. გვექვავდი უცებ: ნეტავ რა მოხდა? რამ აატირა? განცვიფრებული შევეყურენდი ხან მტირალ ქალს, ხან კი ტირილით შეწუხებულ ახალგაზრდა ქმარს, მის დამშვიდებას რომ ცდილობდა გამწარებული. უცებ ბებერმა, იმ „მუმიამ“ განრისხებული მზერა ესროლა ახალგაზრდა ვაჟს და მკვახედ რაღაც მიახალა დაუნდობელად. ის ბიჭი თითქოს სევდამ მოიცივა. ქალი კი ისევ მწარედ ტიროდა. ბებერი ქალი ნუგეშს არ სცემდა. იგი ჩემ გვერდით გადმოჯდა ფრთხილად და თვისი მზერა მატარებლის ფანჯარაზე გადაიტანა. აბრეშუმის შავ წამოსასხამს უცნაური, ჩემთვის უცნობი, სუნი სდიოდა. მუმიებს თუ აქვთ ასეთი სუნი, აკლდამიდან როცა იღებენ. კიდევ ერთხელ შევავლე თვალი იმ ბებერ ქალს. დამკვნარი ხელები ერთიანად უკანკალბებდა. მაგრამ სულ მალე თავს მოგვრია, მუმიასავით გაქვავდა ისევ და ფანჯრიდან გამტერებული გასცქეროდა უხილავ სივრცეს. ჩამოვარდნილ სიჩუმეს მარტოოდნ ქალის ტირილი თუ არღვევდა, ლინდაგებზე თვლებს სრბოლასთან ერთიანად შეწყობილი. მოხუცებულს შევეკითხე:

— განა რა უთხრა ქმარმა ისეთი? რატომ ატირდა?

მოპასუხემ შემომხედა გაკვირვებულმა.

— მერე ვინ გითხრათ, რომ ეგ ვაჟი მაგის ქმარია? ძმა არის მისი...

— ძმა?! — აგრევე დავრჩი პირდაღებულნი.

— მერე რა არის აქ ისეთი? — რამდენადმე მკვახედ მითხრა მოხუცებულმა, — მისი ქმარი ციხეშია გამომწყვდეული.

— ციხეში?

ბებერმა თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

— ოცდარვა წელი მიუსაჯეს ციხეში ჯდომა...

— რა გააკეთა მერე ისეთი? მოკლა ვინმე?..

— არა.

— გაძარცვა?..

— არა.

— მაშ, რისათვის დააპატიმრეს, ვერ გამოიგია?

— მერე რა არის გაუგებარი? ყოველივე გასაგებია, მაგრამ რას იზამ? ჩემი ვაჟია პატიმარი... ერთი დღის შემდეგ ჩემი თვალი იმას ვერასდროს ვეღარ იხილავს, ლისაბონში გადაიყვანენ...

— ლისაბონში?

— დიახ, ასეა. გოას განთავისუფლებისათვის იბრძოდა იგი.

— კი... მაგრამ... — ჩემი მზერა მივაპყარ იმ ქალს, ლამაზ თვალებზე ცრემლს რომ იშრობდა, — მაგრამ ეს ქალი ზომავზე მეტად ლამაზია და გზაში კი...

— დიახ, ის გოას მიემგზავრება და ესეც ისე, როგორცადაც ის ჩემი შვილი, მის დასახსნელად იბრძოლებს მუდამ. ასე ჰგონია, რომ მაგასაც დაიპყრენ და ლისაბონს გაგზავნიან. ამიტომაც ხარობდა წელან. აი ეს არის ჩვენი გოას ახალგაზრდობა, — იქვე ჩაურთო მოხუცებულმა.

— თუ კი ასე ბედნიერია, მაშ რა ატირებს?

— რა სულელი ხარ! ღმერთო ჩემო, რატომ არიან მამაკაცები ასე სულელები? — და დედაბერმა ზეცას მიაპყრო გამხმარი ხელი. — ნუთუ მაგ თვალმა ვერ დაინახა იმ მწყემსი ქალ-ვაჟის ბედნიერება, რა სიყვარულით შესცქეროდნენ ერთიმეორეს. ამ სიყვარულის დამნახავი იქნება ცოლი, რომ თავისი ქმარი არ გაიხსენოს? რა სულელი ხარ!

პირიობრუნა, მე კი მივმართე:

— ერთი კითხვის ნებაც მომეცი!

— ზომავზე მეტად ბევრს კითხულობ! — მითხრა პასუხად.

— მხოლოდ ერთი შეკითხვა, მოხუცო დედა, მხოლოდ ერთი შეკითხვა შენს შვილს ოცდარვა წელი აქვს მისჯილი, შენს თვალებზე კი ერთი ცრემლიც არ დამინახავს!..

მოხუცმა ქალმა მკაცრად შემავლო თვალზე, გაყვითლებულ, მიმქნარ სახეს სიბრაზის ფერი გადაეგლო შეუფერავი.

— ვაჟიშვილი დედას, თუ იცი, რის-

თვის უჩნდება? მხოლოდ იმისათვის, რომ სიცოცხლით დააჯილდოვოს თუ ახალი სამყარო მისცეს? ყოველივე დედის სურვილია, ახალი სამყარო მისცეს ვაჟიშვილს, დაე, ნუ იქნება ის ახალი ძველზე დიდად უკეთესი, მაგრამ ცოტათი მაინც უმჯობესი იყოს ის უნდა, შვილი კი... ოდეს თვითონ გახდება მამა-შობელი, ასევე გადასცემს თავის მომავალს. მაშინ მამა-შვილს შორის ახალი ნათესაობა იქმნება, სამმაგი კავშირი, ერთიან ძეწკვად აწყობილი. მაგრამ, თუ დედა თავის ვაჟიშვილს ახალ სამყაროს ვერ მიუძღვნის, მაშ მის სიყვარულს ხბოსადმი ძროხის სიყვარულისგან რით განასხვავებ?

გოელი ქალი რისხვით მიმზერდა, თითქოს ვიყავი დამნაშავე მისი ვაჟიშვილის დაქვრავში. ორი გრძნობა — განცვიფრება და პატივი-გამოიწვია ჩემს არსებაში იმ საციოდავმა მოხუცებულმა, რომლის თვალებზეც ცრემლის კვალიც კი არ იყო გამოსახული, თუმც მისი შვილი საზარელ მსჯავრზე იყო უწყალოდ განწირული. მასაც შეეხედე, ცრემლმორიული ნაზი თვალებით გაღიმებას რომ ცდილობდა ისეთნაირად, თითქოს საქორწინო ბალდახინით მამამთილის სასახლეში მიჰყავდათ იგი, ქმართან ერთად საამური სიყვარულით დასატკობად.

მონი ჩემო, ჩვენი ტრფობა, შენც კარგად იცი, სასტუმრო ოთახს არ გასცდენია. მაგრამ, აბა, ერთი გამოიყვანე და შეხედე. ეგ როზარიო — დირექტორია იმ ბანაკისა, რომელთა მესვეურთ ოთახსი ოდენ წელიწადია, რაც გოელ ლატაკთ ძარცვავენ. არც შენ, არც მე და არც; როზარიოს არასოდეს შეგვიმჩნევია, რომ მაშინ, როცა სასტუმროში ჩვენ ერთად მსხდომნი ყვავილივით სურნელს სიყვარულს გულის თასში ფაქიზად ვრგავდით, იქ ქუჩებში სისხლი იღვროდა და ჩვენი გოა ცეცხლით იწვოდა.

მონი ჩემო, ის კი არ არის უმთავრესი — დაგივიწყო ან კიდევ მოგვკვდე, რადრო ეკუთვნის ადამიანს სასიცოცხლოდ, სამოცი წელი, თუ ას სამოცი, ანდა მთელი საუკუნე, ეგ სულერთია, ის მაინც მეტად მცირე დროა, მონაკვეთი ერთი-

ციცქნა, ისევე მოკლე, როგორაც ცაში ელვის განსხივოსნება. თუკი ზეცაში ძველი ვარსკვლავნი იღუპებიან, სამაგიეროდ, ახალნი ისევ იბადებიან, და დედამიწა ძველებურად მზეს უტრიალებს, ჩვენ კი ნეშტებად გადავიქცევით. შენ ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს ამ ქვეყანაზე, ბევრჯერ მოასწრებს დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნვას, შენ წინაშე იმოდენა სიფრცეა, რომ არასოდეს არ იკითხო, როგორ მოიქცე — იცხოვრო თუ მოკვდე. რაღა თქმა უნდა, უნდა იცხოვრო!

ერთი მითხარი, შენს ცხოვრებაში რა გააკეთე? იქნებ გიყვარდა ერთი მაინც მთელი ძალით სიყვარულისა? იქნებ ჩჩვეა რამ მიეცი მეგობარს კარგი? იქნებ შეხედე სიყვარულით მტრის ძუძუთას და უკუნეთს სიყვარულის ნათელი ჰფინე? შენს არსებობას თუ აქვს აზრი რამე ნათელი?

აბა, შეხედე, ჩემო მონი, ვხატო ღილი სხივი კიაფობს, მატარებელი ისევ პუნას უახლოვდება, მაღალ მთებს შორის ხეობა მოჩანს, მწვანე მინდვრები, გლეხთა ქოხები. გლეხები მიწას დაჰკირაკიტებენ, ასე გგონია, რომ გუთანი დედამიწას გულში ჩაჰკვრია. მატარებელი შეღმართს შეუდგა, აღმოსავლეთით დედამიწა გადამლილა თვალმიუწვდენლად. შეხედე, მონი, როგორ იფეთქებს აღმოსავლეთში მზის სხივები, რევოლუციის

დროშასავით მოგიზგოზე წითელი სხივი! განათდა ირგვლივ, აკიაფდა ყოველი ერთობი! დაგვიდგა დილა... ვიდრე დიდი მზე არ წამოდგება, ცხოვრების სავალს ვერ დაინახავ. მაგრამ მაშინ კი, როცა დილა ძალას მოიკრებს, ყველასათვის ნათელი ხდება, თუ მნათობი საით ანათებს, რადგანაც ირგვლივ სიცოცხლე განსხივებული! და ეს სიცოცხლე ალად იფრქვევა, ალი — სინათლედ და შავი მიწა დამუშავებულ მინდვრად იქცევა. საკვამლე მილში ბოლი ადის ცაზე აკრული. ცისარტყლის ფერი კიაფობს ჩვენი ვაგონის ფანჯრის მინებზე, გუშინდელი წვიმის წვეთებს აგრე ნაზად რომ ელამუნება. ბალახზე ცვარი ბრუყვილებს და მაღლა ცაში ფრინველები დანავარდობენ, ღრუბლების დახრილ მხრებზე ფრინავენ, მზის ამოსვლას ესალმებიან.

მონი ჩემო, მე გადავწყვიტე: არც მოვკვდები და არასოდეს არც დაგივიწყებ. სულელურსა და უსუსურ მაგ შენს სიყვარულს მე ვუპასუხებ მეტად დიდი და უძლეველი სიყვარულით. მე პუნაში აღარ წავალ, ლისაბონში გავემგზავრები და, რკინის რიკულზე მიყრდნობილი, იმ დილას დაველოდები, როდესაც შენ ჩემი ქვეყნის ხალხთან ერთად ფრთაშესხმული მზის ამოსვლას სინარულით მიესალმები!..

თარგმანი გივი კარაბელაშვილისა

ი ა შ კ ა დ ი



ღ ა წ ყ ე მ დ ი დ ი

ძნელად თუ წარმოიდგენთ ამინუღა-ულის პარკს ისე, რომ იქ არ იყოს გამოფენა, ბაზრობა ან რაიმე ზეიმი. და თუ საერთოდ დავეუშვებთ, რომ შესაძლებელია უცქირო ყველა ამ სანახაობას და არკი შეგაწუხოს ასეთი შემთხ-

ვევებისათვის დამახასიათებელმა ვიწროობამ და ზედახორამ, ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე ორსართულიანი, შორიახლო მდგარი სახლის ვერანდიდან. სწორედ ეს მოსაზრება მქონდა, როცა ნავახშმევს

ჩავიდე პირში ბეტელის ფოთოლი¹, ჯიბეში ჩავილაგე კამფეტები ბატონ შუკლას შვილებისათვის, რა თქმა უნდა, საბიჯი ჯოხიც ხელში დავიჭირე და გავემართე მათი სახლის ვერანდისკენ. როცა კაცი ბანკში მუშაობ და მთელი დღე ერთს სირბილსა და ორიმტრიალში ხარ, იმაზე სასიამოვნო არაფერია, რომ ორიოდ საათი გაატარო განათლებულ და კულტურულ ადამიანებთან. ჩემი მასპინძლები ერთიმეორეზე უფრო სტუმართმოყვარე, მხიარული და გულღია ხალხია.

ბატონ შუკლას შვილები — ლალუ და სავიტა — კიბზევე ცნობენ ჩემს ფეხის ხმას და დერეფანში მეგებებიან ხოლმე. მე ჯიბეებიდან ვალაგებ ტკბილულს და თან ვატყობინებ ჩემს მოსვლას:

— შუკლა-ჯი² შინა ხართ?

ვერანდიდან, იმ ოთახის მეორე მხრიდან, რომელიც დერეფანს ეკვრის, გამოდის ქალბატონი შუკლა და გულთბილად მეუბნება:

— მობრძანდით, მობრძანდით, გეთაყვათ! არც კი გრცხვენიათ — რა უცხო-სავით იქნებით...

ქვევით, ათასობით ელექტროფანრების შუქით გაჩირაღდებულ პარკში, გახურებული ზეიმიია.

მე ჩაცინებით ვამბობ:

— რა ზღვა ხალხია! რა ამბავია, ისევ ერთმანეთს ეჯიბრებიან ჯალაუნის და ფატეხპურის ფეიერვერკები? — და ველი, რომ მასპინძლები ამყვებიან და საუბარს გააგრძელებენ.

ქალბატონი შუკლა ღიმილით მაქეზებს და მპასუხობს:

— რა თქმა უნდა! როგორმე ხომ უნდა დასცანცლონ ხალხს ფული.

ბატონი შუკლა ხმამაღლა იციინის, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს, თუმცა საერთოდ ძალიან უყვარს ლა-

პარაკი. ის ნახევრად მიწოლილა სავარძელში, ფეხები მოხერხებულად გაუმოტია, თავი საზურგეზე¹ მიუსვენებია და სერიოზული სახით გასცქერის კაშკაშა შუქით განათებულ მხიარულ ბრბოს. ჩემს დაჯდომას ელის.

— რა დრო დადგა... — იწყებს ის, თან სანდლიან ფეხს ათამაშებს. ამ შესავლის გაგონებაზე დიასახლისის სახეზე ქრება ღიმილი, ჩემი მოსვლის დროს რომ აღებუდა — ეს სახე ახლა თითქოს თვალსაჩინო ილუსტრაციაა ბატონ შუკლას სიტყვებისა.

— რა ამბები ხდება ქვეყანაზე! — ბატონი შუკლა მძიმედ ოხრავს და ჩვენსკენ ტრიალდება.

რაკი მისმა ოხვრამ და ამ სიტყვებმა საკმაოდ შეუქეთა ჩვენს ცნობისმოყვარეობას, ბატონი შუკლა დინჯად იწყებს:

— ახლა კაცს ველარაფრით გააკვირვებ. მაგრამ ჯერ მომისმინეთ, რა მოხდა მუნჯი ნავაბის სახლთან, სადაც ამას წინათ საჯარო საპირფარეშო ააშენეს. სწორედ იქა დგას ის ძველი, მინგრეულ-მონგრეული ქოხმახები. წუხელ იქ სისხლი დაიღვარა. მერედა როგორა გგონიათ, ვინ იყო მკვლელები? ხუთი წლის ბავშვი!

მთხრობელი წამოიწევს, უფრო მოხერხებულად ჯდება და თვლები უფართოვდება, თითქოს ამით უფრო უკეთ გადმოგვეცემს მომხდარი ამბის საშინელებას:

— დაიჯერებდით ასეთ რამეს?

— რანაირად მოკლავდა კაცს ხუთი წლის ბავშვი? — მეც მასავით გაოგნებული ვარ. — უბედური შემთხვევა იქნება რამე. ან ალბათ ბავშვები სახურავზე თამაშობდნენ... ქალაქის ფრანს თუ უშვებდნენ... ერთი პატარა წაბიძგებაც კმარა, რომ...

ვუცქერი ქალბატონ შუკლას იმ იმედით, რომ მხარს ამიბაჟს-შეთქი, მაგრამ ამოოდ. სახეზე მწუხარება აღბეჭდია. სავარძლის საზურგეზე დაუდვია ხელი, სახე ამ ხელზე მიუხდვია, და მძიმედ ოხრავს.

¹ გამაგრებული საღებო ნარევი; მცენარე ბეტელის ფოთოლში გაჩვეულია ყვავილის კაკალი და ცოტაც კირი.

² საპატრულო მიმართვა.

ბატონი შეკლა აღზნებულია და მთელი სხეულით წინ იწევს.

— რას ბრძანებთ! — ის ნერვიულად ერთმანეთში ხლართავს თითებს და განაკრობს: — ეს მკვლელობაა! მან მოკლა, დაახრჩო! ხუთი წლის ბავშვმა!

თვლები ლამის ამომცივიდეს. თვლებით ვეკითხები: რანაირად უნდა მომხდარიყო ასეთი რამ?

— სულ განაპირა სახლში, ზედ ღობესთან, კალათების შვიდავი! ცხოვრობს, ახირთა კასტას მიეკუთვნება. ორა შვილი ჰყავს — ხუთი წლის ბიჭი და სამისაც — გოგონა. რა ბევრს ისა შოულობს? ათასში ერთხელ თუ მისცემს ვინმე ოთხ-ექვს ანას¹, ხან კი ორ ანასაც ვერა შოულობს. თქვენს თავზე ბრძანეთ: რას მისცემლით გასამრჯელოდ, თქვენთვის რომ კალათა მოეტანა ამინაბადიდან ან ფატეზგანჯიდან? ორ ან ოთხ პაისს², ან, სულ ბევრი რომ ეთქვათ — ექვს პაისს, მისი ცოლი ფატეზგანჯაში დადის და ცერცესა ცხვავს. ორ-სამ ანას თუ მოიტანს შინ ან არადა ნახევარ სირ³ ფქვილს. ეს არის და ეს. რანაირად უნდა არჩინონ შვილები? ხომ იცით, როგორ გაძვირდა ცხოვრება... წინათ ერთ რუბიად თორმეტ-თოთხმეტ სირ ფქვილს იყიდდა კაცი, ახლა კი ორნახევარ-სამ სირზე მეთი არ მოგივათ. ისიც ფქვილი კი არა, ეშმაკმა იცის, რა არის. ღმერთმა უწყის რას აქმევს თავის შვილებს ან როგორ არჩენს. წინა შაბათს კიდევ მისმა ცოლმა მესამე ბავშვი შობა.

რასაც ოჯახის მამა მოიტანს, ეგენიც იმით ცხოვრობენ. აბა ეს რა ცხოვრებაა! სულს მიათრევენ და ესაა! ქაშენ ნახერხს, ნაფცქვენს, ბალახ-ბუ-

1 ინლოეთში ბაზარში სავაჭროდ გასული აღმართი ქაჩაობს კაცს, რომელიც ნავაჭრის თავის კალათაში აღაგებს და მყიდველს შინ მიეტანს.

2 ფულის ერთეული, 1,16 რუბლის უდრის.

3 სპილენძის წვრილი ფული.

4 სწყაი ერთეული, დაახლოებით ცხრაასი გრამი.

ლახს — რასაც კი იშოვნინ, თუ რამე იშოვნეს, დედ-მამა ცდილობს მშვიდობი დააპურონ, თვითონ კი ხშირად მშვიდობი რები წვებიან. მაგრამ ძუძუთა ბავშვს რაღა აკამონ? დედას ხომ მაშინ აქვს რძე ძუძუში, როცა რამეს ჭამს. ეს ქალი კი მთელი დღე მარტო წყალს სვამს, რომ გამოცარიელებული კუჭი მოიტყუოს. ძროხა რომ ძროხაა, იმასაც სჭირდება ბალახი ან ბზე.

როცა მან დედა-ქალი ძროხას შეადარა, მე დიასახლისს შევხედე. ის სავარძელში იჯდა, ნახევრად ზურგშემოქცეული. ამ სიტყვების გაგონებაზე კი სულ მთლად მიბრუნდა. ბატონ შეკლას ეს არაფრად ჩაუგდია და განაგრძო თავისი საშინელი ამბის მოყოლა:

— იცით რა მოხდა? მამამ დაავლო ხელი თავის კალათს და დილაადრიან ბაზარში წავიდა. ერთი მუქა ფქვილი, რაც შინ მოეძეებოდათ, დედამ წყლიან ქვაბში გასძრა და ბავშვებს აჭამა, თითოს ორ-ორი კოვზი ერგო ეს სალაფავი. ბავშვებს არ ეყოთ და, გეშიაო, დედას ჩააცივდნენ. დედა გაუჯავრდა, ნაკრის საწოვარა გააკეთა და ძუძუთა ბავშვს მისცა. მას ხომ რძე არ ედგა ძუძუში. მერე თავი ცუდად იგრძნო და გარეთ გავიდა. როცა უბედური დედა შინ შებრუნდა, საშინელი ღრილი აღმოხდა. ბიჭი აღრჩობდა თავის პაწია ძამიკოს. ჩვილი უკვე მკვდარი იყო... გონდაკარგულმა დედამ ყვირილი მართო. მოცივიდნენ მეზობლები. ხან მიეფერნენ ბავშვებს, ხან გაუწყრნენ, სიმართლე გვითხარით, რა მოხდაო. მაშინ გოგონამ თქვა, ჩემმა ძმამ დაახრჩო პაწიაო. ბიჭს მიუალერსეს, ტყბილეული მისცეს. ისიც გამოტყდა, — ერთი ყური დამივდეთ, რა თქვა: „დედამ ჩვენ არ მოგვცა საჭმელი, იმას დაუტოვა... ძალიან შშოდაო“.

— გესმით? — დაასვენის ბატონი შეკლა. — გესმით, რა დრო დადგა?

ქალბატონი შეკლა აღუშფოთველად დაუბრუნდა:

— ხომ ხედავთ რანაირი ქკუა აქვთ იმ ხალხის შვილებს ხუთი წლის ასაკ-

ში? ხუთი წლის ბავშვსაც კი ესმის, რომ ვინც მას წილში ეზიარება—მტერია. ჩვენი სავიტა კი სხვა ბავშვია. ივლისში შეუსრულდა ხუთი წელიწადი, მეექვსეში გადადგა, — მაგრამ ძალი რომ თეფშში ჩაუძვრეს, ხმას არ გასცემს, მიეფერება.

რაკი ამჯერად ჩემი ყურადღება დიასახლისისკენ იყო მიმართული, ბატონმა შეუკლამ ხმას აუწია:

— მოდით და ამის მერე თქვით, რომ ყველაფერი ამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ასე მოიკიდა ფეხი ცოდვამ — შიმშილი, ეპიდემიები, მიწისძვრები და ათასი სხვა უბედურება, ყველაფერი ღვთის ნებითააო. ბევრი ცოდვა რომ აწევთ კისერზე, ღმერთმაც იმიტომ დასაჯა და სასჯელად მიუვლინა, რომ ასე დაპკანკალბდნენ ყოველ მარცვალს... ერ-

თი იფიქრეთ, ხუთი წლის ბავშვის გულშიც კი სიძულვილი და შალადობაა. ცოდვებისათვის დაგვსაჯა ღმერთმა, იმიტომაც ვიტანჯებით ასე... — ის კიდევ უფრო იწევს წინ და მეკითხება: — როგორა ფიქრობთ, რა ელით ასეთ ბავშვებს მომავალში?

— შიმშილი... — ვიწყებ მე.

მაგრამ ბატონი შეუკლა სიტყვას მაწყვეტილებს და ხმამაღლა გაიძახის:

— ერთი დამიხედეთ! და სხვა არაფერი ასეთი ცოდვებისათვის? მაგათვის სიკვდილიც არამია!

სულ არ ვიყავ დისკუსიის გუნებაზე. დავიწყე ფიქრი მიზნისა და შედეგზე. აიციდნენ კია ცოდვას ეს დაწყველილნი, რომლებიც პატარაობიდანვე იძულებულნი არიან ბოროტმოქმედება ჩაიდინონ?..

თარგმანი **ც. ჩხეიძისა**

გიორგი ახვლედიანი

1. ორი ქება რიგ-ვედიან. 2. ორი ბაღობა ავესტის გათეგვიან

(თარგმანი შენიშვნებითურთ)



1.

რიგ-ვედა

განთქმულია ძველ ინდოელთა ოთხი ვე და („ცოდნა“), რომელთაგან ყველაზე შესანიშნავია რიგ-ვედა („ქებათა ცოდნა“). რიგ-ვედა შეიცავს მრავალგვარი შინაარსის ათასზე მეტ ქებას (ჰიმნს), მიმართულს უმთავრესად ღმერთებისადმი (ერთღმერთიანობა რიგ-ვედაში არა ჩანს. შდრ. ამ მხრივ ძველ ირანელთა აპურა-მაზდაჰ, რომელიც მთავარ ღმერთს წარმოადგენს. აქედან ჩანს, სხვათა შორის, რიგ-ვედის მსოფლმხედველობის მეტი სიძველე ავესტასთან შედარებით). რიგ-ვედა შედგენილია (ლექსად თუ პროზად) დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ (1500 წლის წინათ ძვ. წ.) და ითვლება მაღალმხატვრულ ნაწარმოებად. მასში მრავალია კოსმოგონიურ-ფილოსოფიური ხასიათის ქებანი; ამათ ნიმუშადაა აქ წარმოდგენილი თარგმანი ორი ქებისა, მეტადრე მეორე (X, 129), რომელიც დაიბეჭდა 1918 წ. (ყურნ. „პრომეთე“, № 2). აქ იბეჭდება შესწორებული სახით.

ცისა და დედამიწისადმი

(რიგ-გედა, 1, 185)



1. რომელია ამათგან აღრინდელი, რომელი — გვიან-დელი? როგორ წარმოიქმნენ იგინი, წინასწარ-მეტყველნო? ვინ უწყის ეგე ნამდვილ? ცაში და დედამიწაზეა ყოველივე, რაც რამ სახელდებულა. ორივე ბრუნავს დღელამ, ვითარცა ბორბალი.
2. ორივენი — უფეზონი — თვითონ არ დაიარებიან, მაგრამ მიიღებენ მავალთ — ფეხებიანთ — მრავალ მათგანვე შობილთ, ვითარცა ძეს შობებლნი თავიანთ წიაღში. — ცაო და დედამიწავ, დაგვიფარეთ უბედურებათაგან.
3. მოვიწოდებ აღიტის¹ ძლიერებავ, ხელუხლებელო, უძლეველო, მზიურო, სიკვდილისაგან მხსნელო, პატივდებულო. მიანიჭეთ ეგენი ქების მთქმელს, ორივე როდასმა². — ცაო და დედამიწავ, დაგვიფარეთ უბედურებათაგან.
4. ორთავ უმწუხაროს, მფარველ როდასებს³, ღმერთთა შობლებს საამურ ვექმნეთ, ორთავს ღმერთთა შორის დღე და ღამ. — ცაო და დედამიწავ...
5. ორივე ახალგაზრდა, დამეგობრებული დები, კეთილ-მეზობლნი, რომელნიც შობელთა წიაღში მოხვდნენ, სამყაროს კიჰსა⁴ ჰკოცნიან. — ცაო და დედამიწავ...
6. ორთავ ვრცელს, მაღალს მოვეუწოდებ წესისამებრ, წარმომქმნელთ ღმერთთა მეოხებით, რომელნიც ფლობენ უკვდავებას, მშვენიერნი მოვლენათა შორის. — ცაო და დედამიწავ...
7. შორეულთა, განვრცობილთა, მრავალშემცველთა, შორს — შემოზღუდულთა მიმართ ვამბობ თხოვნას თავდახრით მსხვერპლის წინაშე, კურთხეულთა, ყველაზე მოწინავეთა, ჩანასახის მიმღებთა. — ცაო და დედამიწავ...
8. უკეთუ ოდესმე სადმე უმართებულო რამ მოვიმოქმედეთ, მოგვეტევოს იგი ამ ქებისათვის ღმერთთა, მეგობრისა და სახლთუხუცესის წინაშე. — ცაო და დედამიწავ...
9. დაე შემეწყნაროს ორრიგი უფალთქება, დაე თან მახლდეს ორივე კეთილისმყოფელი. ხელგაშლით ანიჭებთ უუხვესთ, ვიდრე მის ტოლს სხვას. დაე ვილხინოთ სიტკობებით საკვების სავსეობაში, ჰოი, ღმერთებო.
10. მართალი სიტყვა ეგე წარმოვთქვი სიბრძნით ცისა და დედამიწისადმი, რათა ისმინონ იგი მათ პირველად. ორთავემ გვიხსნას ჩვენ შერცხვენისა და ავისაგან. მამამ და დედამ დაგვიცვას წყალობით.
11. გამართლდეს, ცაო და დედამიწავ, რასაცა აქ გთხოვთ, მამავ და დედავ! დაე იყოს წყალობა თქვენი აღამიანისთვის.

დასაბამი ნივთა

(რეგ-ვედა, X, 129)



1. მასშინა არ იყო რა: არცა ყოფნა და არც არყოფნა.
არ იყო სივრცე, არც სააქაო, არც საიქაო...
რით იფარვოდა ყოველივე ან რა იძვროდა?
ვინ ფლობდა წყალსა და უფსკრულ სიღრმეთ?
2. არ იყო მაშინ არც სიკვდილი და არც სიცოცხლე.
არ იყო მაშინ დღისა და ღამის სხვადასხვაობა.
მხოლოდ სუნთქავდა თავისთავად ერთი, ურხვევი ქარ-ნიავთავან;
არა რა იყო თვინიერ მისა.
3. წყველია იყო წყველიადითვე გარემოცული.
თვალშეუდგამი წყალი იყო ეს ყოველივე-
სადაც არარას გარსერტყმოდა არარაობა,
იქ წარმოიქმნა სითბოსგან ერთი.
4. მაშინ პირველად გაჩნდა სურვილი,
პირველი თესლი აზროვნებისა.
მგოსანთა ზრახვით გულისა და გონებისა
აღმოჩნდა არსის არარსთან კავშირი.
5. სინათლის შუქი სამყაროს გამშვოლ —
უმეტეს დაბლა, თუ იყო ზევით?
მუნ დაითესა პირველთესლი და წარმოიქმნა
ქვე — ბუნება, ზე — ძლიერება და ნებისყოფა.
6. ვინ უწყის ნამდვილ, ვის ძალ-უძს ახსნას,
ვითარმედ იშვა ქმნილება იგი?
ღმერთნი ქმნილების აქეთ არიან.
ვინ იტყვის, ვით წარმოიქმნენ თვითონ იგინი?
7. ვინც ზესკნელთაგან უჭერეტდა შექმნას, —
— თვითონ წარმოქმნა იგი თუ არა, —
მას უნდ სცოდნოდა შექმნის ამბავი, —
თვითონ მან, აღბათ, არა იცის რა.

შენიშვნები

1. აღიტი — „უსასრულო, შეუქმნიელი“ — ს.ა. ს.ა.: ღვთაებათა ღვდა (ეს მნიშვნელობა გვიანდელია, ამაზე უფრო გვიანდელი მნიშვნელობებია: მეწველი ფური, ღვდაკაცი და სხვ.).
2. როდასი — ს.ა. ს.ა. (რობით რიცხვში): ესა და ღვდაშიწა. იხმარება აგრეთვე მხარცხვში მხოლოდ ღვდაშიწის მნიშვნელობით).
3. სამყაროს კიბი — სამყაროს შუაგული, ცენტრი.

2

ა ვ ე ს ტ ა

ავესტა ეწოდება ძველ-მაჰმადიანობამდელ — ირანელთა წიგნებს. მათში მექანიკურადაა გაერთიანებული სრულიად სხვადასხვა შინაარსის ტექსტები — მითოლოგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული, კანონიკური და სხვა ხასიათისა. საერთოდ, იმავეითვე ავესტა საფუძვლად დაედო ძველად ძლიერ გავრცელებულ ზორიასტრიზმს.

გამორკვეულია, რომ ავესტის ნაწილები შექმნილია სხვადასხვა დროს — ათი საუკუნის მანძილზე, დაწყებული მეშვიდე საუკუნიდან ქ. წ. და ~~გათავებულ~~ ^{და} გათავებული მესამე საუკუნით ქ. შ., მაგრამ მათში გამორჩეულია გათები (სულ 17-განაა) „გალობა“, რომლებიც მიეწერება თვით ზ ა რ ა თ უ შ ტ რ ა ს — ზოროასტრული რელიგიის შემქმნელს (VII ს. ქ. წ.).

გათებში, ავესტის ამ ძირითად ბირთვში, ასახულია ძველ ირანელთა სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა.

აქ წარმოდგენილ ორ „გალობაში“, კოსმოგონიურ მოტივებთან ერთად, ძლიერადაა ასახული საყოფაცხოვრებო საკითხები: გათების ავტორი ზარათუშტრა იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის — მომთაბარეობის გაუქმებისა და მობინადრეობის, კერძოდ მესაქონლეობის, განვითარების გზით, რაც მეტადიერ ჩანს გალობა 29-ში. (გალობა 29-ის თარგმანი დაბეჭდილია ქურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1924 წ., № 2. აქ იბეჭდება საკმაოდ შესწორებული სახით).

გალობა 44

1. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: ვითარ ჯერ-არს ვედრებად თქვენდა? ჰოი მაზდაჰ, შენ ძალ-გიძს მაუწყო მეგობარსა შენსა და შენი აშას¹ მეშვეობით, წყალობა — გვიყო, რათა დამკვიდრდეს კეთილი აზრი² ჩვენს შორის.
2. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: თუ ჰპოებს ბედნიერებას, საუკეთესო სიცოცხლის³ დასაბამითვე, იგი, ვინც მისაგებელი⁴ დაიმსახურა? იგია, ჰოი აშავ⁵, ღირსეული, ვინც ამჩნევს აზრის მოქრაობას, იგივეა სიცოცხლის მკურნალი⁶ მეგობარი, ჰოი მაზდაჰ.
3. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: ვინ იყო პირველ შემქმნელი და მამა აშასი?⁷ ვინ განსაზღვრა გზა მშისა და ვარსკვლავთა? ვინ დააწესა, რომ მთვარე ივსებოდეს და ისევ ცხრებოდეს? ესაა, ჰოი ბრძენო⁸, რაც მსურს ვიცოდე.
4. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: ვინ დაიფარა ძირს მიწა და ზეცა დავარდნისაგან? ვინ — წყალი და მცენარენი? ვინ დააკავშირა სისწრაფე ქარისა და ღრუბელთა? ვინ არს, ჰოი, ბრძენო⁹, შემოქმედი კეთილი აზრისა?¹⁰
5. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: რომელმა შემოქმედმა შექმნა ნათელი და ბნელი? რომელმა შემოქმედმა შექმნა ძილი და ღვიძილი? ვინ შექმნა დილა, შუადღე და ღამე, რომელნიც გონიერთ მოაგონებენ თავიანთ მოვალეობას?
6. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე: სწორი თუა იგი, რაც მსურს ვიქადაგო?

თუ გამიწვევს დახმარებას ამა? თავისი მოქმედებით? არმატი?⁹
 თუ შეიწყნარებს, შენი მეოხებით, სამფლობელოსა¹⁰ კეთილი აზრისა
 ვისთვის შექმენ საბედნიერო მაკე საქონელი?¹¹

7. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 ვინ, ხმათრასთან¹² ერთად, შექმნა კეთილ-სათნო არმატი?⁹
 ვინ დააწესა ბრძნულად მაისადმი მოკრძალება ძისა?
 ვისწრაფვი, ჰოი ბრძენო, კეთილი სულის მეოხებით,
 გცნო ყოველთა ნივთთა შემქმნელად.
8. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 მსურს დევიმახსოვრო, ჰოი მაზდაჰ, შენი განზრახულება
 და ვისწავლო სწორად გაგება სიცოცხლის აზრისა,
 რაც ვიცი ვოჰუ-მანასა⁴ და აშასაგან³.
 როგორ მიიღწევს სული ჩემი სასიკეთო წარმატებას?
9. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 თუ აღმოიქვამს ქვეყნის უფალი სარწმუნოებისათვის,
 რომლის სრულქმნა მსურს გონიერთათვის¹³,
 რათა იგი მის სამფლობელოდ¹⁰ იქცეს,—
 შენებრი, ჰოი ბრძენო, ვოჰუ-მანას⁴ თანამცხოვრები.
10. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 სარწმუნოება, რომელიც საუკეთესოა ადამიანთათვის,
 იგი, აშასთან³ ერთად, მომცემს წარმატებას,—
 სწორად თუ გაიგებენ მოკრძალებული სიტყვითა და საქმით
 ჩემსა მოძღვრებას, შენი მოთხოვნის თანახმად, ჰოი მაზდაჰ?²
11. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 თუ გავრცელდება კეთილი აზრი იმათზე,
 ვისაც ეუწყა შენი სარწმუნოება, ჰოი მაზდაჰ?²
 მე ვარ უწინარეს არჩეული შენ მიერ;
 ყველა სხვას ვხედავ სიძულვილით სულისა.
- * 12. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 ვინაა მათგან, ვისაც მივმართავ სიტყვით,
 აშას³ მომხრე, ვინ — დრუგისა?¹⁴ რომელი მხრიდანაა მტერი
 თუ ისაა მტერი, დრუგის¹⁴ მომხრე, შენს წყალობას რომ წინაღულდა?
 ვინაა იგი? თუ მტრად უნდა ჩაითვალოს იგი?
13. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 თუ განვდევნო ჩვენგან დრუგის¹⁴ მომხრენი
 მათკენ, ვინც, ურჩობით სადსენი,
 არ ისწრაფვიან მიემხრონ აშას³,
 და არ ეთანხმებიან ვოჰუ-მანას⁴ რჩევას?
14. ამასა გკითხავ, ჰოი აპურავ! — მაუწყე სიმართლე:
 თუ მიცეც დრუგი¹⁴ აშას³ ხელში,



რათა მან იგი მიწას დაანარცხოს მცნებისაებრ შენისა,
რათა მან დრუგის¹⁴ მომხრეთა შორის შექმნას განხეთქილება,
რათა მან ტანჯოს იგი, ოპ მაზდაჰ², სჰულდეს იგი?

15. ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! — მაუწყე სიმართლე:
თუ ძალ-გიჰს ამარილო იგი, აშას³ მეოხებით,
ოდეს ორი მტრული ლაშქარი ერთმანეთს შეებმება
იმ წესით, რომელსაც შენ, ჰოი მაზდაჰ², დაადგენ?
რომელია ის ლაშქარი, რომელსაც შენ გამარჯვებას მიანიჭებ?
16. ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! — მაუწყე სიმართლე:
რომელია ის, რომელიც, გამარჯვებული დაიციავს ადამიანს, შენი
სიტყვისამებრ?
აღმითქვი თვალდათვალ, დანიშო სიცოცხლის მკურნალი⁹ მსაჯული¹⁵.
და საყოველთაო მორჩილება¹⁶ სუფევდეს მის წინაშე, ვინც შენ გსურს,
კეთილ აზრთან⁴ ერთად, ჰოი მაზდაჰ²!
17. ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! — მაუწყე სიმართლე:
თუ მივალწევ, ჰოი მაზდაჰ², თქვენის მეოხებით, მიზანს—
თქვენთან შეერთებას, — რათა ჩემი სიტყვა ზემოქმედებდეს;
რათა აღთქმისაებრ, კეთილდღეობა¹⁷ და უკვდავება¹⁸
გაუერთიანდეს მას, ვინც აშას³ მომხრეა.
18. ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! — მაუწყე სიმართლე:
თუ მივიღებ აშას³ მეოხებით ჯილდოს—
ათსა ხრდალსა კვიციოთურთ და აქლემს,
რაიცა, ჰოი მაზდაჰ², შენგან აღთქმული მქონდა,
ვითარცა შენ მიერ მონიჭებული კეთილდღეობა¹⁷ და უკვდავება?¹⁸
19. ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! — მაუწყე სიმართლე:
ვინც ჯილდოს მისცემს არა იმას, რომელმაც იგი დაიმსახურა,
არამედ (დაუმსახურებლად) ადამიანს, რომელსაც უსრულებს აღთქმულს,—
რა სასჯელი ვკუთვნის მას უმაღლე?
ვიცი, რაიცა ჰხედება მას საბოლოოდ.
20. განა დაევიბი¹⁹ იყვენენ კეთილნი მეუფენი?
მსურს ვკითხო მნახველს, თუ როგორ ტოვებენ კარბანნი²⁰ და უზიგნი²¹
საქონელს
მძინვარების ანაბარად და როგორ აზმუილებენ მას მუდამ კავებში²²—
ნაცვლად მოვლისა. დაე აშას³ მიერ წარამართოს სოფლის მეურნეობა.

1. ზეასტაგის სულმა²³ შემოგვიღათ: „ვისთვის განმასახიერეთ? ვინ შექმნა?
დამჩაგრა თავაშეებამ²⁴, ძალმომრეობამ, უდიერობამ და უგლიმობამ.
თქვენს გარეშე არა მყავს მწყემსი:
მომანიჭეთ სოფლის მეურნეობის²⁵ სიკეთე“.

2. ხვასტაგისა²³ გამჩენელმა ჰკითხა აშას: „თუ გყავს ხვასტაგის სამართლის რომ არ მოაკლდეს მას, კვების გარდა, გულმოდგინე მზრუნველობა²⁴ ვის უნიშნავთ მოსამართლედ, რომელიც განდევნის აეშას²⁷ და დრუგის მიმდევართ?“²⁸
3. მიუგო აშამ: „არავინაა ხვასტაგისა გულთბილად შემწე. იქ ადამიანმა ვერ შეისმინა, როგორ მოექცეს უმდაბლესს კეთილმოქმედი“. (ხვასტაგის გამჩენი): „არსთ უძლიერესს შევეწვევი, უკეთუ მიხმობს“.
4. (ამბობს აშა): „მაზღაჰმა² უწყის ზედმიწევნით ის განზრახვები, უწინარეს რაც აღასრულეს დაევებმა¹⁹ და ადამიანმა და რაც მერმისს მათ მიერ უნდა აღსრულდეს. იგი — აჰურა¹ — გადამწყვეტია: დაე ვიყოთ ნებისაებრ მისისა“.
5. (ამბობს ხარი): „აჰურასადმი¹. ვედრებად განართხმული ხელებით ვლოცულობთ ჩვენ — ჩემი და მაკე ფურის სული — და ვაწუხებთ მაზღაჰს² ხევწნით: არ დაილუპოს მართალი და არცა ხვასტაგის მზრდელი²⁹ დრუგის¹⁴ მიმდევართაგან.“
6. და რქვა მან, მაზღაჰმა-აჰურამ¹² წესთა. მცოდნემ, ბრძენმა მან: „არ არს შენთვის არც მეუფე, არც მსაჯული — ღვთიური სამართლის სატყვისი, რამეთუ შემოქმედმა გავაჩინა მესაქონლისა და მიწის მუშისთვის“¹⁹.
7. (ამბობს ზარათუშტრა): „სიტყვა ხვასტაგის ქონისთვის შექმნა მაზღაჰმა აჰურამ², აშასთან¹ თანხმობით, და მიუჩინა რძე, თავისი მცნებით, საკმელად მსურველს“. (ხარი და ფური): „ვინ გყავს, ჰოი ვოჰუ-მანაე⁴, მზრუნველად კაცთა შორის ჩვენ ორთავესთვის?“
8. (ვოჰუ-მანა): „მხოლოდ იგი არს აქ ცნობილი, რომელმაც აღიქვა მცნებანი ჩვენნი — ზარათუშტრა სპიტამ³⁰; იგი აუწყებს ადამიანთ ჩვენს და, ჰოი მაზღაჰს², აშას¹ აზრებს. დაე მიენიქოს მას სიტყბოება მეტყველებისა“.
9. აღმოხდა ოხერა სულსა ხარისას²³: „უქმი სიტყვა უძლური კაცის მაქვნდეს მე მზრუნველად, როცა ჩემს სურვილს მივმართავ ძალსავე მბრძანებელს? როდის გაჩნდება იგი, რომელიც ხვასტაგს აღმოუჩენს ნამდვილ შემწეობას?“
10. (ამბობს ზარათუშტრა): „მიანიჭეთ, ჰოი აჰურაე¹, მათთვის მას ძალა, და, ჰოი აშაე³ და ვოჰუ-მანაე⁴, მეუფება, რომლითაც იგი შეუქმნის მათ კეთილდღეობას და სიმშვიდეს. მეც ხომ ვიცი, რომ შენ, ჰოი მაზღაჰს², პირველს ძალ-გიძს ეს მოიქმედო.“

11. სად არს სიმართლე, კეთილი აზრი და მეუფება? აჰა მიმიღეთ, ადამიანნო, რათა, ჰოი მახდაჰ, დაეცვა დიდი მოძღვრება ქვეყნისთვის“ (ხარი და ფური): „ახლა გვეყავს შემწე, განმზადებულ ვართ სამსახურად თქვენთა მსგავსათათვის“.

შენიშვნები

1. აპურა „ღვთაება“ — კეთილი სულის საერთო სახელწოდება; მეტწილად აღნიშნავს უმაღლეს ღვთაებას „მაზდაჰ“-ის მიმატებით: აპურა-მაზდაჰ. აქ იგულისხმებს ეს უკანასკნელი.
2. მაზდაჰ „მცოდნე, ბრძენი“ ანუ აპურა-მაზდაჰ (მაზდაჰ-აპურა) — აპურათაგან უზენაესი
3. აშა „სიმართლე, სამართალი“, — მაზდაჰის შემდეგ უპირველესი აპურა, მისი უახლოესი მრჩეველი და მოკავშირე.
4. კეთილი აზრი — იგულისხმება ვოჰუ-მანა — ერთი უპირველესთაგანი აპურა, რომელიც ხშირად იხსენიება მაზდაჰსა და აშასთან ერთად.
5. საუკეთესო სიცოცხლე — საჭიო.
6. ჯილი. იმქვეყნად.
7. სიცოცხლის მკურნალი — ასე ეძახის თავის თავს ზარათუშტრა (იხ.) იგი აჯანსაღებს დაეუთაგან (იხ.) დაეადებულ იდამინის სიცოცხლეს.
8. იგულისხმება აპურა-მაზდაჰ.
9. არმატი „კეთილშობილება, ღვთისნიერება“ — ერთი აპურათაგანი, მიწის ღვთაება.
10. სამფლობელო — საშობე (აპურათა) ან ჯოჯობეთი (დაევათა).
11. საქონელი — ზესტაგი: ზარათუშტრას მოძღვრებით, ძველ ირანელთა საუკეთესო სიმიღერე.
12. ხმათარი „ძლიერება, ძალა-უფლება, სამფლობელო“ — ერთი აპურათაგანი.
13. გონიერი — ვინც კეთილს აირჩევს.
14. დრუგი „სიცრუე, ტყუილი, მოტყუილება“ — აშას მოპირისპირე; ცრუ წინასწარ-მეტყველი.
15. მსაჯული — თვით ზარათუშტრა.
16. მორჩილება — მეტადრე ღვთაების მიმართ.
17. კეთილდღეობა — ეწოდება ერთ აპურას, რომელიც იხსენიება მუდამ უცვლადებასთან ერთად.
18. უკვდავება — ეწოდება ერთ აპურას, რომელიც იხსენიება ყოველთვის კეთილდღეობასთან ერთად.
19. დაევა „ღმერთი (ბოროტი)“ — აპურას მოპირისპირე, ცრუ ღმერთი დრუგის (იხ. 14) სამფლობელოსი.
20. კარბანი „ქურდი“ — დაევათა (იხ. 19) სარწმუნოების მიმდევარი.
21. უზიგი დაევათა (იხ. 19) სარწმუნოების მიმდევარი.
22. კავი „თავილი“ — დაევათა (იხ. 19) სარწმუნოების მიმდევარი მეომართა წრიდან.
23. ზესტაგი — საქონელი: ხარი და ფური, აქ იგულისხმება უმათერესად ხარი. ზესტაგის სული — ერთი აპურა, რომელიც წარმოადგენს პირველადი ხარის გაღმერთებულ სულს, ზესტაგის დამცველს.
24. თავაშეება — თავაშეებულობა, აღვირახსნილობა: იგულისხმება ღრეობა, რომლის დროსაც ზესტაგს კლავდნენ სამსხვერპლოდ.
25. სოფლის მეურნეობა — იგულისხმება ზენა-თესვა და საქონლის მოვლა, რაც გულისხმობს დაბინადრებას — მომთაბარეობის საწინააღმდეგოდ. ესაა ზარათუშტრას მოძღვრების საფუძველი.
26. ზესტაგის გამჩენი — პირველხარისა და საერთოდ პირუტყვთა გამჩენი ერთი აპურა, მათი დამცველი.
27. აეშმა „თავაშეებულება“ — ერთი დაეუთაგანი (იხ. 19 და 24).
28. დრუგის მიმდევარი — იხ. 14.
29. ზესტაგის მზრდელი — მიწის მუშა და საქონლის მომვლელი.
30. ზარათუშტრა სპიტიმი: ზარათუშტრა წარმოშობლა სპიტამას გვარეულობიდან.

ბირეა

გან მიენი


 ქართველი
 მწიგნობრები


ბოლოსდაბოლოს რაა სიცოცხლე

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 ერთი უბრალო გზა არის მხოლოდ.
 გზა მშვიდობისა გქონოდეთ, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 თამაში არის მხოლოდდამხოლოდ.
 კარგად გამყოფით ყოველყამს, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 ერთი მაღალი კიბეა მხოლოდ.
 სულ მაღლა გვევლით ამ კიბით, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 სულ ერთი ჭიქა ღვინოა მხოლოდ.
 სულ მაღლა ასწით ჭიქები, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 აღზევებული ზღვა არის მხოლოდ.
 მწამს, გადასცურავთ ამ ზღვასაც, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 მხოლოდ სრბოლაა, მხოლოდდა-
 მხოლოდ
 ნუ შეჩერდებით ნურასდროს, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 სიბრძნის წყაროა მხოლოდდამხოლოდ-
 მაშ, დავეწაფოთ ამ წყაროს, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 ყვაველი არის მხოლოდდამხოლოდ.
 ყველა ყვაველი გიყვარდეთ, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 ზღაპარი არის მხოლოდდამხოლოდ.
 ნუ დაივიწყებთ ამ ზღაპარს, ძმებო!

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს?
 მხოლოდ ბრძოლაა მხოლოდდამხოლოდ-
 სიცოცხლისათვის იბრძოლეთ, ძმებო!

თარგმანი მორის ფოსტიჟვილისა

 აკაბთა გაერთიანებული
 ჩესპუბლიკა

გაჰმურ თიბუჯი



ჭმინღანი

მაისის ერთ საღამოს ვიმაში¹ ვიყავი
 ჩემს მეგობარ ბურჰან ბეისთან. ვისხე-
 დით და ესაუბრობდით მისი მშვენიერი
 აგარაკის სურნელოვან ბაღში.

ჩემი მეგობარი პოლიციის ჩინოვნიკი
 იყო. ერთ ღროს მას მმართველი პოს-
 ტები ეკავა სხვადასხვა ოლქში. დაკაპ-
 ლის² რწმუნებულად რომ მუშაობდა,
 პენსიის ასაკს მიაღწია და სამსახურს

თავი დაანება. დიდი ხნის ხეტიალის
 და მოუსვენარი ცხოვრების შემდეგ
 რომელიც მან ბოროტმოქმედთა დევნა-
 სა და ამქვეყნად წესრიგის დამყარება-
 ში გაატარა, აქ დასახლდა.

ჩემი მეგობარი სამოც წელს გადას-
 ცილებოდა, მაგრამ მაინც შერჩენოდა
 მხედრის იერი. წელში გამართულს გა-
 ნიერი მხრები და კუნთმაგარი ხელები
 ჰქონდა. სახეს გადაგრეხილი უღვაშები
 უმშვენიებდა.

სალაპარაკო შემოგვაკლდა. ერთხანს

1 პროვინცია ეგვიპტეში.

2 პროვინცია ეგვიპტეში.

დავდუმდით და შევაცქერდით ჰორი-
ზონტზე ზვიადად ამართულ მთვარეს,
რომლის მოციმციმე სხივები გამდნარი
ვერცხლივით ჟონავდა ტოტებში.

მე შემეშინდა დუმილი დიდხანს არ
გაგრძელებულიყო და მოწყენილობას
არ მოეწამლა ჩვენი სიმშვიდე. ბურჰან
ბეის ვთხოვე, ეამბა ჩემთვის ყველაზე
უცნაური ამბავი, რაც კი მას თავისი
სამსახურის დროს შემთხვევია.

ჩემი მეგობარი მშვიდად უმზერდა
მთვარეს. მერმე ვამიღიმა და მითხრა:

— ხალხს ჰგონია, რომ იმ დანაშაულ-
თა უმეტესობა, რაც ჩვენში ხდება,
ერთფეროვანია. არაფერია მათში ახალი
და საოცარი. ეს მართლაც ასეა, მაგ-
რამ მე მახსენდება ერთი ამბავი, რო-
მელიც სხვებისაგან გამოირჩევა.

იმ დროს პოლიციის უფროსად ვმუ-
შაობდი შარკიას¹ პროვინციაში, შარ-
ტო ვცხოვრობდი, ერთი ნუბიელი მემ-
სახურებოდა, ხაირი ერქვა. ხაირი ზში-
რად თან დამყვებოდა ჩემს ექსპედი-
ციებში. მე ვიცოდი, თუ როგორი
ერთგული და დაუზარებელი იყო ხაი-
რი, ამიტომ ვაფასებდი და ვზრუნავდი
მისთვის. ერთხელ ხაირმა მითხოვა, რომ
ერთი დღე-ღამით გამეშვა. უნდოდა
ექიმთან წაეყვანა ცოლი, რომელიც
დიდი ხანია ავადმყოფობდა.

მეორე დღეს დაბრუნდა ჩემი მსახუ-
რი. საუზმეს მიმზადებდა. მე ვკითხე:

— რა ვითხრა ექიმმა, ხაირ?

თავისი საქმით გართულმა ერთხანს
პასუხი შეაგვიანა, მერმე მომიგო:

— ექიმთან არ წაესულვართ, სიდი 2.

— აბა, ვისთან გყავდა ცოლი?

ხაირმა მაგიდაზე დალაგებული თევზ-
შების ვასწორება დაიწყო და წაიბურ-
ბუტა:

— შეიბ ტაშტუშისთან, სიდი!

— შეიბ ტაშტუშის რა ესაქმება შე-
ნი ცოლის ავადმყოფობასთან?

— შენ ზომ იცი, სიდი, ექიმი არ და-
მიტოვებია, რომ კარზე არ მიეღვამო-
დო. შენ იმ ექიმებთან გამგზავნე, ვი-

საც ყველაზე მეტად ენდობოდი და
როგორც იცი, მათ არა გვარგეს რა.

რქეში პური ჩაფშვენი და ქაში და
ვიწყე...

შემდეგ ვკითხე:

— გაგიკეთათ რაიმე შეიხმა?

ხაირი ვასწორდა და დაბეჯითებით
მითხრა:

— კეთილად დამთავრდა, სიდი, ჩვე-
ნი იქ მისვლა!

ავხედე და ვკითხე:

— მოარჩინა შენი ცოლი შეიხმა?

— წელის ტკივილმა უკლო და ახლა
აღარა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ მეო-
რედ მივიღეთ შეიხთან და მკურნალო-
ბა დაგვასრულოთ.

კოვნი ავთამაშე. ხაირს მივაჩერდი.
გამეღიმა და ვუთხარი:

— დარწმუნებული ხარ რომ შენ
ცოლს მაგ შეიხმა არგო?

ხაირმა დაბეჯითებით მითხრა:

— დაიჯერე, სიდი, რომ შეიხი ნამ-
დვილი სასწაულთმოქმედი, — ისეთ
ავადმყოფებს არჩენს. ყველა ასე ამ-
ბობს.

— სად არის შეიხი?

— აბულარიისის სოფლის ბოლოს,
სამლოცველოში. გარეთ არ გამოდის.

მე ვიცოდი, რომ ეს სოფელი დამო-
რებული იყო დასახლებულ ადგილებს.
ამ სოფელსა და ზაკაიხიკს შორის, სა-
დაც მე ვცხოვრობდი, სამი საათის სა-
ვალი იქნებოდა. ნახევარი გზა სამან-
ქანო იყო, ნახევარი — ცხენით სასი-
არულო.

დაბინდებისას, ვახშმის შემდეგ, სი-
გარა გავაბოლე. ხაირმა შეიხ ტაშტუშის
სასწაულებსა, გულუხვობასა და კე-
თილშობილებსაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.
მე სიამოვნებით ვუსმენდი და ზშირად,
კიდევ ვამეორებინებდი მონაყოლს,
რადგან ძალიან მაინტერესებდა ასეთი
უჩვეულო ადამიანების ფსიქოლოგია.
მე ჩემი საკუთარი დაკვირვებები და
სტატისტიკური ცნობებიც მჭონდა, რაც
გამოცდილებას მიქნდა.

ბოლოს ხაირს ვკითხე:

— მეორედ როდის წახვალ შეიხთან?

1 პროვინცია ეგვიპტეში.

2 ბატონო.

მომავალ ხუთშაბათს, სიდი.

— იქნებ გამოგყვე.

ხაირმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— ინებეთ, სიდი... რაიმე საქმე გაქვთ მასთან?

მე გავიღიმე და ვუთხარი:

— კაცი დაზღვეული არ არის ავად-მყოფობისაგან.

— მე გიწინასწარმეტყველებ, რომ მისი ხელი გაგამრთლებს.

— ჩემს ფეხზე ვცდი შენი შეიხის მკურნალობის ძალას. შენ ხომ იცი, ცოტა ნაღძობი მაქვს.

ხაირმა გამაწყვეტინა:

— ეს იმ ამბის შემდეგ ხომ არა, ავაზაკებს რომ მისდევდი ასიუტის ერთ სოფელში და ცხენიდან გადმოვარდი?... — აგრეა.

— ჩვენი შეიხის ერთი შელოცვა უეჭველად მოგიჩინებს სატივარს.

მე სიგარა გვაბოლღე და სიცილბთ ვუთხარი:

— ალაჰმა ინებოს!

გათენდა ხუთშაბათი. ჩიტებთან ერთად გავიღვიძე. სოფლის მამასახლისის ტანსაცმელი გადავიცევი, ისიც მშველოდა, რომ შვეგერემანი ვიყავ და უკეთ შემქმლო ჩემი ვინაობის დაფარვა.

მოვიხმე ხაირი. ხაირმა გაკვირვებით შემომხედა. მე ვუთხარი:

— არ მინდა, რომ ხალხმა თვალბით შემქამოს.

— მართალი ხარ...

სახლიდან გამოვედი და მანქანისაკენ გავემართე. დაეინახე ხაირის ცოლი, შვე ჩადრში გახვეული, ის ჰგავდა რაღაც უფორმო ფუთას, საიდანაც აღელვებისაგან გაბრწყინებული თვალბის მეტი აღარაფერი მოჩანდა.

მხარზე ხელი დავეკარ და ვკითხე:

— როგორა ხარ, ჰაჯა?

— ძალიან კარგად, შეიხის კურთხევით.

მერე ლოცვების ბუტბუტი დაიწყო.

მოვიდა ხაირი, ცოლს ხელი მოჰკიდა და ყველანი მანქანაში ჩაესხედით.

ჰაჯამ უარი თქვა, რომ მანქანაში

ჩემ წინ დამჯდარიყო, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი მისთვის ქმატი ჩემ გვერდით მოიკუნტა. *ბიზლ-ბიზლ*

დაიძრა მანქანა. ხაირის ფეხთით მჯდომი, შვეებში გახვეული მღუმარე ჰაჯა დაგდებულ ფუთასავით ირწეოდა.

დროდადრო ხაირის ლაყბობა არღვევდა სიჩუმეს. ქება-დიდებას ასხამდა შეიხ ტაშტუმის. ჰყვებოდა იმ სასწაულებზე, რაც მას ხალხში გავგონა. მუდამ მარბულობსო შეიხი; ძალიან მკირვლით კმაყოფილდებაო. ჰამს მხოლოდ იმდენს, რომ სიმშლით არ მოკვდეს. არც საქმელს ინახავს და არც ფულსო. პირიქით, გაკვირვებულებს ურიგებს იმ საჩუქრებსა და შესაწირავს, რაც მასთან მოაქვთო. კვირამი ექვს დღეს გარეთ არ გამოდის. ჩაეკტილია სამლოცველოში. სამლოცველოს კარს არავინ აღებს. დამეს ლოცვა-ვედრებაში ატარებსო. არ სძინავსო. ხუთშაბათი რომ დადგება, სამლოცველოს კარს უღებს ნახვის მსურველთ, დაჯდება, ისმენს მათ საქმეებს, შეულოცავს და აკურთხებსო მათ.

დაასრულებდა ხაირი რაიმე ამბავს და გადახედავდა შვეებში გახვეულ ცოლს. ის კი, მღუმარებაში ჩაფლული, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევდა.

ქაფრუსაკრს რომ მივალწივთ, ვიქირავეთ სამი ჯორი, რომელთაც ტაბით მივყავდით ამ მომქანცველ გზაზე. ვკრიდით მინდვრებსა და ყანებს. გზას გვიძნელებდა პაპანაქება სიცხე. მზე უმოწყალოდ გვეწავდა.

გზაში სულ იმაზე ვფიქრობდით, თუ რას ვნახავდით შეიხთან ისეთს, რაც ჩემი ფსიქოლოგიური დაკვირვებისათვის გამომადგებოდა.

გამოჩნდა აბულარაისი. ხაირმა თხელი ბუჩქნარით გარშემორტყმული თვალისმოშკრელი თეთრი პატარა შენობა დამანახა და მითხრა:

— ეს არის სამლოცველო.

გავემართე სამლოცველოსაკენ, დიდძალი ხალხი შეენიშნე. ზოგი კართან დამჯდარიყო, ზოგი სამლოცველოს გარს უვლიდა, ნაწილი მოშორებით იდგა, ნაწილი კი — იქვე ახლოს.

ჩამოვხდით და კარებისაკენ წავედით. გზას მივიკვლევდით ზღვა ხალხში და ვცდილობდით, როგორმე კარებამდე მიგვეღწია.

სამლოცველოს კარი შეიხის ნახვის მსურველებითა და მიმდევრებით იყო გაკედილი. ესენი იყვნენ ჯოჯოხეთში დაყრდნობილი მოხუცები, მწუხარე ქალები, რომელთაც დაუძლურებულ ბავშვები ჩაეხუტებინათ. ერთი სიტყვით სხვადასხვა ჯურის ხალხი ირეოდა სამლოცველოს წინ. ამას მანდილით თავი წაეკრა, იმას სახვევით ხელი შეეხვია, ერთს ბისტადაცრულ თვალზე თავსაბური ჩამოეფარებინა და ხელის ფათურით ცდილობდა გზის გაკვლევას... მე გამაოცა მხოლოდ იმ სიხარულმა და იმედმა, რომელიც აქ მყოფთა სახეებიდან გამოსჰვიოდა. აქ იყო ის, ვინც სენის განსაკურნებლად მოსულიყო. ისეთიც, ვინც უკვე მორჩენილიყო და ახლა აღთქმის შესრულებლა უნდოდა.

ბნელი და ნესტიანი იყო ეს ადგილი და ცხელი გზის შემდეგ დამამშვიდებელი სიგრილე ვიგრძენი. უამრავი ხალხი შექუჩებულიყო, მაგრამ მაინც სასიამოვნო სიჩუმე სუფევდა, რომელიც ადამიანს აწყნარებდა და იმედს ჰკვირვებდა. მორიდებული, შიშნარევი ჩურჩული ისმოდა მხოლოდ. ისმოდა ვედრება, რომ ედღეგრძელა შეიხსა და მისი წყალობა არ მოშლოდა გასაჭირში მყოფთ.

ხაირი და მისი ცოლი ჩემს წინ მიდიოდნენ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით, ადგილი განთავისუფლდა და გამოჩნდა საფლავი. საფლავთან შორიანხლოს ქვის სკამზე ფეხმორთხმული შეიხი იჯდა. სპეტაკ ტანსაცმელში, დიდ ჩალმასა და განიერ ჯუბაში გამოწყობილს ხელში მსხვილი კრიალოსანი ეკირა. ლამაზი სახე ჰქონდა შეიხს — აგზნებული თვალები, დიდებული ქაღარა წვერი მკერდზე ამაყად ეფინებოდა.

ნელი ნაბიჯით მივეახლოვდით, მის მახლობლად დავდექით. ველოდით, როდის მოგვიწვედა დაჯდომა. ხაირმა

თვალით საფლავზე მანიშნა, — და ყურში ჩამჩურჩულა: ეს არის შეიხის მასტაბა!... განმარტოებისას ვეცდით დროის დიდ ნაწილს.

ერთხანს გაევირვებული ვიდექი და შეიხიდან საფლავზე გადამქონდა მზერა. ცოტა ხნის შემდეგ შეიხს დავაპტერდი. დიდხანს ვუცქერდი მის თვალებს.

თავი ჩაელუნე და ჩემს თავს შევეკითხე: ნუთუ ეს თვალები წინათ არ მინახავს?

თავი ავწიე და შეიხის სახის ჰერეტიკა განვაგრძე. გარშემო მიმოვიხედე, დავინახე, რომ შეიხის მიმდევართა მზერა ისე მიეზიდა შეიხის სახეს, თითქოს მათ რაღაც უხილავი ძაფები აკავშირებდათ... პირდაღებული, მოჯადობებული და დამძაბული უსმენდნენ შეიხს. შეიხი ლაპარაკობდა ჩუმად. ტკბილი ღიღინით, ლოცავდა ავადმყოფებს და სიბრალულითა და სინაზით თავზე ხელს უსვამდა. ხანდახან ხელს გააპარებდა გაჭირვებული მთხოვნელისაკენ და ჩუმად საჩუქარს აძლევდა...

ისევ დაეინებით დავაცქერდი შეიხს. დიდხანს ვუმზერდი. მოგონებები ამეშალა.

უეცრად შეიხის ხმა ჩამესმა: — მომიახლოვდი, ნუ გეშინია.

მივედი და მის მახლობლად დავდექი... ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ერთხანს მდუმარედ ვუცქერდით ერთმანეთს. გვგონებ ოდნავ შეკრთა შეიხი! მის ტუჩებზე მსუბუქი ღიმილი შევნიშნე. ამ გაურკვეველი ღიმილით რაღაც გრძნობის დამალვას ხომ არ ცდილობდა შეიხი?

ისევ შევეკითხე ჩემს თავს:

— დარწმუნებული ხარ, რომ წინათ არ გინახავს ეს სახე? ხაირის ხელის შეხებამ გამომაფხიზლა. მანიშნებდა, რომ ახლოს მივსულიყავი... გავეგონე, შეიხს უთხრა:

— ჩემი მეგობარი ფეხის ტკივილს უჩივის და შენის ხელისაგან ელის განკურნებას...

ფეხი გაეწიე და შეიხს ვუთხარი:

— რამდენიმე წლის წინათ ცხენიდან გადმოვვარდი და ფეხი დღემდე მტკივა. შეიხმა ხელი აღაპყრო და წაიბუტბუტა:

— მორჩები ნებითა ალაპისათა.

მერე მშვიდი სახითა და ჩვეული ღიღინით შელოცვა დაიწყო. შელოცვა რომ დაამთავრა გარკვევით მითხრა:

— მალე მორჩები, რამეთუ ალაპი ყოვლის შემძლეა.

თვალეზი დახუჭა. თითქოს ჩათელი-მა... ხაირმა ხელი მომკიდა და მითხრა:

— მანდილის ქვეშ დასდე, რამდენსაც ვაიბუტბუტებ.

ფული ამოვიღე და შეიხის ფერხთ დაფენილი წითელი მანდილის ქვეშ დავდე...

აღდექი და კარებისაკენ გავემართე. ხაირი და მისი ცოლი შეიხთან დაეტოვე თავისი საქმე რომ დაემთავრებინათ.

გამოვედი და ხის ჩრდილს შევაფარე თავი. ხის ქვეშ შეიხის სტუმრები შეკრებილიყვნენ და საუბრობდნენ. მათ მახლობლად დავჯექი. მივესალმე და მეც შევეურთდი საუბარს. ერთმანეთს უამბობდნენ თავისი მოსვლის მიზეზს. ლაბარაკობდნენ იმ სიკეთესა და კურთხევაზე, რაც შეიხისაგან მიეღოთ.

მინდოდა ყველაფერი გამეგო შეიხზე, საიდან გამოჩნდა, როგორი იყო მისი ცხოვრება. ერთმა მათგანმა დაიწყო საოცარი ამბის მოყოლა, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ მომხდარიყო. სოფლის მახლობლად ერთი წმინდანის მიტოვებული და დანგრეული სამლოცველო ყოფილა. ამ წმინდანს შეიხი ტაშტუში რქმევია. საფლავის თაყვანის საცემად მხოლოდ ამ სოფლისა და მახლობელი სოფლების ხალხი დადიოდა.

ერთხელ საფლავთან ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ გლეხს გაუვლია. გლეხს მცხუნვარე მზისათვის თავი აურიდებია და დასასვენებლად საფლავის მახლობლად ბუჩქის ქვეშ დამჯდარა. უეცრად საფლავიდან რაღაც ხმა შემოესმა. გლეხი შიშისაგან აკანკალე-ბულა და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ

ლონე გამოსცლია. საფლავიდან ვილაცის თავი ამოუყვია და, როგორც კი გლეხისათვის მიუხედავს, იმწამსვე გაუჩინარებულა. ავადმყოფი კაცი განცვიფრებისაგან გაქვავებულა. დავეორება უნდოდა და ხმა ჩაუწყდა, ფეხები თითქოს ადგილზე მიეღურსმა, ერთხანს იყო ასე გახევებული... მერე გაახსენდა ერთი გადმოცემა, რომელიც თავისი ტომის უხუცესთაგან სმენოდა. შეიხი ტაშტუში ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ სააქაოს ველინებათ დავინც ამ დროს მისი ხილვით გაბედნურდება, შეუსრულდება, რასაც შეიხს სთხოვს... გლეხმა იგრძნო რაღაც სიმშვიდე, რომელიც მთელ მის სახსრებს მოეფინა. დიდხანს უყურებდა საფლავს და აღელვებული ბუტბუტებდა.

დიდხანს ლულულებდა ასე გაურკვეველად. როდესაც გონს მოვიდა, ხმა-მალა წამოიძახა:

— ჰოი, წმინდანო! ჰოი, ჩემო მისაქცეველო, შემომსუბუქე ტანჯვა, ღირსეულად რჩეულო.— ცოტახანს შეიკადა, თან საფლავს თვალს არ ამორებდა. ისევ დაიწყო თხოვნა და ვედრება:

— ნუ გამიკრუებ იმედს, ღირსეულად რჩეულო, მიბოძე, რასაც გთხოვ. შენი ხილვით განმანათლე, ჰოი, ვარსკვლავთ ვარსკვლავო...

ასე ვედრებოდა გლეხი და უეცრად დაინახა, რომ საფლავი ატორტმანდა. პირი დაალო და იქიდან შეიხის სახე გამოჩნდა. გამეფდა სიჩუმე, გლეხი დახოჭილი უმზერდა შეიხს.

ბოლოს შეიხმა დაილაბარა და გლეხს ჰკითხა:

— რა გინდა ჩემგან, მონათ ღეთისა! გლეხმა წაიბუტბუტა:

— შენი კურთხევა, ავადმყოფობისაგან განკურნება.

შეიხმა ბუტბუტი დაიწყო, გლეხს სახეზე ხელი წაუსვა. მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, მერე მოიკუნტა და ქვების ქვეშ გაუჩინარდა...

ერთხანს იდგა გლეხი და სმენადამბული საფლავს თვალს არ ამორებდა, მაგრამ ირგველი ისევ სიჩუმე იყო.

გლებმა წამოდგომა დააპირა და იგრძნო, რომ ძალა და ენერჯია უხვად შეჰმატებოდა. ტკივილი დაუამდა და ბოლოს სულ გაუქრა. გულში მოზღვა-ვებული საიდუმლო ვეღარ დაიტია, სოფლისკენ გაეშურა და თავისი თავ-გადასავალი სოფლელებს უამბო. მსმენე-ლებმა ის გიჟად ჩათვალეს...

არ გასულა რამდენიმე დღე და სო-ფელში ხმა გავარდა — შეიხი ტაშტუ-ში საფლავიდან ამდგარა და ხალხს გა-მოცხადებიაო. გამართლდა ლეგენდა ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ შეი-ხის ამ ქვეყნად წარმოგზავნის შესა-ხებო. არც კი გასულა რამდენიმე დღე, რომ დილიდან სადამომდე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდა საფლავის მოსანა-ხულებლად. ამის შემდეგ საფლავზე სამლოცველო აუშენებიათ და შეიხის ამბავი მახლობელი თუ შორეული სოფლებისთვისაც მოუფენიათ...

მთხრობელმა რომ ამ ადგილს მიად-წია, სიხარულით მთვრალი ხაირი და მისი ცოლიც გამოჩნდნენ. თვალები იმედით გაბრწყინებოდათ...

სახედრებისაკენ წავედით, შევსხედით და გზას გავეუღეჭით.

გზაში ხაირი გაუთავებლად ლაპარა-კობდა. მე ყურადღებას არ ვაქცევ-დი — სხვა ფიქრებში ვიყავი გართული. მივალწიეთ ქაფრუსკარს: ჩამოვხდით სახედრებიდან, რომ მანქანაში გადავ-შსხდარიყავით.

კუთხეში მოკუნტული ხაირის ფეხ-თით შავებში შეხვეული ჰაჯა ირწო-და; ხაირმა მკითხა:

— უკეთესობა არ იგრძენი, სიდი? მე, დაბნეულმა, ვუპასუხე:

— მართლაც კურთხეული კაცია შეიხი!

გაბრწყინებულმა ხაირმა წამოიძახა:

— მე ხომ გითხარი, სიდი... იქნებ ერთი მისვლაც გეყოს და თუ არა, შეორედ მისვლა უკვალოდ გააქრობს მაგ ტკივილს...

სახლში მივედით; გავიხადე ტანსაც-მელი; თვალწინ სულ შეიხის სახე მედ-ვა. უეჭველად მინახავს ეს სახე... რო-

დის?.. სად?.. ვცაღე გახსენება... ნუთუ შესაძლებელია?

ერთი ეკვი აღმეძრა. **შეიხი** დავი-წყე ძველი ქაღალდების ქექვა და ჩემი დღიურის ძებნა. ამ დღიურში შემქონ-და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი საქ-მეები...

ვშლიდი ფურცლებს და ვკითხულობ-დი, სანამ არ წავაწყდი, რასაც ვეძებ-დი. დავიწყე მისი კითხვა და დაწვრი-ლებით შესწავლა. მერე სურათების ალბომი ამოვიღე და გადავთვალიერე. ბოლოს ერთ სურათზე შეეჩერდი. ამოვ-გლიჯე და დაკვირვებით დავაცქირდი მის ნაკეთებს.

დიდხანს ვკითხულობდი, ვაკვირდე-ბოდი სურათს და ერთმანეთს ვადარებ-დი ჩემს მოგონებებსა და სამლოცვე-ლოში მჯდომი შეიხის სახეს.

გავიდა რამდენიმე დღე და ჩემი ინ-ტერესი ამ საქმისადმი არ დამცხრალა. გადავწყვიტე, აბულარაისში გამეგზავ-ნა მეთვალყურეები, რომელნიც გამო-არკვევდნენ შეიხის ამბავს და საიდუმ-ლოდ ნიადაგსაც მოსინჯავდნენ. კაცო გავგზავნე ასიუტის ოლქშიც. მას ერთი ყაჩაღის — ალ-ასლუჯის საგანგებო საქ-მე უნდა ჩამოეტანა. ალ-ასლუჯი ერთი იმ ბანდიტთაგანი იყო, რომლებთანაც სისლისმღვრელი ბრძოლა შემემთხვა ამ ათიოდე წლის წინ; სწორედ იმ ბრძოლაში დავიშავე ფეხი.

ღამეებს თეთრად ვათენებდი. ვათ-ვალიერებდი საბუთებს. ვუსმენდი მ-ბებს, რომლებიც მეთვალყურეებს მოჰ-ქონდათ ჩემთან და, რაც უფრო ღრმად ვიძიებდი ამ ამბავს, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი ერთ რამეში. დროდა-დრო შეიხის სახეს აღვადგენდი ჩემს მეხსიერებაში და ჩემს თავს ვეკითხე-ბოდი: მართლა შეკრთა შეიხი ჩემი და-ნახვისას?

გავიდა დღეები და მივედი სასიხა-რულო დასკვნამდე, რომ ეს წმინდანი შეიხი და სამართლის მიერ დევნილი ალ-ასლუჯი ერთისა და იმავე ადამიანის სახელებია.

მე საშინლად განეცვიფრდი, როგორ

მოახერხა ამ ყაჩაღმა და ბოროტმოქმედმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა ზემო ეგვიპტეს, ხალხისათვის თვალის ახვევა. როგორ მოახერხა, რომ გამოქვეულიყო იმ ადგილებიდან და ათი წლის განმავლობაში ამ სოფლისათვის შეეფარებინა თავი ისე, რომ არავის სცოდნოდა ეს ამბავი. როგორ მოახერხა, ღვთისკაცად გადაქვეულიყო — შუამავლად ალაჰსა და მის მონებს შორის, შუამავლად, რომელიც უხვად არიგებდა ლოცვა-კურთხევასა და მოწყალებას.

მაგიდას ხელი დაეარტყი და ავდექი. თვალებში ზეიმი და სიამაყე მიბრწყინავდა. სიხარული მეფსებდა, სადაცაა ხელთ ვიგდებდი ამ ავაზაკს, რომელსაც დიდი ხანია ვეძებდი, რომლის დასაჭერად ბევრი ვიწვალე და ის იყო უნდა შემეპყრა, რომ ხელიდან გამისხლტა და გაქცევით უშველა თავს.

დავაწყე გეგმა ჩემი მიზნის მისაღწევად. ხუთშაბათ დილას მოვემზადე და, მამასახლისის ტანსაცმელში გადაცმული, გარეთ გამოვედი. კარებთან ხაირი შემომხვდა და მითხრა:

— როგორც ჩანს, შეიხთან მიდინარ მკურნალობის დასასრულებლად.

მე ვუბასუხე:

— ჰო, იმედი მაქვს უკანასკნელად მივდივართ და მეორედ აღარ დამპირდება მისვლა.

— არ წამოგყვე?

— არა. მირჩევნია, მარტო წავიდე, გზა კარგად ვიცი, ხაირ!

მანქანაში ჩავჯექი და ქაფრუსაკრისაკენ გავეშურე. ქაფრუსაკრში რომ მივედი, სახედარზე გადავჯექი და დილით აღრე სამლოცველოს მივალწიე. გავემართე თხელი ბუჩქნარით გარშემორტყმული სამლოცველოსაკენ. დავინახე აქეთიქით გაფანტული, ხალხში შერეული ჩემი შეფალაყურეები. გადაცმული პოლიციის ინსპექტორი მომიახლოვდა და წამჩურჩულა:

— ყველაფერი მზადაა... ყაჩაღი ვერსად წავივია.

ინსპექტორს რამდენიმე განკარგუ-

ლება მივეცი. ის გამშორდა. მე რევოლვერი მოვისინჯე ბუდეში.

სამლოცველო, ჩვეულებრივად, შეიხის მოწაფეებითა და მიმდევრებით იყო გაპყდილი, ზოგი გადიოდა, ზოგი შემოდიოდა. სამლოცველოში შევედი და კარის მაზლობლად დავდექი. ვუთვალთვალე შეიხს ისე, რომ მას არ შევემჩნიე. ის იჯდა თავის ქვის სკამზე. მისი საზეიმო გარეგნობიდან დიდებულება და ღირსება გამოსკვიოდა. ვაკვირდებოდი მის მოძრაობას, მის სახეს და მე მაცვიფრებდა, თუ ამ ცოდვილმა და უკეთურმა კაცმა როგორ მიიღო ასეთი ღვთისმოსავი, სათნო გამომეტყველება. საიდან აქვს ეს მაღალი და დიდებული შარავანდელი?

მე მზად ვიყავი, უარმეყო ჩემი რწმენა და მეფიქრა, რომ მხედველობა მლატობს, მეფიქრა, რომ ტყუილია ყოველივე ის, რაც მე ამ წყვეულ ყაჩაღზე ვიცი, რომელმაც ქანცი გამოაცალა პოლიციას თავისი ბოროტებითა და ავაზაკობით.

ხალხს მისი სახისათვის თვალი ვერ მოუწყვეტია, თითქოს მათი თვალები იღუშალი ძაფებით დაკავშირებოდა მას. შეიხი თითქოს სიმშვიდესა და სიწყნარეს ჰყენდა მათ. შეიხის თვალები მოწყალებასა და სიხარულს ასხივებდა. მოედინებოდა მისი ტბილი საუბარი, რომელიც სათნოებასა და სიკეთეს აფრქვევდა მსმენელთა გულს!..

აი, მან ხელი შეახო თანამოსაუბრეს, ავადმყოფს, რომელიც ტყვილებისაგან კვნესოდა და იმწამსვე მომხიბლავი და საოცნებო სამყარო გადაიშალა მის თვალწინ.

ირგვლივ მიმოვიხედე. მე შემაკრთო სიხარულის ცრემლებმა, დედების თვალები რომ აეგსოთ, მათ გულში ჩაეკრათ ბავშვები, რომელთაც შეიხის კურთხევამ განკურნების სიტკბო არგუნა.

ვიგრძენი, რომ აქ ყოველი გული სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობით ძგერდა და ხალხი მაღლს სწირავდა ამ სათნო შეიხს, რომელიც წმინდა სიკეთეს განასახიერებდა ბოროტი და

ცოდვილი ქვეყნისაგან განმარტოებულ ამ საკანში.

განა შეძლებდა ადამიანი, ეკვი შეეტანა მისი მიზნის გულწრფელობასა და სულის სიწმინდეში?

ახლოვდებოდა დათქმული დრო. მე უნდა მივსულიყავი შეიხთან, რომ მას შეელოცა ჩემთვის, პოლიციის ინსპექტორი კი ამ დროს ლოცვების ბუტბუტში ვართულ შეიხს თავს უნდა დასხმოდა, როგორც კი მე ვანიშნებდი...

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. შემდეგ შევჩერდი... ისევ განვაგრძე გზა. მძიმე და ნელი იყო ჩემი ნაბიჯები. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი და ყველგან ვაწყდებოდი რწმენით აღსავსე ამ მშვიდ სახეებს, მოღიმარ ტუჩებს, სათნო სუნთქვას... და ნაბიჯი კიდევ უფრო დამიძიმდა...

ცოტა ხნის შემდეგ შეიხის წინაშე აღმოვჩნდი, შეიხის ტუჩებზე იდუმალი ღიმილი გამოკრთა.

დაბნეული შევჩერდი. ეკვებმა შემიპყრო.

დავინახე, რომ ინსპექტორი მანიშნებდა, დამემთავრებინა ჩემი ამოცანა.

— მომიახლოვდი, მომიახლოვდი — გავიგონე, შეიხის ჩვეულებრივი ღილინი.

შევხედე შეიხს. ერთხანს თვალი თვალში გაუყარეთ ერთმანეთს. მერე ვიგრძენი, რომ უნებურად თვალები დავხარე.

— მომიახლოვდი, — მომესმა შეიხის ხმა, — და განიკურნები ნებითა და ალაქისათა.

დავკეტი. შეიხმა ლოცვების ბუტბუტი დამიწყო. ხელს მისეამდა ფეხზე. თავი აქინდრული და თვალგადახრილი ვიჯექი საოცარ ზმანებებში, სიზმართა მორევში ჩაფლული.

— რაღა ეშველება ამ სოფელს, ეს კეთილი წმინდანი რომ მომორდება მას? — შევეკითხე ჩემს თავს.

როგორც კი შეიხმა, შელოცვა დაამთავრა, ვიგრძენი, რომ ჯიბიდან ფულს ვიღებდი და, ისევე, როგორც პირველად, მანდილის ქვეშ ვდებდი. ავდექი და კარებისაკენ წამოვედი.

კარებთან რომ მოვედი, ვიგრძენი, ვილაკამ მომწია. ეს პოლიციის ინსპექტორი იყო. შეწუხებულმა ყურში ჩამჩურჩულა:

— რა მოხდა, რა შეიცვალა? მე დაბნეული ვიხედებოდი წინ.

აღელვებული ინსპექტორი ძლივს იმაგრებდა ბუზლუნს.

— ის ბოროტმოქმედი... ეს მუხთალი, თქვა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, — როგორ უნდა მოვიცადოთ?

ხელი მოვკიდე და სახედრების სადგომთან რომ მივედით, ესლა ვუთხარი:

— კინალამ საშინელი შეცდომა ჩავიღინე.

— როგორ?... როგორ?...

ხელი მოვუჭირე და ვუბასუხე:

— მერე აგისსნი...

იმ წამს კი მოულოდნელად საოცარი რამ ვიგრძენი: მოვდიოდი და ტყვილი, რომელიც ათი წლის განმავლობაში მაწუხებდა, სადღაც გამქარალიყო... ო, ღმერთო... ნუთუ ასე უეცრად განვიკურნე?!

მინდოდა, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი. დავიწყე სირბილი, მიწაზე ფეხების რტყმევა, მაგრამ ტყვილის კვალსაც კი ვეღარ ვგრძნობდი...

ინსპექტორი გაკვირვებული მიყურებდა.

მე სახე გამეშალა. თვალებში სიხარული ჩამიდგა და აღელვებით ვუთხარი:

— შეხედე, უქმად არ ჩაუვლია შეიხის კურთხევას, შეხედე.

თარგმანი არაბულიდან ნანა ფურცელაძისა

ლიბანი

ჩავეან შაკალი



მშვიდობის ქარები

ვეღობ, ვეძახი
 მშვიდობის ქარებს,
 როგორც სულდგმულებს,
 ვესაუბრები.
 იჭროლონ ქვეყნის
 ოთხსავე მხარეს
 და მიმოფანტონ
 ომის ღრუბლები;
 ააცახცახონ,
 ჩაქოლონ რისხვით,
 ვინც ხალხთა კერის
 დაწვა ინდომა.
 არ გვინდა გლოვა,
 ტანჯვა და სისხლი,
 არ გვინდა რბევა
 და წყალდიდობა!
 შაშ, იგუგუნეთ,
 მძლავრო ქარებო,
 ერთი წამითაც
 ნულარ მოცდებით.

გადაუქროლეთ
 შავბნელ გარემოს,
 ხენი მოთხარეთ
 მტრული ოცნების, —
 ამ შრისხანებას
 ვერსად წაუვლენ,
 მათი ფესვები
 სიკვდილმა კოცნოს.
 და გამარჯვების
 დღესასწაულზე
 ჩვენ იმ ხეებით
 დავანთებთ კოცონს,
 ყალყზე დადგება
 ალი ძლიერი, —
 ხალხი ამ დიად
 გზას არ ასცდება!
 გიხმობთ, გეძახით,
 გულთა სიმღერის
 ცის ლაქვარდებში
 ასატაცებლად!

თარგმანი ო. ქუპრაშვილი

იკაყი

მაარუ აბასაში



ჩვენი სამშობლო

სამშობლო ჩვენი ის ბაღნარი არ არის განა,
 სად ერის ფიქრი იღუმალი ჩუმად იზრდება?
 განა მისდამი სიყვარულის უშრეტი ძალა
 ზღვად ნაგუბარი და ჩვენს გულში მდრტვინავი მარად
 სამშობლოს მტერთა აღსაგველად არ აზვირთდება?
 და განა მასვე არ ამშვენებს ეს ცა უძირო,
 რომ აღარ ძალუქს ერს დაჩაგრულს კიდევ უცქიროს?
 განა მიზანი ამ ერისა — შეუბღალავი —
 მშვენიერ ფიქრთა სარბიელზე ქროლვა არ არის?
 მაგრამ სამშობლოს ვერ იგულვებ ბჭემალად სახლად,
 თუ დათრგუნვილი არ აღსდგეი, ძლიერი, მტკიცე.



რადგან ის, ვისაც ბორკილებში ღიმილი ახლავს,
არაკაცია...
მისთვის სამარის ლოდი არის სამშობლოს მიწა!

თარგმანი თამაზ ჩხენკელინსა

პეკინისგანი

ჟიზ ახმარ ჟიზი



ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო!¹

მე რომ შემეძლოს, —
ჩემო ძვირფასო მეგობარო, —
მე რომ შემეძლოს,
შენს დაღლილ სულში
აღვავნო ცეცხლი,
მე რომ შემეძლოს, განვაქარვო ნაღველი
შენი

და ავიჩქროლო ძარღვებში სისხლი,
სიმღერას ჩემსას ძალა რომ ჰქონდეს —
გამოაღვიძოს ვონება შენი,
აგაბოძოქროს,
აგამხედროს და ჩაგინერგოს
სულის მხნეობა ახალგაზრდული! —

მე რომ შემეძლოს, —
მოფერებით დაგვიამო გულის
ტყვილი, —

შეუსვენებლად გიმღერებდი,
დღითა და ღამით...

მე გიმღერებდი:
გაზაფხულზე,
მთვარეზე,
მზეზე.

მე გიმღერებდი:
მთვარის ნათელში შეცურებულ
ხეხილის ბაღზე.

მოგიყვებოდი:
როგორ ღვებდა ამაყ ქალწულთა
ცივი გულები მამაკაცთა მხურვალე
მკერდზე.

მოგიყვებოდი:
რარიგად თრთის ღამაში ვარდი,
როს დაუპირებს მოწყვეტას ვინმე.
მოგიყვებოდი:
ვარსკვლავებით მოქედილ ცაზე
რა შედიდურად მიიჩნევა ქათქათა
მთვარე...

მოგიყვებოდი:
როგორ ჩარბის ჩანჩქერი კლდეზე,
რარიგ იმსხვრევა და იფრქვევა
ჰაერში წყალი...

ასე გიმღერებდი მე!
ასე ვიმღერებდი მე შენთვის,
ძვირფასო მეგობარო ჩემო!

მაგრამ... მკურნალი როდი არი
სიმღერა ჩემი!

მას ძალუძს:
დაგვიამოს ტყვილი ოდნავ...
არის წამალი,
რომლითაც შენ განიკურნები!
გაჯანსაღდები და გამხნევდები!
წამალი იგი
არც მე მაქვს, არც სხვას!
ძალა,
რომელსაც შეუძლია შენი განკურნვა, —
არც მე მაქვს, არც სხვას!

იგი მარტოდენ შენა გაქვს,
ჩემო ძვირფასო მეგობარო!
მხოლოდ შენ,
ჩემო მეგობარო! —

¹ ამ ლექსში პოეტი მიმართავს თავის ხალხს.

ოკანო

ნასარ ხსრაუ

(1003 — 1088)



კამათი ლმერთან

ღმერთო, ღმერთო, ეს სამყარო
 ასე ვრცელი ერთობ
 მუშლის გულში შეგიძლია
 მოამწყვდიო, ღმერთო.
 ზვიად ქედებს, რომ მიჯნავენ
 მაშრიყსა და მალრიბს, —
 ნიქარაში ისე ჩასვამ,
 ოფლსაც კი არ დაღვრი.
 ქარიშხალი — მიწას რომ ძრავს
 და ხეს აწვენს ქმნით —
 შენის ნებით დაჯირითობს
 და განგებით შენით.
 დაგვიდევი სოფლად ბინა,
 ვგმინავთ, თავში ვიცემთ,
 ჩვენ შეწევნა შეგებვეწეთ,
 შენ უარი გვტკლიცე.
 და არ ვიცი აბა აგრე
 ქვეყნად ვის რა არგე.
 ჩვენი შფოთის ნერგიც დარგი,
 ჩვენ რომ ქვეყნად დაგვრგე.
 თუ მთესავმა ქერი თესა,
 ქერი ერგოს მთესავს,
 ხორბალს მხოლოდ ის მოიმკის,
 ვინც ხორბალი თესა.
 იმ ღლეს, როცა არსს ნივთავდი
 და კაცს ქმნიდი მტერით,
 რად შეთითხნე ბილწი ეშმაც —
 კაცთა მოდგმის მტერი?
 სადაო მაქვს ბევრი რამე,
 ვერ წამიყვან ზავზე,
 მაგრამ რა ექნა, მეშინია,
 პირი წყლით მაქვს სავსე.
 რა ექნა, ველარ დავუჯერებ
 მაგ შენს ბოთე ბერებს.
 გვეყო ტვინი რაც გვილაყეს
 და ტყუილით გვბერეს.
 განკითხვის დღით რად გვაშინებ,
 რად გვაძრწუნებ შიშით?
 ენა მაქვს და გეკითხები,
 ძროხა არ ვარ „შში-შში“.
 დავას იქაც გაგიმართავ.

რა, არ მოგწონს განა!
 მაშ პირუტყვად რად არ შემქმენ?
 მემუქრები თანაც.
 ენას პირით თუ ამძრობ
 ეს არ ვიცი, თვარა
 კამათს, იქაც არ დავიშლი,
 არა, არა, არა!
 ხოლო ენას თუ ამაცლი,
 სათნოება შენი
 სად წავიდა, შენს სამართალს
 თვით სდევნიდე, გშვენის?
 ისევე გირჩევ ჯოჯოხეთში
 გადამავდო თავად.
 აბა ავად რად ვილაოთ,
 არც ღირს ამდენ დავად.
 და ისე კი, რომ იცოდე,
 შენვე თვითონ სცოდე:
 ხალხი კრელად შენ შექმენი,
 ჩვენ რად უნდა ვძრწოდეთ!
 მაცთურს კაცთა გულში შესვლის
 შენ მიეცი ნება.
 შენ არ იყავ კაცის ნებას
 რომ მოაბი ენება!
 კაცის მოდგმა აშიმშილე,
 ამოუხმე კუჭი.
 სამათხოვროდ დატანტალობს,
 ლუკმა-პური უპირს.
 შენ კი ზიხარ და იგონებ
 რაღაც „ალალს“, „პარამს“,
 ჩვენს ოხვრას კი ყურს არც უგდებ,
 ჩვენს ჭირსა და ვარამს.
 შენ ხარ თავად დამნაშავე,
 ამდენ ვაი-ვიშით
 რად დაგვსაჯე? გეკითხები,
 შენ კი ამას მიშლი.
 რა ექნა, ზოგჯერ თუ ჩათქვირულ
 ქალთა მიყვარს ცქერა.
 სულ იმათი ბრალი არი,
 მე რად მიმზერ ცერად!
 თუმცა მათაც რაღას ვერჩი,
 შენ არ გვდიე ენებას?



ისევ შენ ხარ დამნაშავე,
თუ სიმაართლე გნებავს.
ისევ შენი ბრალი არის
და პასუხიც ავე.

რად მიეცი მათ ასეთი
კბილები და ბაგე?
შენ არ იყავ, ქალებს ეშხი
რომ არგუნე ნიჭად.

მათი ვნებით ატეხილნი
ბაგეს კბილით ვიჭამთ.
შენ არა ხარ, რომ აელვებ
ლამაზ ქალთა ღაწვებს?

და ჩვენც რა ვქნათ, ველარ ვითმენთ,
დავწვეს, ღმერთო, დაგვწვეს.
შენ აგვიდღვი ქვეყნად ფეხი,
გზებსაც რაღა გალევს.

ფეხი გვაქვს და აბა რა ვქნათ,
უნდა ვსდიოთ ქალებს!

მუდამ დვირედ გეჩვენება
ჩვენს თვალებში ბეწვიც. *არქონული*
რად ჯაერდები, რატომ ცხარბმ; *იქონება*
ქული თუ არ გეწვის.

არ მოგწონვარ? ბოდიშს ვიხდი, —
ცოდვილნი ვართ, ფლიდი?
რატომ წაგვახუთშაბათე,
როცა თვითონ გვქმნიდი?

ყველაფერი ეს თუ იცი,
მა რა ჭირი გეცა.
გინდა ქედი მოგიხარო? —
არ მოგიხრი ქედსაც.

თუ გამოიგე, დაგეხსნები,
შენც დაეხსენ ნასერს.
მოდი, ამით გაავათავოთ,
ასე, ღმერთო, ასე.

თარგმანი სპარსულიდან მაგალი თოდუასი

შეკვი ახრიათი



წითელი ვაზლი

იმ დღეს, სამხრობის ემს შორინს
თავი გადაპარსეს, თვითონ ქალბატონი
ჩააფრინდა თმებში, მაკრატელი მოუ-
მარჯვა და მთელი თავი გადახატრა.

შორინმა რამდენიმე სააფი ვაებითა და
ბოლმით გაატარა და, მიუხედავად იმი-
სა, რომ ქანცი მილეოდა, მის თვალს რუ-
ლი მაინც არ ეკარებოდა.

აბეზარი კოლოები ნიადაგ თავსა და
სახეში ჰქებენდნენ და მოსვენებას არ აძ-
ლევდნენ. ღამის შემხუთავი ჰაერი, აგუ-
რის ნაწიბურებისაგან ალაგ-ალაგ ამო-
ბურცული ქვეშაგები, მწერების ჭრი-
ქინი, სამზარეულოდან მოდენილი ნაგ-
ვის არასასიამოვნო სუნი და, ამავე
დროს, მთვარის მომაჯადოვებელი
ბრწყინვალება, რომელიც მშვიდ ღამე-
ში ცაზე მოწოლილ ღრუბლებს შორის
კიაფობდა, შორინს გულს უღონებდა.

თვალზე ცრემლი შესრობოდა და
ყელში ბოლმა მოსწოლოდა, მაგრამ ამას
შორინისათვის მნიშვნელობა არ ჰქონ-

და. მას ხომ მთელი თავისი სიცოცხლე
მოუსვენრად და უფერულად ჰქონდა
გატარებული. წუხილი და ჯაფა მის-
თვის რაიმე განსაკუთრებულს არ წარ-
მოადგენდა. წინათ ტირილი მალე ერე-
ოდა ხოლმე, იმ დამეს კი, პირიქით, ტი-
რილს ვერ ახერხებდა. ღამის თავი გას-
კდომოდა, თითქოს ცხოვრების სევდა-
წუხილი გულში ვეება ლოდან დასწო-
ლოდა. მაგრამ ამასაც არ ჰქონდა მისთ-
ვის მნიშვნელობა. ცხოვრებაში ამის მე-
ტი სხვა რა უნახავს.

მას განსაკუთრებით თმების გადა-
პარსვა აღელვებდა. ფიქრობდა, ყველა-
ფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი სა-
ხით ხალხში ვერ გამოგჩნდები, ბაზარში
ან საფუნთოშუში ვერ შევალო. ხალხი
რას იტყვის? შეიძლება არაფერი თქვან,
მაგრამ ისე ამითვალწუნებენ, ათასნაირ
გაკიცხაზე უარესი იქნებაო. ყველაზე
მეტად აწინებდა მეზობლის მოსამსახუ-
რე, რომელიც იმაზე ოცნებობდა, რომ

შირინი ბაზრის წვრილ მოხელებს და, მით უფრო, იმ ჯარისკაცს შექმლებოდა ტაბურეტზე რომ ჩამოჯდებოდა და წყლიან თასში ყინულს ურევდა ხოლმე. მძიმე და აუტანელი იყო მისთვის ამაზე ფიქრი.

ერთი პირობა ზეზე წამოდგა, საბანი გვერდზე მიაგდო. აუზთან მივიდა, წყნარად, სიჩუმე რომ არ დარღვეულიყო, პირზე წყალი შეისხა. აუზის წყალი თუმც საკმაოდ თბილი იყო, მაგრამ, ერთგვარი შეება მაინც მოკვარა. მერე ისევ დაბრუნდა და ლეიბზე დაჯდა. ფეხები გაკიმა და ფიქრებს მიეცა. თავისი ბავშვობიდან მას არაფერი აგონდებოდა, გარდა იმისა, რომ დეიდა უბრაზდებოდა ხოლმე და ისეთ სიტყვებს ეტყოდა ხანდახან, რომ შირინი ხედებოდა: ერთ დროს დედ-მამაც მყოლიაო. რაც თვალი ახელოდა, ოჯახში დეიდას შრომაში ამოხდომოდა სული, მაგრამ შირინს მოხუცი დეიდას გული მაინც ვერ მოეგო. ერთ ლუქმაპურს თუ მიუგდებდა, ერთსაც თავში ჩააფარებდა. როცა შირინი დეიდას დაღვრემილს დაინახავდა, მისგან ყოველთვის გესლიან სიტყვებს მოელოდა. დეიდა თავისი ჩაცვნილი კბილებით, მოღრეცილი და მოჯღანული ნიკაბით, რომელზედაც რამდენიმე გათეთრებული თმის ღერი მოუჩანდა, მოშლილი გრამოფონივით შირინს ყოველ ცისმარე დღეს ერთსა და იმავეს უმეორებდა: „ყარუნის“¹ ქონების მფლობელი ხომ არა ვარ, ამ ხნის მოხუცმა შენი ტიალი მუცლისათვის როდემდე უნდა ვიჯაფო, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, შენ კი ყურსაც არ იბარტყუნებ. მაშინაც კი, როცა ვინმე ღვთისნიერი ქალაქში შინამოსამსახურედ წაყვანას დაგვიპირებს, ძუძუთა ბავშვივით ტირილს მორთავ და თავს მაცოლდებ. კაცმა არ იცის, შენმა დასაშინებელმა მამამ რომელ ნანგრევებში და-

ლია სული. ამან კი თავისი მამის სამკვიდრო თითქოს ჩემგან უნდა მიიღოს“.

შირინს, მართალია, ეს სიტყვები არა ერთგზის მოესმინა, მაგრამ ყოველთვის, როცა კი დეიდა ყბედობას მოკყევბოდა, გრძნობდა, მისი ბოლო რა იქნებოდა, ამიერიდან დეიდას უნდა ვასცლოდა, ქალაქს წასულიყო და შინამოსამსახურის ხვედრს შერიგებოდა.

ქალაქში რომ ჩაიყვანეს, შირინი თერთმეტი წლისა იყო. ხუთი წლის განმავლობაში ემსახურება ამ ოჯახს. პირველ ხანად თავისი ქალბატონი მეტად უყვარდა. მერე და მერე დეიდამისი როგორი ავიც არ უნდა ყოფილიყო, იგი ქალბატონზე უფრო აღერსიანად ეჩვენებოდა. შირინის ქალბატონი, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთ ბავშვს შობდა ხოლმე, მეტად ნერვიული და ფიცხი ვინმე იყო. შირინის ტანჯვა, ცემა და ტუქსვა მას ერთგვარ სიამოვნებასაც ანიჭებდა. შირინი ამ ხუთი წლის განმავლობაში იზრდებოდა და მშვენიდებოდა. ქალბატონსაც მისი ტანჯვა-წამების ყინი ემატებოდა, სდევნიდა, ნიადაგ ქმართან ასმენდა, რათა შინიდან გაეძევიზინა.

შირინი დილით ადრე დგებოდა და საღამოს ათ საათამდე ოჯახის ჯაბანს წვედა. იმ საქმეების გარდა, რომლებიც მას მარტოდ უნდა შეესრულებინა, ქალბატონის თოთო ბავშვებისათვის უნდა მოეველო. თექვსმეტი წლის ასაკამდე მას არავითარი ახალი გრძნობა არ გაკლვიძებოდა, არავისაგან სიყვარული არ ეგრძნო და აღერსი არ განეცადა. ისიც კი არ იცოდა, თუ ცხოვრებაში ასეთი რამ შესაძლებელი იყო. არასდროს, ერთხელაც კი, არ მომხდარა, რომ ვინმეს მისთვის ღიმილი ეჩვენებინოს. როდესაც ცხოვრებამ მის სახეს გაზაფხულის ბრწყინვალე დილის მსგავსი მკირე რამ ღიმილი მოჰფინა, მისი მომავალი ცხოვრებისა და შორეულ ოცნებათა იმედის სარკმელიც გაიღო. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, ქალბატონმა ის სარკმელი ბოლოს მაინც შეამჩნია და

¹ ყარუნი აღმოსავლეთში ცნობილი და სიმდიდრით განთქმული, ამასთანავე, ძუნწი პიროვნება ყოფილა. როგორც პათემთაი სინონიმა მორტყმულობის და ქველმოქმედებისა, ისევე ყარუნი — სიმდიდრის და სიძუნწისა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ შირინს თმები თავისივე ხელით გადადიჯნა.

შირინი ხუთი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ბაზარში დაიარებოდა სასყიდლებზე. ბაზართან მდგარ ყმაწვილებს რომ ჩაუვლიდა ხოლმე, მათი ქათინაურების ვარშე ვერ გადარჩებოდა. მაგრამ არასდროს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია და მათი ნათქვამისათვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჩვეულებისამებრ ბაზარში გაემართა, მემწვანის დეჰანთან ტაბურეტზე ჩამოჯდარი ყმაწვილი ჯარისკაცი დახვდა. იგი ოცი წლისა იქნებოდა და ჯარში ახლად გაწვეული უნდა ყოფილიყო. მივიდოდა ბაზარში და მემწვანის დეჰანის გვერდით ჩამოჯდებოდა ხოლმე. მეგობრობდა მორადალის, რომელიც იეზიდის მახლობელ სოფლიდან იყო და ბაზარში მწვანისა და მაწონს ჰყიდდა. მორადალს გვერდით მიუჯდებოდა, ემასლაათებოდა, ხანდახან ღაზელსაც წაუკითხავდა ხოლმე. საყულო ყოველთვის შეხსნილი და ქამარი მოშვებული ჰქონდა. არავინ იცოდა, თუ ეს ახალგაზრდა ჯარისკაცი საიდან გაჩნდა მწვანე ბაზარში.

ჯარისკაცის ერთმა ყოვლისშემძლე გამოხედვამ შირინის თვალებს გადააქალა ის ბინდი, რომელიც მას ცხოვრებისგან მიჯნავდა. იმ დღეს რამდენჯერმე დაბრუნდა შინ და სხვადასხვა საბაბით რამდენჯერმევე გაემურა ბაზარში. მაგრამ ყოველთვის, როცა კი ჰაბუკ ჯარისკაცს თვალს შეავლებდა, სახე აელეწებოდა ხოლმე. იმ დღიდან მოკიდებული შირინი თანდათან შეეჩვია ჯარისკაცის შეხედვას. როდესაც ეზოს ალაყაფისაკენ მოქცეულ თავის პატარა ოთახში მარტოდ ჩამოჯდებოდა, ჯარისკაცზე ფიქრობდა ყოველთვის. მეხსიერებაში მისი ყოველი მოძრაობის აღდგენა შეეძლო. ტაბურეტზე მისი რაღაც განსაკუთრებული ჩამოჯდომა, თასში ყინულის რევა, ჟრუანტელის მომგვრელი გამოხედვა შირინის წარ-

მოდგენაში ყოველთვის ცოცხლად იყო ასახული.

ბოლოს შირინმა, მიუხედავად მოკრძალებისა და მორიდებისა, მორადალის დეჰანში სიარულის შემდეგ, ჯერ მცირე გაღიმებისა და შემდეგ მოკლე გამოკითხვა-გამოლაპარაკების შედეგად სარბაზი¹ გაიცნო. ეს ნაცნობობა შირინისათვის დიდი წყალობა იყო. სარბაზის ერთი უბრალო გაღიმება, მისი ჩვეულებრივი მოკითხვა შირინს მთელი ქვეყნის სიამოვნებას ჰგვრიდა. ასეთი ღმილი და თბილი გრძნობები წარსულში შირინს არასოდეს არ განეცადა. შირინი ახლა ხვდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილა ცხოვრებაში სიამოვნება და სითბო.

სარბაზსა და შირინს შორის მცირე საუბრები და შეხვედრები შირინისათვის ყოველთვის ამაღლვებელი და გულის ამაძგერებელი იყო. შირინის დამოკიდებულება სარბაზთან მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი ქალბატონის ლანძღვას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ბავშვებისადმი მეტ სითბოს იჩენდა და თავის ოთახთანაც კი, რომლის კედლებიც ძველი გაზეთებიდან ამოჭრილი სურათებით აეკრელებინა, თითქოს რაღაც აჯავშინებდა.

მორადალის დეჰანთან ჩადრის კალთაგადაწეული, მომცინარე სახით და კომწიანობით შირინი რომ სარბაზს თბილად ემასლაათებოდა, მათი მნახველი მეზობლის შინამოსამსახურე შურით ივსებოდა და ბოლმას ვერ იოკებდა.

იმ უბნის ყველა ახალგაზრდა შინამოსამსახურემ იცოდა შირინისა და სარბაზის ნაცნობობის ამბავი. საფუნთუშეში იყვნენ თუ ქუჩისპირა რუში ჰურქელს რეცხავდნენ, ერთი სიტყვით, სადაც კი ერთად თავს მოიყრიდნენ, სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ თურმე.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც შირინი ბაზარში სასყიდლებზე გაემართა, ბაზრის ახლოს, იქვე ერთი ქუჩის

¹ სარბაზი — სპარსულად ჯარისკაცს ნიშნავს.

თავში დაინახა სარბაზი, რომელიც იდგა და ტყილად ღიღინებდა. მათ ირგვლივ კაცის ქვაწინება არ იყო. სარბაზმა მას წყნარი ხმით დაუძახა. შირინი მცირე ხნით შეყოვნდა, მაგრამ უცებ მთელ სხეულში ქრუანტელმა დაუარა და უნებურად მისკენ გაემართა. სარბაზმა მას ხელი ჩაჰკიდა, ქუჩის წყნარსა და ბნელს ადგილას გაიყვანა და თავისაკენ მიიზიდა. სარბაზის ცხელმა სუნთქვამ შირინი მყისვე წონასწორობიდან გამოიყვანა, პურისა და მწვანილის გასახვევი ფალასი ხელიდან გაუვარდა. სარბაზმა ჯერ ღონიერი მკლავებით შირინი მაგრად ჩაბლუჯა და გულში ჩაიკრა, ხოლო შემდეგ მის ტუჩებს თავისი ტუჩები დააკონა.

იმ კონცაში, რომელიც შირინს ჯადოთ აღსავსე ცხოვრების თექვსმეტი წლის მანძილზე არ განეცადა, ისეთი მალამო იყო ჩაქსოვილი, რომ სიმთვრალესა და თავდავიწყებას იწვევდა. შირინი მთელი არსებით მიენდო სარბაზის მკლავებს, აღარათფერი ესმოდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ოღონდ, როგორც კი სარბაზის ტუჩები მის მთრთოლვარე ბაგეებს დაეკონებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს უსასრულო ბედნიერებაში იყო ჩაძირული. შირინმა ხანგრძლივი ხვევნა-კონცის შემდეგ სიჩქარითა და კრძალვით სარბაზის მკლავთაგან გაითავისუფლა თავი. გაქცევა მოიწადინა. სარბაზმა ხელი დაუჭირა, ჯიბიდან წითელი ვაშლი ამოიღო, შირინს ხელის გულზე დაუდო და უთხრა:

— შირინ, ეს ვაშლი შენ მოგიტანე.

— ძალიან კარგი, მაგრამ გამიშვი. — წავიდე, ხალხი დაგვიანახავს.

შირინმა ვაშლი გამოართვა და ყოველგვარი საყიდლების გარეშე შინისაკენ გაქურცლდა. ჯერ თავის ოთახში შევიდა, ოთახის ერთ კუთხეში მხრჩოლავი ქრაქისი შექმე ვაშლი გასინჯა და რამდენჯერმე გაიმეორა:

„წითელი ვაშლი, წითელი ვაშლი“.

ქალბატონი კარების გაღების ხმაზე კიბეებს ჩამოჰყვა. დაბლა ჩამოვიდა, ხოლო მისმა ფეხის ხმამ, უსწორმას-

წორო კიბეებიდან რომ ისმოდა, შირინი შეაკრთო. იგი უცებ მოსკლტა: ვდგვილიდან, ბოლჩას თავი მოხსნა, წითელა ვაშლი შიგ ჩადო, მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. კარებთან ატუზული ქალბატონი დაუხვდა და, როგორც კი შირინს შეხედა, წარბი შეკრა და ბრაზიანად შეუტია:

— აქ რას აკეთებ, პური იყიდე?

შირინმა არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. ოთახის კარიდან შემოსული მკრთალი ნათელი მის სახეს კიდევ უფრო აფერ-მკრთალედა. ლამის ენა დაბმორდა, მაგრამ დიდი გავიწვებით დაეუფლა საკუთარ თავს.

— საფუნთუშეში აყალმაყალი იყო, გამოვბრუნდი. ვიფიქრე, დაწყნარდებიან და მერე წავალ-მეთქი, — მიუგო შირინმა ქალბატონს. სიტყვის თქმა აღარ აცალა, კარი გააღო და გარეთ გავიდა.

მეორე დღეს, როდესაც მეზობლის შინამოსამსახურე შირინის ქალბატონს თავის ნასმენ-ნახულს უკავლავდა, ქალბატონი შირინის გუშინდელი საღამოს მღელვარების, საფუნთუშედან ხელცარიელი დაბრუნების, მისი მიკბულ-მოკბული ლაპარაკისა და ოთახში გაოგნებული დგომის მიზეზს ხედებოდა.

შირინმა ის ღამე გაატარა ყმაწვილური სიამოვნების მომგვრელ უსასრულო სიზმრებში, რომლებიც მისი ცხოვრების ახალი მოწოდებით, ქრუანტელის მომგვრელი და, თანაც, მწველი გრძობებით იყო აღძრული. ეს ყველაფერი სარბაზის ცხელმა ამბორმა აღბეჭდა მის არსებაში. მაგრამ ყველაფერი ჩაშხამდა, როდესაც მეორე დღეს, სამხრობის ეამს, ქალბატონმა ხანგრძლივი ჩხუბის, დავის, დატუქსვისა და ცემა-ტყეპის შემდეგ მაკრატელი აიღო და შირინს შავად მოეღვარე. გაზაფხულის ჯეჯილივით თუ მინდვრის სათიბივით მობიბინე თმები შელიჯნა და შორს მოისროლა.

შირინის თმების გაკრეჭის საქმე რომ დაასრულა, ქალბატონმა მაკრატელი იქვე ძირს დაავდო, თავისი ოთახისაკენ გაეშურა. შირინს თავი ჩაეკიდა და

კრინტსაც არა ძრავდა. ანდა რისი თქმა შეეძლო? იგი მხოლოდ ქალბატონის ბუნულს ისმენდა, მაღლა სართულისკენ კიბეებს რომ მიჰყვებოდა:

— კინაღამ ხელიდან არ წავიდა ვენებას აყოლილი უსირცხვილო გოგო!



შირინი წარსულის გახსენებით, მძიმე და ნაღვლისმომგვრელი ფიქრებით იყო დატვირთული, შეეცადა დაწოლილიყო და დაეძინა, მაგრამ თვალს რული არ ეკარებოდა. მის თავთან აზიდული თეთრი ვერხვებიც ისე გაუნძრევლად იდგნენ, რომ მათი პაწაწინა, სიფრიფანა ფოთლებიც კი არ ირხეოდნენ. ღამის ხან ბნელ და ხან ნათელ სივრცეში, ცაზე შეყრილი ღრუბლების ფენათა შორის მთვარის შუქის გაქრობა-გამოკრთომის კვალად შირინის თვალები გაურკვეველი და იღუმალებით მოცული მომავლის განქვრეტას ღამობდნენ. უნდოდა რაიმე გადაწყვეტილება გამოეტანა, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ ამიერიდან რა გზას დადგომოდა, თავისი ცხოვრება როგორ წარემართა, როგორღა შეწყობოდა ქალბატონს, რომელიც ნერვული, ფიცხი იყო და ზნეობრივადც დიდი სიკეთით არ გამოირჩეოდა. იმ შედიჯნილი თმებით, იმ შეცვლილი იერიით როგორ წასულიყო ბაზარში და, რაც ყველაზე უფრო მეტად აფორიაქებდა, როგორ მისულიყო სარბაზთან, რომელმაც მას წითელი ვაშლი უძღვნა...

ეს ვრცელი და უსასრულო ფიქრები შირინს უფრო ტანჯავდა და სასოწარკვეთილებაში ავდებდა. მისი თვალები ღამის წყვდიადსა თუ წუთიერ აელვარებას თითქოს ერთნაირად აღიქვამდა, ხოლო მისი გონება კი გადასულ დღეთა მოგონებებში უხალისოდ და ერთფეროვნად იყო ჩაფლული. თვალწინ ეხატებოდა წარსული ცხოვრების სურათები. ოთახი, რომელშიც ზამთრობით ეძინათ ხოლმე, თავისი ნესტიანი და გაჯაგაცენილი კედლებით, ცხოვრების განუწყვეტელი ჯაფა და წუხილი, ქალბატონისა და ბატონის გადაკრული

ღვარძლიანი სიტყვები, სოფლად დეიდის სახლში გატარებული ექვსეული და გამანადგურებელი დღენი, თავისი დედამამის შესახებ კანტიკუნტი წარმოდგენები, ზამთრის გრძელ ღამეებში კომპართა და ფათერაკებით აღსავსე ბავშვობა, რომელიც დეიდას ცივ ოთახში გაეტარებინა; ყველაფერი ეს — წარსული ცხოვრების საშინელი, გულისწუხილის მომგვრელი სურათების გახსენება შირინს ყელში ებჯინებოდა. მისი გარდასული ცხოვრების განუხორციელებელი გეგმები ბნელით მოცული და ნაღვლიანი იყო. მხოლოდ ცხოვრების ეს უკანასკნელი გაღიმება, თავისი სურვილისა და წადილის გარეშე ახალგაზრდა სარბაზთან ნაცნობობაში რომ გამოიხატებოდა, ტყბილი და ამოა იყო შირინისათვის. იგი ცდილობდა თავისი ბნელი და ნაღვლისმომგვრელი წარსული ცხოვრების ვენება-ზიანის საზღაურად მიეჩნია წუთიერი ღიმილი, რომელიც მას ცხოვრებამ მხოლოდ ერთხელ მიანიჭა და მის სახეს მხოლოდ ერთხელ მოჰფინა. შირინი ფიქრობდა: „კეთილი, მაგრამ ასეთ ვითარებაში აქ სამსახური როგორღა უნდა გავაფრქელო, ამ შეცვლილი სახით ძველ ნაცნობებს როგორღა ვეჩვენო, როგორ შევხედო სახეზე ბაზრის წვრილ მოვაკრეებს და, განსაკუთრებით, იმ სარბაზს, რომელმაც თავისი ბავის ამბორით ცხოვრების სიტკბო და სიამე მაგრძნობინა? ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩემი ბატონისა და ქალბატონისაგან კარგი ხომ არაფერი მინახავს? სულაც რატომ მივეცინება, რომ ჩემთვის თმები შეეკრიჭა, რატომ არაფერი ვუთხარი, რატომ აურზაური არ აეტეხე და არ გავეჭეცი? აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ამ თექვსმეტი წლის ქალიშვილს ბატონმა გადაპარსა თმებიო? თუმცა, როდესაც ბრაზმორეულმა ქალბატონმა ხელი მაკრატელს წაატანა და ჩემკენ წამოვიდა, მე მუხბლი მომეცვთა. ახლა ხომ უკვე დიდი ვარ, მაშ, ისე რატომ დამემართა, სოფლიდან ახლად ჩამოსულს რომ მეძარბობოდა ხოლმე? ქალბატონი ხელებს დამა-

წყობინებდა და ზედ ჯოხით მცემდა. მე კი სიტყვის შეუბრუნებლად ვთმენდი ყოველივე ამას. ახლაც დამნაშავესავით წყნარად, მშვიდად ვიჯექი და გუნებაში ვფიქრობდი: ჩვენი უბნის ხალხის ჩასაქოლავად არ დამზოგავს, რომ შეიტყონ, რომ მე უცხო ჭაბუკმა მაკოცა. ამ აზრმა შემბოჭა. ქალბატონმა უშვერი სიტყვებით გამლანძღა და თმებიც გადაშარსა მე კი გამბედაობა არ მეყო გავნძრეულიყავი, ვიდრე იგი ამ საქმეს მორჩებოდა. თექვსმეტი წლის ქალიშვილი და, თანაც, ასეთი მშისარა და ადამიანის მორჩილი? ვაიციანებენ, აბა რას იზამენ...“

შირინი თავისი სასომხდილი და ნაღვლიანი ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც მამლებმა ყივილი დაიწყეს. ვერხვის ხეებს უკან დი-

ლის რიყრაყი კრთოდა, თუმცა ჯერ კვლავ ბნელოდა. შირინი ერთბაშად წამოდგა, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, რაღაც გადაწყვეტილება გამოიტანაო. აუზთან მივიდა, წყნარად პირზე წყალი შეისხურა. თავის პატარა ოთახისაკენ ფრთხილად გამობრუნდა, რომ ფეხის ხმა არავის გაეგო, კარი ფრთხილად გააღო. მის ოთახში სხვადასხვა წიგნები ელაგა. მათ შორის თავისი საყერავებით აჭრელებული ბოღჩა გამოარჩია. იქედან ჯერ წითელი ვაშლი გამოიღო, დაყნოსა, მერე კი ბოღჩას თავი მოუკრა, იღლიაში ამოიხარა და ფეხაკრეფით დერეფანში გამოვიდა. ერთი წამით კიდევ დააყოვნა. შემდეგ ქუჩის ალაყაფი გააღო, დაკეტვაზე აღარ უფიქრია, შურდულივით მოსხლტა ადგილიდან და გაკურცხლა.

• თარგმანი სპარსულიდან ლეილა ფარულავასი

თ უ რ ა ქ ე თ ი

ოჩხან პედი

★

ეპიტაფია

მისი იარაღი საწყობს ჩააბარეს
და სხვას ჩააცვეს მისი ტანსაცმელი,
შუბლზე დაეფინა ნისლი ვაცრეცილი,
რატომ დაუბნელეს ზეცა საყვარელი.
ჩანთიდან დაბერტყეს პურის ნამცეცები,
წაშალეს მათარაზე ტუჩის ნაკვალევი.
ის ქარმა წაიღო... ისე დაიკარგა,
ქვეყნად სახელიც კი რომ არ დარჩენია,
მხოლოდ ყავახანის ფერწასულ კედელზე
მისი ნაფიქრალი სიტყვები სწერია:
„რა არის სიყვდილი! ჩვენ ყველა მოვკვდებით,
ოღონდ განშორება ძალიან ძნელია...“

• თარგმანი თაბაჯ მირზაძისა



ზეჩხაღ სიღაჯი



მეათე სოფელი

„მას, ვინც სიმართლეს გეჩურობულება,
მეცხრე სოფელში ტყავს გააძრობენ, —
ასე გადმოგვეცემს ძველი თქმულება,
მამ, გაუმარჯოს მეათე სოფელს!

თარგმანი თამაზ ზილაძისა

ჰოლონიღუკი აუკიკა

ღიღინუ მიკიკი



შანგანა*

1.

შანგანა შორიდან მოდის,
მდინარეს მოჰყვება დაღმა,
ზღვისკენ მოაქანებს ტალღა.
შანგანა მოღერილ ყელით
ნავს მოაცურებს და მღერის:
— მიწა, სად ხარობს კაყუდირო,
კაყუდირო ძოწის ფერებით,
ის მიწა ახლა არ არის ჩვენი,
დაუფლებიან უცხოელები.

2.

მდინარე გამორბის მთიდან,
რომ მორწყას მინდვრები მწვანე,
ყვითელი მინდვრები...
მწვანე კი არა —
მწარე,
ყვითელი კი არა —
მლაშე-ყვითელი.
მდინარე მორბის და მორბის
არხებში, სილაზე, ქეებზე
და მიწას ნაგვალეებს ეძებს.
შანგანა შორიდან მოდის,
მდინარეს მოჰყვება დაღმა,

• ზღვისკენ მოაქანებს ტალღა.
შანგანა მოღერილ ყელით
ნავს მოაცურებს და მღერის:

— ჩვენ ვთესავთ სიმინდს, ჩვენ
ვთესავთ ბრინჯს,
ბამბას და მიწის თხილს.
და ჩვენი არ არის არც ერთი ის,
ჩვენია სიმწვანე მათარახის!

3.

მდინარის ნაპირას, დიდ ქვებთან
თეთრეულს რეცხავენ ქალები
და შიშველ-ტიტველი ბალები
დაბტიან ციმციმა თვალებით.
შავ დედას მიმართავს შანგანა:
— წყალთან ნუ მიუშვებ ბალებს,
მანდ აღიგატორი* დაცურავს,
ხახას უფსკრულივით აღებს.
შანგანა,
არა ხარ მართალი.
შანგანა, სცდებიო,
ბალებში, როგორც ცხენს,
მას ზურგზე ასხდებიან.
ო, მაგრამ შენ იცი, შანგანა,
შავ ბაეშვებს შავ-შავი ხელებით

* კაცის სახელია ისევე ვაზრცელბული, როგორც ინგლისში — ჯონი, საფრანგეთში — ეანი.

* ნიანგის ჯიშია.

მაღავენ დედები, როდესაც
მოდიან

აქ უცხოელები.

და წყალში ავლებს დედა
ბავშვის ტალახიან პერანგს.
ნაპირთან დახრილა დედა,
მზის ამოსვლასავით სჯერა:
ამ მიწის სიმართლის ძალა
ჩამორეცხს უცხოურ ტალახს.

შანგანა შორიდან მოდის,
წმინდარეს მოჰყვება დაღმა,
ზღვისკენ მოაქანებს ტალღა.

შანგანა მოღერილ ყელით
ნავს მოაცურებს და მღერის:

— ტანისამოსი დამტვერილია,
ხალხსაც ამ მტვრისგან ვერავინ
იცავს,

უცხოელები, უცხოელები
ფეხით თელავენ მშობლიურ მიწას.

4.

ზღვას უახლოვდება მდინარე,
შანგანას სიმღერა გაისმის
უფრო შორს, უფრო შორს...
სიმღერა სევდისა და რისხვის.
სიმღერას ქვეყანას აგონებს,
სიტყვეებში მკუხხარებს მტრის ზიზღი
და შავ ძმებს შავი ძმა მოუხმობს
ამ შავი, ამ შავი მიწის ხმით,
მძიმედ დაკოდილი მიწის ხმით,
მტერიან და ცრემლიან მიწის ხმით,

გაისხლულ, გაოფლილ მიწის ხმით.

შანგანა შორიდან მოვლისკენ
მდინარეს მოჰყვება დაღმა,
ზღვისკენ მოაქანებს ტალღა.

შანგანა მოღერილ ყელით
ნავს მოაცურებს და მღერის:
რაც კი მოვიდნენ უცხოელები,
მიწა გადაიქცა მძიმე დარღებად,
სისხლის ზღვად, სევდად,
მაგრამ ამათგან
თავისუფლება დაიბადება!

5.

შანგანას მძლავრი ხმა ახლა
ხმა არის სხვათა და სხვათა,
რადგანაც სხვანი
სხვა ნავით
იმავ გზით მოდიან
იმავ ხმით მღერიან
სიმღერას მართალს

ზღვაზე,
ქობებზე,
ციცქვეშ, უდაბნოს
ცხელ სივრცეებში აღარ იღუვს,
აღარ თავდება დიდი სიმღერა,

რომელიც შეჰქმნეს შენმა შვილებმა,
ო, მოზამბიკო, მამულო ჩემო,
ბარაქისა და სიმდიდრის მხარეც,
შენც გაიგონებ, შენც გაიგონებ
თავისუფლების დაძახილს მალე!

თარგმანი არჩილ სულაქაშინისა

ი ა ზ მ ნ ი ა

კუზუკუ კონოსი



მანდარინები

ზამთრის ნისლიანი ბინდბუნდი იყო.
იოკოსუკა-ტოკიოს მატარებლის მეორე
კლასის ვაგონში ვიჯექი და დაბნეულად
ველოდი მატარებლის გასვლის მაუწყე-
ბელ სტვენას. განათებულ ვაგონში, ჩემ
ვარდა, რატომღაც არც ერთი მგზავრი
არ იყო. გარეთ ნახევრადჩაბნელებულ
ბაქანზე გამცილებლებიც წავეიდ-წამო-

ვიდნენ და მხოლოდ დროდადრო საცო-
დავად ყეფდა გალიაში დამწყვდეული
პატარა ძაღლი. ეს ყველაფერი საოცრად
ეთანხმებოდა ჩემს მაშინდელ განწყობი-
ლებას. აუწერელი დაღლილობისა და
სევდისაგან გონებაზე გადამფარებოდა
მკრთალი ჩრდილი, რომელიც თითქოს
ზამთრის ნისლიან ციდან ჩამოწოლილი-

ყო. პალტოს ჯიბეში ხელეჩაწყობილი უძრავად ვიჯექი და იმის ძალაც არ შემწყვედა, რომ ჯიბიდან საღამოს გაზეთი ამომეღო და გადამიკითხა.

მაგრამ, აი, დაუსტინეს. ოდნავი შვება ვიგრძენი და, თავით ფანჯრის რაფაზე მიყრდნობილი, ვუცდიდი, როდის დაიწყებდა უკან დახევას სადგურთან მყოფი ტრამვაის გაჩერება. ამ დროს ბაქნიდან გეტების პაკაბუკი და კონდუქტორის გაბრაზებული ყვირილი მოისმა: ზმაურით გაიღო კარი და ვაგონში აქლოშინებული თორმეტი-ცამეტი წლის გოგონა შემოვიდა. იმავე წუთს მატარებელი შექანდა და ნელა დაიძრა. ბაქნის ბოქმები, რომლებიც მხედველობის არეს კვეთდნენ, თითქოს მიტოვებული და მივიწყებული ფორანი, რომელზეც წყლიანი კასრი იდგა, მტვირთავი მუშა, მატარებელში რომ ვიღაც თავს უკრავდა, — ყველაფერმა ამან კვამლის კორიანტელში უგულოდ დაიხია უკან. რთვორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე, პაპიროსს მოეუკიდე და მხოლოდ ამის შემდეგ ავწიე დაღლილი ქუთუთოები და ჩემ პირდაპირ სკამზე ჩამომჯდარ გოგონას შევხედე.

ის სოფლელი გოგონა იყო. მშრალი, უცხიმო თმა იტეგაესის ყაიდაზე ჰქონდა დავარცხნილი, დამსკდარი ლოყები მზისაგან ისე ჰქონდა გაწითლებული, რომ უსიამოვნო შთაბეჭდილებას იწვევდა. მუხლზე, სადაც შალის მწვანე მოსახვევის ბოლოები ეცემოდა, დიდი ფუთა ედო, ხოლო მოყინულ ხელში, რომლითაც ეს ფუთა ეჭირა, მესამე კლასის ბილეთი ჰქონდა ჩაბლუჯული. მე არ მომეწონა ამ გოგონას ვულგარული სახე. გარდა ამისა, არ მსიამოვნებდა, რომ მას ბინძურად ეცვა და, ბოლოს, მღიზიანებდა ის გონებაშეზღუდულობა, რომლის მიზეზითაც მას არ სურდა მეორე და მესამე კლასებს შორის განსხვავება გაეგო. ამიტომ მოეუკიდე პაპიროსს და გადავწყვიტე იმ გოგონას არსებობაც კი დამევიწყა. უსაქმობის გამო გაზეთი გავშალე. უცებ ფანჯრიდან შემოსული დღის სინათლე, გაზეთს რომ ეფინებო-

და, ელექტრონის სინათლემ შესცვალა. ისედაც ბუნდოვანი ნიშნები გაფერმკრთალდნენ და ჩემ თვალწინ გასჩრიალდნენ. მატარებელი, ეტყობა, იოკოსუკას გზაზე განლაგებული მრავალრიცხოვანი გვირაბებიდან პირველში შევიდა.

თუმცა ელექტრონით განათებულ გაზეთის ბეჭატებს ვაყოლებდი თვალს, მაგრამ ქვეყანაზე ყველაფერი ისეთი გაცვეთილი ამბებით იყო სავსე, რომ ჩემი სევდის გაფანტვა ამას არ შეეძლო. დაზავების საკითხები, ახალჯვარდაწერილები, ისევ ახალჯვარდაწერილები, ჩინოვნიკების გამყიდველობა, გარდაცვალებულთა შესახებ განცხადებები, — უცნაური გრძნობა დამეუფლა, მომეჩვენა, თითქოს მატარებელმა გვირაბში შესვლის შემდეგ გეზი იცვალა და მოულოდნელად საწინააღმდეგო მიმართულებით გაქანდა, უნებურად ერთი სევდიანი შენიშვნიდან მეორეზე გადავდიოდი. ამ ხნის განმავლობაში ვერაფრით ვიფიწყებდი იმას, რომ ჩემ წინ იჯდა გოგონა ისეთი სახით, თითქოს თვით ხორცმსხმული მოსაწყენი სინამდვილე ადამიანად გადაქცეულიყო. გვირაბში შესული მატარებელი, სოფლის გოგონა და ეს ბანალური წერილებით ავსებული გაზეთი რა იყო, თუ არა სიმბოლო ადამიანის გუფგებარი, დამცირებული და მოსაწყენი ცხოვრებისა? ყველაფერი უაზრო მეჩვენა, მივაგდე გაზეთი და კვლავ ფანჯრის ჩარჩოს მივაყრდენი თავი, მკვდარივით დავხუტე თვალები და ჩავთვლიემ.

გავიდა რამდენიმე წუთი. უეცრად, რაღაც შიშით შეპყრობილმა, უნებლიეთ გოგონასაკენ მივიხედე. გოგონა გადმოსულიყო თავისი ადგილიდან ჩემ გვერდით სკამზე და დაკინებით ცდილობდა ფანჯრის გაღებას. მძიმე მინა არ ემორჩილებოდა. გოგონას დამსკდარი ლოყები კიდევ უფრო გაუწითლდა და ხანდახან ჩემამდე მისი მძიმე სუნთქვა აღწევდა. რა თქმა უნდა, ამ თავგამოდებულ ცდას არ შეეძლო ჩემში თანაგრძნობა არ გამოეწვია, მაგრამ მთის ფერდობები, რომლებზედაც ბინდბუნდში მხოლოდ

გამხმარი ბალახი მოჩანდა, ორივე მხრიდან ფანჯრებისკენ მოისწრაფოდა და ადვილად შეიძლებოდა მიხედვრა, რომ მატარებელი კვლავ გვირახს უახლოვდება. მიუხედავად ამისა, გოგონას საგანგებოდ დახურული ფანჯრის ჩამოშვება უნდოდა. მე ეს ჭირვეულებად ჩავთვალე. ამიტომ, წინანდებურად ცხვირჩამოშვებული, გულგრილად ვუყურებდი, როგორ ფუსფუსებდნენ მოყინული ხელები, როგორ ცდილობდნენ მინის ჩამოშვებას და ვნატრობდი, რომ ეს ცდა მარცხით დამთავრებულიყო. მატარებელი საშინელი ხმაურით გვირახბში შეიჭრა და იმავე წუთს ფანჯარა, რომლის გაღებასაც გოგონა ცდილობდა, ხმაურით დაეშვა ძირს. მახრჩობელ ბოლად გადაქცეული შავი ჰაერი ერთბაშად შემოიჭრა ოთხკუთხედ ფანჯარაში და ვაგონს მოეფინა. ვერც კი მოვასწარი ცხვირსახოცის აფარება სახეზე, რომ კვამლის ტალღა შემომეხვია და, ვინაიდან ყელი ისედაც კარგა ხანია მტკიოდა, ისეთი ხველება ამიტყდა, რომ კინალამ დავიხრჩვი. გოგონამ არაერთხარსი ყურადღება არ მომაქცია, თავი ფანჯარაში გაყო და ქარს მიუშვებდა თმები, რომელთაც ქარი უწეწავდა. ბავშვური მოუთმენლობით იცქირებოდა იგი იმ მხარეს, საითაც მატარებელი მიდიოდა. სანამ კვამლში გახვეულსა და ელექტრონის სინათლით განათებულ გოგონას ვუყურებდი, უცებ ფანჯარაში დღის სინათლე, მიწის, თივის და წყლის სურნელება შემოიჭრა, — ასე რომ არ მომხდარიყო, შემიწყდებოდა თუ არა ხველა, აუცილებლად სასტიკად გამოვლანძღავდი იმ უცნობ გოგონას და ფანჯარას დახურავდი.

მაგრამ ამ დროს მატარებელი უკვე გვირახბიდან გამოდიოდა და ორივე მხრიდან მთებით შემოზღუდულ ღარიბთა გარეუბნის გადასასვლელზე გადადიოდა. გარშემო, ყოველმხრივ მკიდროდ ეკვროდნენ ერთმანეთს ჭუჭყიანი, უბადრუკი თივისა და კრამიტის სახურავები. როგორც კი მატარებელი გვირახბიდან გამოვიდა, უკაცრიელი და გადასასვლე-

ლის ბერასთან მწკრივში სამი წითელ-ლოყება ბიჭი დავინახე, რომლებიც ფეხგონებოდათ, საგანგებოდ ახარჩინეს დაბალი ტანისა იყვნენ, თითქოს ნისლიანიცა დასწოლოდა მათ და თავისი სიმძიმით მიწაზე მიეჭყლიტა. ტანსაცმლის ფერიც შეეისტყვებოდა მოსაწყენ გარეუბანს. ბიჭები თვალს არ ამორებდნენ მიმავალ მატარებელს. უცებ ხელები მაღლა ასწიეს და მთელი ხმით რალაც გაუგებარი მისალმება შესძახეს. იმავე წუთს კი, აი, რა მოხდა: ფანჯარაში ნახევრადგადაკიდებულმა გოგონამ წინ გაიწვდინა მოყინული ხელები, გაიქნია ჯერ მარჯვენე, შემდეგ მარცხენე და უცებ მაღლიდან ბიჭებისკენ, რომლებიც მატარებელს აცილებდნენ, ხუთი-ექვსი ოქროსფერი, მზიანი, ისეთი-თბილი ფერებით შეფერადებული მანდარინი გადაცვივდა, რომ გული შემიქანდა. უნებურად სუნთქვა შემეკრა და ყველაფერს მივხვდი. ეტყობა, სამსახურში მოსაწყობად მიმავალმა გოგონამ, მადლობის ნიშნად, ფანჯრიდან უბეში შემონახული მანდარინები გადაუყარა ძმებს, რომლებიც მას გადასასვლელამდე აცილებდნენ.

გარეუბნის გადასასვლელის ბინდბუნდმა, ჩიტვით შეფრთხილებულმა სამმა ბიჭუნამ და მათზე გადმოფრქვეულმა მანდარინების ოქროს ფერებმა ერთ წუთში გაიღვეს ფანჯრის იქით.

მაგრამ ჩემს გულში ეს სურათ-მტკივნეული სიცხოველით ჩაიბეჭდა და ვიგრძენი, თუ როგორ იღვრებოდა ჩემს სხეულში ჩემთვის სასიამოვნო განცდა. აღელვებულმა, აწევი თავი და სულ სხვა თვალებით შევხედე გოგონას. ის კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს. წინანდებურად მაღავდა შალის მწვანე მოსახვევში დახეთქილ ლოყებს; ესევე ეღობუხლზე ფუთა და ისევ მაგრად ბლუჯავდა ხელში მესამე კლასის ბილეთს...

მხოლოდ მაშინ შევძელი დამეფრწყებინა ჩემი დალილობა და სევდა ადამიანის გაუგებარ, დამცირებულ, მოსაწყენ სიცოცხლეს.



თავაკ საბაკალი მოგზაურობა ინდოეთში



ინდოეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები

ინდოეთზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. ვიცი, რომ ეს საკვირველი ქვეყანა ცხრა შთისა და ცხრა ზღვის გადაღმა იყო, რომ იქ ზღამ თბილოდა და ჩვენი ქვეყნის მერცხლები შემოდგომაზე ინდოეთში მიფრინავდნენ. ამიტომ მერცხლები ძალიან მიყვარდა და მათ ბედს შევხატარდი. მერცხლების ენა რომ არ მესმოდა, მწვეველ განვიცდიდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ისინი ქიკიკით ინდოეთის ამბებს ყუებოდნენ.

შემდეგ, უკვე მოზრდილმა წიგნებიდან გავიგე, რომ ინდოეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია, რომ ინდოელთა კლასიკური ნაწარმი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, მათი ნობები და ქაშმირის შალეები ცნობილია მთელ მსოფლიოში, რომ ის განთქმულია მარგალიტითა და ძვირფასი ფერადი თვლებით და სხვ.

ეს მდიდარი და მიწიძველი ქვეყანა, დამუშავებული მეთაუ საუკუნოდან, იქცა ერთმანეთის შორის მოქიშვე უცხოელ დამპყრობთა ბრძოლის ასპარეზად. დამპყრობელები მოდიოდნენ როგორც ვეროპის, ისე აზიის ქვეყნებიდან. ბილოს მოქიშვეთა შორის უფელზე ძლიერი აღმოჩნდა ბრიტანეთი, რომელმაც შესწლო დამპყრო ინდოეთი და გადაქცია ის თავის კოლონიად. ორასი წელი ეზიდებოდა ინდოეთი კოლონიზატორის მძიმე უღელს, და მხოლოდ 1950 წლის 26 იანვარს მან მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და ინდოელი ხალხი გახდა სრულფუნქციონირი პატრიონი თავისი ქვეყნისა, რისთვისაც თავდადებულად იბრძოდა საუკუნეების მანძილზე ლოზუნგით — „ინდოეთი ინდოელებს“.

ბავშვობის ოცნება, როგორც იტყვიან, სიზმარივით ამბდა. წილად მზედა პედნიერება ინდოეთი მენახა. ინდოეთში მიმავალი ტურისტების ჯგუფი ტაშვენტიდან ერთი საათის ფრენის შემდეგ უკვე ჩინეთის ტერიტორიაზე ვიყავით. ტაბეტის ზეგანზე ჩანდა დასახლებული გალავანშემოვლებული ადგილები. ქვიშით დაფარული უდაბნო კატლა-მაკამი ზღვის დონიდან 5000 მეტრის სიმაღლეზეა, უდაბნოში მდინარეთა ამოშრალი კალაპოტებია, სადაც წყალი მხოლოდ წვიმებისა და თოვლის

დნობის დროს მოედინება. უდაბნოს მარცხნივ აღმართულია მარადიული თოვლით დაფარული ყინვარა.

როდესაც კიმალას მთებს გადაეფარეთ, მწვერვალები სულ ახლო იყო ჩვენს ქვეშით, ნთლად ჩანდა თოვლით დაფარული მთები, ჩაწოლილი ყინულები, ხევეები. თოვლი არ იყო ქათქათა, ქვიშა პქონდა გადაყრილი და ამიტომ უფრო ნაცრისფერი იყო, ვიდრე თეთრი. სულ მალე გათავდა თოვლეთი და გამოჩნდა შიშველი, ნაცრისფერი მთები, სხვადასხვა ფერისა და ფორმის ტბები, ზოგან ძეწყვისებურად განლაგებული ქედის გასწვრივ ვხვდებით მოზრდილ და პატარა მდინარეებს, ზოგი მათგანი მიწაში იკარგებოდა. იმ სიმაღლეზე არც ერთი ტბა და არც მდინარე არ იყო გაყინული, და ეს მშვენიერ სანახაობას პქმნიდა.

გათავდა კიმალას მთები და ჩვენ თვალწინ გადაიშალა ზელისფულით სწორი უსაზღვრო ვაკე. ხეები მხოლოდ აქა-იქ ჩანდა, ტყე სულ არსად, მღვრიე მდინარეები ზანტად მიიზღაზნებოდა. დაეინახეთ ნათესები და ნახანებები, კარგად გაყვანილი რუები და ვზუბი. ნათესი ზოგან ასალები იყო, ზოგან კი გასლამოსული. ინდოეთის ნოემბერი ზაფხული და შემოდგომა ერთდროულად ვნახეთ. ეს ჩვენთვის უჩვეულო რამ ერთბაშად გვეცა თვალში. რუსეთში ზამთარი იყო, ჩვენც საზამთროდ გამოწვობილი ვიყავით. რამდენიმე საათში თითქმის ზაფხულის პაპანაქება სიცხეში მოვხვდით. ერთ დღეში წლის ორი დღე გავიარეთ.

ზუსტად სამი საათის ფრენის შემდეგ აერთოდომზე დავეშვიით. უკვე ინდოეთის მიწაზე ვდგევართ. ირგვლივ ინდოელები მახვევია მოლმარი სახეებით და შაინც ვერ დავრწმუნებულვართ, რომ ეს სინამდვილეა. ჩვენ წარმოდგენაში ინდოეთში ჩასასვლელია, საჭირო იყო დიდი დრო და დიდი სიმძლეების გადალახვა. ნამდვილად კი სამ საათში ინდოეთში ჩავფრინდი.

I.

ინდოეთში ჩასვლის მეორე დღეს ქალაქი დელი დაავთავლიერეთ. იქ ბევრი თეთრი ქვის ლამაზი სახლია, უმეტესობა სახლებისა ინდუ-

რი ხუროთმოძღვრების მიხედვით არის ნაგები. დიდ ფართობზე გაიშალ პარკებს ამშვენებს იშვიათი სილინის ხეები, რომლებიც აქა-იქ დგანან ღვთაებატული წარგავებით შემორჩეულ მწვანე მინდვრებზე. ინდოეთის ქალაქებში (რომლებიც ჩვენ ვნახეთ) პარკები ვარდებით და ყვავილნარით თითქმის არისდ არ არის მონითული. ამახ ვარდა, ქალაქში არ არის გამწვანებული არც პარკებები და არც სხვა ქუჩები, ე. ი. არ არის არც ხეები და არც ყვავილთა გაზონები.

დღის უნივერსიტეტი თვალწმინდნულ ფართობზე მოწყობილ შესანიშნავ ბაღში დგას. თეთრი ქვის ერთსართულიანი შენობა, სადაც უნივერსიტეტის დაარსებამდე ინდოელი გუბერნატორის რეზიდენცია იყო, არის ძირითადი კორპუსი უნივერსიტეტისა. აქვეა კიდევ რამდენიმე შენობა, რომლებშიც მოთავსებულია სხვადასხვა ფაკულტეტები და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. უნივერსიტეტი დაარსებულია 1922 წელს.

მეორე თვალწმინდნელი ფართობის შუა ადგილას მოთავსებულია შაჰატმა განდის საფლავი. საფლავს შემოვლებული აქვს ოთხკუთხედი აგურის მოაჯირი, რომელზედაც რაინის ლაშქა გაკეთებული. ცენტრში დევს კვადრატული ქვის ლოდი, მას ნახევარი მეტრი სისქე აქვს და ფართობი კი — ერთი კვადრატული მეტრი.

შაჰატმა განდი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ბელადი იყო და ინდოეთის პირველი პრეზიდენტი მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. განდი მოკლეს 1948 წლის 30 იანვარს. ის დასწვა მისმა საუკეთესო მოწვემ წერტმ და მისი ფერფლი გაატანეს მდინარე განდის შენაკადს — ჯამნას. მდინარე განდი ინდოეთში წმინდა მდინარედ ითვლება და ის მკვდარი, რომლის ფერფლაც ამ მდინარეში მოხედება, ცხოვრებულად ითვლება.

განდის „ერის შამას“ უწოდებენ და მისი საფლავი ინდოელი ხალხისათვის წმიდათა წმიდაა.

საფლავიდან კარგა მოშორებით ფეხთ გავიხადეთ და საფლავთან ფეხშიშველი მივედით, მივიტანეთ გვირგვინი და ყვავილთა აცემბი.

ყველა მეჩეთის, ინდური ტაძრის, მავზოლეუმის და ზოგიერთი ძეგლების დათვალიერების დროს ფეხთ გვახდევინებდნენ და ძეგლების ეზოებში, საათოლებზე და დარბაზებში ფეხშიშველი დაედოდი.

შემდეგ დაეთვალე რეთ ჯამა — მეჩეთი, იგი ყველაზე დიდი მეჩეთია ინდოეთში და მსოფლიოში სიდიდით მეორეა (მსოფლიოში ყველაზე დიდი მეჩეთი კაიროშია). ეს სამკუმბათიანი მეჩეთი აშენებულია სულ თეთრი მარმარილოსაგან, რომლის ზედაპირი სარკისებურად არის გამოყვანილი. მდიდარულია და

ბრწყინვალე მისი მორთულობა: შესანიშნავი ჩუქურთმები, ფრესკები, ოქრო და ვერცხლის ვარაყი. მეჩეთის გვემა მარტრების აქვს მთავარი სამოციველო დარბაზი და მის ირგვლივ, ვანაგებულია გრძელი, თალოვანი დერეფნები. მეჩეთი 2000 მლოცველს იტევს, აშენებულია მე-17 ს. შაჰ-ჯანანის მიერ. მეჩეთს შემდეგი წარწერა აქვს: „აქმენ სრულყოფილი“.

შესანიშნავია ციხე-სიმაგრე „წითელი ფორტი“, აშენებულია ინდოელების მიერ მე-17 ს. ეს არის 10-15 მეტრი სიმაღლის წითელი ქვის გალავანშემოვლებული პატარა ქალაქი, სადაც მოთავსებულია იმპერატორების სასახლეები ბაღებით. აქ ყველა სასახლე, ცალკე მდგომარე დარბაზი, მეჩეთი, კოშკი, აბანო და სხვა მრავალი ნაგებობა აშენებულია ძვირფასი თეთრი მარმარილოსაგან, მორთულია შესანიშნავი, გვიორის არშიის მსგავსი ჩუქურთმებით, ოქროსა და ვერცხლის ვარაყით, იშვიათი მხატვრობით და ფერადი ქვების და სარკის შუშის მრზაიკით. აქ იმდენი სიმდიდრე და ბრწყინვალეობაა, რომ მათი ვაჭროცმა სიტყვიდან კალმით შეუძლებელია.

ფორდს ღირსშესანიშნავი წარწერა გაუკეთებია — „თუ დღეამწის ზურგზე სადმე არის სამოთხე, ის არის აქ, ის არის აქ, ის არის აქ“.

ამ სასახლეებს უცხო და უჩვეულო რამ ახასიათებს: შენობების უმეტეს ნაწილს კედლები არა აქვს, უზარმაზარი მარმარილოს ღია დარბაზები, ფარდლის მსგავსად, გადახურულია თალოვანი ან ბრტყელი სახურავით, რომლებიც დაყრდნობილია მარმარილოს მოჩუქურთმებულ ბოქმებზე. იატაკი, სახურავი და ჭერი ყველგან ქვის არის. ფანჯრები და კარები ღია შენობას, რასაკერაველია, არ უნდა. ქალების საცხოვრებელ ნაწილში კედლებიანი ოთახებია, ასეთივეა საშოლი ოთახები, აბანო და სხვა. ასეთ ოთახებში ზოგან არის „ფანჯარა“, რომელიც არც იღება და არც იხურება. ასეთი ფანჯარა მოწყობილია შემდგენიარად: საფანჯარე ტრილში უძრავად ჩასმულია ერთი მთლიანი, ბრტყელი, მხატვრულად დამკრტბილი ქვა, რომელიც ბადეს მოგაგონებთ. ასეთ ფანჯარაში მხოლოდ ვაჭკრება შეიძლება. არც ოთახებსა აქვთ კარი. კედელში გამოჭრილია მხოლოდ ღია შესავალი. ამოდენა ნივთობებს არსად არც ერთი დეტალი არა აქვთ ხის, ერთხე სიტყვით, ყველაფერი მხოლოდ ქვისაა.

ყველა ძეგლი კარგად არის შენახული და ძალიან კარგადაც უვლიან, ბევრი ჰყავთ მომვლელი.

მართალია დიდი ხანია ინდოეთისა და ჩვენთა კალენდარი ერთი და იგივეა, მაგრამ ხალხი ახლ წელს პირველ ნოემბრიდან დღესასწაულობს. ამიტომ, როდესაც ჩვენ ოთხ ნოემბერს წითელი ფორტის მეჩეთში ვიყავით, იქ ბევრი ქალიშვილი იყო, ვინიდან ამ დღებში ისინი

შებლები ნიშანს აკეთებენ შენეთში. ეს არის რელიგიური ნიშანი, მოუფიქრო-მოწითალო ფერის, მრგვალი, კაპიანის ოდენა, რომელიც დასმულია შებლებზე წარბებს შუა.

წითელი ფერის მქონე აშენებულია მე-17 ს. იმპერატორ აურანგზების მიერ. შენეთი მთლიანად თეთრი მარმარილოსია, პატარაა, მაგრამ ძალიან კიხტა და ლამაზია, მორთულია ფაქიზი ჩუქურთმებით, მხატვრობით, ფერადი ქვისა და სარკის შუქის მოზაიკით. ამ შენეთს „პირვალიტის შენეთს“ უწოდებენ.

დელში ცხოვრობს ძალიან დიდი კამიტალის-ტი ბირლა, ახლა იგი ღრმა მოხუცია. თხოვმეტი წლის წინათ მან დელში ააშენა ინდუსტრიული ეკლესია. ეს ეკლესია ძალიან დიდია, მრავალსართულიანია და აშენებულია თეთრი მარმარილოსიდან. მის ამშენებელს ჩუქურთმებით, ფრესკებით, ცხოველებისა და ადამიანების ქანდაკებები. ძირითადად და გამსაკეთებულად მდიდრულად მორთულ დარბაზში, სადაც ელვარებს ოქროს ვარაყი შეწვენიერ ფრესკებით ერთად, მოთავსებულია ქალმშობის „კრიშნის“ თეთრი მარმარილოს ქანდაკება, გამოყოფილი ძვირფას ფარჩის ტანსაცმელში, ფესვიშველა, თავს უშობს შავი თმები და ძვირფასი თვლებით მოჭედული გვირგვინი. მოღიწარე ღამაში სახე ნამდიდრად ცოცხალი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ ეკლესიას თან ერთვის იშვიათი სილამაზის დიდი პარკი, სადაც ადამიანებისა და სხედასხვა ცხოველების ბევრი ქანდაკებაა. ამავე პარკში აგებულია წითელი ქვის ინდუსტრიული კოშკი, იგი გვეგმით წაჭრილი პირამიდის მსგავსია, მთლიანად მოჩუქურთმებულია და გამოირჩევა, როგორც მაღალი ხელოვნების იშვიათი ნიმუში.

ამ ეკლესიას ბირლას ეკლესიას უწოდებენ. ღირსშესანიშნავია დელში მთავრობის სასახლის ნაგებობათა ანსამბლი, აგებული ინგლისელების მიერ. აქ მოთავსებულია ყველა სამინისტრო და პარლამენტი, აქვე ცხოვრობს პრეზიდენტი. პარლამენტის შენობა ოვალურია, აგებული თეთრი ქვისაგან, ირგვლივ მთლიანად მოვლებული აქვს ქვის სვეტები. დანატრენი შენობები 2-3 სართულიანია. პირველი სართული მოწითალო, სასამოვნო ვარდისფერი ქვით არის აშენებული, ზედა სართულები კი — ზოროსფერი ქვით. ირგვლივ თვალიწმუნებელი ფართობია, დაფარული მწვანე მთლიან, რომელზეც აქა-იქ დიდრონი ღამაზი ხეებია. ეს არის პარკი თხლად დარგული ხეებით, მწვანე დეკორატიული ნარგავებით და ატუებით, რომლებსაც მოაჯირი არა აქვს მოწყობილი და პატარ-პატარა ტბებით არიან მთლიანდებული მწვანე მდლოვებზე. პარკის ბაღოები დგას მოწითალო ქვის დიდი თალი, რომელსაც „ინდოეთის ქიშკარა“ ეძახიან. ეს აგებულია პირ-

ველი მსოფლიო ომის შემდეგ, მოკავშირეთა მხარეზე დიდუბულ ჯარისკაცთა ხსოვნის აღსანიშნავად.

მეთორმეტე საუკუნეში დელის მმართველი იყო კეტბად-დინა აიბეკა — მონა მუჰამედ პურისა, რომელმაც დააყრო ჩრდილო ინდოეთის ნაწილი და მის მმართველად თავისი მონა დანიშნა. მუჰამედ პურის ვარდაცელების შემდეგ, მისმა მონამ, კეტბად-დინა აიბეკამ თავისი თავი დელის სულთანად გამოაცხადა. ეს იყო პირველი მუსულმანური დინასტია, რომელიც პატრონობდა ინდოეთში 1206—1290 წლამდე და მისი წარმოშობის გამო ერქვა მამულეების (ე. ი. მონების) დინასტია. აი სწორედ ინდოეთის ამ პირველმა მმართველმა მუსულმანმა ააგო მინარეთი, რომელსაც უწოდებენ „კეტბად-დინარს“. ეს არის 72,50 მ სიმაღლის წითელი ქვის მინარეთი, რომელიც სვეტების კონას ჰგავს. მის აშენებას შეიძლება დასკირდა.

მინარეთი და მის ირგვლივ სხვა ბევრი ძველი ნანგრევები, ძალიან დიდ და ღამაზ პარკშია. ერთ-ერთი შენობის ნანგრევებს შორის დგას ლითონის ბოძი. ამბობენ, ვინც იმ ბოძს ზურგით შეეყრდნობა და მკლავებს შემოაწყდის ისე, რომ ხელების თითებს ერთმანეთს შეახებს — ბედნიერიაო. ეცადეთ, მაგრამ არც ერთი ჩვენთაგანი არ აღმოჩნდა „ბედნიერია“.

II.

დელიდან ჯაიპურს მსუბუქი ავტომანქანებით ვაეგზავრეთ 450 კმ მანძილზე. გზადაგზა ვათვაიარებლათ სოფლებს.

ჯაიპურისაგან მიდის ღარივით სწორი გზა-ტყვილი, რომლის გაყოლებით ჩამწყობებულია ბუმბერაზი ხეები. მათი ტოტები თაღვით ფარავს და ალამაზებს გზას, ჰქმნის ჩრდილს. ხეები იშვიათი შოვლილია, ახალგაზრდა ნარგავებს ირგვლივ აფურის ყოვ აქვს შემოვლებული 1,5-2 მეტრის სიმაღლის, რომ ცხოველმა ან ქარმა არ დაზიანის. აფურები ისეა დალაგებული, რომ ყოველი წყობის რიგში დატოვებულია ნახვრეტები, აფურისა და აფურს შორის პერის მოძრაობისათვის.

დელი-ჯაიპურის, ჯაიპური-აგრის და აგრადელის გზებზე პატარ-პატარა და ღარივი სოფლებია სახლები თბიბთა ნაშენი და თბიბთევა გადაბურული ანდა ისლით. ერთად შეჯგუფულ სახლებს ფანჯრები არ გააჩნიათ, შესასვლელიც უპაროა. ამ შესასვლელს ქურჩის მხარეს იშვიათად აკეთებენ. იატაკი მიწისია, ავეჯი თბიბქმის არა აქვთ, მხოლოდ უბრალო შავიდა და სკამი უდგათ, ზოგან უბრალო რკინის ან ლურწმის ავეჯის თბიბქმთ გადახლართულ საწოლს ნახათ, რომელზეც დაფენილია კილო-ფი ან ჯუთის ნაჭერი. ლოგინით გაწყობილი

საწილი ამ სოფლებში არაიხსიან არ ჰქონდა, არც განჯიენები, არც საყერავი მანქანა, არც სხვა რაიმე საოჯახო ნივთი. ქურქული სმილენის ან თითბარსაა. არც ბუხარი, არც ღუმელი არა აქვთ. საკმელს მათაზე ან ფინჩზე ხარაშვენს. ცეცხლს ოთახში იატაკზე ანთებენ, სამი ან ორი ქვის შორის, რომელიც სამფების მავიერობას სწევს. საყამლე შილი არსად არ არის და კვამლი ოთახში ბერუსივით ტრიალებს. ელექტრონი არც ერთ სოფელში არ არის, ზოგ ვალებს ელნათურაც კი არ უნახავს. განათებისთვის ხმარობენ კრაქს, პაწაქანა ლამფებს ან კიდევ კართოფლის სანთელს. ამ სოფლებში არა აქვთ არც ეზოები, არც ხაღის ბაღები, არც ბოსტნები, არც საჭაბი ან სალორბა და ბოსელი. არა ჰყავთ არც შინაური ფრინველი, ჩვენ განსაკუთრებით ინდაურებს ვეძებდით და მხოლოდ ზოობარკში ვნახეთ ერთი ინდაური ვალაში დამწყვდელი. ოჯახებს არ ეტყობა მარჯვე დიასახლისის ხელი და მამასახლისის მზრუნველობა.

სოფელში თითქმის ყველა ფეხმძვლილი დადის, ქალებს სარები აკეთებ, მამაკაცებს მარტო შიტკლის ნაქერი აქვთ თეძოებზე შემოხვეული, რის გამო ნახევრად ტიტვლები არიან.

აღსანიშნავია ის, რომ მცხოვრებლები ჩვენ სრულიად არ ვაჭყაყდენენ უტრადლებს, არ ეტყობოდათ არც გავიარებდა, ჩვენდამი არც ინტერესს იჩენდნენ. რამდენჯერ გავტყუდით სოფლებში და ერთი არაიხსიან გამოსულა ქუჩაში, რომ გავგოთ, ვინ ვართ, საიდან ვართ ეს უტრო აღმაიანება. ჩვენ თუ მთელი მათთან და გამოვალაპარაკებოდით, დიდი თავზაიანობით და ზრდილობით გვბასულობდნენ, გვრწმუნობდით მათ მოკრძალებას, მორიდებულებას.

ჯაიბურის ლამით ჩაყვდით. სასტუმრო, რომელშიც ჩვენ მოგვათავსეს, დიდი, ორსართულიანი თეთრი შენობაა. წინ, საკმაოდ დიდ ფართობზე, გიმენებულია ლამაზი პარკი, სადაც სხადასხვა უტრო ფრინველები თავს ლადად გრძობდნენ, ადამიანებს არ უტრობოდნენ — შინაური ფრინველები გავტონებოდა.

საერთოდ, ინდოეთში გარეული ფრინველები ძალიან შესხვევია ადამიანებს, თამამად უახლოვდებიან საცხოვრებელ ბინებს და ეზოებს, განსაკუთრებით სოფლებში. მათ არც ბავშვები და არც დიდები არაფერს უშეგებენ, და ალბათ ამიტომაც არიან გათამამებულნი.

სასტუმროს კარების და ფანჯრების უმეტესობას მინების ნაცვლად წვრილი მეთულის ბადე აქვს გაკრული, ისე რომ დამბურულ კარებსა და ფანჯრებში ჰკერი ოთახში თავისუფლად შედის, რაც იქაური სიტყვის გამო აუცილებელია.

დილით წაყვდით მხაზარჯის (ჯაიბურის სამთავროს მმართველი თეადის) სასახლის დასათვლიერებლად, რომელიც აგებულია მე-19 ს.

ახლანდელი მხაზარჯა აქ აღარ ცხოვრობს. მან 1910 წელს მიატოვა ეს სასახლე და გადავიდა სხვა სასახლეში ქილაქვარჯი, ძველი სასახლე კი დატოვა, როგორც უსუფენი.

ეს სასახლე ისე როგორც დღის „წითელი ფარტის“ სასახლეები, ზეოთომოდერების იშვიათი ნიმუშია, აუწერელია მისი სიდიადე და სილამაზე. სასახლის თეთრი მარმარილოს ნაგებობაში შემოვლებულია წითელი ქვის ვალიანი, რომლის სიმაღლე 10-12 მ იქნება.

სასახლის დიდ ცენტრალურ ეზოს ჰქვიათ „მუნ“. ის და სხვა დანარჩენი ეზოებიც მთლიანად მოკარწყებულია ფართო ქვის ფილებით, და ისე კარგად არის შენახული, რომ არსად არავითარი ზაიანი არ ეტყობა. ასეა შენახული ყველა ნაგებობა.

ცენტრალური ეზოს შუა ადგილას დგას სასახლის მისაღები დარბაზი — უყვდებო, მრავალსვეტიანი, მოჩქერთმებული მარმარილოს ფარდული, ქვის იატაკით, ქვის ბრტყელი ქერითა და ქვის სახურავით. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ძველ სასახლეებში, სადარბაზო ოთახებში თითქმის ყველა უყვდებოა — ფარდულის მსგავსად.

ჯაიბურის სასახლის მისაღები დარბაზი აშენებულია 1887 წ. ინგლისელების მიერ, ინგლისის დედოფლის ვიქტორიას სახელის უკვდავსაცოფად. ეზოში დარბაზის მხოლოდ დღას ორი უზარმაზარი თეთრი მარმარილოს სპილო, ერთი მთლიანი თევზიანაა გამოკვეთილი.

განსაკუთრებით გამოირჩევიან მხაზარჯის მისაღები დარბაზები მდიდრული და ბრწყინვალე მორთულობით, ჩუქურთმებით, მხატვრობით, ფერადი და სარკის შუშის მოზაიკის კედლებით. აქ არის დარბაზი, სადაც მხაზარჯა ბიჩრადად ლებულობდა ხალხს, დარბაზი, სადაც მხაზარჯა მეგობრებს იღებდა, მაღალი სტუმრებს მისაღები დარბაზი, რომლის ცენტრში ამოღებულად დგას მხაზარჯის ტახტი (სავარძელი), შემდეგ დარბაზი, სადაც მხაზარჯა ისვენებდა, ბლიარდის სათამაშო დარბაზი და სხვა ქვედა თუ ზედა საართოლებში მოითავსებული დარბაზები. სასახლეებს ამშვენებენ მაღალი კოშკები, უფრო ზეირად წრისებური გეგმით, უყვდებო სვეტებზე დაყრდნობილი ქვის ქერით და სახურავით — ფორმით პავილიონების მსგავსი.

სადარბაზო ოთახების ზემოთ, იარსების მსგავსად მოწყობილია ოთახები მხაზარჯის ცოლისათვის, რომელსაც არ ჰქონდა უფლება გამოსულიყო მამაკაცებთან, შვარამ თავისი ოთახის დაჩრტვითი ქვის ფანჯრებიდან შეეძლო დაეინახა ყველაფერი, რაც დარბაზებში ხდებოდა.

სასახლეში ზვერი უმეტესად ბროლის ქალი, იშვიათი ხალიჩები და სხვა ძვირფასი მორთულობები. მხაზარჯის ტახტთან ორი,

მთლიანად ბროლის მრგვალი მაგიდა დგას და ჰერმი ლერჯე ბროლის არაჩვეულებრივი ჰალი ჰეილი.

მხარაჯას ეგრეთწოდებული „მთვარის სასახლე“ განაყოფიებულია სხვა სასახლეთა შორის. თეთრი მარმარილოს შენობა, როგორც პატარაალი, მოტრულია ჩუქურთმების ფაქიზი აყრით, ოქროს ვარაყით, ფერადი ქვების სიკონაყით, მავრიტანული მხატვრობით, სარკის შეშის მოზაიკის ევლებით და ჰერით. მხარაჯას და შიის შეუდღის საწოლი ოთახების ევლები და ჰერი მთლიანად დაფარულია ფერადი სარკის შეშის მოზაიკით, რომელშიც ერთი ანთებული სანთელი მილიან სანთლად აირეცლება სხვადასხვა ფერებში და თვალის მიმჭრელი სახეობა წერმოუდგება კაცს. მთელ იატაკზე დაფენილია სქელი ელენები, დაფარულია ძვირფასი ხალიჩებით — სასიამოვნოა სისიარულოდ და ჩვენი რამდენჯერმე ვაიარა-გამოვიარეთ, რომ ეს უცხო სიამოვნების განცდა კარგად დაგეხსოვდეთ.

სასახლის სართულზე ასახველად და ჩამოსასვლელად კიბის ნაცელად, განსაკუთრებით მხარაჯასათვის, შენობის შიგ გაყოფილია მოყიწყლული ქვით მხებულ-მოხვეული ქანობი, რომლის ზედაპირი ვოფირირებულია. ამ ქანობზე მხარაჯა ისე დაბრძანდებოდა, რომ ფეხის აწევა და მუხლის მოღუნვა არ სჭირდებოდა, ჩამოსვლისას კი ფეხი არ დაუტრდებოდა.

მხარაჯას „ქარების სასახლე“ გამოდის უკანურის მთავარ ქუჩაზე. ის წითელი ქვისგან არის აშენი და მისი პიერის ცირკულაციის გამო, მუდამ სივარდია. ამობენ, ძლიერი ქარების დროს მდერისო, სასახლე აგებულია 1799 წ.

აღსანიშნავია ინდოეთის ძველი სასახლეების ერთი თავისებურებაც. უმეტეს შემთხვევაში მათ ფსაღებზე სართულები არ აღინიშნება და ამიტომ ძნელი დასადგენია, ზოგჯერ შეუძლებელიც, თუ რამდენსართულიანია შენობა. ამას გარდა, ზოგიერთი ნაგებობის გვემა ისეთი რთულია, რომ ძნელია სართულებისა და შესასვლელ-გამოსასვლელი მხარეების გარკვევა, კეს ვხა დაიხვევა, როგორც უდაბურ ტყეში ან ლაბირინთში.

არქიტექტურა სასახლეებისა შერეულია. აქ შეთავსებულია ძველი ინდური ტრადიციები და ახალი თვისებები—შეშოტიანი წინა და შუა ბიის ქვეყნებიდან. აქ ნახეთ ნაგებობებს, რომლებშიც შეთავსებულია: ინდური, სპარსული, არაბული, მავრიტანული, ჩინური და გერმანული სტილი.

დვითაოდირეთ მუზეუმი აგებული 1762—1778 წ. ფელსის პრინცის ალბერტის მიერ. იგი ამ წლებში ინდოეთში ცხოვრობდა. მუზეუმის ორსართულიანი შენობა აგებულია ინდო-

სელი ხეობიშობლების მიერ თუთრი და მოვარდისფრო მარმარილოსაგან და ამშეენებს მრავალი, ღამაზი ჩუქურთმა. შენობას ფრანკი და მაღალი ფანჯრები აქვს, ისეთი, რაგონსაც საერთოდ მუხუდმისათვის განკუთვნილ შენობას უყვებენ. ამით ეს შენობა ძალიან განსხვავდება ინდოეთის ძველი არქიტექტურული ძეგლებისაგან.

მუზეუმი ძალიან მდიდარია მრავალნაირი ექსპონატებით. პირველ სართულზეა მრავალი, სხვადასხვა სახის ინდური კუსტარული ნაწარმი ხისა და სპილოს ძვლისა, ვერცხლის, ოქროსი და სხვა ლითონისა, სამკაულები, გეროსი, ხალიჩები, ოქრომკვდელი ნაქსოვი ინდური ფარჩა და სხვ. არის აგრეთვე სპარსული და თურქული ხალიჩები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ერთი სპარსული სოცეთესო ხალიჩა, რომლის შესვენს მსოფლიოში არ მოიპოვებია. აქ გამოფენილია მოქრთული ჩარჩობებში ჩასმული დიდი ნახატი პორტრეტები ინგლისელი მხატვრელებისა ინდოეთში. მეორე სართულში, უზარმაზარი შეშის ვიტრინებში მოთავსებულია ღმერთების, ცხოველების, ფრინველების, ადამიანების ქანდაკებები, აგრეთვე თევზებისა, სხვადასხვა სპორტულ პოზებში. ვნახეთ აზიის ქვეყნების სათამაშოები, იაპონური დედოფანები, ძვირფასი ძველებური ტრანსცილენდი, ფაიფურის და თიხის ნაწარმი, ძველი სპარსოლო იარაღები და სხვა მრავალი.

ერთ დიდ ვიტრინაში მოთავსებულია თიხისაგან გაყოფილი, ინდოელებსათვის მუქი ფერის ადამიანის თავები. მათში მოცემულია ყველა კაცი და აგრეთვე სხვადასხვა ზელოსნების ტიპები. ბევრია აგრეთვე უცხო ქვეყნების ზელოვნების ძვირფასი ნაწარმები: დეკორატიული ვაზები და სხვა სახის მურწევი ფაიფურის, თიხის, ვერცხლის, ოქროსი, ბრინჯაოსი და კიდევ სხვა ბევრი და ბევრი რამ.

ქ. ჯაიპურში, მხარაჯას სასახლის მხალხლად არის ოხსერვატორია აშენებული 1718—1734 წ. მხარაჯას მიერვე.

ჯაიპური დედაქალაქია ჯაიპურის სამთავროსი, რომლის მმართველი ჯაიპურის ფეოდალი იყო. ახლა ჯაიპური, როგორც სამთავრო, გაუქმებულია და იგი წარმოადგენს ერთ-ერთი შტატის — რაჯსტანის ნაწილს. უწინ რაჯსტანის სამთავრო იყო, ახლა ეს ორი სამთავრო ერთ შტატს წარმოადგენს და ექვემდებარება უშუალოდ ინდოეთის ცენტრალურ მთავრობას.

ჯაიპურის სამთავროს დედაქალაქი, ქ. ჯაიპურზე იდრე ქ. ამბერი იყო, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრის არის დაშორებული ქ. ჯაიპურიდან. ვინაიდან ამბერში დისალევი წყალი ეუარავის ყოფილა, სატატო ქალაქი ჯაიპურში გადაუტანიათ.

ქ. ამბერის სასახლე აგებულია 966 წ., ე. ი.

მეგრად უფრო ადრე, ვიდრე უცხოელთა (აზი-
ელ თუ ევროპელ დამპყრობელთა) ბატონობა
დაიწყებოდა ინდოეთში. სასახლის ნაგებობათა
შორის არის როგორც X საუკუნის, ისე XVI—
XVII საუკუნის ძეგლები. მათი არქიტექტურა
განსხვავებულია. ადრინდელ ნაგებობებში უც-
ხო არქიტექტურის ნარევი ნაკლებია, ხოლო
XVI—XVII ს. ნაგებობათა არქიტექტურა მე-
ტად ნარევეა. მათში შეიმჩნევა სპარსული და
მავრიტანული მოტივები.

ადრინდელი ნაგებობათა აშენებულია ქვიშა-
ქვითა და აგურიით, კედლები შეღესილია რთ-
ვორც ვარდნად, ისე შიგნიდან და შეღებილია:
ქვედა ნახევარი — მოწითალო ფერად, ზედა-
ბაიცი ლიმონის ფერად. შიგნიდან შეღებულია
სპილოს ძვლის ფერად და გამარიალებულია,
როგორც მარმარილო. ზოგან მკრთალი ნუშის
ფერი პანელია, ისიც ვლუფი სარკისებური ზე-
დაპირით. ასევე გაკეთებული სვეტებია და
ჭერიც. აღსანიშნავია, რომ იმიტაციია იმდენად
სრულყოფილია, რომ თუ კარგად არ დაუკვირ-
და, ნამდვილი მარმარილო გეგონება.

იატაკი, ქერი და სახურავი სულ ქვისაა.
არის ოთახები, რომლებსაც მარტო კედლები
აქვს, სხურავი კი არა. ასეთი ოთახების კედ-
ლები მშალოდ შეღესილია, შეღებილი კი არ
არის, მაგრამ შეღესის ხარისხი იმდენად მა-
ღალია, რომ მიუხედავად საუკუნეობრივი ზან-
დაზმულობისა, ღია კედლებს, რომლებიც არ
არის დატული ატმოსფერული ზეგავლენისაგან,
შეღესეა დაუზიანებლად აქვთ შენარჩუნე-
ბული.

სასახლის ოთახებში ქერი დაბალია, ვად-
ხურვა ბრტყელი აქვს, ფანჯრები, როგორც
ასეთი, სულ არ არის, მათ მაგიერ, აქა-იქ
პატარა ოთხკუთხა ჭრიალია. სასახლის ფსაღზე
ფანჯარა არ აღინიშნება. ქალების საცხოვრე-
ბელ ნაწილში ზოგიერთ ოთახს ჩვეულებრივი
ზომის ფანჯრის კრალში ჩასმული აქვს მისი-
ვე ზომის მხატვრულად დახვეტილი ქვა, საი-
დანაც ქალები თვალყურს ადევნებდნენ ყო-
ველივეს, რაც საღარბაზო ოთახებში ხდებოდა.
ამაზანა ქალებისათვის წარმოადგენს ამაზანის
ოთახის იატაკში ამოჭრილ ოთხკუთხა ქვის ჭას,
სიღრმით ორ მეტრამდე.

ძველი ნაგებობანი განსხვავდებიან აგრეთვე
ზოგიერთი ოთახების კედლების მხატვრობით.
ეს არის ინდოეთის ქალაქების ფერადი სტრა-
ბით, დაბატული კედლის ზედა მთელ ნახევარ-
ზე. სურათზე მოცემულია ქალაქები თავისი
ნაგებობებით, ქუჩებით, ბაღებით, მცხოვრებ-
ლებით, ცხოველებით, ტრანსპორტით, მდინა-
რეებით და სხვ.

მას გარდა, ეს ნაგებობები ძირითადად გან-
სხვავდებიან იმით, რომ ნაკლებადაა შორიული
ჩუქრობებით, რომლებიც უხვადაა წარმოდ-
გენილი უფრო გვიანდელი მარმარილოს სასახ-

ლებზე. ადრინდელ სასახლებში ძირითადად
მოჩუქრობებულია სვეტების თავები, მაგრამ
ეს ჩუქრობებები თავისებურია — მჭერი სასა-
დავე ასახითებს.

ადრინდელი ნაგებობათა შორის აღსანიშნავია
ინდური ტაძარი, რომელიც შიგ სასახლის შე-
ნობაშია მოთავსებული. ეს არის თეთრი მარმარ-
ილოსაგან ნაკეთები მონრდილი ოთახი ბრტყე-
ლი გადახურვით, რომლის შუა ადგილზე მოჭ-
რილია გადახურვაზე ოთხკუთხედი ზომით
2,50X2,50 მ კვადრატის პერიმეტრი დაფრ-
ნობილია თეთრი მარმარილოს მონრქუქრობე-
ბულ სვეტებზე. ერთი კედლის ნიშში მოთავსე-
ბულია ერთ-ერთი დემურის — კალიტემულის
ქანდაკება. ტაძარს ორი კარი აქვს: ერთი ვარე-
დან — ვერცხლისა, მორიანად მონრქუქრობე-
ბული და მეორე შიგნითა — მოიქროვილი და
მონრქუქრობებული ბრინჯაოს მსგავსი ლითო-
ნისა. ასეთი კარი და საერთოდ კარი სხვა
ტაძარებში არ იყო, მათ აქვთ ღია შესავალი-
ტაძარში ბეგრია მონრქუქრობებული მარმარი-
ლო, რომლებიც გვიურის არსიის მსგავსია.

აქაც, როგორც უველა სხვა სასახლეში, აუ-
რაცხელი საღარბაზო ოთახია, ე. ი. უქედლე-
ბო ქვეს ფარდლები. ერთი მათგანი აშენ-
ბულია 1006 წ. სუფია ინდური სტილით,
ბრტყელი კერი აქვს და დიდი მოცულობისაა.
ეს იყო სასახლო დარბაზი, სადაც მხარაჯე-
ხალხს შეკრებულობას იღებდა. საღარბაზოებს
გარდა კიდევ სხვა მრავალი ფარდულია: და-
სასვენებელი, გასაგრძობელი, საძინებელი, სა-
ბილაჯადო, კოშკები, ვერანდები, ინტიმურ შე-
გობართა მისაღები, მხარაჯეს პირსახანი,
ხელსახანი და სხვა მრავალი. ხელსახანი
მოწყობილია სამკვლიან ოთახში, რომლის
ღია მხარის ვასწროვ უმოაჯირო აივანია.
აივანი ბაღში გადის. ოთახში, აივნის მოპირდ-
ბივე კედელში მოწყობილია ხელსახანი
ონკანიდან წყალი ქვის ნიღარაში იღვრება,
საიდანაც კედელში ჩატანებულია მითი ხაღის
ღარში, რომელიც ამოჭრილია ოთახისა და
აივნის იატაკზე, აქედან წყალი ეზოს აუზს
უერთდება. აქ იმანდნენ ხელს მხარაჯე და
მისი სტუმრები, ბაღში ხაღის მართმევის
შემდეგ.

აქაც, შიგ შენობაში კიბის მაგიერ მოწყობი-
ლია მიხეველ-მოხვეველი ქანობი გოფირებუ-
ლი ქვის ხედაობით.

უფრო გვიანი დროის სასახლები მარმარი-
ლოს ქვით არის ნაშენი, უფრო მეტად მონრ-
ქუქრობებულია, ქერიც უფრო მაღალია, ხშირად
თაღოვანი და გუმბათისებურია. დარბაზები
მორთულია შუა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყ-
ნების მოტივების ნაკრებით: ფერადი ქვის და
სარკის შერის მოხაიეთ, მხატვრობით ოქროსა
და ვერცხლის ვარაყით.

ამ ნაგებობათა შორის გამოირჩევა მხარა-

ჯას პირადი თედენციის დარბაზი, ამენებულ 1613 წ. ყველა კედელი და კერა ბრწყინავს ფერადი ქვის და სარკის შუშის მოზაიკით. მდიდარი მორთულობა და მხატვრობა სპარსული მორტივით არის ნაყეთები.

ქალაქ ამბერის სასახლე გაშენებულია მაღალ მთაზე, რომელსაც პატარა მდინარე ჩაუვლის. დაბლა მთის ძირში, საიდანაც იწყება სასახლეში ასახლევი გზა, მოწყობილია სპილოების სათავსოები. ამ სპილოებით ასყავთ სასახლეში უცხო სტუმრები და საერთოდ ტურისტები. სპილოებით მოვზაურობა ფასიანია.

სილოს ზურგზე მოწყობილია ოთხკუთხა კრედიტადგანი საჯდომი ოთხ კაცს იტევს. დეკორაციისა და ჩამოსვლის დროს სპილო წევა. მკვებარებს წინ ხელის მოსაიდებლად აქვთ გადაღებული ტყინის ურდული, რომელიც ხის საჯდომზეა მოწყობილი.

ჯაიბურის წმინდა ინდური ქალაქია. არის ძველი და ახალი ჯაიბური. თვითველ მათგანს გარშემორტყმული აქვს მაღალი, წითელი ქვის გლავანი, თალოვანი შესახველებით. ძველი ჯაიბური თითქმის შეკლარი ქალაქია. მხარაჯას სასახლეები ახალ ჯაიბურშია. ქალაქში სასახლე თითქმის ყველა წითელი ქვით არის ნაშენი. ყველა დაწესებულება, სკოლა, საჯაბრო და სხვა ახალ ჯაიბურშია მოთავსებული.

ჯაიბურის ტურებში, როგორც ინდოეთის ყველა ქალაქში, დიდი მოძრაობა ხალხისა და ტრანსპორტისა. ქალაქის ტრანსპორტიანი ჯაიბურში მხოლოდ ავტობუსი მუშაობს.

შენობების კედლები აკრელებულია უშველებელი ზომის რეკლამებით, რომლებიც დიდი ხელოვნებით არის გაყეთებული. ტურებში ფერა დიდი სიკრელება: წითელი შენობები, ჭრელი ფერადი პლაკატები, აფარებული ქალი და ბავშვი ფერად ტრანსპორტში გამოწყობილი. ერთმანეთში ირევა წითელი, ყვითელი, შუქანე, თეთრი, შავი, ვარდისფერი, იისფერი, ღერაჯი. ხალხი მეტად სასიამოვნო ვარგელობისა: ტანადი, შეთვალწარბა, ეშხიანი. განსაკუთრებით ლამაზი თვალები აქვთ, მომღიმარი სახე.

ჯაიბურში ბევრი დიდი ბარჯია, სადაც დღასით უამრავი ხალხია, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები. ინდოეთში მრავალშვილიანობა ზვეულბარჯი მთვლენაა. თითო დედის სულ ცოტა ხუთი-ექვსი ბავშვი მიჰყვება. ბევრია ბავშვთა სიყვდილიანობაც, ეინიდიან მათი უმრავლესობა ცუდად იყვებება.

III.

აგრა ძველი ისტორიული ქალაქია, შავრამ როგორც დედაქალაქი, იგი მხოლოდ XVI სუყუნდინან არის ცნობილი. ჯაიბურიდან აგრა-მდე 264 კილომეტრია. მკვებარებთა რიცხვი 700.000-ს აღწევს.

აგრის ფორტის—სასახლის მშენებლობა დიწყო იმპერატორმა აკბარმა 1565 წელს. აკბარი ინდოეთის მესამე იმპერატორი იყო დიდ მოლოლა დინასტიიდან.

ქალაქ აგრის სასახლეებს იმპერატორ აკბარის შემდეგ კიდევ სხვა იმპერატორებიც ამენებდნენ.

აქაც სასახლეს გარს არტყია წითელი ქვის მაღალი გალავანი. ბირველ ეზოში შესვლისას თვალში მოგვხვდა უზარმაზარი ქვის ქვაბი, გამოჭრილი ერთი მთლიანი ქვსაგან. ამ ქვაბის სიღრმე ორ მეტრამდეა, დიამეტრი დაახლოებით სამნახევარი მეტრი იქნება. ის ქვა, რომლიდანაც ასეთი ზომის ქვაბი გამოჭრეს, იქნებოდა რამოცი კუბიკური მეტრი, კარგა მოზრდილი ოთახის ოდენა, იფონინდა, სულ ცოტა, ოთხმოცდაათ ტონას. გვიხობრეს: თურქ ეს ქვა ჯერ მდინარე ჯამანზე უტარებოით ტივებით, შემდეგ სპილოებით ამოტანიათ. ეს უზარმაზარი ქვაბი იხმარებოდა, როგორც აბაზანა.

აკბარის სასახლე ამენებულია წითელი ქვიშაქვით, მორთულია ინდური და სპარსული ჩუქურთმებით. აგრის ფორტის სასახლეთა შორის, აკბარის სასახლეს ჩუქურთმები ყველაზე უკეთესია — ხელით ნაქსოვ ბადეთს ჰგავს, ფაქიზი ნამუშევარია. აქ და საერთოდ ინდოეთის ყველა ძველ სასახლეში, რომელიც ნვენ ენახეთ, ყველა ნამუშევარი დიდი გემოვნებით, შესანიშნავი ხარისხით და ლოგიკურობით არის ნაყეთები. მათი მშენებელი ხელოსნები უქვევლად დიდად განეთარბულა გემოვნებისა და სამშენებლო ტექნიკის დიდი მკოდნენი უნდა ყოფილაყვენ.

ფორტში არის რამდენიმე აგრის ნაგებობა, ამენებული აკბარის შვილის — ჯამანგიარის მიერ. ეს ნაგებობანი ასე ბრწყინვალედ და მდიდრულად არ გამოიყურებოიან, როგორც აკბარისა და მისი შვილიშვილის — შა-ჯამანის მიერ აგებული სასახლები. შა-ჯამანის მეფობის დროს ვანსაქუთებში ბევრი სასახლე და მენეთია ამენებულა. ისინი გამოირჩევიან დიდი კომფორტით და ნაქვიერი ოსტატის ვაზრებულა პროპორციებით.

აგრის ფორტის სასახლე, რომელიც ამენებულია შა-ჯამანის მიერ, თეთრი მარმარილოსია. ეს სასახლე ვაყეთენილი იყო იმპერატორ შა-ჯამანის პარამანის ქალებისათვის. სასახლის წინ გაყეთებულია გრძელი ოთხკუთხა აუზი თორმეტი მადრევიანით, საიდანაც ისხმებოდა სურნელოვანი წყალი აუზში, იმპერატორის პარამანის ქალთა საბანაოდ. ამას გარდა თეთი სასახლის შიგაც იყო ქალთა აბაზანა—მრავალი ოთახი ეუბნათოსტური ქვით. ამ ოთახის ქერი და კედლები მთლიანად დაფარულია სარკის შუშის მოზაიკით, სადაც ყოველი სარკის ნაჭერში ასახება მონანვე. აბა-

ზანა იატაკში ამოჭრილი ოთახის შუა იდგა-

განსაკუთრებით შახ-ჯაანის ქალიშვილები-სათვის აუშენებიათ ვარდისფერი ქვით ორი პავლიონი, რომელთა არქიტექტურა ჩინური და გერმანულის ნარევია. არის სპარსული არქიტექტურის ნარევიც. პავლიონების შუა მოთავსებულია ვარდისფერი კოშკი. ხოლო შემდეგ ქართა დარბაზი, — სადაც ყველაზე უფრო მეტად ჰქარს ქარი, ვინაიდან მას მდინარე ჯაშნა ახლოს ჩაუვლის.

როგორც ყველა სასახლეში, აქაც აფარებულ სხვადასხვა დანიშნულების დარბაზია.

აგრის ფორტის სასახლეები ისეთივე მდიდრული და ბრწყინვალეა, როგორც დელისა და ჯაიპურის სასახლეები. სასახლეში უველანზე მაღლა მოწყობილია ერთი პატარა, ეგერეთრადებული „ლეილალის კოშკი“. ეს კოშკი წრისებურია, მისი ერთი ნახევარი კედლებიანია, მეორე კი სვეტებიანი — ღია. კოშკი თეთრი მარმარილოს იმიტაცია. მის ერთ კედელში ჩასმულია ეგრის ფრჩხილის ოდენა თეთრი ქვი, მასში გვერდიდან ჩახედვისას, როგორც სარკეში, ჩანს „ტაჯ-შაალი“, რომელიც ორი კილომეტრით არის დაშორებული სასახლიდან.

როდესაც შახ-ჯაანი მისმა შვილმა აერანგებმა დააბატონა და ხელისუფლება ჩამოართვა, მამამ თხოვა: ასეთ ადგილას მამყოფდეს საიდანაც ტაჯ-შაალის ყურბი შეემქოსო. შვილმა თხოვნა შეესრულა და მამა ლეილალის კოშკში მოათავსა.

შახ-ჯაანს თავისი ცოლი შემტაზ-შაალი თუღაიყუბით უყვარდა. ოცდათერთმეტი წლის შემტაზ-შაალი უცე მეთოთხეტი ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. მშობიარობა გურთულდა და გარდაიცვალა. შახ-ჯაანი მუხლმოდრეკილ, თვალცრემლიანი ევედრებოდა მომავლადე ცოლს: ნუ მომიყვდება და ისეთ სასახლეს აგებნებ, დედამიწის ზურგზე მისი მსგავსი არსად იყოს. ახალგაზრდა შემტაზ-შაალს თვითონაც ძალიან სწყუროდა სიცოცხლე და სიყვარული. მაგრამ სიყვარულს სიყველმა სძლია.

შახ-ჯაანმა მოიწვია მსოფლიოში გამოჩენილი, საუკეთესო ხელოვნოდღერები და მათ დაავალა ცოლიათვის მავზოლეუმის აშენება, თან ბირობა ჩამართვა: ასეთი მავზოლეუმი მსოფლიოში არ უნდა მოპოვებოდესო. ხელოვნოდღერებმა რამდენიმე გვეგმა დაამუშავეს. შახ-ჯაანმა ტაჯ-შაალის გვეგმა მოიწონა და ის დაამტკიცა.

შემტაზ-შაალის სიყვდილის ერთი წლის შემდეგ: 1631 წ. დაიწყო მავზოლეუმის მშენებლობა. ოცი წლის განმავლობაში ყოველდღე ოცი ათასი კაცი მუშაობდა მავზოლეუმის მშენებლობაზე. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ხელოვნოდღერი უსტად-ისა აგრიდან,

მუშაობდნენ, როგორც ინდოეთის საუკეთესო ოსტატები, აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან ჩამოყვანილი: ქვის მთლები — დელიდან და ბაღდადიდან; გუმბათის მშენებლები — თურქეთიდან და სამარყანდიდან; მოზაიკის ოსტატები — ბაღდადიდან; კალიგრაფისტები წარწერებისათვის — შირაზიდან.

სამშენებლო მასალები მოქონდათ აქლემებით: მარმარილო — ჯაიპურიდან; წითელი ქვი — შაქვა — ფატეხბურ-სიჩილიდან.

ძვირფასი თევლები, რომლითაც მორთულია მავზოლეუმი ჩამოტანილია სხვადასხვა ქვეყნიდან, ნეფრიტი და ბიროლი — ჩინეთიდან; ფარუზი — ტიბეტიდან; სპარსეთიდან — ანკვიით და ამეტისტი; ცეკლონიდან — საფირონი; არახეთიდან — მარჯანი და ხალციქონი; გამოყენებულია ინდოეთის აღმასიცი.

მშენებლობის დაწყებიდან ჩვიდმეტი წლის შემდეგ მხოლოდ ერთი კორპუსი იყო დათავრებული. მიცვალბული დასაფლავეს მავზოლეუმის ცენტრში, ზუსტად მისი დოგანალებს გადაყვითს ადგილას. სწორედ ამ დროს შახ-ჯაანი თავისმა შვილმა დააბატონრა და, როგორც ვთქვით, ლეილალის კოშკში მოათავსა. მშენებლობა გრძელდებოდა და ოცი წლის მშენებლობის შემდეგ დაითავრა. შახ-ჯაანი რვა წელწიადი იყო ტუსალობაში, განთავსდებოდა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, და შვილმა მამა ტაჯ-შაალის მავზოლეუმში დასაფლავა, მეუღლის გვერდით. მავზოლეუმი მხოლოდ შახ-ჯაანის ცოლისათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ იყო ის დასაფლავებული ზუსტად მავზოლეუმის ცენტრში. შახ-ჯაანის კუმბო მოთავსებულ მის გვერდით ასიმეტრიულად დგას მავზოლეუმში.

ამბოზენ შახ-ჯაანს უნდოდა ასეთი მავზოლეუმი გაეშენებია თავისათვის, მხოლოდ შავი მარმარილოსაგან, მაგრამ სურვილი ვერ შეისრულა.

როგორც ჩანს იმპერატორი შახ-ჯაანი დიდი ესთეტი და კომფორტის მოყვარე უნდა ყოფილიყო.

ტაჯ-შაალი ცნობილია მსოფლიოში, როგორც ხელოვნების იშვიათი ძეგლი. ის აგებულია შერჩეული ხარისხის თეთრი მარმარილოს ქვით, გენიალურად შეხამებული პარპიოციებით, მორთულია შესანიშნავი ჩუქურთმებით, ფრესკებით და ძვირფასი თევლებით. ცოლქმარის საფლავს შემოვლებული აქვს თეთრი მარმარილოს მაღალი საღობავი, გადახურული გუმბათით, რომელიც დღაგრულია სარკის შეშის მოზაიკით. საღობავი ხელოვნების შეუდრებელი ნაწარმია; ის წარმოადგენს მარმარილოს ბადეს, ხშირი მხატვრული ნახვრეტებით, ფაქიზი ჩუქურთმებით, ძვირფასი თევლებით. საღობავის სიღამაზე იმდენად სრულქმნილია, რომ მისი ზეგავლენით შეიძლება აღამაინა იტა-

როს, ანდა სულაც ენა ჩაუვარდეს და გრძნობა დაკარგოს. პირადად შე ენა ჩამვივარდა, ხმა ვეღარ ამოვიღე და გაბრუნებული ტერასის მოაჯირთან ჩავეცეცე.

საფლავზე სინათლე საღობავის ნახვრეტებიდან შედის. მავზოლეუმის რეზონანსი იმდენად შესანიშნავია, რომ მისი საიდუმლოების შესწავლით, დაინტერესებულმა მრავალი უცხო მეცნიერი, და საიდუმლოება ჯერაც აუხსნევლია. მავზოლეუმის სიმძლვე რთმყოფდა ორ მეტრს აღწევს.

მუსულომანური წესის თანახმად, მავზოლეუმში საფლავი ორ სართულზეა მოწყობილი ისე, რომ ორივე სართულის საფლავების ცენტრი ერთ ღერძზეა მოთავსებული. ქვიდა სართულში ნამდვილი საფლავია, ზედაში მისი მზავსია — ფიქტური.

მავზოლეუმის შეფასება ცნობილ უცხო მოგზაურთა მიერ ასეთია:

ტაჯ-შაალი არის ლეგენდა ქვიდაში.

ტაჯ-შაალი არის ტიტანების ფანტაზია, შესრულებული გენიალური ისტატობით, დამთავრებული ოქროსმკვედელთა მიერ.

ტაჯ-შაალი ვისაც არ უნახავს მასვეტყვი — ინდოეთს გაემგზავროს, ამით ღირს მატროს ტაჯის ნახვა.

ჩვენ მავზოლეუმის დათვალიერების დროს ფეხშიშველი დავდიოდით.

V

ფატეხბურ-სიყრის გამარჯვების ქალაქს ნიშნავს, ის ორმოცდა ორი კილომეტრით არის დაშორებული ქ. აგრადან.

იმპერატორი აქბარი ვიდრე აგრის სასახლეს ააშენებდა, ცხოვრობდა ფატეხბურ-სიყრის სასახლეში, რომელიც მან 16 ს. ააგო. აქ აქბარმა დააყო თოთხმეტი წელი, რის შემდეგ აგრში გადავიდა, ვინაიდან ფატეხბურ-სიყრის სასახლეში წყალი არ იყო. რადგანაც იმპერატორმა ქალაქი დასტოვა, ამიტომ მას მკედარი ქალაქი დაარქვეს. ამ ქალაქში სასახლეები აგებულია წითელი ქვიშაქვით და გარს არტყია ამავე ქვის გაღვანა. ეს ძალიან დიდი სასახლეა მრავალი პავილიონებით, კოშკებით, დარბაზებით, გასართობებით, დიდ ცენტრალურ ეზოში, რომელიც ფართო ქვის ფილებით არის მოკირწყლული, ღვას თეთრი მარმარილოს პატარა, მთვრამ ძალიან კოხტა და ლამაზი შენობა. მორთულობით ეს შენობა შედარებით სადაა, მაგრამ მისი პროპორციები იმდენად სრულმწილია, რომ პატარა და სადა შენობა ძალიან ეფექტურად გამოიყურება.

ფატეხბურ — სიყრის სასახლე ბევრად განსხვავდება სხვა სასახლეებისგან, ჯერ ერთი იმიტ, რომ ის აგებულია მთლიანად წითელი ქვით, მეორეც იმიტ, რომ მისი მორთულობა ბევრად უფრო სადაა, თანაც მისი არქიტექტურა უფრო წმინდა ინდურია. იგი, მთლიანად, ნაყლებად ეფექტურია, ნაყლებად კომფორტაბელურია; გრანდიოზულია, მაგრამ განსაკუთრებული გემოვნებით ნაკეთები. არ არის. შიშველ და მკაცრად გამოიყურება.

აქ შესანიშნავია ერთი პატარა პავილიონი, რომლის წითელი ქვიშაქვით კედლები მთელ სიმაღლეზე დახვრეტლია მხატვრულად ინდური აუტრით. პავილიონი მრავალკუთხედიანია დამისი ყველა გვერდის დახვრეტლი კედელი ქვის ბადეს წარმოადგენს. ამ პავილიონში იმპერატორი გასაგრილებლად მოდიოდა.

საინტერესოა აქ აგრეთვე ერთი დარბაზი, სადაც იმპერატორი მინისტრთა თათბირებს აწყობდა. ამ დარბაზის ცენტრში ღვას ქვის ბოძი, სამი მეტრის სიმაღლისა. მის თავზე კონსოლების საშუალებით მოწყობილია მრგვალი აივანი, ბადისებურა ნახვრეტი ქვის დაბალი მოაჯირით. აივნის ფართობი ერთ კვმ არ აღემატება. ამ აივანს დარბაზის ოთხივე კუთხიდან უერთდება ოთხი ვიწრო ღერეფანი ისეთივე მოაჯირით, როგორც საიმპერატორო აივანს აქვს. ამ ღერეფნებს ორგვარი დანიშნულება აქვთ — საიმპერატორო აივნის გამაგრება და მათი საშუალებით ამავე აივანზე გასვლა. ღერეფნებს და საიმპერატორო აივნის სიმაღლეს დონეზე მოწყობილია იარუსები დარბაზის ირგვლივ, რომლებიც ღერეფნებს აერთებენ. დარბაზის გარეთ მოწყობილია იარუსებზე ასასვლელი, საიდანაც ღერეფნებზე გავლით ჰკაცი საიმპერატორო აივანზე მოხვდები. ეს აივანი, დაღმეული ბოძის თავზე, იმპერატორის ტახტის დანიშნულებას ასრულებს, აქ იჯდა ის, როდესაც მინისტრებთან თათბირი პქონდა. მინისტრები კი ამ დროს ისხდნენ დარბაზის ირგვლივ, კედელში მოწყობილ ქვის კონსოლების საჯლომებზე. იმპერატორი მათ ზემოდან დასცემოდა.

ფატეხბურ-სიყრის ზოგიერთი სასახლის დარბაზი, ცალკე ნაგებობანი და გაღვანის დაბანებულია და დანგრეულია. გაღვანის გარეთაც ბევრი დანგრეულია. საერთოდ, ეს სასახლე, შედარებით სხვა სასახლეებთან, ნაყლებად მოვლილია და ეს მკედარი ქალაქი, მართლაც, უმატრონი სასაფლავს ჰგავს.



ღავით აღმაშენებელი

ბეტრალავია

როგორც იყო ვუწიეთ იერუსალიმს. თუ აქამდის მხოლოდ მუყრების ყვივილი მოგვესმოდა მინარეთებიდან დღისით და ღამით, ახლა ზარების ერთობლივი ჟღარუნით შემოგვეგება განთავისუფლებული იერუსალიმი. შორიდან, ძლიერ შორიდან მოდიოდა ხმაშეწყობილი, გუგუნი, ღულუნი, წკარუნი, და ჟღარუნი.

ციხე-ქალაქის მისადგომებამდის მიღწეული არ ვიყავით, ისე წამოვეწიეთ აურაცხელ ცხენოსან ფრანკ რაინდებს, ეპისკოპოზებს და სამღვდლოთა. მათ უკან მიყვებოდნენ შავქუჩკულიანი, ფეხშიშველა ბერები, თეთრად თავშესუღრული მონაზვნები, ბარგით დატვირთული აქლემები და ჯორების სიკისტრონები.

ციხეების ქიხინისა და ფაღვანის სახედრების ყროყინისაგან ყურთასმენა არ იყო.

აბუ ჰასანი დიდხანს უმზერდა მონაზვნებს, რომელნიც ფეხშიშველა მოსტობავდნენ ქვიშიან თემშარაზე და არხეინად გალობდნენ.

ჩემსკენ გადმოიხარა და მითხრა: „ჩვენ ზომ ვნახეთ რა ბედნიერად ცხოვრობენ ხალიფას აურაცხელი ცოლები და ხანები, ახლა უყურე რა დღეში არიან ეგ საწყალობელი სასძლონი ქრისტესმიერნი.“

„განათდი, განათდი, ახალო იერუსალიმ“
ისმორდა დიაკების წრაპინა ხმა.
ელარუნებდნენ აქლემების ყელზე შემული ზანზალაკები, ელრიალებდნენ გრძელტარხანი ზორუგვების ეყვნები.

ბეჭვანიერი, ახოვანი ბერები მიაღაჯებდნენ მედვრად, და მათი ერთობლივი ღიღინი ვერძების ბლავილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ვალობას.

დასავლეთისაკენ მიდრეკილი მზის შუქი ვასეასებდა ფრანკი ჯვაროსნების მუზარადებზე. მათი ვაგლახად დაშეუღლი თიროსანი ცხენები ძლივს მიათრევდნენ მძიმედშეჭურვილ რაინდებსა და ღიპიან ებისკოპოზებს.

მათ წინ მიუძლოდა ოქროცურვილი აბჯრითმოსილი დეეკაცი, რომელსაც მხარმარჯვნითა და მხარმარცხნით ორი ქორებისკოპოზი მისდევდა ცხენდაცხენ.

ჩვენ ცნობისწადილმა წაგვქოლა და კვიპროსელი დავატრიალეთ. გამოირკვა: ანტიოქიის მთავარი, ბაღდინი მიემგზავრებოდა სასტუმროდ იერუსალიმის გამგებელთან, გოტფრიდ დე ბუაონთან, რათა მოახლოებული დღესასწაული ერთად, გადაეხადათ ძმებს.

ჯორს დეზი ვჯარი და დაეწინაურდი, მაგრამ ისეთი ბული ააყენეს ახლადშემომატებული რაინდების ცხენებმა, მხოლოდ შექალაქებულ წვერს ბაღდინისას ძლივს წავატანე თვალი.

როცა იერუსალიმის ციხის ქონგურები სულ ახლოს გამოჩნდნენ, დიაკონყოფილმა ხახუტამ ჩაიღიღინა:

„შოადექით ერნი სიონსა და მოიცევით იგი,

მიეცით დიდება მას შინა..

აღდგომილსა მკედრეთით.“

ახლა უკვე ხახუტა გვიწევდა მეგზურობას. იგი წარამარა იგონებდა იაგი სიანსა და ჯვაროსნებს შორის გამართულ ბრძოლებს. ჯონდი ერისთავის

უცნაურ თავდადასავალს, ანტიოქიაში ვერთხების ფარულად ქამას და სხვა ამგვარ ოინებს.

კვიპროსელმა სთქვა:

„არაბები აღ-ყულს ეტყვიან ამ ქალაქს. უსხოვარ დროიდან მას ურუმულიმ რქმევიო, ესე იგი, ქალაქი მშვიდობისა.“

მაგრამ სადღაა მშვიდობა? „დასძინა მან მწარე ღიმილით. კეისარმა ტიტუსმა გადაბუგა თავის დროზე იერუსალიმი, რომისავე კეისარმა პადრიანემ სახელი გამოუცვალა მას „ელია კაპიტოლინა“ დაარქვა. დღესაც გამოუღმებული ბრძოლებია ამ ქალაქის გამო.“

აბუ ჰასანი დაეინებოთ გვირჩევედა: „ჯერ მოგვეძებნა ფრანკი ვაჰარი აღი-მანდ უმცეროსი.“

თემშარაზე საშინელი ბული აღდა მტერისა, ვაუძლისი სიციხე და წყურვილი გვაშთობდა. სამხრული უდაბნოს ნიაფი ჰქროდა ცხელი, ცხელი, როგორც ამონასუნთქი გამოხურეებული თონისა.

აბუ ჰასანი შიშობდა: ეს ამდენი ხალხი წამოსულა ანტიოქიიდან. ჩვენ სადღა ვიშოვნითო ღამის გასათევს?

უკვე აქსა-მეჩითან ვიყავით მიღწეული, როცა კვიპროსელს ვილაც უხამური ბერი შემოეყარა ძველი ნაცნობი, ბერძენთაგანი...

სწორედ იმ ბერმა მიგვიყვანა ერთ ბერძნულ ქსენოლოხიუმში, ჩვენებურად რომა ვსთქვათ, სამწიროში. დიდხანს ვუცადეთ სამწიროს პატრონს. ბოლოს იგი მოგვევლინა და უნდობლად აგვხედ-და-გვხედა.

სჩანდა: მას არ მოსწონდა აბუ ჰასანის არაბული ჩაცმულობა, არც ახოვან ხახუტას უშხერდა იგი კეთილი თვალთ. აღმათ მეკობრენი ვეგონეთ ყველანი.

მე წელში გავიმართე, დაეწინაურდი და ომაზიანად განეუცხადე:

ესენი ჩემი მხლებლებია-მეთქი.

ოდნე საჩინო ღიმმა გადაირბინა მის დაჯღანულ ტუჩპირზე და მკითხა:

„პო, მაგრამ შენ ვინღა ბრძანდები?“

საქართველოს მეფის დაეთის ყმანი

ვართ-მეთქი, მის მიერვე იერუსალიმს წარმოგზავნილი.

მან ხელახლა ამხედ-დამხენდა, სჩანდა, ჩემი მწირული კაბა-ჯუბანი არ მოეწონა და წაილულულა:

მეფის მიერ წარმოგზავნილთ არც ერთი თქვენთაგანი არა ჰგავხართო. ბერძენმა ბერმა ჩემი ნათქვამი რა ისმინა, ესა სთქვა:

„იერუსალიმში მრავალი მონასტერია ქართული, ზოგ მათგანს ზედვე აკრავს ქსენოლოხიუმში... მამათა მონასტერი ჯვარისა, ვგონებ შორსაა აქედან, მაგრამ ასიოდე ნაბიჯზე ხელმარცხნით დედათა მონასტერია კაბათთა და როგორც მსმენია, ამ მონასტრის ილუმენია ამჟამად, სწორედ თქვენი მეფის ცოლყოფილია მონაზონი რიფსიმე“.

უკვე ღამე იყო და მე შეუძლოთ მივიჩინე ასეთ დროს მისელა დედათა მონასტერში. ისევ დავედრიოჯე ქსენოლოხიუმის პატრონს:

ერთი ღამე მაინც გავგათევინეთ-მეთქი ამ სამწიროში.

ესა ვთქვი და ჯიბისაყენ წავილე ხელი.

სამწიროს პატრონმა შუბლი გახსნა და წაიღულუნა:

ერთი სოლიდი ელირებაო ღამის გათევა.

თუმცა ხანგრძლივად ნამგზავრნი ვიყავით, მაგრამ ძილი მაინც არ მომეკიდა, ისეთი სიბინძურე და აღურზაური სუფევდა ამ სამწიროში. მხოლოდ ხახუტა და აბუ ჰასანი პირქვე დაემხნენ შიშველ ნარებზე და გოლიათური ხვრინვა მორთეს.

ასზე მეტი მწირო მათხოვარი და ხეიბარი ბორგავდნენ ნარებზე. ზოგი ლოცულობდა, ზოგი ოხრავდა, ზოგი ბოდავდა, ზოგიც ხვრინავდა. სხვანი და სხვანი დგებოდნენ, ბოლთასა სცემდნენ, ხმამალა ვალობდნენ, ხოლო ისინი, ვინც მებენარების შემოტევას ვეღარ უძლებდნენ, პერანგს იხდიდნენ თათლის სანთლების შუქზე ებრძოდნენ მღილებს.

უთენია წამოვიშალენით და კაპათთას დედათა მონასტრისაკენ გავსწიეთ.

ციხის ლოცვა უკვე მოთავებული იყო და მონაზვნები საისტეგნოებში იკრებოდნენ.

მსკითხოსილმა მონაზონმა დარკინული კარი გაგვიღო. ჩვენი მისალმების საპასუხოდ დილაშვილობისა გვისურვა ქართულად, თანაც შეგვეკითხა:

ვინა ბრძანდებით და რაი ვნებავთო?

დავით მეფის ყრმანი ვართ, მონასტრის ილუმენის ნახვა გვსურს-მეთქი, ჩავიდუდუნე.

მონაზონს დიდად იმა მშობლიური ენის გაგონება, ოღონდ ეს იყო, საკმაოდ გაოცებულმა მზერა შეავლო არაბულად ჩაცმულ აბუ ჰასანს, რომელსაც მონასტრის ტალანში შესვლისთანავე მოეხადა ჩაღმა.

მაღალმა, გრძელკისერა და გრძელცხვირა მონაზონმა, რომელსაც თეთრი თავსაფარი მხრისთავებამდის ჰქონდა ჩამოშლილი, შეგვიყვანა ხატებითა და ჯგერებით მორთულ დარბაზონში.

მცირე ხანს მდუმარედ ვიდექით ფეხზე. ერთბაშად გაიღო კარი და შემოვიდა ახოვანი მანდილოსანი, რომელსაც მაყვლისფერი მონაზვნური ჩოხა ემოსა, ერთადერთი ჯვარი ეკიდა მკერდზე ოქროსი, მთლად ტუტასფერი თმები, თეთრი მონაზვნური კუნკულიდან მხრისთავებზე ჩამოდგროდნენ.

მან უპირველეს ყოვლისა ხახუტაი შეიციწო, საამბოროდ მიანება მას თავისი გრძელი, ჯიშიანი ხელი, დედოფალყოფილმა შუბლზე აკოცა მის წინაშე ქედმოდრეკილს და თავაზიანად მოიკითხა.

ბოლოს სულ ახლოს მოვიდა ჩემთან და მკითხა:

„ლულუ შენა ხარ?“

მე არ დამიძალავს გაოცება:

„როგორ შემიცანი-მეთქი, ილუმენია ბატონო?“

„რატომაც არა, მე მეხსიერება ჯერაც კარგი მაქვს ღვთის მეოხებით, ვინ იცის რამდენჯერ ცხენით მსლებიხარ, ნაჭარმაგვესა და გვეუთს შორის.“

ჩვენ არ გავვიმხელია დედოფალყოფილისათვის ჩვენი მიმოსვლის ნამდვილი მიზანი, თუმცა უნდა ითქვას, არც მას გამოუჩენია ამ საქმის მიმართ ცნობისწადილი.

საოსტიგნოში წაგვიყვანა. მაღალი, მსცოვანი დიაცი, იკონომოსი დაა იუსტინა მოიხმო და უბრძანა წანდილი, ქუმელი და თაფლი მოერთმიათ საუზმედ ჩვენთვის.

როცა იუსტინა საუზმის მოსატანად წავიდა, ხახუტამ მისთვის ჩვეული ღრეკა დაიწყო:

„აბა ნახე რა დღეში ვარ ლულუ, თაფლი და ქუმელი მე როგორ ამომიყორავს სტომაქს, ერთ ბატკანს დაეხრავდი ახლავე. თუ ამიერიდან მე ასე მაჭამეთქმებო, ლომებს კი არა, ვირთხებსაც ვეღარ შევებრძოლები.“

როცა საუზმე მოგვართვეს, მონასტრის ილუმენია გვერდით მოგვიჯდა, საკმელს გვაძალბდა თავაზიანად. ნაჭარმაგვეს სასახლის პატრონი და მკვიდრი არც მოუკითხავს, ერთხელაც არ უხსენებია ვინმე, მხოლოდ ეს ლა გვითხრა:

იერუსალიმში ხმა დაყარეს, მარიამ დედოფალი აპირებსო იერუსალიმს ჩამობრძანებას.

მე მიუვგე თავმოდრეკილად:

ამ ამბის მინაგვარი არაფერი მსმენია-მეთქი.

დედოფალყოფილმა ისევ მოიხმო იკონომოსი, დაა იუსტინა და უბრძანა:

კიდევ მოერთმიათ ჩვენთვის პური, თაფლი და წანდილი. როცა ეს ყოველივე მოგვართვეს, მონასტრის ილუმენია მითხრა:

„შენ განსწავლული კაცი ხარ ლულუ და ალბათ გეცოდინება, ეს მონასტერი ალაშენა ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ და ათას ათ წელს დანაგრია იგი ღვთის მიერ წყევლმა ხალიფამ ალ-ჰამამ, ბოლოს მონასტერი გაანახლეს ბაგრატ მეოთხის მეორე ცოლმა ბორენამ და მარიამ დედოფალმა.“

მე დავდუმდი, რადგან ვერ დავუმოწმე ამ ამბავთა თავის დროზე შეცნობა.

ახალგაზრდა მონაზონი ეახლა ილუმენიას, და რაღაც წასჩურჩულა, მან ბოდიში მოიხადა და იკონომოსს უბრძანა კვლავ: სტუმრები არ დამიმშოთო.

იკონომოსი მარგვეთის ერისთავის ასული აღმოჩნდა, რომელიც მონაზვნურ ცხოვრებას შესდგომია მხოლოდ იმის გამო, რომ მის ქმარს, ცხუმის ერისთავის ვაჟს, საკუთარ მოახლესთან ვაჟი გასჩენოდა.

როცა იუსტინამ ამ ამბის თხრობით გული შეიჯერა, სულ ახლოს მოვიდა ჩემთან და წამჩურჩულა:

„იერუსალიმში ხმა გავრცელდა, დავით შეფე თურქებმა მოკლესო ერწუნში, დედოფალყოფილმაც გაიგო ეს ამბავი, სამი დამე უჩუმრად სტიროდა, მაგრამ არაფერს გვიმხელს, იგი დიახაც რომ ჭმუნავს ამის გამო.“

არა მარტო იერუსალიმის ქართულ მონასტერთა ბერ-მონაზონნი, სომეხნი, სირიელნი და ფრანკნიც ფრიალ დაამწყურა ამ ცნობამ“.

თვალის დაფახულებაზე მთელი მონასტერი შემოიარა ჩვენს მიერ უწყებულმა სასიხარულო ამბავმა.

იკონომოსმა იუსტინამ სამი მონაზონი წარგზავნა იერუსალიმის ქართულ მონასტრებში, სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადეს იმ დღესვე.

როცა მონასტრის ილუმენიამ პარაკლისი მოათავა, ჩვენ ხელახლა გვიხმეს მასთან, სასტუმრო დარბაზში.

დედოფალყოფილი ჯვრებით მოოქვილ საკარლცხლულზე იჯდა უთავშალოდ.

შვენოდა კიდევაც მას მთლად ტუტასფერი თმები, რაღაც უცნაური, სიწმიდის იერი გადასდიოდა მის ოდნავ დანოჭებულ, მარხულობისაგან დაშრტილ სახეს.

მარგალიტებით მოოქვილი, შავი ხის ზანდუკი ედო მას მუხლებზე. ამ ზანდუკში რამდენიმე მომცრო ზანდუკი ჩადიოდა.

ისეთი სიხალისით, როგორითაც ოდნავ წამოჩიტული გოგონა უჩვენებს ხოლმე თავის ტოლებს ახალსა და ახალს

სათამაშოებს, ისე იღებდა თვალგაბრწყინებელი ილუმენია არტხიმე, დიდ ზანდუკიდან ამოღებულ შემდეგსა და შემდეგ მომცრო ზანდუკებს და გვიჩვენებდა:

პირველი ზანდუკი გახსნა მან ძელქვისა, დამასტის ნაჭერში შეფუთვნილ პაწია ხატი ამოიღო, სულ ახლოს მომიტანა სახესთან და მკითხა:

„აბა თუ იცი ვინ უნდა იყოს ეგ?“

მივუგე: ვერ ვიცანი-მეთქი, ილუმენიაც ბატონო.

ეგ არისო ადამი, კაცთა მოღგმის პაპათა პაპა.

ადამის ხატება ისევ შეხვია აბრეშუმის ნაჭერში, ახლა შემდეგი ზანდუკი ამოიღო ურთხელისა, პირველზე უფრო მომცრო, ყველას გვიჩვენა სათითაოდ და შეგვეკითხა:

ნუთუ ეგვეც ვერ იცანითო?

ხახუტამ, ქორამ და მე ერთობლივ მივეუგეთ:

ეგ არისო მეცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

იამა ილუმენიას ჩვენ რომ ვიცანით იესო, ახლა შემდეგი ზანდუკი გახსნა, ვერცხლისა, ლურჯი აბრეშუმის ნაჭერში გახვეული ხატი ამოიღო.

მუხარადიანი, ხელშუბიანი ვეკაცის ხატება გვიჩვენა.

ეს ვინა არისო?

ჩვენ მივეუგეთ:

ვერ ვიცანითო.

გაოცდა:

„ეგ ქვეითი წმინდა გიორგია, იერუსალიმელი ქართველი ოქრომქედლების ნახელოვნები“.

ახლა სხვა ზანდუკი გახსნა დედოფალყოფილმა მარტორქის ძვლისა, ბროწეულის ყვავილისფერი აბრეშუმიდან ამოიღო მთლად პატარა ხატი.

ეგ ვინ არისო?

გრძელი წვერის მეოხებით შევიცანით ვინც იყო და მივეუგეთ:

მოსე წინასწარმეტყველია-თქო.

ეს ხატი დმანისელმა მინანქრის ოსტატებმა გამომიგზავნესო შარშან წინ. ახ-

ლა შემდეგი, მომცრო ზანდუკი გახსნა სპილოს ძეღისა. ლალებით შემკული ხატი ამოიღო. ნაწნავებიანი ქალი დაყრდნობოდა ვახის ჯვარს.

ვიცანით ქართველთა განმანათლებელი ნინო.

შემდეგი ზანდუკიდან ამოიღო შავ ტაფტაში გახვეული მინანქრის ხატი: არაფერი გვითხრა, ისე აგვიხსნა და თითოთი გვიჩვენა:

„ეს წმიდა ელიაა, ქარზე აღმხედრებული, ეს კიდე ქარი“.

ბოლოს ყველაზე მომცრო ზანდუკი გახსნა ოქროსი, დურაჯისფერ აბრეშუმში გახვეული ხატება ამოიღო აგრეთვე მინანქარზე შესრულებული.

ხშირკულულიანი, ლურჯთვალემა, წითელჩექმიანი ვაჟი იჯდა თეთრ ცხენზე, ორაგულის ქერეჭისფერი აბჯარი ემოსა ტანზე.

ხახუტამ, ქორამ და მე მყისვე ვიცანით ვინც იყო და ერთხმად მიუვგეთ:

„ეგ უფლისწულია ჩვენი დემეტრე.“
დედოფალყოფილს რუსუდანს თვალები აუწყალდა, მაგრამ მღელვარების დროზე დაოცება მაინც შესძლო, თავისი ვაჟის ხატება მკერდზე მიიხუტა და გაბზარული ხმით სთქვა:

„ღიახ, ეგ არის, თვალთა ჩემთა სინათლე“.

ბოლოს მცირე ხნის დუმისის შემდეგ დასძინა:

„ტაოკლარჯეთელმა ოსტატებმა მომართვეს წრეულს“.

დამშვიდობებისას დედოფალყოფილმა გვთხოვა იერუსალიმიდან წასვლა რა დააპიროთ, გამოძიარეთ, ნაქარმაგვეს უნდა გაგატანოთო მცირე უსტარი.

ბინა თუ გაქვთო სადმე? ეგეც გვკითხა და როცა გაიგო იწროებას ფრიადს რომ განვიციდიდით ამ მხრით, წერილი მიგვიწერა ჯვარის მონასტრის იკონომოსთან, ექვთიმე მოკლესთან.

ჯვარის მონასტერში სიხარულით მიგვიღო ექვთიმე მოკლემ და მთელმა კრებულმა, რადგან ჩვენ მაზარობელი გახლდით დავით მეფის გამარჯვებისა. მამაკაცთა ქსენოდოხიუმში მოგვათავ-

სეს. ამ სამწიროს თავს აფარებდნენ უკვე მიხრწნილებაში გადასულმა მტრებში, ან არა და ბაგრატ მეფის დროს სამწიროდ წამოსული ერისკაცნი, რომელნიც მეკობრეთა შიშით, ზოგიც ხელმოკლეობის გამო უკან ვეღარ მიბრუნებულყვნენ საქართველოში.

ჯვარის მონასტრის ბერების გულმოდგინებამ ფრიად გაგვაოცა. ორასზე მეტი ბერი ქედმოდრეკილი იჯდა საწიგნებში ამ გაუძღისს სიცხეში და წმიდა წიგნების გადაწერით იყვნენ გართულნი.

ხახუტამ თავისებური ჭილიკი აქაც არ მოიშალა, მონასტრის ტალანში გასულს წამჩურჩულა:

„ეს მსკოვანი გადამწერნი დიახაც კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ამ ქინჩ-გასუქებულ ვაჟაკებს უფრო დაშვენდებოდა თორ-აბჯარი და ხმლის მოქიხვა. ქარიშხან სეტყიელი უფრო კარგად გამოიყენებდა მათ...“

როცა იგი გავკიცხე ამის გამო, მან დასძინა:

„არა, არც გადაწერა იოლი საქმე ამ პაპანებაში, მე ჩემს სახელსა და გვარს რომ დაგხსნანი ბატიფეხურად, ქლოშინი ამომივარდება, მშვიდობა მისცეთ უფალმა“.



უფრო საოცარი ამბებიც ვნახეთ ჯვარის მონასტერში, მესვეტნი და მღუმარენი, შიშველ აღმართულნი ნეტარნი. შორიდან გვაჩვენეს ვინმე ქსენოფონტე ბერი, რომელმაც ორმოც დღეს პური არა ჭამა და ღვინო არა სვა და არცა ნახა პირი კაცისა.

იმ ქსენოდოხიუმის გასწვრივ, სადაც ჩვენ თავშესაფარი მოგვეცა, ჩვენ წავაწყდით ქართველ ქალთათვის განკუთვნილ სამწიროს... აქაც თავს აფარებდნენ ხეიბარი დიაცები, ან არა და თურქების ტყვეობიდან გამოქცეული ქართველი ქალები.

ამ ქსენოდოხიუმის წინამდგომი აღმოჩნდა არშის ციხისთავის ცოლყოფილი დამ თეოგონა. მან ჩვენი ჩამოსვლის ამბავი რა გაიგო, საუზმზე გვაწვია კვი-



რა დღეს, რათა საკუთარი ყურით მოესმინა დავით მეფის გამარჯვების ამბავი.

საუნემის დროს ეს ხანდაზმული დიაცი თავზე გვადგა, თავით გვთავაზობდა თევზსა და ზეთისხილს. ერთბაშად თეოგონას თვალი გაექცა აბუ ჰასანისკენ.

დანდობილად შეეახლა სუფრის მეორე კიდესთან მჯდომს და მომნუსხველი მზერა მიაშტერა მის მარჯვენა ლაწვისთავე შემჩნეულ ფლურისოდენა ტყირას.

ბოლოს ერთი დაიგმინა საწყალობლად: არტავაზ და იქვე ჩაიკეცა. ჩვენ ყველანი გავოგნდით ამ ამბის მოწმენი.

მე სად შემწვევს იმის უნარი, მათი მწუხარება და გახარება წვრილად მოგვითხროთ.

თეოგონა დიდხანს გვიამბობდა თავისი გამწარებული ტყვეობის ამბავს, მე შემძლია მოკლედ მოგახსენოთ.

1055 წელს არშის ციხისთავის ცოლყოფილს, თეოგონას, სვეტიცხოვლის ხატობაზე მიჰყავდა თურმე თავისი სამწლიანი ვაჟი. საფურცელსთან სარკინოზ მეკობრეებს შეუპყრიათ ისინი და მონების ტფილისურ ბაზარზე გაუყიდიათ.

სხვა დანარჩენი არტავაზ არშელის ცხოვრების გამო უკვე მოგახსენეთ, ბოლოს ის იყო, შაიზარის აღების დღეს ფრანკებმა ტყვედ წაიყვანეს თურმე თეოგონა, შაიზარის ბაზრიდან, ხოლო მცირეწლოვანი არტავაზი უპატრონოდ დარჩა და მიწებდა ამ ცხოვრების ზღვაურს.

მეორე დღეს ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა მამაი დამიანემ და ჯვარის მონასტრის სრულმა კრებულმა დიდის ზემით აზიარეს არშის ციხისთავის ვაჟი არტავაზი. ამ ამბავს დაესწრო დედოფალყოფილი რუსუდანი, ქართულ მონასტერთა წარჩინებულნი მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი.

ცხადია, დედა-შვილის მიერ ეგზომ სასწაულებრივი ჰოვანა ურთიერთისა, მიჩნეულ იქნა, როგორც განცხადება ყოველთა მოწყალე უფლის ნებისა...

აბუ ჰასანი, აწ უკვე არტავაზ არშელი დღენიდაგ გვეჩიჩინებოდა: როგორმე მოგვეძებნა ალიმანდ უმცროსი. ბოლოს კვიპრისელმა, როგორც იქნა, მიავნო მის სასახლეს ჰარამ არეას სანახებში.

ალიმანდ უმცროსს აღუდგენია რომელიღაც რომელი პატრიციუსის დანგრეული სასახლე.

დიდხანს ვიარეთ ვრცელ ეზოში უზარმაზარი პალმების ჩრდილს ქვეშ და მივადექით ძველ რომაულ ჭიშკარს რკინის ურდულებით დაგმანულს.

რკინის რიკით დავაკაყუნეთ და ხმლიანმა მეკრემ გავვილო ჭიშკარი. ალიმანდ უფროსის უსტარი რა გადავეციოთ, მეკრემ დაცდა გვიბრძანა და თავით გაუჩინარდა. ბოლოს თავაზიანად გავვილო კარი და წინ გავვიძღვა. ნახებით მორთულ უშველებელ დარბაზში ბალიშების გროვაზე ირანულად ფეხმორთხმული იჯდა მონებით მოვაქრე და ნარგილეს სწევდა.

სჩანდა: თავისი ძმის უსტარის მიღებისგან ფრად გახარებული იყო მასპინძელი. სპილენძის თეფშები შემოჰკრა ურთიერთს და ორი სანახევროდ შიშველი ზანგი შემოვარდა დაფეთებული.

დაუყოვნებლივ მოგვართვეს შერბეთი, ზეთისხილი და ფინიკის ღვინო.

ალიმანდ უმცროსმა მშვიდად მომისმინა და სთქვა:

„იერუსალიმელი ფრანკი ბარონები უკვე ვეღარ ბედავენ ლამაზი დიაცების შესყიდვას, ეპისკოპოზები ჩაერიენ ამ საქმეში, რომის პაპისგანაც განრისხებული უსტარი მიიღეს წრეულს. ცხადია, წმ. პეტრეს მოსაყდრეს არ აკლია ლამაზი ხასები, მაგრამ ჭრისტეს საფლავის სიახლოეს ეს ამბები მაინც ეუხერხულებათ.“

ასე რომ თქვენს საქმეში სამწუხაროდ ვერას გიშველით, გიჯობთ ისევ და ისევ დედათა მონასტრებში მოიკითხოთ ის გაუჩინარებული ასული ერისთავისა.

მონებით ვაჭრობის საქმე წახდა ამ ბოლო ეამს. მე ახლა წმიდანთა ნეშ-

თებით ვაჭრობას მივყავი ხელი. ჩემს რწმუნებულებს მიაქვთ ისინი რომში, ნეაპოლში, პარიზში“.

იგი რატომღაც არტავაზ არშელს მიამტკობდა და ჰკითხავ:

„ეს მითხარი, რომში თუ ხარ ნამყოფი?“

გზაგაგლით ნამყოფი ვარო მიუვო არტავაზმა.

„აბა მე გეტყვი, მცირე ხანს დაყოვნებულიყავი ამ წმიდა ქალაქში და რამდენიმე მონასტერი რომ შემოგვარა, ყოველ მონასტრის ქვედა სართულში შესასავით დაწყობილია წმიდანად შერაცხილი ადამიანების თავისქალები, ხელები და ბარძაყები.“

ჩვენც დიდძალ ნეშთებს ვაგზავნით აქედან. ჩვენი მიზანია მთელი მსოფლიო მოიფინოს წმიდანების ნეშთებით, რადგან ცოცხალი ადამიანები ზეზეურად აყროლდნენ.

ჩემთვის წერის ნიჭი რომ ებოძებინა უფალს, სამზეოზე გამოვიტანდი კაცთა მოღვმის სისამაგლესა და უწესობას.

მე ჯერ კიდევ აღფრთოვანებული ქაბუკი ჩამოვყევი ჯვაროსნებს იერუსალიმში. ქსერიგორდონის ციხის მისადგომებთან ორჯერ დამჭრეს თურქებმა, სამი საკმაოდ მძიმე ჭრილობა მივიღე იერუსალიმის აღებისას.

ბოლოს, როცა იერუსალიმი აიღეს ჯვაროსნებმა და ქრისტიანი გრაფები და ბარონები პირველნი შეცვივდნენ ეკლესიებსა და მონასტრებში და ოქრო-ქვილილი ხატები დაიტაცეს, მეც გული ამიკრუვდა შჯულზე.

ჯერ ცხენებს ვყიდდი ბაზრებზე, მერმე მონებით ვაჭრობას მივყავი ხელი.

ახლა კი უფრო უვნებელ საქმეს მივაგენი, წმიდანების ნეშთებით ვვაჭრობ, რადგან დავრწმუნდი, რომ ეს ცხოვრება გულისამრევი ვაჭრობაა და სხვა არაფერი“.

ალიმანდ ღვინის სმას მიეძალა. სახე წამოეჭარხლა, ჩვენაც გვაძალებდა:

დალიეთო.

ისევ ააჯღრიალა სპილენძის თეფშები, ახლა მთლად შიშველი ზანგი შემოვარ-

და, მას ლითონის მილები ჰქონდა ნესტოებში გარჭობილი.

ალიმანდმა რაღაც უბრძანა მას ფალაშურად.

დარბაზის კარი გაიღო, სამი ნახევრად შიშველი დიაცი გრიგალივით შემოიჭრა ცეკვით და სიზღერით. მათცალ ხელში სანჯი ეჭირათ, ცეკვავდნენ, თანაც მღეროდნენ ფალაშურ ლექსებს.

ალიმანდს ნიკაპი დაეგვინა ხელისგულზე, სამთა შორის ყველაზე მეტად ლამაზსა და ახალგაზრდას უცქეროდა შეფრვინვით. თავათაც ფალაშურ სიტყვებს შესძახოდა ხოლმე ალერსიანად. როცა ამ დიაცებმა ცეკვა მოათავეს, პატრონის ფერხთით დაეუცქდნენ, ხოლო ალიმანდი მე მომიბრუნდა და მითხრა თურქულად:

„ეს ლურჯთვალემა დიდ ფულად მაქვს ისპაჰანში ნაყიდი, ის ქერა თმიანი იკონიელმა ბერძენმა მომგვარა ერთმა. სამი ცხენი მივეცი სამაგიეროდ, ერთი თექური, ერთი არაბული და ერთი შინის ჯიშისა. ჩემი გული თან გაყვა იმ ცხენებს.“

ეს მესამე ათი ათას დიპრემად ვიყიდე ლუქსორში, შარშან. როგორც ხედავთ იგი ყველაზე უფრო ახალგაზრდაა და ლამაზი, მაგრამ ყველაზე მეტად გარყვნილი, სხვა სიყეთესთან ერთად ქურდიცაა.

რა ვიცი, ჩვენი ეპისკოპოსები აგრეგვასწავლიან: სილამაზე ცოდვათ თავთ. და მეც იძულებული ვარ ეს სამი ცოდვა ვაპატიო ამ ეშმაკის კერძს“, — სთქვა და უკანალზე ხელი გადაუსვა იმ უმტროს დიაცს და მუხლის თავზე მიიხალა მისი ლამაზი თავი.



იმავე საღამოს ჩვენ სამწიროში მიბრუნებულთ კოზმან ბერი წამოვვადგათავზე. იგი ვაღახად მოდრეკილა წელში და საკმაოდ შებერებული გვეჩვენა. კოზმანი ანტიოქიელ პილიგრიმებს ჩამოჰყოლოდა და თან ჩამოუტანია წ. აკვინდილის, წ. ნატალიას, წ. არეთას-

ძელები, ფრჩხილები და თმები... იქაღ-
ნოდა: ხვალ დილას უნდა ვეწვიოვო
ფრანკ დიდვაჰარს, აღიმანდ უმცროსს.
დედისიმედის გაუჩინარების ამბავი
მას ანტიოქიაშივე სკოდნია. კოზმან ბე-
რიც ამას გვირჩევდა: ისევე ქართულ დე-
დათა მონასტერში მოგვექმებნა იგი. კოზ-
მანი აგრე ამტკიცებდა: ისიც ხდება ხან-
დახან შესყიდულ მხეველს ქმარი მოუკ-
ვდება და შერამე იგი მონასტერს შეაფა-
რებსო თავს.

• •
•

მეორე დღესვე მოვიარეთ დერფუთას
მონასტერი, აქ მხოლოდ ხანდაზმული
დანი აღმოჩნდნენ, ბოლოს დელტაეის
მონასტერს ვეწვიეთ, დელტაველი დან-
ნიც საკმაოდ ხნიერი არიან.

ისინიც ქედმოღრეკილნი ისხდნენ, ზო-
გი საღმთო წიგნთა გადაწერით იყო
გართული, ზოგიც ხელსაქმით.

ოქრომკედლით და სითვით ქარგავ-
დნენ საყდრის იარაღისათვის ფარჩის
საფენებს.

ისევე ჯვარის მონასტერში მივბრუნ-
დით, აქ ვნახეთ პირველი იერუსალიმე-
ლი შოგაურის, საქართველოს მეფის,
მირიანის სახე მონასტრის კედელზე დე-
ხატული. იქვე არიან გამოსახული მეფე-
ნი ჩვენნი ვახტანგ გორგასალი და ბაგ-
რატ კუროპალატი.

• •
•

რაკი ჩვენი სახსრები ფრიად შემციო-
დნენ, იერუსალიმიდან წასვლა განვი-
ზრახეთ. მოვილოცეთ ბეთლემი და ბეთ-
საიდა, ვიხილეთ ქვაბი იგი კლდისა, სა-
დაც იყო ბავა პირუტყვთა და ვეამბო-
რეთ ადგილსა მას.

მოვიხილეთ მტილი ზეთისხილისა, სა-
დაც ილოცვიდა ნაზარეველი, ის ადგი-
ლიც ვნახეთ, სადაც ჯვარზე ეკიდა უფა-
ლი. არტავეზი, ხახუტაი და მე ვეამბო-
რეთ იმ ადგილას მიწას.

ის მიდამოც მოვიჩახულებთ, სადაც
ქურთასა ვისმეს ჰქონდა საყანე ადგილი,
და შიგ ეთესა მუხუდო, და მისულა თუ-

რმე სათხოვრად ღეთისმშობელი / მა-
რიამ და არ მისცა თურმე მუხუდო მე-
ყანემ, მეორე დღეს მოსულა მუხუდო იგი
და უნახავს ქვედ ქცეულიყო მუხუდო.

ბოლოს ვეწვიეთ წ. ეკატერინეს მო-
ნასტერს სინას მთაზე, უწვევი მაყვლო-
ვანის ეკლესიაში ვილოცეთ, ფეხით ავი-
არეთ სამი ათასი ხარისხი კლდეზე
დაკბილულ კიბისა.

აქაც ქართველი ბერები სამღვთო წიგ-
ნების გადაწერით იყვნენ გართულნი.

იერუსალიმიდან წასვლის წინა დღეს,
პირობისამებრ ვინახულეთ დედოფალ-
ყოფილი რუსუდან და მან გადმოგვცა
ნაქარმაგვეს გამოსაგზავნად ეს ეპისტო-
ლე ლათინთა ენაზე დაწერილი, უკეთ
რომა ეთქვათ, პირი იმ უსტარისა, რომე-
ლიც ბაგრატიონთა საომარ ჯვართან
ერთად პარიზს გაუგზავნია ანსელუსს,
ქრისტეს საფლავის მგალობელს.

De Jerusalem

Galoni, Dei gartia Parisiorum epi-
scopo, et Stephano archidiacono,.....
omnique conventui Sanctae Mariae Pa-
risiensis, Ansellus gloriosissimi Sepu-
leri cantor et presbiter licet indignus,
subjectionem, reverentiam, amorem et
sic in hoc seculo vivere ut per ora-
ciones vestras in futuro vobiscum
merear sine fine gaudere...

Hac ergo dilectione pro vobis solli-
citus, dominum W Libelinumpatriar-
cham et canonicos nostros rogavi ut
orationibus et beneficiis nostrae
congregationis fratres et participes
jungeremini cui petitioni concedentes,
itidem a vobis rogant et requirunt.

Preterea de donis quae mihi dedit
Deus ad honorem et gloriam et subli-
mationem ecclesiae vestrae et vestri
vestraeque civitatis donum maximum
et incomparabile, vide licet crucem
unam de ligno Sanctae Crucis, per
Anselmum fidelem vestrum vobis de-
votus transmissi; a quo et litteras, ves-
tras nobis missas accepi.

Sicut a Grecorum et Syrianorum
scripturis didicimus, patibulum crucis
Christi de quatuor lignis fuit: unum
in quo Pilatus titulum scripsit, aliud
in quo brachia ejus extenta et palmae

affixae fuerunt, tertium in quo corpus ejus appensum est, quartum in quo crux affixa fuit; quod etiam asper-sione.

იერუსალიმიდან

„გალონ ეპისკოპოსს, სტეფანე მთავარდიაკონს და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულს პატივისცემასა და სიყვარულს უმოწმებს ანსელუსი, იესო ქრისტეს საფლავის კანტორი, მგალობელი და ხუცესი.

იმ ნიჭთა კიდევან, რომელნიც ღვთის მიერ მაქვს ბოძებული, თქვენი ეკლესიისა და თქვენი ქალაქის დასამშვენებლად, სადიდებლად და ასამაღლებლად, ერთი უდიდესი და უბადლო საჩუქარი, იგულისხმე ერთი ჯვარი, წ. ჯვრის ძელისაგან შექმნილი გამოვაცანე თქვენს ერთგულს ანსელუსს, რომლისგანაც მივიღე კიდევაც თქვენს მიერ ჩემთვის წარმოგზავნილი ეპისტოლე.

როგორც ბერძენთა და სირიელთა ნაწერები გვაუწყებენ, ქრისტეს ჯვარის ხე ოთხი ძელისაგან იყო ნაკეთები. ერთი იყო იგი, რომელზედაც პილატემ ზედწარწერა გააკეთა, მეორე იგი, რომელზედაც მკლავნი მისნი იყვნენ გართხმულნი, მესამე ის, რაზედაც სხეული მისი იყო ვადმოკიდული, ხოლო მეოთხე იგი, რომელზედაც თავით ჯვარი იყო მიმაგრებული.

ეს მეოთხე ფერდთა და ფეხთაგან ნადენი სისხლით განბანილია და წმიდაქმნილი. და ეგ ჯვარი, რომელიც თქვენ გაახელით, ორი ძელისაგან შესდგება, ჯვარი ჯვარშია ჩადებული. შიგ ჩადგმული გაკეთებულია იმ ძელისაგან, რომელზედაც მაცხოვარი ეკიდა, სადაც ჩართულია, იმ ძელისაგან, უფლის ფეხქვეშ რომ იყო და ჯვარს ამაგრებდა. ორივე პატიოსანია და წმიდა.

ამ ჯვარს ქართველთა მეფე დავითი ფრიად დიდ სიყვარულსა და პატივისცემას უძღვნიდა. ის დავითი, რომელიც წინაპართა თვისთა კვალობაზე სდარაჯობდა კასპიის კარებს, რომელთა ვადლობა ჩაკეტლნი არიან გოგი და მავოგი.

ამ მეფის ქვეყანა არის ერთგვარი მტკიცე გალავანი მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ. *სიხლუიონქს*

sanguinis lateris et pedum intinctum et sanctificatum est; et crux ista quam vobis misi, de duobus est lignis, quae crux inserta est cruci, inserta est de eo in quo pependit, in qua inseritur de subpedaneo in quo crux affixa fuit, utramque dignum, utramque sanctum.

Porro David, rex Georgianorum, qui cum suis predecessoribus Portas Caspicas tenuit et custodivit, ubi sunt inclusi Gog et Magog, cujus terra et regnum contra Medos et Persas est nobis quasi antemurale, hanc vero crucem quamdiu vixit in summa veneratione et dilectione habuit. uxor ejus venerabilis plus sanctitate quam generis nobilitate, caput totondit habitumque religionis suscepit, et assumpta cruce ista et multo auro, Jherusalem cum paucis, non reditura sed ut ibi in quieto silentio et oratione vitam finiret, advenit, et de auro quod attulerat congregationibus sanctae civitatis partes distribuit pauperibus que et peregrinis elemosinas

მისმა ცოლყოფილმა, რომელიც სათაყვანებელია არა მარტო დიდგვაროვნების მეოხებით, არამედ სიწმიდის გამო, თავი გაიკრიჭა და სარწმუნოების საშოსელი ჩაიცვა. თან წამოიღო ეს ჯვარი და დიდძალი ოქრო, მცირე ამაღის ამარა იერუსალიმს ჩამოვიდა, არა ხელახლა სამშობლოში მისაბრუნებლად, არამედ იმისთვის, რათა აქ დაესრულებინა სიცოცხლე თვისი, მშვიდობის სათანეში ლოცვებით გართულს. დედოფალყოფილმა მთელი თავისი ოქრო და საუნჯენი სრულნი დაუნაწილა წმიდა ქალაქის საკრებულოებს, დიდძალი წყალობა მიაგო მკოდოვანთა, გლახაკთა და მწირთა.

erogavit. Postea sub manu domni Gibellini patriarchae congregationem sanctimonialium Georgianorum, quae est in Jherusalem, intravit. Nec multo post rogatu sororum et patriarchae regimen congregationis suscepit. Denique distributis et erogatis et in necessitatibus commisse congregationis

omnibus quae attulerat expensis, cum inedia regionem nostram oppressisset, ipsa cum subditis coepit egere. Cumque jam multa dono, multa mutuo recepisset, quod nullo modo pro necessitate sui corporis faceret, pro necessitatibus congregationis sibi commisso pio affectu facere compulsus est.

Itaque istud lignum, nulli precio comparandum, hac ratione precio est comparatum. Ecce illud vobis misi, precor, habetote illud honorifice, sicut debetis. Verumtamen ut memoriale sit posteris et successoribus vestris unde e quomodo illud habuistis, scribite in libris vestris: „Ansellus clericus noster hanc crucem de ligno Sanctae Crucis ecclesiae nostrae et nobis de Jherusalem transmisit“.

Postulo igitur a vobis ut me diligentem vos diligatis et post mortem meam in orationibus

შემდგომ ამისა უფალი პატრიარქის, გიბელინის ხელქვეით ქართულ დედათა მონასტერში შევიდა, იერუსალიმში...

ბოლოს როცა სრულნი საუნჯენი თვისნი ვასცა და დაანაწილა, სხვა დანარჩენი მონასტრის საპირივებისათვის დახარჯა, ჩვენს ქვეყანაში შიმშილობა ჩამოვარდა, ივიცა და ხელქვეითნი მისნი ფრიად შეაწუხა სიღუბუკერემ და შიმშილმა.

თუმცა იგი ბევრ საჩუქარს ღებულობდა, სესხულობდა კიდევაც, მაგრამ ყოველივე ამას საკუთარ ზორციელ საპირივებათ როდი ახმარდა, არამედ მისი კეთილშობილი აღტყინების საგანი იყო მონასტრის შენახვა.

ამ რიგად გიგზავნით ამ ფასდაუღებელ ძელს, გთხოვთ მიაგოთ მას მართებული პატივი, რათა სამახსოვროდ დარჩეს მომავალ თაობათათვის და მემკვიდრეთა თქვენთა საგულისხმოდ აღნუსხოთ თუ რა გზით გაქვთ ეს ძელი მიღებული და ჩასწერეთ თქვენს წიგნებში:

„ხუცესმა ჩვენმა ანსელუსმა, გადმოუგზავნა იერუსალიმიდან ეს ჯვარი

ჩვენს ეკლესიას, წ. ჯვრის ძელისაგან ნაკეთები.“

შემდგომ ამისა ღვაწლის ჩემის ჯეროვნად დასაფასებლად ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენს ლოცვებში მომიხსენიეთ, ისე როგორც ამოდენა განძის მომართვეს ეკუთვნის.

ისიც მომწერეთ, უვნებლად თუ მოაღწია ამ ჯვარმა თქვენამდის.

vestris mei memoriam habeatis, quid vero tanti thesauri lateri contigerit, utrumne ad vos prospere pervenerit, per litteras vestras mihi notum faciat.

Quesistis qua ratione, qua necessitate portio ista de dominica Cruce assumpta fuerit, ego quod inde ex litteris et relatione seniorum Surianorum audivi et didici vobis manifestabo. Legitur in evangelio multa quidem et alia signa fecisse Ihesum in conspectu discipulorum suorum, quae non sunt scripta in libro hoc, et vos multa legistis, sed non omnia.

Multa enim habent Graeci quae non habent Latini. Legistis tamen quod sancta Helena Crucem dominicam per medium secari fecit, et crucem Constantinopolim ad filium detulit, crucemque Iherosimilis reliquit; relictam Cosdroe, vastata Iherusalem, rapuit et

თქვენ მეკითხებოდით: რა და რა მიზეზისა და აუცილებლობის მეოხებით წამოიღეს ეგ ნაწილი უფლის ჯვარისა? ამის საპასუხოდ გაუწყებთ იმას, რაც მე ამომიკითხავეს სხვადასხვა წიგნებიდან და მოხუც სურიაენლთა უწყებიდან. მოგვხსენებთ: სახარებაში იკითხება: „მრავალნი სხვანი სასწაულნი ქმნა იესომ მოწაფეთა თვისთა წინაშე, რომელნი არა დაწერილნი არიან წიგნსა ამისა შინა“.

და თქვენც მრავალი რამ წაგიკითხავთ, მაგრამ არც თუ ყველაფერი, რაც ბერძნებსა აქვთ დაწერილი, ყოველივე რაც ლათინელებს არ დაუწერიათ.

in Persidem detulit, quam interfecto Cosdroe, Eraclius Iherosolimam retulit et in Calvariae loco, ut a populo christiano veneraretur, repo suit; post mortem vero Eraclii, populus infidelium adeo christianos oppresit ut nomen Christi conarentur extinguere et memoriam Crucis et Sepulcri delere.

Itaque congerie lignorum superposita, partem Sepulcri combusserunt et Crucem similiter comburere voluerunt, sed christiani eam absconderunt, quo circa multos ex eis occiderunt.

Denique christiani, habito consilio, secatam in multas portiones diviserunt et per ecclesias fidelium distribuerunt, quatenus si una eis pars ad comburendum auferretur, tali modo aliae partes reservarentur. Itaque in Constantinopolitana urbe preter imperatoris crucem, sunt inde III cruces, in Cypro due, in Creta una, in Antiochia III, in Edessa una, in Alexandria una, in Aschaloue una, in Damascho una, in Iherusalem IV; Suriani habent unam, Greci de Sancto Sabba unam, monachi de valle Josaphat unam; nos Latini ad Sanctum Sepulcrum habemus unam, quae habet palmum et dimidium longitudinis et pollicem unum latitudinis et grossitudinis in quadro; patriarcha quoque Georgianorum habet unam; rex etiam Georgianorum habuit unam, quam modo Deo gratias vos habetis. Nunc vero ad supplendum gaudium vestrum et ad gloriam et honorem ecclesiae vestrae A regiae dignitatis.

მიუხედავად ამისა, მაინც ამოკითხული გექნებათ, წმიდა ელენემ უფლის ჯვარი შუაში გააქვეთინა.

და ეს ჯვარი კონსტანტინოპოლს წაშლილ თავის ვაჟთან, ხოლო მეორე იერუსალიმში დასტოვა, მანდ ღარჩენილი ჯვარი მიიტაცა ხოსრომ, რომელმაც იერუსალიმი იაგარჰყუ და სპარსეთს წაიღო და ჯვარი იგი, ხოსროს მოკვდინების შემდეგ კეისარმა ერეკლემ ჩამოიტანა იერუსალიმს და მოათავსა თხე-

(ვაგრძელება იქნება)

მის ადგილს — გოლგოთაზე, რათა მას მოემყო თავიანისცემა ქრისტიან-ხალხთაგან.

ხოლო ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ უშჯულოებმა ისე შეაფიწროვეს ქრისტიანნი, ღამობდნენ კიდევაც სამარადემოდ წაეშალათ ქრისტეს სახელი და აღმოეფხვრათ ხსოვნა ჯვარისა და წმიდა საფლავისა. მაგრამ ქრისტიანებმა ჯვარი გადამალეს, რის გამო ბევრი მათგანი მოაკვდინეს კიდევაც.

ბოლოს ქრისტიანებმა ბეჭობა გამართეს, დასქრეს და მრავალჯერ დაქუცმატეს ჯვარი იგი და სხვა და სხვა ეკლესიებს გაუნაწილეს. ასე რომ თუ ერთ წილს ამ ჯვარისას უშჯულონი დასწავდნენ, სხვა რომელიმე გადარჩებოდა.

მაშასადამე, ამჟამად ქალაქ კონსტანტინეპოლში გარდა კეისრის ჯვრისა, კიდევ არსებობს სამი ჯვარი, კვიპროსში ორი, კრეტაში ერთი, თითო თითო აქვთ ანტიოქიას, ედესას, ილექსანდრიას, და ასკალონს, დამასკოსს და იერუსალიმს ოთხი აქვს.

ერთიც ასურებსა აქვთ, საბა წმიდას ბერძნებს ერთი, იოსაფატის ხეობის ბერებს ერთი, ჩვენ ლათინელებს წმიდა საფლავთან გვაქვს ერთი მტკაველნახევი სიგარძისა, სივანით ცერის ოდენა, ქართველთა პატრიარქსა აქვს ერთი და ქართველთა მეფესაც პქონდა ერთი, რომელიც ღვთის მადლით უკვე თქვენა გაქვთ, აწ უკვე შესაშნობად თქვენი სიხარულისა და სადიდებლად პატივისმისაგებად თქვენი ეკლესიისა და მეფური ღირსებისადმი.

• •

მახარამ ძლივს გაარჩია ამ ბარათის კიდეში ბატიფებურად მიწერილი ისევ ლულუს მიერ:

„ჩვენ არ ვიცით გზაში რა მოგვეღოს, ამიტომაც ამ უქანასკნელ უსტარს თან ვატანთ ხუცეს მონაზონს სოსიპატრეს, რომელიც ფრანკ რაინდებთან ერთად მიემგზავრება კონსტანტინეპოლს, იგი ხუფთიდან ნაჰარმავეცს გეახლებათ ღვთით“.



მეჩეჩი*

XXI

მანქანის ხმაური ჩაწყდა თუ არა, იქაობა დღემილმა მოიკცა, ისეთმა დღემილმა, კრინტის დაძვრაც ველარავეინ ვაბედა, ემანდ არ შეიბილწოს ეს ღიღებული მყუდროებაო. მაგრამ ამდენი განცდის თავი აღარა ჰქონდა გიგოსა, სხვა თუ არაფერი, მასპინძელი იყო, თავგამოდება ევალებოდა, დაფაცურება მართებდა, ესეც არ იყო, შიშის ქარები გაუჯდა გვერდებში — ხომ არ დაიხოცნენ, სამარეს რამ დაამგვანა აქაობაო, ასე გაიფიქრა და ატეხა ერთი აურზაური, ხან ტასოს მოუხმო, ხან ირინესა, მერე ბავშვების სახელები ჩამოთვალა სათითაოდა, იყვირა, იქაქანა, იმდენი იქაქანა, ჭიშკრიდან რომ ველარ მოასწრეს, პირდაპირ ღობიდან გადმოცვივდნენ სკოლიდან გამოქცეული ბავშვები, სულის მოთქმაც ვერ მოასწრეს, ისევე გადაცვივდნენ ირინეს დასაძახებლად, ისე გადაცვივდნენ, ჩანთებიც უკან გაიყოლიეს. მერე ისევ მღუმარება დაედო იქაობასა, თუმცა სტუმრები ძირს გადმოვიდნენ, გიგოც მოუსვენრად დაბორიალობდა, ხან ოთახში შევიდოდა, ხან მარანში, ხან სათონეში, საბჭელში, ძარშიც შეიქვრიბა, საღორე და საქათმეც არ დაუტოვებია მოუხილავი, მაგრამ ისეთი მორიდებითა, ისეთი სიფრთხილითა თუ შიშითა, რომ მყუდროება არ გაუბზარავს, ოდნავადაც არ გაუბზარავს, ეს გარეგნულადა, ოღონდ შიგნით, სულსა და გულში ისეთი ჯახაჯუხი, ისეთი გერემა გასჩენოდა, ლამის დაშლილიყო, დარღვეულიყო ან რამეს მივარდნოდა, დაეღეწა გამწარებითა, დაეღეწა რაღაც ღრმა, რაღაც გამოუცნობი, ავი წინაგრძნობის

ჩასახშობადა. რა უნდა ყოფილიყო ეს წინაგრძნობა ან რაც უნდა ყოფილიყო ამ მიჩუმების, ამ მიყუჩების, ადრე გაზაფხულის მღუმარებისა რა ბრალი იყო, მაგრამ თითქოს იყო კიდევაც, რატომღაც იყო, რადგან გიგოს ეგონა, ვიღაცის შიშს გადაჰფარებოდა ეს მღუმარება, სადღაც ვიღაცა მიშალულიყო, აქ სადღაც ფეთქავდა ვიღაცის დამფრთხალი გული, თუმცა ახლომახლო არაფერი დაქაქანებდა, ყველა და ყველაფერი ბალ-ვენახს მოსდებოდა, შინდორს მოსდებოდა; მიწა აწეულიყო, აფუებულებო, გადახსნილიყო, გული გაეშალა და გული მოეტაცა სულიერთა. კარ-მიდამო ამიტომაც დადუმებულებო, გარინდულებო, გული გარეთ გასულიყო და რაღა აახზურებდა, რაღა აამოძრავებდა უგულოდ, აბა, გიგო რაღას აეტანა, რაღას აეჩქროლებინა? ძნელი სათქმელია, თვითონაც არ გაეგებოდა, სხვას როგორღა უნდა გამოეცნო, უთავბოლოდ ედებოდა ღობე-ყორესა, ისეც დაბორიალებდა მარანსა და სათონეშია, დაე, ებორიალა, სტუმრებიც გართულიყვნენ, შეჰყურებდნენ კარ-ფანჯრების შემონაძერწისა, აოცებდათ სიფაქიზე ხაზ-ხვეულებისა, დიდოსტატური ნაკეთობა ორნამენტებისა. გიგოს შეეძლო სიტყვა მიეგდო, რომ მისი ძმის ნაკეთობანი იყო, რომ უყეთესიც შეეძლო და კიდევ სხვაც, უფრო თავმოსაწონებელიც ეთქვა, თანაც განეგრძო ძებნა იმ ვიღაც უხილავისა, დამალულისა, მიჩქმალულისა...

და თურმე აღლო როდი ატყუებდა გიგოსა, თუმცა სჯობდა, მოეტყუებინა, მაშინ ასე სჯობდა, ბევრად სჯობდა, მაგრამ აღლოც იქნებოდა, რამეს მორიდებოდა, — ატრიალა, აბორიალა, მიაწ-

* დასასრული იხ. ჟურნ. „მნათობი“ № 4, 5, 6, 7.

ყვიტ-მოაწყვიტა, ერთხელ კიდევ შეაგ-
დო სათონეში, ტიხრის იქითაც შეაქე-
რიტა და მოისვენა, ალღომ მოისვენა,
მაგრამ გიგომა? ჰმ, რა საკითხავია, ტა-
სო ხომ კიდობანთან მიეუნულებიყო,
თვალეზი დახუჭა, სახეზე შემოიყრა ხე-
ლები თვალი მოჰკრა თუ არა გიგოსა,
არც აღტაცება, არც თავდაპერილი სი-
ხარული, არაფერი ამისი მსგავსი არ
შესტყობია, პირიქით, დიხაც, პირიქითა,
ნეტავი არ მოსულიყავი, ამ ყოფაში არ
მოგესწრო ჩემთვისაო. გიგო ყველა-
ფერს მიხვდა, მიეჭრა, ძალისძალად აუ-
წია ნიკაპი და რალაც მწარე რამ ამოი-
ძახა, მაშინვე თითქოს თავბრუ დაესხა
ან გაგიგდა, თუ გაცოფდა, მაშ რა უნდა
ითქვას, როცა აღარ გაეგებოდა, რასა
ჩადიოდა, —საკინძეს ჩაუკრა ხელი და
უბრალო ჩითის კაბა ჩაზია თავით ბო-
ლომდისა, აზღუდ-პერანგის სამხრეებიც
ჩააწყვიტა და მწარედ დალურჯებული,
დალილავებული ტანი შეეფეთა თუ
არა, შეპყვირა ცეცხლმოღებულვითა,
შეტრიალდა, ცული აიტაცა, მაგრამ ნა-
ბიჯი ველარ გადადგა, რადგან ტასო მა-
შინვე ძირს დაეცა, მუხლებზე მოეხვია,
არ დამღუპოო, მწვავედ, ჩურჩულით
ამოიძახა. ალბათ მართლაც მწვა-
ვე იყო ეს ჩურჩული თუ დაბნული
ამოძახილი, ალბათ მკლავებსაც დიდი
რამ ძალა მისცემოდა, რომ შედრკა
გაცეცხლებული ვაჟკაცი, გიგო შედრკა,
თვალი დაადგა ძირს ათრეულ დიდ მუ-
ცელსა... ტასომ მაშინვე გაუშვა ხელი,
ნახევები აიფარა მუცელზე, გულზე და
ატირდა, აქვითინდა.

გიგო ისევ შეტრიალდა, მრისხანედ
შეტრიალდა.

— მოვკლავ!... — შესძახა გიგომა, მტეი-
ცი გადაწყვეტილებით შესძახა, მაგრამ
ისევ შედრკა, კარის ჩარჩოში, მზისაგან
გაჩაღებულ ჩარჩოში ლანდი ჩავარდა,
ამ ლანდმა შეაჩერა, ზოლო მერე ნელ-
ნელა რომ აიხვდა, კარის ღირეზე შემ-
დგარ ირინეს რომ გაუსწორა თვალი,

ერუანტელითა დაიგმინა: მაშ რა ვქნა,
რაი?

ირინეს ხმა არ ამოუღინა, არც თვალი
მოუცილებია, მიუახლოვდა, ცული გა-
მოართვა, ისროლა. სარკმლიდან ჩამო-
ვარდნილ შუქზე დაეცა ცული, ალაპ-
ლაპდა, ისე ალაპლაპდა, სისხლმონდო-
მებულ მარჯვენას კანკალი აუვარდე-
ბოდა, მართლაც აკანკალდა გიგოს მარ-
ჯვენაი, ოღონდ ისევ ერუანტელით
გაიშეორა:

— მაშ რა ვქნა, რაი?

— სტუმრებს მიხედე... — უბრალოდ
ურჩია ირინემა.

— ამის ჩამდენს... — სიტყვა ველარ
მოაბა გიგომა, მხოლოდ ხელი გაიშვირა
დალურჯებული ქალისკენა, ისევ რომ
ქვითინებდა და ქვითინებდა, თან ნა-
ფხრეწებს იფარებდა დაჩქმეტილი ხორ-
ცის დასაფარადა.

— ის გიყია... უნდა აიტანო.

— ის გიყია, ის ისაა, ეს ესაა, ყველა
რალაცაა, მართო მე ვარ არაფერი, არა-
რაობა, მე ყველას უნდა მოგუთმინო, მე
ყველაფერი უნდა ავიტანო, რათაო, რა-
ტომაო? მეც რამე რატომ არა ვარ... თუ
ვარ, ქვა ვარ თუ სულიერი, მხეცი ვარ
თუ ადამიანი? მაინც რა ვარ ისეთი,
ყველაფერი ავიტანო, ყველას გაუძი-
ლო? რომ აღარ შემიძლიან, მეტი აღარ
შემიძლიან, ილაჯი მიმიწყდა, სული და-
მეხუთა, ჰერი მინდა, ჰერი!.. ღმერთო,
თუ სადმე ხარ, ბუნების ძალნო, თქვენ
თუ ხართ ღმერთნი, ვინცა ხართ, გამაგი-
ყეთ, მეტი თუ არაფერი შეგიძლიანთ,
გამაგიყეთ მაინცა, წამართვით გონი,
ამირიეთ თვალნი, წამგლოჯეთ ფიქრი,
გამცალეთ ყველაფრისგანა, დამაგდეთ
თავისუფლადა, თავისუფლადა... ღმერ-
თო!.. ბუნების ძალნო!.. კაცთა ძალნო!..
— ჩუმაღ!..

მეტი აღარაფერი უთქვამს ირინესა,
არც რა იყო სათქმელი, არც ეცალა,
მიხედვა უნდოდათ სტუმრებსა; ჰოდა,
სათონიდან ნათელი სახით გამოვიდა
დიასახლისი, სახე ნათელი რად არ იქ-
ნებოდა, — კიდობანში ახალი პურ-ლა-

ვაში ეწყო, მარანში ქვევრი მოსახლეო იყო, დილას ამოყვანილ ყველს შრავი ჰქონდა გადასაწერი, ბოსტანში საადრეო მშენილი ბიბინებდა, ქერში ლორი ეკიდა და გამოზამთრებულ ქათმებსაც მოაკლდებოდა შავი დედალი, მობერებულყო, კვერცი მოლოდა, თუმცა კრუხად დიდ რამედა ღირდა, მაგრამ მერე რაო, სტუმრებისათვის რა დანანებულა, რომ შავი დედალი დანანებულყო; ერთი სიტყვით, მეტი რაღა უნდოდა დიასახლისსა, რა მოღუშავდა მის სახესა, მე შენ გეტყვი, ხელები გაებლანდებოდა, რა სათქმელია, თვალის დახამხამებაში აწილიყო ქათამი, მართლაც თვალის დახამხამებაში, მაშ, სხვანაირად როგორ უნდა ითქვას, როცა ყველაფერს საოცარის სისწრაფით აკეთებდა; გიგოც კალთას გამოება, მაშ რაო, ვინ იცის, კიდევ რა ეშმაკი შესჯდომოდა, თავის ფიქრებთან როგორ დაიტოვებოდა, თვალი როგორ მოსცილდებოდა; თუმცა ფიქრი რას მოეშვებოდა გიგოსა ან ისე რას მოეშვებოდა, ფიქრობდა, მაინცა ფიქრობდა, ქათამსა კლავდა თუ შეშასა სჭრიდა, ცეცხლს უსწორებდა თუ ქვევრსა ხდიდა, ფიქრობდა, თუ რა იქნებოდა უკეთესი, ბარემ ახლავე მოეკლა გელაი თუ გადაკარგულიყო, სულ გადაკარგულიყო, რომ აღარ ენახა ასე დანქმეტილი, ასე დალილავებული ცოლი, არც აქაობა მოეგონებინა, აღარაფერს მოეგონებინა, გადავიწყებოდა აქ გადახდილი ლელვა-წუხილი; თუმცა ამ დავიდარებას ის არა სჯობდა, ტასო არ გამოეგზავნა ხალდეში, გვერდიდან არ მოეშორებინა? ჰმ, შეკითხვა ადვილია, პასუხი?! ძნელია პასუხი... ირინე მაინც გაფრთხილებოდა, როგორ ვერ გაუფრთხილდა, როგორ ვერ დაუფარა გელაი თვალსა?! ჰო, სხვა სხვის ომში ბრძენიაო, — დარაჯად ხომ არ დაადგებოდა, ეგებ დასდგომოდა კიდევცა, მაგრამ ვილა მიხედავდა მამულსა, ვილა იმუშავებდა კოლეტივში, ყველა ყველა და, თავის დასაბან წყალსაც ხომ თვითონ არ მოუტანდა, რაო, საბყარია თუ რა არის, ფეხმძიმეობა, ჰო, ჰო, მაგრამ ჯერ ხომ და-

საწოლს არ არის?! ეპეი, სანუგეშო არაფერი ამოსდევს ფიქრსა და თუ გადაკარგვის იქით გზა აღარაქონდა ამ ქვევრს რაღას დასტრიალებს თავსა, რაღას ასკდება გულსა, ბარემ გადაიხვეწოს, დააგდოს ბარი და გააყვეს მოუსავლის გზასა, — ბუნების ძალნო!.. — ამ დროს სტუმრებიც შევიდნენ მარანში, შევიდნენ და დიდხანს აღარც გამოსულან, უკეთეს ადგილას სად წავალთო, ქვევრის თავთან ჩამოსხდნენ და იქა თქვეს, უკეთეს ადგილას ვერ წავალთო, დიასახლისმაც ხონჩა იქ შეიტანა, პურადმა, სწრაფმა დიასახლისმა... და, როცა ქიქებში ლალისფერი ღვინო ამუშხუნდა, გიგომ იწამა ძალნი ბუნებისა, მადლი ბუნებისა, — მომხედეთ, მიშველეთ, ისე გამაბრუეთ, აღარ გამომწვდესო, აღარაო, აღარაო...

სხვები გამხიარულდნენ, გულის ჩხრეკას ხომ აღარ დაიწყებდნენ, სტუმარ-მასპინძლობა მხიარულების მეტი რაღა ყოფილა, — მასპინძელს უკვე გამხიარულებინა სტუმრები, მოხდილი ქვევრი, საესე ზონჩა და კეთილი გული გაეფინა, ბევრი რამ გაეფინა, ნათქვამია, ყველი, პური და კეთილი გულიო, კარგი ნათქვამია, მთავარი მასპინძელი გული ყოფილა და, თუ კიდევ დაემატებოდა კუჭის საამებლადა, სიხარულის მეტი რაღა მართებდა სტუმარსა, ჰოდა, ძინიცი გამხიარულდნენ, ლალისფერის დანახვისთანავე ენად გაიკრიფნენ, ლაპარაკი აქამდისაც არ აკლდათ, ოღონდ ახლა საჯავრელს ერიდებოდნენ, საიმედოს იტყოდნენ, სახალი-სოს იტყოდნენ, გრძლად იტყოდნენ, მარტო ირაკლიმ იმ სიგრძე სიტყვა თქვა, იმ სიგრძეი, ბგერა-ბგერად რომ გაებათ, ასკეცად შემოსწვდებოდა ხალდესა. ეს მარტო სიგრძე, ახლა აღტაცება-ამაღლებას აღარ ეკითხავთ? იკითხავთ და მოგახსენებთ, მარნის სადღეგრძელოს ამბობდა ირაკლი, ქართულ მარანსა ლოცავდა ჭერიან, ქვევრის ძირიანადა, აქებადიდებდა დოვლათსა, მხნეობასა, ძალსა, გაბედულებასა, იმედოვნებასა, აღმავლობის ამ უმტკიცეს ფუძესა, —

იხაროს, იდიდოსო ამისი ეშხი, ამისი მადლი ნუ მოაყლოს ქართველ კაცსაო, რაც მოხდეს, ქვეყანას გადახდეს, რისხვამ ზევით გადაიაროს, ეს დარჩეს, როგორც ფესვი ცხოვრებისა, ჩვენი ცხოვრებისა; სხვას სხვა ფესვი ექნება, იმათ იქ იხარონ, იმათ იქ ახარონ, ჩვენ ჩვენი ვახაროთ, ყველამ თავისი ახაროს და ყოველთა ბედნიერებაც ეს იქნება, სხვა რაღა იქნებოდა... იხაროს მარანმა, იდიდოსო მაქარმა, იმატოს დოვლათმაო და სხვა ასეთები მოაყოლა, მაგრამ სიტყვა გააწყვეტინა გიგომა, თითქოს წყალი გადაასხა, ხალდურას წყალი:

— კარგი და... შენი ძალა და უნარი ამ მარნის დანგრევას შეალიე, ახლა სიტყვით ააშენებ ასე სახელდახელოდა?! მოეშვი, რა ბედენაა, ლოცვა რომ უცვლევების მალამო იყოს, ლოცვა რომა სჭრიდეს, ავი არაფერი მოეწეოდა დედაჩემის შვილსა.

— გიგო!.. — წყრომით შესძახა ირინენა.

— კარგი რა, — თითქოს წყრომითა, თითქოს ვედრებით მიუგო გიგომა, — ერთხელ მაინც მათქმევინე ბოლომოიხსა, ერთხელ მაინც მომიწონე ან ნათქვამი ან ნაქნარი, ასეთი უვარგისი რა ჯამოვსულვარ...

— სტუმარია...

— მეც სტუმარი ვარ, ყველანი სტუმრები ვართ წუთისოფლისა.

— ნეტავ წუთისოფელიც თუ ისეთი გულუხვია, როგორც ჩვენი მასპაძეული?! — უხერხულობის დასაფარადა თქვა შოფერმა.

— რა შეედრება წუთისოფლის სიკეთესა და მადლსა, რა შეედრება ამ ჩვენს დიდ მასპინძელსა, ვაი რომ სტუმრები არ უვარგანან!.. — ასე დაიძახა გიგომა და სთხოვა ირაკლისა, დალიე, სათქმელი გადააყოლო.

ირაკლის თითქოს ხელი გაუშეშდა, ვერც ძირს დაედგა, ვერც ტუჩებთან მიეტანა ჭიქა, თვალის გაუშტერდა და იყო ასე, ვინ იცის, რამდენხანს იქნებოდა, ირინე რომ არ მიახლოვებოდა, სათნობებით არ შეეხედა, სიკეთით, მღელვარებით აღსავსე კილოთი არ ეთქვა, მიერთვითო, იმავ დროს გიგოსკენაც გააძარა თვალი, დამტუქსავი თვალი... გასჭრა თხოვნამა, გამოერკვა, ჭიქა გამოსცალა ირაკლიმა, ლადომა და შოფერმაც გამოსცალეს, თითქმის უთქმელად გამოსცალეს, ააშენოს მარანიო, მხოლოდ ეს ამოთქვეს გულითა და სულითა.

ენა ისევე ამოიდგეს, მალე ამოიდგეს ან ისე როგორ შეიძლებოდა, სადღეგრძელო უნდა თქმულიყო, თავისი წესრიგით უნდა თქმულიყო, თავის ადათს უნდა გაჰყოლოდა, ღვინის სმას ისე რა მადლი ექნებოდა, ჰო, ენა ამოიდგეს, ოღონდ რაც უნდა მოსიტყვახევიანებულა იქით არ გადადიოდნენ, რაღაც-რაღაც აზრებსა თუ ტკივილებს ახლოს აღარ ეკარებოდნენ, თორემ გიგო შემართულიყო, ჩახმაზივით შემართულიყო, ისევე იყო, როგორც მაშინა ხელი რომ დაავლო ცუღსა, ახლა ხელში აღარაფერი ეჭირა, მაგრამ ენითა ბალთავდა, გააღმასებული ცუღივითა ბალთავდა. და ირინე ახლა უფრო შიშობდა, ერთი თვალი რომ გადაეცილო, უსათუოდ გავარდება, თავს გააგდებინებს გელასაო, ოღონდ ეს არა ქნას, ოღონდ აქამდის არ მივიდეს, თქმითა, ჰმ, რამდენიც უნდა თქვას, რაც უნდა თქვას, თავში ქვაც უხლია, ოღონდ სტუმრები მაინც არ გამინაწყენოსო. სტუმრები თვითონვე ფრთხილობდნენ, უტრიალებდნენ და უტრიალებდნენ უწყინარ სადღეგრძელოებსა, ლოცავდნენ ოჯახის დიდსა და პატარასა, სვამდნენ მიცვალებულთა შესანდობარსა, — აბა, აქ რა იყო ასახირებელი. მაგრამ თავისი გაიტანა ღვინომა, სიტყვა ამოვიდა, გადმოვიდა კალაპოტიდანა, ეს მაშინ, როცა მეორედ აღდღეგრძელეს დიასახლისი, მასპინძლობის ეშხი ერთხელ უკვე უქეს, ახლა სხვა რამეს უნდა გადასწვდომოდნენ და რაღას იზამდნენ, გადასწვდნენ მის მხატვრობასა. საბედნიეროდ, გიგო აღარ ახირებულა.

ეს ასე იყო:

— გამიგონია, კარგადა ხატავსო... — თქვა ირაკლიმა.

— ხატავსო თუ ხატავდაო? — ისე იკითხა ირინემა უთუოდ შეეფეაკლებოდა ლოყები, უკვე რომ არ დაეწვა გაზაფხულის მზესა, — ხატავდაო, ასე გაიგონებდით, ოღონდ „კარგადაო,“ ამისი რაღა მოგახსენოთ, გაზვიადებაა და მეტი არაფერი.

— არა მგონია, — ჩაერია ლადო, — მინახავს თქვენი ნახატების პატარა ალბომი, ჩემს დიდად პატივცემულ მეუღლესა ჰქონდა... ეგებ გაიხსენოთ, იმ ალბომში თქვენი ოჯახის წევრთა პორტრეტებია, დედა და ხუთივე და არის გამოხატული, თქვენი ავტოპორტრეტიც არის... და ყველას რომ თავი დავანებოთ, ჩემი ღირსეული თანამეცხედრის სახე ისე დიდებულად, ისე კარგად, შინაგანი სულის ისე ღრმა და მართალი ხილვით არის შესრულებული, გეფიცებით, აღრევე რომ მენახა, გაბედნიერებამდე რომ მენახა, ასე უბედური აღარ ვიქნებოდი...

— იქ ისეთი ვითომ რა არის?! — იკითხა ირინემა.

— მხატვრის ნიჭი, შინაგანი ხილვისა და გამოხატვის კარგი უნარი, სხვა რა უნდა იყოს?! და უნდა გამოგიტყდეთ, ამ ალბომს შემთხვევით წავაწყდი სკივრში რაღაც-რაღაცებთან ერთად მიგდებულსა, ეტყობოდა, მაინცდამაინც არ ეპიტნავენოდა ჩემს ძვირფას მეუღლესა...

— ის ხომ ძველი...

— მით უმეტეს, — აღარ დააცადა ირაკლიმა, — მას შემდეგ უფრო მეტად დახელოვნდებოდი და რად გაიკვირვებო, როცა ვთქვი, ქება გამიგონია-მეთქი?

— როგორ არ გაიკვირვო, ჩემი მხატვრობა ხომ მხოლოდ მოგონებაა. აქ ჩაერჩი... მხოლოდ ამას მოვუნდი, მეტს ველარაფერს გავწვდი... ოჯახი, ზრუნვა... ნაკეთის შენარჩუნება... მეტს ველარას გავწვდი. დიახ; მხოლოდ მოგონებაა ჩემი მხატვრობა ან ეგებ დიდი ხნის წინათ ნანახი სიზმარია. თუმცა რაც იყო, იყო, აღარ არის, მე შეჩეჩს გამო-

ვედე, მეჩეჩზე შევრჩი. მიდის დიდი მდინარე ხელოვნებისა, ტალღა ტალღას მისდევს, ხან მეც მომწყვდება ტალღები, მაგრამ მაინც ველარ მოვუწყვეტნივარ ამ შეჩეჩიდანა.

— მეჩეჩზე სხვაც არის, — თქვა გიგომა, აუღელვებლად, დინჯად დააბოლოვა, თითქოს ჯაგრი გამოხელოდაო. ასე იყო თუ ისე, გიგო აღარ ახირებულა და სიტყვამაც გაიწია უფრო განგანა. გიგო რა იყო და იმანაც შეძლო სიტყვის დაბორკილება, სხვები რაღას იზამდნენ, სხვები, რომელთაც ძალაც შესწევდათ, ცბიერებაცა? რაღას არ იზამდნენ, ვაი სიტყვასა უგნურებისა და ფანატიზმის სიმძიმის ქვეშა!.. მაგრამ ბევრჯერ გაუძლია უგნურობისა, შემოლილობისა თუ, უბრალოდ, სიციხისთვისა, ბევრჯერ თავი გაუტანია უკულ-მართობაში, მაშ, არც ისე უსასო ყოფილა, მაშ, შესაცოლიც არაფერი ჰქონია სიტყვასა; ასე იყო თუ ასე, ენად გაიკრიფნენ, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ, ისე ლაპარაკობდნენ, სახელგანთქმულ ორატორებსაც შემურდებოდათ, იქ რომ შესწრებოდნენ.

გიგო მაინც აღარ ახირებულა, ჰო, მარანში არ ახირებულა-მეთქი, ხოლო მეორე უეცრად გაგულსდა, გამწარდა, გაცეცხლდა, მაშინ გაცეცხლდა, როცა წასვლა დააპირეს და ტასოს წაყვანაც მოინდომა, ირინემ ხელები გაატატანა, ასეთი რამ მეორედ აღარ გამიგონოთ. ამის თქმა იყო და ისე იყვირა გიგომა, რომ საღლაც ბაღში ქათმები აკრიახდნენ, ინდაურები აროხროხდნენ, იხვები ავიხვიხდნენ, სხვა არაფერს შეუშინებია გიგოს ყვირისა, მხოლოდ ტასომ იტყვინა, გაინახა შეშინებული, იმითი შეშინებული — ემანდ ირინემ არ დასძალოსო. მაგრამ თითქოს ველარაფერს დასძალავდა გიგოსა, „როგორა, ე როგორ არი, ჰა, — ყვიროდა გიგო, — მაშ ჩემი ცოლიც ჩემი ნება აღარ არი, ჩემი თავი ჩემი ნება აღარ არი, ჩემი სიტყვა ხახვის ფოჩადაც აღარა ღირს, მაშ, რა ვყოფილვარ, რა ვყოფილვარ-მეთქი, ჰა?! ჰე-ჰე, უფროხილდით გიგოსა!..“ მშვექარედ

დაიძახა, თუმცა არავინ დამფრთხალა, არავის აკანკალდება გული, ირინეს ხომ რა, წარბიც არ შეუხრია, გულმშვიდად უხსნიდა, რომ მისი თავიც მისი ნებაა, მისი ცოლიც მისი ნებაა, მისი სიტყვაც ხახვის ფოჩვე მეტი ღირს, ოღონდ ცოტა გონებას თუ მოიკრებს, მიხედება, ტასოს სადმე წაყვანა შეუძლებელია... აბა, სად უნდა წაიყვანოს, სახლი აქვს თუ კარი, ვის უნდა მიაყენოს, სად უნდა აწოწილოს თვეში ჩამდგარი ქალი, სადა, ჰა?! ე გელა ისეთი რა გახდა, იმისი შიშით სულ აიყარონ, სულ გადაიკარგონ ხალდედნა, ერთი ვნახოთ, ისეთი რა არის, ირინე ახლავე მიეჭრება და ანგელოსებს დაუფეთებს ომაძიანთა. ტასოს აქამდე არაფერი უთქვამს, უმაღავდა, თორემ აქამდისაც დანთებდა ქიაკოონასა ომაძიანთ უბანში... მაგრამ ამაო იყო ეს ახსნა-განმარტებანი, გიგოს თათქოს აღარაფერი გაეგებოდა, კედელს ცერცვი შეაყარეო, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო, — როგორაო, ჩემი ცოლიც ჩემი ნება აღარ არისო, ისევე ამას გაიძახოდა, მერე უცებ აენტებოდა, — აბა, თუ არ არისო, ტასო, მალე, ფეხი გამოადგო, მაგრამ ტასო აღარა ჩანდა; ირინეს დაეტუქსა, შინ შეეგდო, იჯდა იქა და ზღუქუნებდა, ისე ზღუქუნებდა, გარეთ ხმა არ გასულიყო; ჰო, ტასო აღარა ჩანდა და, მაშ, ჩემი ცოლიც ჩემი ნება აღარ არისო, ისევე ამას გაჰყვიროდა გიგოი, გაჰყვიროდა შესულილივითა. ასე იყო, ვიდრე მოთმინება ეყოფოდა ირინესა, მერე კი, ჰო, მერე ირინემაც აუწვია ხმასა, ირინეც აღელდა და გიგომ მაშინვე თავი ანება ყვირილსა, მოლბა, მოთვინიერდა, — როგორც ვინდა, როგორც იტყვი, შენი სიტყვა ჩემი კანონია, აბა, შენი ხმალი, ჩემი კისერი, ოღონდა ჩემი ცოლი ჩემი ნება რატომ არ უნდა იყოსო, — მაინც დაატანა, თუმცა მორჩილად, დუნედა, შესაბრალისადა. ირინე ამან უფრო ააღელვა, ცრემლი მოაწვა, — ჩადი, მიდექ-მოდექი, თავშესაფარის მაგვარი რამ გამოსძებნე და მევე ჩამოგვერი ცოლსაო, შენ თუ ვერაფერს გააწყობ, ჩამოვალ, ბინასაც მევე გიშოვნო.

ირაკლემ თავისი წილი იმედი თქვა, აღდომ თავისი, და დამშვიდდა გიგომ თუ დამშვიდება ეთქმის, ხმას რომ არ იტყვდა...

ჩასხდნენ.

ისევე ახიხინდა, აქაქანდა, აქოთქოთდა დანჯღრეული ვილისი გუნდიაანთ ეზოში, წავიდა, გაიბა ეს ხიხინ-ქოთქოთი, გაიბა და ჩაილია, ჩადნა ნელ-ნელა.

XXII

გუნდიაანთ კარ-მიდამო ისევე მოიცვა მღუმარებაში, ისევე მიწყნარდა, დამუნჯდა ყველაფერი, სახლი, სათონე, მარანი, სადაც წელან გიგო ბობოქრობდა, გუგუნებდა, ისე გუგუნებდა, თითქოს მიწა იძვრის, ვულკანი ამოიფრქვევას, თურმე არაფერი ყოფილა, არაფერი, სულიერნი მიმოიფანტნენ და მიყრუვდა იქაობა, მიყრუვდა, მიჩუმიდა... ამ მღუმარებაში, ამ გარინდებაში შემოვიდა ადამიანი, შემოვიდა წყნარადა, უჩქამოდა, თვალებს აცეცებდა რომ დაენახა, ყურნი წაემახვილებინა, რომ გაეგონა, მაგრამ არავინა ჩანდა, არაფერი ისმოდა და შიშმა მოიცვა, შეძრწუნდა, ღობეს მიადგა და მიაწყდა მუხლმოჭირილივითა. ღობე შეირბა, მარგილებზე ჩამოშობილი ქილები აწყრილდნენ და იმედა ჩაესახა, ეს სიცოცხლის ნიშანი იყო, სიცოცხლე ენიშნა, მიმოიხედა თამამადა... ყველაფერი თითქოს ისევე იყო და არც ისევე იყო, თითქოს არაფერი გამოცვლილიყო, მაინც გამოცვლილს დამგვანებოდა, ცალ-ცალკე სათითაოდ არაფერი გამოჰკლებოდა, არც არაფერი მიმატებოდა, მაგრამ მაინც რატომღაც თუ როგორღაც უცხო, უცნაური იერი დასდებოდა მის სახლ-კარსა, დიახ, მის სახლ-კარსა; ეგება თვითონ შეცვლილიყო, გაგარეულებულიყო, გადაეწივნოდა, გადაქართლებოდა, თორემ ისე რად ეუცნაურებოდა უცვლელი გარემო, გადაუსხვაფერებელი გარემო, თავისი სახლ-კარი მაინც რაღად ეუცნაურებოდა? ეს კიდევ არაფერი, ლეიძლი ძმაც ეუცხოვა, ეუცნაურა, ეს მაშინ, როცა

ვენახ-ვენახ, ღობე-ღობე მოდიოდა, ორ-ღობეში ვილისი მიბღუოდა, მიჯახი-როზდა, საღაღაც რუში ჩაებთქა და, ვიღრე ამოთრევედა წელსა, მოასწრო, კარგად გაერჩია თავისი ძმა მდივანსა და თავმჯდომარეს შორისა, — ოჰო, გადიდაცებულაო, — ვაიფიქრა, მერე აღარც გაპკვირებია თუ რად იჯდა ისე ამაყადა, ამპარტავნადა, გოროზადა. ასეთად მოეჩვენა ღვინისა და ბოდმისაგან ვათანგული ადამიანი, მოეჩვენა და დაიჯერა, ვითომ რად არ დაიჯერებდა, ვანა ომახიანი მანქანით არ მიგუგუნებდა მდივანთან ერთადა, დაე, თავმჯდომარე სათვალავში ნუ იქნებოდა... ეგებ სწორედ იმ წუთიდან გამოეცვალა ხასიათი, იმ წუთიდან დაეკარგა ცნობიერება, რახან ძმა ეუცხოვა, კარ-მიდამოც ეუცხოვა, გუმანი ველარაფერზე მიიტანა ან მიიტანა, ის იყო და არც ის იყო.

არც არავინა ჩანდა, ისინიც გამოცვლილიყვნენ თუ სულაც დახოცილიყვნენ, ჰა, ხომ არ დახოცილიყვნენ?! მაგრამ ეს ქილები რომ რაკუნობდნენ მარგილებზე, — დიდი ნუგეში იყო, დიდი იმედი იყო და ჩაეჭიდა იმ იმედსა, საგულდაგულად ჩაეჭიდა ღობესა, შეარხია, შეანჯღღრია, არაკუნდა, არახუნდა ქილები, ისე არახუნდა, უსათუოდ ვინმე გამოიხებდაედა, თუ მართლა არ გაწყვეტილიყვნენ ან საღმე შორს, ძალიან შორს არ გადაკარგულიყვნენ. ვინ იცის, გადაკარგულიყვნენ... მაგრამ ეს ქილები, ქილები რომ არ იცის გავერანებულმა ეზომში?! ეგებ სხვა ვინმე დაბინავებულიყოს?! — და აქ ისე ღონივრად შეანჯღღრია ღობე, რომ ერთმა ქილამ ზღართანნი მოადინა, სხვანიც მის ზვას გაუღდგებოდნენ, მაგრამ საღაღაც რაღაცა ხმა ვაისმა, საიდანღაც ვიღაცანი გამოცვიდნენ, ჰო, საიდანღაცა და ვიღაცანი, რადგან ყველაფერი ბურუსში ჩაიძირა ან თითქოს ლიბრი დაედო ყველაფერსა, შესაძლოა, თვით მის თვალებს დაეკრა ლიბრი, ასე იყო თუ ისე, ვიღაცანი გამოცვიდნენ, მის წინ დაერჭვენენ, გაიციენეს, გაიღრიქეს, შემოპროწილდნენ და ჟივით მიაწყდნენ მარანსა; თითქოს სულიერნი იყვნენ, თითქოს

მოჩვენებანი იყვნენ, თითქოს ცხადი იყო, თითქოს სიზმარი, მაგრამ რაკუნდა ყოფილიყო, რანიც არ უნდა ყოფილიყვნენ, მისი შეილები იყვნენ, მიხვდა, გუმანი მიიტანა, მისეები იყვნენ, თითქოს არცთუ ისინი იყვნენ, გამოცვლილიყვნენ, გაზრდილიყვნენ, დაე გაზრდილიყვნენ, გამოცვლილიყვნენ, ოღონდ სხვანი არ იყვნენ, სხვანი არ ჩამოთესლებულიყვნენ; თუმცა გამოცვლაც არის გამოცვლაცა, ვინ იცის, ისე გამოცვლილიყვნენ, რჯული აღარ შეენარჩუნებინათ... განვედ, საზარელო ფიქრო!... ესენი გაზრდილან, მხოლოდ გაზრდილან, ოღონდ დიდები?! — გიგო გამოცვლილა, გადიდაცებულა, — ჰმ, მდივანი-სა და თავმჯდომარის შუა... ესა? ესეც თუ შეეცვლილა, როგორ გამოვიდა მარნიდანა, ბავშვებშემოხვეული გამოვიდა, როგორ მიაწყდა კარსა, თითქოს ზედ დაეკრა, დაეწება, თითქოს თვალი გაუშტერდა თუ ჩააცივდა ერთ ადგილსა, ამ ადგილსა, ორ მარგილს შუა, არწეული ქილების შუა? მერე ხელები ჩამოუცვივდა, თითქოს მართლაც ჩამოუცვივდა, ჩამოსწყდაო, ადგილსაც მოსწყდა, წამოვიდა და არც წამოვიდა, აღარ დილია მანძილი მარნიდან ღობემდისა, გახარებოდა, არც გახარებოდა, ფერი აღარ ედო, მანძილი მაინც დილია, ხოლო ფერი, ფერი აღარ მოეკიდა იმის სახესა, ღუნედ მორღვეულივით მიაღწია, მიაღვა ღობესა, ისეც გაუშტერდა თვალი, ოღონდ ორ მარგილშუა, ქილებშუა როდილა, რომელიღაც შორეულსა და გაურკვეველ საგანზე გაუშტერდა, როგორც იყო, ხმაც ამოიღო, თითქოს შეამცივნაო, ისე წაიდუღუნა:

- მოხვედი?!
- ჰა?
- მოხვედი?
- ჰო...

— მოდი... — ესეც შემცივნებულივით დაატანა და გატრიალდა.
 შეეცვლილა? შეეცვლილა თუ არ შეეცვლილა? ყველაფერი შეეცვლილა, ყველანა შეეცვლილან, გიგოც შეეცვლილა, ამას რაღა მოუვიდოდა?! დაუსტებულა, და-

სუსტებულა... არა, გადასხვაფერებულა, გადასხვანაირებულა, დასუსტება რა შუაშია, განა ოდესმე გოლიათი იყო, რა ვუყოთ, თუ ცოტ-ოდნავ სასვე ყბები ჰქონდა, გულიც ოდნავ მაღალი ჰქონდა, ჰქონდა თუ მხოლოდ იმას დახსოვებია, მაინც, რაც უნდა იყოს, სისქესიგანე რა მოსატანია, სიხარულ-სიმძიმელი სისქე-სიგანეს ხომ არ ასდევნებია, გაეხარდა თუ ეწყინა ჰქონდა დაბრუნება, ასე მოულოდნელი დაბრუნება? რას გასცრეცია სახე, რატომ ვერ შეუჩერებია თვალები, რად ვერ მოუსვენია, რად გამოაყურება თითქოს უგრძობლად, ვითომც არაფერი მომხდარიყოს ან მეზობელთან გასულოყოს წალდის სათხოვრადა და იქიდან მობრუნებულიყოს, თუშეა წიოკა, მატაოცი არასოდესა ყოფილა, მაგრამ მაინც ჰქონდა დაბრუნდა, დაბრუნდა მამა ოჯახისა, ვითომ მეტი არაფერი უნდა მოხდეს, ეს რა არას, „მოდი...“ იძახის მოდუნებულადა და თითქოს მოშლილი, მოფუტქნული მიუძღვის ოთახისკენა... შეცვლილა, შეცვლილია. და შევიდა ირინე, უხმოდ შევიდა, მიჰყვა ისიც; ტახტზე ჩამოჯდა, უხმოდ ჩამოჯდა, მხოლოდ მუთაქა აიღო, ხელი გადაუსვა ხაოიან პირზედა, ისიც ჩამოჯდა, უხმოდვე ჩამოჯდა, შორი-აზლოს ჩამოჯდა. ბავშვებმა თავი შემოჰყვეს კარიდანა, ფანჯრიდანა, ვისაც როგორ მოუხერხდა, ვინც როგორ მოასწრო.

— მოდით, — გასძახა ირინემა, — მამა ველარ იცანით?!

რა გასაკვირია, ველარ ეცნოთ, დიდი ხანია გაუიდა და აღარ მობრუნებულა, დიდი ხანია უფროსი უკვე შეღერებულა, სულ უმცროსიც კარგა მოჩიტულა, მაშინ აკვანში იყო, აკვანში, რა ეხსომებათ, როგორღა იცნობენ? დამფრთხალებივით ახამხამებენ თვალებსა...

— მოდით, — დაიძახა მამამა, — მამა ველარ იცანით?! — იგივე გაიმეორა, სხვა ვერაფერი მოახერხა, ისიც ეგონა, არცა ჰქონდა მეტის უფლება, ირინეზე მეტს ვერას იტყოდა, ის წაივინდა, დედას დააწვა მთელი ოჯახი, ცალად ეწეოდა

უღელსა, დედა მბრძანებელი... ცალად ეწეოდა, ჰმ, ადვილია სათქმელად... შენ კი ამბობ, გამოცვლილად... მამამა გულისტყენითა, ჰმ, გულისტყენითა...

— მოდით!... — ისევ გაიმეორა, თანაც ირინეს გადახვდა, მეტი რაღა ვთქვა, როგორ მოვიკაროო. აქ უცებ პატარა ჩანთა გაახსენდა, ხელში ეჭირა, მაგრამ ახალა გაახსენდა, მაშინვე გადახსნა, ფეხსაცმელები, ჩითის ნაჭრები, კამფეტები წამოჰყარა. ფეხსაცმელები აღარავის არგებდა, პატარები ახსოვდა, პატარები წამოედო, ამან გააცინა ბავშვები, წინ წაიწიეს, მიუახლოვდნენ მამასა, ოღონდ მალევე გაიქცნენ დედისკენა, მხოლოდ უფროსი დარჩა მამასთანა, უფროსი მალე მიეჩვეოდა, სხვებიც მიეჩვეოდნენ, ჰო, მიეჩვეოდნენ, თვითონაც მიეჩვეოდა, გამოცვლილად აღარ ეჩვენებოდნენ. ხოლო გიგო, ჰმ, გიგო მაინც გამოცვლილა.

— გამოცვლილა... — ხმამაღლად ესა თქვა.

— ვინა?
— გიგოი.
— რამ გამოსცვალა?!
— გადიდკაცებულა...
— ვინა, გიგოი?!
— გიგოი...
— რამ გადიდკაცა?!
— დავინახე, მანქანაში იჯდა მდივანსა და თავმჯდომარესთანა.

— ჰა, ჰა, ჰა...
— იჯდა...
— მერე რაო, ვითომც მერე რაო?!

ესეც არ იყო, ერთი მდივანი აღარაა, მეორე — თავმჯდომარე...

— ჰოო... მეც არა ვთქვი...
მაშ, არც გიგო გადასხვაფერდებოდა, არა, არა, თვითონ თუ გადასხვაფერდა, გაუცხოვდა ამდენ თრევა-წოწილშია ან თვალი გაუუცხოვდა, ალბათ, ნამდვილად თვალი გაუუცხოვდა... აი, მოეჩვია, მოეჩვია, თითქოს უკვე ეჩვევა, აი, ეჩვევა, თანაგრძობით ეღვსებათ თვალები ბავშვებსა, აი, ირინე თანდათან უფრო თამამად შეჰყურებს, თანდათან, თანდათან ისევ ძველი თვალით დაინახავს ყვე-

ლასა და ყველაფერსა, მაშ, რაო, ისევეა ყველაფერი, არა მოჰკლებია რა, არა მომატებია რა, მხოლოდ ბავშვები გაზრდილან, ირინესაც შესტყობია ხანი, ცოტა შესტყობია.

ირინე¹ გავიდა. ბავშვები ცოტა ახლოს მივიდნენ მამასთანა.

ირინემ ხელადით ღვინო, ჯამით წინილი და ქათმის მონარჩენი, — ერთადერთი ნაჭერილა შემოიტანა.

— დანაყრდი, ცოტას დანაყრდი და მალე...

— ჰო, ძალიანა მშინან...

და როცა დანაყრდა, უფრო მეტი სითბო, უფრო მეტი სიმყუდროვე იგრძნო, „გავუცხოვებულვარ... შემეჩვევიან“, გაიფიქრა და უცებ ისე მიიხუტა, ისე მიიკრა უმცროსი ბიჭი, ისე აკოცა, რომ ტირილი ველარ შეიკავა, აღარ დადგა მამის მკლავებში, დედას მივარდა, მოეხვია, როგორც მფარველსა, მხსნელსა, მხოლოდ ცალ თვალს თუ გააპარებდა მამისკენა, მალულად გააპარებდა. მამა იცინოდა, გულალალად იცინოდა, იცინოდნენ სხვებიცა, — შემეჩვევიან... მალე შემეჩვევიან...

მაგრამ ირინე თითქოს უფრო მორიდებული, უფრო მოკრძალებული გამზდარა, დამორცხვებულა, / ისე დამორცხვებულა, ლაპარაკსაც ვერ აუწყო პირი, არაფერს უყვება, არაფერს ეკითხება, არც მარტო რჩება ქმართანა, გავა, არ გაჰყვება, თუ გაჰყვება, უთუოდ ვინმეს გავიყოლებს, ან ტასოს, ან რომელიმე ბავშვსა ანდა, თქმაც არ უნდით, თვითონვე მისდევენ ჯგროდა. მთელი დღე ასე იყო... ღამე? ღამე ასე აღარ იყო, მაგრამ რაო, მაინც ვერ დაიმართხვლა ირინეი. საკვირველი იყო, როცა ავიანზე მიმოდიოდა და ხალდეს საღამოს შეხაროდა, პატარა ოთახისაკენ გაეჭვა თვალი, იმ ოთახისაკენ, პირველად რომ განმარტოვდნენ, ლოგინზე ორი ბალიში იღო, მათ ლოგინზე ნამდვილად ორი ბალიში იღო, ღამმა დაპნათოდა, მკაფიოდ აჩენდა, მაგრამ დაწოლისას ორი ბალიში აღარ დახვედრია, ერთი იღო, ეგებ მოეჩვენა, ეგებ

გარედანა ჩანდა ორადა? — გავიდა, ისევე შეიხვდა აივნიდანა, ერთი იყო, ერთადერთი. შეფიქრიანდა, დიდხნეს სემედევ შინ მობრუნებულ კაცს რა ფიქრი აღარ გამოეღებოდა, ვინ ჩამოსთვლის, ან რა ჩამოსათვლელია, კმარა იმის თქმა, რომ შეფიქრიანდა. მაინც ელოდა ირინესა, ელოდა, ელოდა, სხვა თუ არაფერი ფიქრების გასაფანტავად მაინც ელოდა, ვიდრე ძილში არ წავედა მათი სახლი, ვიდრე ძილმა არ მოიცივა მთელი სოფელი, მაშინ ველარ მოითმინა და იხმო, ძახილი არ გაუწომავეს, არ გაფრთხილებულა.

— სსსუუ... — კარს იქიდან გაეპასუხა ქალი, — რაო?!

— მოდი..

— სსსუუუ... ბავშვები გაიღვიძებენ...

— მოდი.. — უფრო ხმადაბლა თქვა ჩურჩულითა თქვა.

— დაიძინე...

ჩურჩულითვე შეეპასუხა და მერე კრინტი აღარ დაუძრავს, თუმცა რამდენჯერმე კიდეც მოუწოდა. ხომ არ ჩაეძინა? ასე ღრმად როგორ ჩაეძინა?! დიდი ხნის უნახავი ქმარი მოუვიდა თუ ვიღაც გადამთიელი?! რა არის ეს, ხომ არაფერი მომხდარა მის ოჯახში, ხომ არაფერს უმაღავენ?! დამალოს თუ ქალია, ახლავე გაიგებს!.. და წამოდგა, გამოალო „შუაკარი...“ ფშვინავდნენ, ტუბილადა ფშვინავდნენ ყველანი, სუნთქავდნენ ბავშვები მშვიდადა, უზრუნველად, — იძინეთ, იძინეთ!.. — თქვა სიამითა და გაბრუნდა, ფრთხილად შეწვა ქვეშავებში. მაინც ვერ დაიძინა, მაინც ელოდა, მაინც უკვირდა...

და აღარ იცის, მიეძინა თუ გაითანგა მღელვარე ფიქრებითა, ისე, თვალლიად შემოათენდა ფიქრებით გათანგულსა, ჰო, ეს ველარ გაიგო, ოლონდ ძილში წასულიყო თუ ფიქრებში, სულ ერთია, მაინც ხმამ გამოაჩევია, ხმამ გამოაფხინა. ქალების ხმა იყო, იქვე, სულ ახლოს შეგროვილიყვნენ, ხმაურობდნენ, ირინეს უხმობდნენ. „დაეხსენ, ნუ უძახი, — თქვა ვილაცამა, — ქმარი მოუვიდა...“ მერე ამას ჩურჩული მოჰყვა, ჩურ-

ჩულს სიცილი, ხშიერი, თამამი სიცილი. „ჩვენ სულ აქა გვყავს ქმრები, მაგრამ მაინც დავდივართ მინდორ-მინდორა.“ ესეც გაიგონა, ესეცა თქვა ვილაყამა. კიდევ თქვეს, კიდევ წაიხურჩულეს, კიდევ უხმეს, ცოტა უფრო გაუბედავად უხმეს ირინესა, და წავიდნენ, გაიკრიფნენ, ხმაურიც წაიღეს.

იმათაც არ დაეხმაურა, ისევე სძინავს თუ ამდგარა, წასულა, წუხელისვე წასულა შორსა, სადმე შორსა, ვინ იცის, რა არა ხდება ამ ქვეყანაზე... ადგა, ცოტა არ იყოს, შეშინებული, თითქმის გამოვლიჯა შუაკარი, — ეტყობოდა, მართლაც ჩასძინებოდა, მთელი ღამე ეთია და იმ წუთს ჩასძინებოდა, ლოგინში წამომგდარიყო, ისრესდა თვალბსა, უცებ შეხედა ქმრის შეწუხებულ სახესა, ჰო, შეწუხებულ, დაქვევებულ სახესა. მაგრამ საამისო ფიქრი როდი აღძვრია, მხოლოდ დაირცხვინა, რაღაცა ამოიძახა, ამოიძახა კეკლუცადა, კაბა თვალბზე აიფარა და გავარდა გარეთა. უნდა გასდევნებოდა, უსათუოდ უნდა გაჰკიდებოდა, გაეკიდა კიდეცა, ოღონდ კართანვე დაება ფეხი, დღე იყო, თვალი არ დაიღოდა, შებრუნდა, ლოგინზე დაეცა და... ჩაეძინა ღრმად, გულიანადა.

სიზმრად არაფერი უნახავს, ლანდალაც არაფერი მოლანდებია, მაგრამ მაინც დაფეთებულივით გამოეღვიძა, თქმა არ უნდა, ეს იმავე შიშისა თუ ექვისაგან იყო, გამოცვლილან, გავუტხოვებულვარ თუ კიდევ სხვა რაღაცა მომხდარა ჩემს ოჯახშიო; მთელ დღეს არ განელებია ეს განცდა, არ მტყუჩებია არც ერთ წუთსა, არც მაშინ, როცა იბანდა, იცვლიდა, არც მაშინ, საღამოს ეამსა, როცა ირინესთან ერთად აღმოჩნდა შარშანდელ თივის ზვინთანა (უთოს სითბო ისევე ჰქონდა საცვლებსაცა, ხალათ-შარვალსაცა).

საოცრად თბილი საღამო დამდგარიყო, ადრე გაზაფხულისათვის უჩვეულოდ თბილი და სანეტარო. ცაზე ვარსკვლავები მომხიბლავად ინაკეთებოდნენ. მთვარეს დაევახშმა. რაღაც თავისე-

ბური ლურჯი იერი მოვლებოდა არემარესა, მალღაც და დაბლანტი ყველაფერი გალურჯებულოყო, ოღონდ სხვადსხვანაირადა, სხვადსხვა ზონადა, ბაცლურჯიდან მუქლურჯამდე ანუ ზეციდან დღეღამიწამდე, ასე რომ მუქი სილურჯე იღგა თივის ზვინთანა, ლურჯ ფერებში გახვეულოყო დიდი ხნის უნახავი ცოლქმარი, სიმშვიდე შემოხვეოდათ, მერე როგორი სიმშვიდე, მერე როგორი გარინდება, — როგორი და, რომ იტყვიან ხოლმე, კუკურის სკდომა გაიგონებოდაო. სხვასაც ბევრ რამეს იტყვიან, მაგრამ ყველა რა გასახსენებელია, როცა ესეც აღარ ახსოვდათ იმათა, არც გარემოს სილურჯე თუ ვარსკვლავთა მომხიბლობა შეუნიშნიათ, იცოდნენ, რომ კარგი იყო და აღარ ეკითხებოდით, რა იყო კარგი, როგორ იყო კარგი ან რა საკითხავი იყო, ერთმანეთს შეხედნენ, ეს ეყოფოდით ყველაფრად, სიხარულად, სილამაზუნად, ყველაფრად, ყველაფრად, თუმცა ეჭვი თუ მძიმე ფიქრი გაჩენილიყო, მაგრამ არც ეს იყო უცნაური, არც უეცარი განქარვება იყო გასაკვირველი, ერთად იყვნენ რაღაც იღუმალეებით მოცულნი, უცნაურად ათრთოლებულნი, სწორედ ისე ათრთოლებულნი, აი, ისე, პირველი განმარტობისასა. საღამო უჩვეულოდ თბილი იყო, ძარღვებშიცა თბილოდა, ნეტარადა თბილოდა, შარშანდელი თივაც სითბოს გამოსცემდა, რაღაც უჩვეულო სუნსაც გამოსცემდა.

— თითქოს სხვა მგონიხარ... — თქვა ქმარმა, თბილადა თქვა, ხელი შემოხვია ნელ-ნელა, თითქოს მორცხვად, გაუბედავად.

— მეც ასე, მეც ასე... — თქვა ცოლმა და მიჰყვა ხელსა, მიჰყვა მორცხვად, უხერხულად.

— მე ისევ ისა ვარ...

— მეცა...

— ჰმ...

— ჰმ...

— კარგია აქა...

— ჰო, რა ვიცი... სულ მოხვედი?

— ჰაჰ!

- სულ მოხვედნი-მეთქი.
- სულა?!
- ჰო, სულა?
- ჰა...
- სულ...
- ეჰ...

ძველი თივიდან ძველი სითბო გამოდიოდა, „ეჰ...“ ჩაწყდა, ჩაიკარგა, თივის სითბოსა და შრიალში თუ ჩაიკარგა.

XXIII

ჰო, მღუმარებამ მოიცივა გუნდიაანთ კარ-მიდამოო... სტუმრები წავიდნენ, და-მშვიდდნენ მასპინძლები, ტასოც დამშვიდდა, კარგად გაიგონა ბოლო ლაპარაკი, ირინეს ალთქმა გაიგონა და დაწყნარდა; ისედაც აღარ უნდოდა გიგოსაგან სიშორეი, მით უმეტეს, ხალდეში რაღა გააჩერებდა გელას გადამკიდესა. ხუმრობაც აღარ იყო, ცხვირი ვეღარ გაეყო გარეთა, წყაროზე მაინც როგორ ვერ უნდა წასულიყო, მაგრამ, ვაი რომ ვერ წასულიყო, ხოლო მალე ვინ იცის, შინაც მისჭროდა გელაი, ჯერჯერობით კი წყაროსთან იჯდა დილიდან საღამომდისა ან გვიან ღამემდისა, მაშინაც ძალისძალად თუ წაიყვანდნენ, თორემ თავისი ნებით ფეხს არ მოიცივლიდა, არ მოშორდებოდა ყორესა; იყო და იყო იქა, დადარიღლებულიყო, გატურენილიყო, განაბულიყო, წამოყვლეულივდებოდა, ჩქამი რომ მოეხსოვდა, სხვა ვინმე თუ იყო, ვითომც არაფერი, ისევე გაინაბებოდა ყორესთანა, ტასო თუ იყო, ვაი იმის დედის ღმერთსა, გადაიხარხარებდა, ამოვარდებოდა ხარხართა, ფეხს დაკრავდა, გადაევლებოდა ყორესა, როგორც თუში „ნახტრიონ გალავანსო“, გადაევლებოდა, დაეცემოდა კოკიან ქალსა, კოკა აქეთ გაგორდებოდა, ქალი იქითა, გაიხარებდა გელაი, გაიხარებდა და შემოურბენდა აკივლებულ ქალსა, ხან აქ დააცხრებოდა, ხან იქა, მოაგლეჯდა, მოაჩმეტდა ხორცსა, თანაც ხარხარებდა, ხარობდა ისე, როგორც არც ერთ ბედნიერს არ გაუხარია, არასოდეს გაუხარია... ხალხი მიუსწრებდა, მშობლები მიუსწრებდნენ,

დაითრევდნენ, წაუთაქებდნენ, ის მაინცა ხარხარებდა, ხარხარებდა, აღარ მდინევდა, კმაყოფილი მისდევდა; მორჩილად მისდევდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე, ასე იყო იმ დღესაცა. ეზოში მანქანის ხიხინი რომ ჩაწყდა, ტასო სათონეში მოთქვამდა, დასტიროდა და-ლურჯებულ, დალილავებულ ხორცსა, შერცხვენასა, ტიროდა, ქვითინებდა გულმდღულარედა, მოსარჩლეს უხმობდა, შურისმაძიებელს უხმობდა, თითქოს აუხბდა, მოსარჩლევ მიადგა კარსა, — გიგოზე უკეთეს მოსარჩლეს ვილას ინატრებდა, — მაგრამ მიხვდა ასე გამოჩენა არ შეიძლებოდა, გიგოს წაქეზება უბედურების მომასწავებელი იქნებოდა, მიხვდა და მიიშალა. მერე ხომ ის იყო, რაც იყო და შეიძლებოდა, მეტიცა ყოფილიყო, სისხლი დაღვრილიყო, დროზე რომ არ გამოჩენილიყო ირინეი ან გიგოს რომ არ დაკვეციანებოდა, წყაროზე მიესწრო... ერთხელაც იქნებოდა, მიუსწრებდა და მერე, ვითომ კიდევ გადარჩებოდა სისხლი?! ვინ იცის, ვინა, — არა, უნდა წასულიყო, უნდა მოშორებოდა ხალდესა... მევე ჩამოგვერიო, გიგო ამ ჰირობით გაისტუმრა ირინემა და ტასოც დამშვიდდა, ისე დამშვიდდა, ისე წავიდა ფიქრსა თუ ბურანში, არ გაუგონია თუ როგორა რაკუნობდა, ზრიალებდა, წკრიალებდა მარგილებზე ჩამორიგებული ქილები.

ირინე მარანში იყო.

ბავშვებიც იქ იყვნენ, ქვევრის გარშემო ჩაუტყულოყვნენ, შიგ იჭვრიტებოდნენ, სარცხსა და დედის მკლავთა რხევას ადევნებდნენ თვალსა, თითქოსა ჰგრძნობდნენ, რომ უხერხულად ირხეოდნენ მკლავნი, სარცხიც ვერა სარცხობდა, ვერა ვარგობდა, ისე არ ირჯებოდა, როგორც ვაეკაცთა ხელშია, ჰო, თითქოსა გრძნობდნენო, ოღონდ მათი გრძნობა თუ მიხვედრილობა რა ბედენაა, როცა ირინემ ისედაც იცოდა, კარგად იცოდა, ქალის საქმე ქვევრი არ იყო, ქალს მარანში ხელი არ მოემართებოდა, მაშ, რაო, ავად თუ კარგად ყველაფერს მისჩვეოდა, ბალსა თუ ვენახში

თავისი გაეტანა, მაგრამ მარანში ვერა, მარანის საქმისთვის თავი ვერ გაერთ-
 მია, კაცის თვალი უნდოდა, კაცის ხელი
 უნდოდა მარანსა, მიხედა, როცა ღვინო
 გაუფუჭდა ბარე ორჯერა, კარგა ხანია
 მიხედა, მერე აღარ ერიდებოდა მეზობ-
 ლების დასაქმებასა. ახლა აღარავის ეცა-
 ლა, ვერც ვერავინ მოიცილიდა, აღრე გა-
 ზაფხულის მზის თვალი ტრიალებდა,
 სოფელი უღელში გაბმულიყო ან, რო-
 გორც იტყვიან ხოლმე, შრომის ფერ-
 ხულში ჩაბმულიყო, ასე იყო თუ ისე,
 ღვინო უნდა ვადაღებულიყო, ქვევრი
 უნდა გარეცხილიყო, მისთვის არავის
 ეცალა და წვალობდა დედაკაცი, იდგა
 უხერხულადა, უხერხულად იქნევედა
 სარცხსა. ჩხრიალებდა წყალი, ოდნავა
 ჩხრიალებდა, იქვე იშობოდა, ქვევრში-
 ვე იგულებოდა, ვერ ახმინებდა მარან-
 სა, მთელ კარ-მიდამოს როგორღა გასწ-
 ვდებოდა. დროდადრო ყელს ამოხეხავ-
 და რაც შეიძლება გულდაგულა, რაც
 შეიძლება მოჩქარებითა, მაშინ კი აბუ-
 ბუნდებოდა მარანი, მაგრამ კარს მაინც
 ვერ გაატანდა, შემოუვლიდა, შემოურ-
 ბენდა მარანსა, როგორც ალი ქვევრსა.
 ეგებ ირინეს ფიქრიც, ქმარ-მავლის სა-
 კიცხავი ფიქრიც ასე უვლიდა გულსა,
 ზევით არ ამოდიოდა, ენას არ ამოსცდ-
 ბოდა, ხოლო შიგნითა ტრიალებდა და
 ტრიალებდა, მართლა თონის ალივითა
 ტრიალებდა: რა ღობე-ყორეს აწყდ-
 ბოდნენ, შინ რატომ ვერ დატეული-
 ყვნენ, სხვა თუ არაფერი, მარანის საქმეს
 მაინც ააცილებდნენ, სად ქალიო და
 სად ქვევრიო; ესეც არ იყოს, ნუთუ შინ
 აღარ შემოიხედავენ, ნუთუ აღარ უნ-
 დათ ნაადგილარი მამაპაპათა? ვინ იცის,
 მართლაც აღარ უნდათ, ვინ უწყის,
 ირინე მართლა ამოდ იკლავს
 თავსა, მაშ, რაო, გუნდიანათაც თუ
 აღარ უნდათ თავიანთი კერა, სხვა ვინ
 დაუფასებს ამ ღვაწლსა, ამ ამაგ-
 სა? ეგება ეს პატარები, ქვევრის
 გარშემო წამოყუნტული გოგო-ბიჭე-
 ბი? კმ, რა სათქმელია, შეიძლებენ
 თუ არა, ისინიც გაუდგებიან დიდ გზა-

სა, წავლენ, გადაიკარგებიან, ეგება-
 ხალღე სულაც აღარ მოაგონდეთ: არ-
 მოაგონდეთ, როგორ დაყუნტულნიყვნენ
 ქვევრის თავთანა, როგორა ნატრობდ-
 ნენ, მალე თვითონვე გაერეცხათ ქვევ-
 რები, ნატრობდნენ, როცა არ შეეძლოთ,
 ახლოსაც აღარ გაეკარებოდნენ, როცა
 შეიძლებდნენ, წავიდოდნენ, წავიდოდ-
 ნენ, ვინ იცის, საითა, ვინ უწყის, რა
 გზითა, ჰო, ვინ უწყის, მშობლის ენაც-
 დავიწყებოდათ, მართლა დავიწყებო-
 დათ ან გამეტჩირებულებიყვნენ, გადაგ-
 ვარებულებიყვნენ... მაშ, რაღასა წვალობ-
 და, რისთვისა სწირავდა თავსა, განა ვერ
 იცხოვრებდა უფრო იოლადა, როგორ
 ვერ იცხოვრებდა, — სახელიანი მხატვ-
 რი თუ ვერ გახდებოდა, მერე რაო, მიე-
 მატებოდა უნიჭო ან ბედნამუხთლევ
 მხატვრებსა, მათთან ერთად ვადაიღებ-
 და ღობუნგებსა, რეკლამებსა, პორტ-
 რეტებსა; რომელი ცოტა უნდოდათ,
 რომელი მალმალ არ ჩამოივლიდა ხოლ-
 მე ახალ-ახალი ხმაური, ჰოდა, იცხოვ-
 რებდა ბევრად იოლადა, იფრიალებდა,
 იტივტივებდა, როგორც სხვანი დაფ-
 რიალ-დატივტივებენ, აღარაფერი ახ-
 სოვდათ, აღარაფერი სწამდათ, კუჭი
 ხომ ამოვესოთ, სამოსის მოდაში ხომ არ
 გამორჩენილიყვნენ, ნეტავ მეტი რაღა-
 უნდა ნდომებოდათ?! ვაგლახ, ასე ბევ-
 რად აღვილი ყოფილა და ბევრისათვის-
 ბოდბელი ეპისკოპოსის წამოძახილი
 გამხდარა ცხოვრების აზრად: მე თუ არ
 ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო!..
 არა, ო, არა, მოტივტივეებს ვერ მიემა-
 ტებოდა, აქ ერჩია, დაე, მძიმე ყოფილი-
 ყო, კიდევაც უფრო დამძიმდებოდა,
 დაე, შინ ვერ მოეკარებინა ქმარ-მავლი-
 ამ ბავშვებსაც ვერ გაეგოთ დედის
 წყურვილი და წასულიყვნენ, წასული-
 ყვნენ, ირინე მაინც აქ იქნებოდა, აქ
 ამოირთმევედა სულსა, აქ ჩაპყრიდა
 ძვლებსა, და განა ისე გაგულცივდე-
 ბოდნენ, ისე გადაგვარდებოდნენ, ეს
 ბავშვები დედის ძვლები მაინც არ
 მოეკითხათ? — მოეკითხავდნენ და სამ-
 შობლოს ველარ წაუვიდოდნენ, ფიქრ-
 ში მაინც ველარ დაემალებოდნენ.

აქ შეჩერდა, წყალს გამოცვლა უნდოდა.

წყალი გამოცვალა უფროსმა გოგონამა, ახალი ჩაასხა, ნარცხი გარეთ გაარბენინა, გაარბენინა და ისევ შემოარბენინა, დედამ ვერ შენიშნა, ფიქრებს მიბრუნებოდა, მხოლოდ წამოყუნტულმა ბავშვებმა წაიგრძელეს კისერი, აღგნენ კიდევ, ერთმა გარეთაც გაყოცხვირო; უფროსი გოგონა ახლა მორიდებით მივიდა კართანა, მორიდებით გაიხედა, ოღონდ სწრაფად შემოტრიალდა, მიიჭრა დედასთანა, თითქოს გულამოვარდნილი მიიჭრა, ალბათ ხელებიც უკანკალბდა, გორდა ტოკავდა, იღვრებოდა ნარცხი.

— რა იყო?! — იკითხა დედამა.

— იქ...

— ჰა?! —

— იქ...

— რა?! — სარცხი დააგდო ირინემა ან აქამდის რას ეკითხებოდა, შვილი რალაცას აედღვებინა, დედა უნდა შეკვებებოდა, წავიდა შესაგებებლად და სწორედ კართან წამოეწია გოგონას ნათქვამი:

— მამაა...

მართლაც მამა იყო ჭილებდამხობილ მარგილების ჩარჩოში, დაინახა და მუხლი მოეჭრა, რალაც ცივმა ქრუანტელმა დაუარა, ერთბაშად გაუცივდა ხელები, ისე ერთბაშად და ისე მეტისმეტად გაუცივდა, რომ გარსმოხვეული ბავშვები უცებ გაერიდნენ, გაოცდნენ, ვერ გაეგოთ, რა დამართოდა იმ თბილ ხელებსა, ყოველთვის თბილსა, მაშინაცა, როცა ეალერსებოდა, მაშინაცა, როცა წაუთაქებდა ხოლმე; ჰო, რა დამართოდაო, მაგრამ განა ირინემ კი იცოდა, რა დამართოდა ან იმან იცოდა, ღობეს რომ არა შორდებოდა, რალაც ხარბი, დანატრებული თუ ეჭვიანი თვალით შეჰყურებდა თავის კარ-მიდამოსა, თავის ცოლ-შვილსა?! არ იცოდა, არც ერთმა იცოდა, ან რა ახსნა უნდოდა, რა საჭირო იყო, რახან შეხვდნენ, როგორც იყო შეხვდნენ ერთმანეთსა, და ქალი წავიდა მუხლების კანკალითა, მოხვე-

დიო, მხოლოდ ესლა ჰკითხა, მოდიო, ესეც დაატანა, სხვა რალა შეეჭლუ, სხვა რალა უნდოდა, ღობეს რატომ ვერც ვადმოსიცილებოდა, რას აბრიალებდა იმ უცნაურ თვალებსა, იმ თვალებსა, ირინეს რომ ხიბლავდა, აქამდისა ხიბლავდა!... მოდიო, უთხრა კიდევ და წავიდა, წაუძღვა შინისაკენა, ისიც გაედევნა, როგორც იყო, გაედევნა, შევიდნენ, დასხდნენ, მაგრამ მერე აღარ იცოდა, რა ექნა, კაცი ხმას არ იღებდა, თვითონაც სიტყვა ვერ ებოვნა, ბავშვები იხმო, ბავშვები გამოუჩინდნენ მშველელებადა, მერე ხომ საქმლის მოსამზადებლად დატრიალდა, დაფაცურდა, ოღონდ დიდხანს მაინც ვერ იბოვნა თავი, დიდხანს ვერ დაიცხრო გულისა და მუხლების კანკალი, ხელები ხომ, ხელებზე რალა ითქმის, ყველაფერი უვარდებოდა, ტასო რომ არ მიშველებოდა, დაუმსხვრეველდა უქცეველი აღარაფერი გადაურჩებოდა.

— რა დაგმართია?! — სიცილით ამბობდა ტასო, თითქოს დავიწყებოდა თავისი საჯავრელი.

— ჰა?! —

— რა დაგმართინია-მეთქი...

— რა ვიცი...

— ვითომა?! —

— დამეხსენი ერთი და... ეგ მომაწოდე, ეგეცა, ეგეცა, კართან რომ მივალ, მაშინ მომაწოდე...

და ტასოც კარამდე მიუტანდა, კართან მიაწვდიდა, იქ უკვე აღარაფერი უვარდებოდა ხელიდანა, ან უვარდებოდაო, რა სათქმელია, როცა ველარც უშვებდა, თითქოს ხედ გამოებმოდა, შეებორცებოდა ყველაფერი, გარეთ უცვიოდა, შინ ველარ იშორებდა, საკვირველი იყო, საკვირველი. ეგებ მეტი რამ საკვირველებაც დამართოდა, იქვე რომ არა ყოფილიყვნენ ტასო და ბავშვები; ან ეგებ სწორედ მათი ბრალი იყო ესოდენი უხერხულობა, უიმართოდ ეგებ ასე არ გაგრძელებულიყო თრთოლვა-ცახცახი, ეგების. ეგების, მაგრამ იმქამდ სადამკონდა ამდენი განსჯის თავი, კანკალებდა, შიშობდა, რალაც აძრწუნებდა

და გვერდიდან არ იშორებდა ბავშვებს, ტასოსაც არ იშორებდა, დაჰყავდა ბაღში თუ ვენახში, ქმარი დაჰყავდა, ისინიც დაჰყავდა, უჩვენებდა, რაც გაეკეთებინა, უხსნიდა, კიდევ რა უნდა გაეკეთებინა, არაფერსა ჩიოდა, არაფერსა წუხდა, არ ამბობდა, მარტო ვარო, საქმეს ვერ ავდივარო, არა, გარეთ არ გამოჰქონდა წელანდელი ფიჭვები, აქი ვთქვით, თონის ალივით უვლიდა მის გულსაო, ჰოდა, თონის ალივითვე შიგვე ჩაილია, ჩაქრა, ერთი სიტყვით, არცა წუხდა, არცა ტრახახობდა, მხოლოდ აუწყებდა ოჯახის უფროსსა, აუწყებდა, როგორც ვალდებული, ოღონდ მარანში ველარ მოითმინა, ქალის საქმე არ არის, არ მიხერხდება, ახლაც არ მომიხერხდაო, ისე თქვა, რომ კაცმა მაშინვე დაიკაბიწა მკლავები, ხელი დაავლო სარცხსა და ბავშვები, ისევ რომ წამოყუნტდნენ, სულ ტაშს უკრავდნენ, ჰყლოპინობდნენ, ეღურტულობდნენ, ისე დგაფუნობდა, ისე ჩხრიალებდა წყალი, ისე ხიოდა ქერქი ქვეერის კელლებზედა, ისე ხმაურობდა და გუგუნებდა მარანი...

ნეტავ სულ ასე ყოფილიყო, ასე ყოფილიყო!

ნატვრაც კარგი იყო, ნატვრაც აიშედებდა, თითქოს ყურღებოდა სხეული, ყურღებოდა აფორიაქებული სული, თანდათან უფრო მიუყურღებოდა, ასეც იყო, რძეს რომ ადღებდა, ბავშვებს აბინავებდა, თითქოს აღარც ახსოვდა ის გაუცხოებული, გაგარეულებული კაცი, მისი ქმარი რომ ერქვა, ოღონდ მორჩა თუ არა ბავშვებსა, ცალკე ოთახში გაიტანა თუ არა ქვეშაგები, საწოლზე ორი ბალიში დააგდო თუ არა, ისევ რაღაცა დაემართა მუხლებსა, გულსა და შუბლსაც რაღაც დაემართა, ძლივსძლიობისას გავიდა, მაგრამ უცებ შემოტრიალდა, ახლა ფიცხლად შემოტრიალდა, ერთი ბალიში გაიტაცა, დიდ ტახტზე ბავშვებს შუა ჩააგდო, ზედ დაეცა.

ღამე თეთრად გაუთენდა.

ქმარმა იხმო და ეუარა, კიდევ იხმო და სულაც მიყურდა, თითქოს ღრმა

ძილში წაივლიაო, თუმცა თვალზე რული არ მოჰკიდებია, არც მისძაღლებია ძილსა, არ უნდოდა, არაფერი უნდოდა, დაე, ყოფილიყო ასე, ყოფილიყო უცოდველ ბავშვებში, დაეფარა თავი მათი სიწმინდითა, მათი სიფაქიზითა, მაშ, რა ექნა, გაგარეულებულიყო ის კაცი, გაუცხოებულიყო, დაშორებულიყვნენ, გადასჩვეოდნენ ერთმანეთსა და ეგრე ადვილად ველარ მიეკარებოდა ქალი, ეგრე მალე ველარ მიეკარებოდა... რას იტყოდნენ ბავშვები, მათთან იყო, სულ მათთან იყო და... რას იფიქრებდნენ ბავშვები. იქითა ჭრიალებდა საწოლი მამაკაცისა, აქეთ უძრავქმნილიყო დედაკაცი, მხოლოდ დროდადრო საბანს ამოუქეცავდა, ბალიშს წეუსწორებდა ბავშვებსა, ისე ფრთხილდა, ისე, რომ ოღნავი რხევა, ოღნავი შრიალიც არ გაისმოდა.

მხოლოდ დილით ჩაეძინა, ალბათ სწორედ მაშინ ჩაეძინა, როცა ქალები აქაქანდნენ შუკაში.

მერე მთელი დღე ისევ თრთოლვაში მიილია, ხოლო საღამოს თივის ზვინთანა, ჯერ ხომ ხალდურას ლურჯი ზეცა თივის მთვარე-ვარსკვლავებიანად წამოვიდა და ზედ თვალზე დაეხურა, მერე ისევ აიშართა, შეიშალა, გაიბადრა, გადაიფინა, იმან ქმრის მკერდზე დააგდო თავი და ცრემლი მოუშვა ღვარადა.

კაცი იცინოდა, ჩუმ-ჩუმად იცინოდა ტკბილად იცინოდა, ცრემლიც ართობდა, აფუებული მიწის სუნიც ართობდა, ყველაფერი ართობდა, ამიტომაც არა ცდილა, დაემშვიდებინა ატირებული ქალი.

გვიან-გვიან, როგორც იყო, იკითხა სიცილითა:

— რა გატირებს, ჰა?!

— არ დარჩები...— ცრემლებში ამოთქვა ქალმა.

— განა ვთქვი არ დავრჩები-მეთქი?!

— არც ის ვითქვამს, დავრჩებიო...

— არ ვითქვამს...

— ჰოდა, არ დარჩები...

— არ დავრჩები.

ქალს ცრემლი როდი მომატებია, მიყურდა, გაინაბა, თითქოს გაითანგაო, ხელი წაჰკრა ქმარმა, მართლა ხომ არ გაითანგაო.

— რა იყო? — შურალად ამოთქვა ქალმა.

— არაფერი...

— ჰო, არაფერი... არასოდეს არაფერი გაქვს სათქმელი, თითქოს ვერ გავიგებ, ვერ გითანაგრძნობ, ან რად გინდა თანამგრძნობელი, აგორებულხარ, გული აგიყრია, აღარ გინდივარ, აღარ გინდივართ, აღარავინ გინდა შენი თავის მეტი.

— ეგ რა სათქმელია?!

— ვითომ რატომ არ არის სათქმელი?! თუ აქ მძიმეა, ჩვენ რაღად ჩაგვიყრევართ აქა, იქ თუ ადვილია, ჩვენც რად არ წავიყვანო? მაგრამ შენ მხოლოდ შენთვის ეძებ სიკეთესა, შინაც მხოლოდ შენთვის მოსულხარ, შენი სურვილისათვის მოსულხარ, ადამიანი ხარ, ან ადამიანი რაა, ცხოველსაც მოენატრება თავისიანი, ზოლო მონატრებიხარ თუ არა შენს ცოლ-შვილსა, არც გაფიქრდება, არც გენაღვლებდა.

ქმარი ისევ იცინოდა, ოღონდ ნელ-ნელა, წყვეტილ-წყვეტილად.

— საყვედურები რომ არ იცოდი...

— არც ახლა გისაყვედურებ, ვამბობ, რაც არის, აბა, ეს რა საყვედურია!..

— ვინ იცის, ვისთვის რა არის...

— შენთვის საყვედურია?

— საყვედურია...

— იყოს; დაე, საყვედური იყოს, როგორც შენ იტყვი, ისე იყოს, არასოდეს აგზირებივარ, არც აგზირდები, მე გაგაბედინე, მე გადაგაწყვეტინე, მე აგეკიდე, შენ ძალა არ დაგიტანებია, თილისმა არ გიხმარია, ჩემი ბრალი იყო და მევე უნდა აეიტანო ყველაფერი.

ქმარი რაღაც უცნაურად ახველებდა, ალბათ ისევ სიცილსა ცდილობდა.

— ნანობ?... ჰმ... მე გაფრთხილებდი, არ ინანო-მეთქი...

— არა, არა ვნანობ... არც იფიქრო, სინანულსა ვმალავდე, არა, ნამდვილად არაფერსა ვნანობ, ალბათ ასე უნდა ყო-

ფილიყო, ალბათ აქეთ მივყავდი ჩემს ოცნებებსა, ჰოდა, აი აქა ვფრთხილდები... მაგრამ შენ რატომ აღადარე გინდა შენი კერა, შენი ოჯახი?!

— ნეტავ რას მეკითხები, ვითომც არ იცი, რომ ძალიანაც მინდა... მაგრამ, აბა, რა წყალს მივეცე, ჩემი ხელობა აქ არავის უნდა, მიწას მოვეკიდო და, აბა, რა ბედენაა, რას ვუყურებ, ჰოდა, რა ვქნა, მითხარი, შენ მითხარი. — მიყურდა, პასუხს დაელოდა, მერე ისევ თითონვე თქვა, — თქვენც წავიყვანთ და ის იქნება...

— ნუ, ნუ იფიქრებ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ. შენ როგორც გინდოდეს... მე აქ ვიქნები, შვილები აქ მეყოლებიან, კერას არ გავაციებ, არა, არ გავაციებ. და თუ ძელები გაგეყნოს, აქ მოდი, აქ გაითბე ძელები ან სად წახვალ, სიბერეში მაინც წავაძლევს სული, წავაძლევს სიყვარული შენი ნააყვნარისა. და მიჩუმდნენ.

აღარც თივა შრიალებდა.

ხალდეს ზეცა იქედებოდა ვარსკვლავებითა.

XXIV

კარგი იყო ის საღამო, მერეც კარგი იყო, თბილი დღეები დაუღვათ გუნდი-შვილებსა, ჩატკა ოჯახი, ჩატკა და გათამამდა, ბავშვები ყელმოღერებულნი დარბობდნენ ან დაჭროდნენ ფრთაშესხმულებივითა, ირინე კოლმეურნობის საქმეზე არ გადიოდა ან მივიწყებოდა, ტასოს წყაროზე წასვლისა აღარ ეშინოდა, თუმცა არ მიდიოდა, მაგრამ მერე რაო, შეეძლო წასულიყო უშიშრად. აი, ასე გათამამებულიყვნენ, ამდენი ძალა მოეტანა ოჯახის უფროსსა, თუმცა არავის აქეზებდა არც სიტყვივითა, არც საქმითა, მორიდებულად იქცეოდა, მორიდებულად ლაპარაკობდა, მაინც ნუგეშითა და იმედით აღევსო თავისიანები. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, — დღე მართლაც მშვენიერი იყო, — ბრიჯადირი მიეჭრა, აუყვირდა ირინესა. ამის გაგონება იყო და მაშინვე აწრიალდა უფ-

როსი გუნდიშვილი, ირინეს გამომცხვარი ქალები გამოიყრა ხელმანდილნი, გიგოს გაკეთებული ერთი ფიალაც გამოიხვია და გაუდგა გზასა.

ირინეს აღარაფერი უთქვამს.

მხოლოდ ბავშვები უარობდნენ, ნუ მიდიხარ, თუ მიდიხარ, ჩვენც წაგვიყვანეთ. აჯა ამო იყო, გაუტეხელი იყო გუნდიშვილი. მხოლოდ ესაა, როდი ხრიდა თვალებსა, როდი უყურებდა ცოლ-შვილსა თუ დახრიდა, დაუნახავდნენ ცრემლსა, ბავშვები დაუნახავდნენ, თორემ ირინეს ისედაც არ გამოუპარებოდა, სველი კი არა, შშრალი ცრემლებიც არ გამოუპარებოდა, იმასაცა ხედავდა, ძლივს რომ მიათრევდა ფეხებსა, ლეშს მიათრევდა და სული აქა რჩებოდა, მალე გულიც აუჩვილდებოდა, ეს ბავშვებიც ისე გადაჰკიდებოდნენ, უსათუოდ აუჩვილდებოდა, ამიტომ ირინემ დაიპყრო ბავშვების გულისყური, იგავარაკები უთხრა, იმათაც ათქმევინა, გამოსცადა, აქამდე რაც მითქვამს, თუ დაგხსომებიათო. ასე გაართო, ასე მიჰყენენ. მიაცილეს სადგურამდისა, ბალ-გენახებზე გავიდნენ, ქალა-ქალა იარეს, მინდორიც გარს ერტყათ, მთებიცა, მდინარეც ახლოს მიჩხრიალებდა, კარგი ადგილები იყო იგავ-არაკთა მოსაყოლად, თითქოს სწორედ ის ადგილები იყო, სადაც, მაგალითად, კუ და ირემი გასჯიბრდნენ სირბილშია, ან მელას წყალში კუდი გადაეგდო ანკესადა, ანდა რწყილი და ჭიანჭველა დაქმობილებულიყვნენ, ან კიდევ თხას ვენახი შეეჭამა და სხვა და სხვა უამრავი, უთვალავი რამ, რაც გაეგონათ, ესოდათ, კიდევაც გაიგონებდნენ, მთელი საუკუნე რომ ეცხოვრათ და სულ იგავ-არაკები ესმინათ, მაინც გამოჩნებოდათ, იმდენი შეეჭმნა, იმდენი დაეგროვებინა ხალხსა. ის მანძილი რა იყო საუკუნესთან შედარებითა, იმდენი არაკი როგორ არ აღმოაჩნდებოდა ირინესა, — რა სათქმელია, იმდენიც აღმოაჩნდა და მეტიცა, დედას აჰყვნენ ბავშვები, მართალია, უმცროსები ხელს არ უშვებდნენ მამასა, მაგრამ დედისკენ იყვნენ გულისყური-

თა, სულითა, მთელის არსებითა. მამა გადარჩა გულანუყუბასა, ჭალისრანად გამოემშვიდობა, იმედინად დაშორდნენ ერთმანეთსა.

ამასობაში შინ მოხდა ერთი ამბავი.

შინ ტასო დარჩა და მიხედვით, რაც მოხდებოდა, ოღონდ ისიც უნდა იცოდეთ, ვიდრე მარტო იყო, არაფერი მოსწევია, რაც მოხდა, მერე მოხდა, გიგოს ჩამოსვლის შემდეგ მოხდა...

ჰო, გიგო ჩამოვიდა, მოულოდნელად დაადგა თავს, ელოდა, ელოდა, აი, ახლა ჩამომგვრიან ცოლსო, აი ახლო, დიდხანს გაუტრქელდა ეს ლოდინი, — ასე ეგონა, თორემ სად იყო მართლა დიდი ხანი, — გაუწვრილდა გული ლოდინითა, ვეღარ გაუძლო, ფეხი დაჰკრა და ცამოწმენდილზე აბუხუნდა აივანზე, სადა ხართ, ხომ არ დაიხოცენითო. ტასომ სიხარულით შეკვივლა და გამოეგება... მერე ხევენა-კონასა და ჩაითხვებზე ხომ არ გავაგრძელებთ სიტყვასა, როცა მთავარი სხვაა; მთავარიც ისაა. რომ გიგო სურას წაეტანა, ტასომ დაასწრო, გათბებოდა, ახლავე ცივ წყაროს მოგიბრენინებო, თქვა და გაეშურა ფეხმძიმე ქალის სიმკვირცხლითა, ჰო, წყაროზე გაეშურა, აკი ვითხარით, გათამამდა, წყაროზე გასვლისა აღარ ეშინოდამეთქი, მაზლის მოსვლამ გაათამამა, ჭმრის მოსვლა უფრო არ გაათამამებდა, განა საკითხავია, გახარებული მიტუსტუსებდა შუაში. მაგრამ უეცრად ლობემ გაილაწუნა, იქვე, სულ ახლოს გაილაწუნა და მაშინვე ჯერ თავი, მერე მთელი ტანი ავარდა ლობეზე, მარგალს შემოველო, ვაშლა ხელები, ფრენაო წამოვიდა, არწივივით წამოვიდა, არწივივითვე აიტაცებდა გულგახეთქილ ქალსა, მაგრამ რალაცა მოხდა, თუმცა ტასოს არ გაუგია, რა მოხდა, მხოლოდ თავისი კვილი ჩაესმა, ისიც გაიგონა, როგორ დაეზღერმა, როგორ დაიდგაფუნა სურამა, ისიც ახსოვს, შებრუნდა, წიოკობით გაიქცა შინისკენა, ოღონდ, როცა ეგონა, აი, ესაა დამაცხრებო და შიშით აღვისილი თვალები შემოატრიალა, აღარც არწივი იყო სადმე, აღარც

სხვა რომელიმე მტაცებელი, მხოლოდ ზმუილი მოისმოდა, უფრო შესაბრალონი, ვიდრე საშინელს. გელა ზმუოდა, გელა მიიწვედა, ოღონდ ვერ დაძრულიყო, თითქოს დაემათ, ეჭირათ, არ უშვებდნენ; მართლაც დაება, უკეთუ მარგილს დაება, ხელეზგაშლილი რომ წამოვიდა არწივივითა, გაშლილი ხალათი მარგილზე ჩამოეგო, ფეხები ზევით შერჩა, ღობეს დაენარცხა ცხვირპირითა, გულითა, ასე ფართხუნობდა, ზმუოდა, ტასო წაუვიდა და ამიტომაც ზმუოდა. ტასო ვერ მიხვდა რამომხდარიყო ღობესთანა, რატომღაც ფეხი დაება, ხმაც ჩაუწყდა, ოღონდ მალე აიშვა გელამა, ხალათი ბოლომდე ჩაიხა, რუში ჩაგორდა; დასველდა, ამოილათა, განა რამე გაუგია, არა გეტყინოთ რა, წამოვარდა, წამოფრინდა, გაევიდა ტასოსა, და მაშინ კი ხელახლა გაიხსნა მუხლი, ხმაც გაიხსნა, შუკა შესძრა ქალის კივილმა, შესძრა მთელი უბანი. აქედან გიგო გადმოვარდა, იქიდან მეზობლები გადმოცვიდნენ, საღლაც კოტეც გამოჩნდა, მორბოდნენ, ერთიმეორეს უსწრებდნენ, გიგოს მაინც ვერაინ მიასწრო, უცებ ჩაეარდა გელასა და ტასოს შუა, ასე რომ ვერ მოახერხა გელამა, ხელი-კი წაატანა, მაგრამ ხორცი ველარ მოაჩმიტა.

ხელში ჰყავდა და ხელიდან გაავდებიან, ეს უკვე მეტისმეტი იყო, ახლა ველარაფერი შეაჩერებდა გელასა, მაგრამ ღონიერი მკლავები ჰქონდა გიგოსა, მოიგდო, მოსალტა, მოსწურა, ასწია, ფეხი აუქარა, ის იყო, უნდა დაეგდო ძირსა, უნდა დაეზღერებინა, მაგრამ მოასწრო მეტოქემა, ფეხები შემოხლართა, შემოეკვლო, შემოეტმასნა, ამაო იყო, ველარ მოიგლეჯდა, ველარ დაახეთქებდა, მამ, უნდა დაეშვა ძირსა; მოულოდნელად დაეშვა და მოულოდნელად მოეგლიჯა, ასეც მოიქცა, დაუშვა, მოჰგლიჯა და დაახეთქა; ოღონდ მაშინვე წამოუხტა, გიგოსათვის არც მიუხენდია, მაშინვე წინ გაეარდა თვალეზამღვრეული, დაფეთებული, ტასო უნდოდა, დაინახა, გაიციან, ისეუბა... ისეუბა და პირქვე დაემხო, რადგან ფეხის გადაღება მოასწრო

გიგომა. გელა ისევ წამოვარდა, წამოვარდა და ცხვირპირიდან სისხლმოდენილი, ისევ ტასოსაკენ გაიწია სიკვლითათუ ხეივანიითა, სხვა არაფერი ახსოვდა, სხვა არაფერი გაეგებოდა ან როდის რა გაეგებოდა, ოღონდ ახლა იმდენს მაინც მიხვდა, რომ აკავებდნენ, არ უშვებდნენ და, აქამდე თუ გაურბოდა, ახლა მოინდომა, თავიდან მოეშორებინა, დაპროწიალდა, დაპროწიალდა სიცილ-ხეივანიითა, მუცელში ატაკა თავი მეტოქესა. გიგომ მუხლი უთავაზა ნიკაპში და ერთი აქეთ გადავარდა, მეორე იქითა. ძნელი სათქმელია, რომელი უფრო ადრე წამოდგა, რომელი უფრო გამწარებულიყო, რომელმა უფრო მარჯვე თუ მხებრებულად ჩაავლო ხელი, რომელი რომელს დასძლევდა, ჰო, ძნელი სათქმელი იყო, ისე შეიბნენ, იმდენ ხანს შეიბნენ, ეცემოდნენ, ხან ერთი იყო ძირსა, ხან მეორე... ბოლოს მაინც გიგომ იმარჯვა, ზევიდან მოექცა, მუხლი დააბჯინა გულზე და ორივე ხელი წაუქირა ყელში. მორჩა, გელას სული აღარ აპყვებოდა. მაგრამ მარტონი არ იყვნენ, აქამდე თუ ვერ მიუვიდნენ ან არ დააშველეს, ახლა მაინც აღარ ეგვიანებოდა, მისცივიდნენ, ააგლიჯეს, გიგო აქეთ დაითრიეს, გელა იქითა. გელა კიდევ არაფერი, სისხლსა და ცრემლს ერთად იწმენდა ტალახიანი სახელოთი, თანაც იციროდა თუ ტიროდა, ვერ გაიგებდით, ოღონდ მოთვინიერებულყო, აძუტგულიყო, აწურულიყო, გიგო კი ბრდღვინავდა, ქუხდა, მიიწვედა, ზუთი კაცი ძლივს აკავებდა, ცალკე ქალები ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, დამშვიდებულყო. ამ გამამაწიაში დრო იხელთა გელამა, ტასოს მიუსწრო, თემო-ილღიები გამოაჩმიტა და გაეარდა ხარხართა. წაეიდა, გაიბა ეს ხარხარი, საღლაც ჩაწყდა, თითქოს ძალიან შორს ჩაწყდა. ხალხი ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა, გიგოსაც თითქოს მკლავები ჩამოსცივდა. იყვნენ ასე დადუმებულნი, სულითხორცგაყრილნი, ბოლოს ისევ კოტემ ჩაიდუღუნა:

— განა იმას კაცი აპყვება...

ჩაიდუღუნა და თვალზე ხელი აიფარა ცრემლის დასამალადა.

ტასო ატირდა, ქალები აზუზუნდნენ, წაიყვანეს ატირებული. კაცებიც დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ, გიგოც წავიდა წელისთრევითა.

— მოიცა!..

კოტეს ხმა იყო.

მოიცადა გიგომა, არ შემობრუნებულა, თავი არ მოუღია.

— ამბობენ, მიდისო... — კოტე წამოეწია.

— ამბობენ და მივდივარ... — ჩაიბუზღუნა გიგომა.

— მიდიხარ და... ეხ, ამაზე რა გითხრა, შენც იცი, აბა, მე რაღა გითხრა!.. რო მიდიხარ, იძულებული რო ხარ, ამაზე უნდა გითხრა. თუმცა მიზეზი შენს წილადაც მოდის, მაგრამ მე ჩემი წილი მიზეზისა უნდა გითხრა; უნდა გითხრა, ისე ცოდო არ მომასვენებს. ჰმ, სატანჯველი განა მაკლია, ეს რაღად გავიხადო სატანჯველად!.. უნდა მაპატიო, ცოდო უნდა ამხსნა...

გიგო უცებ შემობრუნდა.

— რა ცოდოი, რა სატანჯველიო?!

— რო მიდიხარ...

— მერე შენ რაო?!

— ისაო, რომა ბრალიმე მიმიძღვის, ფინაგენტი მე დავაყენე გზაზედა, სხვა, ვინ დააყენებდა, სხვა ვინ იქნებოდა შენი დამპყერი?!. ეპყად ეგება იცოდო კიდეცა, მაგრამ მე მაინც ჩემი უნდა გითხრა. შენ მიმტრეი და მეც გიმტრეი, შენი ცუდი მინდოდა, უფრო ცუდი, ვიდრე მოგეწია. არაფერი გამოვიდა, ქალი მაინც წაგვართვი... ქალმა გაიწია და, აბა, რაღა დააკავებდა!.. ჰო, შენ მიმტრემეთქი, მაგრამ მე მაინც არ უნდა მემტრო, არ უნდა მემტრო... და გიმტრე, ეს ცოდო მაქვს, ეს უნდა მაპატიო!..

— ნეტაი შენა...

— არ მაპატიებ?!

— ნეტაი შენა-მეთქი...

— მაშ, არ მაპატიებ, ჰა?!

— დამხსენი ერთი და... რომელი სამლოცველო მე მნახე...

— შენ დაგიშავე და...

— მეც ხომ დაგიშავე?!

— მე მაინც არ უნდა დამეშავეზინა. აბა, ეს რა არის, უნდა არყარო, უნდა მიატოვო მამა-პაპეული, თუმცა შენი მიზეზიც არის-მეთქი, მაგრამ ჩემიც რაო?!. მე ჩემი წილი მიზეზი მომიტყვე და შენისა შენ იცი...

— სხვისა?!

— ვინ სხვისა?!

— აბა, რა ვიცი, მარტო მე და შენ რომ არა ვართ მიზეზნი, ეს ვიცი, ამიტომა ვკითხულობ სხვასაცა... იქნება, იქნებია...

— მე ჩემი ვიცი, იმათ თავიანთი ეცოდინებათ.

— ეპეი, ყველამ რომ თავისი იცოდეს, სიკეთეს რა მოშლის ამ ქვეყანაზედა... შენ რა ჩემი ამყრელი ხარ, შენ რა ჩემი მიზეზი ხარ, სადაური მიზეზი ხარ, ყველას მიზეზი შენ ხომ არა ხარ, მარტო მე ვერ გამიგინა გზა და კვალი?!

— მე ჩემი ცოდო მაწვალებს-მეთქი... ე ბიკი ხომ დამიჩაგრე, მამა ვარ, გული დამმდღვრია, მაგრამ აუგი მაინც მძიმე ყოფილა, სულზე დამწოლია, სულს მიხუთავს, ამხსნი შენ იცი, არ ამხსნი და ისიც შენ იცი. ჩვენი ბედი ესა ყოფილა, შენი წერანი ეყოფილვართ...

— ჩემი წერანი?!. ახლა მტარვალიც დამარქვია...

— არა, არა, არაფერი დამირქმევია, მხოლოდ ესაა, შემიწუხებინარ და...

— მეც შემიწუხებინარ, ბარი ბარშო. მე არ შეგაწუხებდი, სხვა შეგაწუხებდა, შენ არ შეგაწუხებდი, სხვა შეგაწუხებდა, ასე უბრუნვია წუთისოფელსა. კეთილად დარჩით, მივდივარ, მივდივარ და სხვა რაღა გინდა...

გიგო წავიდა, კოტეს სიტყვა არ დაუდევნებია. ამო იყო ყველაფერი, ამო იყო, გაბრუნდა, რწევით გაუყვა შუკასა, ყურებში ისევ ხარხარი უდგა, ჩარჩენოდა, თუ ვინ იცის, კიდევ ხარხარებდა გელაი. ვისი ბრალი იყო, გიგოსი თუ კოტესი, ორივესი თუ ვინმე სხვისა ან რაიმესი, ჰა, ვისა ან რისა, ვისთვის მოეკითხა პასუხი ან პატიება, ვისთვის ეთხოვნა? რაღა არ მომხდარა, რამდენი

სისხლი დაღვრილა, რამდენი კეთილი დაღუპულა და ბოროტი გაღმერთებულა, რამდენ ღირსეულს მოსწრაფებია წუთისოფელი, რამდენი უღირსი დამტკბარა წუთისოფლის ცქერითა, რამდენი მაღალი აზრი დაწიხლულა, რამდენი მდაბალი ამალეებულა, ეპეი, ვინ იცის, ვინ უწყის, ვის მოეკითხებოდა ცოდობრალი, ვინ იყო მიზეზი, ვინ იცოდა, კოტემ იცოდა? გიგომ იცოდა? რა საკითხავია, რა იცოდნენ... გიგოს მაინცა ჰქონდა რაღაცა ფიქრები, რაღაცა აზრები, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი, ძალიან გაურკვეველი, რაღაც ისეთი, რომ სიტყვებში კარგად ვერ მოექცეოდა. ეს რომ შეძლებოდა!.. ან ეს რა ბედენა იყო, რამდენმა იცის, სიტყვაც უჭრის, მერე რაო, გინდა ყოფილა და გინდა არა, — კოტე მიდიოდა რწევითა, გიგოც რწევა-რწევით მიდიოდა.

ირინე უკვე დაბრუნებულიყო.

— მაპატე, რომ დროზე არ ჩამოგვვარე, — უთხრა ირინემა, — ჩემი ბრალია...

— ჰა, ჰა, ჰა... — გაიციხა გიგომა.

— ჩემი ბრალია-მეთქი, რა გაცივებს?! — დამეხსენი, იწამე ღმერთი, შენ მაინც დამეხსენი... თქვენ თვითონ არ იცით, რასა ლაპარაკობთ, არ იცით... დამეხსენით!..

ირინე აღარ ახირებია.

XXV

ან რაღა დროს ახირება იყო, გიგო მიდიოდა, მიდიოდა და წავიდა, ტასო წაიყვანა და წავიდა, ისე წავიდა, აღარც მობრუნდებოდა, თავის გოგონასათვისაც აღარ მოვიდოდა, არ წაპყვა, არც ის მოიკითხავდა, ჰო, არ წაპყვა, ირინეს

კალთაში ჩამალა სახე, არ გამოუტყდავს, არც შერბეულა, ვიდრე არ მისწყდა ფეხის ხმა მამისა და დედნაცოდნისა... წავიდნენ. მძიმე იყო, გულდამწყვეტი იყო, მაგრამ ბევრი არაფერი, იმდენი არაფერი, აი, ის პატარა, სულ პატარა ბიჭიც რომ წავიდოდა, გუნდიაანთი რომ აღარავინ დარჩებოდა გუნდიაანთ კარ-მიდამოზე, გულდამწყვეტა მაშინ უნდა გენახათ. თუმცა რაც უნდა ყოფილიყო, ირინე გაუძლებდა, აიტანდა, ძლიერი იყო, ჯიუტი იყო, თავის დებს არ ჩამოუვარდებოდა სიჯიუტეში, გულდაგულ გაიტანდა წუთისოფელსა, თავის წილხვედრ წუთისოფელსა. ღრმა სიბერემდისაც რომ მიედწია, მაინც თავისი ხელით შეუკეთებდა ცეცხლსა, კუნძებს, მსხვილღეროებს თუ ველარ მოერეოდა, ნაფოტსა და კიწაწს არ გაიწყობდა, კომლს არ გამოლევდა გუნდიაანთ ბუხარში...


ჰა, ეს ერთი ამბავიც მომიხსენებია, სხვასაც გეტყვი, გეტყვი ბევრსა, თუ ბედმა არ მიმუხთლა, მაგრამ რა ბედენაა, რომ არ ვიცი, მოგწონს თუ არა, მისმენ თუ არა... წინა ამბავზეც არაფერი მითხარი...

ჰოდა, ვიწრომებ, მხოლოდ ვიწრომებ, მხოლოდ ვიწრომებ ქანცმიწყვეტამდისა, თვალში ჩინის ჩაქრობამდისა, ვინმე დამიმაღლის, ირინე მაინც დამიმაღლის, როცა თავისი შვილების ამბავს მივუტან მარტოდშთენილსა, მოხუცებულსა, გუნდიაანთ კერას მიდარაჯებულსა, დამიმაღლის და ილოცებს ჩემთვისა, როგორც თავისი შვილებისთვისა.

და ვიწყებ ახალ ამბავსა:

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესობა იქნებოდა, იყო ერთი...

(დასასრული)



რ. მიუსარაძე



აზიისა და აფრიკის ხალხების ბრძოლა თავისუფლებისათვის

იმპერიალიზმის კოლონიურ დაპყრობებს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. რამდენიმე საუკუნის წინათ ესპანელმა, პორტუგალიელმა და პოლანდიელმა კოლონიზატორებმა ხელში ჩაიგდეს აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა. XVI — XIII საუკუნეებში კოლონიურ დაპყრობათა გზას დაადგინენ ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც გაბატონდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ვრცელ ტერიტორიებზე. ინგლისელ კოლონიურ დამპყრობთა ხელში აღმოჩნდნენ ინდოეთი, ბირმა, მალაია; საფრანგეთისა — ვიეტნამი, კამბოჯა, ლაოსი. პოლანდიელებმა მიიტაცეს ინდონეზიის კუნძულები.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატები კოლონიურ დაპყრობათა ავანაჯერ გზაზე გამოვიდნენ შედარებით გვიან, XIX საუკუნის დამლევს. ეს ახსენება იმით, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე ის მხარეები, რომლებიდანაც შემდგომში, უფრო სწორად, 1776 წელს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოიქმნენ, თვითონ წარმოადგენდნენ ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებს. ამერიკელი ხალხი, რომელიც იმ დროს თავისი განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ფრანგ ხალხთან ერთად თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატების მშართვლი კლასები ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეუდგნენ აქტიური დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელებას, რაც თავდამირჩველად მიმართული იყო შეერთებული შტატების მებრძოლების წინააღმდეგ ამერიკის კონტინენტზე. უდიდეს ფოსტერის თავის წიგნში „ამერიკის პოლიტიკური ისტორიის ნარკვევი“ წერს, რომ შეერთებულმა შტატებმა გააჩაღეს მრავალი იმი დასავლეთ ნახევარსფეროში და დაწყებული 1775 წლიდან ისინი მონაწილეობდნენ 114 ომში, ორი მსოფლიო იმი რომ არ ჩაეთვალათ. მცირე გამოჩაქვისის გარდა, ყველა ამ ომში, რომელთა მიზანი იყო სხვისი ტერიტორიის დაპყრობა, შეერთებულ შტატებს ბრძოლა უხდებოდათ შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან. ამერიკელ დამპყრობთა ექსპანსიის შედეგად ის, რომ 1776 წლიდან, ე. ი. რესპუბლიკის შექმნიდან ერთი საუკუნის გან-

მავლობაში, შეერთებული შტატების ტერიტორია ათჯერ გაიზარდა.

XIX საუკუნეში იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, მათ რიცხვში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დაიწყეს ჩინეთის კოლონიური ძარცვა-გლეჯა, რამაც ერთ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა. XX საუკუნის დამლევს დასავლეთის იმპერიალისტებმა ურთიერთ შორის გაიწაწილეს აფრიკის ტერიტორია, ისე რომ მათ ხელში აღმოჩნდა ამ კონტინენტის 90 პროცენტი.

იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას პირველი უმძიმესი ლახვარი ჩასცა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ჩაგრული ხალხები აღდგინოვანა ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ეს იყო ერთ-ერთი გამოვლინება კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა, რომლის პირველი ეტაპი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო იხსნა რუსეთის ხალხები სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, არამედ გააჩაღა კოლონიზატორთა ერთიანი ფრონტი. თურქეთის, ირანის, ავღანეთის, მონღოლეთის, ჩინეთის საზღვრებთან წარმოიქმნა ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გადაქრით უკუაგდო ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკა და მძვინვარე დასმარების ხელი გაუწოდა აზიის ჩაგრულ ხალხებს. საბჭოთა მთავრობამ 1917 წლის 7 დეკემბრის (24 ნოემბრის) დეკლარაციით გაუქმებულად გამოაცხადა ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რაც მეფის მთავრობის მიერ იყო დადებული და რომლებიც მიზნად ისახავდნენ სხვა ქვეყნების მიწების დაპყრობას. ასეთ არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, ხელშეკრულებანი თურქეთის, ირანის, ჩინეთის გაყოფის შესახებ.

1922 წლის დეკემბერში შეიქმნა საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი. ერთ კავშირში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანება ნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. საბჭოთა ქვეყანა გახდა ერთიანი მთელი, უძლიერესი ცენტრალიზებული სახელმწიფო. მას შემ-

დევ ოცდაათქვამეტამა წელში განვლო. ახლა სსრ კავშირი აერთიანებს თხუთმეტ მოკავშირე რესპუბლიკას, რომელთა შემადგენლობაშიც, თავის მხრივ, შედიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის მქონე ავტონომიური რესპუბლიკები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ძირეული ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნული რაიონის ეკონომიურ განვითარებაში.

ეროვნულ რესპუბლიკებში განხორციელდა ფართო კულტურული რევოლუცია. შეიქმნა ახალი, სოციალისტური ინტელექტუალური მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები. ბორცო შეესხა ღენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით, ჩამორჩენილ ქვეყნებს, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კაპიტალისტური განვითარების სტადიის გაუფლავლად შეუძლიათ გადავიდნენ სოციალიზმში. ამ რესპუბლიკების მშენებლობის პრაქტიკა თვალსაჩინო მავალითა აღმოავლეთოს ყველა ხალხისათვის.

სსრ კავშირის სოციალისტური ერების აყვავებამ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები თვალნათლივ დაარწმუნა, რომ ეროვნული განთავისუფლებისა და თანასწორობის, ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ იმპერიალისტ მტაცებელთა წინააღმდეგ თავდადებული, შეურიგებელი ბრძოლით. მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის თვით ფაქტით ასურტებს იმპერიალიზმს და უადვილებს ჩარეულ ხალხებს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას. საბჭოთა ქვეყნის ამ შთამავლებელი მავალითის ძალა განსაკუთრებით გამოვლინდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე — მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ანტფაშისტური კოალიციის მეთაურობდა, ხალხთა დამონების, ჩასობრივი ჩავერისა და ძარცვა-გლეჯის ფაშისტურ პროგრამას დაუპირისპირა ერების განთავისუფლების, სრული თანასწორობისა და მათი დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის დემოკრატიული პროგრამა, რაც იმპერიალისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩაგრული ხალხების განთავისუფლებელი ბრძოლის დროში გახდა.

დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შემდეგ ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოქმნა წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენას.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ იმპერიალიზმის ჯგუფი გაწყვიტა მის კოლონიურ ზურგში — აზიაში, რომლის მოსახლეობა ეკონომიკის ნახევარს შეადგენს. იმპერიალიზმის ბორკილები დაღუწა გვიანტურში ქვეყანამ,

რომელსაც ისეული წლის მანძილზე ეღმობლად ტანჯავდნენ, ნაქურ-ნაქურდულ გლეხდნენ ამერიკელი, იაპონელი და დსანდოუთუქურობელი ექსპლიოატორები. განმათავისუფლებელი რევოლუციის ცეცხლში შობილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თვალსაჩინო მავალით მისცა იმპერიალიზმის მიერ დამონებულ აზიის, აზოკ აღმოსავლეთის, აფრიკის უფლებთ და ჩამორჩენილ ხალხებს, აღფრთოვანა ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რაც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

„ჩინელ ხალხს, — ამბობს მათი ძე-დენი, — ჩინეთის რევოლუცია ყოველთვის მიანდა ოქტომბრის რევოლუციის განმარტობად და ამს უდიდეს ღირსებად თვლის“.

ახლა აზიის მოსახლეობის ნახევარი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებშიც ხელმძღვანელ როლს მუშათა კლასი და მისი მარქსისტულ-ღენინური პარტიები ასრულებენ, სოციალისტური საზოგადოების საფუძვლებს აგებენ. ამ ქვეყნების მავალით თვალნათლივ ჩანს აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალიზმის გზით განვითარების ფორმებისა და შეთოდების ნაირსახეობა. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება აღმოსავლეთის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ოქტომბრის რევოლუციის ძირითად ნიშანთვისებებს აქვთ არა მარტო ადგილობრივი, ეროვნულ-განკერძოებული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტურმა განვითარებამ სასეხებით დადასტურა ვ. ი. ღენინის გენიალური აზრი, გამოთქმული ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ: „ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა საყენით ერთნაირად; თითოეული შეტანს თავისებურების დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმასში. პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში“.

(თხ. ტ. 23, გვ. 81).

ქვეყნის-ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის, ხანგრძლივი ომებით გამოწვეული ნგრევის, კორეისა და ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ განიღებულ აგრესიასთან ბრძოლის უმძიმეს პერიოდში ჩინელმა ხალხმა უმოკლეს ვადაში განახორციელა სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, რის შედეგადაც თითქმის საყენებით კოლპერიტებულ იქნა გლეხური მეურნეობები. განხორციელდა აგრეთვე ეკრთოყაპიტალისტური მრეწველობისა და

ვაჭრობის სოციალისტური გარდაქმნა, უმაგალითო ტემპით ხორციელდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. უკვე 1956 წლისათვის 1949 წელთან შედარებით მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 29-ჯერ, იმავე წლისათვის გამოამუშავებულ იქნა იმდენი ელექტროენერგია, რაც ძველ ჩინეთს არ უწარმოებია 66 წლის განმავლობაში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე განუზრუნვლად იზრდება მშრომელთა მასების ცხოვრების დონე.

როგორც ცნობილია, ჩინეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის ეპოქაში ჩინეთის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება მსოფლიოში უკეთეს მაღალ დონეზე იდგა. მაგრამ კულტურა გაბატონებული კლასის პრივილეგია იყო. შრომისმომყვარე ჩინელი ხალხი შეცინებულა, კულტურული და მხატვრული შემოქმედების საოცარ უნარს იხუნდა, მაგრამ ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობის დროს ხალხს წართმეული ჰქონდა თავისი შემოქმედებითი ნიჭისა და ძალის გამოვლინების შესაძლებლობა. გომინდანის რევოლუციური, დამპალი რევოლუციის დროს ჩინეთის კულტურა კიდევ უფრო დაეინდა. მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა წერა-კითხვაც არ იცოდა.

ახლა ჩინელი ხალხი, რომელმაც თავისი ახალი სახელმწიფო შექმნა, ასევე ქმნის თავის ახალ კულტურას. უმაგალითოდ ვითარდება სახალხო განათლება, კულტურა და ხელოვნება.

დიდი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენა რთულ საერთაშორისო პირობებში მიმდინარეობს. ამერიკის იმპერიალისტები და ლი სინ მანის ბრძოლა უკვეა ღონისძიებით ცდილობენ შეაფერხონ ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიანი მშენებლობა. ისინი სახალხო-დემოკრატიულ კორეაში ზღაპრულად თავიანთ ჯაშუშებსა და დივიდანტებს, კორეაში მომხდარი დაზავება მათ სურთ გამოიყენონ შესვენებად და ძალების მოსაყრდელ ახლის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ ახალი აგრესიის განაჩადებლად.

კორეის შრომის პარტია და სახალხო დემოკრატიული მთავრობა მთელი კორეული ხალხის ერთვნილი ინტერესების შესამოსად ცდილობენ კორეაში მომხდარი დაზავება მტკიცე მშვიდობად გადააქციონ და რაც შეიძლება ჩქარა მიალწიონ ქვეყნის გაერთიანებას.

სამუთათა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები მოითხოვენ, რომ კორეის პრობლემა გადაწყვედეს მშვიდობიანი გზით, კორეის ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარულ ძალებს მიაჩნიათ,

რომ გაერთიანებული კორეა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს.

ვიეტნამის ახლანდელი მდგომარეობის თავისებურება ის არის, რომ ეს ქვეყანა, ისევე როგორც კორეა, ვაყოფილია ორ ნაწილად: 17-ე პარალელის სამხრეთით ხელისუფლების სათავეში მოქცეულ ფეოდალების, მოლაღატე ბურჟუაზიული წრეებისა და იმპერიალისტების აგენტები. მათი რეზიდენციაა ქ. საიგონი. ამერიკის იმპერიალისტებმა და კათოლიკურმა ეკლესიამ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის სათავეში დასვეს თავიანთი წარმადგენელი ნგო ღინ დიემი. თუ იმპერატორი ბაო-ლაი საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტი იყო, ნგო ღინ დიემი ამერიკის იმპერიალიზმის ამჟამო აგენტია და ანტიფრანგულ კურსს ატარებს.

სამხრეთ ვიეტნამში, სადაც 11 მილიონი მცხოვრებელია, უკვლავ რეაქციული ჯგუფების ტერორისტული დიქტატურა მძინავარებს. ნგო ღინ დიემის მაროინტელში მთავრობამ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის სრულ კონტროლს დაემორჩილა. ორი თასზე მეტი ამერიკელი „მრჩველი“ და ინსტრუქტორი განაგებს ეკონომიკისა და სახელმწიფო მმართველობის უკვეა მნიშვნელოვან უბანს.

სამხრეთ ვიეტნამი სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული. შეერთებული შტატები, რომლებსაც სურთ სამხრეთ ვიეტნამში მხოლოდ ამერიკის საჭონის გასაღებისა და ნედლეულის წყარო იყოს, ყოველმხრივ აფერხებენ იდეოლოგიური ეკონომიკის განვითარებას. ქრონიკულ კრიზისს განიცდის სოფლის მეურნეობა. სახვებით გაკონტროლენ სამხრეთ ვიეტნამის ისედაც სუსტი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები, განსაკუთრებით შაქრის, თევზისა და აბრეშუმის მრეწველობის დარგები, რომლებიც ვერ უძლებენ ამერიკის საჭონის კონკურენციას.

სულ სხვა მდგომარეობაა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორია განისაზღვრება 165 ათასი კვადრატული კილომეტრით, ხოლო მოსახლეობა 13 მილიონ მცხოვრებით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. იქ დამუარებულა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, რომლის საფუძველია მეშებისა და გლეხების ურღვევი კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეველუციური ღონისძიებაა აგრარული რეფორმის განხორციელება, რომელმაც მოსპო შემამულთა კლასის ეკონომიური პოზიციები და გამოიწვია გლეხობის უმაგალითო შრომითი აღმავლობა. ეკონომიკის მმართველი სომალეები სახელმწიფოს ხელში გადავიდა. რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში სახელმწიფოს წილი შეადგენს 98 პროცენტს.

საბჭოთა კავშირმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად და სახალხო მეურნეობის აღსადგენად უსასუფლოდ გააღო 400 მილიონი მანეთი.

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ასეთივე უაღვარო დახმარებას უწევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სოციალისტური ბანკის სხვა ქვეყნები.

ნგო ღინ დემის მართონეტული მთავრობა დაფინანსებული უარყოფს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყველა წინადადებას ქვეყნის გაერთიანების მიზნით საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ. იგი ყოველშეიძლება აფერხებს გეოგრაფიულად და ისტორიულად ერთი ქვეყნის ორ მხარეს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირის დამყარებას.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა მასების ბრძოლაში, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კოლონიალიზმის უღელს მოიშორეს და პოლიტიკური თანასწორობა მოიპოვეს ინდოეთში, პაკისტანში, ბირმამ, ცეილონმა, მალაიამ, ინდონეზიამ, ეგვიპტემ, სუდანმა, სირიამ, ტუნისმა, განამ და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებმა.

ჯერ კიდევ 1945 წელს აზიისა და აფრიკის კოლონიებსა და პროტექტორატებში ითვლებოდა 730 მილიონი მცხოვრებელი. უკვე 1957 წლისათვის კოლონიურ უღელსკვარში დარჩენილი იყო 150 მილიონი კაცი. ეს ციფრები ამას მოწმობენ, რომ კოლონიალიზმის მოსპობა არის რბილი პრაქტიკის პროცესი, რომლის შეჩერება არავის არ ძალუძს.

იმპერიალიზმის უღელსკვარში განთავსებული აზიისა და აფრიკის ქვეყნები მტკიცედ იცავენ თავიანთ უფლებებს საერთაშორისო საზღვრებზე. სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე ისინი იბრძვიან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის. დიდი სახელმწიფოების რიგებში ჩადგნენ ჩინეთი და ინდოეთი, რომელთა მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული მშვიდობიანი თანამშრომლობის ხუთი პრინციპი, რომელიც ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველი, კოლონიური უღელსკვარში განთავსებული აზიისა და აფრიკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის პროგრამა გახდა.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლში საქმეში დიდნიშნულნი მოიღვნა იყო 1955 წლის აპრილში ბანდუნგის კონფერენციის მოწვევა. მასში მონაწილეობა მიიღო აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფომ, რომელთა მოსახლეობა დღემდე მის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენს. ბანდუნ-

გის კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ და მკაცრი განაჩენა გამოუტანა კოლონიალიზმს.

მშვიდობის საქმის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე აზიის და აფრიკის ხალხების სოლიდარობის კიბროს კონფერენციამ, რომელმაც მუშაობა დაამთავრა მიმდინარე წლის 1 ნაწიარს. ეს შეკრება სახელმწიფოთა ოფიციალური კონფერენცია როდეს იყო, არამედ წარმოადგენდა ორი კონტინენტის საზოგადოებრივობის ფართო ასამბლეას, რომელშიც მონაწილეობდნენ 1600 მილიონი კაცის, ე. ი. თანამედროვე კაცობრიობის ნახევარზე მეტის წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობამ, მისმა გადაწყვეტილებებმა, მისმა შედეგებმა ცხადყოფს სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეის ქმედითობა და ცხოველყოფილობა.

აქტიულებელი როლია, რომ ახალმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა ყველგან სახალხო დემოკრატიის ფორმა მიიღონ. იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური იყო არა მუშათა კლასი, არამედ ანტი-იმპერიალისტური ძალების ბლოკი და მისი მომხრე ელემენტები, სუვერენულმა სახელმწიფოებმა მიიღეს ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმები.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახლად შექმნილი სუვერენული სახელმწიფოები, როგორც აზიის, მაგალითად, ინდოეთი, ბირმა, ეგვიპტე, ინდონეზია და სხვ. საბოლოოდ დეკარტული კოლონიატორებისათვის, რადგან ეს ქვეყნები ახორციელებენ დამოუკიდებელ საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ახლა, როცა მთელი კაცობრიობის ერთ მესამედზე მეტი მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას ეწევა, მსოფლიოში შესაძლებელი გახდა შექმნა მშვიდობის ფართო ზონისა, რომელშიც ევროპის სოციალისტურ და მშვიდობისმოყვარულ ქვეყნებთან ერთად შედიან აზიისა და აფრიკის სოციალისტური და არასოციალისტური ქვეყნები.

იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებსაც არ სურთ შეერკიდნენ თავიანთ დამარცხებას, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ საბრძოლო კრახისაგან იხსნან კოლონიალიზმის სამარცხირო სისტემა. ამის მკაფიო მაგალითი იყო დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და მათი დამპყმენის ისრაელი, თავებდური თავდასხმა ეგვიპტეზე 1956 წელს. მაგრამ საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთისა და არაბეთის სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერის მეშვეობით ეგვიპტის ხალხმა აგრესორებმა გააძევა თავისი ტერატორიიდან, განამტკიცა

თავის სუვერენიტეტი და თავისი ეროვნული ჩუქურტების ბატონ-პატრონი გახდა. ახლა სუვე-
ცის არხი ნამდვილად ეკუთვნის ვეგობტეს.

ვეგობტის მთავრობამ ვადამპტრელი ზომები მი-
იღო იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ვეგობტეში
ინგლისისა და საფრანგეთის მონაპოვლების
თანამეპყებულ თარეშს. ვეგობტემ ვადამპტრით უარ-
ყო აგრეთვე „დაღეს-ეიზენაუერის დოქტრინა“,
რომელიც აღმოსავლეთის ხალხებისათვის ნიშ-
ნავს ახალ კოლონიურ უღელს, ვამალებულ შე-
იარაღებსა, ვადატაყებს და შიმშილს.

მას შემდეგ, რაც იმპერიალისტებმა აზიასი
ბევრი კოლონია დაეპყრეს, ისინი განსაკუთრე-
ბით ებლატეებიან აფრიკას, ვინაიდან ამ კონტი-
ნენტს დიდი მნიშვნელობა აქვს თავისი სტრა-
ტეგიული მდებარეობისა და ნედლეულის სი-
უხვის გამო.

აღერის, კენის, უჯანდუს, კამერუნის და აფ-
რიკის კონტინენტის სხვა ქვეყნების ხალხები
ჯერ კიდევ რჩებიან კოლონიური მონების მდგო-
მარეობაში. მაგრამ აფრიკის ქვეყნების ჩაგრული
ხალხები, ვეგობტის, ლიბიის, სუდანის, მაროკოს
ხალხებისა, რომლებმაც დამოუკიდებლობა
მოიპოვეს, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული
ძალების მხარდაჭერით, აქტიურად ჩაებნენ
ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.
იმპერიალისტები ყოველგვარი ზერხებით —
ძალადობით, ტერორით, შირტყვებით ცდილ-
ობენ დათრგუნონ განმათავისუფლებელი მოძრაო-
ბა ამ ქვეყნებში.

აღერისში საფრანგეთის იმპერიალისტების ჯა-
რები ომობენ უმთავრესად უიარაღო მოსახლე-
ობის წინააღმდეგ, ცეცხლს უფლებენ სოფლებს,
ანადგურებენ ნათესებსა და წყალსაცავებს,
ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს, უკანასკნელი
ორი წლის განმავლობაში ფრანგმა დამპყრობ-
ლებმა მოკლეს 600 ათასამდე აღერიღი.

იმისათვის, რომ ანტიიმპერიალისტურ ძალთა
გავრთიანება არ მოხდეს, ინგლისისა და საფრან-
გეთის იმპერიალისტები ნაწილ-ნაწილად აქუც-
მაცყებენ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებს
აფრიკაში. მაგალითად, საფრანგეთის ვუვატორუ-
ლი აფრიკა გაყოფილია ოთხ ნაწილად, ხოლო
კამერუნი — ორ ნაწილად. სომალის ტერიტორია
უტაივრთ შორის განაწილებული აქვთ ინგლისს,
საფრანგეთსა და იტალიას. ამიტომ ბუნებრივი,
რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-
ერთი მოთხოვნილებაა ხალხთა თვითგამორკვევა
და დაქუცმაცყებულ ტერიტორიათა გავრთიანება
ერთიან ეროვნულ სახელმწიფოში.

კოლონიალისტების იდეოლოგები ცდილობენ იმ-
პერიალისტური ქვეყნების აუბნაწერ დაპყრობა-
თა პოლიტიკა შეინდობონ ჩამორჩენილი და სუს-
ტად განვითარებული ქვეყნებისაღმდეგ ეკონომი-
ური და კულტურული „დახმარების“ ყალბი სა-
ფარით. მაგრამ ევრაეითარი შენდობა ვერ და-
ფარავს იმას, რომ მდლიარლობით მოგება, რასაც
იმპერიალისტები კოლონიებიდან იღებენ, მუშე-

ბისა და გლეხების სისხლითა და ოფლით არის
მოპოვებული. სწორედ ასეთი დაუნდობელი ეკს-
პლოატაციის შედეგია მშრომელი მკაბნის საში-
ნელი ვადატაყება და მოსახლეობის განხრთე-
ლობის შეტად ცუდი მდგომარეობა კოლონიურ
ქვეყნებში. აფრიკის მოსახლეობის დიდმა უმრავ-
ლესობამ არ იცის წერა-კითხვა, ნიკერიაში ერთი
ექიმი მოღის 133 ათას მცხოვრებზე, ხოლო
ტრანსილვანიაში—150 ათას კაცზე. ტანგანიკაში,
რომელიც ინგლისის მურეგობაშია იყოფება,
მუშები მოთავსებული არიან ეკლიანი მავთულე-
ბით შემოღობულ სპეციალურ ბანაკებში აფრი-
კის ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს.
მონება და იძულებითი შრომა.

აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში, რომ-
ლებიც ეს-ეს არის დაადგნენ დამოუკიდებელი
ეროვნული განვითარების გზას, უცხოეთის კა-
პიტალი ჯერ კიდევ ინარჩუნებს გარკვეულ ეკო-
ნომიურ პოზიციებს. ამიტომ, ამ ქვეყნების ხალ-
ხების ინტერესები მოითხოვენ იმპერიალისტე-
ბის კოლონიური ბატონობის გადმონაშთების
საბოლოო ლიკვიდაცას და ეკონომიური და ზო-
ლიტკური დამოუკიდებლობის შემდგომ გან-
მტკიცებას. ამ ამოცანის განხორციელება შესაძ-
ლებელია მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის სა-
ფუძველზე, ეროვნული ეკონომიკის განვითარე-
ბის გზით.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაც-
ხადა: „იდრე მანქანათმშენებლობას არ განეა-
ვითარებთ, არ შეგვიძლია ჩვენ თავს დამოუკი-
დებელი ვუწოდოთ. ქვეყანა შეიძლება რეაბე-
აღნიშნული იყოს, როგორც დამოუკიდებელი
სახელმწიფო, მაგრამ სინამდვილეში იგი ასეთი-
არ იყოს და ეკონომიურად დამოუკიდებელი იყოს
სხვა ქვეყნებზე. იმისათვის, რომ ინდოეთი ნამ-
დვილად დამოუკიდებელი გახდეს და ნამდვილად-
წინ მიდითდეს, ამისათვის იგი დამოუკიდებელი
უნდა იყოს ეკონომიურადაც.“

საბჭოთა კავშირი ბუნებრივ პრინციპების-
სრული შესაბამისობით სუსტად განვითარებულ
ქვეყნებს დახმარებას უწევს ყოველგვარი სამ-
ხედრო თუ პოლიტიკური, ეკონომიური თუ სო-
ციალური პირობების გარეშე. ამ დიდ პრინ-
ციპზე დამყარებული აგრეთვე სოციალისტური.
ბანაის ყველა ქვეყნის ეკონომიური კავშირ-
ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. როცა ინდოეთის
მთავრობამ საბჭოთა კავშირს მიმართა თხოვნით
შეტალურგეული ქარხნის მშენებლობაში დახმა-
რების აღმოჩენის შესახებ, საბჭოთა კავშირმა
მაქსიმალურად შეღავათიან პირობებში კრედი-
ტი მისცა ინდოეთს და იქ თავისი სპეციალის-
ტები გაგზავნა. საბჭოთა კავშირმა ასეთივე
პირობებში დალო ზელშეკრულებები ბირმასთან,
ავღანეთთან, ინდონეზიასთან და სხვა ქვეყნებ-
თან. საბჭოთა კავშირმა დაამყაროდა ევგაბ-
ტის თხოვნა და თანშობა განაცხადა მისცეს მას.
კრედიტი 700 მილიონი მანეთის რაოდენობით.
საბჭოთა კავშირი ფართო ეპტრობას აწარმო-

ებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.



აზიისა და აფრიკის ხალხების უდიდესმა უმრავლესობამ შეეპოვათ ბრძოლით დაამსჯერია მრავალსაუკუნოვანი იმპერიალისტური ჩაგვრის შიმში უღელი და თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობს მუშათა კლასი კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურობით. მუშათა კლასის მოკავშირე არის გლეხობა და ინტელიგენცია. განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს, აგრეთვე, ეროვნული ბერძენაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დიდად არის შევიწროებული უცხოეთის მონოპოლების მიერ.

აღსრულდა დიდი ლენინის მიერ გერ კიდევ 1919 წელს წარმოთქმული სიტყვები, რომ თანდათან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად

„აღსრულდა იან მოსავლეთის ხალხთა მისები, როგორც დამოუკიდებელი მონაწილენი, როგორც შემოქმედნი ახალი ცხოვრებისა“ (თბ. ტ. 30, გვ. 171).

ახლა, როცა თავისი ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში ჩაება წინათ ჩაგრული კოლონიური ხალხების ასობით მილიონი აღამიანი, ჩასაფრებად ვაწირულია უოველგვარი ედი ხელი შეუშალონ ამ ხალხებს მათი დამოუკიდებლობის მიღწევაში.

მაგრამ აფრიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ინტერვენცია ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ განგრძობაა კოლონიზატორთა ძველი პოლიტიკისა, რომლის მსხვერპლი წინათ იყო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა. ნათობი, ახალი მოგების წყურვილი ამოქმედებს ინტერვენტებს.

მაგრამ აგრესორებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ არაბული აღმოსავლეთის ხალხები დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მარტონი როდი არიან. ყველა ქვეყნის ხალხები გულისწყრომით და აღშფოთებით გამოზენ ამერიკელ-ინგლისელ აგრესორებს.



პრაბთა ერთიანობა და კოლონიალიზმის მარცხი ახლო აღმოსავლეთში

შეცხამებტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს, როდესაც ინდოელი, არაბი და სხვა მრავალი აზიელი და აფრიკელი ხალხების დამპყრობისა და დამონების წყალობით ბრიტანეთის კოლონიური იმპერია უზომოდ გაიზარდა და გაიბერა, დასავლეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებრიობის კოლონიზატორულ მისწრაფებათა იდეოლოგიის გამოიხატველ ბელტრისტად და ბოეტად ინგლისურ მწერლობას რედიარდ კიპლინგი მოველინა.

ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის აყვავებისა და გაფურჩქნის ეპოქაში კიპლინგის შემოქმედება ანგლო-საქსური რასიული ქედ-მალღობისა და კოლონიური ჩაგვრის აღვირახსნილი ქადაგების აშკარა ნიმუშს წარმოადგენდა. კოლონიალიზმის შესვეურებმა ხელში აიტაცეს რედიარდ კიპლინგის შემოქმედება და აღმოსავლეთის ხალხთა დამონებისა და ჩაგვრის იდეოლოგიურ იარაღად გამოიყენეს. კიპლინგის სიცოცხლეშივე ინგლისში ოთხჯერ ზედხედ გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული; მსგავსი წარმატება ინგლისურ მწერლობაში თვით უილიამ შექსპირსაც კი შეუძრდებოდა!

ვის არ სმენია რედიარდ კიპლინგის „ბალადა დასავლეთსა და აღმოსავლეთზე“, რომელშიც მან ესოდენ მკაფიოდ გამოხატა „ცივილიზებული“ იმპერიალისტთა კაცთმოძულეობის რასიული იდეოლოგია და რომლის სტრიქონებიც მუდამ პირზე აყვრიათ ევროპიელ და ამერიკელ კოლონიზატორებს: „Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet, Till Earth and Sky stand presently at God's great judgment seat.“ („ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, ზოლო დასავლეთი — დასავლეთი, და ისინი ვერასოდეს ვერ შეხვდებიან, ვიდრე ეს და დედამიწა არ წარსდგება ღმერთის უმაღლესი სამსჯავროს წინაშე“).

დაიღ! ასეთი იყო და ასეთივე დარჩა ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტთა მორალური მრწამსი! თუმცა-ღა ისტორიის ობიექტურმა და კანონზომიერმა განვითარებამ კიპლინგის სიცოცხლეშივე ნათელყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის“ გარდევალობა

უხალისე მომავალში. ისტორიულ მოვლენათა მსვლელობამ კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე თვით კიპლინგთა, ჩერჩილთა და მათი მსგავსი კაცთმოძულე კოლონიზატორების რასისტული მრწამსი წააყენა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დასავლელი იმპერიალისტები აღჭრთოვანებით იზებებდნენ რედიარდ კიპლინგის „ბალადას დასავლეთსა და აღმოსავლეთზე“, ვ. ი. ლენინი წერდა: „აღმოსავლეთ ევროპისა და აზიაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციათა ეპოქა მხოლოდ 1905 წელს დაიწყო რევოლუციები რუსეთში, სპარსეთში, თურქეთსა და ჩინეთში, ომზე ბალკანეთში—ა ჩვენი ეპოქის, ჩვენი „აღმოსავლეთის“ მსოფლიო ამბების ჯაჭვი. და ამ ამბების ჯაჭვში მხოლოდ ბრძნის შეუძლია არ დაინახოს მთელ რაგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობათა გაღვივება, მისწრაფება ეროვნულად დამოუკიდებელ და ეროვნულად ერთიან სახელმწიფოთა შექმნისაკენ“ 1.

დღი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ აღმოსავლეთის ხალხთა უშფოთევი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ერა ისტორიულ წარსულს მიაბარა და განუზომლად გაზარდა აღმოსავლეთის ხალხთა სწრაფვა ეროვნულად დამოუკიდებელ და ეროვნულად ერთიან სახელმწიფოთა შექმნისაკენ.

სამამულო ომში საბჭოთა ხალხების ძლიერი მოსილმა გამარჯვებამ, საბალზო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამ ჩინეთში, ევროპისა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, და მსოფლიოში ერთიანი და სოციალისტური ბანაკის ჩამოყალიბებამ, დასაბამი მისცა იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო დაშლისა და განადგურების—ისტორიულ ეპოქას. უცნასკნელი წლების მანძილზე კოლონიური ჩაგვრის უღელს თავი დააღწია 1,3 მილიარდმა ადამიანმა. აზიასა და აფრიკაში დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწი-

ფოთა კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ სამფლობელოთა ნაცვლად წარმოიქმნა 25 ახალი, ეროვნულად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რომელთა უმრავლესობა ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულფუნქციონირებელი წევრები არიან.

დღეს ასეთია მოვლენათა ობიექტური განვითარების შედეგი, ასეთია ისტორიული კვლევების მართლმართლიანი მსვლელობა ნაციონალურად აქტიურობისა და ჩერხილთა მორალური მრწამსი და მთებუდავად მათი სურვილისა „შეახვედრა“ ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი! მაგრამ, საბოლოოდ გამოფიხილებული და წელში გამართული აღმოსავლეთი მტრულად როდი დაუპირისპირდა საუკუნეთა მანძილზე მის მიხვედრელ იმპერიალისტურ დასავლეთს, არამედ კონფლიქტთა და ჩერხილთა რისიკულ მრწამსს აზიისა და აფრიკის ხალხებმა კავთომოვარეობის, თანასწორობის, მშვიდობისა და ეროვნული თავისუფლების იდეოლოგია დაუპირისპირეს. აღმოსავლეთმა ვალაქრით მოითხოვა თავისი კონიერის უფლებების აღდგენა და აღიარება მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ინდონეზიის ახალგაზრდა რესპუბლიკის ქალაქ ბანდუნგში 1955 წელს მოწვეულმა აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფოს წარმომადგენელთა ისტორიულმა კონფერენციამ ბოლო მოეღო და წარსულს მიბარა ის დრო, როდესაც აღმოსავლეთის ხალხთა სეპარატისტული დაუკითხავად სწყევტდნენ დასავლელი იმპერიალისტები შორეულ ლონდონში, ვაშინგტონში, პარიზში თუ ტენევიში. ბანდუნგის კონფერენციამ ერთხმად აღიარა ორე ენ ლაი — ნერუს მიერ წამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების მქონე სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი ზეთი პრინციპი. ხოლო, 1957 და 1958 წლების მიჯნაზე ეკვიპტის დედაქალაქ კაიროში ჩატარებულ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციამ, — რომელშიაც ბანდუნგის კონფერენციის წარმატებით მოაერთიანა ოფიციალური წარმომადგენლები კი არ მონაწილეობდნენ, არამედ აზიისა და აფრიკის 45 ქვეყნის ხალხთა სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა და სპეციალბის წარმომადგენელი, — კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების სახელმწიფოებმა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ერთმანეთს შორის ურთიერთობანი უნდა დაამყარონ მშვიდობიანი თანაარსებობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე. თავის ნაშრომში „ერთა თვითგამორკვევის უფლებების შესახებ“ ვ. ი. ლენინი წერდა: „ისეთ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომლებიც

ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას). აქეთ უბიძგებენ უღრმესი ეკონომიური ფაქტორები და ამიტომ... მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტიპურ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ 1.

დასავლეთ ევროპაში ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესი დღეი ხანა დამთავრდა. მაგრამ, ამ პროცესს თან სდევდა ევროპის სახელმწიფოთა მიერ აღმოსავლეთის ხალხთა კოლონიური დაპყრობანი და ძარცვა-გლეჯი, რის შედეგადაც აზიისა და აფრიკის ქვეყნები დამონებული და განაწილებული აღმოჩნდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. მთებუდავად კოლონიზატორთა ნებასურვილსა, რომლებმაც ხელოვნურად შეაფერხეს თავიანთი კოლონიალური სამფლობელოების ეკონომიური განვითარება, აღმოსავლეთში თანდათანობით მიანიც ვაიკვლია გზა კაპიტალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ, ჩაისახა და განვითარდა აღმოსავლეთის ეროვნული ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რამაც თავის მხრივ განაპირობა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა და გაძლიერება.

თანამედროვე ეტაპზე აღმოსავლეთის მთელი რიგ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობს ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის დროებით გამოდის და ეროვნულად დამოუკიდებელ და ეროვნულად ერთიან სახელმწიფოს შექმნისათვის იწყებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთის ხალხთა თავდადებული ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შედეგად შეიქმნა არა ერთი ეროვნულად დამოუკიდებელი და ეროვნულად ერთიანი ბურჟუაზიული სახელმწიფო: ინდოეთისა და ინდონეზიის რესპუბლიკები, ბირმის კავშირი, მალის ფედერაცია და სხვა.

ვ. ი. ლენინი ბავკასიით აღნიშნავდა: — „რამდენადაც ჩაგრული ერის ბურჟუაზია ებრძვის მიხვედრელს, იმდენად ჩვენ ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში და ყველაზე გაღატოთი ეგზობობით მას, ვინაიდან ჩვენ ჩაგვრის ყველაზე გაუბედური და თანამედროვეი მტრები ვართ... ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგ, და იმ ამ შინაარსს ჩვენ უთუოდ ვუპყრთ მხარს...“ 2.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 483.

2 იქვე, გვ. 503-504.

შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა აზიისა და აფრიკის, კერძოდ კი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. ანტიიმპერიალისტური ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა არაბულ აღმოსავლეთში, სადაც ევროპის კაპიტალისტურ სამფლობელოთა ნაცვლად წარმოიქმნა მთელი რიგი ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები. არაბულ ქვეყანათა შორის პირველად თავის დამოუკიდებლობა შიამოგეს სირიამ და ლიბანმა, რომელნიც მეორე მსოფლიო ომამდე საფრანგეთის სამხანდატო სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. საფრანგეთი აძულეული იყო გაეუქმებინა თავისი მანდატი ამ ქვეყნებზე და გაეყვანა ჯარები სირიისა და ლიბანის ტერიტორიებიდან. სირია და ლიბანი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადდნენ.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოვლენას, თავისი შედეგებით არაბულ აღმოსავლეთში, წარმოადგენს ეგვიპტელი ხალხის 1952 წლის ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუცია, რის შედეგადაც არაბული აღმოსავლეთის ეს ყველაზე მოწინავე და დიდი ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდა ბრიტანულ იმპერიალისტთა 75 წლიანი კოლონიური ბატონობისაგან. ინგლისის იძულებული გახდა გაეყვანა თავისი საოკეპაციო ჯარები არა მარტო საერთოვე ეგვიპტიდან, არამედ სუდანიდანაც. ეგვიპტე დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა 1953 წლის ივნისში, ხოლო სუდანი — 1956 წლის იანვარში.

კოლონიური ჩაგვრის უღელს თავი დააღწიეს აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკის მთელმა რიგმა არაბულმა ქვეყნებმა, სადაც იტალიის უფილ სამფლობელოში — ლიბიაში, შეიქმნა დამოუკიდებელი ლიბიის გაერთიანებული სამეფო; საფრანგეთის კოლონიის ტენისის ნაცვლად — ტენისის სუვერენული რესპუბლიკა; ხოლო ფრანგ და ესპანელ კოლონიზატორთა სამფლობელოს ნაცვლად მაროკოში—მაროკოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

და ბოლოს, მიმდინარე წლის 14 ივლისს, ერაყელმა ხალხმა დაამტო მონარქია და წერილობითი პროიმპერიალისტური მთავრობა და ერაყი რესპუბლიკად გამოაცხადა. ერაყის ახალგაზრდა რესპუბლიკა ოფიციალურად გამოვიდა ბოლშევის პაქტიდან და ე. წ. „არაბთა ფედერაციიდან“, მან გასწვევითა უოველგვარი კავშირი იმპერიალისტურ სამხედრო დაჯგუფებებთან, დიპლომატიური ურთიერთობაში აღადგინა საბჭოთა კავშირთან, სენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და დამოუკიდებელი განვითარების ფართე გზაზე გამოვიდა, რამაც ცოფმარტულ ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტთა მორიგი აღვირაბსნილი სამხედრო აგრესია გამოიწვია არაბულ აღმოსავლეთში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დღემდე არაბულ აღმოსავლეთში დასავლეთის

სახელმწიფოთა ყოფილ კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ სამფლობელოთა ნაცვლად წარმოიქმნა არაბთა 9 დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათ შორის ექვსი რესპუბლიკა (სირია, ლიბანი, ეგვიპტე, სუდანი, ტენისი და ერაყი) და სამი სამეფო (ლიბია, იორდანია და მაროკო).

მაგრამ არაბთა განთავისუფლების პროცესი კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ოთხი წელია, რაც აღვირცხელი არაბები იარაღით ზელში თავგანწირვით იბრძვიან ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. გმირულ ბრძოლას აწარმოებენ ინგლისურ იმპერიალისტთა წინააღმდეგ არაბეთის ნახევარკუნძულის სამთავროების, — იმანისა და აღენის, — თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

უქანასკნელ თვეებში მოხდარი მოვლენები ნათლად შეტყველებენ, რომ კოლონიური ჩაგვრისაგან არაბული აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლებისა და არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის ისტორიული პროცესი სულ უფრო მეტად ვითარდება და ღრმავდება. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს ის, რომ არაბულ აღმოსავლეთში ამჟამად აღვილი აქვს ცალკეული, უკვე დამოუკიდებელი, არაბული სახელმწიფოების გაერთიანებისა და ეროვნულად ერთიანი და მთლიანი არაბული სახელმწიფოს შექმნის ძლიერ ტენდენციას. უფრო მეტიც, ეროვნულად ერთიანი და მთლიანი არაბული სახელმწიფოს ძირითადი ბირთვი უკვე შექმნილია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახით; როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 21 თებერვალს სირიისა და ეგვიპტის ხალხებმა გადასწყვიტეს ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანება, რის შედეგადაც წარმოიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომელსაც სულ მალე ფედერალურ საწყისებზე შეუერთდა აგრეთვე კიდევ ერთი არაბული ქვეყანა — იემენის სამეფო. არაბთა ეროვნულად ერთიანი სახელმწიფოს ძირითადი ბირთვის, — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, — ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა ეგვიპტელ, სირიელ და იემენელ არაბთა თვალდადებული ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ვითარებაში.

არაბთა გაძლიერებულ მისწრაფებას ერთიანობისა და გაერთიანებისაკენ მეტად უწყობს ხელს, უყვია არაბთა ხალხების პოლიტიკური მიზნების ერთიანობა, რომლის განმარტოვების შედეგად არაბული აღმოსავლეთი საბოლოოდ უნდა განთავისუფლდეს კოლონიზატორთა ბატონობისაგან და ვალაქრით დაადგეს დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარებისა და ეროვნული აღორძინების გზას.

ცხადზე უცხადესია, რომ ეროვნულად ერ-

თიანი და მთლიანი არაბული სახელმწიფოს შექმნა საბოლოოდ გამოუთხრას ძირს იმპერიალისტთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოზიციებს არაბულ აღმოსავლეთში. ამიტომ არის, რომ იმპერიალისტური პროპაგანდა ყოველნაირ ცალს სწამებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და მის მეთაურებს. სწორედ ამიტომ გააყრდეს ყურები იმპერიალისტებმა ყვირილით, რომ თითქოს ყოველივე რაც ამჟამად არაბულ აღმოსავლეთში ხდება არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და მისა პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ხრძიების შედეგი იყოს, რომელსაც თითქოს სერს აღადგინოს შუა საუკუნეებში აქ არსებული არაბთა სახალიფო და თვითონ კი ხალიფად გამოაცხადოს თავი! იმპერიალისტთა ამგვარი პროვოკაციული მონაქორები მიზნად ისახვენ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას და არაბთა გამომწვევი ეროვნული გმირის გამალ აბდელ ნასერის ავტორიტეტის შეღავათს.

არაბთა ერთიანობა და კონსოლიდაცია დროებით და გარდამავალი მოვლენა როდია, რომელიც გამოიწვეულია მარტოოდენ თანამედროვე ეტაპზე არაბი ხალხების პოლიტიკური მიზნების ერთიანობით, არამედ არაბთა ერთიანობას საფუძვლად უდევს მთელი რიგი ისტორიულად ჩამოყალიბებული და მუარა ფაქტორები. პირველ რიგში ამგვარ ფაქტორს წარმოადგენს არაბულ აღმოსავლეთში მცხოვრები ყველა ხალხის ენობრივი ერთობა.

მაროკოდან ერაყამდე და სირიიდან იემენამდე ამჟამად ყველგან არაბული ენა არის გავრცელებული.

არაბი ხალხების ენობრივი ერთიანობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესის კანონიერი შედეგს წარმოადგენს. ცნობილია, რომ VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულიდან გამოსულმა მომთაბარე არაბებმა დაიპყრეს მთელი წინა აზია, ამიერკავკასია, შუა აზია, ჩრდილოეთ აფრიკა და პარსიეს ნახევარკუნძული. არაბთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ერთმა ნაწილმა, — სპარსებებმა, შუა აზიელებმა, აზერბაიჯანელებმა, ქართველებმა, სომხებმა და ესპანელებმა, — შესძლეს არაბ დამპყრობთა ვანდევნა და თავიანთი ეროვნული თვითმყოფლობა შეინარჩუნეს. ხოლო წინა აზიის დიდ ნაწილსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არაბებმა საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ მოიკაღეს ფეხი. არაბების მიერ დაპყრობილმა წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობამ შეითვისა არაბთა ენა, სარწმუნოება და კულტურა ასე წარმოიქმნა ეამთა მსველელობაში თანამედროვე არაბული აღმოსავლეთი. დღეს არაბულ ენაზე მეტყველებენ არა მარტო თვით არაბეთის ნახევარკუნძულის არაბები, არამედ სირიის, ლიბანის, ერაყის, იორდანის, ეგვიპ-

ტის, სუდანის, ლიბიის, ტუნისის, ალჟირისა და მაროკოს მოსახლეობაც ყველა ამ ქვეყანაში არაბული ენა არა მარტო ოფიციალურ ენად არის აღიარებული, არამედ ამ ენაზე იბეჭდებიან წიგნები, ექრნალ-გაზეთები, სწავლიან რადიო გადაცემები და სხვა მართალია, სხვადასხვა არაბულ ქვეყნებში მეტნაკლებად განსხვავებულ არაბულ სალაპარაკო დიალექტებზე მეტყველებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთიანი არაბული ენის დიალექტებია და არა ერთმანეთისაგან განსხვავებული ენები. ხოლო რაც შეეხება არაბულ სალიტერატურო ენას, იგი საერთოა მთელი არაბული აღმოსავლეთისათვის.

არაბთა ერთიანობისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შესუსტების მიზნით დასავლელი ენათმეცნიერები ამაოდ ცდილობენ დაისაბუთონ სხვადასხვა არაბულ ქვეყნებში გავრცელებული სამეტყველო დიალექტების თავისთავადობა, რომ ამ დიალექტებს თითქოს არაფერი ჰქონდეთ საერთო სალიტერატურო არაბულთან. ერთხანობას თვით არაბულ ქვეყნებშიც გამომწინდენ ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და აპოლიტიკური სულსიტყვების „მეცნიერნი“, რომლებმაც ბანი მისცეს თავიანთ დასავლელ კოლეგებს. თუმცაღა რა ვასაკვირველია, განა მსგავს მოვლენას არა ჰქონდა ადგილი ჩვენშიც, როდესაც რუსეთის ცარიზმმა საქართველოში თავისი კოლონიური პოლიტიკის განსამტკიცებლად ზელა ჩაქიდა ზოგიერთი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მწიგნობარის ენათმეცნიერულ „მტუდეებს“, როდესაც ჩვენში თავი წამოყვეს ამორღიებმა და სამეგრელოსა და სვანეთში მეგრული და სვანური სკოლების გახსნა მოითხოვეს?!

არაბ საზოგადოებს და მათ უცხოელ დამპყრებელ სავადარისო პასუხი ვასცა გამოაჩინებდა ეგვიპტელმა პოეტმა პაფრ იბრაჰიმმა (1871-1932), რომლის მთელი შემოქმედება არაბული პატრიოტიზმისა და არაბთა ერთიანობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. (იხ. მისი ლექსი „არაბული ენა“ კრებულში „Стихи поэта Ибрагим, М. 1956 г., стр. 112 — 113).

უდავოა, რომ ენის ერთობა არაბული აღმოსავლეთის ხალხთათვის რეალურად არსებული ფაქტორია და იგი არაბთა ერთიანობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ენობრივი ერთობის პარალელურად უცრ კიდევ შუა საუკუნეებში ისტორიულად ჩამოყალიბდა ერთიანი არაბული კულტურა, რომელმაც შეითვისა ანტიკური საბერძნეთის, ძველი აღმოსავლეთისა და შუა აზიის კულტურული მემკვიდრეობა. თავის მხრივ არაბულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ხალხთა კულტურის განვითარებაზე. თანამედროვე ეტაპზე არაბული კულტურა და ლიტერატურა ვითარდება არაბ ხალხთა ეროვნულ-განანათლებულ ფუძელებელ მოძრაობასთან შეიძრო კავშირ-

ში. თანამედროვე არაბული კულტურის ძირითად კერებს ამჟამად წარმოადგენენ მოწინავე არაბული ქვეყნები: ეგვიპტე, სირია და ლიბანი. გამოჩენილი საბუთთა არაბისტო აკადემიკოსი ი. ე. კრაჩკოვსკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თანამედროვე არაბული კულტურა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია მთელს აღმოსავლეთში. (И. Ю. Крачковский, «Возникновение и развитие ново-арабской литературы», Журн. «Восток», № 1, 1922 г.).

უდავოა აგრეთვე, რომ არაბთა მისწრაფებამ ერთიანობისაკენ ხელს უწყობს არაბებით დასახლებული თეთი არაბეთის ნახევარკუნძულის, წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიული მსახეის ერთიანი, შექმნილი და კომპაქტური მდებარეობა.

ამრიგად, ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობივე, კულტურული და ტერიტორიული ერთობა საფუძვლად დაედო არაბთა ერთიანობის იდეას. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღება ის ისტორიული ფაქტები, რომ დღეისათვის ყველა არაბული ქვეყანა მეტნაკლებად უკვე შესდგა კაპიტალისტური განვითარების გზაზე, რომლის ლოკალურ კანონსაც ეროვნული კონსოლიდაციისა და ერთიანობის პროცესის დაჩქარება და ეროვნულად ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოადგენს.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე არაბთა ერთიანობის იდეებს ქადაგებდნენ გამოჩენილი არაბი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ლიბანელი ადამ ისაკი, სირიელი აბდ არ-რაჰმან ალ-ჰავეიბი, ნაჯიბ აზური და სხვანი. ამჟამად არაბთა ერთიანობის იდეამ გამოხატულება პოემა მთელ რიგ არაბ ავტორთა (სურეიკი, ზიადი, ალ-ხუსარ, ყოჩე ჰანა და სხვ.) ნაშრომებში. ყველაზე უფრო ნათლად არაბთა ერთიანობის იდეა ისახა თანამედროვე არაბული აღმოსავლეთის ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამოხატველი არაბი პროფესორის აბუ ხალდუნ სათი ალ-ხუსარის ნაშრომებში. (იხ. სათი ალ-ხუსარის წიგნები: «მოსაზრებანი და საუბრები არაბთა ნაციონალიზმის შესახებ», კაირო, 1951 წელი; «მოსაზრებანი და საუბრები პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის შესახებ», ბაღდადი, 1954 წელი; «არაბთა ერთიანობა, მისი მოწინააღმდეგეები და მომხრენი», ბაღდადი, 1954 წელი; «ლექციები ერის წარმოშობისა და განვითარების შესახებ», კაირო, 1955 წელი; «არაბთა ერთიანობა უწინარეს ყოვლისა», ბეირუთი, 1954 წელი და სხვა).

სათი ალ-ხუსარი წერს: «...არაბთა ქვეყანა მარტოდენ არაბეთის ნახევარკუნძული რიონია, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია, ყველა ქვეყანა რომლის მოსახლეობაც არაბულად მეტყველებს — არაბული ქვეყანა... ყოველი ადამიანი, რომელიც არაბულ ქვეყნებში ცხოვ-

რობს და არაბულად მეტყველებს, — არის არაბი. რაც არ უნდა ეწოდებოდეს სახელმწიფოს, რომლის ქვეშევრდომიცაა იგი, რელიგიურად ითვლება, როგორც არ უნდა იყოს მისი რელიგიური მარწმისა და მის მიერ აღიარებული სარწმუნოებრივი მიმდინარეობა, როგორც არ უნდა იყოს მისი წარმოშობა, გენეალოგია, და საგვირგულოს ისტორია — იგი არაბი არის... არაბები ერთიან ერს შეადგენენ, ხოლო ეგვიპტელები, ერაყელები, სირიელები და ა. შ. მხოლოდ ამ ერთიანი არაბული ერის ცალკეული შტოები და ეროვნებები არიან.» (იხილეთ სათი ალ-ხუსარის «არაბთა ერთიანობა — უწინარეს ყოვლისა», ბეირუთი, 1954 წელი, გვ. 11-13).

ცნობილი ლიბანელი პროგრესული მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მწვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, ყოჩე ჰანა, რომლის ნაწარმოებებშიც მკაფიოდ ისახა არაბული აღმოსავლეთის მშრომელი ხალხის დუხჭირი ცხოვრება, მათი ბრძოლა მწვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, წერს: «არაბული სამყარო რეალურ ერთიანობას ეძებრება. არაბული სამყაროს ერთიანობის ხელისშემწყობი ელემენტების შესუსტება არავითარ გარდამავალ ფაქტორებს არ ძალუძს.» (ყოჩე ჰანა, «არაბული სამყაროს რეალობა», ბეირუთი, 1955 წელი, გვ. 4). ყოჩე ჰანა არაბთა ერთიანობის ხელისშემწყობი ელემენტებს შორის ენისა და კულტურის ერთიანობის პარალელურად არაბთა ისტორიული წარსულის და ბედ-იბლის ერთიანობას მიიჩნევს.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კაიროს კონფერენციაზე ეგვიპტის დელეგატი ხალედ მოზი ელ-დინი აღნიშნავდა, რომ არაბთა ერთიანობა უნდა გავიფიქროს და უპირველესად ყოვლისა, როგორც «...ყველა არაბული ქვეყნის ერთობლივი დანტერესება ეროვნული თავისუფლების მოპოვებაში». ხალედ მოზი ელ-დინმა ხაზი გაუსვა, რომ «...არაბთა ერთიანობას საფუძვლად უდევს კულტურის, ისტორიის, ეკონომიკური პირობების ერთიანობა და არაბი ხალხების ერთობლივი სწრაფვა შექმნას არაბთა ქვეყნების დამოუკიდებელი კავშირი, რომელიც მწვიდობისა და ეროვნული აღორძინების საწინდარი უნდა გახდეს არაბთათვის.» (იხილეთ უფროაღმა: «Современный Восток», № 2, 1958 г. და «В защиту Мира», № 2, 1958 г.).

არაბთა ერთიანობის იდეა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში შესანიშნავად გამოხატა ეგვიპტელმა პოეტმა ჰაფიზ აბრაჰიმმა ლექსში «ჩვენ არაბნი ვართ». (იხ. «Стихи поэта Хафиза Египта», М. 1956 г., стр. 110).

არაბთა ერთიანობის იდეამ გამოხატულება პოემა არა მარტო ცალკეულ არაბ მწერალთა შემოქმედებაში და არაბ მეცნიერთა ნაწერებ-

ში, იგი იასახა აგრეთვე არაბული ქვეყნების მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიათა საპროგრამო დოკუმენტებში და თვით არაბული სახელმწიფოების ოფიციალურ აქტებშიაც კი. ასე მაგალითად, ეგვიპტის რესპუბლიკის 1956 წლის კონსტიტუციის 1-ლი მუხლი აღნიშნავს, რომ „ეგვიპტელი ხალხი არის არაბული ერის ნაწილი“ (იხილეთ „Конституция государства Ближнего и Среднего Востока“, М. 1956 г. стр. 42).

ზუსტად იგივეს დადავებენ სირიის 1950 წლისა და იორდანის 1952 წლის კონსტიტუციები (იქვე, გვერდი 101 და 462).

ამრიგად, არაბთა ერთიანობას საფუძვლად უდევს ენის, კულტურის, ტერიტორიის, ისტორიული წარსულის და პოლიტიკური მიზნების ერთობა.

თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ა. ბ. სტალინი წერდა: „ერთი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მუარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფაქტორების ერთობის ბაზაზე, რომლის გაშობაზე უნდა ეყრდნობოდნენ ერთობა... მხოლოდ ყველა ნიშანი, ერთად აღებული, გვაძლევს ერს“¹.

უდავოა, რომ დღეისათვის არაბებს გააჩნიათ ენის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა, ე. ი. არაბული ერის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი რაობი ძირითადი ელემენტიდან — სამი რეალურად არსებობს. რაც შეეხება არაბთა ეკონომიური ცხოვრების ერთიანობას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამჟამად იგი გაცხოველებით ვითარდება.

არაბთა ერთიანი ეკონომიური ცხოვრების შექმნას უპირველესად უყვლისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელს უწყობს არაბული აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობათა შეტანალები განვითარება. იგივეს უწყობს ხელს 1945 წელს შექმნილი არაბთა სახელმწიფოების ლიგა, რომელიც მარტოოდენ არაბული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის საკითხებს კი არ აწესრიგებს, არამედ არაბული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების საერთო დაგეგმვასაც ემსახურება. (იხ. В. Б. Луцкий. «Лига арабских государств», М. 1946 г.) მაგრამ, არაბთა ერთიანი ეკონომიური ცხოვრების შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულად ერთიანი და მთლიანი არაბული სახელმწიფოს შექმნას, რომლის პირვანდელ და ძირითად ბირთვსაც დღეისათვის წარმოადგენს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. ექვს გარეშეა, რომ თავისუფალი კაპი-

ტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი სხვადასხვა არაბული ქვეყნების ერთიან ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანება ხელს შეუწყობს არაბთა ერთიანი ეკონომიური ცხოვრების შექმნას, რაც თავისთავად დააჩქარებს არაბთა ეროვნული კონსოლიდაციისა და გაერთიანების პროცესს.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნამ დასაბამი მისცა ერთიანი არაბული ერის საბოლოო ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დასასრულს.

ასეთია საყვებით კანონზომიერი და ისტორიულად ობიექტური პროცესი, რომელიც ამჟამად არაბულ აღმოსავლეთში მერად სწრაფი ტემპით ვითარდება და რომლის გათვალისწინების გარეშე საკმაოდ რთულია ახლო აღმოსავლეთში ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარ მრავალფეროვან პოლიტიკურ მოვლენებში გარკვევა და მათი სწორედ გაგება.

იმპერიალისტები კარგად ხედავენ არაბთა განუზომად გაზრდილ სწრაფვას ერთიანობისა და ეკონომიური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ, რისთვისაც დასავლელი კოლონიზატორები არაბული ქვეყნების რეაქციულ წარებს ეყრდნობიან. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები მუდამ ედილობდნენ აეცილინათ სწორ გზას არაბთა მისწრაფება გაერთიანებისაკენ. ასე მაგალითად, 1945 წელს, როდესაც არაბული სახელმწიფოების ლიგა შეიქმნა, ინგლისელი იმპერიალისტები შეეცადნენ თავიანთი სისამართში ჩაეყვანებინათ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საქმიანობა, მაგრამ ბრიტანულ კოლონიზატორთა ცდები ამოინდინდნენ. ხანმოკლე მერყეობის შემდეგ არაბულ სახელმწიფოთა ლიგა მოწოდების სიმძლავრე აღმოჩნდა და თავისი საქმიანობა მილიანად არაბთა ეროვნული ინტეგრაციის საკეთილდღეოდ წამართა.

არაბთა ერთიანობის იდეის პროპაგანდული მიზნით გამოყენებისათვის იმპერიალისტებმა ომის მომდევნო წლებში არა ერთი გეგმა და პროექტი წამოაყენეს, რომელნიც არსებითად მიზნად ისახავდნენ ახლო აღმოსავლეთში ანტიბაპთათა სახელმწიფო-პოლიტიკური ბლოკის შექმნილებას. ასეთი იყო ე. წ. „დღეი სირიის“, „ეკრთბული ნახევარმთიარის“, „მახლობელი აღმოსავლეთის სარდლობისა“ და სხვა არა ერთი მსგავსი პროექტი, რომელთა იმპერიალისტურ ბასიათს არაბთა ხალხმა დროზე იტო ალღო და ჩაშალა მათი განხორციელება. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა 1955 წელს შეაქმნიეს იგარესიულ „ბაღდადის ბლოკში“ ერთადერთი არაბული სახელმწიფოს — ერაყის ჩათრევა შესძლეს, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ერაყის პრემიერ-მინისტრის სურა

¹ ა. ბ. სტალინი, თხ. ტ. 2, გვ. 319-320.

საიდეს, მეფე ფეისალ II და ერაყის ტახტის მემკვიდრის, ფეისალის ბიძის, აბდულ ილმის აშკარად ანტიხალბური და პროიმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით.

მას შემდეგ რაც ეგვიპტელმა ხალხმა 1952 წელს მოახდინა ანტიიმპერიალისტური რევოლუცია, მოვლენათა მსვლელობამ ეგვიპტის ახალგაზრდა რესპუბლიკა არაბ ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლის მედროვედ აქცია. სწორედ ამიტომ მოაწყო საერთაშორისო იმპერიალისტებმა 1956 წლის შემოდგომაზე ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო ძალთა თავდასხმა ეგვიპტის რესპუბლიკაზე; თუმცა კი ოფიციალურ საბაბად ამ თავდასხმისათვის იმპერიალისტებმა გამოიყენეს ეგვიპტის რესპუბლიკური მთავრობის სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება სუეცის არხის უცხოური სააქციო კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ.

ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ავანტიურის სამარცხვინო მარცხის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში კოლონიატორთა ინტერესების დაცვა თავს იღებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა, რომელთაც საიმისოდ სავანგებო პოლიტიკური პროგრამა, ე. წ. „დალეს-ეიზენშაუერის დოქტრინა“, გამოიმუშავეს. ვასელო, 1957 წლის შემოდგომაზე ამერიკელმა იმპერიალისტებმა, თურქეთის რეაქციული მმართველი წარგების გამოყენების სუვერენობით, სიცილი ზურგიდან შემოვლოთ ეგვიპტისათვის და პირველად სირიის რესპუბლიკას დასხმოდნენ თავს, მაგრამ, იმპერიალისტებს კვლავ კოეზი ნაცარში ჩაუვარდათ. საერთაშორისო იმპერიალიზმის ბნელ ზრახვების სისრულეში მოყვანას კვლავ წინ აღუდგნენ მსოფლიოს მრავალმლიონიანი მშვიდობის მოყვარე ხალხები.

ჩაიფრეა „დალეს-ეიზენშაუერის დოქტრინაც“, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოახერხეს გასული წლის შემოდგომაზე რეაქციული მთავრობა წამოეყენებინათ იორდანიისა და ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ქამილ შამუნი „დალეს-ეიზენშაუერის დოქტრინის“ აღიარებაზე დაეთანხმებინათ, რამაც ფაქტურად ჩამოაშორა ლიბანი მეზობელ და მომეგ არაბულ სახელმწიფოებს და ეს პატარა არაბული ქვეყანა ამერიკელ საქმოსანთა სათარეშო ასპარეზად აქცია.

თუ ვის და რა მიზნით უწევდნენ ფინანსიურ დახმარებას ამერიკელი იმპერიალისტები, ამაზე აშკარად მიუთითებენ შედეგები მონაცემები: — შეიღო წლის მანძილზე (1948 წლიდან 1956 წლის 1 აპრილამდე) ისრაელის სახელმწიფო, რომელიც ამერიკელი იმპერიალისტთა ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში, „დახმარების“ სახით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისაგან 225,9 მილიონი დოლარი, მაშინ როდესაც ლიბანის რესპუბლიკას, რომელიც ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით ისრაელის სახელმწიფოს თანაბრდება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმავე წლის მანძილზე „დახმარების“ სახით შეჰქონეს მხოლოდ 12,8 მილიონი დოლარი.

„დალეს-ეიზენშაუერის დოქტრინის“ მიღებამ კიდევ უფრო გააუარესა ლიბანელი ხალხის ცხოვრების პირობები და როდესაც მიმდინარე წლის მაისში იმპერიალისტთა დაქირავებულმა აგენტებმა სიცილი მონსწრაფეს ლიბანელ პატრიოტს, გაზუთ „ტელეგრაფის“ მფლობელს და რედაქტორს ნასიბ შეთინს, რომელიც თავისი გაზეთის ფურცლებზე მკვეთრად აკრიტიკებდა „დალეს-ეიზენშაუერის დოქტრინას“ და პრეზიდენტ ქამილ შამუნის ანტიხალბურ პოლიტიკას, ლიბანელთა მოთმინების ფილანსო. ლიბანელმა ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი, მოითხოვა პრეზიდენტ ქამილ შამუნის გადადგომა და ახალი პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება. ლიბანი სომოქალკო ომის აღმა მოიცილა.

ვიღებთ ლიბანში ზემოაღნიშნული ამბები დატრიალდებოდა, მიმდინარე წლის თებერვალში საერთაშორისო იმპერიალიზმთან თავდადებული ბრძოლის პროცესში შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში ეგვიპტე და სირია, ხოლო ფედერალურ საწყისებზე იმეციე შევიდა.

არაბთა ერთიანობის ამ აშკარა გამოვლინებით შემოთვებულმა იმპერიალისტებმა კვლავ სცადეს არაბთა ერთიანობის იღვის პროცესი მიზნებისათვის გამოეყენება. იორდანიისა და ერაყის რეაქციულ მმართველ წარგებზე დაურდობით მათ მიმდინარე წლის აპრილში საჭკაროდ შეაკოწიეს ერაყ-იორდანიის ე. წ. „არაბთა ფედერაცია“, რომლის სათავეში ერაყის მეფე ფეისალ II წამოასკუპეს, ხოლო ხელოვნურად შეკოწიებულ „არაბთა ფედერაციის“ მთავრობის თავმჯდომარედ იმპერიალისტთა ერთგული მსახური ნური სიდი დასვეს.

ერაყ-იორდანიის „არაბთა ფედერაცია“ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას დაუპირისპირეს და ამგვარად მოისურვეს არაბთა ერთიანობის დაქსენვა და დოქტორებმა. ამასთან ერთად იმპერიალისტები გაფაციკებით ეშხადებოდნენ ლიბანის სამინიო საქმეებში აშკარა ჩარევისათვის, რისთვისაც მათ ქამილ-შამუნის მთავრობას საინიარი შეატანინეს უშიშროების საბკოში, რომ ვითომდა ლიბანში გაშლილი საომალქალო ომი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩარევის შედეგად იყო. მაგრამ, უშიშროების საბკოს მიერ ლიბანში გაგზავნილმა სპეციალურმა მეთვალყურებმა და თვით უშიშ-

როგების საბჭოს გენერალურმა მდივანმა დაგ
პამერშელდმა საქვეყნოდ აღიარეს, რომ მით
ვერადერი აღმოაჩინეს ისეთი, რაც ლიბანის
საშინაო საკმეებში არაბთა გავრთიანებული
რესპუბლიკის ჩარევის დასასაბუთებლად გი-
მოდგებოდა. ამერიკულ იმპერიალისტებს კვლავ
ნაუვარდათ კოეზი ნაციონალი

წიორად ამ დროს მოხდა იმპერიალისტოთ-
ვის სრულიად მოულოდნელი, ხოლო არაბთა
ერთიანობის პროცესისათვის საუკუნითი კანონ-
ზომიერი მოვლენა: მიმდინარე წლის 14 ივლისს
პატრიოტულად გამწყობილი ეროვნული ოფიც-
რების თაოსნობით ფრანგულმა ხალხმა დაამზო
მონარქიული წყობილება; ფრანგი რესპუბლიკად
გამოცხადდა. მეფე ფელსალ II, მისი ბიძა აბ-
დულ ილაჰი და ფრანგული ხალხის დაუძინებე-
ლი მტერი ნური საიდი საიქიოს გაისტუმრეს.
ფრანგის რესპუბლიკა გამოვიდა ხელოვნურად
შეკოწიწებულ ფრანკო-ორდანიის „არაბთა ფე-
დერაციიდან“ და ბაღდადის აგრესიული სამ-
ხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებიდან. ფრანგის
რესპუბლიკურმა მთავრობამ აღადგინა დამ-
ლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირ-
თან, სცნო ზინეთის სახალხო რესპუბლიკა და
ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დასდო
არაბთა გავრთიანებულ რესპუბლიკასთან.

თავის მხრივ ფრანგის რესპუბლიკამ საერთა-
შორისო აღიარება პპოვა; იგი სცნო სსრ კავ-
შირმა, არაბთა გავრთიანებულმა რესპუბლიკამ
და დასავლეთისა და აღმოსავლეთის მთელმა
რაგმა სხვა სახელმწიფოებმა.

საპნის ბუშტივით გასკდა „დაღეს-ვიზენა-
ურის დოქტრინა“, ხოლო ე. წ. „ბაღდადის
ბლოკი“... უხალდადოდ დარჩა! კოფშირეულ
იმპერიალისტებს სისხლი აუვარდათ თავში,
გონება დაუბნულდათ, დაივიწყეს საერთაშორი-
სო სამართლის უფვლგვარი ნორმები; ინგლის-
ამერიკის სამხედრო-სახლგო ფლოტები ლიბა-
ნის ნაპირებს მიადგნენ და ჯარები გადასხეს
ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიაზე. ამას-
თან ერთად, — დახუთ ერთი! აუშ ფეხი გამო-
ყო შეე ნახირანხირაო! — საფრანგეთმა, რე-
მელსაც ოთხი წელია თავი ვერ გაურთმევა
აღვირში წარმოებული კოლონიური ომისათ-
ვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და
ბრიტანეთის სამხედრო-სახლგო არმადებს ლი-
ბანის სანაპიროებთან თავისი ხუთიოდე ზე-
მალდი „მიიშველა“!

ამერიკა-ინგლისის სამხედრო აგრესია ლიბან-
სა და იორდანიამო მიზნად ისახავს არაბ
ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძ-
რაობის სისხლში ჩახშობას. არაბ ხალხთა
სამართლიან ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას
მზარს უჭერს მსოფლიოს მრავალმილიონიანი
მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, რე-
გორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. კო-
ლონიალიზმის მარცხი ახლო აღმოსავლეთში
გარდაუვლია.

არაბთა ერთიანობა კაცობრიობის ისტორიული
განვითარების კანონზომიერბ გამოვლინება არ-
ის და ვერაერთარი ზარბაზნები, ტანყები, კრე-
სერები, თუ ლინკორები ვერ შესძლებენ ის-
ტორიის წარბის ტრიალის უკუშემობრუნებას.

პ. თ. იოსელიანი



ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ძველი და ახალი ფურცლები

ინდოეთთან ქართველი ხალხის კეთილშეგობრული ურთიერთობის გასარკვევად ქართულ ისტორიულ წყაროებს, ლიტერატურულ ძეგლებს და ქრონიკებს საყურადღებო ცნობები შემოუნახავს. ქართული მატრიანე „ქართლის ცხოვრება“ ინდოეთთან საქართველოს ურთიერთობას ვახტანგ გორგასალის მეფობიდან (V საუკუნე) ანგარიშობს. ბუნებრივია, რომ ინდოელ და ქართველ ხალხთა შორის ბევრად ადრე აღმოცენებული ახლო ურთიერთობანი მოგვიანებით პოულობს ასახვას ჩვენს მატრიანეში¹.

ინდოელები და ქართველები თავიანთი ეკონომიკითა და სავაჭრო გზებით დაახლოებული იყვნენ ერთმანეთთან; ინდური საქონელი მაღალხარისხივად ითვლებოდა და ფართო ბაზარს პოულობდა საქართველოში, მაგალითად, ქ. კამბირის ქსოვილები საქართველოში საუცხოოდ მიაჩნდათ და იგი დიდ რაოდენობით შემოჰქონდათ აქ. აღსანიშნავია, რომ ძველად, კერძოდ, თბილისში ინდოეთიდან შემოხიდული საქონლის სპეციალური სავაჭრო მაღაზიებიც კი არსებულა. ინდოეთისა და საქართველოს ძველ ქალაქებში ერთმანეთს ხედებოდნენ და ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ინდოელები და ქართველები. საქართველოდან წასულ ვაჭრებს ინდოეთის დიდ ქალაქებში საყუთარი ქარავანები და ამხანაგობებიც კონდათ დაარსებულა, ინდოეთში დღესაც დაცულია მისი იქ მცხოვრები ზოგიერთი ქართველის საფლავის ქვები, ქართული წარწერით შემკობილი. მაგალითად, ქ. ბენარაში დარქმული კოჯრელი თამაზ ხედაშვილის საფლავის ქვის ქართული წარწერა ასე იკითხება:

„ქ. მიახსენე უფალო, ეს საფლავი კოჯარელი ხუდიანის თამაზის საფლავია, რომ ჩემს ქვეყანას, საქართველოს მიწას, მოეწორად, ინდოსტანის მიწას ევლირსე. ვინც წაიკითხოს, მიბრძანოს შენდობა, ჭორონიკოსს უო (1782 წ.)“.

ეს კი იმას მოწმობს, რომ ინდოეთში, კერძოდ, ქ. ბენარაში საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომელთაც ასევე შეეძ-

ლოთ წაეკითხათ ეს (და ამის მსგავსი სხვა) ეპიტაფიები და „საქართველოს მიწის მოწორებელი“, გარდაცვალებული თანამემამულისათვის უკანასკნელი სათხოვარი — „შენდობა“ ეთქვათ.

საქართველოს დედაქალაქში, თბილისში მცხოვრები სხვადასხვა (არაქართველი) ეროვნებანი არასოდეს არ განიცდიდნენ დევნასა და შეეწირებნენ. აქ სარწმუნოების მუდამ სრული თავისუფლება არსებობდა; უცხოელი მოგზაურის — დელაპორტის ცნობით (მან აღწერა საქართველო), ინდოელებს თბილისში საყუთარი „საყუთრო საყუდარიც ჰქონდათ“¹.

ინდოელთა ეს სამლოცველო საყუდარი სავაჭრო ძველი თბილისის ნარჩევალის მიდამოებში, სადაც, პლ. იოსელიანის ცნობით, აგურისაგან აგებული კვადრატული ნაგებობა ყოფილა დაცული და ძველთაგანვე იგი „საყუთროდ იწოდებოდა“. აგური ამბობს, რომ აქ ინახებოდა „მარადიული ცეცხლი“ მისი თავისისმცემლთათვის უფრო ადრე, ვიდრე აღმოსაყუთროში ისლამის რელიგია გავრცელდებოდა².

ცნობილი კავკასოლოგის ს. გ. თუმანიშვილის მითითებით, ინდოელთა საყუდარი (და მასთან არსებული ამ „მარადიული ცეცხლის“ მსახურება) ისლამის გავრცელების შემდეგაც დაღმანს ყოფილა დაცული კავკასიაში (მაგალითად, ბაქოში, სურახანას უბანში).

ინდოელი და ქართველი ხალხების ისტორიულმა თანაცხოვრებამ და მეგობრობამ ყველაზე უფრო ნათელი ასახვა ქართულ მწერლობაში პოვა. ქართული მწერლობა მისი განვითარების თითქმის ყველა ეტაპით მჭიდროდა დაკავშირებული ინდოეთის პროგრესულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. ძველი ქართველი მწერლები და კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი შესანიშნავად იცნობდნენ ინდოეთს, მის უმდიდრეს კულტურას. მაგალითად, უძველესი ქართული რომანი „სიბრძნე ზალაქუთისი“ სიუჟეტურად ინდოეთის ცხოვრებიდანაა აღებული. მასში მხატვრული ოსტატობით ვაღ-

¹ „ქართლის ცხოვრება“, ბ. ბროსეს (1899 წლის) გამოცემა, გვ. 139.

¹ პ. იოსელიანი. Описание древностей г. Тифлиса, Тифл. 1866 г. გვ. 265.

² იქვე.

მოცემულია ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელებისასთან დაკავშირებული ინდოეთის მეფის აბენესისა და მისი შვილის იოდასაფის ამბები.

XI-XII საუკუნეებში ინდოეთ-საქართველოს ეკონომიური, კულტურული კავშირი კიდევ უფრო ღრმავდება. ფეოდალური საქართველოს ტერიტორიაზე გავლით იმ დროს ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდი ქვეყნები. საქართველოს საზღვაო, სამდინარო და ხმელეთის საქარავნო და სანაოსნო გზები კარგად იყო დაცული და ხელს უწყობდა ამ ორი სამყაროს (ინდოეთისა და ევროპის ქვეყნების) სავაჭრო ურთიერთობას. ამ სააღმსრებლო ურთიერთობაში ინდოეთთან საქართველოც აქტიურად იყო ჩაბმული და ეკონომიური და კულტურული კავშირი მათ შორის ამ პერიოდში თავისი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. დამახასიათებელია, რომ შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟებს პირობითად ინდოეთის სინამდვილეს მიაწერს.

ქართული კლასიკური მწერლობის ისეთ ძეგლებში, როგორცაა „თამარისი“, „ამირან-დარეჯანიანი“ და სხვა, ინდოელთა შესახებ არა ერთ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით. მათში ხშირად იხსენიება ინდოელთა ძლიერი დაშქარი, ინდოელი რაინდები და ჭაბუკები. ამ ინდოელი გმირების აღმანიერი, მაღალ-ზნობრივი მოქმედებანი კეთილშობილებითაა აღსავსე, მათი ბრძოლები — ბოროტების დამლევისა და სიკეთის დანერგვისაკენ მიმართული. ყველაფერი ეს ასახულია ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში და ნათლად ადასტურებს ინდოელი და ქართველი ხალხების კეთილშობილურ დამოკიდებულებას. ინდოეთისა და საქართველოს შორის ასეთ ახლო და კეთილშობილურ დამოკიდებულებას ქართულ წყაროებთან ერთად, აყად. გ. ახვლედიანის დამოწმებით, ინდოეთის ლიტერატურული ძეგლები და ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ.

აყად. გ. ახვლედიანი 1947 წელს ესტუმრა ინდოეთს და პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ოჯახშიც იყო მიმართული. საუბარში ჯ. ნერუს ცხოველი ინტერესი გამოუჩენია საქართველოს მეფეების — ვახტანგ გორგასალისა და მეფე ერეკლეს პიროვნებისადმი, რომლებიც ახლო იცნობდნენ ინდოეთს. გ. ახვლედიანს ჯ. ნერუსთან საუბარში მოუყვანია ძველი ამბის ერთი საყურადღებო ეპიზოდი და აღნიშნავს: საქართველოს მეფეს ვახტანგ გორგასალს ინდოეთში ყოფნისას შემთხვევა ჰქონია ინდოელ ფილოსოფოსებთან შეხვედრისა, მათ შორის ფილოსოფიურ პირობებებზე გამოართული მსჯელობა; მსჯელობას ცხოველი პაქტო-

ბის ხასიათი მიუღია. მეფე ვახტანგ გორგასალის ფილოსოფიურ განათლებას და სიღრმეცოდნობას დიდი ყურადღება და საყურადღებო პატივისცემა დაუმსახურებია გამოჩენილ ინდოელ ფილოსოფოსთა შორის.

ეს საყურადღებო ცნობა, რომელიც მოხსენდა ჯ. ნერუს, ვეყარება უტყუარ საბუთს, ინდოეთის ლიტერატურულ ძეგლებსა და სამეცნიერო უნივერსიტეტებს, სადაც, სპეციალისტების ცნობით, სხვა სახის მრავალი ძვირფასი ცნობაც ყოფილა შემონახული საქართველოს ინდოეთთან ურთიერთობისა და ქართველობის შესახებ (ამ ძეგლებს შესწავლა, რასაკვირველია, ახალი ფაქტებით გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შეიძლება ახლო მომავალში მოხდეს).

ინდოელ და ქართველ რაინდებს და დიდგვაროვან აზნაურებს ახლო მეგობრული და ზოგჯერ, ნათესაური დამოკიდებულებაც ჰქონიათ ერთმანეთთან. ინდოელ თავადებს ღირსებად მიიანთებდა ქართველ ფეოდალურ არისტოკრატასთან დამოკიდება და ქართველ ჭაბუკებს დაქორწინება, მათი ცოლად შერთვა. დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ ქართველი თავადები დროს გასატარებლად, ეფუხებნენ და ლომებზე სანადიროდ ხშირად ინდოეთშიაც მიდიოდნენ. ბუნებრივია, ინდოეთში მათი ეს მოგზაურობა მართო ნადირობის ტინის მოკვლით არ შემოიფარგლებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო ფაქტი: აღაპაბანის უნივერსიტეტის რექტორს საბჭოთა დღევანდელის ოფიციალური მიღების დროს განუცხადებია: საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობები ჩვენს მეცნიერებსა და წიგნთსაცავებში მოიკითხოთ!

მონოლ-თათართა შემოსევებში ინდოეთსა და საქართველოში დიდად შეაფერხა ეკონომიური და კულტურული კავშირი ამ ქვეყნებისა. ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და ხმელთაშუა ზღვაზე თურქების გამატონებამ საყურადღებო ნაკერა საქართველოზე მიმავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა. ამიერიდან ერთიანი საქართველოს სამეფო დანაშაილდა და ირან-ოსმალეთის აგრესიული თავდასხმების ასპარეზად იქცა. ასეთი დიდი განსაცდელის მიუხედავად, საქართველოსა და ინდოეთს შორის კავშირი მაინც არ გაშტაბა, — თუმცა ეს კავშირი, გარდა იმისა, რომ სპორადული იყო, რამდენიმე თავისებური ხასიათის მატარებელი ხდებდა. მ. თამარაშვილის ცნობით, ამიერიდან ქართველი ბერები რომის მისიონერებთან ერთად ხში-

რად მიემგზავრებოდნენ ინდოეთში და აქ ქრისტიანობის გასავრცელებლად იღწეოდნენ¹.

გვიანფორდალურ ეპოქაში არა მარტო კონფესიონალური, არამედ სხვა ზრახვებითაც ყოფილა ინდოეთთან დაკავშირებული ქართველები. ფრანგი მეცნიერის და მოგზაურის ფრანსუა ბერნეს დიდად საყურადღებო გამოკვლევაში — „უკანასკნელი პოლიტიკური გადატრიალებათა ისტორია დიდი მონღოლის სპეციფიკი“, რომელსაც თავის დროზე მაღალი შეფასება მისცეს ჯ. მარტსმა და ფ. ენგელსმა, სხვათაშორის, მოთხრობილია ჩვენთვის უცნობი იმ სამი ქართველის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც მეფეთმცემტ საუკუნის ბოლოს ინდოეთის ნაწილებში სიმი სამეფო ჩამოუყალიბებიათ. მათ მიერ შექმნილ სამეფო დინასტიას თითქმის ორასი წლის მანძილზე უარსებებდა. ბერნეს ცნობითვე, ამ მეფეთა ერთ-ერთ წარმომადგენელს ნუზამ შაჰის სამეფოს დედაქალაქს დელაუთი პრეტყვია. „ქართველები მტკიცედ განაგებდნენ ამ სამეფოს იმერტომ, რომ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იმყოფებოდნენ და ერთმანეთს მხარში უდგნენ მონღოლების წინააღმდეგ დიდ ბრძოლებში“², — დასაქნს ავტორი.

ამვე პერიოდში ასევე არ გამჭარალა ინდოეთთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირი, არ ჩამკვდარა ლიტერატურული შემოქმედებითი ურთიერთობაც. მაგალითად, ინდური იგავ-არაყების კრებულს „მან-ჩატანტრას“ სახელწოდებით) მეფე ეპიტანგ მეექვსე და საბა ორბელიანი სპარსულიდან ქართულად თარგმნიან „ქილილა და დამიანს“ სახით.

ინდოეთთან საქართველოს კავშირითიერთობანი მეფეთმცემტ საუკუნიდან ახალ სტადიამი შედის და განსხვავებულ ეთიარებაში მიმდინარეობს. 1738 წელს ჭებუთ უფლისწული, შემდეგში ქართლ-კახეთის სახელეიანი მეფე ერეკლე მეორე ჰართველთა თანხლები ამალით პირადად მოხვდა ინდოეთში და ახლო ზეიერო ამ ქვეყანას. ჩვენამდე მოღწეულია მეფე ერეკლეს პირადი ბიართები თავისი დისაღმი. აქ გაღმოცემულია ინდოეთში მიღებუ-

ლი შთამბეჭდილებები, განცდები და თავგადასავალი.

მეფე ერეკლეს სამსახურში მყოფი დანიხეგაშვილები (მამა და შვილი — იოსები და რაფიელი) სმირად მოგზაურობდნენ ინდოეთში. ნუნებრიგია, რომ ეს მოგზაურობა გარკვეული პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ინტერესებით იყო გამოწვეული: ურადლებას იბერობს მეფე ერეკლეს პოლიტიკური ურთიერთობა ინდოეთთან მადრასში მყოფ სომეხთა ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრობის ცენტრის ხელმძღვანელ იაკობ შამირიანთან³.

მეთერამეტე საუკუნის თბილისელმა მოქალაქემ რაფიელ დანიხეგაშვილმა ინდოეთში იმოგზაურა საქართველოს მეფის ერეკლე მეორის დავალებით. მას დავალებული ჰქონდა მადრასში მცხოვრებ უვაველიანეს სომეხ შამირ-ალასთან და მის შვილებთან შეხვედრა. მეფე ერეკლესაგან წარგზავნილ დანიხეგაშვილს თან მიქონდა მეფე ერეკლეს წყალობის დიდი სიგელი ღორეს საჩუქრად გადაცემის შესახებ. მეფე დავალებული იყო შამირ-ალასაგან ერთგული სამსახური.

შამირ-ალასა და მეფე ერეკლეს ახლო მეგობრულ დამოკიდებულებას განპირობებდა ერთი საერთო მისწრაფება: ირანისა და თურქეთის მონობისაგან სომეხი ხალხის და სომხეთის მიწა-წყლის გამოხსნა. სომხეთის შამინდელი განმთავისუფლებელი მოძრობის მეთაურები — შამირ-ალა, იოსებ ემინი უფრო ადრე მქიდარო კავშირს ამყარებდნენ ერეკლესთან, რომელიც უმავალით ემირობით ებრძოდა და უმკლავდებოდა აზიის გატვისიულ სახელმწიფოებს.

დანიხეგაშვილი თბილისიდან ახალციხეს ჩავიდა, ახალციხიდან არზრუმში მივიდა. იგი გვიცისს ქუთათისტანს, მოსოლს (ძველ ნინევისს), ზადლანს (ძველი ზაბილონი) და არაბეთის სასულთანოსს, უმოთავრეს ქალაქ მასკატინდან ზღვით გაემგზავრება ინდოეთისაკენ. მისი მოგზაურობა თბილისიდან ინდოეთამდე სმ თვეს გაგრძელდა. ქ. მადრასში მისცლისს რაფიელ დანიხეგაშვილს შამირ-ალა ცოცხალი არ დახვდა, იგი ერთი წლით ადრე გარდაცვლილიყო, და მეფე ერეკლეს წყალობის სიგე-

¹ შ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისს ქართველთა შორის, თბილისი, 1902 წ., გვ 28, 39-58-126. მიქ. თამარაშვილის ცნობით, ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში გაკათოლიკებულ ქართველს დანიტრი ტფილელს ინდოეთში „ქრისტიანს სარწმუნოებისათვის სისხლი დაუღვრიო და წამებულისს გვირგვინი დაუღვამს“.

² ფრანსუა ბერნეს წიგნი რუსულად ითარგმნა და 1936 წელს გამოიცა მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

³ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბილისი. 1910 წ., დაცულია მეფე თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს წყალობის წიგნები ინდოეთში თანხლები ერეკლეს ერთგული ამლის მონაწილეობაში.

⁴ ი. შამირიანმა 1785 წელს რუსეთში (პეტერბურგში) გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი — (იოანესიანის თარგმანი), სადაც მეფე ერეკლეს ღრმა პატივისცემით იხსენიებს და მის მოღვაწეობას დიდ ადგილს უთმობს.

ლი მის შეილებს გადასცა. დანიბეგაშვილის წიგნი შესანიშნავი ძეგლია სომეხ-ქართველთა იმ ძმური და ახლო მეგობრული დამოკიდებულებისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე უაღიბებოდა სომეხ და ქართველ ხალხებს შორის.

ქ. თბილისიდან 1795 წელს ინდოეთში გამგზავრებულმა რ. დანიბეგაშვილმა მოვლო სპარსეთის უბე, ბომბეი, ცეილონი, მადრასი, კალკუტა, დელი, ქაშმირი, ტიბეტი, სინძიანი, სეში-პალატინსკი და ომსკიდან მოსკოვში მივიდა 1813 წელს. დანიბეგაშვილი 18-წლიანი მოგზაურობის პერიოდში აქ დასახლებული მარტრტთა კერვლო 20 ათასი კილომეტრი და თავის „მოგზაურობაში“ გადმოგვცა უარესად საყურადღებო გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიური, ისტორიული და საყურადღებო ხასიათის უნიკალური ცნობები მის მიერ მოვლილი ადგილებსა და ხალხთა შესახებ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა ქართული კლასიკური საისტორიო-გეოგრაფიული მწერლობის დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია.

დანიბეგაშვილი თავის მოგზაურობაში გადაგვიღის საშინელი და ყოვლად შეშარავ სურათს იმ ავანაყურ-ბარბაროსულ მოქმედებათა შესახებ, რასაც განუკითხავად და თავხედურად ეწეოდნენ ინგლისელი კოლონიზატორები ინდოეთში.

ეს არის უარესად მძიმე პერიოდი ინდოელი ხალხის ცხოვრებაში, როცა ისტინდის კამბანიის ევროპელი ყაიღები უღმობლად ძარცვავდნენ ინდოელ ხალხს და იქ მშათაშორისო სისხლისმღვრელ ბრძოლებსაც აჩაღებდნენ ცალკე ეროვნებასა და განსხვავებული რელიგიის მიმდევარ ინდოეთის მკვიდრთა შორის.

მეფე რაჯაუს მიერ გარკვეული დავალებებით ინდოეთში წარგზავნილმა რაფიელ დანიბეგაშვილმა, როგორც აღენიშნეთ, ინდოეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 18 წელი დაყო (1795-1813) და საქართველოდან წასული დაბრუნდა მოსკოვში, სადაც პირველად რუსულ ენაზე გაჰოსცა თავისი მოგზაურობა ინდოეთში.

ავტორი სიყვარულით და გულისხმიერებით ასწერს ინდოელი ხალხის ცხოვრებას. იგი ეხება ინდოეთში შეჭრილი ევროპელების (ინგლისური კამბანიის) ევრაელთა და მარტრტურ მოქმედებას. დანიბეგაშვილი ჩერდება ქ. ქაშმირის დაწინარებულ შინამარტრტობაზე (ქსოვილების წარმოება) და გულისტკივლით მიუთითებს იმ საყურადღებო ფაქტზე, რომ ინდოეთის მრეწველობის ეს დარგი უწყვილოდ იბეგრება და ხელაღებით ისპობა ინგლისელი დამპყრობლების მიერ¹.

ინგლისელი კოლონიზატორების მიერ ინდოელი ხალხის შემარტრტნებელი ძარცვით მძიმე შთაბეჭდილებებში მყოფი დანიბეგაშვილი ინდოეთიდან რუსეთში გამოგზავრება. ჩვენს ავტორზე მოსკოვის მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუბღენია მოსკოვში მისილი რაფიელ დანიბეგაშვილი შემდეგი სატყუებო ამთავრებს თავის მოგზაურობას: „მე მეღირსა მოსკოვის ხიღვა... მე ჩემი თვალით ვნახე... ის განათლება გონებათა, ის სიშვიღე და სიყვითე გუღოთა, ის სტუქარტომოყვარება და აღერსიანობა, რომელთა შესახებ აქამღის ვიცოდი მხოლოდ ზუამრგადმოცემებით, თვით უშორებს ქვეყნებში“².

ინდოელი და რუსი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას თითქმის ხუთასი წლის წინათ მისცა დასაბამი რუსი ხალხის ხაბეღოვანმა შეღიმა, მოგზაურმა ათანასე ნიკიტინმა. იგი ინდოეთს ესტუქრა 1469-1472 წლებში, იშვიათ ისტატობით აწერა თავისი ეს შესანიშნავი მოგზაურობა და შთამომავლობას შემოუნახა.

ათანასე ნიკიტინს, როგორც თავისი დროის მოწინავე აღმამანს, არ შეეღლო არ დენახა და არაფერი ეთქვა იმ ტანჯვა-წამებაზე, ეკონომიერ ძარცვასა და პოლიტიკურ ჩაგვარებაზე, რომელსაც განიცდიდნენ შტარტმეღები ფეოდალური გაბატონებული კლასისაგან არა მარტო შორეულ ინდოეთში, არამედ მისთვის საყვარელ შშობლიურ რუსეთშიაც. მაგამ ამ დიდი პატრიოტის გუღოსყური, ამსათანავე, მომავლისკენა მიპყრობლა, როცა იგი წერს:

«Русскую землю бог да сохранит: Боже сохрани! На этом свете нет страны подобной ей, хотя вельможи (боаре) Русской земли несправедливы. Но да устроится Русская земля и да «сбудет в ней справедливость»³.

ათანასე ნიკიტინის შემდეგ რუსეთ-ინდოეთის ურთიერთობა კარგა ხნით წყდება. XVII საუკუნეში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა ასახულია მხოლოდ რამდენიმე ისტორიულ საბუთით ინდოეთში რუსეთის ელჩების გაგზავრისა და ინდოეთ-რუსეთის საყვარო ურთიერთობის შესახებ. XVIII საუკუნეიდან კი იწყება ახალი პერიოდი ინდოეთ-რუსეთის

1950 წ., გვ. 22. დანიბეგაშვილმა თავისი მოგზაურობა დაწერა ქართულად, მაგამ დედანი დღემღე მიღყვეველია. ჩვენამღე მოაღწია მხოლოდ მის მიერ რუსულად თარგმნილმა ტექსტმა (საფიქრებელია, შემოკლებულ-გადამეშვიებელი საბით), რომელიც შიარტვა ავტორმა იმპერატორ ალექსანდრე პარველს.

¹ იხ. რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა, გვ. 33.

² «Хождения Афанасия Никитина за три моря»; изд. Академии Наук СССР. М. Л. 1948 г.

¹ რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში, ს. იორდანიშვილის რედაქციით,

კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობათა. რუსი მოგზაურების — თანახოვის, ევრაიმოვის და ლებედევის სახით — რუსეთი მჭიდრო კავშირს ამყარებს ინდოეთთან¹.

მსგავსად ქართული ხალხისა, ინდოელმა ხალხმა დაიცვა და შეინარჩუნა თავისი ეროვნული მდიდარი კულტურა უცხო დაპყრობლებთან სასტიკ ბრძოლებში.

ინდოეთმა, ისე როგორც საქართველომ, განიცადა ალექსანდრე მაკედონელის, არაბების, მონღოლების არა ერთგზის შემოსევანი; თემარ-ლენგისა და ნადირ-შაის ურდოები ერთნაირი სისასტიკით არბევდნენ და ძარცვავდნენ ინდოელ და ქართველ ხალხებს.

დაუსრულებელი შემოსევებისა და საშინაო სოციალ-ეკონომიური გათულებული პირობების შედეგად, ინდოეთი ადრინდელ დაქუცმაცდა შრავალიცხოვან წვრილ სახელმწიფო სამთავროებად. ასეთ სახელმწიფო სამთავროთა რიცხვი, შავალითად, მე-13-14 საუკუნეებში ინდოეთში 100-მდე აღწედა (მომდევნო საუკუნეებში კი მათი რიცხვი 800-მდე გაიზარდა). დანაშაულებული ქვეყანა ეკონომიურადც დასუსტდა, რამაც ევროპის ინაგრულ ბურჟუაზიას გაუადვილა ინდოეთზე გაბატონება და საკუთარი კოლონიად გადაქცევა.

ევროპელები ინდოეთში მე-15 საუკუნიდან იწყებენ ფეხის მოკიდებას. პორტუგალიელი მეზღვაურის ვასკო დე გამას მიერ ინდოეთთან საოკეანო სავაჭრო გზის აღმოჩენამ (1498 წ.) დიდად შეუწყო ხელი ინდოეთზე ევროპელ კოლონიზატორთა გაბატონებას. შაშინ ძლიერი თურქეთის სულთანის, სულეიმანის, 1537 წლის ვალაშქრება პორტუგალიელების წინააღმდეგ, უკანასკნელთა ინდოეთიდან გამოდევნის მიზნით, სასტიკი მარცხით მოაგრდება; პორტუგალიელებმა მოსპეს თურქეთის ფლობტი და მეკიდრად მოიკიდეს ფეხი ინდოეთში. მათთან ერთად ინდოეთში დღითიდღე აღღერებდნენ გავლენას ინგლისელები, ფრანგები და სხვა ჯერის სავაჭრო კაპიტალისტური ელემენტები. ევროპელების გავლენა ინდოეთში ვერ შეაფერხა ვერც დიდი მონღოლეთის იმპერიამ (1526—1707). ევროპის ბურჟუაზია და მისი სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი თანდათან ბატონდება ინდოეთში, მონღოლები უძლურნი აღმოჩნდნენ, წინააღმდეგობა გაუწიათ მისთვის. მონღოლთა იმპერია ქუცმაცდება და სწრაფად ეცემა. ევ-

როპელი კოლონიზატორები უკავშირდებიან ინდოეთის ადგილობრივ ფეოდალებს, ეპყრებს და აქაერბენ მონღოლთა ბატონობის მისამობას.

მე-18 საუკუნიდან იწყება გააფთრებული ბრძოლა ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ინდოეთში გაბატონებისათვის. აქ თავიანთი გავლენის შემკვიდრებისათვის ერთმანეთს ეცალებოდნენ რაი უმსხვილესი ბურჟუაზიული სახელმწიფოს — ინგლისისა და საფრანგეთის — კომერციული ოსტინდოეთის კომპანიები. მათ თავიანთი მთავრობისაგან ინდოეთში მინდობილი ჰქონდათ განუსაზღვრელი რწმენა-ფულგებამოსილება, რაბა ინდოეთში ჰქონოდათ საკუთარი ცახე და გამაგრებული ქალაქები, დაევირავებინათ ჯარი, დაეარსებინათ სასამართლო ორგანოები და ჰქონოდათ ფელის მოჭრისა და, როგორც ომის წარმოების, ასევე ზავის დადების უფლებები. ამბავად, ოსტინდოეთის კომპანია წარმოადგენდა ინგლის-საფრანგეთის სავაჭრო არისტოკრატის მტაკე ორგანიზაციას, რომელსაც ინდოეთში, ვაჭრობის და ქვეყნის მთელი ეკონომიკის მონაბოლია ეპურა ხელთ. იგი 1604 წელს დაარსდა და 1857 წლამდე არსებობდა.

ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის შეღწლანი ომი (1756-1763) ინდოეთში გაბატონებისათვის, ინგლისს გამარჯვებით რომ მოაგრდება, ევროპის სავაჭრო კომპანიებს ინდოეთში საშხედრო ორგანიზაციებად გარდაქმნის.

„События семилетней войны превратили Ост-Индийскую компанию из коммерческой силы в силу военную.“¹

ინგლისელი კოლონიზატორები თითქმის ორასი წლის მანძილზე ეწეოდნენ ომს ინდოეთზე გაბატონებისათვის. ამ პერიოდში ოსტინდოეთის კომპანია შეიქმნა უმსხვილეს საშხედრო და ტერორისტულ ძალად. 1849 წელს ეს ომი დამთავრდა ინგლისის გაბატონებით ინდოეთში.

ასეთ ისტორიულ პირობებში, ინდოეთში ინგლისელ კოლონიზატორთა გაბატონებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ინდოეთ-საქართველოს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ახალ ორიბტში მოექცა, იგი მთლიანად დაექვემდებარდა ინგლისელი კოლონიზატორებისა და ცარიზმის ეკონომიურ პოლიტიკას აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საერთოდ, და ინდოეთთან და კავკასიის ქვეყნებთან, ერთად.

1820 წლიდან შეღავათიანი ტრანზიტის დაწესების საფუძველზე აღგა და გამოცხადდა ევროპის სხვა ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობა კავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის — რამდენადმე ინდოეთთანაც. შე-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თბ., ტ. IX, გვ. 354.

¹ გერასიმე სტეფანეს-ძე ლებედევის (1799-1817) მოღვაწეობა, როგორც პირველი ევროპული თეატრის დამაარსებლისა ინდოეთში, გამსაკუთრებით საყურადღებოა. ლებედევმა ინგლისურიდან, ინდურ ენაზე (ბენგალურზე) გადმოთარგმნილი პაესა 1895 წელს დადგა ქ. კალკატაში. ეს იყო პირველი წარმოდგენა ახალი ტიპის თეატრისა ინდოეთში.

დაეთანხმა ტრანზიტმა გამოაცხვლა საქართველოსა და ამიერკავკასიის ვიკრობა, ამ ხალხთა კავშირი აღმოსავლეთთან. ამ პერიოდში ქართველი ვიკრები — ზუბლაშვილები, ხერციკიშვილები და მრავალი თბილისელი სომეხი ვიკარი ინდოეთში მოვიპოვე სახელმწიფო კომერსანტებად გვეღიწებინა.

1830 წლიდან შეღავათიანი ტრანზიტის აღკვეთით ეს სავაჭრო ეკონომიკური კავშირი ამიერკავკასიის ხალხებისა აღმოსავლეთთან და ინდოეთთან წყდება. უნდა გარკვევით აღინიშნოს ეს ფაქტი, რომ, სპოვადოდ, რუსეთის ხალხების ეკონომიკურ და კულტურულ კავშირს ინდოეთის ხალხებთან განსაკუთრებით ამ პერიოდისა და მთელი სიმკაცრით წინააღმდეგა ინგლისის ბურჟუაზია, რომელიც მალე შეაშლეთა რუსეთის წარმატებებში, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში.

აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდას ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტიკური ბურჟუაზია ამიერიდან ვაფთხებდა უპირისპირდებდა. ამისათვის ისინი მოხერხებულად იყენებენ ირან-თურქეთის ბნელ ძალებს. სწორედ ამიერიდან ცნობილი ურკარტი ანტირუსულ პეტროციტისტიკაში პრობოგანდას აჩაღებს იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთში თითქმის ერთადერთი აგრესორს რუსეთი წარმოადგენდა, რომ თითქმის რუსეთის გამაღიერება საფრთხეს უქმნიდა ინგლისის დამოუკიდებლობას და ემუქრებოდა მას ინდოეთიდან გამოდევნისათვის. ამავ პერიოდში ხდებოდა მიუტოვებული მოპირიანის დიდი სისწრაფით აღორძინება კავკასიაში. ყოველივე ეს ანელებდა ინდოეთისა და რუსეთის ხალხების კულტურულ და ეკონომიკურ კავშირს.

ცარიზმის რუსეთი გზას უზნობდა ქართველ ხალხს, ისე როგორც მეფის რუსეთის სხვა ხალხებს, კულტურულ ერებთან კავშირითიერთობისა და ლიტერატურულ სარბიელზე თარგმნითი ლიტერატურული საქმიანობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხში კიდევ ჩაუქრობდალ კოცხლობდა სიყვარული ინდოეთის მწერლობისადმი, იმ მძელ დროში ქართველობა რამდენადმე მიიწი აბერხებად გარკვეული ნაბიჯების წინ ვადაღვმას. მაგალითად, ინდოეთის მითური პოეტის ვალმიკის სიმღერა „რამაიანა“, ინდური ეროვნული ეპოსის ეს უკვდავი ქმნილება, აღ. ხარჯიშვილის ლაშლით, ჯერ კიდევ 1897 წელს ითარგმნა ქართულად (პროზაულად, მეორე წიგნი).



მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდოეთის ათვისება და იმ ინგლისის კოლონიური რვეიმის განმტკიცება უჩვეულო სისწრაფით ხა-

სიათდება. სუციის არხის გახსნისა (1869 წელ) და ინდოეთის ნაპარკითვე ინგლისელების მიერ ინდოეთის სარკინიგზო ქსეტირადგეგმვამ (მაგ, 1880 წელს რკინიგზის სიგრძე ინდოეთში 10 ათას მილს აღემტკიცებოდა) და ახალი ნავსადგურების აგებამ განაპირობა და დააპირა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება ინდოეთში; ამასთანავე, ოზრდება ინდოეთის სახალხო ქონების გაზიდვა ინგლისელების მიერ, განსაკუთრებით ისეთი სახის ნედლეულისა, როგორიცაა ბამბა, ჩაი, ხე-ტყის საუკეთესო ხეხეხე, მეცხოველეობის პროდუქტები, ბრინჯი და სხვ. ეს არის პერიოდი, როცა ინგლისის სავაჭრო კომპანიამ უკვე დრო მოუპოვა, დაიშალა და აპარჩხე სამრეწველო ბურჟუაზია გამოდის, როცა კაპიტალის გატანამ ფართო ხასიათი მიიღო კოლონიებში.

ინგლისელთა კოლონიური ძარცვით უკიდრესობამდე გამწვავდა ინდოელ მშრომელთა მღვრმარობა. სისტემატიური ხასიათი მიიღო შიმშილობამ, ამის შედეგად ათეული მილიონობით ინდოელი წყდებოდა. მაგალითად, 1851-1900 წლებში, ე. ი. ნახევარი საუკუნის მანძილზე, 25 მილიონიანი წელი იყო და 30 მილიონზე მეტი ინდოელი შიმშილა იმსხვერპლა ინგლისელი კოლონიზატორებმა მოხერხებულად იყენებდნენ ინდოეთს ამ ვაჭირეებას, შიმშილს, ებიდემიას და სხვ. ინდოელი ხალხის ძარცვის კიდევ უფრო გამაღიერებისა და აუტანელი კოლონიური რვეიმის განმტკიცებისათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პრესა და საზოგადოებრიობა უარესად ცხოველმყოფელ ინტერესს. იენს ინდოეთისადმი. ქართველი ხალხის მოწინავე შეილები — ი. პევეკიძის მეთაურობით — ილაშქრებენ ინგლისის კოლონიური რვეიმის წინააღმდეგ ინდოეთში და ღრმა თანაგრძნობას ამტკიცებენ ინდოელი ხალხისადმი. რუსეთის ცარიზმის კოლონიური ჩავერის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის მთელი სიმამათიები, თანაგრძნობა და სიყვარული ინგლისის წინააღმდეგ ჩაგრული ინდოელი ხალხის მხარეზე იყო. იმ, როგორი შეტრავებლობით ამასათებად ქართული პროგრესულ-დემოკრატიული გაზეთი „დროება“ ინგლისის ძარცვის და ძალმომრეობის ინდოელი ხალხისადმი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში: „იმ საუკუნეში, — წერს „დროება“, — მოკრიფეს ხელში იტაური (ინდოეთის — ა. ი.) ხალხი და აღწევს ტყინის წონა და თავს კი იმეგარად იჩენდა, ვითომც, რომ იმის კეთილმყოფელი ვაჟი...“ გაზეთი მკითხველს აცნობს, თუ რა მიზნებით ვაგზავენს ინგლისელებმა ინდოეთში ასიათასობით ჯარი, ხელში ჩაიგდეს მისავლიანი ადგილები, უმდიდრესი ტყეები, სავაჭრო-სამრეწველო ქალაქები და ნავსადგურები. ინდოელი ხალხი მიძიმედ და-

ბევრს, ფეოდალური ზედაფენები ან მოსყიდეს ანდა ურჩები გაწვეიტეს და გადაასახლეს ინდოეთიდან. კორესპონდენტი ინგლისს ეამპირის უწოდებს. მისი ცნობით, „ხალხს სამინდობად დიდი ხარჯი აქვს, 100-დან 60 პროც. მოსახლისა მმართველობის აქვეყნა“. ხალხი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის. მაგ.: „მადრასში 18 მილიონ ინგლისულუბის მმართველობის ქვეშ მცხოვრებნი, ხალხს კვირაში თითო კომლს ნახევარი შაური (2 1/2 კაპ.) ულუფა ძლივს აქვს, კიდევ უფრო უარესია სამყალი ინდოელი ვლესაკის ცხოვრება“. კორესპონდენტი ეხება „კოლონიზატორთა ვერაგულ პოლიტიკას ინდოელთა ნაციონალიზმის მოსახობად“, მათი განგაღსებების მიზნით. „ქ ყველას ინგლისურ ენაზე ზრდიან... ყოველი ნაციონალური აზრი და გრძნობა ეყარვებათ, ინგლისელების ტაქტიკა: გამოაშტერებენ, გააღარებენ, დაასუსტებენ, ჩანსთქვენ და ამით გააქრობენ დედამიწის ზურგზე ხალხს (ნაციის) ხსენებას“¹. ი. კ. ჰუკეაქის მიერ დაარსებული ვაზ. „ივერია“ სამარცხვირო ბოძზე აქრავს ინგლისელ დამპყრობელთა ვერაგობას, ძარცვას და ძალმომრეობას ინდოეთში. ვაზეთის ფერტლებზე ვკითხვლობთ: „ინგლისის მმართველობა ინდოეთში მრავალჯერ ბოროტებს და უმსგავსობას მსხადის. ინგლისი სისხლს სწოვს ინდოეთის ხალხს, ართმევს უკანასკნელ საცხოვრებელს, ამას გარდა სცდილობს, რომ ინდოეთის მცხოვრებთა შორის მუდამ ბზარვა და განხეთქილება იყოს, რადგანაც მისთვის საშინარია ერთობა ინდოეთის მცხოვრებთაივის“².

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინდოეთში კარგად ესმოდა ბოლო რუსეთის ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოში. თერგდაღუელები შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყვნენ ხალხთა კოლონიური ჩაგვრისა და ჩაგვრის ხალხების ნაციონალურ განთავისუფლებას ერთფადენ.

ბრიტანეთის სასტიკმა კოლონიურმა რეჟიმმა ინდოელ ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააღვივა. ჯერ კიდევ 1875 წელს ქ. ბომბეში დაარსდა ახალი რელიგიური ნაციონალური საზოგადოება „არია სამაჯია“, რომლის ლოზუნგი იყო „უკან ინდოური სიძველეებისაკენ“ და აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნას: „ინდოეთი ინდოეთისათვის“. 1880-იან წლებში ცხოველდება მოძრაობა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ფორმირებისათვის: 1885 წელს ქ. ბომბეში მოწვეული იქნა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის დამფუძნებ-

ბელი კრება; ნაციონალური კონგრესის ძირითადი მოთხოვნები უპირისპირდებოდა კოლონიურ ინგლისის იმპერიალიზმს, ისევე ინდოეთის ექსპლოატატორულ ზედაფენებს. შავალთიანდ, კონგრესი 80-90-იან წლებში მოითხოვდა მემამულეთა მიწების გადასახადის შემცირებას, სახელმწიფო აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინდოელების დამსახურებას და თანდობით წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ინდოეთში თაოსნობდნენ წერბოტრეუხიელი და ფეოდალური ზედაფენები.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ დიდგავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, ინდოეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე; 1906-1908 წლებში ინდოეთში განაღებულ რევოლუციურ მოძრაობა ფართოდ უპირისპირდება ინგლისის კოლონიურ ბატონობას.

ე. ი. ლენინი, ეხებოდა რა 1905 წლის რევოლუციის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, წერდა:

«Мировой капитализм и русское движение 1905 года, окончательно разбудил Азию, Сотни миллионов забытого, одичавшего в средневековом застое население проснулось к новой жизни... демократическая революция охватила всю Азию, Турцию, Персию, Китай». Ленин, соч., т. XVI, стр. 384 — 385).

ბირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1915-16 წწ., ინგლისის იმპერიალისტების და ინდოელი ბურჟუაზიული ელემენტებისა და მუსლიმანური სექტების მეთაურთა მოქმედებით ინდოეთში ვაცხოველდა პანისლამიზმის პრობაგანდა და მოძრაობა. იგი მიზნად ისახავდა არაბების, თურქების, ავღანელებისა და ინდოელი მუსულმანების პოლიტიკურ გაერთიანებას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში. მსოფლიო ომის დამთავრებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალი პერიოდი დაიწყო ინდოეთის ცხოვრებაში. ამერიადან ე. ა. ლენინის თქმით იწუება: «Новую эпоху колониальных революций». (Соч., т. XXVI, стр. 428).

ინდოეთში გაძლიერებული ნაციონალური რევოლუციური მოძრაობის აღიარებულ ბელადად განდი მოგვევლინა. განდისა და მისი მიმდევრების შეცდომებს, მათ უტოპურ და განუხორციელებელ ცდებს, მოხერხებულად იყენებდნენ ინგლისელი კოლონიზატორები. ინდოელი ხალხის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლება, მისი თავისუფალი ცხოვრების ნათელი პროგრამა იმთავითვე შეიმუშავა ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომლის განუხორციელებსათვის ბრძოლაში, კომუნისტური

1 იხ. ვაზ. „დროება“, 1866, № 27.

2 იხ. ვაზ. „ივერია“, 1877, № 13, გვ. 6.

პარტიის ხელმძღვანელობითვე, უკვე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ინდოელმა მშრომელმა ხალხმა.

ინგლისის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ინდოეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის განვითარებას ქართული პრესა და საზოგადო მოღვაწენი უადრესად დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში — „ღროეთიში“, „სსსრ-ოელ გაზეთში“, „მწათობში“, „ივერიაში“, „მოამბეში“, „კვალში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, სიდაც ასახულია ინდოელი ხალხის ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა ჩაგვრის წინააღმდეგ და ნიღაბი აქვს ჩამოგლეჯილი იმ ევრაზიას, სისამაჯეს და უპაზლობას, რასაც ინგლისელები ინდოეთში ჩადიოდნენ.

1900-იან წლებიდან ქართული რევოლუციური პრესა კიდევ უფრო მეტი ცხრველმყოფელობით ეხმარება ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომებში ემორწულს სკაიბიხზე არა ერთხელს შეხება ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ინდოელი ხალხის ბრძოლას ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ინდოელ ხალხთან ძველთაგანვე ცოლენ მჭიდრო კვლტურულ ურთიერთობაში მყოფი ქართული ხალხი მეგობრულ ურთიერთობას დიდ ინდოელ ხალხთან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ახალი სიძლიერით აღადგენს; ქართველი პოეტები და მეცნიერები სიყვარულით სწავლობენ ინდურ-სანსკრიტულ ენებს (გ. ახვლედიანი, განავერებული ს. იორდანიშვილი და სხვ.), მწერლობას და ისტორიას. პრაფ. გ. ახვლედიანს ეკუთვნის წიგნი — „სანსკრიტი“; მანვე თარგმნა ძველდური რამდენიმე ტექსტი. საერთოდ, ავადმედიკოსი გ. ახვლედიანი ინდურის ცნობილი ავტორიტეტია საბჭოთა კავშირში. აღსანიშნავია ისიც, რომ მან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა ერთ ინდოელ მეცნიერს, რომელმაც მოსკოვში დიაცვა დისერტაცია ბენგალური ენის სფეროში.

თთარგმნა ინდოეთის მწერლების საუკეთესო ნიმუშები ქართულად. მავალითად, ქართველი პოეტის რადენ გვეტამის მიერ პირველად გაილქსა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი „რამაიანა“ (ს. იორდანიშვილის თანამშრომლობით), რომელიც ორჯერ გამოიცა. ცნობილი ინდოელი მოღვაწე განდი (1869-1948) თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ იგი, ბავშვობისას „მოჩვეულებათა და მავენ სულების შინში შეპყრობილი“, უშიშარ გმირად ეტყობოდა „რამაიანას“ წაკითხვით. „ასე იყო თუ ისე, ჩვენ ეს გვეწამდა“, დასძენს განდი.

ინდოეთის დიდი მოაზროვნის და მწერლის რამინდრანატ თაგორის მდიდარი ლიტერატურ-

რული შემკვიდრობიდან ჯერ კიდევ 1927 წელს (ვიდრე თაგორი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდოდა) ქართულ ენაზე ითარგმნა „მეგვიდრეობის დარაჯი“. თაგორის მინიატურები თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ლაერ. ძიძიგურმა (მისივე თარგმანები სისტემატურად იხეუდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში). ამ ბოლო ხანებში „საბჭოთა მწერალმა“ გამოაქვეყნა თაგორის მინიატურების თარგმანები ცალკე წიგნად.

რამინდრანატ თაგორის დაბადების 85 წლისთავი 1945 წელს ზემით აღინიშნა საქართველოში.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შემდეგ ძირფესვიანად შეიარყა იმპერიალიზმის ბანაკი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამიერიდან აზიამი და აფრიკაში სავსებით ახალ სტადიაში შედის. მომავლდინებელი საფრთხე დავამტკრა იმპერიალისტური ბურჟუაზიის კოლონიურ რყეებს. ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მსაზრისად ზრდად ინდოეთში კრიზისი შეუქმნა ინგლისის კოლონიურ საუკუნეობრივ ჩაგვრას: 1947 წელს ინგლისმა ინდოეთს დომინიონის უფლება მიანიჭა და ეროვნული მთავრობა ჩამოყალიბდა. 1950 წლიდან ინდოეთი რესპუბლიკა და შედის ბრიტანეთის ერთა გაერთიანებაში.

1947 წელს ინდოეთს ესტუმრნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: გ. ახვლედიანი, ე. კუპრაძე და სხვ. საქართველოში დაბრუნებისას მათ თავიანთ შთაბეჭდილებები გაუზიარეს ინდოეთის ცხოვრების დიდად დაინტერესებულ ქართველ ხალხს.

ინგლისის კოლონიური ჩაგვრის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ახალი სიძლიერით განახლდა ინდოელი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობა. ინდოეთის ხელოვნების ოსტატთა მიერ 1954 წლის შემდგომაზე თბილისში გამართული სალონის შესახებ ავად. გ. ახვლედიანი წერდა: „დიდხანს არ დააიწყებდა თბილისის მავურებელის ის, რაც მან ნახა და მოისმინა რუსთაველის სახელობის თეატრში 24-25 სექტემბერს. ინდოელმა მომღვლებმა მოხბულეს ჩვენი მსმენელი“¹.

ინდოეთის კინო-ხელოვნების სახელოვანი მოღვაწეების ჩამოსვლა საქართველოში, მათთან შეხვედრა და მათი შესანიშნავი შემოქმედების დემონსტრირება კინოეკრანებზე საყოველთაო სახალხო ზემიად გადაიქცა. ინდოეთის არტისტებს რუსთაველის სახელობის კინოთეატრში 1954 წ. ოქტომბერში გულთბილი შეხვედრა მოუწვეს. ინდოელმა კინო-მსახიობმა დევ ან-

¹ ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1954 წ. 1 ოქტომბერი.

ნდმა ინდოელი და ქართველი ხალხების მეგობრობა და სიყვარული შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მე ინდოელი ვარ და მე ვამაობ ამით, და მიეხებადეთ ამისა, ვინმემ შეცდომით ქართველი რომ მიწოდოს, ეს მაიღლი პატივი იქნება ჩემთვის“.

ორი წლის წინათ საქართველოს ესტუმრნენ ინდოელი მწერლები, მასწავლებლები და ჟურნალისტები. სტუმრებმა მოიარეს საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები, ქალაქები და სოფლები, გაეცნენ მოწინავე სწავრობებს, კოლმურერნობებს, კულტურულ დაწესებულებებს.

ისინი ეწვივნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხეცუბნის კოლმურერნობას. სტუმრები მოხიბლა სოფლის თეთრომჭემი ძალებით სახელდახლოდ გამართულმა ქართული ცეკვებისა და სიმღერების კონცერტმა. ცნობილი ინდოელი ჟურნალისტი ი. სინგჰი ახო გაეცნო საქართველოს, მის ეკონომიკას და მდიდარი ტრადიციების მქონე კულტურას. მისი ყურადღება მიიპყრო საქართველოს განახლებულმა დედაქალაქმა თბილისმა. თბილისის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ღამაჰ ქუჩას რუსთაველის ქუჩა ეწოდება — დიდი ქართველი პოეტის მიხედვით... არ შეიძლება არ გაგხსენებოდა, — გულსტყვილით შენიშნა ენდოელი ჟურნალისტი, — რომ ინდოეთის დედაქალაქში მხოლოდ ერთ პატარა შესახვევს ეწოდება თავორის სახელი, მაშინ როდესაც დღის ყველაზე მთავარი ქუჩა ყველა მიერ დაეწვებული ინგლისელა მუბერნატორის სახელს ატარებს“.

დიდი იყო ქართველი ხალხის საზეიმო განწყობილება, როდესაც საქართველოს ესტუმრა ინდოეთის მთავრობის მეთაური ჯ. ნურუ.

1956 წლის დასაწყისში, როგორც ვიცით, საქართველოში ჩამოვიდა ინდოელი საზოგადო მოღვაწე და დიდად პოპულარული მწერალი, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს გენერალური მდივანი კრიშან ჩანდრი. მან ქართველ მწერლებთან შეხვედრისას მეგობრულ საუბარში აღნიშნა: ინდოელი და ქართველი ხალხების ახო კავშირის მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. მრავალ ინდურ ძველ ანდაზ-თქმულებაში ხშირად იხსენიება საქართველო. არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ ინდოელები წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ამბობენ, რომ ადამი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, რომელსაც სამოთხედ თვლიან, ცხოვრობდით. დამახსიათებელია, რომ,—განე-

ბობს კრიშან ჩანდრი, — ინდოეთში ცნება „სილამხე“ და „ქართული“ სინონიმებია. ეს ანდაზები და თქმულებანი, კრიშან ჩანდრის აზრით, ჩაისახა მეტად შორეულ წარსულში, მაგამ ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანას შორის კავშირი დიდი ხნით იყო შეწყვეტილი. ახლა ჩვენა ხალხები ახყარებენ უფრო მეიდრო ურთიერთობას; სასურველია, ინდოეთს უკეთესად იცნობდეს ქართველი ხალხი, ქართველი მწერლები უფრო ხშირად უნდა ჩამოდიოდნენ ინდოეთში, უნდა გაჩაღდეს მთარგმნელობითი მუშაობა, — დასძენდა ჩვენს საბჭოთა სტუმარი. მართლაცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ხანში მრავალი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ესტუმრა ინდოეთს, ბევრად გაღრმავდა მეგობრობა ინდოელ და ქართველ ხალხებს შორის.

ინდოელი ხალხის გენიალურმა მოაზროვნემ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რაბინდრანატ თავორმა, რომლის სახელი ასე პოპულარულია მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისას, ჯერ კიდევ 1930 წელს, საბჭოთა სინამდვილისა და ხალხისადმი თავისი აღტაცება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ შეეძელი აქ მოსვლა, მე აქ ჩამოვედი იმიტომ, რომ ვისწავლო, თუ როგორ გადასჭრით თქვენ კულტურის პრობლემები, მე აღტაცებაში მომიყვანა ამ გარემოებამ, რომ თქვენ, პირველმა, შესძელით კულტურას აზიარით მთელი ხალხი. ჩემი ოცენება, შევქმნა თავისუფალი ადამიანი, რომელიც დაეკვირვებოდა შრომასთან. აღნიშნული ვერობის ცვალებიაცა დაეადებოდა ათასგვარი სენით... მას ესაჭიროება მურჩალომა! მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი იდეა მეტად ენათესაება ჩემს ოცენებას. შემოქმედი პიროვნების შესაქმნელად თქვენ სინამდვილეში აყვითობ, იმას, რასაც მე, როგორც ერთეული, ვერ შევძლებ... ამამა თქვენი დაევიწყარი და უღდესი დამახტურება კაცობრიობის წინაშე“.

— ასე მამართავდა თავორი ახალი, თავისუფალი ცხოვრების მშენებელ საბჭოთა ხალხს.

ინდოელი ხალხისა და მისი მოწინავე შვილების სანუგეზო ოცენება ინდოეთში ინგლისის იმპერიალისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ იწყებს განმორციელებას. საბჭოთა ხალხი ვვერდში უღვას და უანჯაროდ ეხმარება ინდოელ ხალხს ოდითვე არსებული მეგობრობა თავისუფალ ინდოელ და ქართველ ხალხებს შორის დღითიდღე ღრმავდება.



ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქართული პრესა

თვითმწყობელი რევოლუციის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვითარებაში ქართველი ხალხი თანაგრძნობით ხედებოდა მსოფლიოს წაგრულ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ასეთ თვალსაზრისში მკვლევარმა წარმოადგინა ჩინეთის 1899 — 1900 წწ. აჯანყებისა და 1911 — 1912 წწ. რევოლუციის გამოძახილი ქართულ პრესაში.

მე-19 საუკუნის დამლევს, როგორც ცნობილია, დამთავრდა იმპერიალისტური სახელმწიფოების (იაპონია, ინგლისი, გერმანია და სხვ.) შიერ ჩინეთის ტერიტორიული გადანაწილების პროცესი. მაგრამ ჩინელი ხალხი არ შეირყებოდა ამ ფაქტს და დამპყრობლების, ანუ, როგორც ჩინეთში ამბობდნენ, „ზღვის იქითა ეშმაკების“ — „იანგუიების“ წინააღმდეგ შედგარი ბრძოლა გააჩილა. ეს იყო ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ცნობილი იხეტუნენლთა აჯანყება (1899—1900 წწ.).

ეს აჯანყება ევროპელი, იაპონელი და ამერიკელი კოლონიზატორებისადმი ჩინელი ხალხის საყოველთაო სიძულვილის გამოხატულებას წარმოადგენდა. როგორ შეიძლება „ჩინელებს არ შეეძრებინათ ის აღშინებები, რომლებიც ჩინეთში მოდიოდნენ მხოლოდ გამდიდრების გულისათვის, რომლებიც თავიანთი ნაქები ცივილიზაციით სარგებლობდნენ მხოლოდ მოტყუების, ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისათვის“, რასაც „ფარსეულურად ფარავდნენ... ქრისტიანობის გავრცელების მომიჯნაბებით“ (ც. ა. ლენინი).

იხეტუნენლთა აჯანყებამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ფართო გამოხმაურება მას საქართველოშიც ჰქონდა. ქართულმა პრესამ („ივერია“, „ქვალი“, „მოამბე“ და სხვ.) ამ საკითხს მიუძღვნა არა ერთი წერილი, რომლებშიც აჯანყებასთან ერთად ჩინეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ეკონომიკის საკითხებია განხილული.

იხეტუნენლთა აჯანყებას 1900 წლის მაისში პირველად ეურნალა „მოამბე“ გამოცემით. წერილის ავტორი გ. ლასხიშვილი წერდა: „მთელი ევროპა შეანძრა შორეული აღმოსავლეთიდან

მოსულ ამბებმა: დღემდის ჩინეთი, გარეგნობით მაინც, დამშვიდებით უუჩრებდა ევროპელთა თარეშობას მის ქვეყანაში; ბოლოს, კი მისი მოთმინების ფილა აფსო... შეინძრა და ევროპა შეიშა მოიცილა“ („მოამბე“, 1900 წ. № 5).

ამავე ეურნალის მომდევნო ნომერში (№ 7) აჯანყების შესახებ დაიბეჭდა გ. ლასხიშვილის ვრცელი სტატია, რომელიც ამხელდა იმპერიალისტთა „ქედრულ“ საქმიანობას ჩინეთში, ამაყარავებდა მათ შინაშე — ქვეყნის დაპყრობას, მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ძარცვის. ჩინელთა მტრობა ევროპელთა მიმართ მაშინ დაიბადა, ნათქვამია სტატიაში, როდესაც „მინონერ-ვაჭრებს დიპლომატიები მოპყენენ“, როდესაც ჩინეთს მიესიენენ და მისი სიმდიდრის მითვისება დაიწყეს, ამიტომ „ჩინელმა თოფ-იარაღი აისხა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის“. მაშასადამე, აჯანყება, ეურნალის სიტყვით, შედეგი იყო ამისა, რომ ევროპელებმა „დაიწყეს... ცისქვეშა იმპერიის განაწილება“.

სტატიაში ჩინელი ხალხის ნათელი მომავლისადმი რწმენა იყო გამოთქმული. ავტორს მიიანდა, რომ აჯანყება, დამარცხების მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაივლიდა, არამედ გამოიღვიძებდა ჩინელ ხალხს და მას მომავალი ბრძოლისათვის მოამზადებდა. ამ სამაგალითო „პეტოს სწავლებას“ შემდეგ, — მიუთითებდა გ. ლასხიშვილი, — ჩინელი გაორკეცებულის ენერგიით შეუდგება საჭირო ძალის მოკრფვის და გამარტვება სამშობლოს სხეულის იღვრებას და „გაი იმათ, ვინც ეხლა თავისუფლად დათარეშობს მის სახლში... ჩინელი ევრ დაიწყებს იმ საშინელ დამცირებას, რომელიც ღიაყენს მის ქვეყანას და ყოველთვის მის ცემაში იქნება სამაგალითო მიუზღას თავის შეურაწყყოფელს და დამამცირებელს“ („მოამბე“, 1901 წ. № 2; იხ. აგრეთვე 1900 წ., № 5).

იხეტუნენლთა მოძრაობის ვითარებაში იმპერიალისტურ სახელმწიფოების ეურნალ-გაზეთები ანტიჩინურ პროპაგანდას ეწეოდნენ, ჩინეთის შესახებ სინამდვილის დამახინჯებას აწარმოებდნენ. აჯანყების გამოქვეყნების ქართული პრესა ამ ფაქტს დამოუკიდებელი მასალებით სარგებლობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, გაზეთ-

მა „ივერიამ“ შესანიშნავად გაიარებია აჯანყების ხასიათი, მისი მომავალი. 1900 წ. 25 ოქტომბრის ნომერში (№ 232) გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია: „ახლანდელი ამბები მხოლოდ დღ-საწყისია, იმისა რაც შემდგომი მოხდება, ჩინელებს ძალიან უკვავთ თავიანთი სამშობლო... და ისინი არასოდეს არ შეარჩენენ ევროპას დამცირებასა და ახუნად აგდებას. ჩინეთს დიდხანს ეძინა, მაგრამ ახლა ამ უზარმაზარმა სახელმწიფომ გამოაღვიძა და დღეობად ეს გაიხადა: ჩინეთი ჩინელთათვის, შორს ჩვენგან უცხო ქვეყნელი“. სტატიის სიტყვით, ეს აჯანყება განმთავისუფლებელი ხასიათისაა და „ღრო მოვა, როდესაც მოძრაობა მთელ ჩინეთს მოედება“. ამიტომ უცხოელთა ბატონობას ჩინეთში, 50 წლის შემდეგ, კვლავ საფრთხე ელის, რადგან მომავალში „სეილიშვილები ბევრად უკეთ იბრძობებენ, ვიდრე დღეს მათი მამანი და პაპანი იბრძვიან“.

კომენტარი ზედმეტია! ვაზეთის ეს განცხადება აღსრულდა თითქმის განსაზღვრულ ვადაში...

იხტუნელთა აჯანყების შესახებ ვრცელი წერილები დაიბეჭდა ვაზეთ „კვალში“. მოძრაობის განხილვასთან დაკავშირებით ისინი იძლეოდნენ ცნობებს ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ცხოვრების შესახებ. აღნიშნულ საკითხებს ვაზეთი მსოფლიო ისტორიის მოვლენებს უკავშირებდა და ამ გზით ედილობდა საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესო პრობლემის — ჩინეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზების ვარკვევას.

ვაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აჯანყების განმომწვევი მიზეზების ახსნას. ამ მხრივ საყურადღებოა ფ. შხარაძის სტატია „იმა ჩინეთში“. მასში ვრცელად აღწერილი კოლონიზატორთა საქმიანობა, რომელიც მხოლოდ ქვეყნის დამონებისა და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა ძარცვით გამოისახებოდა. ჩინელებს, — წერდა ფ. შხარაძე, — ძელთ ევროპელები იმპერიალისტები, რადგან ეს უკანასკნელები „აღლდატანებით აწიან ჩინელებს თავიანთ საჭმუნოებას... რკინიგზებს, მამინებს, თავიანთ ფაბრიკულ ნაწარმოებს, ესახლებიან იმათ მიწა-წყალზე და შერაბაცყოფას აყენებენ იმათ... ზნე-ჩვეულებებს“. ამიტომ დღევანდელ ომს ჩინეთში უცხოელების წინააღმდეგ შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, რადგან „ეს მოძრაობა დღითიდღე მატრობს“, ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად შეეცადნენ ჩინეთსა და რუსეთს შორის „დიდი ხნიდან“ არსებული შეგებარული ურთიერთობის ჩაშლას. როგორც ჩინეთის მთავრობა, ისე თვით ჩინეთის ხალხიც, — მითითებდა შემდეგ ფ. შხარაძე, —

ყველაზე უფრო ნდობით შეუერთდნენ რუსეთს... ახლა წარმოიდგინეთ რა ხარისხამდე უნდა იყოს მიღწეული ჩინელების აღმწოდება და ზალდი უცხოელებს მიმართ, რომ იმათ არა თუ დაზოგეს რუსეთი, არამედ დღემდის ყველაზე მეტ მტრულ მოქმედებას მის წინააღმდეგ იჩენენ“. ამას გამო „ჩინეთი და მშვიდობა... ისე ადვილად აღარ შეიძლება, როგორც წინედ ფიქრობდნენ... ევროპა სასტიკად შეეცა, რაკა ჩინეთის ბედს ვადაწვეტო-მოინდომა ისე ვითომც ეს პატარა ქვეყანა ყოფილიყოს, და ეს შეეცდომა მას ძვირად დაუჯდებოდა, („კვალი“, 1900 წ. № 32).

აჯანყების ხასიათის ვარკვევის საკითხს მიუძღვნა სტატია, აგრეთვე, მენშევიკმა ნ. გორდანია. მაგრამ თავისი პოლიტიკური მრწამსის შესაბამისად, ამ საკითხს იგი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან ამტკებდა, იმპერიალისტთა საქმიანობას ჩინეთში პროგრესულად თუილიდა და ამდენად აჯანყებას მიაჩნდა რეაქციულ მოვლენად, რომელიც თითქმის „ეარჩევეტილობის დაეკას“ ისახავდა მიზნად. იგი წერდა: „დიდი მუშტის“ მოძრაობა — ეს მხოლოდ ამ ორსი წლის წინათ დაწყებული რეაქციის ვაგრძელებაა, იმ განსხვავებით, რომ მამინ მთავრობამ დაიწყო მოძრაობა, ხოლო ახლა კი ხალხმა. უმეცელია ეს რეაქციის უკანასკნელი... ძალიანას ამოძრავებია“ („კვალი“, 1900 წ. № 29). ცხადია, ასეთი შეფასება აჯანყების ნამდვილი არსის უხეშ გაყალბებას წარმოადგენდა, რაც იმპერიალისტთა მიზნებს ემსახურებოდა. კიდევ ამიტომ იყო, რომ ქართულმა პრესამ ჯერ კიდევ მამინ აღიბაღლა ზმა მოძრაობის ასეთი შეფასების წინააღმდეგ და მისი პროგრესული ხასიათი აღიარა.

ამის გარდა, „კვალი“ სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს აჯანყების მიმართ მსოფლიო პროგრესული ძალების თანავარძლობითი დამოკიდებულების შესახებ. ვაზეთის 1900 წლის ნომერში (№ 49) დაიბეჭდა ივე. ბუბლის სიტყვა, წარმოთქმული გერმანიის რეისტავში ჩინეთის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. იგი ყურადღებას ამახვილებდა იმ ადგილზე, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არ ვვსურს ვისიმე დამორჩილება და ვაგერმინებება. ჩვენ ვამბობს, რომ ჩინეთის სახელმწიფომ... უნდა განავარდოს თავისი არსებობა. ყველა ერს აქვს უფლება ცხოვრებაზე და ჩინეთშიც უნდა იცხოვროს, როგორც ერში“.

მაგრამ ქართული პრესის დამოკიდებულება იხტუნელთა მოძრაობისადმი ამით არ ამოწურულა. აჯანყებისა და ინტერვენციის მიმდინარეობის ილწერისას ტურნალ-ვაზეთებში ამხილეს და დავემს ბაბუარისობის მრავალი აქტი, რომლებიც დამსჯელმა ექსპედიციამ აჯანყების ჩაქრობისას გამოიჩინა. ჩინეთში „თმა-

გებურძენება, ურთარტული გვილის ტანში, — ნათქვამია ერთ-ერთ სტატიაში, — როცა ჩინეთში ჩადენილ „საგვირო“ საქმეთა ამბებს კითხულობ. განათლებული კულტურისა და „პუნ-ნობი“ შეგვიან მშვიდობის მოყვარე ჩინეთს და თითქმის ატრიალს მოემართ ევროპრე-პიან სისხლის მსხველპიაში და მტარვა-ლობაში, მუსრს აელუბენ უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას“ („მოამბე“, 1901 წ., № 2). ასე „ანათლებენ“ ჩინელებს „განათლებული ევროპელებით“ („მოამბე“, 1900 წ., № 11).

ასანინშენაია, რომ ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლის ქართულმა პრესამ თანაგრძნობა გამოუცხადა და მიუთითა, რომ ჩინულთა შიშობი ჩადენილი მსხველპით ინტერვენტები მიზანს ვერ მიაღწევენ; პირიქით, ამით პირველად ჩინეთის მშრომელთა ახალი ბრძოლის დასაწყისს, რომელიც მომავალში უმეფელად ქვეყნის განთავისუფლებით დამთავრდება.

ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ქართული პრესა სათანადოდ გამოეხმაურა, აგრეთვე, 1911 — 1912 წწ. რევოლუციის დროსაც. მართალია, ამ დროს ბოლიტიკური რეაქცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე აზრის გამოთქმას ზღუდავდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, გაზეთებში („სახალხო გაზეთი“, „კოლხიდა“, „მათულის გაზეთი“ და სხვ.) ჩინეთის რევოლუციის შესახებ არა ერთი სტატია დაიბეჭდა, ზოგიერთი გაზეთი კი („თემი“, „ქართლი“, „იმერეთი“ და სხვ.) მხოლოდ ოფიციალური ცნობების გამოქვეყნებით დაკმაყოფილდა.

ჩინეთის 1911 — 1912 წწ. რევოლუციის პირველად „სახალხო გაზეთი“ გამოეხმაურა. 1911 წ. 23 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიათა გაზეთმა მკითხველებს ჩინეთში დაწყებული რევოლუციის ფაქტი ამცნო და მის გამოწვევებზე მიუთითა. „ჩინეთის რევოლუცია, — ნათქვამია სტატიაში, — შედეგია ეკონომიური ინტერესების გამწვავებისა, რომელიც მიწისმფლობელობის მოწყობლობით... გამოიხატება. მეორე მხრით, დაზარალებული ჩინელის ეროვნულმა თავმოყვარობამაც გააღვივა და დამაჯერებელა გათანაფრთხილება მოითხოვა“. ეს, სტატეის სიტყვით, იმის შედეგია, რომ დღემდე ჩინეთში „მეფის ტახტი და ყველა მნიშვნელოვანი მალა თანამდებობა მანჯურთა დინასტიას უჭირავს“, რომლებიც „ჩინეთის დამპყრობ (მანჯურელ) ჯარისკაცთა ჩამოხვედრის პენისიად აძლევს“. ეს შეურაცხველია ჩინელთა ეროვნულ თავმოყვარობას და კიდევ ამიტომ არის, რომ მოძრაობამ დასაწყისშივე „მანჯურთა საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“ („სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 429).

ასანინშენაია, რომ ქართული პრესა ერთხმად აღაშქრებდა მოთხოვნის ოფიციალური გაზეთ-

ბის წინააღმდეგ, რომდენადაც ისინი აფრენებდნენ ჩინეთში მიმდინარე გამბედავ მსგეულობას. „ამ გაზეთებს რომ ევალიდებოდნენ, გვითხვობთ ერთ წერილში, — გაკვირვებული ვართ ჩინეთის ამბებზე, რომ თითქმის არაფერი იწერება. საზოგადოდ ან სულმან ან მოძრაობის რომელიმე ფაქტს უხარად პროტოკოლისებურად აღნიშნავენ. ათასი ერთხელ თუ შეხედვებით ამ საგანზე ცოცხალ წერის“ („კოლხიდა“, 1912 წ., № 44). ეს იმიტომ, რომ რევოლუცია ეროვნულ-განმათავისუფლებული ხასიათისა, რომელიც უსოიელი დამპყრობლებისაგან, ქვეყნის განთავისუფლების გარდა, აგრეთვე, „ცხოვრებაში სოციალური გარდაქმნებს“ გატარებასაც ისახავს მიზნად. სწორედ ესაა წინა რევოლუციურ მოძრაობისაგან 1911 — 1912 წწ. რევოლუციის განმასხვავებელი ნიშანი, რამაც ასე დააფრთხილა ოფიციალური პრესა“ („კოლხიდა“, 1912 წ., № 3).

1911 წლის დეკემბერში რევოლუციამ გამოიარა და ჩინეთი რუსებზე უკიდურესად გამოაცხადა. პრეზიდენტად არჩეულ იქნა სუნ იატ-სენი. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დატრენია ქართულ პრესას. გაზეთების ფურცლებზე კმათი გაჩაღდა ამის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფოებრივი ფორმა შეესაბამებოდა ჩინეთს. გაზეთების ერთი ნაწილი ჩინეთისათვის შესაფერისად თვლიდა კონსტიტუციურ მონარქიას, თუმცა უმრავლესობა რუსებზე უკიდურესად გამოიდიოდა. „მათულის გაზეთი“ მიუთითებდა: „ერთად ერთი საშუალება ჩინეთის დასახსნელად... რუსებზე უკიდურესად“ (1911 წ., № 102). „თუ უფრო ღრმად ჩაუვყვირდებით ჩინეთის ისტორიულ წარსულს, — აცხადებდა გაზეთი „კოლხიდა“, — ჩვენ ვაფიქვებთ, რომ ეს იდეები (რუსებზე უკიდურესი — ატრიალ) არც ისე ახალი და უცხოა ჩინეთისათვის“ (1912 წ., № 3).

საუბრადადებოა, რომ ქართულმა პრესამ აზრი გამოთქვა რუსებზე უკიდურესად შექმნილი მოთხოვნის წყურებზე, როგორც „გამოჩინილ ხელმძღვანელებზე“, რომელთაგან სუნ იატ-სენი „ყველაზე უფრო ცნობილ და განთქმულ“ მოღვაწედ მიიჩნა („კოლხიდა“, 1912 წ., № 3).

უნდა ითქვას, რომ ქართული პრესა სუნ იატ-სენისადმი, თავის დროთა ამ შესანიშნავი პიროვნებისადმი, ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული და ამყვენებდა ხშირად ბიოგრაფიული ხასიათის სტატიებს, რომლებშიც სუნ იატ-სენს „რევოლუციის ბელადს“, „ჩინეთის განმანტრონი“ უწოდებდნენ („მათულის გაზეთი“, 1911 წ., № 69).

ქართულ გაზეთებში არა ერთი წერილი დაიბეჭდა რევოლუციის შედეგად ჩინეთში შექმნილ კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე, ძველი ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ ქვეყნის პროგრესული ძალების ერთობლივ ბრძოლაზე, რევოლუციის მიმართ მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში მსხვერპლებს ჩინელ დამპყრობებულ-

ბაზე და სხვ. მაგრამ წერილების უმრავლესობა მაინც ჩინელ პარტიულთა საბრძოლო მოქმედების აღწერას მიეძღვნა. მათში აღფრთოვანებითაა მოთხრობილი, მგავლითად, ჩინელი ქალების გმირობა, ქალებისა, რომლებიც „გატაცებული რევოლუციით... მხურვალე მონაწილეობას იღებენ აჯანყებაში, დადიან ბარაკადებზე, კრილოებს უხვევენ დამრილ რევოლუციონერებს და ცხარედ იცავენ მებრძოლთა უფლებებს“ (გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., № 154).

ჩინეთის 1911 — 1912 წწ. რევოლუცია, როგორც ცნობილია, დამარცხებით დამთავრდა. „იგი ჩანასახშივე დაიღუპა, რადგანაც იმ პერიოდში პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იღებდა შეგნებულ მონაწილეობას რევოლუციაში, იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კომუნისტური პარტია“ (მაო ძე-დენი), რევოლუციის დამარცხება, აგრეთვე, შინაური კონტრარევოლუციისა და უცხოელი იმპერიალისტების ერთიანი მოქმედების შედეგად იყო. ქართული პრესა მწუხარებით აღნიშნავდა ამ ფაქტს, მაგრამ შეითხველებს არწმუნებდა: „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც თავისუფალი ჩინეთი განათლებულ ერებს ამოუდგება მხარს საერთო საკაცობრიო იდეალისათვის საბრძოლველად“ (გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ., № 154).

საიდ ნადისი (1895 წ.) — ირანის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი-ფილოლოგი, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თეირანის განყოფილების აქტიური წევრი; დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ეს წარბილი წარმოდგენს ს. ნადისის მიერ შედგენილი კრებულის — „თანამედროვე სპარსული პროზის შედევრების“ (ნაწილი II) წინასიტყვაობის რამდენადმე შემოკლებულ თარგმანს.

¹ ქაშეფი — XV-XVI საუკ. მოღვაწე. ცნობილია ქილაღა და დამანის ქაშეფფერი რელიქტით; ისკანდერ მონში — XVI-XVII საუკ. ისტორიკოსი. მის კალამს ცნობისას „ქვეყნის დამამშენებელი ისტორია აბასისა“; მიჩრა მეჰდი-ხანი — ნადირ-შაჰის მდივანი და ივტორი „ნადირის ისტორიისა“.

თა სინტაქსურ წყობას, ხმაობს შეუფერებელ გამოთქმებს, იყენებს მშობლიური ენისათვის უცხო სიტყვებს, მიმართავს გრძელ და გუგუბარ წინადადებებს — არც ის არის მწერლის სახელის ღირსა.

აღსანიშნავია, რომ ახლა ხალხს ბატონობის ეპოქა. ძველი წესწყობილება, რომელიც ძალუფლებას პრივილეგიურ კლასთა ხელში აქცეაღა დღედაღღე ეცემა. ახლა ჭვეყნის პედილობას ხალხს უმრავლესობა წყვეტს. ლიტერატურასაც სხვა გამოსავალი არა აქვს: იგი უნდა იქცეს ერთგვარ იარაღად ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

წარსულში ჩვენი ლიტერატურა უმოთარეხად სახობტო ხასიათისა იყო. ის წარმოადგენდა გაბატონებული კლასების ვიწრო წრედან, სასულიერო და ვაჟართა მდიდარი ფენებიდან ჯიღლას მიღების საუკეთესო საშუალებას. ზოგჯერ კი ლიტერატურის საზრდოდაც იყენებდნენ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობები. ძალიან ცოტანი იყვნენ ირანში ისეთი პოეტები, რომელთაც გულწრფელად თქვეს ის, რის თქმაც სურდათ და გადმოგვეცეს თავიანთი გულის ნაღები, გარდა სუფიებისა, რომელნიც თავისუფლად აზროვნებდნენ და გადმოსცემდნენ კიდევ თავიანთი განწყობილებას. მხოლოდ რამდენიმე მწერლის დასაბელება შეიძლება, რომელთაც შეძლეს თამამად და გულახდილად გადმოეცათ თავიანთი აზრები, ესენია: ფირდოსი, მას-უდ და სულამანი, ომარ ხაიმი, ნასერ ხოსრო და ჰაფეზი. დანარჩენ პოეტთა უმრავლესობა კი თავიანთ ნიქსა და უნარს ძლიერთა გულის მონადირების, ოქროს და თავიანთი კეთილდღეობის მოპოვების სწრაფდნენ. ამიტომაცაა, რომ ვერც კი ეპოელობთ არსებით განსხვავებას სურუშ ის-პაპანიელსა და ფარობი სისტანელს! შირის, მოუხედავად იმისა, რომ მათ შეიდასი წელი ამორებს ერთმანეთისაგან. ორივე ერთსა და იმავეს წერენ. თუ ფარობის დროს ეს ბუნებრივი იყო, სურუშის ეპოქაში იგი უკვე ხელოვნური და ზედმეტია.

დღეს მწერლებს სხვა გამოსავალი არა აქვთ, მათ უნდა თავიანთი ხალხის მუხუხარება და სიხარული გამოხატონ. XIX საუკუნეში ევროპაში ბერს ლაბარაკობდნენ ხელოვნებზე: ათასწარ ახსნა-გაგმარებებს იძლეოდნენ და იცავდნენ დებულებას — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამბობდნენ, რომ მწერალს ყველაფრის თქმის უფლება აქვსო, იგი თავისუფალია, ოღონდ ვარკვეული წირმები და სტილი უნდა დავისა. მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ არის. დღეს აშკარაა, რომ მეცნიერება და ხელოვნება, სადაც არ უნდა იყოს ის, ხალხს უნდა

ემსახურებოდეს, ადამის ძეთა კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს.

მეცნიერება, რომელიც სუბიანთა და ედამიანთა მსხვერპლს მოითხოვს, ხელოვნება, რომელიც ხალხს შხამებს და აბრთყევს — სჯობს სულ არ არსებოდეს. მწერალი ევნიამ, რომელმაც შხამი ადამიანთა სამყურნალოდ უნდა გამოიყენოს, და არა მათ დასალეპავად. მყურნალი, რომელიც ადამიანს წამლავს—მოღალატეა; ხოლო მწერალი, რომელიც მიუხედავად ფორმისა, მიუღებულ აზრებს თვისავს, ასევე მოღალატეა და უნდა დაისაჯოს. დღეს მწერლებმა, რომელნიც თავიანთ წმიდათა წმიდა მოვალეობას პირნათლად ასრულებენ, საზოგადოების ყველაზე საპატიო მსახურნი არიან. ისინი ჯარისკაცები არიან, რომელნიც ხალხის საუკეთესო შეილებად ითვლებიან.

სასიხარულია ის ფაქტი, რომ ჩვენში დღითიდღე უფრო მეტი და მეტი მოაზროვნენი უკვირდებიან ამ მნიშვნელოვან საკითხს. ამიტომაცაა, რომ უფრო საინტერესო ლიტერატურა წარმოიშეება ირანში. ორი საუკუნის წინათ ჩვენი ლიტერატურა ძალიან ჩამორჩენილი იყო. ვერც ყავშ-ყავში და ვერც 30-40 წლის წინათ მოღვაწე ჩვენი მწერლები ვერ გატოლდებოდნენ თანამედროვე ევროპულ მწერლებს. სეფიანთ ეპოქიდან — ჰათფეს, აშუესა და სხვათა მოღვაწეობის დროიდან ჩვენ რეგრესის გზით მივდივართ. უღაზათო მიზანძებების გარდა, თითქმის არაფერი გაგვიკეთებია.

ამჟამად კი ჩვენი ლიტერატურა თავის განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამს. სულ რაღაც 20-30 წელია, რაც დავრწმუნდით, რომ თანამედროვე ლიტერატურაში პროზა უფრო საყირაა, ვიდრე პოეზია, განსაკუთრებით ისეთი ძვეყანაში, როგორც ირანია, სადაც ჩვენში სასაყადლო დიდიმა პოეტებმა მსოფლიოს დანარჩენ პოეტებზე უფრო ადრე თქვეს თავიანთი სათქმელი. მაგალითად, სიუზმა, ქალიშვილი, ნაზირიმი, ფეიზიმი, ზოჰრამი და მისთანებმა ორასი წლის წინათ ჩაუყარეს საფუძველი სიმბოლოზმს, იმპრესიონიზმს, შამინ როდესაც ევროპაში მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ მიაქციეს ამ მიმართულებების ყურადღება.

დღეს ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რადიოს, კინოსა და თეატრს, რომელნიც დღითიდღე უფრო მკვიდრდებიან. მათ მკვიდროს კავშირი აქვთ ლიტერატურასთან, ეკაძოდ — პროზაული ხასიათის ნაწარმოებებთან. დღითიდღე ვიწროვდება პოეზიის ასპირენი. შუბუშავდა ლექსის ახალი ფორმა, რომელიც პროზას უახლოვდება.

ადრე ირანში დიდი ყურადღება ემცოდო პოეზიის, ამიტომაცაა, სპარსული ლექსი მსოფლიოში უძლიერეს ლექსად ითვლება. პოეზიის განვითარებას პრინციპული და განსაკუთრებული მზებუი განაპირებებს: ირანის ხალხს, ის-

ლამის წინა პერიოდში ათასი წელზე მეტი ხნის კულტურული ცხოვრების ტრადიციები ჰქონდა და ამიტომ, ბუნებრივია, შემოქმედებითი უნიაროც მასში საკმაოდ ძლიერი იყო: შეიძლება ითქვას — სხვა ხალხებზე მეტიც. ისლამმა ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა მუსიკა, ცეკვა, ქანდაკება, შეზღუდა და ზოგჯერ მათ არაოფიციალურად კრძალავდა კიდევც. ირანელები, რომელნიც ძველთაგანვე მისდევდნენ ხელოვნების ამ დარგებს, ისე ამოღებულ ვერ ეგუებოდნენ მის დამომხას; აქედანღვე იყენენ თავიანთი შემოქმედებითი უნიარი და გემოვნება გამოყენებნით ისეთ ნებადართულ დარგებში, როგორიც იყო პოეზია და ხუროთმოძღვრება. ამიტომაცაა, რომ ხელოვნების ამ ორმა დარგმა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ირანში განვითარების განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია.

XVI საუკუნეში თემურ-ლენგის შემევიდრებში ხელოვნებას გარკვეული თავისუფლება მიაწიქეს. ამ პერიოდში საკმაოდ წაიჭია წინ მხატვრობამ, კალიგრაფიამ და სხვა დარგებმა.

„შმევენიერების თავყანისმცემელმა“ სულმა თავისუფლად გამოხატვის საშუალება მოიპოვა: დაიწყო იმ დარგების განვითარება, რომელნიც უკვე ნებადართული გახდნენ. პოეზიას კი დღითიდღე აკლდებოდა ყურადღება. ის რაც ლექსით გადმოიცემოდა, ახლა ხელოვნების სხვა დარგში ბოლოობდა გამოხატულებას. სეფიანთა ეპოქაში რამდენადაც ვითარდებოდა ხალიჩებისა და ხვევრდის ქსოვა, ვორამყვრდის ქარგვა, იმდენად ლექსის განვითარება ნელდებოდა.

ამყამადაც მსოფლიო ამ გზით მიდის: ხელოვნების ახალი დარგები პოეზიას ავიწროებენ; ირანიც ამ გზას დაადგა, რადგან ეს კულტურის ბუნებრივი განვითარება და ვერავითარი ძალი უნერ შეიარბებს ამ აღმავლობას.

ჩვენი მიზანია, საზოგადოებას გაეაცნოთ ის პირველი ნაბიჯები, რომელნიც თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში გაიღიდა, მკითხველს კვლავ შეეახსენოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე აღვიდართ. ხალხმა, რომელმაც მსოფლიოს მისცა ფიარდოუსი, საადი, ომარ ხაიმი, საფეზი და მოულანა ჯალალედინი, დღევანდელზე გაცილებით მეტს მისცემს მსოფლიოს თანამედროვე ლიტერატურის ისეთ ქანადშიც. როგორცაა დრამა, რომანი, ნოველი და მოთხრობა დღევანდელმა სილარაკემ კი ხასაოწარყვითლებაში არ უნდა ჩავევადოს. სალიტერატურო შემოქმედების უნიარი ირანში ჯერ არ მომკვდარა, არ ჩამქრალა და არც დამკვნარა — ის იფარჩქნება. საქმე ის არის, რომ ჯერ არა გვაქვს ის გამოცდილება, რაც სხვებმა მოიპოვეს. ამას კი ძალიან მაღე, შეიძლება 10-15 წლის შემდეგ მივაწლიოთ, ირანელებს ბევრჯერ გამოუმკლავებნათ სწრა-

ფი ორიენტირებისა და ნახტომების უნიარი. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელთაც ცესაოცრად ხანმოკლე დროში, თვით არაბებზე უკეთესად და კი გაეაცანით მსოფლიოს არაბული ენა დალიტერატურა.

თანამედროვე მწერალთა შორის ამ განსვენებული თალაბოე, როგორც მწერალი, თუმცა სათანადოდ ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ ენაიდან ის გახლავთ ინიციატორი და წამომწყები ამ საქმისა, სხვაზე ნაკლებ არ უნდა დიდხდეს. მან თავისი სადა და უბრალო სტილით განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამ განსვენებულთა შორის აღსანიშნავია სადუე, ჰედაიათი. იგი უფრო ფართო აზროვნების აღმზინი იყო. ამიტომაც, მისი ნაწარმოებები განსაკუთრებული პოპულარობით რომ სარგებლობენ. დიდი მწერლის სახედი იმას მიეკუთვნება, ვინც დიდი აზრების მატარებელია. თუმცა ზოგჯერ ჰედაიათის სიტყვები და გამოთქმები მისი აზრების გაქანებას ვერ იტყვენ. ეს ნაკლი მრავალ თანამედროვე ირანულ მწერალსაც ახასიათებს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად. საქმე ის არის, რომ ისინი ვეროპულ ლიტერატურას უფრო ეტანებიან, ვიდრე შმობლიერს. და ვეროპული ლიტერატურის გავლენას უფრო განიცდიან, ვიდრე სპარსულისას. წინაპართანის ცოდნა რომ აუცილებელია და საჭირო, ეს, მე გგონია, საუკვეოც არ უნდა იყოს, ისე, როგორც, მაგალითად, ანატოლ ფრანსმა იცის ზედმიწევნით თავისი შმობლიერი ლიტერატურა, ასევე საჭიროა ჩვეუც ეციოდეთ ჩვენი ლიტერატურა. ამ უეციობის მიზეზია, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერალი ვერ წერს ისე, როგორც, წერდნენ საადი და ნეზამ-ოლ-მოლქი, ან ონსორ-ოლ-შა'ალი და გარდში! ხან წმნებს ვერ აუღლებენ სწორად და ხან შესაფერის დროებს ვერ ხმარობენ. ასე, მაგალითად, ნამუსო ერთ-ერთმას იყენებენ მეორე ფორმის ნაკელად. ასეთი „წაბორძიკებანი“ დიდ მწერლებს არ ემატება. ყველა მწერალს უნდა ესმოდეს თავისი ენის ღირსება. ყოველი დიდი მწერალი უნდა ეცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვეს პოეზიის ენას, რადგან ენის სილამაზის სახში დღესია. აქედან დასკვნა: სპარსული მწერლები, უბირველეს ყოვლისა, ზედმიწევნით უნდა იცნობდნენ საყუთარ სპარსულ ლექსს. ჰედაიათისა და მამმულ მას'უდის ნაწარმოებები იმაზე მიუთითებენ, რომ ისინი ამ საქმეში შინაცდამიძე გამოფულნი ვერ იყვნენ. რაც შეეხება ჯამანვიარ ჯალილის ნაწარმოებებს, ჩანს, რომ მან ამ ორ მწერალზე უკეთ იცოდა სპარსული ლექსისა და პოეტური ზერხების ბუნება. პოეზიისადმი ასეთმა გულ-

1 ნეზამ-ოლ-მოლქი — დიდი სელუკების ეგზირი და ავტორი ცნობილი „სიასათ-ნამუსა“ უნიარო-ოლ-შა'ალი „ყაბუს-დემეს“ ავტორი.

ჯრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ პედიათმა და მას'უდმა, და უფრო ნაყლებად ჯალილმა, ვერ შეძლეს სათანადო ყურადღება მიექციათ ბუნების აღწერისათვის, მაშინ როდესაც დიდი მწერლები ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითა და ყურადღებით ეკიდებიან ამ საკითხს. დიდა ის მწერალი, რომელიც ბუნების აღწერისას, მავალითად, ყვავილების, წელიწადის დროთა, დღისა და ღამის, აისისა და დანისის, თოვლისა და წვიმის, შინისა და ქარის, მთვარისა და ვარსკვლავების, ზღვისა და ცის დახატვისას გამოიყენებს ახალ შედარებებსა და ზერხებს. და განა მართო ბუნების აღწერისას? ასეთივე ოსტატობა უნდა გამოიჩინოს პიროვნების დახასიათების, ჩაცმულობის, მიზერა-მოზერის და ადგილ-წესების აღწერისას. ეს კი, სამწუხაროდ, ჩვენს თანამედროვე მწერლობაში იშვიათია. ისინი მტკწილად აშბის მშრალი გადმოცემით კმაყოფილდებიან და გაურბიან მხატვრულ აღწერას. ე. ი. ნაყლებად იხმარება ის, რაც ნაწარმოების მართლ წარმოადგენს. ეს ნაყოფანსაკუთრებულ პედიათს, მას'უდსა და ჯალილის ეხება და იმედია, რომ დანარჩენი მწერლები მაინც მიაქცივენ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს სათანადო ყურადღებას და ეცდებიან, ეს სერიოზული ნაული აღმოებინან.

მოკლენათა ანალიზი და აშბავი მარტივი და გასაგები ენით უნდა გადმოიცეს. დიდი მწერლის სახელს მხოლოდ ის იხვევს, ვინც სასაუბრო ენითა წერს. ასეთი მეთოდი საადისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ ენის სისადავემ ენის გველვარებადმდე არ უნდა მიგვიყვანოს. ენის ნიმუშად გამოყენებული უნდა იქნეს ინტელიგენციის სადა ენა და არა მდამიოთა ვულგარული მტკველება. ჩვენს მრავალ მწერალს ვერ კიდევ არ მოუხდენია ამ თვალსაზრისით დაკვირება. რასაკვირველია, დასაშვებია, რომ მწერალმა თავის ნაწარმოებში დილოგების მხარების დროს მოქმედი პირები შესაფერისი ენით, კუთხური გამოთქმებითა და ფარგონით აღაპარაყოს, მაგრამ იქ, სადაც მწერალი საკუთარ აზრსა და განცდებს გადმოგვცემს, მდა-

ბოთა დამახასიათებელი ენა და სტილი ვერაღებე უნდა გადადოს. ამ მხარეზე ჩვენს ზოგიერთი მწერალიც სცილდას. ეს განსაკუთრებით თარგმანებში შეიმჩნევა, რადგან სხვა ენებში ზოგიერთი გამოთქმისა და იდიომის შესატყვისი ყოველთვის ვერ დაიძებნება. პაფეზის ლექსები სხვა ენებზე ვერ ითარგმნება. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ იგი ისეთ იდიომებს ხმარობს, რომელნიც მხოლოდ სპარსული ენის მონოპოლიას წარმოადგენს, და მათი შესატყვისობების დაძებნა სხვა ენებში ვერ ზერხდება. ასეთი დაბრკოლებები ხშირად იხენს თავს მაშინაც, როცა მწერალი მდამით ენით წერს.

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბო ჩემი შეხედულება თანამედროვე სპარსული ლიტერატურის შესახებ, ეს იქნება: გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ აზროვნების გაქინებისა და აღმაფრენის მხრივ პედიათი ყველაზე მალსა დგას. სპარსული იდიომებისა და თავისებურების გამოყენების თვალსაზრისით უპირატესობა დეპოზოდა უნდა მიენიჭოს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო მაგრამ საყურადღებო ტერალების ზუსტი ანალიზით მაქმედ მას'უდის ნაწარმოებები გამოიჩინეიან.

უბრალო, სადა ჩანადიქრების გადმოცემაში, რომელიც ზოგჯერ ბავშვურ გულუბრველობამდე დადის, მაქმანგირ ჯალილი შეიძლება დაგვაყენოთ წინ. ჯემალხადე, რომელსაც სპარსული ენის გარემოცვაში არ უხდება მოღვიწვობა, რაც უფრო მეტი დრო გადის, მისი წიგნის — „იყო და არა იყო რას“ გამოქვეყნებიდან მით უფროდაუფრო შორდება მშობლიურ ენას, რომელიც მან ირანიდან გაიყოლია. ჩემი აზრით, მისი ყველა ირანში დაბრუნება ჩვენი ლიტერატურისათვის მეტად სასარგებლო იქნებოდა.

აზიან ისეთები, რომელნიც კარგად აზროვნებენ, არიან, ისეთებიც, რომელთა ენა საუბროსოდ იციან, მაგრამ ისეთები, რომელნიც დადებულად აზროვნებენ და საუკეთესოდ წერენ, ძალიან ცოტაა. დიდ მწერლად გახდომა ძალიან ძნელია, თუმცა არც „მეორე მწერლობა“ ითლი საქმე.

თარგმანი სპარსულიდან ნ. ზეპუნისა და
ჯ. გიუნაშვილისა



საღი შირაზელი

თავის ტრაგიკულ სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, 1925 წლის გაზაფხულს, ბაქოში ყოფნის დროს, სერგეი ესენინმა დაამთავრა ლექსების ციკლი საერთო სათაურით „სპარსული მოტივები“. პოეტი ირანში არასდროს არ ყოფილა, არც სპარსული ენა იცოდა. რიზანის ფართო სივრცეების, თეთრი არყის, ცირცელისა და მოთხვის მომღერალმა ისე ღრმად შეიგრძნო ირანის კლასიკური პოეზიის სურსნელება, რომ, ყოველგვარი ფეხბრუნებითი აქსენტარებისა და ყოფა-ცხოვრებითი დეტალების გარეშე, მელოდია და უაღრესად მუსიკალური ლექსები დაგვიხატა „მოთხარის შუიით განათებული შირაზი“, „იასამინფერი ღაშეები“, როდესაც „ტრეტების ჩრდილში ბუღბუღი ვარდს ეხვევა“, გზა, რომლის გასწვრივ „ლაშქრებით ანთებულან ვარდები“, და სხვ. ვარდა ამისა, ლექსების ციკლში ფერმონა საადის პოეზიის იშვიათი ცოდნა ცხადია, ესენინი სარგებლობდა აკად. თ. ვორშის თარგმანების კრებულითა და აკად. ა. კრიშკის ცნობილი წიგნებით, მაგრამ იმ დროს, როდესაც ირანისტების უმრავლესობა საადის პოეზიაზე მხოლოდ დიდაქტიკას ზედად, ესენინმა საოცარი პოეტური ინტელიცენციით იგრძნო საადის ლაზერებსა და უსაიდუმლო აღმანათნური გრძნობის უღიღესი სინაზე და წინ წამოწია სახელოვანი ირანელი პოეტის სწორედ ეს თვისება: „шепот ли, шорох, или шелест — нежность, как песни Саади“. პოეტს შირაზი და სიმღერა ისე განუტყველდა აქვს წარმოდგენილი, რომ მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „თუ სპარსელი ცუდადა თხზავს სიმღერას, ეს მისი ნიშნავს, რომ ის შირაზიდან არაა“.

დღე გოეთე წერდა: „Wer den Dichter will verstehen, mus in Dichters Lande gehen“, ე. ი. ვისაც სურს პოეტის გაგება, ის პოეტის ქვეყანას უნდა ეწვიოსო. მაგრამ გოეთე თავის შესანიშნავ პოეტურ კრებულით — „დასავლური აღმოსავლური დივანი“ (1819), თვითონვე არღვევს ზემოთქმულ დებულებას. გოეთე არ ყოფილა ირანში, ირანის პოეზიას იგი ეცნობოდა ცნობილი მოგზაურის ადამ როლერიუსის (Persianischer Rosenthal, 1775 წ.) და ორიენტალისტის იოზეფ ფონ ჰამერის („Redekünste“, 1818 წ.) წიგნებიდან. აღტაცებული პაივს წერდა გოეთეს „დივანის“ შესახებ, რომ აქ, „ამ სისხლსავე სიმღერებში, აღმოსავლეთის აზროვნება და გრძნობები გამოვლადენებულა“, ეს ლექ-

სები „ისეთი მსუბუქი და წმინდა, ისე ემსგავსება სუნთქვას, ისეთი პაეროვანია, რომ გიკვირს, ნეთუ შესაძლებელია, ასეთი რამ გერმანულ ენაზე“.

გოეთეს „დივანის“ კომენტატორები (კონრად ბურდახი და სხვ.) აღნიშნავენ, რომ ამ კრებულის დაახლოებით თექვსმეტი ლექსის იღვა და აზრის საადის პოეზიიდანაა ნასესხები ან შთაგონებული. მეტადრე ეს ეხება გოეთეს პოეზიისათვის ეტაპურ ლექსს „Selige Sehnsucht“, სადაც, საადის „ბუსთანში“ მოთხრობილი ფარვანასა და სანთელის (ცეცხლის) ამბავით შთაგონებული, გოეთე ატარებს იმ აზრს, რომ სიყვარული სიკვდილზე ძლიერია. საადი წერს „ბუსთანში“ — „სიყვარული ფარვანასავით იწეის ცეცხლში“, და შემდეგ „უცუთესი არაა ფარვანასათვის დაიღუპოს ცეცხლში, ვიდრე შთაიწიას წველიადში, სიკარელესა და სეველადში“. გოეთესთან საადის ეს მოტივი „Flammentod“, ე. ი. ცეცხლში სიკვდილი, სხვა გააზრებას პოულობს: სიყვარული-ენდიგდუმის აღორძინებისა და განახლების ძლიერი სტიმულია. გოეთეს ზემოხსენებულ ლექსში მოცემულია ცნობილი ფორმულა „stirb und werde“, მაგრამ, მაშინ როდესაც საადისთან stirb შთავარა (იმავე „ბუსთანში“, ძაგალითად: „რა უშავს მერე, მე იმისგან (ცეცხლისაგან) თუ დავიწეები?“ ან „მე მოკვნი ვარ და რომ ვიწვი საამო არის“, თარგ. ა. ქელიძისა), გოეთესათვის stirb არ არსებობს werde-ს გარეშე. „მე იმ აზრს თვლი ქეშპირიტ აზრად, — ამბობდა გოეთე, — რომელი ჩემთვის ნაყოფიერია, რომელიც ჩემს აზროვნებას ეთესისება და, იმავე დროს, წინ მბობვებს“. და მართლაც, დღემა პოეტმა მიიღო საადის აზრი, თავისად ჰქცია იგი, მაგრამ, იმავე დროს, ახალი რამ შეიკრა. მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანელ პოეტი სტეფან გორგე ლექსების კრებულში „Der siebente Ring“ (1907) თავისებურად იყენებს საადისა და გოეთეს მოტივს:

„ich bin voll Flamme; mein ganzer Schmerz ist Sehnsucht nur die brennt“ (დაახლოებით: თარგმანი ასეთი იქნება: მე მთლად ცეცხლი ვარ, მთელი ჩემი ტკივილი — გულის წუხილია, ალვიით რომ ანთია). აქ Flamme და Sehnsucht გოეთესებურა, Schmerz — საადისებური (მოვიგონოთ მისი „ჩემი ტკივილის წამალი შენს ბაგეებში“). ასე დასტურდება, გოეთეს აზრი, რომ მხატვრები და მოაზროვნენი საუკუნეების-

გადალახვით ზელს აწვდიან ერთმანეთს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ღივანის“ ერთ-ერთი დღესში ვოვუშ შესანიშნავ აზრს ავითარებს: „ვინც ჰაფეზს იცნობს, ის კალდერონსაც ვაიგებს“, ე. ი. ირანელი პოეტი ჰაფეზი და ესპანელი დრამატურგი კალდერონი — ძმები არიან. ეს საურთიღებო აზრი ვოვუშს უთუოდ ირანელი კლასიკური პოეზიის შესწავლის შედეგად დაეხადა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საადის ცხოვრებასა და შემოქმედებას ვოვუშ გასცნობია ჰამერის წყნის საშუალებით, თავის მხრივ ჰამერი საზღვრობდა ირანელი მეცნიერის დოვლეთ შაის მიერ შედგენილი ბიოგრაფიით. დოვლეთ შაი (გარდა 1495 წ.) ცხოვრობდა პერიაში უკანასკნელ თემურიდის პოსენინ-ბაიყარას დროს. მან შეადგინა თითქმის ყველა ირანელი პოეტის ბიოგრაფიები, დაწვებული მათე საეკენიდან. საადის მან უძღვნა ერთი თავი. ამრიგად, საადი თანაო ბედნიერ აღმოჩნდა, ვიდრე მისი უფროსი უფროსი მემორიუმი შოთა რუსთაველი, რომელსაც თავისი დოვლეთში (ე. ი. ბიოგრაფი) არ ჰყავდა. მაგრამ, როგორც ირანისტები წერენ, დოვლეთშია ბიოგრაფია არამეცნიერულია და არასრული. ამ შემთხვევაში თვითონ საადი ეხმარება ორიენტალისტებს: სახელგანთქმულ პოემებში „ბუსთანში“ და „გოლესთანში“ აქა-იქ გამაწვანებულია ავტობიოგრაფიული ცნობები, რომელთა მიხედვითაც, ძველი და ახალი ირანისტები აღგვანენ საადის ბიოგრაფიის სქემას.

თუ რამდენად მეცნიერულია დოვლეთ შაის ბიოგრაფია, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იგი არცოდნა ნებისმიერად ყოფს საადის ცხოვრებას სამ პერიოდად: „ოცდაათი წელი მოახზარა საადიმ ცოდნის შემქნას, ოცდაათი შეწირა ბეტრიას, რომლის დროსაც დასახლებული მსოფლიოს მთელი მეოთხედი მოიარა, დანარჩენ ოცდაათში, ღვთისმსახურების ნიხზე დაჰქდაძრა, აირჩია ვაზა ღვთისაყენ, სათრკათი“ (იხ. კრმშვი, *История Персии и ее литературы*, III, 391). დოვლეთშიასიხეული დაყოფა საადის ცხოვრებისა სამ პერიოდად გაიზიარა ზოგმა გერმანელმა მეცნიერმა (ე. ბახერი, 3. ვთე და სხვ.), აგრეთვე — ა. კრმშვიმ. ვოვუშს თავისი „ვილკლემ შაისტერა“ რომ არ დაეწერა ჯერ კიდევ 1796 წელს. ვილკლემი, რომ ღიღმა გერმანელმა პოეტმა დოვლეთშიასიხეული პერიოდები გამოიყენა თავისი გმირის ცხოვრებისათვის: die Lehrjahre (სწავლების წლები), die Wanderjahre (მოგზაურობის წლები) და die Meisterjahre (ოსტატობის წლები). მაგრამ ჩვენ ვიცი, რომ ვოვუშე მხოლოდ 1818 წელს პირველად გაეცნო საადის და სხვა ირანელი დიდი პოეტის ცხოვრებას.

გმონი მსოფლიოში არც ერთ პოეტს იმდენი არ უცხოვრია, როგორც საადის. თუ მივიღებთ მხედველობაში ტრადიციულ თარიღებს, 1184 — დაბადების წელი და 1291 — სიკვდილისა, სა-

იღიმ 107 წელს შიადშია. ირანისტებში არსებობს სხვადასხვა აზრი საადის დაბადების თარიღის შესახებ. ა. კრმშვი წერს: „დაახლოებით 1184 წ.“, ს. ოლდენბურგი — „დაახლოებით 1184 წელს“, კ. ჩაიკინის აზრით, „პოეტის დაბადების შესაძლებელი თარიღები მოთავსდებიან 1187 — 1190 წლებს შუა“. ბოლო დროს რუსტამ ალიევა ახალი დებულება წამოაყენა: „საადის დაბადების თარიღი ჩვეულებრივ მე-12 ს. 80-იან წლებს აკუთვნიან. მაგრამ, „გოლესთანში“ არსებული ზოგიერთ მონაცემის მიხედვით, პოეტი დაიბადა ბევრად უფრო გვიან, სახელდობრ, 1203 და 1208 წლებს შუა“ (იხ. P. Алиев. *Саади и его „Гулистан“*, М. 1958 г. გვ. 5). მაგრამ, ჯერ-ერთი, „გოლესთანის“ რომელიც „ზოგიერთ მონაცემზე“ ლამაზაკობს რ. ალიევი, მეორეც, რატომ ასე უფლებებუყოფენ ორიენტალისტები თვითონ საადის ცნობას, რომელიც „ბუსთანის“ მეცხრე თავის დასაწყისშია მოცემული. პოეტი მიმართავს თავის თავს: „ჰაია, რომელიც შევისრულდა სამოცდაათი“. საკვირველია, „ბუსთანში“ და „გოლესთანში“ საადის მიერ მოცემულ სხვა ბიოგრაფიულ ცნობებს ემყარებიან, და ასეთ მნიშვნელოვან ცნობას კი არაფერად თვლიან ან ყურადღებას არ აქცევენ.

მაგალითად, შოთა რუსთაველს რომ ეთქვა „ვეფხისტყაოსანში“, ამ პოემის დაწერის დროს ამა და ამ წელს ვარო, ეს ზომ უძვირფესიან ცნობა იქნებოდა რუსთაველოგისათვის და, გმონი, არავინ არ შეიტანდა ამაში ეჭვს. ამრიგად, საადი „ბუსთანში“ ორ ძვირფას ცნობას აძლევს: 1) „ბუსთანის“ დაწერის თარიღს, სახელდობრ, 655 წელს პიჯარისა, ე. ი. ჩვენი ერის 1257 წელს და 2) რამდენი წლისა იყო იგი, როცა „ბუსთანს“ წერდა. მაშასადამე, ნამდვილი თარიღი საადის დაბადებისა 1187 წელსა.

„ნუნაშიეში სახელმწიფო ზარჯზე ესწავლობდი, მთელი დღე-ღამე ვითხოვლობდი და ვვარჯიშობდი“ — წერს საადი „ბუსთანის“ მეშვიდე თავში. მუსლიმანების უმადლის სასწავლებელი „ნუნაშიე“ სულჯეტიანმა დროს დაარსდა ბაღდადში 1067 წელს. ამ შეკადნიერება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. საადის მასწავლებლები იმ დროისათვის ცნობილი სუფიები იყვნენ. ეტყობა, ახალაზრდა საადი მინდევამინე ძალან არ იწყებდა თავს სწავლით, „გოლესთანის“ მესამე თავში იგი იგონებს, რომ, მიუხედავად მისი მასწავლებლის იბნ-ალ-ჯუჯუის გაფრთხილებისა, საადი მზიარულად ატარებდა დროს, წერდა სატრფილო ლაზელებს, გატაცებული იყო მუსიკით და მხატვრობით. ჩვენ მივეჩვიეთ დიდი მწერლებისა და ფალოსოფოსების კანონიზირებულ პრაქტიკებს, ძნელად რომ ვინმე წარმოვიღებენ, მაგალითად, პეველი თუ მელიცი ნტედენტობის დროს ახალგაზრობის სამ ცნებას მისდევდა „Wein, Weib und gesange“ (ღვინო, ქალები და სიმღერა). ასევე საადის ბაღდადურა

პერიოდ სრულიად არღვევს დიდაქტიკოსისა და პორალისტის კანონზღერებულ პორტრეტს, თუმცა ისაც უნდა ითქვას, რომ მოხუცებულობის დროსაც წერდა საადი ერთიკულ ლექსებს. მაგრამ ამზე ქვემოთ.

ა. კრიშკის მიხედვით, „საადიმ ბაღდადში გაატარა არა მარტო სტუდენტობის წლები. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი კიდევ დიდი ხნით დარჩა ხალაფატის სატახტო ქალაქში“ (III, 393), ს. ოლდენბურგი წერს, რომ ნეზამიეს დამთავრების შემდეგ საადი დაბრუნდა შირაზში, მაგრამ რამდენი ხანი დაყო აქ, უცნობად არ ვიცითო (იხ. „Гулистан“, 1922, გვ. 9). რ. ალიევის აზრით, საადიმ, ეტყობა, ვერ დაამთავრა სასწავლებელი და გაურკვეველი მიზეზების გამო დატოვა ბაღდადი. (გვ. 9). როგორც არ უნდა ყოფილიყო რეალური მდგომარეობა, ერთი რამ ვი ცხადია: საადი შწავლობდა ბაღდადის უმაღლეს სასწავლებელში, და მისი დამთავრების შემდეგ დაბრუნდა შობლიურ შირაზში. და აი, სწორედ ამის შემდეგ ირანში დატრიალდა ის დიდი ნაციონალური კატასტროფა, როდესაც, საადის ხატოვანი სიტყვით, რომ ვთქვათ, „ქვეყანა აიჩინა ისე, ვით ერთიპელის თმა“ და „ადამიანები მგლებს დაემსგავსენ“, 1220 წელს ჩინგისყაენის ურდოები შეესივნენ ირანს.

საერთოდ, საადის ცხოვრების დრო (1167 — 1291) იყო ჯვაროსანთა ომებისა და მონღოლთა შემოსევების დრო. არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი (1160 — 1232) წერდა ამ დროის შესახებ: „აღმოსავლეთიდან გამოჩნდნენ თათარები... და ისეთი საშინელა ამბები ჩაიდინეს, რომ ძნელია დაჯერება. დასავლეთიდან სირიასა და ეგვიპტის დაუკნენ ფრანგები... ვინც კი გადაურჩა თათარსა და ფრანგს, იმთ ერთმანეთის წინააღმდეგ გააშთველეს სმლები და შინაომი ატეხეს“ (იხ. კრიშკი, III, 4). სწორედ ამ დროს მოხდა აღმოსავლეთის სამი დიდი ქალაქის დანგრევა და განადგურება. 1204 წელს „ჯვაროსანთა“ ყაჩაღებმა აიღეს შირაზისა და იმპერიის სატახტო ქალაქი კონსტანტინეპოლი, სამი დღე ვრძელდებოდა ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ვეკხანაღლები და ხანძრები. გაძარცვეს წმ. სოფიის ტაძარი, პანტოკრატორის მონასტერი, ბაბილონთეების ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექციები ცეცხლს მისეს. 20 წლისა იყო საადი, როდესაც ეს საზარელი ამბავი მოვიდა მთელ იმდროინდელ მსოფლიოს. მუსლიმანური სამყაროსათვის უჩვეულო იყო ქრისტიანების (ანუ, როგორც ისინი უწოდებდნენ, ჯვაროსანებს — „ფრანგების“) ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ. აშკარა ვახდა, რომ „წმინდა მიწის“ განთავისუფლება სრულიადაც არ აინტერესებდათ ევროპელ ფეოდალებს. შუასაუკუნეების ევროპა შეესია ანტიკურ აღმოსავლეთს (ბიზანტია, სირია, ეგვიპტე და სხვ.), რომ ზიარებოდა მის ცივილიზაციას. ჯვაროსნულ ლაშქრობის ზურგს

უკან იდგნენ იტალიის სიამაჰო ქალაქები (ვენეცია, გენუა, პიზა), რომელთაც სურდათ აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნებიდან შემოიტანათ კვრთვაში ცივილიზებული ცხოვრების ნივთები. მე-11 — 12 საუკუნეების ევროპაზე აღმოსავლეთმა დიდი გავლენა მოახდინა — როგორც მრეწველობასა და ვაჭრობაზე, ისე სტორიკულ კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაზე; პირველად შემოიტანეს ევროპაში ბრინჯი, საზამთრო, ლიმონი, გარეჯი, ლერწმის შაქარი; იტალიაში დაიწყო აღმოსავლურ ყაიდაზე ისეთი ქსოვილების დამზადება, როგორცაა მუსლინი, ჩითი და სხვ. აღმოსავლეთი — ნობეების წარმოება; ცხელი აბანოების ვაპარტვა (თბილისში, მავალითად, ამ დროს 65 აბანო იყო), და სხვ. რაც შეეხება სტორიკულ კულტურას, ფ. ვენგელის თქმით, „у романских народов стало все более и более укореняться перешедшее от арабов... жизнерадостное свободомыслие. სწორედ ჯვაროსნების ომების დროს გაიფურჩქნა პროვანსალურ-სიცილიური სატრფიალო ლირიკა, პადუასა (1222 წ.) და ნეპოლში (1224 წ.) დაიარსდა უნივერსიტეტები, ფრიდრიხ მეორე პოპსმტოლენემსა მაიწყო მეექვსე ლაშქრობა პალესტინაში (1228 — 1229) და საადი ალბათ მაშინ ჩაუვარდა ჯვაროსნებს ხელში იერუსალიმის ახლოს (იხ. „გოლესთანის“ მეორე თავი: „ფრანგებმა ტყვედ ჩამოგდეს. მიიძღეს ებრაელებთან ერთად ტრიაპოლისის თხარალებში მიწის სამუშაოები მეფარმოება“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა დანტეს პირველი პოეტური ნაწარმოები „Vita nova“ (1283) ფორმის მხრივ „გოლესთანის“ გვაგონებს. როგორც საადის ნაწარმოებში ლექსები ცელონ პროზას და შრიზა ცელის ლექსებს, ასევე დანტეს „ახალი ცხოვრება“ წარმოადგენს პროზისა, სონეტებისა და კანცონების თანამდევრულ ცვლას. ვაგინენით, რომ ასევეა აგებული ინგლისელ ჩოსერის „კენტურებერას მოთხრობები“. ამ „აღმოსავლურ“ ფორმამ სერვანტესის გენიალურ „დონ-კიხოტამდე“ კი მიაღწია. მაგრამ, თუ დანტეს „ახალი ცხოვრებაში“ ჯერ კიდევ ლექსებია დომინანტი, ბოკაჩო სრულიად გაათავისუფლა თავისი „დეკამერონი“ ლექსებისაგან, რითაც გზა გაუხსნა ნოველას, როგორც პროზის დამოუკიდებელ ენარს.

ახლო აღმოსავლეთის კულტურული ცენტრები ამ დროს იყვნენ ბაღდადი, სამარყანდი, კონსტანტინეპოლი, თბილისი... და სწორედ ამ დიდი ქალაქების დანგრევა-განადგურება ზედინდელ მოხდა შეიამებულ საუკუნეში: კონსტანტინეპოლისა 1204 წ., სამარყანდის 1221 წ., თბილისისა 1226 წ. და ბაღდადის 1258 წელს. კონსტანტინეპოლზე უკვე ზემოთ ვთქვით. სამარყანდი (ბიუხედავიდ იშისა, რომ მას 110 ათასიანი ჯარი იცავდა) აღებული იქნა ჩინგის-ყაენის მიერ და მიწისთან გასწორებული. მალე მონღოლები ირანშიც გაჩნდნენ. ა. კრიშკის სიტყვით, მონღოლთა

შემოსევამ და ფარსის ათაბაგის ტახტიდან ჩამოგდება (1226 წ.) აიძულა საადი, დავითებისა-შობლობური შირაზი. „ბუსთანის“ მეხუთე თავში საადი წერს: „თათრის ომი ვნახე ფიცხელი... ვნახე მიწაზე ისრები, ვით ხშირი ღერწმანი, ელვად, როგორც ცეცხლი მათი ღროშაში“. მე მგონია, აქ ა. ბუღიძის თარგმანში კოტაოდენი უზუსტობაა. აქ საადისთან ლაპარაკია არა ისრებზე, არამედ შეუბუზე (პიკი), და ამიტომ არიან ისინი შედარებული „ხშირ ღერწმანთან“. ეს სურათი საადის იმდენად პლასტიკურად აქვს აღწერილი, რომ რამზად-ღინის „მეტადეში“ (1308 — 1314 წწ.) მოთავსებული მინიატურა, — „მონღოლთა მხედრები“ თითქოს საადის „ბუსთანის“ სტრიქონებით არის შეთავსებული (იხ. ბ. დენიკე. Живопись Ирана, 1938 г. სურათი № 11). რაკი ლაპარაკი მხატვრობაზე ჩამოვარდა, აქვე უნდა ითქვას, რომ ქაირის ბაბლიოთეკაში დაცულია „ბუსთანის“ ხელნაწერი, გამოჩენილი ირანელი მხატვრის ბექზადის ოთხი მინიატურით დამკვეთებული. ლეონარდო და ვინჩის თანამედროვე ბექზადი (1455 — 1535/36) ირანული მხატვრობის უდიდეს წარმომადგენელია და მას დასურათული აქვს საადის „ბუსთანის“ 1488 წელს სულთან ჰოსეინ-ბაიყარასათვის (იქვე, იხ. გვ. 91 — 93 და სურათი № 27).

1253 წელს მანგუ-ყაენმა ვაგზანა თავისი ძმა ჰულაგუყანი 50 — 60 ათასიან ჯარით ირანში. საერაოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასანიანთა და საშანიანთა შემდეგ ირანი, როგორც ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო, დადი ზანია აღარ არსებობდა. ასეთი მდგომარეობა გავრცელდა სეფიანთა გამატირებამდე (1502 წ.). ა. შარქას სიტყვებით, გერმანიის შიმართ თქმული, ირანის ამ პერიოდისათვისაც შეიძლება გამოიყენოთ: ეს სამარცხვინო პოლიტიკური და სოციალური ეპოქა ამავე დროს, ირანელი ლიტერატურის დიდი ეპოქა იყო. მართლაც, საშანიანთა დასასრულიდან სეფიანთა გამეფებამდე მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი პოეტები და მწერლები, როგორც იყენენიზად ხაიამი, ჯალალედინი, საადი, ჰაფეზი, ჯამი და სხვ.

ჩინგის-ყაენის შვილიშვილმა ჰულაგუ-ყაენმა 1256 წლიდან თაირიზი გახადა სტატუსო ქალაქად და აქედან განაგებდა მთელ ირანს. თანდათან ზღვებდა ირანში ჩისახლებული მონღოლების ასიმილაცია, მაგრამ პირველი ჰულაგიდები ჯერ არ იყვნენ მუსლიმანები, მხოლოდ ყაზან-ყაენმა (1295 — 1304) მიიღო ისლამი. ეს ფაქტი კი უკვე საადის ეპოქის სცილდება.

მე-12 — 13 საუკუნეებში თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი საეპარქო და კულტურული ცენტრი იყო. 1122 წლიდან, როდესაც დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა თბილისი არაბ-სელჯუკიანთაგან, 104 წლის მანძილზე, თბილისი შვილობიან ცხოვრებას ეწეოდა და მხოლოდ თამარ მეფის გარდაცვალებიდან (1213) ციმბირი წლის შემდეგ მტრული ჯარალდინი

შეესია საქართველოს და 1226 წლის 9 მარტს აიღო თბილისი, რასაც მოჰყვა მდგრადი ცენტრალური-სამხრეთი ქალაქის განადგურება. მარტვი-გლეჯი და ზალხის ელვა. 42 წლის საადი ამ დროს ჯერ კიდევ შირაზში ცხოვრობდა. მართალია, იგი არც ერთ თავის ნაწარმოებში საქართველოსა და ქართველებს არ იხსენიებს (ერთგან „ბუსთანში“ მხოლოდ ვაგზანს ასხენებს), მაგრამ ჯალალედინი ირანშიც სასტიკად ეზიზღებოდათ და ცნობილია, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველებთან სამხედრო კავშირის ვიძიება ირანის ზოგი ოლქის მმართველი და ეს ფაქტი არ შეიძლება საადისთვის ცნობილი არ ყოფილიყო.

საადი მოგზაური არ იყო მოწოდებით, როგორც მავალითად, არაბი ინტელექტი, ან იბრისი, და არც მოგზაურობის წიგნი დამწერა. მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან თითქმის მთელი იმდროინდელი მუსლიმანური სამყარო მოიარა. ვინ იცის, ეს მოგზაურობა-ხეტიალი რომ არა, იქნებ „ბუსთანის“, და „გოლესთანის“, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, როგორც ისინი ჩვენამდე მოღწეულან, არ დამწერილიყო. რამდენი საინტერესო ეპიზოდი ამ მომენტზე თავის მოგზაურობისა აქვს აღწერილი ამ ნაწარმოებებში, მაგრამ ილწერილი არა გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის, არამედ პატარ-პატარა მოთხრობების სახით, რომლებიც აქა-იქ ჩართული აქვს მწერალს თავის შესანიშნავ პოემაში. იმდროინდელი არეული ცხოვრების ფაქტები, მოვლენები და ადამიანები მალაყრად იჭრება საადის „ბუსთანის“ და „გოლესთანის“ ცხოვრების რეალისტური სურათები ერთმანეთს ცვლიან. აი, მავალითად, „გოლესთანის“ მეშვიდე თავში ილწერილია ერთი ეპიზოდი საადის მგზაურობისას ბაზლთან ბაშინის კლდეკრით ინდოეთისაკენ. გზაში მათ ინდოელები დაეცნენ და გაძარცვეს. თავისთავად ეს აშკარა იმ შფოთიანი დროისათვის უჩვეულო არ იყო, მაგრამ საადი შესანიშნავად იყენებს თავისი მოგზაურობის მიერ რაც ცალკეულ ეპიზოდებს, რათა ცხოვრებისათვის გამოსაღებო რჩევა ამ დარღვება მისცეს მკითხველს.

როგორ არის აგებული საადის მოთხრობა? უნდა ითქვას, რომ მწერალი არ იძლევა თანმიმდევრულ დინამიკურ თხრობას, პირიქით, აქ დახატულია ცალკეული სტატეკური სურათები, რომელნიც, ერთ მთლიანობაში მოცემულნი, ქმნიან რეალისტურ მოთხრობას. საადი იშვიათად გვიხატავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, ადამიანის ცხოვრებას პროცესში, მას ნაკლებად აინტერესებს კითხვა „როგორ?“, საადი გვიხატავს ზედიზედ რამდენიმე სიტუაციას ან მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება მისი გმირი. მაგრამ სტატეკური მდგომარეობის ფიქსაცია საადისთან ქმნის ადამიანის ცხოვრების დინამიკურობას. მავალითად, ავიღოთ „ბუსთანის“ მეორე თავიდან ერთი მოთხრობა. აქ ოთხი სიტუა-

ეთა, რომელნიც, ზღვიზედ გადახმულნი, ქმნიან ერთ მთლიან მოთხრობას: 1) ერთმა დერვიშმა დახმარება სთხოვა მდიდარს. მაგრამ უკანასკნელმა მონას უბრძანა, ცემით ვაეგდო იგი; 2) გაეიდა დრო. მდიდარს „განერისხდა წითისონ-ფალი“, დარჩა „მიშველ-ტრეტელი და აღარაყენი შაშველა დამხმარე ხელი“; 3) ყოფილ მდიდარს მონას გამოუჩნდა სხვა მყიდველი, „კაცი გულთბილი, ლობიერი, ბუნებით ქველი“; 4) „სალამო ემზე კარს მიადგა ლექმის მძებნელი“. კაცთ-მოყვარემ უბრძანა თავის მონას, „მიეცა რაზემ იმ უბედურს“, „როგორც კი მონამ მოტყანა მის ლექმაპერი ავეირდა უცემ“, გამოირჩა, რომ პერის მოთხოვნილი ის მდიდარი კაცი ყოფილა, რომელმაც ერთდროს დერვიში (ახლანდელი ბატონი) გააგდო გარეთ; 5) ამის შემდეგ მოდის დანკვა: „ვალის გადახდა საწუთროში ყველას ჯერია“ და სხვ. აი, დაახლოებით თითქმის ყველა ივანე-მოთხრობის სქემა.

საადის ნოველა მეტად განსხვავდება მუსლიმანურ სამყაროში პოპულარული არაბული ნოველისაგან. არაბული ნოველის (მაკამა) შემქმნელი ჰამადანი (968 — 1008) და პარიზი (1054 1122) ერთ პირს აღაპარაკებენ მეორე პირის თავდადასავლის შესახებ. იქმნება მთელი სერია ნოველებისა, სადაც ერთი და იგივე პირი (ისკანდერი — ჰამადანთან, აბუ-ხალიდ-პარიზთან) ყოველთვის ახალ-ახალ როლში გამოდის, აქ ერთი გმირის საშუალებით დახატულია ცხოვრება მთელი თავისი დინამიკურობით. საადითან, და, საერთოდ, სპარსულ ნოველისტიკაში, მოთხრობები არ არიან ერთი გმირის საშუალებით გაერთიანებულნი. ყოველი მოთხრობა იძლევა სხვა მოთხრობებისაგან განსხვავებულ გმირს. აქ ცხოვრების მრავალნაირობა მოცემულია უშუალოდ თხრობაში. ამ ორმა აღმოსავლურმა ნაკადმა განსაზღვრული გავლენა იქონია ევროპული რომანისა და ნოველის შემქმნაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ არაბულმა ნოველამ (მაკამა) შთააგონა ესპანელებს პიკარესკული რომანის შემქმნა (la novela picaresca, плутовской роман).

ზოგან საადი თავისი დროის ადამიანების პორტრეტებს და მათი ცხოვრების ჩანახატებს იძლევა. ფილოთ, მაგალითად, „გოლესთანის“ მესამე თავში დახატული იმდროინდელი ვაჭარ-სპეკულანტის პორტრეტი. იგი 150 აქლემისა და 40 მონის მფლობელია. საადი თვითონ მას აღაპარაკებს თავისი „საქმიანობის“ შესახებ: „მე მინდა წაეიღო სპარსული მინქაფა ჩინეთში, იქ ძალიან ძვირად ფასობს. ჩინეთიდან გავიტან ფაფურის საბერძნეთში, ბერძნულ აბრეშუმს კი—ინდოეთში, ინდოეთის ფოლადს—პალეპოში, პალეპოს შუშას — იემენში და იემენის ქსოვილს — სპარსეთში“. ამის შემდეგ მოდის დანკვა: ასეთ ადამიანები „სიკვდილამდე არ გაძლვნიან არასოდეს“. ამრავად, საადიმ 400 წლით ადრე,

ვიდრე ლაბროერმა თავის „ხასიათებში“ (1688) მოგვცა თავისი დროის ცოცხელი ადამიანების ხასიათები და პორტრეტები:

მოხეტიალე-მოგზაურთა საადი ათასი ცხვად-სხვა პროფესიისა და ხასიათის ხალხს ეცნობოდა. ამ ხანგრძლივი ხეტიალის დროს საადი დაუახლოვდა უბრალო ხალხს და ამ ხალხიდან ნა-სესხები ანდაზებითა და თქმულებებით სავსეა „გოლესთანის“. ბევრა გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გადაიტანა საადიმ, მაგრამ მაინც არასდროს არ დაუკარგავს რწმენა და იმედი. ალბათ, თავისთავს გულსსმობდა საადი, როცა „გოლესთანის“ მეორე თავში მოხეტიალე დერვიშის პორტრეტს-ხატავდა (მომყავს ე. ბერტელსის რუსული თარგმანი, გვ. 42):

Не сижу я на верблюду, но от ноши не ослаб,

Я рабами не владею, но зато и сам не раб.

Скорби лютой я не знаю и привольна жизнь моя,

Славно дышется на воле и легко шагаю я.

ძნელია საადის ხეტიალისა თუ მოგზაურობის მარშრუტის ზუსტი დადგენა. საადიმ მოიარა ირანი, ღანაზე გავლით ჩრდილოეთ ინდოეთში გადასულა, აქედან პომბეისკეთს გაემგზავრა და გუჯრათის ნახევარკუნძულზე ქალაქ სომანათში (სომნათი) მოხვდა, სადაც შეივს ტაძარში ფალოსის ემბლემა იდგა. დიდი თავგადასავლის შემდეგ (იხ. „ბუსთანის“ 8 თავი), ზღვით გავიდა იემენს (ქალაქი სანა), მოიარა პეჯაბი, სირია, (ბააბელე, დამასკო), იერუსალიმთან ჯვაროსნებს ტყვედ ჩაუვარდა („გოლესთანის“ 2 თავი), ინახულა მალბარის ქვეყნები (ჩრდილოეთ აფრიკა) და იონიის სულთანატის (მცირე აზია) გავლით შირაზში დაბრუნდა. ა. კრიშკი ზუსტ თარიღს იძლევა: „საადრ მშობლიურ შირაზში მოხვდა 1256 წელსა“ 111, 397), ს. ოლდენბერგი უფრო ფრთხილია ამ შემთხვევაში: „შირაზში იგი დაბრუნდა, ალბათ, მეცამეტე საუკუნის მხოლოდ ორმოცდაათთან წლებში“ (გვ. 9). ყოველ შემთხვევაში, შირაზში დაბრუნება უნდა მომხდარიყო მონღოლების მიერ ბაღდადის აღებამდე (1258 წლამდე). სეუ-ლითა და წესილით აღსაყვს ელევია უძღვნა პოეტმა ამ ამბავს, ბაღდადი ხომ მისი alma mater და მეორე სამშობლო იყო.

შეშობლიურ შირაზს დაბრუნებული საადი შეუდგა „ბუსთანის“ და „გოლესთანის“ დაწერას. პირველი დაასრულა 1257 წ. მეორე კი 1258 წელს. ერთი შეხედვით, გასაკვირველია, როგორ შეძლო 73 წლის პოეტმა ზღვიზედ ორი ასეთი უზარმაზარი, ამავე დროს, მაღალმატერული და ღრმავაროვანი ნაწარმოების შექმნა. მართლაც განსაკვირვებელი შემოქმედებ-

თი ენერგიით უნდა იყოს დაჯილდოებული ადამიანი! სერგეი ოლენინურის თქმით: „Саади был опытным художником слова, в совершенстве владевшим формой и много уже написавшим; к тому же, он во время странствований вел записи, которые и использовал“ (გვ. 12). უნდა ვიფიქროთ, რომ ვარდა ამისა, საადი ფენომენალური შეხსენარების პატრონი იყო, ამიტომ ასე ცოცხლად აქვს დახატული მთელი ის ამბები, რაც მას გადახდა ხეტიალის დროს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი როლი შემთხვევა, როდესაც შჳერის მიერ ერთ დროს მიღებული მძლავრი და დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება თავის ლიტერატურულ დამუშავებას ხშირად ათეული წლების შემდეგ პოულობს. გავიხსენოთ თუნდაც ლ. ტოლსტოი: თბილისში 1851 წელს ყოფნის დროს მოსმენილი ჰაჯი-მურატის ამბავი (მწერალს პირადადც უნახავს ნაიბი) მხოლოდ 1899 წელს დეპულობს ლიტერატურულ განხორციელებას, ესე იგი 45 წლის შემდეგ!

„ბუსთანის“ და „გოლესთანის“ უშველბეღმა ზოდებმა იმდენად დაჩრდილეს საადი, როგორც ლირიკოსი, რომ იგი კახიონურ ლიტერატურათმცოდნეობასა და ოფიციალურ სახელმძღვანელოებში შევიდა, როგორც დიდაქტიკოსი უფრო, ვიდრე ლირიკოსი. მაგრამ, საადის ლირიკა სრულიად არ ჩამოეყარებოდა მისი მოძიებების — ომარ ხაიამის და პაფეზის ლირიკას არც ვნებათა ღელვის სიძლიერით, არც ფილოსოფიურ განწყობილებათა სიღრმით. მოვიყვანოთ საადის თურჯიზენდიდან (რეფერენიანი დახედე!) რამდენიმე სტროფი (ბრაზუელი): „ჩემს ფიტრებში არაფერია, შენს ვარდა, ენას მხოლოდ შენი სახელი აყვია; თუ ჩემგან წასვლით სიმწარეს მომგვრი, შენა გახსენება შეპარებით დაიტიკობს ბავეს; შენს საიდუმლოს არავის ვანობ, შენს თვისებებს არავის აუფერ; შენ რომ მტანჯავ, ვინ მიშველის, შენ რომ მიწუნებ, ვინ დამიფარავ; ბრძენი ხმალს არ შეუშევარ თავს, მე კი, ხელა, შენს კარის ზღურბლზე ვდებ თავს; და თუმცა შენ კარებამდე ვერ მივალწვე, ამხუე უკეთეს ვერაფერს მოვიფიქრებ“ და სხვ. ხშირად საადი აღწევს სატრფილო ლირიკის იმ სიმაღლეს, რომლის შესახებ დანტე ამბობდა „სალზინებელში“: „მე ის ვარ, ვისაც შეუძლია სიყვარულის საიდუმლოება სიტყვით გამოთქვას“. ჭაბაროელი პოეტის ომარ იბნ ალ-ფარიდი (1182—1234), რომელსაც ევროპელმა ორიენტალისტებმა „არაბული დანტე“ შეარქვეს, თავის ლირიკაში ხორცილო, ამქვეყნიური სიყვარული ამაყეს ღვთის-ადში სიყვარულის სიმაღლემდე, ასევე იქცევა მისი თანამედროვე საადი. გაიგოს რამდენიმე ხანი და ახალგაზრდა დანტე თავის სატრფოს მაღონას უწოდებს.

შეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ, ვერაფრადებული „სასიამოვნო“ დახედეებს“ (თეიბათ) გვერდით, საადი წერდა „ქაბლანოს“ (სახუმარო შეჯლისები) და „პეებისას“ (უხამ-სობანი ანუ უწამურობანი). „პეებისას“ დახედეებით 40 ვროტეულ ლექსებისაგან შედგება. ზოგიერთი შათგანი, ორიენტალისტების თქმით, პირნოგრაფიასაც შეიცავს. ამიტომაც, რომ „პეებისასი“ თითქმის არც ერთ ვეროტულ ენაზე არაა თარგმნილი. ე. ბრუნე წერს, რომ საადის ნაწარმოებებში «найдешь и самое высокое, и самое низменное, и самое утонченное, и самое грубое, вычитаешь мысли, достояние с одной стороны Эхкардта и Фомы Кемпийского, а с другой стороны Цезаря Борджа и Хелногабала (კრამსკი, III, 403).

მაგრამ, საადი ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, დიდი პეზინისტია, რომლის აფორისტული თქმები „ბუსთანისა“ და „გოლესთანისა“ მრავლად გახსენელი, დღესაც აქტიურად ელერს. ჩვენ ვაყიოთ რა ძლიერი იყო ამ მხრივ შათა რუსთაველი. თითქოს „ვეფხისტყაოსნიდან“ ჰქონდეს საადის ამოწერილი: „лучше умереть с честью, чем жить в позоре“ (იხ. „გოლესთანის“ ე. ბერტელსის თარგმანი). საადი შვეიცილიანი ციტირების მომხრეა: „ტუბილი თათბირით საქმე კარგად თუ მოგვარდება, მტერთან ზაიე სჯობს, ვიდრე ომის გამოცხადება,“ — ამბობს საადი „ბუსთანში“, და თან დასძენს: „და თუ ფანდები ამოსწურე მტერთან ყოველი, მაშინ დრო არის, უკვე ხმალზე იტაკო ხელი“ (ა. პე-ლიძის თარგმანი). მოვიყვანოთ კიდევ საადის რამდენიმე აფორიზმი „გოლესთანისა“: „ვიცე შეცინებება შეისწავლა და საქმეში ვერ გამოიყენა იგივეა, რომ ხარა ხენამა არ შეიცილო და მარცვალი კი არ დათესო“; „რაც ჩქარა გაცეთდება, ის დიდხანს ვერ იარსებებს“ და სხვ.

საადის ძალიან უყვარდა ვარდი. ერთხელ საადის ბალში მისმა მეგობარმა დაკრიფა ვარდი, და აპირებდა ქალაქში წასატან. საადი უთხრა მეგობარს, რომ ვარდი რომელიც მას მიაქვს ქალაქში, და ის ვარდი, რომელიც დაჩაბა ბალში, მალე დაქენება და რომ მას შეუძლია შექმნას ისეთი ვარდნარი, სადაც არც ერთი ვარდი არ დაქენება, და შემოდგომის ქარი ვერ გაუფრთავს გაზაფხულის სიხარულს. მართლაც, საადი შექმნა ისეთი ვარდნარი (თავისი შემოქმედება), რომლის ფურცლები არასოდეს დაქენება. ამიტომაც, რომ შვეიცილიანის მსოფლიო საბჭოს წინადადებით წელს მთელმა კაცობრიობამ აღნიშნა საადის „გოლესთანის“ 700 წლისთავი, როგორც დიდი საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენა.



მუღკ რაჭ უნანდი

თანამედროვე ინდოელ მწერალთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გ. მოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი მულკ რაჯ ანანდი. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის პერიოდში, როდესაც თავი იჩინა ახალმა ლიტერატურულმა მიმართულებამ და რომანებსა და მოთხრობებში გამოჩნდნენ ახალი გმირები გლეხთა და მუშათა მასებიდან, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში. ანანდმა თავიდანვე დაიკავა ერთგონი წამყვანი ადგილი რ. თავორის, პრემიანდის, შ. რაჯარჯის და სხვათა გვერდით.

საუკუნეთა მანძილზე ბრძოლა მშვიდობის-მოყვარე ინდოელი ხალხი უცხოელი დამპყრობლების, განსაკუთრებით კი ინგლისელების, წინააღმდეგ, რომლებიც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში პარპაშობდნენ ინდოეთში. მათ სურდათ გადაეციათ ინდოელი გლეხი ინგლისელი და ადგილობრივი ბატონების უფროსობის მონად. მათ ჩაღის ფხად გაქონდათ ქვეყნიდან ძვირფასი ინდური კანაფი, ბამბა და ხორბალი. ხშირი ეკონომიური კრიზისები, წყალდიდობა, გვაღვა და სხვა უხედურებანი სოფლიდან ეტყეებოდნენ სულ ახალ და ახალ შილოვნებს.

ანანდი დაუნდობლად ამბობს ინგლისელ კოლონიზატორთა დამპყრობლურ პოლიტიკას, ფეოდალურ გაღმონამთებსა და რელიგიურ ფანატრებს, გვიჩვენებს, თუ როგორ მიიწვება მასების შეგნებაში პროტესტის გრძნობა, როგორ ეთხრება ძირი კასტურ წყობილებას და მასთან დაკავშირებულ ცრუ-რწმენებს. კასტურ წყობილებას, რომელიც ინდოეთს ახსოვს უძველესი დროიდან, არც ერთ ქვეყანაში ისე არ დაუბრია ადამიანის ცხოვრების ყოველი მხარე, როგორც ინდოეთში. მაგრამ კაბატალიზმის სწრაფმა განვითარებამ და ნაციონალური ბრძოლის აღმავლობამ სასიკვდილო ლხვარი ჩასცა კასტურ წყობილებას და მდიდარი ინდოელის ვაჟდნა, მსგავსად მე-19 ს. ქართველი ფეოდალებისა, იზომება ფულით, სიმდიდრით, კაბატალით და არა მისი გვიროვნელი წოდებათა თუ წარმოშობით.

ანანდის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა შემოიყვანა ისე თამამად ყელი ლიტერატურაში. ყელი — ჩინური სიტყვაა, რაც ნიშნავს „მწარე ძალას“, მძიმე და აუტანელი შრომის გავებით. ეს სიტყვა მაშინ შევიდა მრაველი აზიური და ევროპული ენის ლექსიკაში, როცა ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებს ათითასობით ჩინელი მუშა გაყავდათ სამშობლოს გარეთ მძიმე და აუტანელი შრომისათვის; სადაც მათ პირტუყვებით მქეოდნენ და მონეზივით ყიდდნენ. ანანდი დიდი გულისწუხილით წერს მათი ბედშავი ცხოვრების შესახებ, სამშობლოსაგან მოშორებულ ყელი-მუშების შესახებ, რომლებიც „ათასობით იღუპებოდნენ კალიფორნიის ოქროსა და ტრანსილვანიის აღმასის საბადოებში, ბრიტანეთის მალაის კალის მადაროებში, ინდონეზიის შაჭრისა და კუჩუქის პლანტაციებში“... რომელთა „ძელებზე იგებოდა ადამიანის რყინიგზა კარეიში და ამერკველთა ციხე-სიმაგრეები პაეის ქუჩულებზე“...

ანანდს ცნობილმა საბჭოთა პოეტმა ნ. ტიხონოვმა „დიდი ხალხის დიდი შვილი“ უწოდა. ანანდმა დამსახურა ეს. მან მართლაც ბევრი გააკეთა თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, როგორც მწერალმა და მოქალაქემ, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისა და ბედნიერი მომავლისათვის. ამიტომ გასაგებია ის დიდი სიყვარული, რომლითაც ანანდი სარგებლობს ყველგან.

მულკ რაჯ ანანდი დაბადა 1905 წ. 12 დეკემბერს ჩრდილო ინდოეთის პენჯაბის პროვინციის უძველეს ქალაქ პეშავარში, რომელიც მაშინ წარმოადგენდა ინგლისის ძლიერ ციხე-სიმაგრეს ავღანიტანის საზღვარზე. პენჯაბის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1925 წ., იგი მიემგზავრება ინგლისში, სადაც ამთავრებს ლონდონის უნივერსიტეტს. იგი ბრწყინვალედ იცავს დისერტაციას თემაზე „ენის-ფილოსოფია“ და ლეუბოლს სიმარათის ბეალავრის წოდებას, ხოლო 1929 წ. 24 წლის ანანდი ფილოსოფიის დოქტორია. ინგლისში ანანდი დაუახლოვდა რალფ ფოქსს, ჯერ ლინდსეის, ჯან სიმერფილდს, კოლკელდის და სხვა პროგრესულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ანანდი ეცნობა რუსულ და საბჭოთა ლიტერა-

ტრას, განსაკუთრებით კი — გორკის. 1938 წ. იგი ბრუნდება სამშობლოში და მუშაობს ინდური ნაციონალური ლიტერატურის ისეთ გამოჩენილ მწოდებელთან, როგორც არიან ფართოდ ცნობილი პროზაიკოსი კრიშან ჩანდრი, კინორეჟისორი აბმედ აბასი, პოეტი ალი სარდარი და სხვები.

ანანდის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს პროზაულ ენარს — რომანსა და მოთხრობას. თუმცა მან შემოქმედების დასაწყისში საკმაო ხარკი მოუხადა დრეამატურ ლიტერატურას, მაგრამ მალე დაადგა კრიტიკული რეალისმის გზას. ლიტერატურაში ანანდი შემოვიდა მეტად ომპიანად. იგი 1935, 1936, 1937 წწ. სცემს თავის პირველ რომანებს, რომლებიც თემატურად ერთმანეთთან შეიღობა კავშირში არიან. ეს რომანებია: „ხელშეუხებლები“, „უული“ და „ორი ფოთოლი და კვირტი“. ისინი წარმოადგენენ როგორც ტრილოგიის ნაწილებს.

პირველსავე რომანში ახალგაზრდა მწერალი გამოდის მშრომელი ხალხის კომაგად და მოითხოვს „ხელშეუხებელთა“ პოლიტიკური და ადამიანური უფლებების ცნობას, მათი საარსებო პირობების გაუმჯობესებას. ანანდი ილაშქრებს კასტური დაყოფის მთელი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც „დაბალი კლასების წარმომადგენლებს ართმევდა ულემენტარულ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, მათ ზავულებს კი არ რთავდა „მალაი კლასების“ ზავუებთან სწავლის უფლებას. ამიტომაც რომანის მთავარი მოქმედი გმირი ბაქა იძულებულია ზავუებიდანვე ჩაებას შრომის მძიმე ფერხულში. მისი გვარი მიეცუთეებოდა კასტური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს. ეს იყო სობინძრის გამწვანდელთა კასტა. მიუხედავად მძიმე შრომისა, მათი ოჯახი მაინც ძლიერდებოდა სუნთქავდა, სწირად ბაქა და მისი და სობინი მათხოვრობდნენ.

რომანი „უული“ ნამდვილი მხატვრული ტილო ინდოეთის ისეთი სარგებრეო არამისა, როგორც არ ახსოვს სხვა კაპიტალისტურ ქვეყანას. რომანის მოქმედება ეტება 1928-29 წწ. მთავარი გმირი მუნე 13 წლადანვე იძულებულია წავიდეს ლეკმაპურის საშოვნელად. იგი ვადიტანს მუშა-ყულის მწარე ზედღის და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცვდება ტუბერკულოზით. მუნე წარმოშობით „მალაი კასტადან“ არის და დიღანას სწორედ ამის მიუღი ქონდა, რომ გაეღიანა დროებითი უბედურებაში, მაგრამ ცხოვრებამ გაუცრუვა მას იმედები. თავისივე ბედში იგი ხედავს სხვა უფრო „დაბალი“ კასტების წარმომადგენლებს. „მე კასტი ვარ, მაგრამ ღარიბი ვარ, — ფიქრობს იგი. — ზარმაც, ზამანეცი მოსამსახურეები არიან, რადგან ისინიც ჩემსავით ღარიბები არიან არა, — ასკენის მუნე, — კასტის

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არსებობენ მხოლოდ მდიდრები და ღარიბები“. ანანდი გვიხევენს, რომ კასტური გადმოწამების გაქრობასთან ერთად მუნეში იღვინებს კლასობრივი დარღვეულობის გრძობა.

ანანდი ღღის სინათლეზე გამოაქვს იმ მუსლიმან ლიდერთა გამცემლური საქმეები, რომლებმაც თავიანთი სული მიჰყიდეს იმპერიალიზმს. აქ უნდა აღინიშნოს, უბრაველეს ყოვლისა, შეწყატი ალის სახე.

რომანში მთავარი ადგილი უკავია ბომბეის ფიქართა საყოველთაო გაფიცვას, მაგრამ ანანდი ვერ მისცა სწორი შეფასება ბომბეის გმირულ პროლეტარიატს, გამოთქვანა რა იგი უღისცილინო მასად.

ჩვენ რა შეგვიძლია, — მიმართავს ერთი ფიქართაგანი კომუნისტ სადეს, — თქვენ განათლებული ხართ და გაჯობათ სახიხს (სუგეხიანი ვეროქულებს ინდოეთში), ამიტომ თქვენ შეგიძლიათ ებრძოლოთ სხვა სახიხებს. ჩვენ კი ეინა ვართ, რომ პროტესტი ვაწარმოთ“. ასე წარმოგვიდგენს ანანდი 1928-29 წწ. ბომბეის საშუალო მუშას. უნდა ვგვეღისხმოთ, რომ აქ ანანდიმ ისტორიული ასექტში გადატეხა ჩრდილო ინდოეთის შედარებით ჩაობრჩენილი მოძრაობის სახე, რომელიც მისთვის უფრო ნაცნობი იყო.

რომანში სილატაკის სამყაროსთან დაბირისპირებულია ერთი მუქა უცხოელი კოლონიზატორების ფუფუნება. ანანდი გამოქვეთილი პუაეს ამ მხრივ სერ ჯარჯ უაიტის, მისტერ ლიტლის, რ. უაიტის, აგრეთვე ადგილობრივი ბურჟუეების ნატე რამის დამოკერებული სახეები.

რომანის დამსახურებელ უნდა ჩათვალოს ის გატყობნავი, რომ მასში ინდოელი კომუნისტები მარტისი არ არიან ანტიიმპერიალიზატურ ბრძოლაში, მასში ნახევენებია ინდოელი და ინგლისელი კომუნისტების ერთიანი ბრძოლა. ამ მხრივ აღსანიშნავია ინდოელი კომუნისტების — საუდისა და მუხაფის და ინგლისელი ჯეჯსონის სახეები.

ანანდის ამ რომანის გამოცვლა მეტყველებდა ახალი მიმართულების გამოვლინებაზე ინდურ ლიტერატურაში, რაც დაკავშირებული იყო პროლეტარიატის გამოსვლასთან პოლიტიკური ბრძოლის ფართო ასპარეზზე. უნდა აღინიშნოს, რომ რ. თაგორის შემდეგ ინდური ლიტერატურიდან სწორედ ეს რომანი ითარგმნა.

მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება ხელა რომანს „ორი ფოთოლი და კვირტი“. რომანის შინაარსი ცნობილია საბჭოთა მეითხველისათვის აბასი კინო-ფილმ „განჯათი“, რომელიც აგებულია ამ რომანის მოტივზე.

ტრილოგიით, რომელშიაც შედის რომანები „სოფელი“ (1939), „შავი წყლებსათვის“ (1942)

და „მახვილი და ნამგალი“ (1942) ანანდმა შექმნა ინდური საზოგადოების განვითარების ნამდვილი ეპოქა, ტრაილოვია ეხება 1918-22 წწ. ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მთავარი გმირი ლალუ სინგა, რომელსაც ბევრ რამეში ავტობიოგრაფიული ელფერი დასჯარავს — გაივლის ცხოვრების მეტად რთულ გზას და ბოლოს აქტიურად ჩაებმება რევოლუციურ მოძრაობაში. მონაწილეობდა რა პირველ მსოფლიო ომში, ლალუ გაეცნობა ევროპის რევოლუციურ მოძრაობას, რაც დაიწყებებს მის გამოფხიზლებას. და აი, უკრიდან დაბრუნებული ლალუ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მებრძოლი ჰდება. მაგრამ ეს ბრძოლა ტრაილოვიაში მოცემულია როგორც აბორიგინაზიაციური, სტატიური, თუმცა ანანდი ხაზს უსვამს მის უდიდეს ძალას. მოძრაობის სტიქიურობა გამოწვეული იყო რევოლუციური ხელმძღვანელობის, რევოლუციური თეორიის უქონლობის გამო. მაგრამ ამას ავტორი ავსებს კომუნისტი სარშარის სახით, რომელიც წარმოგვიდგება როგორც მარქსისტული თეორიით შეიარაღებული რევოლუციონერი. ტრილოვიის შესამე ნაწილის დასწრება სიმბოლურია. ნამგალი ინდოელი ხალხის მშვიდობიანი შრომის იარაღია, მახვილი კი — დამპყრობელთა იარაღი. მაგრამ, რადგან მშვიდობიანი შრომა ნაციონალური განთავისუფლების შედეგია, მახვილი არა მარტო დაპყრობის, არამედ განთავისუფლების იარაღიცაა. სწორედ ამას ამბობს ერთ-ერთი სტუდენტი რაკევი: „თუცა ინგლისელები აცხადებენ, რომ მათ მახვილით დაიპყრეს ინდოეთი და მახვილითვე შეინარჩუნებენ ძალუფლებას, რატომ ჩვენც არ შეგვიძლია, — ილუფოთებით ლაპარაკობს იგი, — განეცხადოთ, რომ ჩვენც ასევე მახვილით ვიხსნით ინდოეთს?“

1944 წ. გამოდის ანანდის ახალი რომანი „დადი გულ“, რომელიც ეხება ამსტერდამის ხელოსნების ცხოვრებას.

მათ კუსტარულ წარმოებას დაღუპვას უქმნდა „ცივილიზებულითა“ ტემნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული ფაბრიკა-ქარხნებში. ხედავდნენ რა თვითონ შტრის მანქანებში — ამსტერდამელი ხელოსნები დადგნენ

„თავიანთი ინგლისელი წინაპრებების“ გზას და დაიწყეს მანქანების მსხვრევა. იმრომაც აქვს წამმღერებელი რომანის ბაირონის სიტყვები, წარმოთქმული რედიტების დასაცავად ლორიდების პალატაში.

1953 წ. ანანდი წერს რომანს ინდოელ ფოლკლორის ცხოვრების შესახებ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს არის რომანი — „ინდოელი თვადის კერძო ცხოვრება“.

ანანდმა ახლან დაამთავრა ახალი რომანი „კეობრობის მშვენება“, რომელიც მიეძღვნა პენჯაბის გლეხთა მოძრაობას.

ასეთი ანანდის რომანების მოკლე მიმოხილვა ანანდს მიეკუთვნება აგრეთვე მთელი რიგი შრომები ხელოვნებათმცოდნეობაში და ლიტერატურათმცოდნეობაში (მაგ., „პურსიდული ხელოვნება“, „მეხედულებები პინდის ხელოვნებაზე“, „ოქროვანი სუნთქვა“).

ანანდის მუშაობა მარტო ლიტერატურული საქმიანობით როდი შემოიფარგლება. იგი თავისი ქვეყნის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა. უკრ კიდევ 1936 წ. ანანდი პრემ ჩანდრასთან და საჯად ბახანთან ერთად აუალიზებს სრულიად ინდოეთის პროგრესულ მწერართა ასოციაციას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ინდოეთის ხალხის ცხოვრებაში.

ანანდი საბჭოთა კავშირის უერთგულესი მეგობარია. 1948 წ. იგი პირველად იყო საბჭოთა კავშირში, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მის შემდეგ ანანდმა კიდევ უფრო შეიყვარა სსრკ, მისი ხალხები, მისი კულტურა და ხელოვნება. საინტერესო მასალას გვაწვდის ამ შტრეც კობილი საბჭოთა ჟურნალისტი სოფრონივი.

ანანდი ომის შემდგომ სტატიებსა და საჯარო გამოსვლებში გამოდის მშვიდობისა და დემოკრატიის, საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობის დამცველად. დაწყებული კულტურის მოღვაწეთა ვროცლავის კონგრესიდან ანანდის მწექარე ხმა გაისმის უველა საერთაშორისო კონფერენციის, ფესტივლისა და კონგრესის ტრიბუნებიდან — მშვიდობის, ხალხთა ბედნიერი მომავლის დასაცავად.



სონთჰრის თურქეთის წინააღმდეგ სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან

უფრო მეტიც, არაბებმა ესპანეთში შექმნეს ხალხური პოეზიის ლირიული სახესხვაობა, რომელიც შემდეგ კორდოველმა მიხეტილ მენესტრელმა იბნ კუზმანმა (გარდ. 1160 წ.) ლიტერატურული ფორმის სიმალღებზე იყვანა იბნ კუზმანი ადრეული ტრუბადურების თანამედროვე იყო. ლექსის ეს ახალი ფორმა, გ. წ. ზაჯალი და მუეაშშამი ადვილად იმღერებოდა. ამან ქრისტიანი კომპოზიტორების აღტიცება გამოიწვია. მალე ესპანელებმა დი-წყის ლექსების თხზვა ზაჯალისა და მუეაშშამის ზომით. ლექსის პოეზიარული ფორმა ვილანაიყო, რომელიც სამოთხე პიმენტის ტექსტებისათვის იხმარებოდა, მთლიანად ზაჯალი-დან იყო გადმოღებული. როგორც ჩანს, ზაჯალიდანვე იყო გადმოღებული სესტეტის ფორმა. ზაჯალიდან და მუეაშშამთან არის დაკავშირებული პლატონური საყვარელის თემის განვითარება. ეს თემა ზენეტიკისა არაბეთისა და მუსლიმანური საზოგადოებისათვის, სადაც ქალი განკაცდებულ და თითქმის მიუწვდომელია. ამაყარად, არაბების წყალობა იყო, რომ სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში შეიქმნა ქალის კულტი, რომელიც შემდეგ ჩრდილოეთშიც გავრცელდა.

პროვანსული პოეტების ღებუბი მე-11 საუკუნის ბოლოს საყვარელის თემა იყო. ეს თემა იმღებოდა არაბული პოეზიისათვის დამახასიათებელი ფინტასტიკური სახეებით. ამის შემდეგ იწყება ტრუბადურული პოეზიის აყვავება. ტრუბადურები არაბ-მენესტრებელის პოეტური სახეებით სარგებლობდნენ.

ა. რ. ნიკლის გამოკვლევების შემდეგ არავის ეჭვი აღარ ეპარება ესპანეთის არაბული პოეზიისა და პროვანსული ტრუბადურების პოეზიის მიქრო კავშირში. შუა საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო სასიყვარულო რომანს „ოკასენი და ნიკოლეტი“, დამწერელს უცნობი ავტორის მიერ სამხრეთ საფრანგეთში, როგორც ირკვევა, არაბული ორიგინალი ედო საფუძვლად. პოეზიის განვითარება ხალხურიტალიურ ენაზე არაბული პოეზიის განვითარების გზას მიჰყვებოდა. საკარნავალო სიმღერებისა და ზალატების¹ მერტივა ძირითადში მუსლიმანური ესპანეთისა და არაბული აღმოსავლეთის პოეზიის მეტრიკის ემთხვევა. სტანსის ფორმა იტალიური წარმოშობისა, მაგრამ თვით სახელწოდება არაბული სიტყვის „ბაით“ (სტრიქონი) თარგმანია.

ესპანეთში მცხოვრებმა მუსლიმანმა მწერალმა იბნ ტუფაილმა (გარდ. 1185 წ.) შექმნა შუასაუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და ზამაფიქრებელი რომანი. რომანს ეწოდება „ჰაიდ იბნ იაკზან“ — მღვიძარის (ღეისი) ცოცხალი შვილი. რომანის გმირი

ზაქშობიდან ეპატორ ენძელზე ცხოვრობდა, მაგრამ მანაც შექლო ღეთის განხორმერული ხილდა. ამ რომანით მწერალს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ აღმაშენ სხვისი დამხარების გარეშე შექმლია ღეთისა და მაღალი სფეროების შეცნობა. იბნ ტუფაილის თეზისის მიხედვით, რაციონალური და ზებუნებრივი შეძლება დაემთხვეს ერთმანეთს, გონება და ზეშთავრება შეიძლება ერთმანეთს შევეთავსოთ. კოფლიქტი რწმენითა და ინტელექტით შესწინილ ფაქტებს შორის არ არის გარდაევალი. თავისი თანამემამულისა და თანამედროვის იბნ რუშდის (ავეროესი) მსგავსად, იბნ ტუფაილი იმ თეორიის მიმდევარი იყო, რომელსაც ზენე ევოლუციის თეორიის ეწოდებდა. (ღმერთი არ დაეყოფილდა სამყაროს შექმნით. იგი დღესაც განავრცობს სამყაროს სრულყოფას). იბნ ტუფაილის ეს შედეგები 1671 წელს ლათინურად თარგმნა ინგლისელმა ედუარდ პოკოკმა. მეორე ინგლისელმა საიმონ ოკსიმ ეს რომანი ლათინურიდან ინგლისურად თარგმნა. უფრო გვიან რომანი გადაეცემს პოლანდიურ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებზე. იბნ ტუფაილის ნაწარმოები რომანზონ კრუზის პროტოტიპად ითვლება.

არაბული ლიტერატურა მდიდარია ბრძნული სენტენციებით, რომლებიც ამა თუ იმ ფილოსოფოსს ან ბრძენს ეკუთვნის. სენტენციების ერთ-ერთი კრებული შედგენილი იქნა გეგატეში მცხოვრებ სირიელი დიდგვაროვანის იბნ ფათიკის მიერ მე-11 საუკუნის შუა წლებში. კრებული მალე ლათინურად ითარგმნა, ლათინურიდან იგი ფრანგულად, ხოლო ფრანგულიდან კი ინგლისურად თარგმნეს. ინგლისური თარგმანი შესრულებულია გრაფ რივერსის მიერ. ეს იყო პირველი ნაბეჭდი წიგნი ინგლისში. იგი გამოცემული იქნა ვესტმინსტერში ელიანი საესტონის მიერ 1477 წელს. ამ წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. მან მრავალ გამოცემას გაუძლო და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მრავალი თაობის საყვარელ წიგნად იქცა.

არაბული ლიტერატურა მდიდარია, აგრეთვე დიდძალი ერთი ხასიათის ზოთარებებით, ანეკდოტებითა და იგაეებით. არაბულ ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცოდნასთან ერთად დასავლეთში ვრცელდებოდა ეს აღმოსავლური ზღაპრები, ანეკდოტები და არაყები, ისინი ვრცელდებოდნენ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი გზით.

შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურა ვერ შეედრება არაბულ ლიტერატურას მოთხრობების სიმრავლითა და ხარისხით. მოგზაურებმა, მწვლეებებმა და პილიგრამებმა შეავაროეს დიდძალი ლიტერატურული მასალა, რომელსაც შემდეგი დასავლეთი გაეცნო. ლამაზი სახეებითა და განუწერებელი

¹ ზალადის ადრეული იტალიური ფორმა.

სურნელებით შემკულმა დიდაქტიური ღირებულების შქონე არაბულმა მოთხრობებმა ევროპელთა გულწრფელი მოწონება დამსახურეს. ურაცხვი ამოლოცებნი, ფაბლიოები და იგაეს სხვა ფორმები, რომლებიც მე-13 საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდნენ ევროპაში, უტურა მსგავსებას ამდღევანეან თავიანთ აღმოსავლურ ორბელებთან. ცნობილმა იტალიელმა ნოველისტმა ბოკაჩიომ (გარდ. 1375 წ.) თავის ასი ნოველის კრებულში — „დეკამერონში“ შეიტანა ზეპირი წყაროებიდან გაცნობილი ჩამდგომი აღმოსავლური ნოველა.

ჯერ კიდევ 750 წელს არაბებს ჰქონდათ იგავების შესანიშნავი კრებული „ქილილა და დამანას“. ეს იგაეები, რომელთა ავტორად ბიდფასის თელიან, არაბებმა ფალაურებიდან (სამუშაო სპარსული) თარგმნეს. ფალაურად ისინი სამსკრიტადან იყო თარგმნილი. „ქილილა და დამანას“ გვიჩვენებს — ცხოველები გააღამიანებულნი არიან, შთს სურბის უნარი აქვთ. ნაწარმოების მიზანია მკითხველის შეგონება შესაფერისი მაგალითის დახმარებით. მაშინ, როცა ორიგინალის უმეტესი ნაწილი დაიკარგა, არაბული ევრსია შემონახული იქნა და საფუძვლად დაედო ყველა არსებულ ევრსიას, დაახლოებით 40 ენაზე, ისლანდიურისა და მალაურის ჩათვლით. „ქილილა და დამანას“ ადრეული (მე-13 საუკ.) ესპანური თარგმანი აღფონსო ბრძენს ეკუთვნის. ამავე საუკუნეში ეს ნაწარმოები ლათინურად თარგმნეს. ლათონტნი თავს დავალებულად თვლიდა ბიდფასისაგან — ამ აღმოსავლეთის ეზობისაგან.

მახლობელი აღმოსავლეთის ზღაპრების ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან კრებულს „ათას ერთი ღამე“ წარმოადგენს. ამ კრებულს საფუძვლად ედო ძველი სპარსული თხზულება, რომელიც შედგებოდა ინდური წარმოშობის რამდენიმე ზღაპრისაგან. იგი თანდათან გაიზარდა ბერძნული, ეგვიპტური და სირიული ხალხური თქმულებებისა და სხვა თხრობითი ციკლების ზარბაზნად... ათას ერთი ღამე საბოლოოდ კაიროში ჩამოყალიბდა. ეს მოხდა მე-14 ან მე-15 საუკუნეში (მამულუთა ენოქაში). ამ კრებულის პირველი ფრანგული თარგმანი (1704-17 წწ.) შალანს ეკუთვნის. „ათას ერთი ღამე“ უცნაური თავგადასავლების, მდიდარი სსბეებისა და ლამაზი ფერადების წყალობით გზა გაიკაფა აზიისა და ევროპის უმეტესი ქვეყნების ლიტერატურაში. დღეისათვის ამ ნაწარმოების 30-მდე ფრანგული და ინგლისური თარგმანი არსებობს. ინგლისური ენის ქვეყნებში ძნელად თუ შეხვდები ბეშვის, რომელსაც არ წაუკითხოს „სინაბდ-ზღაპრანი“ და „ბაღდადეგი ქერი“. არაბულ ზღაპრებს მოკვნიენ თერქული და სპარსული ზღაპრები და სხვა აღმოსავლური მოთხრობები. შთს დო-

დი წარმატება ჰქონდათ დასავლეთ ევროპაში. ისინი დაესმარნენ ეოლტრასა და სხვა განმანათლებლებს, ეპოვინთ ლიტერატურული ფორმა არსებული სოციალური წყობის დასაცინად და გასაკარტიკებლად.

ტენისონი, დიენსი და სხვა ინგლისელი პოეტები თუ რომანისტები ასე თუ ისე დავალებული იყვნენ „ათას ერთი ღამისაგან“. ამ ნაწარმოებიდან ზოსერის ცენტრბერულ მოთხრობებში, ალბათ ზეპირი გზით, შევიდა „სკვაიერის მონაახრობი“. ერთი ინგლისელი არაბისტის თქმით, „ათას ერთი ღამე“ რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ალბათ „გულივერის მოგზაურობაც“ არ გვექნებოდა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო ძნელად შესამჩნევია, არაბულიდან ნახსებება ლიტერატურული ტექნიკა, ფორმები, შოტივები და იდეები. ყოველივე ამის უდიდესი ღირებულება ჰქონდა, რადგან ემსახურებოდა პორიზონტის გაფართოებას, ფანტაზიის გაშლას, ლიტერატურული დონის ამაღლებას და დასავლური აზროვნების განთავისუფლებას ეიწრო, ტრადიციული, გაკვივებული ფორმებისაგან. უფრო მეტიც: ყველა ეს ლიტერატურული ინფლტრაცია მხოლოდ ნაწილი იყო იმ უფრო ფართო ლიტერატურული მოძრაობისა, რომელსაც შედეგად მოჰყვა მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის მთელი ერთობლიობის შეტანა დასავლეთ სამყაროში. ეს ცოდნა თუმცა არაბული ენის საშუალებით შევიდა დასავლეთში, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ზეპირული, სპარსული და სემიტური წარმოშობისა იყო. გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შესაბამეუბების თვლემისაგან ევროპის ინტელექტუალურ გამოთვალუბაში დიდი როლი ითამაშა არაბულმა მთავარტკიამ, ასტრონომიამ, ბოტანიკამ, მედიცინამ და მეცნიერების სხვა დარგებმა. ამის დასაბუთება ადვილია, მაგრამ ამჟამად ეს არ შეადგენს ჩვენს მიზანს. დასავლეთი არაბული აღმოსავლეთისაგან დიდგადა დავალებული არა მარტო ლიტერატურასა და მეცნიერებაში, არამედ ისეთ დარგებშიც, როგორცაა მრეწველობა და ვაჭრობა. ამის დამამტიციებელია ისეთი ნასესხები სიტყვები, როგორცაა ალგებრა, ალკობოლი, ქიმიკა, ყანდი, შაქარი, ნარინჯი, ღმირი, ყვავა, შერბეთი, სოდა, ზენიტა, მელანია, ატლასი, სატინი, შაფრანი და სხვ. მრავალი.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი მასწავლებლები მახლობელ აღმოსავლეთში შეუდგნენ სკოლებისა, კოლეჯებისა და მთარგმნელთა ბიუროების დაარსებას. ფაქტიურად ეს მხოლოდ ერთი ნაბერწეა იყო ამ ინტელექტუალური კოცონისა, რომელიც მახლობელმა აღმოსავლეთმა დაანთო დასავლეთში.

ინგლისურიდან თარგმნი ა. შიმიშვილიძე.

ზაქი ნაზიზ ბაქაშვილი



„აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი...“

„აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი-დასავლეთი, და ეს წყვილი ვერასოდეს შეიყრება“, თქვა რადიარდ კილინგმა. მისი ნათქვამი სწრაფად გავრცელდა დასავლეთელთა შორის. ეტყობა, დასავლეთში კარგა ხანია გრძნობდნენ განსხვავებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მოსწრებულ ფრაზას ელოდნენ ამ გრძნობის გამოსახატავად. საუფრადღებოა, რომ კილინგმა არა მარტო აღნიშნა სხვაობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არამედ უფრო შორსაც წავიდა და განაცხადა, რომ შეუძლებელია მათი შეხვედრა.

თუმცა კილინგს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდა შორეული აღმოსავლეთი, რამდენადაც ის წერდა ინდოეთზე დაკვირვების საფუძველზე. მაინც ზემომოტანილ ფრაზას ხშირად იხსენიებენ, აგრეთვე, შუა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის განსხვავების მისათითებლად. მე მიმაჩნია, რომ, როგორც ეს ამომწურავი ანალიზიდან ჩანს, შუააღმოსავლეთი ძირითადად იმგვარია თავისი კულტურით, როგორც დასავლეთი.

თუ შუააღმოსავლეთის აზროვნება დასავლეთის აზროვნებისაგან ძირეულად განსხვავებული ვეგერენება, ზემო აზრით, ეს არის განსხვავება დროში და არა ხასიათში. მე მიჭირს დავასახელო შუააღმოსავლეთისათვის ამჟამად დამახასიათებელი რომელიმე ერთი თვისებაც კი, რომელიც არ ყოფილიყოს ტიპური დასავლეთისათვის ამა თუ იმ დროს და ასევე, ძნელია მოიპოვონ დასავლეთისათვის ამჟამად დამახასიათებელი რომელიმე თვისება, რომელიც თავისი ბუნებით უცხო იყოს შუააღმოსავლეთისათვის.

ვითარების ზუსტად გასარკვევად უმჯობე-

სია, პირველ რიგში, განვიხილოთ ზოგი ძირითადი თვისება, რომლებითაც ამ ორ კულტურას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხოლმე.

ერთ-ერთ მთავარ განსხვავებას ხედავენ დასავლეთის მეცნიერულ აზროვნებაში აღმოსავლეთის „მისტიციზმს“ საპირისპიროდ. მეცნიერებასა და მისტიციზმს შორის სხვაობა არსებითად განსაზღვრულია ცოდნის წყაროს ხასიათით, მაშინ როდესაც მეცნიერული ცოდნა დაკვირვებიდან გამოდის, მისტიციზმი ეყრდნობა ინტუიციას, შეგვრძნებებისაგან დამოუკიდებლად. რაყი ის ობიექტი, რომელსაც შეგვრძნებების საშუალებით ვაკვირდებით უნდა იყოს მოცემული დროსა და სივრცეში, ამტომ შეცნიერულად მოაზროვნე პიროვნებას მატერიალისტად თვლიან. ამგვარადვე, მისტიციზმი სპირიტუალისტურადაა მიჩნეული, ვინაიდან ქვეშაობტება, რომელსაც ის შეგვრძნებების ჩარვეის გარეშე, ინტუიციით სწვდება, თავისი ბუნებით უნდა იყოს არამატერიალისტური. აქედან გამომდინარეობს განსხვავება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელთაგან პირველი, ძირითადად, მიანიშნავს მატერიალისტურად, ხოლო მეორე—სპირიტუალისტურად. ასეთ განსხვავებას ორ თვალთახედვის შორის აღასტერებს ის ისტორიული ფაქტი, რომ შუააღმოსავლეთში მოგვეცა სამი მონოთეისტური რელიგია: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, მაშინ როდესაც დასავლეთში, ზოგადად, რომ ვთქვათ, მოგვეცა მეცნიერება.

ასეთი განსხვავების დაშვებას მართებულად მოჰყვება დასკვნა, რომ დასავლეთის აზროვნება არის სისტემატური, ხოლო შუააღმოსავლეთის აზროვნება ფრაგმენტულია და აფეთქებებით მიმდინარეობს. „სისტემა“ არის იმგვარად დაკავშირებულ ქვეშაობტებათა კრებულა, რომელშიაც ერთი ქვეშაობტება შეიძლება გამოიყვანათ მეორისაგან. ამის საუკეთესო მაგალითს ვგვადღეს გეომეტრია წარმოადგენს. ამიტომაც მეცნიერული აზროვნება ნიშნავს დაკვირვებათა შედეგების დაკავშირებას ამგვარი სისტემის სახით, ხოლო მისტიკური და ინტუიციური აზროვნება ფრაგმენტულია, ვინაიდან ინტუიციები ერთმანეთით

სტატია გადმოთარგმნილია ბეირუთის ქურნალიან Middle East Forum (XXXIII, № 6 ივნისი, 1958) ავტორი ქაიროს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორია, ლოგიკური პოზიტინიზმის წარმომადგენელი.

სტატია რეკომენდირებულია გ. ბეი-მამიყონიანის მიერ.

საკაც დამოუკიდებელნი არიან და არ საპიროგ-
ბენ ერთ სისტემად ვაეროიანებას.

ზემოხსენებული განსხვავება დასავლეთის
მეცნიერებასა და აღმოსავლეთის მისტიციზმს
შორის ფაქტურად წარმოადგენს იმ კალაპოტს
საიდანაც გამოიძინარებას სხვა მრავალი
განსხვავება. მეცნიერულად აზროვნებდე —
ნიშნავს, რომ შენი აზრი იწყებს ცალ-
კეულ დაკვირვებათა მონაცემებიდან და შემ-
დეგ თუ შეიძლება ითქვას, მიემართება აღმა,
განზოგადებებისაკენ. სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, მეცნიერული აზროვნება (მე ვგულის-
ხმობ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მ-
თემბატიკის გამოკლებით) არის ინდუქციური,
ხოლო მისტიკური აზროვნება მიემართება ს-
წინააღმდეგე მიმართულებით. იგი ეშვება და-
ლა, იწყებს ინტუიციით წვდომილი კემპარტ-
ბიდან და მისგან დედუქციის გზით გამოჰყავს
ყველა შესაძლებელი დასკვნა. ეს არის დედუ-
ქციური აზროვნება. ამიტომაც თეოლოგია არის
დედუქციური აზროვნება, ვინაიდან ის იწყებს
უდავოდ მიჩნეულ კემპარტბათაგან და გა-
მოყავს მათგან კერძო დასკვნებს.

თუ სწორია, რომ დასავლეთი არის მეცნიე-
რული, ხოლო აღმოსავლეთი — მისტიკური,
მაშინ სწორი იქნება იმის თქმაც, რომ დასა-
ვლეთის აზროვნება არის ინდუქციური, ხოლო
აღმოსავლეთისა კი დედუქციური. ეს როდია
ტრივიალური განსხვავება. ვერაობის რენესანსი
იყო შუასაუკუნეების დედუქციის სრული შეცე-
ლა ინდუქციით. აზროვნების ისტორიაში ფრან-
სის ბეკონის მნიშვნელობა განისაზღვრება მის
ნივთ იმის აღიარებით, რომ თუ დედუქციის
დაცვლად ინდუქციას არ მიემართებოდა სამყაროს
შემეცნებაში, ვერავითარ წარმატებას ვერ მი-
ვალწევოთ.

შეიძლება ყურით მოთრეული მოგვეჩვენოს,
მაგრამ მაინც ლოგაიერია იმის თქმა, რომ
აზროვნების დედუქციური ყადის ხალხი იუ-
ციულებად აღმოჩნდება დესპოტური წყობის
ქვეშ, მაშინ როდესაც ინდუქციური სტრუქტურ-
ის გონებას აქვს მიღრგეილება აქამოს დე-
მოკრატია. ანუ იმიტომ, რომ აბსოლუტური
აბსტრაქციის კატეგორიებით მოაზროვნე ადვი-
ლად ევალუბეზოფის ცალკეულ ინდივიდებს
და განიხილავს მათ არა როგორც თავისთავად
მნიშვნელობის მოვლენებს, არამედ — რო-
გორც მხოლოდ იდეალური კემპარტების შე-
დეგებს. როცა ეს გონებრივი სტრუქტურა
აისახება სოციალურ და პოლიტიკურ სინტემებ-
ში, მაშინ სახელმწიფო ან დესპოტ, ან ვინც
არ უნდა იყოს მმართველი, არის რეალური,
მაშინ როდესაც ინდივიდები, როგორც ასეთ-
ნი, უმნიშვნელონი არიან. და, პირიქით, ინ-
დუქციურად მოაზროვნე გონება, რომელიც
ფაქტობს, რომ შეუძლებელია რაიმე ფსი-
ქიური მოქმედება ცალკეულ და ინდივიდუ-

ლურ მონაცემებზე დაყრდნობის გარეშე, განწყ-
ობილია, ამგვარადვე იფიქროს სოციალური
და პოლიტიკური წყობის ორგანიზაციის ში-
შარათაც. ამგვარად მოაზროვნე პიროვნება
ცნობს ინდივიდუალურის უდიდეს მნიშვნელო-
ბას. სახელმწიფო ან მმართველი ასეთ შემთხ-
ვევაში განიხილება როგორც დამოკიდებული
ინდივიდუალურ მოქალაქეთაგან სავსებით იმავე
მნიშვნელობით, როგორც მეცნიერებაში თეორია
უშუალოდ დამოკიდებულია დაკვირვების ცალ-
კეული მონაცემებიდან.



თუ კემპარტია, რომ დასავლეთი და აღმ-
სავლეთი განსხვავებებიან ერთმანეთისაგან
მსოფლმხედველობით იმის გამო, რომ პირველი
მათგანი მეცნიერულია, ხოლო მეორე მისტი-
კური, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ, მაშინ
ყველა ზემოხსენებულ შედეგს ბუნებრივად
მივიღებთ. მაგრამ საკითხავია, არის კი ეს ძი-
რითადი დაშვება კემპარტია?

შევიათა როგად დასავლეთის ცივილიზაციის
დახასიათება — როგორც „ქრისტიანულის“,
ხოლო შუაღმოსავლეთისა — როგორც „ისლამ-
ურის“. ამიტომაც ეს კონტრასტი უნდა დაე-
ყვანოთ ქრისტიანულ და ისლამურ თეოლოგია-
თა შედარებაზე. თუ ეს ორი თეოლოგია აღ-
მოჩნდება რადიკალად განსხვავებული, მა-
შინ უნდა ვაღიაროთ შესაბამისი განსხვავება
ორ ცივილიზაციასა და ორ მსოფლმხედველო-
ბას შორის. ხოლო, მეორე მხრივ, თუ ორივე
თეოლოგია მსგავსი აღმოჩნდება თითქმის იდენ-
ტურობამდეც კი, ჩვენ სხვა არაფერი დავკრ-
წება, ვარდა იმისა, რომ უარყვით ამოსავალი
დედუქტა ამ ორ შორის-განსხვავების ისე-
ბობის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ,
რომ შუაღმოსავლეთმა წარმოშვა სამი დიდი
რელიგია: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი,
სამივე რელიგია თვისტური და სემიტური
იყო. თუკი ეს, საერთოდ, რაიმეს ნიშნავს, უმ-
თავრესად — მას, რომ ესენი ერთიდაიმავე კულ-
ტურული სამყაროს ნაყოფია ყოველგვარი გან-
სხვავების გარეშე, ვარდა განსხვავებისა დროში
განვითარების მიხედვით. ისლამი გამოჩნდა
ქრისტიანობაზე ექვსზე მეტი საუკუნით გვიან იმ
ჭვეყანაში, რომელიც იყო განსაკუთრებით არა-
ქრისტიანული და არაიუდეური. ის აღმოცენდა
წარმართულ ქვეყანაში, სადაც ქარბობდა კრბ-
თაყვანისმცემლობა და სწორედ ამგვარ კერბ-
თაყვანისმცემლობაზე მიიტანა იეროში ისლამმა.
მაგრამ ისლამი, მიუხედავად იმისა, რომ
ძირითადად იდენტურია იუდაიზმისა და ქრის-
ტიანობისა, განსხვავდებოდა მათგან იქცენით.
მოკლედ რომ ვთქვათ, თუშეცა იუდაიზმს სწამ-
და ერთიანობა ერთი ღმერთისა, იგი წარმოად-
გენდა მას, როგორც რეგიონალურს. ქრის-

ტიანობა მოვიდა, რათა ღმერთის უნივერსალურობა გამოეცხადებინა, მაგრამ საკმარისად არ წამოუწყევია წინ ღმერთის ერთიანობა. ეს იყო ისლამი, რომელმაც შეაერთა ორივე პრინციპი: ერთიანობა ღმერთისა და მისი უნივერსალურობა.

მა ატმოსფეროს ვასაგებად, რომელშიც¹ ისლამი წარმოიშვა, ანდა იმის დასადგენად, თუ რამდენად ახლო მიმართებაშია იგი ქრისტიანობასთან, საჭიროა გავიხსენოთ წინარე-ისლამური პაექრობა, რომელსაც იდგილი ჰქონდა ქრისტიანთა შორის აღმოსავლეთში ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში. განვიხილოთ არიანული პაექრობა ალექსანდრიის სკოლასა და ანტიოქიის (სირიაში) სკოლას შორის. დავა ატყდა ორ სკოლას შორის ქრისტეს ბუნების თაობაზე: რა მიმართებაში იყო იგი ღმერთთან? ამას მოჰყვა, აგრეთვე, დავა ქრისტეს პიროვნებასთან დაკავშირებით: უნდა უოფილიყო იგი განხილული ფსიქოლოგიურად, როგორც ერთი, თუ მეტი ელემენტი?

შეიძებნა საუკუნის თეოლოგები ამ კითხვაზე. პასუხის გაცემისას ევრდნობოდნენ აბისტოტელის ტრადიციულ ფსიქოლოგიას. და, აი, როცა წამოიჭრა პრობლემა ქრისტეს ბუნების შესახებ, ახრიალდა ვიყუო, მაგრამ ორივე მართობებდა აბისტოტელეზე, როგორც ავტორიტეტზე. ამ დავოდას ჰქონდა იდგილი, აგრეთვე, ალექსანდრიისა და ანტიოქიის სკოლებს შორის. ალექსანდრიელი თეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეში შერწყმული იყო რაციონალური და ლეთაებრივი სული. აქედან წარმოდგება მათი სახელწოდება „მონოფიზიტები“, ვინაიდან ისინი განიხილავდნენ ქრისტეს ბუნებას, როგორც განუყოფელ მთლიანობას. ანტიოქიური სკოლა კი ფიქრობდა, რომ ლეთაებრივი ელემენტი არსებობდა ადამიანის რაციონალურ სულთან ერთად, მათი უოველგზარი შერწყმის გარეშე.

ჩვენ გესურს განსაუთრებოთ ალენიწოთ ის გარემოება, რომ ისლამი და ქრისტიანობა იმდენად მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ შეიძლება ისინი განვიხილოთ, როგორც ერთი ხის ორი შტო. პროფესორმა ნორთროპმა თავის წიგნში „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრა“ ცხადყო ეს გარემოება, როდესაც გვაჩვენა, რომ ისლამური თეოლოგია უფრო მეტად ეთანხმება ქრისტიანულს, ვიდრე შუა აღმოსავლეთის თეოლოგიებს. პროფესორმა ტონიმ იგივე შეხედულება უფრო დამაჯერებელი გახადა თავის შრომაში „მსოფლიო და დასავლეთი“, სადაც მან დაადგინა, რომ განსხვავება ისლამსა და ქრისტიანობას შორის გაიკლებით ნაკლებია, ვიდრე განსხვავება თავი ქრისტიანობის ორ რომელიმე განხრას შორის. თუკი ამ აზრს ვაფიქრობთ, მაშინ სრულიად უაზროა დავოთა ორ ცივილიზაციად

— ქრისტიანულად (დასავლეთი) და ისლამურად (შუაღმოსავლეთი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორი არ არის იმის განცხადება, რომ შუაღმოსავლეთი არის განსაკუთრებით მსტიკური, მეცნიერული დასავლეთისაგან განსხვავებით, ორივე იყო ვართული ერთი და იმავე რელიგიური პრობლემებით, შუაღმოსავლეთში აშემადა მეცნიერების ნაკლებობა გამოხატავს ნაპირჩენის განვითარებაში და აზა განსხვავებას აზროვნების ხასიათში.

ამას ვარდა, შეჩერლები ხშირად განასხვავებენ დასავლეთის ცივილიზაციას შუაღმოსავლეთის ცივილიზაციისაგან, აბასითებენ რა პირველს, როგორც ბერძნულ-რომაულს. სასუნებით სწორია, რომ დასავლეთის ცივილიზაციას ძირითადი პრინციპების უმრავლესობა მიღებული აქვს საბერძნეთისა და იტალიის კლასიკური მეშვიდეობიდან. კლასიკურობისაკენ მობრუნება იყო დამახასიათებელი მზარე რენესანსისა. ბერძნული ფილოსოფია, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება წარმოადგენდნენ მთავარ ფაქტორებს დასავლეთის გონებრივ სტრუქტურაში.

მაგრამ მართებულა არაა შუაღმოსავლეთის გამორიცხვა ეულტურის განვითარების ამ ხანიდან. შუაღმოსავლეთის ელენიზაცია მეტიმეტად დაკნინებული იქნა ადამიანთა წარმოდგენაში, შუაღმოსავლეთის, კერძოდ, ეგვიპტის ელენიზაცია იწეება ალექსანდრე დიდის დროიდან. ისტორიული შევლთმა იქნებოდა, თუკი ალექსანდრე მაკედონელს ამ ქვეყნებში ლაშქრობების დროს მხოლოდ მილიტარისტული ზრახვებით აღსივსე ჯარისკაცად წარმოვიდგენდით. ალექსანდრემ თავისი ნამდვილი სიდიადე კულტურულ საფუძველზე დააყრდნობის მისისა უმთავრესად წარმოადგინდა ბერძნული კულტურის გავრცობა. ეგვიპტეში უოუნისას ამონის ტაძარში მისი მისეღა უაღრესად ნიშანდობლივია. ეგვიპტური ლეთაებების თაყვანისცემისას იგი ერთდროულად დღესასწაულადა გარკვეულ დღეებს ბერძნულ სტილში. იგი, ეტყობა, იმდენად ტაქტიანად და ისტატურად ახერხებდა ბერძნული და ეგვიპტური ელემენტების შეთავსებას, რომ ეგვიპტულ ქურუმებს შორის უმაღლეს დაიწყო გავრცელება ლეგენდებმა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე იყო ნაწილობრივ ეგვიპტური წარმოშობისა. ქვეყანას მოედო ამბავი, რომ ის იყო ნამდვილი შოამონიავალი ნაქთანინობის, ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონისა. ნაქთანინო, ამბოდნენ ლეგენდის შემთხვევლები, იყო ჯადოქარი, რომელმაც თავისი თავი გველად გადააქცია. ასეთ გარდაქმნილ მდგომარეობაში იგი შეხებდა შეხვე ფაღად მაკედონელის მეუღლეს და ამ მეხვედრის შედეგი იყო ალექსანდრე. ეგვიპტის უდიდესი ნავთსადგური და სიდიდით მეორე ქალაქი დგას, როგორც უტყუარი მოწმე

ილექსანდრეს ეგვიპტეში მოსვლისა. ეს მან დააარსა 332 წ. ძვ. წ. ქალაქი ალექსანდრია, რომელიც მალე აღმოჩნდა ათენის ბუნებრივი მემკვიდრე ანტიკურ სამყაროში. ალექსანდრიის ქუჩებში, როგორც ინგმა თქვა, აღმოსავლეთი და დასავლეთი შეიკრებიან ერთ კულტურულ მთლიანობად.

მასუდამ, კლასიკოსმა არაბმა ისტორიკოსმა, თქვა: „იმპერატორმა აფგუსტუსმა გადაიტანა ბერძნული ფილოსოფია ათენიდან ალექსანდრიასა და რომში. შემდგომში თეოდოსმა დაბურთა სკოლები რომში და ალექსანდრია ბერძნული სამყაროს განათლების ცენტრად გადააქცია ალექსანდრია თანდათანობით იქცა ბერძნული ფილოსოფიის მთავარ კერად. ათენის უდიდესი პროფეტული სკოლები — მე მხედველობაში მაქვს პლატონისა და არისტოტელის ხანა — შემდეგ თითქმის უმალ ფეხს იკადგებს ნეოპლატონიზმი, რომელიც დამთლოს ჩამოყალიბდა სკოლად ალექსანდრიაში. ეს სკოლა მალე იქცა ქრისტიანული და ისლამური თეოლოგიების ბერჯად. ეს არის უდიდესად ნიშანდობლივი ფაქტი, რომელიც უდიდოდ მიუთითებს ქრისტიანობასა და ისლამიზმს შორის ძლიერ მსგავსებაზე. ორივე რელიგია გამოდის ერთი და იმავე წყაროებიდან მათი თეოლოგიების შექმნისას.

ეს-ზე არის ხსენებული ფილოსოფიის ალექსანდრიული სკოლა იყო ნეოპლატონური სკოლა, რომელშიც მთავარ ფიგურას პლოტინი წარმოადგენდა (გარდ. 269 წ. ძვ. წ.). პლოტინისეული ნეოპლატონიზმი ბატონობდა იმ პერიოდში, როდესაც ალექსანდრიის ქრისტიანებმა ფილოსოფიასთან დეკლემარება იწყეს. პირველი გამორჩენილი ალექსანდრელი ქრისტიანი, რომელიც შეეცადა, შეგრძობინა ფილოსოფია და ქრისტიანული თეოლოგია, იყო კლემენტი ალექსანდრიელი. შემდეგი დიდი ლიდერი ალექსანდრიული ქრისტიანული აზროვნებისა იყო ორიგენა, რომელიც აზრებული იყო ალექსანდრიიდან სირიაში წასულიყო, სადაც მან დააარსა სკოლა ალექსანდრიის ყაიდაზე. ეს უკანასკნელი სკოლა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ისლამური აზროვნებისა. ქრისტიანობა ალექსანდრიაში თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით შეფუთვას ელენისტურ კულტურას, როცა მან გადაკვეთა ზღვა ევროპისაკენ. მას უკვე მიღებული ჰქონდა მისი თეოლოგიური ფორმა. მოციხსენივ ყოველივე ეს განსაკუთრებით იმ ფაქტის ხაზგასასმელად, რომ ელენიზმი ეგვიპტეში საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. ელენიზმით გაყვანილია როგორც ქრისტიანობა, ისევე ისლამი.

ისლამის ფილოსოფიური აზროვნების არსა

მდგომარეობდა იმაში, რომ მან ევროპის გადასცა ბერძნული ფილოსოფია. შეიძლება დასავლეთში ბერძნულ არ იყო დღეს, რომ აღსაქმელ მუსლიმანობის ეპოქაში (8 საუკ.) თითქმის მთელი ბერძნული კულტურა ოფიციალურად თარგმნილ იქნა არაბულ ენაზე. იმდროინდელი კულტურის შეტანა არაბულ სამყაროში შედიოდა მშართველობის როგორც კერძო, ისევე სახელმწიფოებრივ ინტერესებში. აქნდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში დაბრუნდა ეს კულტურა არაბ მოაზროვნეთა ვრცელი კომენტარებით. ეს გადასვლა ბერძნულიდან არაბულზე და შემდეგ არაბულიდან — ლათინურზე კარგადაა ცნობილი შეასაუკუნეების შემსწავლელ დამწებებთათვისაც კი.

შეასაუკუნეების მანძილზე ევროპა ხასიათდებოდა გარკვეული დიკატულიებით, რომელთა მთელი ერთობლიობა ქმნიდა შეასაუკუნეების აზროვნებას. რენესანსი წარმოადგენდა ახალი კულტურული ქარვის შეცვლას ძველით. მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც შეასაუკუნეებრივი, ისევე თანამედროვე მსოფლმხედველობა თანხარად შეადგენდა დასავლეთის ცივილიზაციის არსს. რენესანსის „დასავლეთი“ ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა. იგი იყო მხოლოდ აღორძინება, როგორც ამაზე თვით სიტყვა „რენესანსი“ მიუთითებს.

ამჟამად მწერლებსა და ისტორიკოსებს შორის მიღებული იმგვარი ლაპარაკი დასავლეთის მიერ შეაღმოსავლეთის ბიძგებზე, რომ შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქმის რაღაც სრულიად უცხო შეაღმოსავლეთის აზროვნებისათვის შემოიჭრა ამ აზროვნებაში დამოახდინა მისი რეველუცია. ამ „ბიძგს“ ხშირად უკავშირებენ ნაპოლეონის 1798 წ. ეგვიპტეში ლაშქრობას. უდავოა, რომ უშუალოდ საფრანგეთის ლაშქრობის შედეგად ეგვიპტე იწყებს თავისი ხანგრძლივი ისტორიის ახალ ფაზას მე-19 საუკუნის დასაწყისში. მაგრამ, რაკი ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ძველი თითქმის იდენტური იყო ევროპაში შეასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობიდან ახალზე გადასვლისა, ჩვენ შეგვიძლია დავაცენათ, რომ ის იმდენად დასავლეთის აღმოსავლეთზე შეტევის შედეგი კი არ იყო, რამდენადც ისტორიული განვითარების ერთი პერიოდის მხარეზე გადასვლა. შეაღმოსავლეთში ეს გადასვლა მოხდა ორი საუკუნით გვიან, ვიდრე ევროპაში. მაგრამ, მოუხედავად ამისა, გადასვლის ბუნება იგივე იყო. თუ მისაღებია, რომ ელემენტთა მთელ ერთობლიობას „დასავლური ცივილიზაცია“ ეწოდოს, მაშინ იგივე სახელი უნდა დეკარქვით ელემენტთა მსგავს წყებას შეაღმოსავლეთში.



პაპი წერიტელი და აზერბაიჯანი

აქაი წერიტელი იყო ხალხთა, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი. თავის ნაწარმოებებსა და საჯარო გამოსვლებში იგი არა ერთხელ მოიგონებდა ამიერკავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრებს. დიდი პატივისცემითა და ყურადღებით ვმცნოდა აქაი სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა კულტურას. მისი ახლოველი მეგობარი იყო მე-19 საუკუნის სომხეთის პროგრესული მწერალი, დრამატურგი გაბრიელ სენდუციანი.

თავის განსვენებული მეგობრის გ. სენდუციანისადმი მიძღვნილ ლექსში აქაი დარწმუნებით ლაპარაკობს სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობის შესახებ.

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მეგამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შეილა ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა.

აქ წერიტელი, ამ ლექსებში თავისი ჩვეული პოეტური ოსტატობით უმღერის, აგრეთვე კავკასიის ხალხთა მეგობრობას. „მედიდრო კავკასიად“, ამ „აუყვებულმა მხარემ გამოგვზარდა ყოველი ჩვეთაგანი“, სამაყუთ ამბობს პოეტი.

ჩვენი ხალხების საუკეთესო წარმომადგენლებისათვის ძვირფასი იყო ამიერკავკასიის ხალხების ეს ტრადიციული მეგობრობა. ამიტომაც ამიერკავკასიის ხალხთა მოწინავე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ერთობლივად იცავდნენ ამ მეგობრობის ყოველგვარი მტრული თევდასხმისაგან.

სომხური გაზეთი „მშაქა“, რომელიც მე-19 საუკუნეში გამოდიოდა, იცავდა სომხეთის ბურჟუაზიის ინტერესებს, მტრულად იყო განწყობილი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისადმი. უკრ კადეც 1876 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში აღზარდილი, გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი პირველი აზერბაიჯანელი გაზეთის „ეკინის“ („გუთნის დედა“) ორგანიზატორი პასანბეკ ზარდაბი თავისი გაზეთის ფურცლებზე კრიტიკულად გამოვიდა „მშაქას“ შოიონისტური პოზიციის წინააღმდეგ, იცავდა რა ხალხთა მეგობრობის იდეას.

დიდი ქართველი მწერალი აქ წერიტელიც

აქტივობა გაზეთ „მშაქას“ მტრულ პოზიციას.

თავის მხატვრულ ნაწარმოებებში აქ წერიტელი ამხელდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზტებს; მხურვალედ იცავდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების კულტურულ ერთიანობას.

აქ წერიტლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლექსი „რჩევა“, რომელიც დაწერილია სომეხ-თათართა შეჯახებების დროს.

ი. სტალინი თბილისის კომიტეტის რსდმპ ერთ-ერთ პროკლამაციაში აღთხოილებდა ამიერკავკასიის ხალხებს — „იყავით ფხიზლად, თქვენ, სომეხო, თათრებო, ქართველებო, რუსებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროდ დაიარაზეთ და მთავრობის ცდებზე — გაათიშონ თქვენ — ერთსულოვნად უპასუხეთ: ძირს შეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა ძობას!“ 1.

ლექსში „რჩევა“ აქ წერიტელი, უფროსილღებოდა რა ამიერკავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, მოუწოდებდა აზერბაიჯანელებსა და სომეხებს, შეეწყვიტათ მათთვის დამღუპველი მტრობა, გაეწოდებინათ ერთმანეთისათვის ძმური ხელი.

გაივდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი შეივით მჭურადა!
ნუ შესკვრიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა...

შემდეგ იგი ლექსში მტკიცე რწმენით მოუწოდებდა მოძვე ხალხებს ერთობისაკენ.

შვერდილით, ძმებო! შერიგდიო!
ხელი ხელს შეივით მჭურადა
და მტერს დაუხედიოთ გარეშეს
თამამად... ვაკაცურადა.

როგორ ეთანხმება აქ წერიტლის მომწოდებელი ლექსი მე-20 საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტ-სატირიკოსის საბირის ლექსს — „ინტერნაციონალს“, „მუსულმანი და სომეხი მოქალაქეებისადმი“, რომელიც აგრეთვე დაწერილია სომეხ-აზერბაიჯანელთა სისხლისმღვრელი შეჯახებების გამო:

ორ მუხობელს, ორ მეგობარს ერთი ქვეყნის
 მიწით შობილს
 ოლითგანეე არ ახსოვდა მტრობის მწარე
 ქარაშოტი.
 მაგრამ ცეცხლი დანთებულა შავი ხელით
 სატანისა,
 სოფლები და ქალაქები შედლის კვალია
 გადანისლა.
 შემოქმედო, რაღას უდიო? ჩვენი მხარე
 დაიხსენი,
 მუკერმეტყველნიო თქვენი სიტყვის ელვარება
 გაიხსენეთ
 ეამი დაღდა, აღამაღლოთ მეგობრობა, ძმობა
 ჩვენი.

აჯაკი წერეთელი დიდი ყურადღებით ეპყრო-
 ბოდა აზერბაიჯანს, მის ხალხს და მის კულ-
 ტურას. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში,
 როდესაც აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე
 სწავლობდა, პოეტი ვეფხვამოდა აზერბაიჯა-
 ნულ ენას.

სოფ. სხვიტორში, აჯაკი წერეთლის ბიბლიო-
 თეკაში, პოეტის ოთახში, ყოველ თაროზე ბე-
 ლისისკის, პისარევის, პუშკინის, შევჩენკოს ნა-
 წარმოებების გვერდით ვხვდებით დიდი აზერ-
 ბაიჯანელი მწერალ-დრამატურგის მ. ფ. ახუნ-
 დოვის კომედიებსაც და შემთხვევითი როდია,
 რომ ახუნდოვის ნაწარმოებების პირველი მთარ-
 გმნელი ქართულ ენაზე სწორედ აჯ. წერეთელი
 იყო.

1897 წელს აჯ. წერეთელმა თარგმნა მ. ფ.
 ახუნდოვის კომედია „ლენქორანის სახანოს ვე-
 ზირი“.

აჯ. წერეთელი აღბეც იყო დინტერესებუ-
 ლი ახუნდოვის შემოქმედებით. ჯერ კიდევ
 1887 წელს ვახუთ „ივერიაში“ მოთავსებულ
 იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჯ. წერე-
 თელმა დაიწყო აზერბაიჯანელი მწერლის მ. ფ.
 ახუნდოვის პიესის „შირაალის“ თარგმნა.
 ამის შესახებ ვახუთი „ივერია“ წერდა, რომ
 „დრამატურგმა საზოგადოებამ გადასცა ქარ-
 თულ ენაზე სათარგმნელად ჩამდენიმე პიე-
 სა... მ. ფ. ახუნდოვის „შირაალი“-ს სპარსულ-
 დან თარგმნის აჯაკიო“. რადგან არ არის აღ-
 მოჩენილი ახუნდოვის არც ასეთი პიესა და
 არც თარგმანი, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძ-
 ლებლობას ვილაპარაკოთ მის შესახებ. ყოველ
 შემთხვევაში, ეს იმას ნიშნავს, რომ აჯ. წერე-
 თელი დინტერესებულ იყო ახუნდოვის შე-
 მოქმედებით და აპირებდა მის თარგმნას უფრო
 აღრცეც. ასე რომ, 1897 წელს აჯ. წერეთელმა
 თარგმნა პიესა „ლენქორანის სახანოს ვეზირი“,
 „ხანის ვეზირის“ სათურით და მოათავსა
 თავის ყოველთვიურ ჟურნალ „კრებულში“ 1898
 წლის მე-7 ნომერში. თარგმანის შენიშვნაში
 აჯ. წერეთელი წერდა: „პიესის ავტორი მ. ფ.
 ახუნდოვი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზ-

ზე ვორონოვის დროს, ჩვენს გიორგი ერის-
 თავთან ერთად. გამოიჩინა დიდი ქრებულ-
 მის ნაწარმოებებში, როგორც „საქარაშოტი“
 ისახა აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრება“.

ამ პიესის თარგმნითა და გამოქვეყნებით,
 ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა მნიშვნე-
 ლივანი წელიღი შეიტანა ორი მოძვე ხალხის
 კულტურას დაახლოების საქმეში.

1898 წელს მ. ფ. ახუნდოვის ეს პიესა, აჯ.
 წერეთლის თარგმანით, დადგმული იქნა ქარ-
 თულ სცენაზე. პიესას დიდი წარმატება ხედა
 წილად, სპექტაკლის დამოყრების შემდეგ მა-
 ყურებელმა მოითხოვა ავტორი. მაშინ სცენა-
 ზე გამოვიდა თეატრის მოკარნახე და განუ-
 ცხადა მაყურებლებს, რომ პიესის ავტორია
 აზერბაიჯანელი მწერალი მ. ფ. ახუნდოვი,
 რომელიც დიდი ხანია რაც გადრიაციკლაო,
 აჯ. წერეთელი კი ამ პიესის მთარგმნელიო.

ეს ვაფგებრობა აი, რატომ მოხდა ქართულ
 თეატრში შემოხობდა ერთი გადაწყვიტი ქალი —
 ელენე ანტონოვსკაია, რომელიც ერთდროე-
 ლად მსახობაოც იყო. როდესაც აჯაკიმ თარგმ-
 ნა პიესა „ლენქორანის სახანოს ვეზირი“, ვა-
 დასაწერად გადასცა ე. ანტონოვსკაიას. ამ
 დროს მიღებულ იყო მსახობებისათვის ბენე-
 ფისის გამართვა, მატერიალური მხარდაჭერის
 მიზნით. მორიგი ბენეფისი იმართებოდა თეატ-
 რის მოლარის — სიმონ ყალაბეგიშვილისათვის.
 თეატრში გაერცეულა ხმა, რომ აჯ. წერეთელ-
 მა გადასცა ვიდასაწერად ახალი პიესაო. ვახუთ
 რა ეს ამბავი, ბენეფიციანტმა ძალზე გაიხარა
 და გადაწყვიტა, ეს პიესა დაედგა თავის საბე-
 ნეფისოდ. თვითონ აჯ. წერეთელი მაშინ თბი-
 ლისში არ იყო. თბილისის გაზეთებმა („ივე-
 რია“, „ცნობის ფურცელი“, „ნოვოე ობოზრე-
 ნიე“ და სხვ) დაბეჭდეს ცნობა იმის შესახებ,
 რომ ს. ყალაბეგიშვილის ბენეფისზე ნაჩვენე-
 ბი იქნება აჯ. წერეთლის ახალი პიესა „ხანის
 ვეზირიო“. ვახუთი „ივერია“ წერდა: „დღეს,
 31 იანვარს, ქართულ თეატრში, ქართული დრა-
 მატული ჯგფის მიერ მოლარე ყალაბეგიშვი-
 ლის ბენეფისზე შესდგება წარმოდგენა, ნაჩე-
 ნები იქნება აჯ. წერეთლის „ხანის ვეზირი“.

ამასთან დაკავშირებით, პიესის — „ხანის
 ვეზირის“ დადგმის შემდეგ აჯ. წერეთელმა
 ვახუთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდა წერი-
 ლა, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევდა
 მ. ფ. ახუნდოვის შემოქმედებას.

მოგვიყვას ნაწევები ამ წერტილდან: „ეს პიე-
 სა ეკუთვნის თათრის მწერალს, მირზა-ფაატალს
 ახუნდოეს, რომლის ნაწერები უცხო ენებზე-
 დაც არის ნთარგმნი. ერთს დროს რუსეთის
 მწერლობაოც ყურადღება მიაკეთა და იმ
 დროს შესანიშნავმა კრიტიკოსმა აბოლონ ვრი-
 გორიევიმ. რამდენსაც ცოტათი უყუთ ესმოდა
 ხელოვნება, ვიდრე ზოგაერთს ჩვენებუტს ნა-
 ცარქმეებეს, მოლიერს შეადარა. ეს, რასაკვირ-

ველია, გადაქარბებულია, მაგრამ საზოგადო
 კი ახუნდოვის პიესების ნიჭიერად არიან დაწე-
 რილინი და ისე ნათლადაც გვიხატავენ ჩვენე-
 ბურ თათრების ცხოვრებას, როგორც სარკვეში
 წასახულს რასმე — და ის სიტყვებისა და ცრუ
 აზრების გაზვიადებული ბრახა-ბარუხი, რი-
 მელსაც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ
 ფანია აქვს, მის ნაწერში არსად მოსხანს. რად-
 ფანაც ჩვენ, ქართველები ვერც ამ მწერალს
 გიცნობთ და არც ჩვენის მეზობელ თათრების
 ცხოვრება გვაქვს შესწავლილი, ამიტომ ავიღე
 მეც ახუნდოვის ერთი პიესა „ხანის ვეზირი“
 და სიტყვა-სიტყვით ვადმოვთარგნე“ 1.

აქაი წერეთელი, საქართველოს სხვა გა-
 შირიწილ მწერლებთან ერთად, მთელ ძალ-
 ლონეს ანდამებდა მოამე ხალხის სულიერი
 სიმდიდრის გაცნობას თავისი ხალხის ფართო
 მისებრსათვის. ამით აიხსნება აქ წერეთლის
 ანიციატივაც მ. ფ. ახუნდოვის პიესის თარგმან-
 ის საკითხში. აქ წერეთლისათვის ნათელი
 იყო ახუნდოვის კომედიების შემოქმედებითი
 თვითმყოფობა და ძლიერება. მას განსაყოფე-
 ბით იზიდავდა აზერბაიჯანის ცხოვრებას სე-
 რათათა რეალურად ასახვა.

მ. ფ. ახუნდოვის კომედია აქ წერეთელმა
 თარგმნა რუსული ტექსტიდან, რომელიც გა-
 მოცემული იყო თბილისში 1853 წელს. აქ წე-
 რეთლის თარგმანი ძალიან უახლოვდება ორი-
 გინალს. აქ წერეთელი თარგმანს შემოქმე-
 დებითად შოეიდა. თარგმანს ხანდახან პოეტი
 უმატებს ზოგიერთ წმინდა ქართულ პემორის-
 ტულ გამოთქმას, რაც თარგმანს უფრო ცოც-
 ხალსა და ორიგინალურს ხდის. თარგმანი სავ-
 სებით ვადმოგვცემს დედნის სულსა და
 სტატუსს და ამიტომ არა გვაქვს საფუძველი,
 ვესაუვედუროთ შთარგმნელს ზოგიერთი თავის
 უფლებებისათვის. მ. ფ. ახუნდოვის ამ პიესის
 თარგმნით აქაი წერეთელს სამატიო ადგილი
 უჭირავს ქართულ-აზერბაიჯანელი ლიტერატუ-
 რული ურთიერთობის ისტორიაში.

აქ წერეთლის ინტერესი აზერბაიჯანისა და
 მისი კულტურისადმი მართლედნ ამით რადი
 იფარგლება. პოეტი არა ერთხელ გამგზავრე-
 ბულა ბაქოში და გასცნობია ქალაქის ცხოვ-
 რებას, მის ადგილობრივ მოსახლეობას. ერთ-
 ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მან დაწერა
 ლექსი „ბაქო“, სადაც პოეტი ვადმოგვცემს
 თავის გულწრფელ სიამოთას ბაქოს მეშვებ-
 სადმი. რა შეეძლო სასიხარულო ენახა
 პოეტს ბაქოში? აქ წერეთელი წერს, რომ აქ
 პერში ნათის სური დგასო, სუქმელს ნათის
 სური აქვს, მე რა ექნა, „ჩემო ბაქო, როგორ
 შევაცხოო“.

შემდეგ პოეტი სიამაყით ლაპარაკობს ბაქოს
 ზენებრივ სიმდიდრეზე, მაგრამ სინანულით

აღნიშნავს, რომ ამ უზარმაზარი სიმდიდრის
 მფლობელია რამდენიმე კაცო, რადესაც ათე-
 სები წიწმილობენო.

ამ ლექსში პოეტი ვადმოგვცემს თავის მფლ-
 ვარე და მგრძობარე ვანცდებს და სიამოთ-
 ებს ბაქოს მეშვებისადმი, ამასთანავე, ველის-
 წყრომით იხსენებს მათს მზაგერებებს.

დიდმა ქართველმა პოეტმა აქაი წერეთელმა
 დაიშახურა არა მარტო ქართველი ხალხის
 სიყვარული, იგი პოპულარული და დაფასებუ-
 ლი იყო აგრეთვე აზერბაიჯანშიც.

1908 წლის დეკემბერს, საქართველომ იღლე-
 სასწულა პოეტის ლიტერატურული მოღვა-
 წეობის 50 წლისთავი. ეს დღესასწაული ნა-
 ციონალურ ზეიმად იქცა. საიუბილეო დღესას-
 წაულში მონაწილეობას იღებდნენ დიდი რუსი
 ხალხისა და ამიერკავკასიის ხალხთა პრატრე-
 სული მოღვაწეები.

ამ დღესასწაულში აზერბაიჯანელმა ხალხმა
 გამოამძღვანა თავისი თავი, როგორც ქართვე-
 ლი ხალხის ნამდვილმა მეგობარმა. ყველა გა-
 ზეთი, რომლებიც გამოდიოდა ამ დროს ბაქო-
 ში, იუწყებოდა აქაი წერეთლის დიდებული
 იუბილეს გამო აზერბაიჯანის პრესა აცნობდა
 თავის მკითხველებს პოეტის ცხოვრებასა და
 შემოქმედებას.

მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა დიდებულ
 იუბილარს აზერბაიჯანელმა ლიტერატურის-
 მცოდნემ ფ. ქოჩარლიმ.

სტატიაში „ნაციონალური დღესასწაული“,
 რომელიც დაბეჭდილი იყო აზერბაიჯანულ
 გაზეთ „ტარაგვი“-ში, ფ. ქოჩარლი მალალ შე-
 ფასებას აძლევს აქ წერეთლის დამსახურებას
 თავისი ხალხის წინაშე. იგი წერს: „ორმოცდა-
 თთი წელი ემსახურო ხალხს, ზრდიდ და აღე-
 ვებდე მასში წრფელ და მალალ გრძნობებს,
 პოეტურად ასახავდ ხალხს მომავალს, თა-
 ვის აღწლებს და ბედნიერებას, ემსახურო ხალ-
 ხის ინტერესს, სწავლებასა და სულიერ განვი-
 თარებას — რასაცვირველია, ეს დიდი საქ-
 შეა“ 1.

ავტორი მოუწოდებს აზერბაიჯანის ინტელი-
 გენციას, ემსახუროს თავის ხალხს ისე, რო-
 ვაცო აქაი წერეთელი ემსახურებოდა თავის
 ხალხს. სტატიაში, აგრეთვე, ლაპარაკია იმ დიდ
 სიყვარულზე, რომლითაც უყვარს ქართველ
 ხალხს თავისი პოეტი.

მეორე სტატიაში, რომელიც იმავე გაზეთის
 121-ე ნომერში იყო დაბეჭდილი, ფ. ქოჩარლი
 აცნობს აზერბაიჯანელი მკითხველს აქ წერეთ-
 ლის ნაწარმოებებს. ავტორი შემოხვევით არ
 აღნიშნავს აქ წერეთლის შემოქმედების ძირი-
 თად მოტივად ხალხთა მეგობრობასა და მშო-
 ბას. იგი წერს: „აქაი წერეთლისათვის ძირი-

1 „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 447.

1 გაზეთი „ტარაგვი“, 1908 წ., № 117.

თად და მთავარ თემას წარმომადგენს ძმობა და მეგობრობა. ოცნება მძერ კავშირსა და ხალხთა ერთობაზე აღაფრთოვანებს პოეტს და ფრთებს ასხამს მის მისწრაფებას. მისი მახვილი კალმით იგი ამხელს ამ ხალხთა მეგობრობისა და ერთობის მტრებს, მათ—უნაც თესავს მტრობის თესვს ჩვენ შორის. წერეთლისათვის ყველა ერთგვნება თანასწორია...

ფ. ქობარაძე ერთ-ერთ სტატიასში პარალელს ავლენს ა. წერეთლისა და აზერბაიჯანელი მწერლის სვიდ აზიმ შირვანის შემოქმედებას შორის, ეს უკანასკნელიც თავისი ნაწარმოებებში იცავდა საერთო-საქართველო იდეალებს. სწორედ ამას ხედავს იგი სვიდ აზიმისა და ა. წერეთლის შემოქმედებათა სიახლეს, როცა წერს: „ამ აკაცი წერეთელი გვაგონებს ჩვენს პოეტს ს. ა. შირვანს. მათი ფიქრები და ოცნებაა მთელი კაცობრიობის ბედნიერება, და არა მხოლოდ ერთი ერისა“¹.

სტატიებში, რომლებიც მოთავსებული იყო აზერბაიჯანულ პრესაში, მაღალი შეფასება მისცეს ა. წერეთლის შემოქმედებას. ყოველ სტატიასში ძირფესვიანად იყო გაჩნეული პოეტის ცალკეული ნაწარმოებები და სიტყვა-სიტყვით იყო გადმოცემული მათი შინაარსი. განსაკუთრებით იწონება ფ. ქობარაძე ა. წერეთლის ნაწარმოებებიდან „პატარა კახს“, „მედვას“, „თამარ ცხივირს“, რომლებიც გამსჭვალული არიან ღრმა პატრიოტული გრძობით.

ფ. ქობარაძემ კარგად გაიგო პოეტის შემოქმედება და ამიტომ შეძლო მისი ღირსეულად შეფასება. მან არა ერთი და ორი წერილი დაწერა ქართული ხალხის ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. ფ. ქობარაძე გამსჭვალული იყო ღრმა სიშაბათის გრძობით ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი. ა. წერეთლის იუბილემდე დიდი ხნით ადრე ვახუთ „ტარაგვი“ მოთავსებული იყო აკაცის ღირსი-კული ლექსის „სულეოს“ პროზაულ თარგ-ში. „სულეოს“ დღესაც მღერაან აზერბაიჯანში. ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში.

ა. წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საიუბილეო ზეიმზე თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანელი ხალხთა დელეგაცია. აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლები გულთბილად შეხვალნენ ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლ პოეტს.

აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაური იყო დიდი აზერბაიჯანელი მწერალი, მებრძოლი პუბლიცისტი-ჯალილ მამედყული-ზადე. ქართულ ვახუთ „დარეგამში“ აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურ იუბილარისადმი ვაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან: პატივცემ-

მულ მეკონსან აკაცი წერეთელს. მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარდმხარე ცხოვრებას სანი მეზობელი ხალხი: ქართველი; ქართველი და სომეხი. ბედმა ისინი საუკუნოდ შეაერთა, მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, არა ცდილან, რომ ისანი მეზობლები ყოფილიყვნენ არა მარტო ადვილ-მდებარეობით, არამედ სულიერად და ნათესაურად. ამას ვამბობთ იმიტომ, რომ თვალ-წინ გვიდგას სომეხ-თათართა შეტაკების ის მწვავე დღეები და სისხლისღვრა, რომელსაც სამსავე მეზობელ ხალხისათვის მებრძოლ ცუდი შედეგი მოჰყვა.

ჩვენ, სამივე ხალხი, ახლა მინიც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის მწვავე დღეები დაეიწყებულა, რომ იგი აღარ განმეორდება, რომ შერი, მტრობა და უთანხმოება სამივე ხალხისათვის საზარალო და დამღუბელი. ამ სამივე მეზობელი ხალხისათვის უფრო სისარგებლო და ნათესაური, შეერთდეს და-ხელხელ ჩაიდებულ მიესწრაფოს განათლებას, სინათლეს და კულტურას.

აღფრთოვანებული ამ წმინდა მიზნით, კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება თავის წარმომადგენელთა პირით ვიდრე-ნით სალაშხ და ვისურვებთ ყოველსავე სიკეთეს შექნენ, დიდად პატივცემული თავადო აკაცი, როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო მებრძოლს სამშობლოს აყვავებისა, განათლებისა და ბედნიერებისათვის.

მოვა დრო და საუკეთესო ძალები ამ სამი ხალხისა, რუსეთის სხვა ხალხების საუკეთესო ძალებთან ერთად, ვამეორებენ:

გაუმარჯოს პოეზიას!
გაუმარჯოს განათლებას!
გაუმარჯოს პროგრესს!
გაუმარჯოს ერთობას! 1

ა. წერეთლის იუბილე იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ერთობის დემონსტრაცია, და შემთხვევითი როდი იყო, რომ აზერბაიჯანის დელეგაციის წარმომადგენელი იუბილის დღეს იყო აზერბაიჯანის ხალხის-ერთ-ერთი მოწინავე შეილი, დიდი პუბლიცისტი-ჯალილ მამედყული-ზადე, რომელიც თავის ნაწარმოებებში ჰადავებდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობასა და ერთობას.

ჯ. მამედყული-ზადე თავისი ქერნალის — „მოლა ნასრედინის“ ფურკლებზე ამხელდა-ცარიზმს — როგორც სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მშათა სისხლისმღვრელო-ფურტის ორგანიზატორს. შემთხვევითი არაა ისიც, რომ სწორედ ამ წერილში ამიერკავკასიის ხალხთა ერთ-ერთი პროგრესული შეილოვანი-აქლეს დედ მამედყული-ზადე ამ საკითხის და-ისმის მოწოდება სანი მოძვე ხალხის ვაერთიანებისაკენ. ეს მოწოდება ძალზე გვაგონებს

¹ ვახუთი „ტარაგვი“, 1908, № 121.

¹ „დარეგამი“, 1908, № 24.

ამედევლი-ზადეს კალმით დაწერილ სხვა მოწოდებებს.

აქ წერეთლის პატივსაცემად შემოქმედებითი საღამო გაიმართა, აგრეთვე, ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრში — ბაქოში, სადაც მიწვეული იქნა თვითონ აკაკი. მას მხრვალედ მთესალმუნე კულტურული დაწესებულებებისა და ბაქოს მეშათა წარმომადგენლები.

მისალმებებზე საპასუხო სიტყვით გამოვიდა აქ წერეთელი. მან დიდი მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ ხალხს ასეთი პატივისცემისათვის და მიუთითა აზერბაიჯანელა და ქართველი ხალხების ურყევ მეგობრობაზე.

პოეტს ამბობდა: „უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის, ხანდის-ხან გაუგებრობა ხდებოდა. ახლა შე ძალზე მოხარული ვარ, რადგან როგორც თქვენი სიტყვებიდანაც გამოირკვა, ეს ცეცხლი ჩამქრალია და ჩვენს შორის მეგობრობა მტკიცდება“¹.

ბაქოს საღამო ჩატარდა ინტერნაციონალური სოლიდარობის ნიშნით. საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, ბაქოში მცხოვრები რუსები, სომხები და უკრაინელები. შემთხვევითი როდია, რომ ბაქოში აქ წერეთლის საიტიბილე დღესასწაულის ორგანიზატორი იყო აზერბაიჯანელი ხალხის სახელგანთქანი შვილი, მგზნებარე ბოლშევიკი, ერთ-ერთი 26 კომისართაგანი — ვეშადი აზიზბეკოვი.

თბილისში იუბილეს დღეს მიღებული იქნა შრავალი დებემა ბაქოიდან; ერთ-ერთ მათგანს ზელს აწერდნენ მ. აზიზბეკოვი და აზერბაიჯანელი შერალი ნ. ნარიმანოვი.

ასე გამოხატა აზერბაიჯანელმა ხალხმა თავისი სიყვარულის წრფელი გრძნობა საქართველოს სახალხო პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის დღესასწაულის დღეს.

1915 წლის 26 იანვარს, როდესაც აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, აზერბაიჯანელმა ხალხმა გაიზიარა მწუხარება ქართველი ხალხისა, რომელმაც დაკარგა ერთი საუკეთესო შვილიაგანი. ყველა აზერბაიჯანელი გაზთი აღუყვებდა თავის მკითხველს ამ სამწუხარო დანაკლისს.

აზერბაიჯანის ქალაქებიდან თბილისში მიღებული იქნა უამრავი დებემა, სადაც გამოთქმული იყო ღრმა მწუხარება პოეტის გარდაცვალებას გამო. ბაქოდან გამოგზავნილ ერთ-ერთ დებემაში ვკითხულობთ: „კავკასიის მუსლიმანური პრესა თავის ღრმა სამამარს უთვლის მოძემ ქართველ ხალხს ქართული კეთილშობილური პოეზიის დაუფიყარი შემოქმედისა

და საერთო-საკავკასიო სიყვარულის მალბო იდეალების მომღერლის დაკარგვის გამო, ეს იდეალები წარმოადგენენ ერთდღით საფუძველს მშენიერი კავკასიის ხალხთა გულწრფელი, ძმური თანასწორობისათვის“¹. დებემაში მიღებული იყო ნუხიდან, ელიზაბეტპოლიდან (ახლანდელი ერევანადი), ნახჭევნიდან და აზერბაიჯანის სხვა ქალაქების სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

აზერბაიჯანის პრესაში იბეჭდებოდა წერილები პოეტის შემოქმედების შესახებ, აღნიშნული იყო მისი დამსახურება.

პოეტის დაკრძალვაში მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანელი ხალხის დედეგაცოცა.

სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის დამსახურებული პედაგოგი რაშიდ ბეკ ეფენდიევი, რომელშიაც მან გამოთქვა მწუხარება პოეტის გარდაცვალების გამო. „ო, ჩვენო გულბოლო და კეთილშობილი მეგობრებო, ქართველებო, იმაყეთ ასეთი შეილით, რომელმაც თავისი უკვდავი ნაწარმოებებით აღამალა ქართველი ხალხი — და თუ სტირით მის დაკარგაზე, თქვენი მწუხარებაც განუზომელია, იყოდეთ და გწამდეთ, რომ თქვენს მწუხარებას იზიარებს როგორც კავკასიის, ისე მთელი რუსეთის ყველა მუსლიმანი“².

ამ დღეს აზერბაიჯანელმა ხალხმა გამოამტკიცა თავისი გულწრფელი მეგობრული გრძნობა ქართველი ხალხისა და მისი ერთ-ერთი საუკეთესო მომღერლის აკაკი წერეთლის მიმართ.

ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობა, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, დღითიდღე მტკიცდება. პოეტის სიკვდილის დღეს აზერბაიჯანელი ხალხის მონაწილეობის შესახებ გაზთი „აკავკასია რეჩი“ წერდა: „მეგობარს უზედერების დროს გაიცნობ, და კავასიელი მუსლიმანები, რომლებიც ქართველთა ჭეშმარიტი მეგობრები არიან, იზიარებენ მათს მწუხარებას. ჩვენი ჭკვეუნის ყოველი კუთხიდან მუსლიმანები ისწრაფვიან, თავიანთი სამამარის განუცხადონ ქართველებს... და თუ ხალხთა ძმობა უზრალო ლიტონს სიტყვა არია, მამინ სწორედ აქ ქართველი ხალხის მომღერლის ჯერ კიდევ ღია სამარსთან შეიძლებოდა დაგვენახა ქართველებისა და ამიერკავკასიის მუსლიმანთა ძმობის რეალური გამოქვადეება“³.

¹ გაზთი „Закавказская речь“, 1915, №33.

² იქვე.

³ იქვე.

¹ „ჩვენი ხმა“, 1909, № 1.



პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შევხვდით 1913 წლის ზამთრისა და 1914 წლის გაზაფხულის თვეებში პარიზის არტისტული ბოჰემისა და სტუდენტობის სამფლობელოში — ლათინურ უბანში გაეატარე; პაოლო იაშვილიც ამავე უბანში ცხოვრობდა. მას ოთახი პანთონის მახლობლად ეკირა ესტრაპადის ქუჩაზე. ამ ქუჩის სახელწოდება, უეჭველია, იქიდან წარმოდგება, რომ აქ წინა საუკუნეებში წამების იარაღი ესტრაპადი იდგომებოდა. ეს იარაღი უცნობი იყო ძველ საქართველოში, ხოლო რუსებში მას დიდად უწოდებდნენ. წარმოიადგინებდა ძალიან მძალიად სახრჩობელს; ზედა კედონზე რკინის რგოლი იყო მიმაგრებული, მასში გრძელი თოყი იყო გაყარალი. ამ თოყის ერთი თავი მოხმული ჰქონდა ხელფესვებზე და მანამდე, ხოლო მეორე თავი ჯალათს ეჭირა ხელში. ის თავის მსხვერპლს რამდენჯერმე სულ მაღლა სწევდა, ხოლო შემდეგ თოყს ხელს უშვებდა, რაც მიწაზე მის დანარცხებას და ტანჯვით სიკვდილს იწვევდა.

პაოლო იაშვილს და მე, ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად, ბევრი მსიარული საღამო გაგვიტარებია ამ მკვლევარ სახელწოდების ქუჩაზე.

პაოლო იაშვილი კარგი კვლინარი იყო, მაგრამ საყასბოში ცხენის ხორცს ვერ არჩევდა ძროხის ხორცისაგან. რაც შეეხება იაშვილისა და ლენინის ან შამანიუჩის ურთიერთობას, მას დიდი დეტალურობის ნიჭი არ სჭირდებოდა.

სხვათა შორის, მშობრად მოგვიგონებია ფრანსუა ვიონის ლექსები, სადაც ის ყველა მოხეტიალე და მოუხეტნარი პოეტის წინააღმდეგ ნებნებამხედურად დასცილის ჯალათებს და მათ მერ აღმართულ სახრჩობელებს. პაოლო იაშვილს უყვარდა, აგრეთვე, პოლ ვერლენის ძველის გვერდით ჯდომა ლექსებში ბაღში და შადრევნის აუზში მოხანგრებულ ბუჩქების ცქერა; რადიკალს ნათესაურს პოელობა და ამ ბავშვით ველურბავილო, მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის: „ბოროტი ქაბი მტარებს აქეთ და იქით მკვდარ ფოთლოვით“.

ამ შეხვედრების დროს პაოლო იაშვილი თავისი გულთბილობისა და ხელგამწილობის წყალობით ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა. მან პარიზში რამდენიმე

ფრანგი მხატვარი და პოეტი გაიცნო, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავლენიანი იყო გიომ ამოლინერი, რომელიც სიმბოლიზმიდან ფეტურისამდე გადავიდა, ხოლო, ბოლოს, მგომია, სიურრეალისტებს დაუბნოვდა.

მაგრამ იმდროინდელი პარიზელი დეკადენტო და სიმბოლისტი პოეტების ფიქრთა მფლობელად უფრო შარლ ბოდლერი ჩითვლებოდა, ვიდრე სხვა ვინმე. როგორც პეტრარკამ თავისი ლურასადმი მიძღვნილი სონეტებით ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქა გახსნა პოეზიის დარგში, ასე უსიურრეალისტო მულატ ჰალზე, „შე ვეჩინაზე“, კატორღელით მიჯაჭვულმა ბოდლერმა თავისი აბორიტების ყვავილებით დეკადენსის ეპოქა ასახა ევროპული პოეზიის განვითარებაში. მას პატარა პროზაულ პოემებში, მის ლირიკულ ლექსებში, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ფორმის მხრივ, კლასიკურად სრულყოფილ სონეტებს უჭირავთ, ინდივიდუალიზმის ღრმა კრიზისი იგრძობა. თუმცა შარლ ბოდლერი 1948 წლის თებერვალშიც და იქნისში ბარბადებზე მუშათა კლასის მხარეზე იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის ბოლომდე არტისტული ბოჰემის, დენდისმისა და სატანისმის მოციქული დარჩა. და, შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე დამახასიათებელი ფიგურაა ჯოჯოხეთის ცეცხლით განათებულ პარნასზე. „ჩემი სული გახზარულია და, როდესაც დაეჯერებინებს წუთებში მას სურს თავისი სიმღერებით ღამეების ცივი პაერი ავისოს, მისი ჩახლენილი ხმა ემსგავსება იმ დაბრლი მგომრის ხრიალს, რომელიც სისხლის ტბის პირას დაეფიქვებით მიცვალებულთა დიდ გროვში და კედება სიშინელ კრუნჩხვით“. ეს სიტყვები ამოაერებს ბოდლერის სონეტს — „გახზარულ შარს“, რომელიც საუცხოო დიდილოერი სურათით იწყება: ზამთრის ღამეში ანთებული ბუხრის წინ მკლამობრე, შორეულ მოგონებებში წასულ ადამიანს მწუხრის ზარების რეკა ესმის, ისინი ხალისიანად მღვრიან ნისლიან სიურრეალში. რა კონტრასტია, ზემოთყვანილ ტრაგიკულ სტრუქტურებთან და რა სულიერ გათიშვას მოქმობს ეს ლექსი!

პაოლო იაშვილს ბოდლერის სონეტებიდან ყველაზე მეტად მისი „დამწყველილი პოეტის დამაფლავება“ უყვარდა: „იმი: საათში, როდეს

საც უბნო ვარსკვლავები თავიანთ დამძიმებულ თავლებს დახუჭვენ, თბობა თქვენს საფლავზე სუღარის ქსოვას დაწყევს, ხოლო გველი თავის წიწილებს გამოჩეკავს; მთელი წლის განმავლობაში თქვენს შეჩვენებულ თავზე განები და მშვიტი კედლიანები იყმუღუნებენ“.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: გვეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულთით. ეს იყო ღამაზი, მწალი, გრუნთამიანი, შეგვგრემანი კბამუკი, მის ნარკოტიკების სტიმულბოდა, რათა რეალური სამყაროდან შადღური მოჩვენებების სამყაროში გადასულიყო. პაოლო იაშვილი ნამდვილი ახლადმოუღენილი ავთანდილი იყო თავისი მეგობრებისათვის.

მასხობა, რკორი იღვა ერთხელ ქუჩაში, სხლის კედელს ზურგმყარდობილი, ხალათის ჯიბიდან მუკა-მუკა ახლად მიღებულს ქალაქის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა დაუთვლულად.

მას ძალიან სუსტი წარმოდგენა ჰქონდა ორმაგ ბუნებალტრიაზე, და მისი გასავალი ყოველთვის სწარბობდა მის შემოსავალს. მას ვადვილებოდა ფულის შოვნა, მაგრამ კიდევ უფრო ვადვილებოდა ფულის დახარჯვა. უფრო ის ახსოვდა, ვისგან ისეხა, ვიდრე ის, ვის ასეხა; ვანებოვრებული იყო შეძლებული მამის მიერ, რომელსაც ის სუფრასზე სწირად გულს უწუებდა; შენს ხუთ ნაფიშვილში მე იმით გამოვიტრწევი, რომ მსხვერპლად შესაწირავ მოზგყრს ვგავარო.

როდესაც პაოლო იაშვილი უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნდა იმ „ციხფერი ყანწუხბის“ ჯგუფით დაიარსა, მან უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალური ფიგურას — აკაკი წერეთელს შეეტია. ეს ვასიგები იყო ახალი ჯგუფის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ძველი ასახსნელი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევლად. პაოლო იაშვილის საუკეთესო ლექსებს გამოვიჩვავლობა და სიმსუბუქე ახასიათებდა, ის საუცხოოდ ფლობდა ქართულ ენას. თვით მისი სამშობლო სოფელი არგეთი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული აკაკი წერეთლის სხვიტორას. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პაოლო იაშვილმა მშვენივრად გადმოთარგმნა პეტრე კინის რამდენიმე ლირიკული შედევრი, ერთაქტიანი ტრაგედია და მოთხრობა „ნასროლი“.

პაოლო იაშვილი ძველი დროის რუსულდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოდენ მისი

დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ეს იყო იმპროვიზაციის უაღრესარი, რომელსაც უწინარეს ყოვლისა, აუდიტორიის სმენას აზობლავდა. მას ვერავინ შეეძრებოდა დიდ სადღესასწაულო სუფრასზე, მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებაშახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქმის თავის თავს სჭარბობდა.

რაოდენსაც 1921 წლის 25 თებერვალს თბლისში წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, პაოლო იაშვილმა მათ იმპროვიზებული სიტყვით მიმართა თვითშმართველობიდან. დიდი ვერადღება დამსახურა, აგრეთვე, მისმა სიტყვებმა, წარმოთქმულმა კრწმლის პოლიტიკური ბანკეტებზე. მაგრამ მან შედარებით ისეთი მცირე ლიტერატურული შემოვიტრეობა დატრევა, რომ, ვინც მას პირადად არ იცნობდა, გაუჭირდებდა, ის გამოჩენილ პოეტად სცნოს.

თავისი თვითშეკვლეობის წინ პაოლო იაშვილი აღიარებდა, ჩემი უზებდრების ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბავშვობიდანვე არ შემახვიეს სისტემატური შემოთბასო. პაოლო იაშვილისათვის ძნელი აღმოჩნდა უშულო გადასვლა ძველი საზოგადოებიდან (სადაც შრომა ზოგირით წრეში ათვალისწინებული იყო) ახალ საზოგადოებაში, სადაც შრომა ყველასათვის საბატოთ ვალდებულეადაა აღიარებული. ერთ ლექსში, რომელც უფრო თვითშეგონებას წარმოადგენდა, ვიდრე შორალის ქადაგებას, ის ამბობდა:

ვინც ვატიაცა ახალ თაობამ,
გადაქვეულან რტინის კაცებად,
ნუთუ პოეტებს გვეპატიება
ბზნაურული გაზარმაცება?

პაოლო იაშვილის გონებრივი ინტერესების არც შემოვიტრეული არ იყო მარტოდენ ლიტერატურით, ხოლო მისი მეგობრების წრე სცილდებოდა „ციხფერი ყანწულების“ ასოციაციას. ის რომ მხატვრის გზას გაჰყოლოდა, შეიძლება გამოჩენილი ოხტიკი გამზღარიყო. მან დაუდგევარი კალშით ძალიან კარგად ვადმოგვცა თავისი მეგობრების — ტკიცან ტაბიძის, ევარდიან ვაფრინდაშვილის, კოლტ ნადირაძის პროფილები; მაგრამ მათ გვერდით დახატული ავტობორტრეტი მას ნაკლებ ჰგავს.

ერთხელ, შემოვიტრევი პაოლო იაშვილი და მე ტყის ქათამზე ვნადირობდით წიწამურის ტყეში, იმ ადგილის მხლობლიდ, სადაც აქვამად ილია ქვექუაძის ობელისკია ამართული. მშრალი დარი იღვა და ჩვენმა ინგლისურმა სეტრებმა ვერც ერთი ტყის ქათამი ვერ წამოფრინა. შეუადლისას დაქანტულობა ვივრძენით. ერთი ხის ძირში ჩამოვჯვკვით, პატარა ველის პირას, და თავის გასართობად ორ-სამჯერ თოფი ვესროლეთ ბუნჭზე მიმაგრებულ თამბაქოს კოლოფს. ორიოდ წუთის შემდეგ და

ვინახეთ, რომ ტყის სიღრმიდან ორი თოფ-
მოპარგეველი კაცი გვიასლოდებოდა ფეხ-
აყრფით. როდესაც ჩვენთან მოვიდნენ, გვით-
ხრეს, ველზე მორბენალმა ძაღლმა გადაგარ-
ჩინათ, შორიდანვე რომ არ დაგვენახა ის,
უსათუოდ დაგხოცავდითო. წინა დღით თურმე
ყარალებს წიწმურის გზაზე მიმავალი მეურ-
მეები გაეძარცვათ და მცხეთის მილიციას ტყე-
ში საგანგებო დარაჯები დაეყენებინა. პაოლო
იაშვილი შემდეგ ხშირად გულწრფელ სინა-
ნულს გამოთქვამდა, რომ ის როცა ტყეის
შსხეერაბლი არ გახდა ილია ჭავჭავაძის მკვლე-
ლობის აღვილას.

ეს იდამიანი, რომელსაც უველაზე მეტად
ჭალებით განათებული დარბაზები, ტაშებით
ბზნურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბან-
კეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა,
თავისი სიოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან
განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხში-
რად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფა-
რბის ქუჩაზე და სვედიანად ვასცქეროდა მა-

ხათის მთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში აღი-
ოდა და ცდილობდა აფორიკებულა სულე
დაემოშმინებინა თითქმის დამშრალი წანსჭე-
რის პირას.

მას ტანჯავდა მარტოობა, მას აწუხებდნენ
მევალებები:

მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი...
რა მაქვს ჭონება? ცოლი და შვილი,
ძალი და ცოტა ხელნაწერები.

...ცხელი 1937 წლის 22 ივლისს საღამოს,
სანამ იგი მწერალთა კავშირის მეორე სარ-
თულზე ავიდოდა, რათა იქ გაკამის ტყვიით
თავის ქალი აეფეთქებინა, სტდომათა დარბაზ-
ში შევიდა, უკანასკნელ რიგის სკამზე დაჯდა,
რამდენიმე გონებაშეშლილი რეპლიკა მიაწოდა
ერთ თავის მეგობარ მწერალს, ხოლო როდესაც
ამ უკანასკნელმა მას პაპიროსი სთხოვა,
მან ღიმილით უპასუხა, კიდევ რამდენ ხანს
აპირებ ჩემს ხარჯზე ცხოვრებასო.



ერნესტ ჰემინგუეი

ერნესტ ჰემინგუეის დაბადება „საუკუნის დასასრულს“ დაემთხვა. „საუკუნის დასასრული“ დეკადანსის ეპოქა იყო დასავლეთში, ძველის უწყალოდობის შეგნებისა და ახლის გაურკვეველი ძიების ეპოქა. ჰემინგუეის სიკაბუჯე ახალი საუკუნის სიკაბუჯეს მოჰყვებოდა გვალდაკვალ და უკანასკნელის ბნელი წინათგარძობანი ჰემინგუეის სიკაბუჯესაც თავს დასტრიალებდნენ. ღრმა პროვინციაში, ილინოისის შტატში, ღარიბი ინდოელი სოფლების გარემოცვაში, ინდოელ კაბუჯებთან ერთად ღამის თევაშა ცეცხლისპირად, ნადირობაში თუ თევზის ჭერაში გამოხატა მან თავისი აღრინდელი ბუნდოვანი პროტესტი მისი თანამემამულე თეთრების მიერ შექმნილი ცივილიზაციის წინააღმდეგ. 17 წლისა, იმის ნაცვლად, რომ კოლეჯში წასვლით სისწავლეებლად, კანზასის გაზოტში მოეწყო თანამშრომლად. პირველ მსოფლიო ომში მობალისედ წავიდა იტალიის ჯარში და იქ, ერთი შეხედვით, უცხო ქვეყანაში უცხოელი ჯარის რიგებში იცავდა მისთვის უცხო პოლიტიკურ ინტერესებს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ადამიანის ინტერესს ჰემინგუეისთვის არსად და არასოდეს ყოფილა უცხო.

დეკადანსში გამოხატული ეპოქის იმედგაცრუება პირველმა მსოფლიო ომმა დაკარგული თაობის ღრამად აქცია. აღმოსავლეთში ამ იმედგაცრუებას მოჰყვა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სოციალისტური რევოლუცია, დასავლეთში კი — ღრმა სულიერი კრიზისი და უიმედობა. ჰემინგუეი დაკარგული თაობის წარმომადგენელი იყო და ამიტომაც მან ცხოვრების მიზნად დაისახა ავტობიოგრაფიულ შემოქმედებაში განხორციელებინა ამ თაობის ჭეშმარიტი ეპოსი, მისი ოდისეა. ამ თაობის მწერალთა მთელი პლეადა თავის ნაწარმოებებს წერდა პირველი პირობით, მაგრამ ცდილობდა ამ პირისათვის მიეცა რაღაც ზოგადი სოციალური ტიპის თვისებები, რომელშიც არ იხატებოდა არც სახე, არც სახელი, არც საშობლო. ეს ტიპი მთელი თაობის ზოგადსაკაცობრიო გმირია. ასევე იქცეოდა ჰემინგუეიც.

პირველსავე წიგნებს — „სამი მოთხრობა და ოთხი ლექსი“ (1923 წ.) და „ჩვენს ღრმში“ (1924 წ.) — დაეტყო, რომ ჰემინგუეიმ არ აირჩია ის გზა, რომლითაც წავიდნენ ამავე თაობის

პროგრესული წარმომადგენლები — ანრი ბარბუსი ან ჯონ რიდი. მაგრამ ის არ დაადგა არც იმ მწერალთა გზას, რომელთაც გადასწყვიტეს პოეზიით შეემოსათ მდიდარი და კმაყოფილი ბერძენების ფილისტერული ცხოვრება. ასეთები იყვნენ მაგალითად სკოტ ფიცჯერალდი და გაინგლისებული ბუღარელი სომეხი მაიკლ არენი (ტიგრან კუიუნჯიანი). ჰემინგუეი მტრად მტკივნეულად გრძნობდა თავისი თაობის მოკვდილ ფესვებს, ხალხისაგან მოწყვეტას, დამახინათებელ მტკივნეულ და გაურკვეველ ძიებას. ამ თაობის ბევრმა წარმომადგენელმა თვითმკვლელობაში იბოვა გამოსავალი, ზოგიც ნადრეგმა სიკვდილმა თვითონ წაიყვანა. ბევრი რეპუტაციის ბნაქში გაიქცა და ამათგან ცნობილი ფანისტებიც გამოვიდნენ. ზოგამაც ინტელექტუალები კარჩაეტილობის ციხესიმაგრეს მიაშურა.

ჰემინგუეი არ გატყდა. ის ფიზიკურად მტკიცე აღმოჩნდა და ომში მიღებული უკერძოვი ტრავმების მიუხედავად სიცოცხლის არავითარ ფორმად არ უთქვამს უარი. მისი ომის შემდგომი წლები დაკარგული თაობის შვილის უგზო-უკუგო ხეტიალის წლებია. სად არ იყო ის, ამერიკაში და საბერძნეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და იტალიაში; ესპანეთი ხომ სიგრძე სიგანეზე დასერა, შემდეგ ცენტრალური აფრიკა შემოიარა. დაბრუნდა ფლორიდაში, ისევ ევროპაში, მონაწილეობა მიიღო ესპანეთის სამოქალაქო ომში, დაშლტი მემამბოხების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ათლეტური სხეულის ვარჯიშში მოუსვენარი სულს წყვეტება იხატებოდა. მძიმე ლიტერატურულ შრომასაც მოჰყვა გამარჯვება და საყოველთაო აღიარება. „ოცდახუთი წლის ჰემინგუეი უკვე მითი და ტრადიცია იყო“ — ლაონიურად გვატყობინებს ამერიკელი სალიტერატურო ენციკლოპედიური ცნობარი.

რომანი „ფიესტა“ (1926 წ.) იყო ჰემინგუეის დიდი შემოქმედებითი შარავნის პირველი ნიშანსეკტი. ერთი შეხედვით, ეს არის წიგნი მოწყვნილი უცხოელი ტურისტების მოგზაურობის შესახებ ესპანეთში, სადაც ისინი მათთვის უცხო ხალხის დღესასწაულზე ეძებენ ღროის მოკვლის საბაბს. მაგრამ ამ წიგნის ქვეტექსტში, რომლის ისტატად იმთავითვე გამოვლინდა ჰემინგუეი,

ავტორი უმღეროდა შრომისა და სიმამაცეს, სიყვარულს მიწისა და ადამიანისადმი. ამ წიგნის მთავარი გმირი იყო დედამიწა, რომელიც არის და იქნება „მე და მარადის“. უკვე „ფიგურაში“ იმის თავე XIX საუკუნის მიწერულის ფრანგული ნატურალიზმისა და თანამედროვე ბურჟუაზიული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ჯეიმს ჯოისის გავლენებშია, დაკარგული თაობის „ეროვნული, ფსიქოფიზიოლოგიური და სოციალური ტიპი“ მან გამოხატა „მეცნიერული გამოკვლევის ოქმური ჩანაწერის, კლინიკური ანგარიშის“ ნატურალისტური ფორმულის შესაბამისად. ქვეყნობიერება, ინტინქტები და მისწრაფებანი, განსაკუთრებით პათოლოგიური ხასიათისა, იმურობენ ჰემინგუეის უფრადღებს, სიმამისჯე, კოშმარი და გროტესკი — ეს არის მისი მხატვრობის უმთავრესი საშუალებები, ჯოისისგან მას გადმოაქვს ე. წ. „შინაგანი მონოლოგი“, რომელიც აზროვნების პროცესის ზუსტი გადმოკვლევა. ჰემინგუეი პირადად ეკუთვნის ჯოისის პარიზში, ამ შორალ და ცივ განდევნილ მხატვარს, რომელიც ცაქრის უზარმაზარი ასობით წერდა თავის ნაწარმოებს შავი ფიქალის დაფებზე, ჰემინგუეიზე თითქმის ბიბლიური არსებების შთაბეჭდილება მოუხდენია. ჯოისთან ერთად მის მიმდევართა მთელი სკოლა დაეძებდა ახალ საერთაშორისო ენას, პოეტრიკასა და ლინგვისტიკას, დაუბნებდა ცნობიერების წინალოგიურ სფეროებში; ველურების პირველყოფილ ლულულში და ფსიქიკის წიაღქვეშ მოთავსებულ ფენებში ეძებდა ახალი დროის დიდი ეპოსის შექმნის საშუალებას.

ამ გავლენათა ატმოსფეროში ჰემინგუეის დაეხდა დიდი ეპიკური ნაწარმოების შექმნის იდეა. შეიღო წლის შემოქმედებით დემილისა და ფიქრის შემდეგ ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი მწვევე კრიზისის პირობებში, მან შექმნა მძიმე ფსიქოლოგიური ეტიუდები დაკარგული თაობის ადამიანებზე, სადაც ჩააქსოვა საკუთარი თვალთ ნახული და სხეულით განცდილი შთაბეჭდილებები ესპანეთისა და აფრიკის შესახებ. ეს იყო ნარკვევები „სიკვდილი ნამუდღვეს“ და „აფრიკის მწვანე ვარაუბნი“. სიკვდილის თემა წინ ეღობებოდა მას ყოველ გზაზე ის, როგორც ცნობილი ესპანელი მხატვრის გოიას ოლორტშია გამოხატული: „Nada — Ello Dira“ („არაარაობა — ამბობს იგი“). მაგრამ ჰემინგუეი ეძებდა სიცოცხლეს და არა სიკვდილს. შეიძლება ჰემინგუეის ობიექტივობა და ნატურალიზმი, რომელსაც თვითონ „სპორტსმენის პატრონის თამაში“ უწოდებს, სწორედ სიკვდილისა და სიცოცხლის ამ გამაყოფანსწორებულ წინააღმდეგობებშია გამოვლენილი. ჰემინგუეის ნაწარმოებებიც იმიტომ არიან მრავალბუნოვანი, მის მიერ დანახული სინამდვილის მსგავსად, რომ მათში თანაბარი ძალით, ობიექტური თანაფარდობით არის გამოხატული აქტიური და პასიური საწყისები. ამიტომაც ჰემინგუეი უხვად

აძლევს საზრდოს ორივე საპირისპირო პირს მისი შემოქმედების ვარშემო: იმათაც, ენაც სურს მასში ძლიერი მებრძოლი აღმოაჩინოს, და იმათაც, ვინც მასში პასიურ და უიმედო მჭერბეღლასა ხატავს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო პირველი გვიანტერესებს. ჰემინგუეი იბრუნებს რწმენას ხელოვნების ნაწარმოებისა და მისი შემოქმედი ადამიანისადმი. პაციფისტურ რომანში „შვილობით, იარაღი“ (1929 წ.) იგი ილუსტრებს ადამიანის გამანადგურებელი ომის წინააღმდეგ; წერილში „ფრთები აფრიკის ზემოთ“ იგი გამოადის მუსოლინის იტალიის ინტერვენციის წინააღმდეგ აბისინიაში. ასეთივე შინაგანი პროტესტის სულით არის გაღვნილი ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლი“ (1936 წ.), ხოლო რომანი „ქონა და არქონა“ (1937 წ.) გვიხატავს მდიდრების საწყაროს, ახტების მფლობელებსა და მათ ერთგულ მსახურებს, რომლებიც აიძულებენ ადამიანს, — ამ შემთხვევაში მწერალ გორდონს, — სულთერად მოკვდეს, რათა ფინიკურად იცოცხლოს.

როდესაც მუსოლინიმ და ჰიტლერმა წამოიწყეს ცნობილი ინტერვენცია ესპანეთში, ჰემინგუეი ინტერნაციონალურ ბრიგადაში ჩაუწერა და მის რიგებში შეებრძოლა ფაშისტს. ამერიკელ მწერალთა მერეე კონგრესზე მან ფაშისტს უწოდა „სიკრეე, რომელსაც ამბობენ ხანდაზმულნი“. ესპანელი ხალხის ბრძოლის შთაბეჭდილებებით არის აღბეჭდილი მოთბრობები „ამერიკელი მებრძოლი“, „მადრიდელი მოფრები“, სცენარი „ესპანეთის მიწა“, პიესა „მეხუთე კოლონა“. რომანი „ვისთვის რაკავს ზარი“, მხატვრული და იფოლოგიური შეცდომების მიუხედავად, აგრეთვე დამიზნის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებია.

ჰემინგუეის ავტობიოგრაფიული, ლირიკული გმირი, რომელიც სულ პირველად ნიე ადამისის შესახებ დაწერილ ნოველებში გამოვიდა და დაგვიანება ჰემინგუეის სიკვდილზე, შემდეგ კაღეტენანტი მენტის სახე მიიღო რომანი „შვილობით, იარაღი“ და სხვაგანაც მოკვეცილმა სხედასხვა მოქმედი პირის იერით, რომანში „ვისთვის რაკავს ზარი“ რობერტ გორდონის სახელით წარმოვიდგა. რომანში იგი მოქმედებს პარტიზანების ელ სორდოს, ანსელმოს, ანდრესის გარემოცვაში. მან ააფეთქა ზილი, რომელსაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, და აფეთქებისას დაიღუპა. უმღერვო მსხვერპლის უდიდებამო სტოიციზმი გამოსტევიის ამ გმირის ყოფილა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქაც ჰემინგუეი სიცოცხლეს ადიდებს თავისი გმირის საშუალებით:

„თუ საქირთა მოკვდეე. — ფიქრობდა იგი, — ხოლო ეს კი საქირთა, მე მზად ვარ მოკვდეე, მაგრამ არ მინდა კი სიკვდილი. ეს სიტყვა არ ნიშნავდა მისთვის არაფერს, არ გამოხატავდა მის თვალწინ არავითარ სურათს და არ უნერა-



გადა მას შიშს. მაგრამ სიცოცხლე — ეს ნიშნავდა ფერდობზე ქარისაგან აღღვებულ ჯეჯილს, სიცოცხლე ნიშნავდა ქარს ზეცაში, სიცოცხლე ნიშნავდა თიხის სურას წელით, პურის გაღვნივს შემდეგ, როცა კალაზე მტვერი და ბზე ტრიალებს, სიცოცხლე ნიშნავდა ცხენის ფერდებს, ქესლებით დაქერილს, უნაგირზე გაღვებულ თოფს, გორაკებს, ხეობას, მდინარეს და ხეებს ნაპირის გასწვრივ, ხეობის შორეულ კოდეს და უკან დატოვებულ მიწებს.

ამ რომანს ასეთი ეპიგრაფი მიუძღოდა წინ: „არ არის აღამიანი, რომელიც კენძელით იყოს თავისთვის... ყოველი აღამიანის სიკვდილი მათარავეებს შვეც, რადგან შე გავრთიანებელი ვარ მთელ კოსმოსშია. ამიტომაც ნურასოდეს მყოხებ, ვისთვის არცაა ხარი, ის რეკავს შენთვის“. ამ სიტყვებში გამოსტყვივის რომანის ჰუმანისტური არსი.

დროგამოშვებით ჰემინგუეი მუშაობდა დიდ რომანზე, ომში, რომელსაც იგი წინასწარ გრძნობდა, არ დაყოენა და ახალი შთაბეჭდილებებით აავსო მწერალი. 40-იანი წლების ბოლის მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო ავადმყოფობამ შეაწყვეტინა მუშაობა რომანზე და აიძულა ომის შთაბეჭდილებათა ფიქსაცია დაქარბუნიან ასე შეიქმნა მისი ორი მოთხრობა „მდინარის ნიქი და იმ ხეებისაკენ“ (1950 წ.) და „მოხუცი და ზღვა“ (1952 წ.). ორივე ეს მოთხრობა, როგორც ჩანს, წინასწარი მონახაზია რომანისა, რომელიც იწერება. პირველში გამოყვანილია ორმოცდაათ წელს მიღწეული, მძიმედ დაავადებული პოლკოვნიკი კენტრელი, რომელსაც სდევს მოგონება საძულველი ზურგის გუნერლების ბრძანებით გაუღვლია მისი პოლისა. შევბუღებებს ის ატარებს იტალიაში, მონახულებებს მის მიერ აღრვ გადახდილი ბრძოლებს აღვიღს, სიდაც ის მძიმედ იყო დაქრილი. იგი, სულიერად გატებული, დაექებს თავის უკანასკნელ საყრდენს ცხრაშეტი წლის ვერცეულ გოგონასთან სიყვარულში. ამ გოგონას, სახელად რენატას, იგი ფიქრობდა ენახის თავის „ქალაქშილს“. მაგრამ უკვე გვიანაა, მას არ შეუძლია გაჭდეს ბედნიერის და ვერც გოგონას გააბედნიერებს, კენტრელის შევბუღება თავდას. ის ბრუნდება უკან მაგრამ გზაში უეცრად მოუსწრებს სიციფილი და ამით თავდება ყველაფერი.

„მოხუცი და ზღვა“ ჰემინგუეის უკანასკნელი ნაწარმოებია, რომელმაც აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია თავისი მრავალპლანოვანი ხასიათის გამო. მასში ერთდროულად მარადიული ბრძოლისა და სწრაფის მოტივიც მოისმის, გამოხატული მოხუცი მეზღვაურის რწმენასა და ჯიუტ, ენერგიულ ბრძოლაში „დიდი თევზის“ დაქერისათვის, და, მარადიული მარცხის მოტივიც, რომლის სიმბოლოა მოხუცის დაქრებული ტომრის იალქანი. ამ მოთხრობის გმირია ოდესღაც ძლიერი, შრომაში და ბრძოლაში მოხუცებული აღამიანი, რომელსაც სჯერა, რომ

ის ბოლოსდაბოლოს დაიჭერს „დიდ თევზს“. მოხუცის უკანასკნელი მორალური ნაგებდენია მისი პატარა მეგობარი ბიჭუნა, რეჟისორი, გრეთე ღრმად სწამს, რომ მოხუცი მართლაც დაიჭერს „დიდ თევზს“. თაობათა ამ ურთიერთობაში თითქმის შემოქმედებითი სწრაფის მარადიულობის მოტივიც გაისმის და ძნელად არ არის მოხუცის მონუმენტური ფიგურაშიც ვიცნობთ თვით ავტორი, დაეინახოთ მისი დაძაბული, გიგანტური ბრძოლა და მარცხი, მისი უტეხი და უღრეკი რწმენა.

მოხუცის ცნობიერება ხანს დაუბურავს და მას უკვე აღარ ესობრება „არც ქარიშხლები, არც ქალები, არც დიდი ამბები, არც დიდი თევზები, არც ჩხუბი, არც შეჯიბრება ძალღონაში, არც კოლი“. მას დარწმუნა მხოლოდ წერე, არცაა ლექსობრე, საუბარი მეგობარი ბიჭუნასთან ბეისბოლზე და სიზმრად — შორეული აფრიკის ლაშქარი. მოხუცი იჭერს „დიდ თევზს“, უამებოდ, მაგრამ ჯიუტად ებოღებება გაშლილ ზღვაში. კლავს, მოაბრავს ნაპირისაკენ, ვერძებს გზადაც და მხედურ შტაბებულ ზვიგენებს, რომლებიც ნაწილ-ნაწილ გლეჯენ მოხუცის ნაწილობრივს, და ნაპირამდე მოაქვს მხოლოდ დიდი თევზის ჩონჩხი, როგორც სიმბოლური შედეგი მთელი მისი მძიმე ბრძოლისა. მაგრამ მოხუცს უბრუნდება მისი ახალგაზრდა მეგობარი ბიჭუნა, როგორც სიცოცხლისა და ბრძოლისადმი რწმენის განახლება. როგორც ჩანს, „დიდი თევზი“ საერთადად მინერტი საქმეა. ეს მამაცი შემოქმედებითი შრომაა, რომელიც ბიჭუნამ უნდა განაგრძოს მეგობრების უნივერსალური კანონის თანახმად.

ამგვარად, არა მარტო დედამიწაა მარადიული, როგორც ოდესღაც ამბობდა „ფიქსაში“ ჰემინგუეი, არამედ — აღამიანიც და მისი საქმეც. მწერლის წარსული შემოქმედების გამოცხადი ამ მოთხრობაში შეიძლება ვავიგონოთ ესპანური ოქლის მოთხრობისადაც, რომელსაც ეწოდება „უძლეველი“. იქაც ხანში შესული მატადორია გამოყვანილი, ჯიუტი და რწმენით აღსავსე. ისიც კლავს ხარის ცირკის ასპარეზზე და, მუცელგაფატრული, უარს ამბობს აღიარისათვის მარცხი: საოპოტიაციო მავიდანზე მოულოდნელად წამოვდება და არ ანებებს, შეაჭრან კოლეტა — თმა, რომელიც მატადორის განმასხვავებელი ნიშანია.

ჰემინგუეი, როგორც აღვნიშნეთ, იმთავითვე იყო დიდოსტატად აღიარებული. 1954 წელს მან ნობელის პრემიაც მიიღო, როგორც ამ აღიარების დადასტურება. გასულ წელს თბილისში ჩამოსულმა პროგრესულმა ინგლისელმა მწერალმა ჯეიმს ოლდრიჯმაც განაცხადა, რომ ჰემინგუეი, ჯარისთან ერთად, ამაჟამდ უდიდეს გავლენას ახდენს დასავლეთში. თვით ოლდრიჯმაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ახლახან დაიწყო მისი გავლენისაგან გათავისუფლება. ჰემინ-

გუვის გავლენა განსაკუთრებით დაეტყო ინგლისელ მწერალს გრემემ გრინს, თანამედროვე იტალიელ მწერლებსა და კინემატოგრაფის მოღვაწეებს.

ჰემინგუეიმ საკუთარი შეხედულება ხელოვნებაზე გამოხატა სიტყვებით: „ქარგი წიგნი უფრო მართალია იმაზე, რაც მოხდა“. ეს აზრი ჰემინგუეის შემოქმედების ძირითადი პრინციპი და მისი გავლენის ამხსნელიც. ეს აზრი არ ნიშნავს ხელოვნების უფრო მაღლა დაყენებას სიმამღვილესთან შედარებით, როგორც ამას აკეთებდა ესთეტი ოსკარ უაილდი. გარეგანი ნატურალისტური დეტალიზაცია, ზუსტი კომპოზიცია, ლაიტმოტივების აბეზარი განმეორება შინაგან მონოლოგში, მოქმედების ტემპის საგანგებო შენელება, დიალოგების ერთფეროვანება და ობიექტურობა თითქოს იმის ემსახურება, რომ გვაგრძნობინოს საშინელების თანდათან დარღობა და თავს წამომდგარი უბედურება. საშინელების ეს შეგრძნება ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებისა და პირადი განცდის შედეგია. ჰემინგუეის შეუძლია თქვას, „მე თვითონ ვნა-

ხე“, ისევე როგორც ამბობდა გოია. ნაწარმოებში იმიტომ არის უფრო მართალი: ცოდნე თვით მომხდარი ფაქტი, რომელიც მასში იმწერა, რომ ფაქტის ობიექტურ, მიუკერძოებელ აღწერას ემართება ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ასე იქცევა გარეგანი ნატურალიზმი შინაგან რეალიზმად. ჰემინგუეი ხატავს მხოლოდ მას, რაც უნახავს. ამიტომაც მისი ესთეტიკა სიამაზეს აიგივებს სიმაართლესა და ბუნებრიობასთან. დამახასიათებელია, რომ ზოგიერთი სპეციფიკური მოვლენის ღრმა ცოდნას, რომელსაც ადრე სპეციალური ტერმინების ხშირ ხმარებაში ამჟღავნებდა ხოლმე, ჰემინგუეი ახლა ამჟღავნებს უფრო ზოგადი, უფლებასთვის გასაგები ტერმინოლოგიით. როგორც ყველა დიდი შემოქმედი, ჰემინგუეი წერს საერთო ენით, ის წერს უფლებასთვის, წერს გასაგებად, და უბრალო ფორმაში სდებს მრავალ სხვადასხვა აზრს, მრავალპლანოვან ნაწარმოებებში უჩვენებს საკუთარ შინაგან ფსიქოლოგიურ და შემოქმედებითს წინააღმდეგობებს, ღრმა დრამატიზმსა და დიდ ჰუმანიზმს.

პარ. ლონაძე



ჩვენნი წარსულის დაუცხრომელი გეგმვარი

(მროფ ს. ხუნდაძის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო)

25 წელია, რაც გარდაიცვალა ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესანიშნავი გეგმვარი პროფ. სიმ. ხუნდაძე.

1933 წლის 21 აგვისტოს, 39 წლის ასაკში, მოულოდნელად შეწყვიტა სიცოცხლე ჯანმრთელი და შრომითი ენერგიით სავსე ადამიანი, რომლის მარჯვენა მოჭრილ ქნასავით მოულოდნელად დაეცა ჯერ კიდევ გელანგაუმშრალ ზღვა ქალაქების ხეაგზე; შემოქმედებითი წინსვლისა და სიმწიფის საშუალებოდაც არ იყო მიღწეული ენთუზიაზმით სავსე ნიჭიერი გეგმვარი — ს. ხუნდაძე, რომელსაც მის ხანმოკლე სიცოცხლეს უღრთოდ დაესვა წერტილი, შეწყდა ინტენსიური შრომით გადილი გულისცემა.



სიმონ ირაკლისძე ხუნდაძე დაიბადა 1894 წ. გურიაში, სოფ. კალაგონში (საქამიასერი). პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ამავე სოფლის სამრევლო სკოლაში; აქედან 1902 წელს იგი გადავიდა ქუთაისის ქართულ საბუნაო სკოლაში, რომელიც 1905 წლიდან ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ სასწავლებლის კედლებში გაიშალა მისი მრავალფეროვანი ნიჭი. აქვე გამოამყვანა მან განსაკუთრებული ინტერესი ლიტერატურისა და სოციალური ციკლის დისციპლინებისადმი, რაც შემდეგ მისი სპეცილობის საგანი გახდა.

ამით მან აღრევე მიიპყრო როგორც მოხვედრა, ისე აღმზრდელ-მასწავლებელთა უზრუნველბა. სიმონის ნიჭითა და შრომისმოყვარეობით განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო სასწავლებლის დირექტორი ცნობილი პედაგოგი ა. ოცხელი, რომელიც დიდ იმედებს აწყობდა სასიქადლო მოსწავლზე.

გიმნაზიაში ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე იგი უაღრესად დაძაბულ მეცადინეობაში იყო, იგი ბრწყინავდა როგორც სასწავლო დისციპლინებში, ისე თვითგანვითარების მხრივაც და მთელ სასწავლებელში ყოველმხრივ მისაბამი და დიდად შამედებული ახალგაზრდა იყო.

1914 წ. წარმატებით დაამთავრა გიმნაზია

და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა; აქ ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც შედარებით უკეთ იყო დაყენებული საზოგადოებრივი დარგის დისციპლინები. უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მან კიდევ უფრო გააათყუა თავის თავზე მუშაობა; აკადემიურ მეცადინეობასთან ერთად იგი ფართოდ ჩაება სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოქრობაში.

შესამე კერსზე მას მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და იგიც სამშობლოში გამოეშურა. აქ იგი მთელი თავისი ახალგაზრდული თავდაიწყებით ჩაება იმეამად ახვითებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში.

1921 წლიდან, როცა საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა, სოც.-დემოკრატიკთა პარტიაში, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი იგი იყო, მოხდა განხეთქილება, სიმონი მიემხრო მემარცხენე ფრთას და ხელმძღვანელობდა პარტიის ახალ ორგანოს ვახუთ — „ტრიბუნას“.

1921 წ. ის აირჩიეს პირველი მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. 1922 წელს, საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე ს. ხუნდაძე აირჩიეს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობისა და სრულად საკავშირო საბჭოების პირველი მოწვევის ყრილობის დელეგატად. იმ ხანებში იგი აქუშაეებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ცალკეულ პრობლემებს, წერს წერილებსა და ნარკვევებს მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობს მარქსისა და ენგელსის კონცეფციას ეროვნულ საკითხში, ლენინიზმის ნაციონალურ პოლიტიკას და სხვ. ამ პერიოდს ეკუთვნის ს. ხუნდაძის შრომები: „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები“ (1923 წ.), „მარქსის ინტერნაციონალი“ (1924 წ.) და სხვ., რომელთაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი ხედრითა წონა და ინტერესით იკითხებდა.

მემარცხენე სს — დემოკრატიკთა პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ, ის შედის კომუნისტურ

პარტიამი და აქტიურ თანამშრომლობას იწყებს პარტიის ცენტრალურ ორგანიზში ვახუთ „კომუნისტში“.

1924 წ. ის კვლავ მიემგზავრება ქ. მოსკოვს, სადაც შედის ახლად დაარსებულ კომუნისტურ აკადემიაში (წითელი პროფესორის ინსტიტუტი). დამთავრებისთანავე იგი ისწრაფვის საქართველოში. მუშაობს იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის კომპოზიციის სოციალიზმის ისტორიის კურსს. ს. ზუნდაძე დაინიშნა ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანად და მთელი თავისი პედაგოგიური გულთბობით შეედგა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდის საქმეს, აჩვენებს რამეთუ დისკოლინას მუშაობაში, სიღინჯის კვლევით საქმიანობაში. მის მიერ გამოცემულია შორის დღეს ბევრია, წარმატებით რომ ეწევა პედაგოგიურსა და მეცნიერულ მუშაობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

უნივერსიტეტის კედლებში მუშაობის დროიდან იგი შეუდგა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საკითხების დამუშავებას, აგროვებს წყაროებს, სააქტიუო მასალებს და აწესრიგებს მათ. იმადროულად რედაქტირობს ეურნალ „ქართულ მწერლობას“, თანამშრომლობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში, ხელმძღვანელობს სახელგამს, „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, მუშაობს სხვადასხვა კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებაში.

მიუხედავად სიმონის დიდი ენერჯისა, მისმა ჯანმრთელობამ ვერ აიტანა ესოდენ დაუცხოველი შრომა სხვადასხვა ასპარეზზე. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა თავის სამშვიდრო მაგიდასთან გაუმშრალი კალმით ხელში.

25 აგვისტოს იგი დასაფლავეს ვერის სასაფლაოზე.

ასეთია თვალის ერთი გადავლებით პროფ. ს. ზუნდაძის ხანმოკლე ცხოვრების გზა.

• •

ინტენსიურ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, რასაც წლების განმავლობაში ს. ზუნდაძე უნივერსიტეტის კედლებში ეწეოდა, მან წარუშლელი კვალი დატოვა ლიტერატურული მუშაობით, გამოკვლია და დამუშავა რიგი კარდინალური საკითხები XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში. ახალგაზრდული გარემოებით შეუდგა კვლევის მუშაობას, საუკუნოვანი არქივის მტკვრით დაფარული წყაროების, საბუთების დამუშავებას და მათს სისტემატიზაციას ახალი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე.

„ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ჯერჯერობით“ შორის დამუშავებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერპრაციის თეორიისათვის იტყობა ხშირად იგი და ამ კუთხით გააღრმავა თავისი კვლევითი მუშაობა. იგი იყო ერთ-ერთი პირველხარისხიანი წყარომცოდნე ამ დარგში. ყოველი მისი წერილი თუ ნარკვევი აგებულია უაღრესად მდიდარსა და მრავალფეროვან მასალაზე, მის ფაქიზად გამოყენებაზე, რაც ასე დამაჯერებელს ხდის მის ლიტერატურულ შემკვლერობას. ვადაუტარებლად შეიმღებოდა იდეებს, რომ მან ლიტერატურული და კვლევითი მუშაობის სფეროში თავისი მოსწრაფებული სიცოცხლის ერთი ათეული წლის მანძილზე გააყვამა იმდენი, რამდენიც არავის სხვას ამ დარგში მთელ თავის სიცოცხლეში.

მისი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობები თვამტკვრადღაც უაღრესად მრავალფეროვანია. მისი ერთი ნაწილი დამთავრებული დარია, ზოგიც მხოლოდ სქემატურად იყო მოხატული — შავებში. ამ მდიდარი მუშაობებისგან მისი ზოგი შეეხება საერთაშორისო პოლიტიკას, ზოგიც საზოგადოებრივ ცხოვრებას, აზროვნებას, ლიტერატურასა თუ ცალკეულ მწერლებს.

პოლიტიკური ლიტერატურის სერიაიდან მის კალამს ეკუთვნის „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები“ (1923 წ.), „მარქსის ინტერნაციონალი“ (1924 წ.) და სხვ.; საზოგადოებრივი აზროვნების სფეროიდან: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (1927 წ.) 2 ტომად, რომელიც უმჯობესესი შრომა იყო და ანეთადვე რჩება ჯერჯერობით სოციალიზმის შესახებ სპეციალური ლიტერატურის სფეროში ქართულ ენაზე, „ქართული ინტელიგენციის პრობლემა მეტრამეტე საუკუნეში“ (1927 წ.), „რევი ტოლსტოი და სოციალიზმი“ (1929 წ.) და სხვ.

იმადროულად მკვლევარის ყურადღებას თვალი მიმზნებელი იყო XIX საუკუნის ქართული მწერლების შესწავლისათვის. მის მონოგრაფიულად დამუშავებული აქვს მთელი რიგი ავტორები: დ. ყფიანი, გ. წერეთელი (2 ტ.), ნ. ნიკოლაძე (2 ტ.), ე. ნინოშვილი (2 ტ.), ი. შიამელი, ს. მესხი, დ. კლაპაშვილი, ბოსლეველი (ესტ. მკვლევ.), ხომლელი (რომ. ფანცხვა) და სხვა მრავალი, რომელთა მარტოდენ ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა ყოველივე ეს უმჯობესესი შენაძენია ჩვენი ახალი ლიტერატურისა.

მიუხედავად იმისა, რომ ს. ზუნდაძე უბრატესად XIX საუკუნის მასალაზე მუშაობდა, დროდადრო იგი მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების თემებზეც ეხებოდა: ამის შედეგია მისი შესანიშნავი წერილები გ. ტაბიძის, ა. შანშაიშვილისა და სხვათა შესახებ. იგი არც

მარტოოდნ ერანული სინამდელის ფარგლებით იზღუდებოდა და დროს პოულობდა რუსულა ლიტერატურის საკითხებსაც შეხებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი გამოცემები: „მ. გორკი საქართველოში“, „ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი“, „გ. ჩერნიშევსკი“.

ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი შრომა „გ. ჩერნიშევსკი“. იგი ერთ-ერთი უკეთესი შრომათაგანია რუსულ-ქართულ ენებზე დიდი რუსი ხალხის რევოლუციონერი დემოკრატიის აღიარებელი ბელადის, „უდიდესი ვაწიშისტიკისა და კრიტიკოსის“ (მარტინი), „მარქსიზმის წინააღმდეგ უდიდესი სოციალისტის“ (ლენინი) შესახებ არსებულ ლიტერატურაში.

ამ შრომის განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევს ქართული მეოთხეულისათვის უკანასკნელი თავი „ნ. ჩერნიშევსკი და ქართული ინტელიგენცია“, სადაც სათანადო მასალებით ცხადყოფილია ჩერნიშევსკის პოპულარობა ჩვენში, ქართველი ინტელიგენციის გატაცება ამ დიდი სახელითა და ის დიდი ღვაწლი, გვიჩვენებს თავგანებება, რაც რუსების რევოლუციური დემოკრატიის ამ დიდი მესვეურის სოციალისტის უნებელსაყოფად გამოიჩინა ქართველმა პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ რევოლუციამდეა რუსეთის უღარიბოებაში.

როდესაც დავიკვირებელი შეათხველი გულდასმით გაეცნობა ს. ზენდაძის ამ შიდადარსა და მრავალფეროვან შემვიდრებობას, დაუკვირდება მის შინაარსსა და ხასიათს, ადვილად დარწმუნდება, რომ მთელი ეს მასალა გამიზნულია არა იმდენად ლიტერატურული, მით უფრო მხატვრულ-ესთეტიკური რიგის პრობლემების გასარკვევად, რამდენადაც, უპირატესად, იდეოლოგიური და საზოგადოებრივი პრობლემების განვითარების გასათვალისწინებლად. მართლაც, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, მხოლოდ ერთგვარი ნედლი მასალა, მოსამზადებელი პერიოდი იყო შემდგომი ეტაპისთვის — ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საზოგადოებრივი პრობლემის ისტორიის გასარკვევად. ეჭვი არაა, ნიკოლოზ მკვლევარი ამ დიდ ამოცანასაც ისევე ბრწყინვალედ შეასრულებდა, როგორც ამ უკანასკნელის მოსამზადებელი პერიოდი ჩაატარა, მაგრამ არ დასცალდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ამ აღმომჩინის საგამოცემლო მუშაობა, სტილი, რითაც იგი ქართული კლასიკოსების გამოცემის საპასუ-

ხისმგებლო საქმეს ასრულებდა. ამ დარგშიც მან იმდენი იშრომა, რომ მარტო იგი ღირს ერთი დიდი მოღვაწის სიცოცხლის ფასად.

როდესაც მკვლევარი ამოცანად დაისახავდა რომელიმე კლასიკოსის გამოცემას, იგი ჯერ ტექსტს შეისწავლიდა საფუძვლიანად, ხელნაწერებს ნაბეჭდ ტექსტს შეუჯერებდა და, ამრიგად, აჯადომურად გამოცემულ ტექსტზე იწვებდა შემდეგ კვლევა-ძიებით მუშაობას.

ჩვენი აზრით, ყოველი კლასიკი — მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გაიცნოს, როგორც იგი ისტორიულად იყო მოცემული. — შენიშნავს ერთგან მკვლევარი! მან ეს სიტყვები პრაქტიკულადაც განახორციელა აჯადომურად დადგენილი ტექსტებით მან გამოსცა როგორც პუბლიცისტები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ.), ისე მხატვრული სიტყვის ოსტატები ე. ნინოშვილისა და სხვათა სახით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელის (ე. ნინოშვილის) ბრწყინვალე, აჯადომური გამოცემა, რომლის ბადალი ახალ ლიტერატურაში მანამდე არაფერი გეჭონდა და დღემდე სამაგალითოდ რჩება. 1933 წლის ზენდაძისეული ეს გამოცემა ე. ნინოშვილისა პირველხარისხისაგანია როგორც ტექსტის დადგენის, ისე მხატვრული შემკვდრებობის ნედლი მასალის პუბლიცისტის მხრით. ეს გამოცემა, რომელიც ამ მეოთხედი საუკუნის წინ განახორციელდა, ბრწყინვალე მაგალითია იმისა, როგორ უნდა იცმოდე მხატვრული სიტყვის ოსტატი. ასეთია, მოკლედ, ჩვენი ახლო წარსულის ნიკოლოზ მკვლევარის, ს. ზენდაძის მრავალფეროვანი საქმიანობა, რაც მან მოსწრაფებული სიტყვების ათოლე წლის მანძილზე განახორციელა და ასე ბრწყინვალედ ამ მოძალეხული მრავალმხრივი მუშაობის პირობებში, საფუძვლებლია, მას ექნებოდა ზოგიერთი ხარევი, დაუზუსტებელი ფორმულირება, უნებლიე შეცდომა ე. მ. მაგრამ ყოველივე ეს იმ ტაპზე არათუ მოულოდნელი, აუცილებელი იყო, ვინაიდან მკვლევარის ძიების არეხმირ შემთხვევაში გაუტყველ ყამირს წარმოადგენდა, რიგი საკითხები ახლად მუშაოდებოდა და, რაც მთავარია, ახალი, მარქსისტულენინური თვალსაზრისით.

1 გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებულ, ტ. I, ქართული წიგნი, ტფილისი, გვ. XII.



ლითვანი პენაშილი



შიო არაგვისპირელი

დღეილის პროცესში მყოფმა ეპოქამ თავისი ბეჭედი დასვა შიო არაგვისპირელის ფრიალ ორიგინალურ შემოქმედებას, რომელიც თითქოს განმარტოებულად ანათებს ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში. მაგრამ დაეკვირვებულ გონების თვალს ადვილად შეამჩნევს, თუ როგორ ღრმად არის გაღმეული მისი ფესვები ქართული კლასიკური ლიტერატურის ნოყიერ ნიადაგში. ქართული მრავალფეროვანი ლიტერატურა ნიჭიერ მწერალს ყოველთვის უტოვებდა უფლებას, დაჩნენილიყო ორიგინალური და საინტერესო, თუკი, იმიტაციის მაგიერ, ზღეს მოჰქიდავდა თავისი ეპოქის აღმამანების სულიერი ცხოვრების მხატვრულ წარმოსახვას, მის ესთეტიკურ გააზრებას.

შიო არაგვისპირელმა კარვად იცოდა, რომ ცხოვრება რთული და ღრმაა, რომ მას მრავალი კუთხე მოეპოვება სამწერალად. ამიტომ, მისი აზრით, მოთხოვნილება, რომელსაც მწერალი უყენებს თავისთვის, არ უნდა იყოს ცალმხრივი და შეზღუდული. მწერალმა არ უნდა აიძულოს საკუთარი თავი, რომ მხოლოდ ერთი კუთხიდან, ერთი წერტილიდან შეხედოს უადრესად რთულსა და მრავალფეროვან ცხოვრებას. როგორც კი ასეთი განსაზღვრული მოთხოვნილება გაჩნდება, იმავე წუთში მწერლის საზოგადოებრივი ფუნქცია ყალბი ხდება და ხელოვნურ არტახებში ემწყველება.

მწერალს უფლება აქვს ცხოვრებასა და ცხოვრებაში მოქმედ აღმამანებს უმზიროს იმ წერტილიდან, საიდანაც უკეთ დაინახავს მათს სულს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მოვლენისა, რომელიც არსებობს არ ამოწურავს მწერლის ფუნქციას სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის დროს. ამიტომ აქ მეორე ვარაუდობაც უნდა იყოს გათვალისწინებული, სხედლობერ, შემდეგაც: აქვს თუ არა მწერალს სამზერი წერტილის არჩევის დროს თავისი საკუთარი, ორიგინალური, სხედებისაგან დამოუკიდებელი ესთეტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც ხელოვანს აქცევს ჰეშმარტი შემოქმედად.

სწორედ ამგვარმა მსოფლმხედველობამ უნდა განსაზღვროს მწერლის ფუნქცია მოვლენათა და აღმამანთა მხატვრული წარმოსახვის დროს. რა ვეითობა ახალი მწერალმა ცხოვრების მსახებზე? არ, რა კითხვა განსაზღვრავს მწერლის

ფუნქციასთან საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას.

ამ თვალსაზრისიდან უნდა გამოვიდეთ, როდესაც შიო არაგვისპირელის შემოქმედებებზე გვაქვს მსჯელობა. ამიტომ აპრიორულად, ყოველგვარი მტკიცების გარეშე უარყოფილი უნდა იყოს შიო არაგვისპირელის პროზის ტენდენციური შეფასება, რომელიც მარქსიზმის ლოგომატიკური გაგებიდან გამომდინარეობს. ზოგიერთის აზრით, „შიო არაგვისპირელის წერილობურეუბიული იდეოლოგია ყველაზე სრულად აღამაინის არსების განმარტებასა, საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების საკითხში გამომეტყვენდა“¹.

თუკი ჩვენ მიერ ციტირებულ აზრს დავუკვრებთ, მაშინ ძირითადი და არსებითი საკითხის მხატვრული წარმოსახვის დროს შიო არაგვისპირელი წერილობურეუბიული თვალსაზრისის მქონე შემოქმედი ყოფილა და მისი ესოდენ მიზნიდველი, ღრმა და უკვდავი პროზაული ქმნილებანი მიუღებელია. ამგვარი მწერალი რომ ყოფილიყო შიო არაგვისპირელი, მაშინ ის ქართული მკითხველისათვის დაკარგავდა თავისი მხატვრული მიზნიდველობის ძალას და გადაიტყუებდა გარდასული დროის ყალბ ანარტყლად.

საკითხთან მიანც, რატომ არის მისი შემოქმედება წვრილბურჯეუბიული? იქნებ იმიტომ, რომ მწერალს ანაღლიანებს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის ეროვნული ნაიბიზმი, რომელიც აგრე ბრწყინეაღად იღებულა ნოველში „ჩემი სამშობლი, ჩემი გულა“? ან იქნებ იმიტომ, რომ საზოგადოების იმავე ნაწილმა დაკარგა ელემენტალური მორალი სიყვარულის, ამ ჰეშმარტი აღამანური გრანობის, ვაუხამსების დროს? ამ გარემოებას ველისტიკვილი ხედება მწერალი და განა ეს აძლევს ვისმეს საბოთს, შიო არაგვისპირელის პესიმიზმზე ილაპარაკოს?! ან იქნებ იმიტომაც, რომ შიო არაგვისპირელმა ერთ ნოველში („ანტონ ზურაბიძე“) მოგვეცა შეშამარწუნებელი სერათი აღამაინის ზნეობრივი დაღეშისა?!

როდესაც არაგვისპირელი ხედავს, რომ განათლებული, კულტურული ქართველი ქალი მშო-

¹ შიო არაგვისპირელი, ოსხულებანი, ტ. 1. 1947 წ., წინასიტყვაობა, გვ. XIV.

ბლიურ ენას აბუნად იცდებს და შოგულ ქართლში ქართული იაჯიბიან ქართულ ენას გამოადგენის, როგორც უქმს, ღირებულებას მოკლებულ ნივთს; როდესაც მწერალი მოწმე ხდება დეპოდ მამე უფრო აბლობელი მგგობრის სამარტხებინო ღლატისა („ბალი ყოფილხარ“); როდესაც დამარხების ხარჯების თავიდან აცილების მიზნით აღამაან აღეძერება სურვილი, სამამართან ფოსტი გავზავნის თავისი, ოდესდაც საყვარელი, მეუღლის გვამი, — ყოველივე ეს ამარტხენ განწყობილებას აღძრავს არა მარტო მწერლის სულში, არამედ მკითხველშიც. და ვანა ამიტომ უნდა მივყარათ მწერალს მწერლობერტეზიული მსოფლმხედველობის? მქონე აღამაინის პბრა? აღამაინის მანკიერი საქციელის დავგობა თუ მწერლობერტეზიულია, მამინ როგორი იქნება, კრიტიკოსის აზრით, პროლეტარული მიდგომა იმავე საკთხისადმი?

როგორც ვთქვით, ყოველ ქეშმარიტ შემოქმედს სხვადსხვა სამური წერტილი აქვს ცხოვრებაში მოქმედი აღამაინების სულის წარმოსახვის დროს. ეს რომ არ იყოს, მამინ ერთფეროვნება გაბატონდებოდა ლიტერატურაში. ერთფეროვნება კი მხატვრული ლიტერატურის სიკვდილია. ერთსა და იმავე ეპოქაში ცხოვრობდნენ და ერთსა და იმავე ეპოქის აღამაინებს წარმოსახვდნენ ლეე ტოლსტოი და თეოდორ დოსტოევსკი, მაგრამ მათ მიერ აღწერილი ქვეყანა განსხვავდება ერთიმეორისაგან, რადგანაც ისინი სხვადსხვა წერტილიდან უცქერდნენ ემპირიულ სინამდვილეს და სხვადსხვა ესთეტიკური მსოფლმხედველობა მქონდათ. ამამა მათი უღიდესი ღირსება. დოგმატიკოსები კი მწერლის ფუნქციას აფსახუნენ არა მისი ცხოვრებასთან დამოკიდებულებით, არამედ მის მიხედვით — ეთანხმება თუ არა მწერლის მიერ მხატვრულ წარმოსახული ქვეყანა დოგმატიკოსის წინამარ ავჯიბტებულ პოლიტიკურ თვლსაზრისს.

ამრიგად, საკითხის გადაწყვეტა ყოველთვის ყალბი, არაქეშმარიტი იქნება, თუკი მკვლევარი თავის თვლსაზრისს ახვევს მწერალს. ამ დამლებული მოქმედების თავიდან აცილების მიზნით, პირველ ყოვლისა, საქირთა იმ სამზური წერტილის რაობის გარკვევა, საიდანაც მწერალი კვრეტს ემპირიულ სინამდვილეს. მაგრამ იმისათვის, რომ შეცნობილი იქნეს ყოველივე ეს, საქირთა იმ მოტივების კლასიფიკაცია, რომელიც სტიმულს აძლევდა მწერალს ნაწარმოებთა შესაქმნელად.

პირველი მოტივი, რომელიც გასლევს შიშო არაგვისპირელის შემოქმედებას, განსაზღვრული ყოფს ისტორიული ვითარებით. საქართველო ცარისტულ კოლონიას წარმოადგენდა და, როგორც

ყოველი კოლონია, მოკლებული იყო საცუთარი ძალებით ქვეყნის მმართველს უფლებას, საყუთარი ეკონომიტი, პოლიტიკურ და ეროვნულ ცხოვრებას. ჩვენი ვნა დღეინილი იყო და ცარისტულ-გარუსების არადილი თავს დასტრიალებდა საქართველოს შეილებს. ქართულ ეროვნულ ორგანიზმში ცარიზმი ტლანტი, უხეში ფორმით უშეებდა მისთვის სრულად უცხო ელემენტს, რომელიც საწამლავეით ღრღნიდა მის თავისუფლებისმოყვარულ სულს და გადაგვარების მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებდა ხანგრძლივი თავდაცუით ბრძოლებით გატანჯულ ქვეყანას.

ამ მიდგომარეობით იყო გაპრობებული ყოველი ნიქიერი ქართველი მწერლის პატრიოტული მოტივი XIX საუკუნის შთელ მანძილზე. შიშო არაგვისპირელიც ამ საერთო კანონზომიერებას ექვემდებარებოდა. რამდენადაც უფრო მამე იყო ქართველი ხალხის ხეედრი ცარისტული რუსეთის იმპერიაში, მით უფრო მტიკუნეულად წარმოსახებოდა ხოლმე ეს მოტივი ქართული ლიტერატურაში, საერთოდ, და შიშო არაგვისპირელის შემოქმედებაში, კერძოდ. ამ მოვლენის ერთ ბრწყინველ დადასტურებას წარმოადგენს ნოველა „მიწა“.

ქართულმა ლიტერატურამ იციის მრავალი ბელეტრისტული ნაწარმოები, რომლებშიც ეროვნული თავისუფლების გრძნობას მიუწვდომელ ესთეტიკურ სინამდვილედ მივლწევია, მაგრამ მან იშვიათად იციის ამავ გრძნობის ისეთი გრძნებით გამოხატვა ნოველაში, როგორც ეს დასახელებულ მტიკუნე მოცულობის ნაწარმოებშია წარმოსახული. „ბედმავს, გული ასე რახედ მიცენესის“ — ამ სიტყვებით იწყება ნოველა. ბერას ეს სიტყვები ღვტმოტივია მთელი ნაწარმოებისა.

საკითხავია: რახე უცენსოდა გული მთიელ ბერას? თავისუფლებისმოყვარე ბერა დაამატირეს, პოტიკული დაადეს და საციმბიროდ მოამხადეს. იმბირი ხომ სინონიმი იყო წამების, ტანჯვის, შეურაცხყოფისა და სიკვდილისა. ორი წელი გაატარა ბერამ ნესტრის საყრობილილი და ქლექით დაავლდა. მოახლოვდა ციმბირში გადასახლების დრო. თუმცა ბერამ კარგად იყოდა, რომ ციმბირამდე ცოცხალი ვერ ჩავიდიოდა, მაგრამ შეგნებულად მოეშხადა გოლგოთაზე ასახველად. გადასახლების დროს ტუსაღები გაჩხიკეს. გაჩხიკეს ბერაც, მას ცხვირსახოცი გამოხვეული სამშობლოს მიწა უბოცრა. ოფიცრმა მოინდომა მიწის გადაყრა. დამპყრობელმა რა იყოდა, თუ რა ძვირფასი იყო ეს ერთი პეშვი მიწა ქართველო კაციისთვის, რომელიც თავისი ქვეყნის ფარგლებგარეთ უნდა მომკედარიყო. ბერამ ოფიცრს მიწა ხელიდან წააგდო და საგულეში შეინახა. ეს იწყინა ოფიცრმა. მას ხომ კაციბირიული გული არ ქქონდა! როგორც ტლანქმა და უხეშმა ვერ გაავო, ვერ მიხედა ბერას საქციელის აზრს. დამპყრობელის ბუნება ყოველთვის მორჩილებასა და მონიბას თხოვლობს

ადამიანისაგან და, თუ მცირე წინააღმდეგობა გამოაჩვენებდა თავისუფლებისმოყვარულმა კაცმა, მაშინ დამპყრობელი სალდაფონი ცდილობს ურჩის დასჯას, რათა ძალით შთაუწეროს მონური სული.

მაგრამ ბერა მონად როდი იყო დაბადებული მთელმა ვაგეკაცმა უვლადფერი დაჯარაგა დამპყრობელის ხელით: სამშობლო, ოჯახი, შეყვარებული. მაგრამ ერთი პეშვი მიწა კი არაივის დაუთმო, რადგანაც ეს მიწა ძარღვებით აკავშირებდა ბერას თავის ქვეყანასთან.

წინააღმდეგობის გამო, უფროსის ბრძანებით, ბერას როზედ დაქვრივ, მაგრამ ტყვიის რიდი გრძნობდა მისი ტანჯული სხეული. როზედქვეშ დღევით იფლითებოდა ბერას ტანი, მაგრამ მას ერთი კენესაც არ აღმოხდენია. ასეთ წამებაში მოკვდა იგი, მაგრამ კმაყოფილი იყო იმით, რომ გულზე თავისი სამშობლოს მიწა ჰქონდა დაყრილი.

შოი არაგვისპირელს ცოცხალი მხატვრული ფერებით აქვს მოქსოვილი გმირის ხასიათი. ნოველა ოთხი ფურცლის მოცულობისაა, მაგრამ ქვემარტივი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ყოველი მხატვრული ნაწარმოები, შოი არაგვისპირელის აზრით, ეყრდნობა ორ პრინციპს: პირველი — მწერალმა უნდა წეროს ისე, როგორც მისი სინდისი და გული უპარნახებს, და არა ისე, როგორც მას გარედან აძლევენ. მეორე — ეს სურვილი წარმოსახული უნდა იყოს ისე, რომ სათქმელს მოეხდინოდა ჰქონდეს შესატყვისი ვარჯიანი მხატვრული ფორმა.

შოი არაგვისპირელის ნოველა „მიწა“ ამ მხრივ შედევრის მნიშვნელოვან ინარჩუნებს, ის თითოეულ მკითხველს განსსჯელავს იმავე ტიპივლებით, რასაც ბერა გრძნობდა დამპყრობელთა ხელში. ბერა ცოცხალი სხევა ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანისა. ნოველაში ის თითქოს არც კი უწევს წინააღმდეგობას საკუთარ ხედვებს, თითქოს წინასწარ იმედგადაწყვეტილია და არაფერს არ აცთებს იმისათვის, რომ სიტყვიერად მაინც შეებრძოლოს უკუღმართობას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენება ასე. ნამდვილად კი თავისი დღემდე უფრო მეტად იწყებს ზიზღს უხეში, ტლანქი ძალისაღმი, გვყიარალებს თავისუფლებისადმი სიყვარულით, ნაციონალური ინტერესების დაცვის სურვილით.

მეორე ნოველა, რომელიც ამავე მოტივზეა დაწერილი, ვახლავთ „ჩემი სამშობლო, ჩემი გულია“. მებრძოლ მტკივნეულ პრობლემას იხეზა აღნიშნული ნოველა ქართული და პოლონელი სტუდენტთა ერთად სწავლამ და საერთო ინტერესებმა დაამგობრა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთიმორაგს ფიზიკურად დასცილდნენ, მაგრამ მათ შორის სუ-

ლიერი კავშირი არ შეწყვეტილა. ამ გარემოებამ აიძულა პოლონელი პშოვალსკი, აქვეყნებდა ქართველ მეგობარს თბილისში. დადგენილიყო გონებანი კვლავ შედრებით აღდგა თბილისში ყოფნის დროს პშოვალსკი გაეცნო ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლონელმა ვერ მიიღო შესაფერის შთაბეჭდილება ამ საზოგადოებაზე. კიდევ მეტო: ოდესღაც რომინტიკული წარმოდგენა ქართველთა მიერ სამშობლოს სიყვარულზე პშოვალსკის შეერვა.

პოლონელი იძულებული გახდა, პირდაპირ ეთქვა ქართველი მეგობრისათვის: „ბედნიერად გთვლიდი იქ, როდეს შენს აღტაცებულ სიტყვებს შენი ერის შესახებ ესმენდი და ვუმზერდი იმავე დროს შენს თვალებს. ვთვლიდი ბედნიერად იქ ერსაც, რომელსაც შენ ეკუთვნოდა.“

დღეს კი, სამწუხაროდ, ძალიან ბურად წინააღმდეგი უნდა ვითხრა. რა უნდა გაიაროს ადამიანმა იმ ერში, რომელსაც ჯერ არ შეუგნა ის უბრალო ქვემარტივება, რომ თავისი დედა-ენით ილაპარაკოს¹.

პოლონელის ამ მამე განსჯის გამო ქართველი მეგობარი მიუთითებს პშოვალსკის, რომ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის იცნობს, არის ერთი ქალი, რომელსაც წმინდა გრძნობით უყვარს საქართველო, თავისი ხალხი, თავისი მიწა-წყალი. პოლონელი დანტერესდება ამ ქალის პიროვნებით, ახლო გააცნობს მას და დაკვირვების შედეგად იმედს გაუცრუდება. ქალი, რომელიც პოლონელის მეგობარ ქართველს კაცს უყვარდა (რომლის გამოც პშოვალსკის არავითარი ცნობა არა აქვს) შეიყვარებს პშოვალსკის. ვაჟიც უთინავრძნობს ქალის სიყვარულს. დადგა დრო პშოვალსკის საქართველოდან პოლონეთში წასვლისა. ვაჟი აფრთხილებს თავის შეყვარებულ ქართველ ქალს ამის გამო. იმავე დროს, შენისაგან რომ არ უნდა ამ უღამაზესი ქვეყნის დატოვება და ვიღაც შემთხვევით გაეცნობილი პოლონელის ცოლობა? (პშოვალსკი ფიქრობდა, რომ ბრძოლა სატრფოსა და სამშობლოს სიყვარულს შორის დამთავრდება სამშობლოსადმი სიყვარულის გამარჯვებით).

ვაგის ამ კითხვებზე ქართველი ქალი უპასუხებს: „საცა გინდა, იქ წაიყოველ ყველაფერს და ვივიწევს... ჩემი სამშობლო ჩემი გულია. სადაც მე ვიწვნება, სამშობლოც იქ იწვნება.“

პშოვალსკი შეაფრთხილა ქალის პასუხმა და ისე დატოვა საქართველოს საზღვარი, რომ არც მეგობრისათვის და არც ქალისათვის არ უთქვამს თავისი წასვლის ნამდვილი მიზეზი.

ვარშავედან პშოვალსკი ქართველ მეგობარს სწერს წერილს, რომელშიაც ამხელს მაროს ყალბ ბუნებას. ბოლოს, დასკვნის სახით, პშოვალსკი ამბობს: „ჩვენი ქალები სულ სხვის იძიებან ამ შემთხვევაში: „ჩემი გული ჩემი სამშობლოა და თუ სამშობლო არ იქნება, ნურც

1. შოი არაგვისპირელი, ტ. I, გვ. 66, 1947 წ.

1 შოი არაგვისპირელი, ტ. II, გვ. 67.

ჩემი გული იქნება“. ამ ჩვენი ქალების წმიდა-თა-წმიდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაც-ლებენ სამშობლს“.

როდესაც შიო არაგვისსიბირელის ზემოლნიშ-ნული ნოველის კითხვის ამოთერებს მკითხვე-ლი, მან არ შეიძლება არ იგრძნოს წარმოსახუ-ლი სურათის საშინელება, არ დააფიქროს სა-კუთარ ხვედრზე და არ განაღვლეინოს მწუხა-რება ამ ხვედრის გამო. ნათე ჩვენმა წინაპ-რებმა მდიდარი ქართული კულტურა იმისათვის გამოატარეს ისტორიის მკაფრ ქართულში, რომ მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუ-კუნის დასაწყისის მიჯნაზე დაგვეიწყებინა მშობლიური ენა, და მერე სად? შეიგულ ქარ-თლში, რომელიც აკენს წარმოადგენდა ქარ-თული კულტურისას. ნოველის გმირი ქალი — მარო თავის ოჯახიდან დღევნის ქართულ ენას და სხვებსაც ურჩევს, დაიფიქროს ის, რადგანაც ქართული ენა ფოლოს ხიდს იქით უსარგებ-ლო ინსტრუმენტად იქცევა. მაროს აზრით, რაც უფრო შალე დაიფიქრებს ქართული ქართულ ენას, მით უკეთესია მისთვის. ქართული სკო-ლების ლაციდაცა და რუნული სკოლების ვახანა ქართული სკოლების ნაცულად, აი, რაში ხედავს ნოველის გმირი ქალი ქართველი ხალ-ხის ბედნიერ მომავლს. ასეთი იყო ცარისტუ-ლი „ველიკოდერეჟინელი“ პოლიტიკა. და მარო ამ პოლიტიკის წარმომადგენელია საქარ-თულში. იყო თუ არა ტრამპიონი ხასიათი მარო? უმეველად იყო, თუა ტრამპის ბელისცი-სებურ განმარტებას დაუეჯერებთ.

მარო წყლულია ქართულ ეროვნულ სხეულზე და ამ წყლულისაგან განკურნება ერთი მთავარი ამოცანა იყო ქართული სიტყვაკმული მწერ-ლობისა შიო არაგვისსიბირელი ამას ვგრძნობდა და მთელი გულისტკივლით წარმოსახავს მისა მხატვრული სურათი, მაგრამ არა იმისათვის, რომ უმეველ განწყობილებით გაემსუვალეთ მწე-რალს ამ მწუხარე სურათის შეხედვის დროს, არამედ აემიღებინა ჩვენში ეროვნული, პატრი-ოტული სული და აღებრა სიძულელი იმ ადამ-იანების მიმართ, რომელთა ოჯახებიდანაც გან-დევნილია ქართული ენა.

შიო არაგვისსიბირელისათვის დამახასიათებელი ღრმა ფსიქოლოგიით ვახსნილია ნოველაში მოქმედი ხასიათები. მათს ქცევაში, მათს მოქმე-დებაში ჩანს არა მარტო ემიგრირებული სინამდვი-ლე, რომელიც თავისთავად აგრე სასტიკი და პარქში იყო, არამედ ადამიანების სულიერი ცხოვრება თავისი კეთილი და ბორიტი განზ-რახებით. მაგრამ მწერალი ადამიანის ბორიტე-ბას მის ბიოლოგიურ თვისებად როდი აქცევს, არამედ გარემოების შედეგად წარმოვიდგენს. მწერლის აზრით, თავისთავად ადამიანები ბო-რიტები როდი არიან. მათ ბორიტებს ვარკვე-ული ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, ვარე-მოსთან; კერძო ინტერესების შეჯახება საზო-

გადობრივთან, საზოგადოებრივისა — კერძო-სთან; გაბატონებულ სახელმწიფო უკუნერ მმარ-თველებთან და, საერთოდ, ჩაგვრახე დამყარე-ბულ საზოგადოებრივ სისტემასთან; უკუქმე დანაშაულისათვის შიო არაგვისსიბირელი ბრალსა სდებს არა ბიროვნებას, რომელმაც ეს დანაშა-ული ჩადინა თავისი სუბიექტური სურვილის ვარქმე, არამედ გაბატონებულ საზოგადოებას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას. მწერლის აზრით, ბიროვნების ქმედება, რომელსაც სწო-რად ბორიტება მოსდევს თან, განსაზღვრულია ვარკვეანი, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ფაქ-ტორებით, რომელთა დამორჩილება ან თავიდან აცილება აღებმტება ბიროვნების შესაძლებლო-ბას. თუ გვიდა თავიდან ავიცილოთ ზოგიერთი მისალოდენი უბედურება, რომლებიც ადამი-ანის მოქმედების შედეგად წარმოიშობიან, უნ-და შევეცალოთ ობიექტური ბირობები. მხო-ლოდ ამ გზით შეიძლება ქვეშაირიტი ადამიანე-რა საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება, გონიერი სინამდვილის გაბატონება არაგონიერ სინამდვილეზე.

გონიერი სინამდვილის შედეგად, არაგვისსი-ბირელის აზრით, თვით მაროც კი აცილებდა თავიდან მომაცდინებულ შეცდომას, რომელიც მან დაუშვა სამშობლოსა და დედენის მიმართ. ნაციონალურ ნიბილზს ამ თუ იმ ერში ყოველთვის წარმოშობს ვარკვეანი დამა-ყრობელი ძალა, რომელიც აბეულებს პატარა ერს ეროვნული ტრადიციების, კულტურის, ენის დაიწყებას, რათა ამ გზით უკეთ შეძლოს მისი ასიმილაცია.

შიო არაგვისსიბირელი ამას ვგრძნობდა, ვგრძნობ-და და ვოდებდა თავისი ქვეყნის მომავალ ბედ-ზე, მაგრამ არა როგორც პესიმისტი, არამედ — როგორც რაინდი, რომელსაც ფარ-ხმალ დაემ-სხვრა ბრძოლაში, მაგრამ არ დაუეარგავს გამარ-ჯვების რქმენა მომავალში.

მხატვრული ხერხი, რომელსაც განსახილველ ნოველაში შიო არაგვისსიბირელი მიმართავს, არის კონტრასტი. კონტრასტის გზით ის მკითხველში აღბრავს არა მარტო ცნობისმოყვარეობის გრძნობას, რომელიც თავისთავად ვგრე საჭიროა მხატვრული ნაწარმოების ემოციური შექმენე-ბისათვის, არამედ — ინტერესს თვით სათქმელის მიმართ. აქვს თუ არა სერიოზული სათქმელი მწერალს, რომელიც აღბრავს შემოქმედში სტიმულს მხატვრული ნაწარმოების დასაყარად. ყოველი სათქმელი როდი გამოდგება ამ მიზნი-სათვის. თავისთავად მწერლის სათქმელი საზო-გადოებრივი ხასიათის მქონე უნდა იყოს და აღებულებდეს ამ საზოგადოების ვარკვეულ ფე-ნებს. ამ საზოგადოებრივი ინტერესის ვარქმე მდგარი ყოველი სათქმელი ხალხის ყურადღე-ბის ვარქმე რჩება და მოქმედთან ერთად კედე-ბა.

შიო არაგვისსიბირელი ნოველაში „ჩემი სამ-

შობლო, ჩემი გულაა, მიმართავს კონტრასტულ ხერხს, რათა უკეთ გვიჩვენოს ხასიათების სულიერი ცხოვრება და, ამავდროს, დავაყენოს მთელი დღეობის წინაშე. ნოველის პერსონაჟები აყუთბენ არც იმას, რაც სასურველია, არამედ იმას, რაც აუცილებლობის ლოგიკით არის გამართებული. მაგალითად, ნოველაში მკითხველს სურს გამართლდეს ქართველის მიერ პოლონელი მეგობრის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მაროს ახლო გაცნობის შემდეგ დარწმუნდები, თუ როგორ უყვართ ქართველი ქალებს თაიანთი სამშობლო მართლაც, მკითხველი გამსკვალულია ამ სურვილით. მაგრამ მწერალმა რატომღაც ამ სასურველ გზას გვერდი აუხვია და ობიექტური მოვლენებით განსაზღვრულ აუცილებლობის გზას დაადგა. ამ გზიდან ჩვენ დავინახებთ მარო არა როგორც პატრიოტს, თავისი ქვეყნის ერთგულ შეილა, არამედ მისი უარყოფელი და ზნეობრივად შერცხვენილი პიროვნება.

ნოველაში მეორე გარემოებაა შეინიშნება კონტრასტებსა მხატვრული ხერხის გამოყენებისა. მკითხველს სურს, რომ მაროსა და პოლონელს დაახლოება არ გადაიზარდოს საყვარელში, რადგანაც მარო საკლავა ქართველისა, რომელიც მეგობრობს პოლონელს. მწერალი არც აქ აქვს მკითხველის სურვილს. პშიქოლსკის გამოცდამ ისეთი შედეგი მიიღო, როგორსაც თვითონ მოელოდა, რადგანაც პოლონელმა ადრევე გაფრთხილა ქართველი მეგობარი მაროს არაკეთილშობილი ბუნების გამო. აქაც მკაცრი აუცილებლობა ხდება მწერლის შემოქმედებითი სტიმლის მიშენი ძალი. ის სუბიექტურ სურვილს კი არ მისდევს, არამედ მკაცრ აუცილებლობას, რომელიც ბრძანებლობს ადამიანის სუბიექტურ ნებაზე. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ინდივიდუალის მოქმედებისათვის, რომელსაც შედეგად მოსდევს ბოროტება, მწერალი პასუხისმგებლობას აქსერებს არა პიროვნებას, არამედ გაბატონებულ საზოგადოებას, ობიექტურ რეალობას, ცხოვრების პირობებს.

პატრიოტულ მოტივზეა დაწერილი შიო არაგვისპირელის ესკიზი „მოჯავებული ამირანი“. პაპა ფოცხვერა ამირანის ამბავს უამბობს თანამემამულეებს, რათა მათში აღძრას, გააცოცხლოს გმირული სული. პაპა ფოცხვერა ამირანის ამბავში ერთ ფრიად საყურადღებო გარემოებას ინიშებს ვადამწვევებ მნიშვნელობას. ამ ბალოზე, რომელზედაც მოჯავებული ამირანი, შემოჯდება ხოლმე უცხო ფრანგელი, რომელიც გამოიშვევი ხოლმე აწამებს ისედაც ვაწამებულ ამირანს. გაბრაზებული ამირანი უცხო ფრინველის მოსაკლავად აღმართავს მძიმე ურჩოს და მთელი ძალით ურტყამს პალოს, მაგრამ ფრინველი უვნებელი რჩება, ხოლო პალო უფრო მაგრად ესობა

მიწაში. ამირანი თავის შეცდომას შედეგის შემდეგ მიხედება მხოლოდ.

გარდა საერთო პატრიოტული ტრეშობისა, ნოველის ავტორს სურს გვიჩვენოს, რომ ყოველი ადამიანის ბუნებრივად თუ უბედურება გარეგანი, ადამიანის სუბიექტური ნებისაგან დამოუკიდებელი, ძალების გაუღუნის შედეგად იხსენება გარეგანი პირობები, რომელთა იდუმალი კანონები განაგებენ ჩვენს მოქმედებას, არის განსაზღვრელი ჩვენივე ცხოვრებისა.

უცხო ფრინველის სახით ავტორი იძლევა ამ გარეგანი ძალის მოვლინებას, რომელსაც ამირანი წინასწორიდან გამოყავს და საკუთარი შეცდომის შედეგად ვიძირ ხდება უბედურების მსხვერპლი. მაგრამ შეცდომა იქნება, რომ ამ გარეგანი ძალის ფატალისტური მნიშვნელობა მივინიშოთ. შიო არაგვისპირელი მტრულად არის განწყობილი ფატალიზმისადმი. ყოველ მოვლენაში ჩვენი ბელეტრისტი ხედავს გარკვეულ კანონზომიერებას, რომლის შეცნობა ადამიანის გონებას შეუძლია აბსოლუტური სისუსტით. მაგრამ მწერალი ხაზს უსვამს ამ გარემოებას, რომ მოვლენათა ობიექტური კანონები არ ემორჩილებიან ადამიანების სურვილს. კიდევ მეტი, ეს კანონები განსაზღვრავენ მათს მოქმედებას.

ამირანი ესკიზში მოჩანს არა მხოლოდ როგორც მითოლოგიური სახე, არამედ — როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის გმირობისა, შეუდარებელი, გამბედელობისა. მაგრამ ამირანს, როგორც ადამიანს, თან ახლავს ერთი ნაკლი. იგი თავისი საკუთარი ხელით ჰედავს საკუთარ ბოროტებს. პაპა ფოცხვერა ჰედავს გვანის ნებას, რომ ხშირად ქართველი კაციც თავისი არაკეთილი მოქმედებით თვით მოჯავებავს ხოლმე საკუთარ სამშობლოს მონობის ხეზე. იმისათვის, რომ ამგვარი შეცდომა თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა სინამდვილეზე ღრმად დაკვირვება, მოყვარისა და მტრის შეცნობა, ურთიერთის დანდობა და მხარდაჭერა, აუჩემოდ ვინ იმღერეთობისა ამირალტო კოდექსის განადგურება. მაშინ ქართველი ადამიანი აღარ იქნება მონა გარეგანი პირობებისა; ის იგრძნობს, ფიზიკურ თავისუფლებასთან ერთად, სულიერ თავისუფლებას. მხოლოდ გონიერება გათავისუფლებს მოჯავებულ ამირანს ტყვეობისაგან.

პატრიოტული მოტივი ერთი უწმინდესი და უძლიერესი მოტივთაგანია ყოველი ერის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს მოტივი ლიტერატურას აძლევს სიცოცხლის ელექსერს და წამოაღდგენს ეროვნული ენერჯის ემანციას ხელოვნებაში. მაგრამ ეს ერთადერთი მოტივი როდია შემოქმედისა. ერთი მოტივის ანაბარად დარჩენილი ლიტერატურა მეტად ღარიბი გამოინდებოდა მსოფლიო მწერლობის ფონზე. მოტივების სიმდიდრე და სიხვეუ თვით ლიტერატურის სიღიაღვეზე მივითითებს. ამიტომ მწერ-

ლის ინტერესების სფერო განუსაზღვრელი უნდა იყოს მოტივებთან დამოკიდებულებაში.

შიო არაგვისპირელი ამ მხრივაც ინარჩუნებს პრიმატს სხვა, მის თანამედროვე, ქართველ მწერალთა შორის.



მეორე ძლიერი მოტივი, რომელიც შიო არაგვისპირელის შემოქმედების ანალებშია შესული, არის სოციალური მოტივი. ეროვნულთან ერთად, სოციალური მოტივი მწერლის მოქალაქეობრივ, კემშარიტი მოვალეობის შეგნებაზე მივითითებს. მწერალი, როგორც მოქალაქე, თავისი დროის შეილა და ამ დროის სოციალური ტყვეობის თავისებური სენსიზაციადი. ის ვერ დაარჩება გულგრილი მკურნალები სოციალური უსამართლობით დაიჯერული აღმამანებისადმი. მაგრამ იქ, სადაც დაზარალებული აღმამანთა დიდი ნაწილი, არ შეიძლება მწერალი მოსვენებულად გრძობდეს თავს, თუკი ის ნამდვილი შემოქმედია და არა ლექსების ან მოთხრობების მლიქვნელი მკეთებელი.

შიო არაგვისპირელის დროს მართო ერთგულ ტანჯვას როდი განიცდიდა ქართველი კაციერის დიდი ნაწილი სოციალურადაც დაზარალებული და დაბეჩავებული იყო. მაგრამ, ამის მიუხედავად, მასაც ჰქონდა მწუხარებისთან ერთად თავისებური სიხარული, ინტერესები აღმჭარელი ცხოვრება, ტრადიციები, რწმენა მომავლისა. კემშარიტი შემოქმედი ყოველთვის ამსუკავლებოდა საზოგადოების ამ ნაწილის ინტერესებით და წარმოსახავდა ამ ინტერესებს მხატვრულ სიტყვაში.

შიო არაგვისპირელიც ვერ აუხვევდა გვერდს თავისი დროის მეტად აქტუალურ სოციალურ პრობლემას. ამით უნდა აიხსნეს ის გარემოება, რომ მისი პირველი ნაწარმოები „ესაა ჩვენი სოფრება...“, რომელიც 1889 წელს არის დაწერილი, მიძღვნილია სოციალური პრობლემას. ამ მოთხრობის სურვეტორი კანვა ასეთია: ეკონომიკურმა გაჭირვებამ აიძულა ერთერთი სოფლის გლეხები ურშვებით შეშა წაეღოთ ქილაქში და არახელსაყრელ ფასში გაეყიდათ. შეშაში აღებული ვროშებით სახალწლოდ ოჯახისთვის იყიდეს ნივთები და გაეშურნენ სოფლისკენ, რათა ახალი წლის ღამე საეთოარ ოჯახში გაეთებინათ. მწერებერთა ახალ წინ მიუძღოდა სოფლის თავმოწონე ახალგაზრდა მეურმე სიმნო. მეურმეებმა მას დააკისრეს წინამძღოლობა, როგორც მამაცა და გონიერ აღამიანს.

„აბა, სიმნო, ხალისიანად გარევე ე შენი კამერები, ეგება შინ დილაზე ღამიანად მივიდეთ, რომ მეკლავები ჩვენ ვიყენეთ, — დუძმასა ილიკომ წინა ურემზე მკადომ 19 თუ 20 წლის ახალგაზრდა მეურმეს“;

სიმნომაც სიამოვნებით იკისრა მოწინავე მეურმეობა და, როცა ყველას დაეძინა, მისი დიდებული ურმელიც მიწყდა. შეფარისინ ღამე არაგვის ხეობას უფრო მიზიდევლობას ანიჭებდა. ღამიანი ბუნების ფონზე მოწინავე მეურმე ფიქრობდა გლეხკაცის უხედურ ხეადრზე, უღუქმებუროდ დარჩენილ ოჯახზე, ტიტველ ბავშვებზე. სიმნოს ახრით, ცხოვრებაში თითქოს წინსვლა, ყველაფერი იცვლება, მაგრამ გლეხკაცის ბედს არაფერი ეშველა. ლუქმპურის ძიებაში უნდა დალიავდეს მან სული ისე, რომ ერთი სასიხარულო დღე ვერ ნახოს ამ ბედგამწარებულ ჭევეანაზე.

ამ ფიქრებში იყო სიმნო; უეცრად გამოჩნდა ეტლი, რომელსაც გვერდით ორი ჩაფარი მოსდევდა. როცა ეტლი მოწინავე მეურმეს გაუსწორდა, ჩაფრებმა მათრახები დაუშინეს სიმნოს და ურმელიც გადამდგეს, რატომ გზა არ მიეცი ეტლსო. ეტლმა ჩაიჭროლა, დამფრთხალი მეურმეები ისევე გზაზე გამოვიდნენ და ურთიერთი მოიკითხეს. მოწინავე მეურმე აღარ ჩანდა. ბევარი უძახეს სიმნოს, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. მეურმეებმა ბოლოს თხრილში იპოვეს თავგანუხილი სიმნოს გვაში.

„ახლა ამის დედის საცოდაობას ვინლა ბილავს?! წამოიძახა ილიკომ.

„ბედნიერი დღე უხედურად არ შეეცლება იმ საცოდავს თქვა ერთმა და თავი ნაღვლიანად ჩაქცადა.

„ესაა ჩვენი ცხოვრება წამოიძახა დიდი ხნის სიუჟის შემდეგ ერთმა მეურმემ და მწარედ ჩაიქნა თავი; რამოდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოვირდა და სიმნოს გავიწულ სიხეს დაეცა“.

ასეთი ნაღვლიანი, მეტი ფერებით ამთავრებს შიო არაგვისპირელი თავის მოთხრობას.

ამ მოთხრობაში არ არის მძაფრი სოციალური კონფლიქტები და კოლოზები, მაგრამ მძაფრია ფსიქოლოგიზმის ფონზე გასწილი აღმამანების შინაგანი სულიერი ჭევეანა. ამიტომ აგრე ახლობელი და შობილიური ზღბა მკითხველსათვის არა მარტო სიმნოს ფიქრები ვლესკაცის ხეადრზე, არამედ მისი გონიერება და ვეცაკობა, რომელსაც ასე აფასებდნენ თანასოფლელები. სხვა გარემოებაში სიმნო ძვირად დაუსვამდა მოძალადეებს თავხედურ ქცევას, მაგრამ აქ ისე უტყდა მოზდა ყოველივე ეს, რომ მას არ მიეცა დრო მოქმედებისა.

მისათვის, რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო მკითხველის აღმფრთხილება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, შიო არაგვისპირელი აჭაც მიმართავს მძაფრ კონტრასტს. სიმნოს დღუბის დროდ მწერალმა აირჩია ახალწლის ღამე, როდესაც ყოველი აღმამანი თითქოს ბედნიერი უნდა იყოს. მოთხრობის ქვეტექსტით საშუალებას გვაძლევს, ჩვენს წარმოდგენაში შევქმნათ ფსიქოლოგიური სურათი იმის გამო, რომ ახალწლის

დილას სიმნოს დედის შვილი კი არ მიულოცავს ახალწელს, სიმნო კი არ იქნება მისი მეგობარ, როგორც, პირობის თანახმად, დათქმული იყო, არამედ ერთადერთი შვილის გვამს შეიტანენ თანასოფრელები, რათა გულდაშეწიარ დედას დაეტერია იგი.

შით არაგვისპირელი ამგვარი სურათებით შედის ჩვენი ცნობიერების სფეროში და, მძაფრ ემოციებთან ერთად, აღძრავს ფიქრს სოციალური უსამართლობის თაობაზე, იმის თაობაზე, თუ როგორ იტანჯებოდნენ ადამიანები გულცივი გარემოების შედეგად. „ესაა ჩვენი ცხოვრება? კითხულობს ერთ-ერთი მეურნე გლეხი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვისმეს თუხნას დასმული მძიმე კითხვა, არამედ იმიტომაც, რომ უფრო მეტად გვაგონობინოს ზიზღი ვაბატონებულ საზოგადოებისადმი.

ამავე ფონზე გაშლილი შით არაგვისპირელის ნოველა „ადე, ჩამოვიდა“. ეს ერთი მშვენიერი მხატვრული ეტოლია შით არაგვისპირელის შეიშოქმედებაში. აქ ნახვებია ადამიანის სულის ერთი მცირე, ვიწრო და სახიფათო ბილიკი, რომელზედაც სიარული პატროსან კაცს უჭირს მისწინა კი, როცა კონომიური ვაჭირვება მის ფიზიკურ არსებობას ემუქრება, მეტიც, არა მარტო უჭირს, არამედ ეზიზღება კიდევ ამ სახედისწერო ბილიკზე სიარული, რადგანაც ის ეწინააღმდეგება ადამიანის წმინდა მოვალეობას.

მაგრამ ადამიანის ნებისყოფას მარტო მისი სურვილები როდეს განსაზღვრავენ? სწორად ადამიანის მოქმედება მისი სუბიექტური ნებისყოფის ორიბიტიდან გამოდის და გარეგანი, მისთვის სრულიად უცხო ძალების მოქმედების შედეგად ხდება. სწორედ ამ გარეგან ძალას ადამიანისათვის ბევრჯერ უბიძგება სახიფათო გზისაკენ, კაცის შეკვლეობისაკენ, მძიმე დანაშაულისაკენ. მაგრამ, შით არაგვისპირელის აზრით, ადამიანის ბუნებაში ცოცხლობს სიყვითისადმი მისწრაფების მაღალი გრძნობა, რომელიც ბოროტად იქცევა იმავე ადამიანში გარეგანი ძალეებისადმი აღძრული ბოროტი გრძნობისა და არ აღეცხს საშუალებას ადამიანს, ეს გრძნობა პრაქტიკულად განახორციელოს.

ეს მძიმე გზა ვაიარა მეწისქვილე გოგამიაც. ოდესღაც მისი წისქვილის ეზო სავეს იყო ხორბლით დატვირთული ურმებით და უკრძალ უცდინდნენ მესაღვრევენი. წელს კი, უკრძალარით პირობების გამო, მოუსაყდარიანობამ და ვადასახადებმა სოფელი დააშინა. გოგამის დიდი ხანია აღარ სმენია წისქვილის გოგვის ხმა. ეს ხმა მასში ყოველთვის აღვიძებდა ასოციაციების სოფლის ცხოვრებაზე, ღარიბ გლეხსკაცობაზე, მეზობლებზე, საკუთარ ოჯახზე, თავის კაცურ-კაცობაზე. წისქვილის ხმა შეწყდა და თითქოს გოგამიაც შეწყვიტა ქვეყანაზე ფიქრი, მხოლოდ საკუთარი თავი გაუბდა სიფიქრე-

ლი. ერთი პეშეი ფქვილიც არა იქვს, რომ ცულ-შვილი გამოეცხვოს. ვაჭირვება უკრძალ-სწყდა გოგამის და, როცა ის უნდა დაეწინა, უკრძალ წისქვილი ფხვი შემოდგა მისმა მეზობელმა გლეხმა, რომელსაც ზურგზე ეკიდა საფქვივი, მოფქვავდა მეზობელმა გოგამი გააფრთხილა, რომ, თუ მალე არ ჩამომიფქვამ ხორბალს და უმალ არ მივაშველებ დამშვეულ ოჯახს, შიმშილი ცულ-შვილი გამიწყვეტსო.

გოგამი წყალი მიუვდო ღარს და წისქვილმა მუშაობა დაიწყო. წისქვილის სარგელებს ხმამ კელავ გამოაფხიზლა გოგამი და ქვეყნისადმი სიკეთით განიშსქვალა გოგამი მუდის წისქვილში და ხელდას, რომ მის მეზობელს ჩასძინებდა. გოგამის სურს მინდი აიღოს, თანახმად წესისა, მაგრამ ხელეები დაბლა ჩამოეუვარდება. ისედაც მცირე საფქვეს არ უნდა მოაკლოს ფქვილი; მაგრამ რაღაც იღუმალი ხმა ყურში ჩასწურჩულვს: მდი და მოაკლიო! გოგამი ძალას იკრებს და თავისი მესხიერებიდან სდევნის ბოროტ აზრს. მაგრამ იღუმალი ხმა კელავ მეორედმა. ის მოაკონებს გოგამს საკუთარ ვაჭირვებას, ოჯახის შიმშილით დაღუპვას. გოგამი თითქოს დაემორჩილა ბოროტ ხმას, რომელიც ცულისაკენ მიუთითებს. გოგამიაც ხელი მოჰკიდა ცულს და აღმართა კიდევ მეზობლის მოსაყლაკად, რომ ელვის-სისწრაფით მის მესხიერებაში ილდგა მეზობლის სიტყვები, რომ ცულ-შვილი შიმშილით მიმუშავდება. გოგამის ცული ხელიდან გაუვარდა, შიმინარე მეზობელი გააღვიძა და ფქვილი ოჯახში გაატანა.

ძნელია ცნებების ენაზე იმის გადმოცემა, რასაც სიტყვის ოსტატი ემოციების აღძვრის საშუალებით იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად მოეხერხებებოდა იმის განაღვიძებას, თუ რა ძალამ აღძვინო ცული პატროსნებით სავსე გოგამი მეწისქვილეს, მასავით პატროსანი, ღარიბი გლეხის მოსაყლაკად? შევიცნობდით იმასაც, თუ რა ძალამ გააგდებინა ხელიდან აღმართული ცული და როგორ იხსნა საკუთარი თავი ამ ცუდუნებისაგან?

აქ ბუნებრივად იხადება კითხვა: ნუთუ ასეთი მძიმე იყო ხედრი ადამიანებისა? შით არაგვისპირელი აშკარად მიგვიითთებს ამ მძიმე ხედრზე, როგორც სოციალური უკუღმართობის შედეგზე. იღუმალი ხმა, რომელიც მეწისქვილე გოგამის ყურში ბოროტ სიტყვებს ჩასწურჩულვდა, სიმბოლურად წარმოგვიდგება, როგორც სოციალური ბოროტება, რომელიც ადამიანების უმცირეს ნაწილს ბედნიერებას ანიჭებს, ხოლო აბსოლუტურ უმრავლესობას — უბედურებას.

ასე იყო ისტორიულად და ეს მდგომარეობა ბატონობდა შით არაგვისპირელის დროსაც.

ეს აწუხებდა მწერალს და თავისი მწუხარება მხატვრულ ასპექტში წარმოგვისახა, რათა მკითხველისათვის ეჩვენებინა, თუ რა ყალბ სა-

ფაქტებზე იყო დაყრდნობილი ჩაგვარზე დამყარებული სოციალური წყობა.

იმვე სოციალურ მოტივზეა დაწერილი შოი არაგვისპირელის ესკიზი „რა ზიზით მიცქერისს“. კონტრასტების მეთოდით ავტორი ამჟღავნებს ვაბატონებული საზოგადოების სიყვალბეს. კაბიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად შეირყა ნატურალური მეურნეობის საფუძველი. საზოგადოების შვიტრე ნაწილის ხელში დატარდა სიმდიდრე, დიდი უმრავლესობა კი გაღარიბდა. ვალატაკებულმა სოფლის მოსახლეობამ კი ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქს მიაშურა. ესკიზის გმირი ვიგლა ც სოფლიდან გადმოხვეწა ქალაქში, რათა ორიოდე გროში იშოვოს ცოლ-შვილისათვის. მაგრამ გლეხისათვის ვერ კიდევ უცხოა ქალაქი ვიგლამ ვერ იშოვნა არა მარტო მუდმივი, არამედ ყოველდღიური სამუშაოც კი. სამი დღე შემშობლდა ვიგლა, მაგრამ მათხოვრობა ვერ გაბედა; ესთრობოდა, რაცხენოდა, ერიდებოდა. სიყველად ერჩია ამგვარ საქციელს. სამი დღის ნაშინილივი ვიგლა ერთ დიდ ქუჩაზე მოწმე ვახდა შემდეგი ამბისა: ვილაც მედროვე გამწარებული სცემდა საკუთარ ცხენს, რომელსაც შიშიმე ტვირთი ვერ დადგარა ადგილიდან. მედროვესთან მიდის ვილაც ჯენტლმენი და პოლიციელის თანდასწრებით შეადგენს აქტის ცხოველის წამებისათვის.

აღმოჩნდება, რომ აქტის შემდგენელი ჯენტლმენი ცხოველთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა, რომელიც უდიერ პატრონების ნებით თუ ძალით, ჯარიმებით თუ გაკიცხვით შთავაზონებს ცხოველთაადმი პატივისცემას. ვიგლს მოწონებს ჯენტლმენის საქციელი და მხოლოდ ამგვარმა საქციელმა გააბედვინა მას, ორიოდე გროში ეთხოვა ცხოველთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისათვის. მაგრამ სამი დღის ნაშინილივი ვიგლი საოცრად გაკვირებული დარჩა, როცა ჯენტლმენის უხეში სიტყვა გაიგონა: „წავითრიე ახლავო“.

ვიგლას რატომღაც ტრაგიკულად მოეჩვენა ყოველივე ის, რაც ხახა და ვანიცადა. ცხოველთა ინტერესებს იცავენ, ხოლო აღამიანის ინტერესებს ფხუტვეუ თელავენს კეთროვანივი გამორჩევა ვიგლა ამ ადგილს და ისევ სოფლისავე გასწია. შიშილისაგან სევტამწარებულმა ვიგლამ ქალაქის განაპირას მდგარი დიდი ქანდის ზრდილამდე მიიღწია და მისი უძღური ტანი მოცეპილივით დაეცა. ვერც ახლა გაბედა ვიგლამ გაშვლუებისათვის საქმლის თხოვნა. ძველ სიტყვილი ტარჯავდა მას. ბოლოს მეხისდაცემის ნიადაგზე ყვდება ეს აღადმართლი ქართველი გლეხი. ვილაც შემთხვევით გამკვლელმა შეხედა მას და უნებურად წამოიძახა: „რა ზიზით მიცქერისს“.

მართლაც, ვიგლას სახეზე აღიბეჭდა ზიზი იმ ჰეიუნის წინააღმდეგ, რომელიც დაფუძნე-

ბული იყო ფარისევლობაზე, ჩაგვარზე, უფლებობაზე.

მაგრამ შოი არაგვისპირელის სოციალურად დატარებული გმირები ყოველთვის ასე პასიურად როდი იბოცებოდნენ. ზმირად მისი მოთხრობის პერსონაჟები აქტიურად გამოდიან მხავერელთა წინააღმდეგ და შურს იძებდნენ შეურაცხყოფისათვის, უსამართლობისათვის, არადამიანური მოქმედებისათვის.

მოთხრობა „ჩემი ბრალი არ არის, ლმერთო!“ წარმოადგენს სწორედ ამგვარ პერსონაჟს დათუა შრომიშვილის სახით. მოთხრობის შესავალში ბუნების მშვენიერი სურათითა მოცემული. დათუა შრომიშვილი მთელი გაბეგბედი ეძლეოდა ბუნების ამ სიმშვენიერს; თითქოს ყოველდღიურ ჰირ-ვაჩამს გამოეთიშა და სულაიკა თავისუფლება იგრძნო მან ბუნებაში. მაგრამ ბუნების მყუდროებას მოთხრობაში სიმბოლურად იგივე ძალა არღვევს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებასაც აფორიაქებს და მოსვენებას არ აძლევს.

დათუა შრომიშვილის ერთადერთი იმედი მისი კარგად მოვლილი ვენახი იყო. ის აძლევდა მშრომელ კაცს არა მარტო ეკონომიური, არამედ სულიერ კმაყოფილებასაც. ამ ვენახზე დიდი ხანია ეტრია თვლი სოფლის ბობოლა გლეხს — ისაკა ჰამაშვილს. ყალბი საბუთების და მოწმეების მეშვეობით ისაკა, სასამართლოს წესით, ხელში იგდებს დათუა შრომიშვილის ვენახს. ამ აქტის აღსანიშნავად ისაკამ სოფლის მოსამართლეებს და ყალბ მოწმეებს დიდი ქეიფი მოუწყო. ამ ქეიფის დროს ბედგამწარებული დათუა კლავს ისაკას. ასეთია მოთხრობის სიუჟეტური ქსოვილი.

დათუა შრომიშვილის აზრით, კაცის კვლახველაზე დიდ ცოდვად ითვლება ამ ჰეიუნახზე და ყველაზე უბედურ კაცად ადამიანის მკვლელი ჩითვლება. ამ შეგნების კაცი უსამართლობამ კაცისკვლელად აქცია და ამ აქტის შექმნების შემდეგ უზენაეს მთელი განწირულებით შეპლადადებს: „ჩემი ბრალი არ არის, ლმერთო!“.

შოი არაგვისპირელი აქაც იმ კანონზომიერებას იცავს, რომელიც ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობას ემყარება. ავტორის აზრით, შრომისმოყვარე და პატიოსანი დათუა შრომიშვილი კაცის მკვლელობა იქცა მხოლოდ გაჩევიანი, ობიექტური ძალების გავლენის შედეგად. რაც უსამართლობის ფორმით შედის მის სულიერ ცხოვრებაში, როგორც მისი სუბიექტური სურვილების უარყოფა.

დათუა შრომიშვილს ის კი არ აღიზიანებს, რომ ისაკა ჰამაშვილი ვერავი, ვალატანელი და უსინდისოა. ამ აზრს დიდი ხანია ის შეურიგდა. დათუის აღიზიანებს მის გარშემო მყოფი ადამიანების წახდენა, ნაშუსზე ხელის აღება, ყალბ მოწმეებად გადაქცევა. ყალბ დოკუმენტებზე ხელისმოწერა მხოლოდ იმისათვის, რომ ისაკა

მდიდარია და მისგან გამორჩენას ელიან. რატომ არის ქვეყანა შოწყობილი ისე, რომ პატროსან ადამიანებს აიძულებს, ჩაიდინონ სამარცხვინო, მათი ღირსებისათვის შეუფერებელი საქციელი? ამ წყველ კითხვაზე დათვის ვერ უპოვნია პასუხი და იძულებულია კაცის მკვლელად იქცეს.

დათვა შრომიშვილმა თუ ვერ იპოვა დასმულ კითხვაზე პასუხი, სამაგიეროდ, ის მოძებნა შიო არაგვისპირელმა. მწერლის აზრით, პიროვნება არ არის დამნაშავე თავისი ქცევისათვის: დამნაშავეა მხოლოდ ობიექტური პირობები. უშიროული ქვეყნის გარეგანი ძალები აიძულებენ ადამიანებს, ჩაიდინონ საქციელი, რომელიც ეწინააღმდეგება მათ რწმენას, მათ იდეალებს, იმისათვის, რომ ადამიანმა თავიდან აიცილოს ამგვარი საქციელი, რომ მან თავის ადამიანურ ბუნებას არ უღალატოს, უნდა შეიცვალოს ობიექტური პირობები, რომლებიც ადამიანებს — მათი ნებისყოფის გარეშე — აიძულებენ ამგვარი სახის მოქმედებას.

საკითხავია: შიო არაგვისპირელი აბსოლუტურად ხომ არ ათავისუფლებს ადამიანს პირადი პასუხისმგებლობისაგან ჩადენილი დანაშაულის გამო? რა თქმა უნდა, არა. შიო არაგვისპირელის შემოქმედებაზე დაკვირვებამ დაგვიჩვენა, რომ ყველა მისი პერსონაჟის დანაშაულისათვის ატორის შორალური მსჯავრი გამოაქვს და მკითხველს აფრთხილებს იმ ცდუნებათა გამო, რომელმაც ადამიანი აიძულა, დანაშაული ჩადენა. მაგრამ მეორე მხარე აქვს შიო არაგვისპირელის შორალს, რომლის მიხედვითაც, მიზეზი დანაშაულის ჩამარბულია ობიექტურ სინამდვილეში და არა ინდივიდუალის სულში.

სწორედ ეს გარემოება აკვიტულებს, არ დევთაშხმით კიბა აბაშიძის აზრს, თითქოს შიო არაგვისპირელი უსასოო პესივისტი იყოს. ამგვარი მოსაზრება არა მარტო გადაქარბებულია, არამედ უმართებულია.

იქნებ შიო არაგვისპირელის ღრმა სევდა, რო-

მელსაც ის ატარებს მთელ თავის შემოქმედებაში, აძლევს საბაბს ამგვარი დასკვნისათვის: კრიტიკოსს! მაგრამ სევდა უოველთვის როდი მიგვირთობს პესივიზმზე, სევედაც არის და სევედაც. არის სევედა ოპტიმისტური და არის სევედა პესივისტური. პირველი ეძიებს ადამიანში სიკეთეს, მეორე კი უარს ამბობს ამგვარ ძიებაზე, რადგანაც მას აპრიორულად წინასწარ აქვს შერყეული რწმენა ადამიანისადმი.

ნაყოლოზ ბართაშვილი ეძიებს, მაგრამ ვერ ეპოვია და ამიტომ არის სევედიანი. ლეობარდი სევედიანია იმიტომ, რომ ამოებდალ მიანია ადამიანი სიკეთის არსებობა. პირველის სევედა დროს უტელმართობისაგან წარმოდგება, მეორისაკი — წინასწარ აღებული აზრისაგან. პირველი გულგატებლია აწმყოზე და მომავლის აღმობს საკუთარ ბედს, მეორე ურწმუნოა აწმყოსადმი და ხელჩაქნეულია მომავალზე.

შიო არაგვისპირელის სევედაც ოპტიმისტურია. მწერლის სევედა თავისი ინტერესების სფეროში იტევს მომავლისადმი სიყვარულს. მას ღრმად სწამს ადამიანის გამარჯვება და იმედი აქვს, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს ქვეყანაზე, რომ აღარ იქნება დგენილი და შეეწროებული, უფლებმო და დაჩაგრული. მომავალ საზოგადოებას, შიო არაგვისპირელის აზრით, საფუძვლად დაედება არა შური და მტრობა, არამედ სიკეთე და ურთიერთობატივისცემა. მისინ ყველა განკაცდება, რადგან ობიექტურ რეალობაში არ იქნება მიზეზი, რომელიც აიძულებს ადამიანს დანაშაულის ჩადენას. შიო არაგვისპირელისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობა მხოლოდ იქ არის იდეალური, სადაც დატულია პიროვნების უფლება. თუ პიროვნების უფლება არ არის გარანტირებული მოქმედების თავისუფლებით, იქ ადამიანის ნება შეზღუდულია და თვით საზოგადოება, როგორც ინდივიდუალთა კრებადობა, წარმოდგენს არა თავისუფალ ადამიანთა კავშირს, არამედ ძალაზე დამყარებულ ბრბოს.

(გაგრძელება იქნება)

გამოჩენილი ირანელი მწერალი



1951 წლის 9 აპრილს პარიზში თავი მოკლა თანამედროვე სპარსული პროზის დიდოსტატმა სადღეუ ჰედაიათმა. პარიზში მიიღო შან განათლება, აქ დაიწერა მისი პირველი ნოველები და აქ გამოქვეყნდა ოგი სიცოცხლეს იმ დროს, როდესაც ჯერ ორმოცდაათ წელსაც არ იყო მიწვენილი...

ერთგან თავის ავტობიოგრაფიაში ს. ჰედაიათი წერს, რომ „ჩემს ცხოვრებაში არაფერი ყოფილა ღირსშესანიშნავი. მე არ გამაჩნია მადალი ჩინი, არცთუ სოლიდური დიპლომი. სკოლაში არასოდეს ვითვლებოდი მოწინავედ, სამსახურში კი ყოველთვის ვიყავ უმნიშვნელო და მივიწყებული მოსამსახურე, რომელიც უფროსების უკმაყოფილებას იწვევდა მხოლოდ. მათ უხაროდით, როდესაც მე განთავისუფლებას ვთხოვდი“...

ეს სვედნარევი იუმორი და უაღრესი თავმდაბლობა დამახასიათებელია მთელი მისი პიროვნებისა და შემოქმედებისათვის.

ჯერ პარიზში, შემდეგ ბელგიაში გზებისა და ხიდების სააღმშენებლო ინსტიტუტში სწავლის წლებშივე მოიწვეიტეს ჰედაიათი ლიტერატურას. პირიქით, ამ უკანასკნელმა გადასძალა და მალე მიიღო დამიონა იგი. 30-იან წლებში ჰედაიათი დაბრუნდა ირანში, სადაც აქტიურად ჩაება თავის თანადროულ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ირანში მომხდარმა სოციალ-ეკონომიურმა ცვლილებებმა გამოიწვია სპარსული პროზის მნიშვნელოვანი მომძლავრება. ამ გარემოებას გარკვეულად შეუწყო ხელი პრესამ და თარგმანებმა. ამდენად შემთხვევითი არ იყო ახალი პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობის გაჩენა სპარსულ პროზაში, რომელსაც საფუძველი ჩუთვარა ჯემალ-ზადეს ნოველთა ცნობილმა კრებულმა „იამი ბუდ იამი ნაბუდ“ („იყო და არა იყო რა“) ავტორმა კრებულს წარუძღვარა საინტერესო წინასიტყვაობა, რომელშიც ლიტერატურის ჩამორჩენის მთავარ მიზეზად ხალხისაგან მოწყვეტის ასახელებდა. ის მოუწოდებდა მწერლებს, ვარდაცქმნათ თავისი ენა და ძველი ფორმები, ყური მიეცდეთ „ღრისის მოთხოვნებს“...

სათვის“. სადღეუ ჰედაიათი მათ შორის იყო, ვინც არა მარტო ვახუცა ამ მოწოდებას, არამედ უფრო შორსაც წაიდა. საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ, თემატიკურ გადახალისებას. საჭირო იყო ამ მოქნილი ენისა და ახალი ფორმის მომარჯვება ახალი, ტემპერატად ხალხური, სოციალური თემატიკის დასაძლევად. ამ მხრივ პირველი, ვინც თავისი ენით არ ჩამოუვარდებოდა ჯემალ-ზადეს, ვინც სრულყოფილად ფლობდა დასავლური ლიტერატურის მიღწევებს ფორმის დარგში და ვინც ყოველგვარ გამოიყენა ირანის ზაგრული ფენების, მღვბიო, უზარალო ხალხის მდგომარეობისა და განცდების აღსაწერად — ეს იყო სადღეუ ჰედაიათი.

უკვე პირველსავე ნოველებში „მამაკაცო აქოლა“, „აბჯი ხანუმი“, „ქალი, რომელმაც ქმარი დაკარგა“ და სხვ. შეინიშნება ეს ტენდენცია.

აქოლი ჩვენებურ დარღმანდს წააგვს, მოკვიფეს, დროს გამტარებულს, მაგრამ ამავე დროს უაღრესად კეთილშობილია და პატიოსანი, დარტყმა კარგი იცოდა, მაგრამ არასდროს არ შეუტარებოდა ქალებს ან ბავშვებს, პირიქით, ეხმარებოდა და ესარჩლებოდა მათ. ერთი რამ სძლდა აქოლს — ქედმაღლობა და ყოყლოზინობა. ამ ნიადაგზე ვადაეკოდა მძაბე როსტომს. როსტომი სრულიად საწინააღმდეგო ტიპია. ის უფრო „კინტოს“ მოგვაგონებს, გაიძევრას, გაქნილს, ღირებთან გვირისა და გვირებთან ღაჩარს. მათი შეჯახების ფონზე იშლება მრავალი შესანიშნავი სიტუაცია, სადაც მრავალი დეტალი ავტორის გემოვნებისა და ისტატიკაზე მეტყველებს. როდესაც აქოლს სხვებზე პასუხისმგებლობა დაეცისრა, ოგი სრულიად შეიცვალა. შერალი ქვეტექსტში გვაგვიჩინებს, თუ რამდენი კარგის გაკეთება შეეძლო აქოლს, მთავრითვე გზას რომ არ ასცდებოდა იგი. ნოველას „შესანიშნავად აცოცხლებს სამიჯნურო მომენტი და თუთიყუშის უნაზესი დეტალი.

ირანული ოჯახის ვითარებისა და განსაკუთრებით ქალის უფულებო მდგომარეობის დახატვის სიმძლავრეში ს. ჰედაიათს ტოლი არა ჰყავს თანადროულ სპარსულ ლიტერატურაში. ჯემალ-ზადე ერთ-ერთ თავის ნოველაში იუმორისტული ფერებით აღწერს ფეთარ სუღარაში გამოხვეულ ღანდებს, რომელნიც წუთით ჩა-

ქროლებზე კენტებში. მაგრამ ამას არ ვასცილებია მისი ინტერესი. ირგვ მიზნებსა და სხვათა ლექსებმა შესარულეს გარკვეული როლი ამ მიმართულებით, ოღონდ მათი, ცოტა არ იყოს კამერული, ზოგადი ფრაზების შემცველი ლირიკა მაინც ნაკლებქმედით ძალს წარმოადგენდი. კონკრეტული, მაშხილებელი მსატრული სახე ჩაგრული და უფლებო სპარსელი ქალისა პირველად ს. ჰედაიათის ნოველებში გვხვდება.

ახეი ხანუმის მთელი დანაშაული ისაა, რომ მახინჯი და ეერ თხოვდება. მთელი ოჯახი, თვით დედაც კი აძულდება სავყვედრით ბავსოს იფი, რადგან ისედაც ზელმოკლე ოჯახს მძიმე ტვირთად აწევს ზედმეტი მკამელი. ფსიქოლოგიური სიმპლავრითა და დამაჯერებლობით არის აღწერილი ახეი ხანუმის თვითმკვლელობის სცენა.

მაგრამ თუ აქ მთელი ტრაგედია ქორწინებას უკავშირდება, მეორე ნოველაში (აქალი, რომელმაც ქმარი დაქარაგა) ჰედაიათი ცხადყოფს, რომ არც მხოლოდ გათხოვებაშია სიხარული. კომპოზიციურად ეს ნოველა სანამუშაოა არა მარტო ჰედაიათის შემოქმედებისათვის. მაზანდარანსკენ მიმავალ მანქანაში ჯდება ახალგაზრდა ქალი ბეშვით ხელში. ნოველა იწყება პოლიციელისა და ქალის მოკლე დიალოგით, რომელსაც ერთბაშად შევყავართ მოქმედებაში:

- „მაზანდარანში რასთვის მიდიხარ?
- ქმარი უნდა ვიპოვო.
- განა ქმარი დაგეყარა?
- ერთი თვეა, რაც წავიდა და უსასსროდ მიმტოვა.

- რა იცი, რომ იქ არის?
- მისმა მეგობარმა ქოლოლანმა მითხრა“.

მიდის, მიჩაჩხაბებს მანქანა და ზარინქოლას აფრდება განვლილი დღეები, როგორ გათხოვდა იგი, რა იმედინად დაიწვეს მათ ცხოვრება. მაგრამ განა ზარინქოლას ბრალი იყო, რომ მის მზითვად მხოლოდ ქვაბი და თითბერის სამოვარი გამოჰყვა, ან განა გოლბაბუს ბრალი იყო, რომ მთელი დღის მუშაობის შემდეგ პურის ფულსაც ვერ შოულობდა. ბილის წავიდა სამოვარზე და დაქარაგა... მანქანა შედგა... გამოერკვა ზარინქოლა... აგერ მისი ქმარიც, რომელიც კარგად მოწყობილია, მაგრამ რომელსაც აღარ სურს იცნოს თავისი ყოფილი ცოლი. აქ, სრულიად მოულოდნელად, ქალში იფეთქებს პროტესტის ვაძნება. მან ქმარს დაეტოვა ბავშვი და გამორბიდა ამაყად. ნოველა კვლავ დიალოგით მთავრდება, ამჯერად გზად მიმავალ უცნობ კუბუკთან.

ქალის მდგომარეობას ეხება ავტორი ნოველებში „ლალე“, „ალავიე ხანუმ“, „შენდობის მაძიებელი“ (რუსულ თარგმანში მას „ალსარება“ ეწოდება). მეორეალი ამკარად ილაშქრებს არსებული სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ და ბასრი სატირის საუკეთესო ნიმუ-

შებს ქმნის. „ალავიე ხანუმ“ შემადრწუნებელია ადამიანის სახეს მოკლებულ, პირუტყვივამდე დასული გმირებით, რომელნიც ცხოვრების უტოლმართობამ ბოროტოქმედებამდე მიიყვანა. „შენდობის მაძიებელი“ ასეთი ცინიკური სიტყვებით მთავრდება: „განა მინბარიად (მგებითი) არა გსმენია? როგორც კი მოაწმუნეთ დაგადებთ სურვილი ვზას გაუდგენ, მათი ცოდვები ხის ფოთლებსაც რომ აღემატებოდეს სიმრავლით, მაშინვე კანონიერად და განწმენილად ჩაითვლებიან“. ს. ჰედაიათი დედობობლად ამხელს მთელი ამ სოლოციების სეალებს, ამავე დროს ამკლავნებს ყოფითი დეტალების ღრმა ცოდნასა და მსატრული გადმოცემის უნარს.

სადეე ჰედაიათს უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. შემთხვევით არ უწოდა მის უტრანალმა „ქაბუთარე სოლბ“ („მშვიდობის შტრედი“) ყველაზე უფრო ირანელი თანამედროვე მწერალთა შორის. პატრიოტიზმის ამ უწმინდესმა ვრძნობამ განაბირობა ის სიძულელი, რომლითაც მწერალი სამარცხენო ბოძზე აყავს ხალხის შტრებს, მოლატეებსა და მხავერებს. ამ მხრივ საყურადღებოა ნოველა „პატრიოტი“ და ვრცელი მოთხრობა „პაჯილი“. ს. ჰედაიათი დასცინის უნიყო მინისტრებს, სისხლისმშველ მეგაშეებსა და მათ დამკაშებს, განსაკუთრებულ სიმპულით გაჰოარჩევა სატირული კრებული „ელ-ვალ საპაბი“ („პატრიონი ვალ-ვალი“).

სადეე ჰედაიათის ნაწარმოებთა ენა დინამიურია, ხალხური თქმებითა და ლექსიკით მდიდარი. მართალია, გმირების მეტყველება ზოგჯერ შეფერულია დიალექტუზებით, მაგრამ ავტორი ბოროტად არ იყენებს ამ ხერხს, და მხოლოდ გარკვეულ კოლორიტს აძლევს. ამიტომაც მის წიგნებს არ სჭირდება ბოლოში განმარტებითი ლექსიკონის დართვა, როგორც ეს თვით ჯეჰალა-ზადესთვის გახდა აუცილებელი.

ჰედაიათის სტილი ისეთივე უბრალო და სიდაა, როგორც მისი გმირების ცხოვრება. ჰედაიათს კარგად ეხერხება ხასიათების გამოკვეთა. ორიოდე შტრიხით ის სრულ წარმოდგენას გვაძლევს გმირის ხასიათზე, ვადავიშლის წინ მის შინაგან სულსკვეთებას. თანამედროვე პროგრესული ირანელი მწერალი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ბოზორჯ ალავი ასე ახასიათებს ჰედაიათის ამ თავისებურებას: „ირანელი ხალხი, ისინი, რომელთა ტიპებსაც ხატავს ჰედაიათი თავის ნაწარმოებებში, როდესაც კეთილშობლად მის მოთხრობებს „ახეი ხანუმ“, „ლულის მკამელი“, „შენდობის მაძიებელი“, „აქალი, რომელმაც ქმარი დაქარაგა“, — ხედავენ საკუთარ თავს, ამ ნოველათა გმირები მათთვის უცხონი არ არიან“.

აღნიშნულ ნაწარმოებთა გარდა, სარეცენზიო კრებულში შეტანილია ალგვორიული ზღაპარი „ახეი ზენდეგი“ (სუკვდავების წყალი) და ნაწ-

ყვერები დღიურიდან „ისფაან ნესფე ჯეჰან“ (ისფაანი — მოფლის ნახეარი). სადუე ჰედაითი შესანიშნავად იცნობდა სპარსულ ფოლკლორს, გამოსცა კიდუე ზოგი ნიმუში, ამ ზღაპრული სტილით ასახა მან მისი თანადროული ეითარება, როდესაც ოქროთი დაბრმავებულ ხალხს მარადი ვახაფხულის ჭევენიდან მოტანილმა უეკლაეების წყალმა უნდა აუხილოს თვალი. სამაჟლო ომის შრისხანე დღეებში დაწერილ ამ ნაწარმოებში ს. ჰედაითმა გამოხატა თავისი დიდი სიმპათია საბჭოთა კავშირისადმი.

ცხადია, ამით არ აზოაწერება ს. ჰედაითის მრავალმხრივი შემოქმედება. ნოველათა ოთხი კრებულის („სამი წვეთი სისხლი“, „ცოცხლად სამარეში“, „ჩრდილნათელი“, „მოხეტიალე ძაღლი“) გარდა მას ეკუთვნის რიგი მოთხრობები („ბრმა ბე“, „ხეალ“ და სხვ.), პიესები („ფარ-

ვინი სასანის ქალიშვილი“, „მაზარი“ და სხვ.) ს. ჰედაითი თავისუფლად ფლობდა უცხო ენებს, თარგმნიდა სხვადასხვა ავტორებს (მას ეკუთვნის ა. ჩეხოვის პირველი თარგმანი) წერდა ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე (გამოცემული აქვს ომარ ხაიამი ვრცელი წინასიტყვაობით, სტატიები „ვისრამიანს“, ასადი ტუსის და სხვა კლასიკოსთა სტილის შესახებ და ა. შ.).

სადუე ჰედაითის ობხულებათა რჩეულის პირველი გამოცემა რუსულ ენაზე (მეზდგენუედი დ. კომისაროვი და ა. როზენფელდი) მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ირანისტებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, მამაზაღონ ანალოგური კრებული ქართულ ენაზე.

ალ. გვახარია

საბაკათინ ალის მოთხრობები ქართულად



„მე გვინი თურქულ მწერლობაში საბაკათინ ალი სოციალისტური რეაღზმის მეუწყებელია და ვინც მის შემდეგ შექმნის თურქულ ლიტერატურას სოციალისტური რეაღზმის ნიმუშებს, ბევრი რამით იქნება მისგან დავალებული“ — ასე შეფასა საბაკათინ ალის შემოქმედება პრაგრესულმა თურქმა მწერალმა ნაზიმ ჰიქმეთმა.

ეს, უდავოდ, მაღალი შეფასება საბაკათინ ალიმ დამსახურა იმით, რომ მან მთელი თავისი შემოქმედება თურქ ხალხს, მისი ჭირ-ვარამისა და უბედურების რეაღისტრად ასახვას უძღვნა. ამიტომაც იგი ესოდენ პაპულარული მწერალი არა მარტო თურქეთში, არამედ მთელ მუსლიმანურ აღმოსავლეთში.

საბაკათინ ალი დაიბადა 1907 წელს ბატარა ქალაქ იოვლიქში. მამამისი თურქეთის არმიის ოფიცერი იყო. საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ (მან დაამთავრა სტამბოლის ჰედაგოგური ინსტიტუტი) საბაკათინ ალი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც 1928 — 1930 წლებში სწავლობდა. გერმანიაში განათლების მიღებამ დიდი როლი თამაშა მომავალი მწერლის ჩამოყალიბებაში. აქ იგი ეცნობა სოციალისტურ ლიტერატურას და გერმანულ რომანტიზმს, რომლის გავლენის ქვეშაც დიდხანს იმყოფებოდა.

გერმანიიდან დაბრუნებული საბაკათინ ალი იწყებს ჰედაგოგურ მოღვაწეობას.

პირველი ლიტერატურული ნაბობა მან ეურნალ „რესიმილი აი“-ში მიიღო. ამ ყოველთვიური ილუსტრირებული ეურნალის ირგვლივ იმ დროს თავმოყრილი იყენენ თურქეთის მოწინავე მწერლები. აქ, ამ ეურნალის რედაქციაში, მწერალი ეცნობა ნაზიმ ჰიქმეთს, მწერალ-ქალს საბიხო სერთელს და სხვ. აგრეთვე ტალსტოის, ჩეხოვის, ვორკის და შოლოხოვის შემოქმედებას.

1933 წელს საბაკათინ ალი წერს სატირული ლექსების ციკლს თურქეთის მაშინდელ პრეზიდენტზე, რისთვისაც მას აპატიმრებენ და სინოპის ციხეში გზავნიან.

1934 წელს თავს აღწევს საბაკათინ და აქვეყნებს ლექსების კრებულს „მთები და ქარი“. ამას მოჰყვა მოთხრობათა კრებულები „წისკელი“, „ხმა“ და „ურემი“, რომლებშიც მკითხველს დაგვიხატა თურქი ხალხის მძიმე ცხოვრება.

1937 წელს გამოდის რომანი „ეუფუჯაე-ლი იუსული“, რომელმაც ძველებულყო რეაქციონერი კრიტიკოსები საბაკათინ ალი საუკეთესო-მწერლად ელიარებინათ, ბოლო ეს ნაწარმოები თურქული რომანის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად. 1940 წელს გამოდის ფსიქოლოგიური რომანი „ეშმაკი ჩვენს შიგნით“, რომელშიც საბაკათინ ალიმ სტამბოლელი ინტელექტის ომერისა და კონსტანტინოპლის სტუდენტის მადიდეს უიღბლო სიყვარულის ფონზე თურქეთის ინტელექციის ცხოვრება დაგვიხატა.

თურქეთის რეაქციული მთავრობა მტრულად შეხვდა ამ რომანს. 1940 წელს, ეს ნაწარმოები გროკის, ჩხბოგის და ლერმოზტოვის ნაწარმოებთან ერთად კოკონზე დაწვეს სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე. აგროს კი ციხე და გასამართლება მიუსაჯეს. მეორე მსოფლიო ომის დროს გამოვიდა რომანი „ბუნებისპალატაიანი შადონა“ და მოთხრობების კრებული „ახალი მსოფლიო“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბაჰათინ ალი იწევებს სატრული გავრცელების „მარკო ფაშას“ გამოცემას. „მარკო ფაშა“ ბევრჯერ იქნა აქრძალული. ბევრჯერ დააპატიმრეს მისი გამოცემელები და თანამშრომლები, მაგრამ ვახუთი სხვადასხვა სახელწოდებით მაინც განაგრძობდა გამოსვლას.

თურქი რეაქციონერები და მათი ოკეანისგადამცემი „სტრუქტურები“ ვერ ითმენდნენ თურქი ხალხის ამ საუკეთესო შვილის ასეთ აშკარა გამოსვლებს. ისინი მომენტებ ეძებნდნენ, რათა გაეწირობინათ ანგარიში ამ დიდ ადამიანთან. და აი, 1948 წელს... გახაფულა... აპრილი... კარაბაიარის ტყე... დაქირავებულმა აგენტმა ვერაგულად ჩასცა დანა ზურგში თურქი ხალხის საყვარელ შწერალს.

საბაჰათინ ალი შედამ ოცნებობდა ენახა თავისი ნაწარმოებები თარგმნილი რუსულ ენაზე. „ამბობენ, ქალბატონი ჰალიდე ედიფი უთარგმნათ რუსულად. შენ როგორ ფიქრობ, მელირსება ოდესმე მეც? ხეობობა ხომ არ არის გთარგმნონ ისეთ დიად ენაზე, როგორც რუსულია“ — იხსენებს მასთან საუბარს ჰიქმეთი. აღარტლდა შწერლის ოცნება! რუსულ ენაზე თარგმნილია მის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა, ხოლო ამ რამდენიმე ხნის წინათ საბაჰათინ ალის მოთხრობები გამოსცა სახელგანმა, ნოდარ ჯამაშის მიერ თურქულად თარგმნილი.

საბაჰათინ ალი თურქულ ლიტერატურაში განსაჯერებულ ადგილს იკავებს, იგი სრულიად ახალი ლიტერატურული განარის — ნოველის დამკვიდრებელია თურქულ ბელეტრისტიკაში. საბაჰათინ ალი თავისი ხალხისა და დროისათვის მეტად საჭირო თემებზე წერდა.

სოციალური ურთიერთობის ასახვა თურქულ ლიტერატურაში არცთუ სხე ადგილს საქმე იყო. ეს იმიტომ, რომ თურქულ ლიტერატურას თავიდანვე მოსდევდა აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ქება სულთნებისა, ღვინისა, დროსტარებისა და ყოველგვარი ზეცურისა. სადუნეების მანძილზე თურქი შწერლები გიტაცებულნი იყვნენ სპარსული და არაბული ლიტერატურის ბრმა მიმბაძველობით, საზოგადოების „შადალი“ ფენების ცხოვრების აღწერით, ხოლო „აბალი“ ფენა, ნამდვილი ხალხი მათ არ აინტერესებდათ.

მართალია, თურქულ ლიტერატურაში სოცია-

ლური ხასიათის ნაწარმოებები საბაჰათინ ალიმდე იქმნებოდა, მაგრამ კანტი-კუნტაღ, ჩაღდან საამისო ბირთბები არ იყო. რეაქციული მთავრობა ძირშივე კლავდა ასეთ შწერალთა შემოქმედებს. საბაჰათინ ალი კი ვაბედულად წამოსწია სოციალური თემა წინ, რათაც დიდი ნოველისტის სახელი დაიმკვიდრა.

დინჯი, დაკვირვებული პროზაიკოსის თვლით იგვიწერს საბაჰათინ ალი თურქი ხალხის ცხოვრებას. მისი მოთხრობების პერსონაჟები უბრალო თურქი ადამიანები არიან.

მოსავალი ნაკლებია, ხალხი მშვიდრია, მთავრობის რა ენაღვლება თუ ხალხი გაცირებებაში იმყოფება. ზაარ მექმედი იქამდეა მისული, რომ თავის მეგობრებს, რომლებთანაც ვაიხარდა და დაეყავა, თოფით ჩაუსადრდება და ეკავს, იმიტომ რომ მათ ზაარ მექმედის არხიდან წყალი თავის ყანაში გაუშვეს („არხი“). თურქეთის ბუნდირი მომეღლისათვის მეტრძოლი ადამიანის ცხოვრებაა დახატული. მოთხრობაში „მეტრი“ გაბატონებული წყობილებისადმი სიძულვილით გამსჭვალული ადამიანი, შეხვდება სტრუქტურის დროინდელ მეგობარს, რომელსაც თავისი ცხოვრება კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ბნელი გზებით კარგად მოუწყვია. პოლიციის მიერ დენილი ადამიანი ამ „მეგობარს“ სახლს შეაფარებს თავს, მაგრამ მასთანძელი ვასტუშ სტრუქტურის და პოლიციის იმ ოთახისაყენ მიუთითებს, რომელშიც მას სძინავს.

მოთხრობაში „ბუნდირი ძალი“ საბაჰათინ ალი გვიხატავს ერთი ძალის ცხოვრებას, რომელსაც „გრილ დღეებში კიდებზე ლურჯ ყაითან შემოვლებული ყავისფერი შალის ლამაზი ჯუბა იცეა. ჯუბის ფეხის გასაყრებლები ჰქონდა ამოკრილი, მეცელზე იყვებოდა და ისე კობტად ეღვა ტანზე, რომ კარგი თერძის ხელიდან უნდა ყოფილიყო გამოსული“. მერე და რატომ აღწერს შწერალი ამ ძალის ცხოვრებას? იქ ისე შწერალი მიეცეთ სიტყვა: „...თუ ჩემს თანამემამულეებს იმის შეათყდი პატივი მაინც ხელებათ, რაც ამ ძალს, მაშინ ნახეთ, თუ ერთი სიტყვა მაინც დაეძრა მწუხარებაზე“. საბაჰათინ ალი კაპიტალისტური წყობილების მკაცრი მამხილებელია, რისთვისაც ბევრჯერ უნახავს ციხის ცივი კედლები, მისი საშინელება. მოთხრობაში „მეგობარი და კრავი“ შწერალი თურქი პატრიოტი მშობიდეულ სახეს გვიხატავს.

არ შეიძლება შეითხველმა დიდი მძღვეარებით არ წაიკითხოს მხატვრული ოსტატობით დაწერილი მოთხრობა „წისქვილი“, რომელშიც აგროსი რომანტიზმის ერთგვარ გავლენას ვინც იცნის. მოთხრობის მთავარი პერსონაჟს ბომა ათმავას მეწისქვილის ცალბელა ჭალი შეუყვარდება. მისი სიყვარული იმდენად კეთილშობილი და ადამიანურია, რომ იმისათვის, რათა ქალმა თავისი თავი მის უღირსად არ ჩათვალოს, ათმავა წისქვილის ქვებში ჩახტება და ცალ

ხელს მას გაატანს. ამ მოთხრობაში საბაპათინ აღიშნა დავიდატა აღამიანი თავისი დიდი განცდებით, აღამიანი, რომელიც ქალის მხოლოდ ფიზიკური სილამაზით კი არ არის გატაცებული, არამედ მისი სულიერი თვისებებითაა მოხიბლული. შესანიშნავია ამ მოთხრობის სტილი, მწერლის წერის მანერა. მოთხრობა, როგორც იტყვიან, სულის ერთი მოთქმით იკეთებება.

არ შეიძლება არ დავამახსოვრდეთ გამომგებული ანუ ავტორი, რომელსაც ოჯახი გაუპარტახეს მედიცინის „წმინდა“ მუშაებმა. ასევე იბრაჰიმი მოთხრობიდან „სიციცლის მხსნელი“. ამ მოთხრობაში ავტორმა დავიდატა ექიმში, რომელმაც საბარლო იბრაჰიმს მეუღლის მოშორებადებისათვის იმდენი ვალი დაადო, რომ ოჯახი გაუპარტახა.

„იმისათვის რათა გაავრცელვინდეთ თურქი ინტელიგენტის ცხოვრება, საჭიროა რამდენიმე ხანი ციხეში დაქვა“ — ამბობდა საბაპათინ ალი. მისი რამდენიმე მოთხრობის სიუჟეტი ციხეში ვითარდება („დაბადების მოწმობა“, „კედელი“, „უღანარბი ბექირი“, „იკის მკვლელი ოსმანი“). მოთხრობებში „თეთრი გვიმი“ და „მოხეტიალე დასი“ საბაპათინ ალი თურქ ხელოვანთა პედს გვიხატავს.

პანთურქისტების შოგინისტური იდეების წინააღმდეგ ილაშქრებს საბაპათინ ალი მოთხრობაში „თვალის ოპერაცია“. თურქეთის მედიცინის მუშაებში აღფრთოვანებას იწყებს უცნობი ავტორის ნაშრომი თვალის ოპერაციის შესახებ. ამ ნაშრომით ისინი ბევრ ახალ რამეს გაიგებენ მედიცინაში და სრულიად მიულოდნელად ამ ნაშრომითვე შეუტყვენ მის ავტორს, რომელსაც

ენინია გამოემღვინება თავისი ავტორობისა, რადგან იგი ებრაელია. ჩვენს ექიმებს თვალში გამარჯვების ნაპერწკალი უნდავდეთ და სანამ ისინი განცვიფრებულნი შესცვიროდნენ ერთმანეთს, პრაფესორმა, შემინებული იერიითა და ჩუმად, დააყოლა:

— შე ვეღაფერი ეს აერთიანებული სამედიცინო ვახეთის“ უკანასკნელ ნომერში დავბეჭდე, მაგრამ, ხომ იცით, ებრაელი ვარ, და ხელს ვერ ვაწერ ხოლმეო“. ამ სიტყვებით საბაპათინ ალი ილაშქრებს პანთურქისტების წინააღმდეგ, რომელნიც ეროვნულ უმცირესობათ გააფრთხილეს დისკრიმინაციას ეწეოდნენ.

რასაკვირველია, მწერალს არ აბატიებდნენ ასეთ ამჟამს გამოსვლას. ამიტომ იგი იძულებული იყო მიმართოს ალტერნოსს, ალტერნოსი მისი მოთხრობები „შუშის კოშკი“ და „ზღაპარი ცხვრების შესახებ“.

ქართული მეთხველი ნაყლებად იცნობს თანამედროვე თურქულ მწერლობას, ამ მწერალთა ნაწარმოებები იშვიათად ითარგმნება. თურქული მწერლობა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია, ამდენად მისი თარგმნა და პოპულარიზაცია ქართველ ორიენტალისტთა ვალია.

საბაპათინ ალის მოთხრობები თურქულიდან თარგმნა ნოდარ ჯანაშიამ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოლად ჯანაშიას თარგმანები შესრულებულია ლამაზილაშქრულიად.

მთარგმნელი კარგად სწავლება მოთხრობების დედაზრს, ავტორის შინაწიქის და ზუსტად ვადმოკვეცს მას. თარგმანი შესრულებულია ლალი, მიმზიდველი ქართულით. კარგადაა დაცული მწერლის სტილი.

გურამ ბათიაშვილი

ქართი ხალხის ლიტერატურა



„Они (курды, ქ. ა.) также лишены истории, как волки и шакалы, среди которых они жили с незапамятных времен в высоких горах“ (Григ. „Армяне, курды и турки“). ასე წერდნენ ქართი ხალხის შესახებ ის მეცნიერნი და მოგზაურები, რომლებიც ვერ ჩასწვდნენ, ვერ გაიგეს ამ ერის შინაგანი კულტურა, ტრადიციები და ადათ-წესები, რადგან მოთაბარე ქართველები შინაგანი ბუნებისა და ცხოვრების ვაგება არამარტო უცხოელებისათვის, არამედ მეზობელი ერებისათვისაც კი მიუწვდომელი იყო რელიგიისა და ეროვნული ადათის გამო. და აი, სწორედ ამიტომ არის, რომ თითქმის ბოლო ხანებამდე ბერეუაზიული ქვეყნების ისტორიკოსებს არასწორი, ცრუ შეხედულებები აქვთ ამ

ხალხზე, ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ ქართ ხალხს გაანინა უძველესი ისტორია, კულტურა და ლიტერატურა. მათ აღბათ გაუკვირდებოთ, როდესაც გაიგებენ, რომ ქართი ხალხი ამაყობს თავისი გამოჩენილი პოეტებით: ალი პარი (1010—1079 წწ.), მალაე ჯზირე (მე-12 საუკ.), მუჰამედი, ცნობილი ფაიე ტაირანის სახელით, მუჰესლიდან (1303 — 1376 წწ.), მალაე ბოტა, სახელწოდებით მალა აზმედი (1418—1495), ახმედ ხანი ხაკარი (1591—1653), ისმაილი ბააზიდიდან (1655 — 1710 წწ.), შარაფ ხანი (მე-18 საუკ.), მურად ხანი (მე-18 საუკ.), ცნობილი პოეტი ნალი, რომლის ნაწერები რამდენიმე ტომს შეიცავს და მრავალი სხვა, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, ხოლო რაც შეეხება თანამედროვე

ქართულ ლიტერატურას, ეს სრულად ცალკე თემა და საკმაოდ რთული.

შეიღწეოთ 7 მილიონი ქვრთია, აქედან 80 ათასი სამკოთა კავშირში ცხოვრობს. სახლგარ. ვარითი ქვეყნების ზეღისუფალნი ადგილობრივად მცხოვრები ქვრთი ხალხის ცხოვრების პირობების უზრალო გაუმჯობესებაზე არ ფიქრობენ, არათუ კულტურისა და, კერაოდ, ლიტერატურის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა იქ მაინც საკმაოდ პოპულარული პოეტებია ჯავახიხეიანი, ყადრიჯანი და სხვები, რომლებიც თავიანთ ლექსებში უმღერიან სამშობლოს, ხალხს, თავისუფლებას და შვიდიობას.

ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქვრთ ხალხს ნაციონალიზმით მომგზნებისა და კულტურული აღმავლობის ფართო გზა გაუხსნა. დასრულდა და ბოლო შოვლი საუცუნეების მიძილზე ქვრთი ხალხის ეროვნულ ჩაგვრასა და შევიწროვებას, საყუთარი ბაგლარებისა და აღლარების თარეშს: განთავისუფლდნენ მძიმე მესაქონლერი, მომთაბარეული ცხოვრებიდან. მშრომელი ქვრთები გაერთიანდნენ კოლმუერტრეობებში, შრომობენ ქარხნებში, მოწყურებულნი დაეწიფნენ სწავლას. შეიქმნა საყუთარი ქვრთული დამწერლობა. ერევანში ქვრთულ ენაზე იბეჭდება და გამოდის გაზეთი და ქვრთი მწერლების ნაწარმოებები.

საქართველოს ტერატორიაზე ამჟამად მოსახლე ქვრთებს გაანიათ საკმაოდ ძლიერი ინტელიგენცია და რაც აღსანიშნავია ქვრთ ლიტერატორთა წრე.

ქვრთმა პოეტებმა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები მიუღმუნეს — სამკოთა სამშობლოს, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, სამკოთა ხალხის გმირულ შრომასა და ბედნიერ ცხოვრებას, თავისი ერის წინსვლასა და თავისუფალ ცხოვრებას. აგრეთვე თავიანთ მეროვ სამშობლოს, ზღაპრული სიღამაზის საქართველოს მთებსა და ველებს, ადიდებენ მის გამორჩეულ შვილებს, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს მოაზმარეს და სხვ.

ქართველმა ერმა დიდი დამარება გაუწია ქვრთ ხალხს. შეუქმნა ყოველგვარი პირობები საყუთარი ზეღონებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. სწორედ ამის შედეგადაა, რომ დღეს ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით კითხულობს ქვრთი პოეტების ნაწარმოებებს, რომლებიც მრავლად ითარგმნება ქართულ ენაზე: მაგალითად, 1956 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ქვრთი პოეტების ნაწარმოებთა კრებული „ლექსები და პოემები“ (რედ. აქტორი კ. ბობახიძე, სახელგამო). დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარეს ქართველმა პოეტებმა, რათა სრულყოფილი სახე მიეცათ ითარგმნისათვის.

ამს წინათ საბლიტგამმა გამოსცა პირველი სამკოთა ქვრთი პროზაიკოსის არამ შამილოვის მოთხრობა „ქვრთი მწვემის“ ქართულ ენაზე (თარგმანი შ. ლოლობერიძისა). ეს ფრად მნიშვნე-

ლოვანი საქმეა, რადგან აღნიშნული ნაწარმოები დიდი ინტერესს იწვევს, როგორც პირველი პროზაული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია ქვრთულ ენაზე სამკოთა ხანაში. აღსანიშნავია, რომ ქვრთული ლიტერატურა ძირითადად პოეზიისაგან შედგება, ქვრთი ხალხი რატომღაც გაურბოდა პროზას.

აღნიშნულ ნაწარმოებში არამ შამილოვმა ასახა როგორც ქვრთი საზოგადოების, ისე პირადი ცხოვრება. ამ წიგნში გაერთიანებულია ავტორის ორი ნაწარმოები „ქვრთი მწვემის“ და „ლაგიოზის ქვრთები“, რომლებიც ცალ-ცალკეა გამოცემული როგორც ქვრთულ, ისე რუსულ ენებზე.

როგორც აღნიშნეთ, ეს წიგნი გვიხატავს არამ შარტო ავტორის პირად ცხოვრებასა და განცლებს, არამედ მთელი ქვრთი ხალხის საქმიანობასა და მოქმედებას. თუ თანმიმდევრობით გავყვებით მოგონებათა ფურცლებს, უპირველეს ყოვლისა წარმოვიდგებთ თვალწინ ის მძიმე და შეებნელი დრო, როდესაც ქვრთი მშობლივი ხალხი, მოქმედული, ერთის მხრივ, საყუთარი ბაგლარ-აღლარების და მეროვს მხრივ თურქეთის, შალაყანი კულაკების, სომეხი დაშნაკელების და სხვათა ორმაგი უღლის ქვეშ, სიღარიბესა და ჩაგვრას იტარებდა ცხოვრებას.

აღნიშნული ნაწარმოები საინტერესოა იმიტომ, რომ ავტორმა მხატვრულ ფორმაში გადმოვიცა ქვრთი ხალხის როგორც მომთაბარეული ყოფი-ცხოვრების ამსახველი სურათები, ისე ეთნოგრაფიული ხასიათის რიტუალები, წესები და ადამიანები. ამ მხრივ წიგნი აკეთება არამ შარტო როგორც მხატვრული ნაწარმოები; არამედ როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიულიც, რადგან მასში მრავალი ისტორიული ამბავია გადმოცემული: კერძოდ, ქვრთი ხალხის მონაწილეობა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, მათი დევნა თურქი შოვანიტების და სომეხი დაშნაკელების მიერ. აგრეთვე დამარცხა ზოგიერთი ქვრთი ტომის გადმოსვლაზე ამიერკავკასიაში.

არამ შამილოვი დაიბადა ღარიბი მწვემის ქვრთის ოჯახში, რომელიც ლექსმწერის მოსახოველად სოფლიდან სოფელში გადადიოდა. არამმა სიღატაკისა და სოციალური უთანასწორობის ხსენა პატარაობიდანვე იგრძნო. ერთი ადგილიდან მეორეზე ხეტიალის დროს მან შესანიშნავად შეისწავლა თურქული, სომხური და რუსული ენები. მამამ ჯერ კიდევ ბავშვი ქალქ ყარსში სამუშაოდ გაგზავნა. ამ დროს დაიწყო პირველი იმპერიალისტური ომი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი. ის, როგორც თურქული, სომხური, რუსულისა და ქართული ენების მყოფი თარჯიმანი აიყვანეს რუსებმა. რუსეთის ჯარში მრავლად იყვნენ არალეგალური პარტიული მუშაებები—ბოლშევიკები, რომელთა იდეებმა ფრთხილ შეისხეს არამის ოცნებას სოციალურ უთანასწორობის მოსპობაზე. იგი ამ მუშაობაში ჩაება და არც უღალატნია მათთვის, არამ შამილოვი პირველი წყერია კომუნისტური პარტიისა

ქრთ მოსახლეობიდან. მას დიდი წყლილი მიუძღვის საბჭოთა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში; ის იყო პირველი სულხინაძემგან ქართული პროზისა. არაბის ნაწერებზე და აგრეთვე ბრადი დახმარებით აღიზარდა ქრთი საბჭოთა ინტელექტუალი, რომელიც დღეობდნენ იზრდებდა და მტყიდებდა. მისი შემეგობით შეიქმნა ქრთული დამწერლობა, დაარსდა გაზეთი, დაიბეჭდა წიგნები და სხვ. არაბ შამილოვი დღესაც დღეობდა მეშობის ქრთი ერის უკეთესი ცხოვრებისა და მდიდარი ლიტერატურის შექმნისათვის.

„ქრთ მწვემში“ ავტორი მეტად სინტერესოვანიზდებს და საგულისხმო აშებს გადმოგვცემს თავისი ბავშვობის წლებიდან, იგი პირველ წიგნში ვეცანობს იმ დროსა და წრეს, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა. ავტორი მთელი თავისი ცხოვრებით სოფელთან არის დაკავშირებული. ეს ვასაგებებია, რადგან ქრთი ხალხი როგორც მომთაბარე, რომლის ძირითად საქმიანობას მესაქონლობა წარმოადგენდა, მხოლოდ და მხოლოდ „ოხებად“ — სოფლებად ცხოვრობდა. არაბს სიმოვნებასა და სიბარულს პეგრიდა. ის დღეები, რომლებიც დოლთან, საქონლის საზღვრულ სიძვრებისაყენ ვარევესთან, საზამთრო სადგომებზე დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. ამ დღეებს „სარბებს“, „ბაროდონს“ და „ბარონ ბარდანი“ ქრთები სადღესასწაულო დღეებად იცხადებდნენ. ავტორი იძლევა წელწადის უოველ დროში, შთაში თუ სოფლად საზღვრულ თუ საზამთრო სადგომებში სოციალური უსამართლობის სურათებს. არაბმა სხვა აშხანავებთან ერთად სომეხი დამოკების და საკუთარი აღბეგების წინააღმდეგ დიდი ბძოლა გადიტანა. მომთაბარე ქრთებში საბჭოები შეიქმნა.

შეორე წიგნში „აღვითობის ქრთები“ უფრო ნათლად და სრულყოფილად არის ნაჩვენები დარბობა ქრთების ბძოლა აღლარ-პავლარების წინააღმდეგ. ამ წიგნში, ისევე როგორც პირველში, გამოხატულია სოციალისტური სისტემის ვამარჯვება: დარბობი, შშრომული ქრთები მტყიდელ დღებთან ლენინერ პარტიის რეგებში.

ამ აშების თხრობასთან ერთად ავტორი გვიჩვენებს ქრთების ადამ-წყებს. იგი მიხერხებულად ურთავს იქ, სადაც კი ეს საჭიროა, ულანის მიცემის, ქალის შერთვის, სხვადასხვა დღესასწაულების წესებს, რელიგიის მსახურთა უმეტრების და უკოდინარობას, რუჯლის წესთა დაცვას, მათ დარღვევის და დამრღვევის შერისხვას, მომთაბარული ცხოვრების უოველგვარ წვრილმანს.

მთარგმნელს — შ. ლოლაბერიძეს, ეტყობა, ამ წიგნზე დიდი შრომა დაუხარჯავს, რათა გადმოეცა ნაწარმოების როგორც კოლორიტი, ისე შხატრული სახეები, მისი თავისებურებანი. სავრთოდ აღბარებულია, რომ აღმოსავლური ნაწარმოებების თარგმანი განსაკუთრებულ სირთულეს შეიცავს და მით უმეტეს ქრთული ენიდან, რადგან ამისათვის არც ტრეფიციკალიზმებს და არც ნაწარმოებები. ა. შამილოვის წიგნზე როგორც აღენიშნეთ, პირველი პროზაული ქრთული ნაწარმოებია და თავისთავად სირთულეზე სხვ მტრეველებს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის უაღაბეგადი შრომა, რაც მთარგმნელს გადახდებოდა თავს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მთარგმნელმა ისარგებლა რუსული ვარიანტით.

მიხედ უნდა აღენიშნეთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც წიგნს ვაჩნია, რითაც დარღვეულია ქრთული ენის ბუნება და კოლორიტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკლს რადესაც ვახსენებთ, ეს მარტო მთარგმნელს კი არ ეკუთვნის შოლიანად, არამედ გამოცემლობასაც და წიგნის რედაქტორს ვალენტინა ძიძივრის, რომელთაც უფრო მეტი სერიოზულობით უნდა მოეცილათ ხელი აღნიშნული წიგნისათვის.

გამომცემლობას შეეძლო წიგნისთვის ვაგეტყობინა წინასიტყვაობა, რომელშიც უნდა ვაგეტყობინა თანამედროვე ქრთული ლიტერატურა, შეგებოდა ავტორის ვინაობას, დავროთ კომენტარების და შენიშვნები. ამით გამოცემლობა უფრო სრულყოფილად ვაშეძებდა ნაწარმოებს.

მთარგმნელმა, როგორც ზევით აღენიშნეთ, თარგმნის დროს ისარგებლა წიგნის რუსული ვარიანტით და არა დედნით. ამიტომ თითქმის არც ერთი ქრთული სიტყვა, რომელიც თარგმანში მოყვანილი, სწორედ არ არის დამწერილი.

საერთოდ, ქრთულ ენას აშხანათებს ის ყრე (ქ, ყ, კ და სხვ.) ბერებები, რაც ქრთული ენისთვისაცაა დამახასიათებელი. წიგნი რომ პირდაპირ ქრთულიდან ყოფილიყო ნათარგმნი, მაშინ მრავალი ქრთული სახელი ასე დამახინჯებულად არ იქნებოდა მოყვანილი. შავალითად:

- ჩინაკი (გვ. 4) უნდა იყოს ქიკაკი, კალინკი (გვ. 11) — ყალინკი, კიბილ-ჩიჩიქი (გვ. 25) — ყაბილჩიჩიქი, კარათლებს (გვ. 28) — ყარათილებს, კარე (გვ. 48) — ყარე, პარე (გვ. 89) — ვარე, დესტახზე (გვ. 92) — დასთახტზე, ვასო (გვ. 97) — ვასო, ბაკო (გვ. 97) — ბაკო, კალი (გვ. 99) ყალი, შარკი (გვ. 101) — შარყი, კალაში (გვ. 101) — ქალაში, ზუჯარი (გვ. 102) — ზუჯარი, პირ-აბასი (გვ. 111) — ფირ აბასი, ტობარი (გვ. 128) — თობარი, კოჩერი (გვ. 130) — ქოჭარი, კავალები (გვ. 132) — ყავალები, მეღვებუზა (გვ. 132) — შალტებუზი და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში პიძიქი, შებრუნებითაა. რუსულში სწორად სწერია „ელაკი“, ქრთულში ვაჩნდა „ელაკი“ (გვ. 100).

სწორად არ არის დამწერილი საკუთარი სახელთა (ეს იქნება ადამიანის, გეოგრაფიული, ცხოველის, საქმლის თუ სხვ.) აღნიშნული სიტყვები. შავალითად: „შამო შამილი“ (გვ. 3) უნდა იყოს „შამო შამილი“. ეს ქრთული ენის ბუნების სული დარღვევაა.

გვებდება აზრობრივად გაუმართავი წინადადებებიც. მაგალითად:

„სალამობით თბილ ღუმელს შემოვუსხებოდით, შიგ ფეხებს ჩაეყოფდით და ასე ვთებოდით“ (გვ. 7). ყველასათვის ცნობილია თუ რას წარმოადგენს ღუმელი და რომ ღუმელში ფეხების ჩაყოფა შეუძლებელია. ქერთ ხალხს ღუმელი არა აქვს, ქერთები მხოლოდ თონეს ხმარობდნენ. ამ მაგალითში „ღუმელის“ მაგივრად უნდა ეწეროს თონე. მაშინ გასაგები იქნება სიტყვა „ჩაეყოფდით“-ის აზრი.

თარგმანში ხშირად ერთმანეთშია არეული ქერთი ტომებისა და შათი მეთაურების სახელები. მაგალითად: „ქერთთა ტომების ზოგიერთმა მეთაურმა, ჰასინისა, სიკისა და ზუკრიამ დაწინაურებს სრული მორჩილება გამოცხადეს“ (გვ. 67). ქერთი ტომების აქ აღნიშნული მეთაურები არ ყოფილან და არ არსებულან. აქ აღნიშნული სახელები ჰასინი, სიკი და ზუკრი (არა ზუკრია) არის არა ტომების მეთაურთა სახე-

ლები, არამედ თვით ტომთა სახელებები. ზოგიერთ სახელების არასწორად გატანამ და თარგმანმა აზრი მთლიანად შეცვალა. მაგალითად. ავიღოთ წინადადება: „ეკადე შეიხები და პირები ღარიბებს მოელანარაყონ“ (გვ. 125). საინტერესოა, აქ რას ნიშნავს სიტყვა „პირები“. ამ მაგალითის თუ ვეაზრევეთ, ვნახავთ, რომ შეიხები (სასულიერო წოდების წარმომადგენლები) და თითქოს სხვა კიდევ ვიღაც ვარაუდ პირები უნდა მოელანარაყონ ღარიბებს. სინამდვილეში კი უნდა ეწეროს არა „პირები“, არამედ „ფირები“, რომელნიც აგრეთვე სასულიერო წოდების წარმომადგენლები არიან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, „ქერთი მწუყმისა“ თარგმანს დიდ სარგებლობას მოუტანს ქერთი საზოგადოების ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველს და, კერძოდ, თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც ორგანული ნაწილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურისა.

მარამ ახლოვი

21

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VIII-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 404-უე 04115. ინწყობის ზომა 7% X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108, ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები



საბლიტვაში



- ესქილე — მიჯაჭვული პროზით. თარგ. ა. ქუთათელიძის რედ. ს. უაუზნიშვილი. გვ. 64, ფასი 2 მან.
- დომენტი თომაშვილი — შავი ცხვარი. რედ. მ. ქაქანიძე. გვ. 19, ფასი 3 მან. 20 კაბ.
- ლალო გიგოქორი — საბავშვო ლექსები და მოთხრობები. რედ. გ. კაკაბიძე. გვ. 140, ფასი 2 მან. 40 კაბ.
- კომბლე — რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 17, ფასი 2 მან. 40 კაბ.
- დ. გედევანიშვილი — ნორჩი ფიზიკოსი. რედ. ტ. ტყეშელაძე. გვ. 92, ფასი 2 მან. 50 კაბ.

„ხელოვნება“

- ავტორთა ჯგუფი — სანდრო აბშეტელი. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 280, ფასი 18 მან.
- აღ. ბურთიაშვილი — თეატრალური პორტრეტები. რედ. ნ. ყოსიაშვილი. გვ. 244, ფასი 12 მან.
- ლ. გვაჩავა — სანაძე — ერმიტაჟი. რედ. რ. ფუფურიძე. გვ. 196, ფასი 11 მან.
- პ. ამირანაშვილი — ორი თვე წინეთში. რედ. ვ. ვიბუტი. გვ. 56, ფასი 2 მან. 50 კაბ.
- გ. იბხენი — პიესები. რედ. ვ. კუპრაძე. გვ. 188, ფასი 5 მან. 20 კაბ.
- ავტორთა ჯგუფი — დავით ანდლულაძე. რედ. ი. ტუსკია. გვ. 72, ფასი 4 მან. 20 კაბ.
- ს. შოთაძე — მეცხრე შეილა. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 76, ფასი 2 მან. 10 კაბ.
- დ. ჯანელიძე — სახიობა. რედ. ვ. ქარელიშვილი. გვ. 228, ფასი 12 მან.
- ნ. ლენინფაძე — ეფრო კლდიაშვილი. რედ. ი. გრიშაშვილი. გვ. 52, ფასი 2 მან.
- მ. მრევლიშვილი — ზევი. რედ. ა. აღაშია. გვ. 88, ფასი 2 მან. 50 კაბ.
- ს. კლდიაშვილი — მარტოობა. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 68, ფასი 2 მან. 50 კაბ.
- ნ. ურუშაძე — ცეცხლი ამირეჯიბი. რედ. შ. დადიანი. გვ. 108, ფასი 5 მან.
- შ. რადაიანი — აკაკი წერეთელი და ქართ. თეატრის პრობლემები. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 100, ფასი 3 მან.
- ა. ჩხეიძე — ინსცენირებული მოთხრობები. რედ. შ. დადიანი. გვ. 56, ფასი 1 მან. 30 კაბ.
- დ. თაქთაქიშვილი — გრიბოდოგი. რედ. შ. დადიანი. გვ. 96, ფასი 2 მან. 30 კაბ.
- გ. ზაივლიანი — სადადგომ ნაწილი თეატრში. რედ. ს. ვანნაძე. გვ. 200, ფასი 5 მან.

21

შეცდომების გასწორება

„მნათობის“ № 6 მოთავესებულ წერილში „საქორწინო-ოჯახური ურთიერთობის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში“ 150-ე გვერდზე პირველ აბზაცში უნდა იკითხებოდეს „ქალის“, მე-4 აბზაცში — „შეუწყრელობა“, 151-ე გვერდზე მე-5 აბზაცში — „არა იმდენად ბუნებრივი, რამდენადაც“ და ა. შ.

„მნათობის“ № 7 მოთავესებულ წერილში „არნოლდ ცვაიგი“ 102-ე გვერდზე მესამე აბზაცის 8, 9 და 10 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „დაწერილ, უფრო ზუსტად, არაისტორიულ რომანებში იმარჯვეს. კონკრეტულად ის შემდეგს ნიშნავს: არნოლდ ცვაიგი ცდილობს ისე წეროს“, — შემდეგ როგორც ტექსტში.

ვანი 8 8.

1169

15 / 150
ს / 150
საქართველო
საბჭოთა კავშირი

5.55 / 1163

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»